

ბაზილიკა საომარი

ბეჭეტი
საქართველო

საქართველო

საქართველოს
საზღვრო
სამართალი

საქართველო
ქვეყნის
საზღვრო
სამართალი
V

„საქართველო“

Г1+ГФ
899.962.1—84 + 398.2(47.922)
ბ 209

ტომი შეადგინეს: ანდაზები და ლექსიკონი — ლ. ლეჟავანი;
მახვილსიტყვაობა — ა. ცანავაძე;
გამოცანები — პროფ. მ. ი. ხ. ჩიქოვანიძე და
ჯ. ბარდაველიძე

მხატვრობა ე ლ გ უ ჯ ა ა მ ა შ უ კ ე ლ ი ს ა



ან დაზებს ხალხის საუნჯეს უწოდებენ. მართლაც, ხალხური შემოქმედების არც ერთ სხვა ჟანრს არ შეუძლია ასე სხარტად, ასე ლაკონიურად გადმოსცეს ხალხის დიდი სიბრძნე, მისი საოცარი დაკვირვების უნარი, მისი სიტყვის ძარღვიანობა და მოქნილობა.

ანდაზებში ხალხის ყოფაა ასახული. რაც კი უშუალოდ შეხებია მწრომელ ხალხს, რასაც კი განუცდევინებია მისთვის სიხარული ან მწუხარება, სიმწარე ან სიტკბოება, სასოწარკვეთილება ან აღმაფრენა, იმედი ან უსასოობა, ყველაფერი ეს ძალზე ოსტატურად ჩაუქსოვია მოკლე ფრაზაში.

ანდაზები ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. ხალხმა თავისი აზრი და ხანგრძლივი დაკვირვების განზოგადება მოგვცა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორც არის: სამშობლოს სიყვარული, ვაჟაკობა, მეგობრობა, შრომა, სიმამაცე, სიმხდალე, გაუტანლობა, სიცრუე და სხვ.

ანდაზა ხალხში დიდი მოწონებით სარგებლობს. ხალხი მას ითვისებს და იყენებს ისე, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტების ამსახველს. ანდაზა თაობიდან თაობას გადაეცემა, საუკუნიდან საუკუნეში გადადის და თავის სახეს ინარჩუნებს. ამას ხელს უწყობს ანდაზის მოქნილი და ადვილად დასამახსოვრებელი აღნაგობა, მისი მჭიდრო კავშირი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

ავი ძალღი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო.

მელამ თავისი კული მოწმედ მოიყვანაო.

ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო... და სხვა მრავალი ასეთი ანდაზა ბევრ ასეულ წელს გაუძლებს, რადგან მათ ყოველთვის შესაფერის ვითარებას მიუყენებს ხალხი.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ანდაზას ერთნაირი სასიცოცხლო ძალა გააჩნია.

ზოგი ანდაზა გარკვეულ ისტორიულ სოციალ-ეკონომიურ ვითარებაში შექმნილა, გარკვეული ისტორიული ფაქტების ანარეკლია.

ცხოვრების პირობების შეცვლის, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარებისა და მასთან დაკავშირებით თვალსაზრისთა და შეხედულებათა გარდაქმნის შედეგად დღეს ასეთ ანდაზებს შეიძლება შევხედოთ, როგორც წარსული ვითარების ამსახველ ფაქტებს. მათში ჩანს, თუ რა დაბეჭავებულ, დაჩაგრულ მდგომარეობაში იყო გლეხი. რა დაბლა მდგომ არსებდა ითვლებოდა ქალი, როგორ უსამართლო სამართალს აჩენდნენ მეფის მოხელენი და სხვა.

ანდაზის დიდ გამძლეობას, მის პოპულარობას ხელს უწყობს მისი ფრაზის სიმსუბუქე და სისადავე, რაც მიღწეულია ერთი მხრივ ფრაზის მარტივი არქიტექტონიკით, მეორე მხრივ კი ანდაზის ფრაზაში პოეტური დეტალების — შინაგანი რითმის, რიტმის, ალიტერაციის გამოყენებით, რის წყალობითაც ანდაზის ფრაზა მუსიკალობას იძენს და ადვილად დასამახსოვრებელი ხდება.

ანდაზის ენა სადაა და მოქნილი. საერთო-სახალხო ხმარებაში შესული ანდაზის ენაში დიალექტური სხვაობები თანდათან იშლება, ფრაზა იხვეწება და საერთო სახალხო ქართულის ნორმებს ექვემდებარება. ანდაზის ენა საერთო-სახალხო ენაა.

მდიდარია და მრავალფეროვანი ანდაზების ლექსიკა. იგი იყენებს ხალხის ყოველდღიურ ცხოვრება-საქმიანობაში სახმარ სიტყვებს, შრომითი პროცესებისა და იარაღის სახელწოდებებს, მცენარეთა, ფრინველთა, ცხოველთა სახელებს და სხვ.

ანდაზის ენის ასეთი დახვეწილობა და მისი ლექსიკის სიმდიდრე, პოეტიკის ხერხთა გამოყენების წყალობით მისი ადვილად დამახსოვრების შესაძლებლობა, დიდი აზრობრივი სიღრმე და გონებამახვილობა — ყველაფერი ეს ანდაზას ისეთ ნაწარმოებად აქცევს, რომლის მიწოდება მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გამოჩენილ პედაგოგებს მეტად სასარგებლო საქმედ მიაჩნიათ. ამიტომ ანდაზები უხვად შეაქვთ სახელმძღვანელოებში.

ანდაზებს უხვად იყენებენ მხატვრული სიტყვის ოსტატები. საბასულხანის, ილიას, აკაკის, ვაჟას, დ. კლდიაშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვათა ნაწარმოებებში მარგალიტებივითაა გაბნეული ხალხური სიბრძნის ეს შესანიშნავი ნიმუშები.

ანდაზა მარჯვე საილუსტრაციო მასალაა, — დახვეწილი ფრაზა, ნათლად გადმოცემული აზრი, მდიდარი ლექსიკა ამის კარგი პირო-

ბაა. ამიტომაც ასე უხვად გამოყენებული ანდაზები ლექსიკონებსა და გრამატიკებში.

ანდაზა შესანიშნავი სამკაულია კარგი საუბრისათვის, ძლიერი იარაღია აზრის დასადასტურებლად.

ქართული ანდაზების გამოცემა მე-19 საუკუნეში დაიწყო. პირველად ანდაზები დაბეჭდა დ. ჩუბინაშვილმა 1846 წ. თავის „ქართულ ქრესტომათიაში“. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე ქართული ანდაზების რამდენიმე კრებული გამოვიდა. უამრავი ანდაზა დაბეჭდილა ჩვენს პერიოდულ გამოცემებში.

ჩვენს მუზეუმებში ინახება ბევრი ხელნაწერი კრებული ქართული ანდაზებისა. მათ შორის მეტად საყურადღებო მასალაა წარმოდგენილი თ. რაზიკაშვილის, გ. ლომთათიძის, ვინმე მესხის, ა. უზნაძის, თ. სახოკიას და სხვ. ხელნაწერ-კრებულებში.

ბევრი ნაბეჭდი და ხელნაწერი კრებული წინა კრებულების შევსება-დამატებას წარმოადგენს, ან მცირე ცვლილებებით იმეორებს რომელიმე წინა გამოცემას, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის სრული.

ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა ყველა ანდაზისათვის, რაც შეტანილია ადრე გამოცემულ კრებულებში.

ამ მასალას დავუმატეთ ახლად თუ ძველად შეკრებილი მასალები, ლიტერატურული მუზეუმისა და აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებიდან, აგრეთვე ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების ფონდიდან და ზოგი კერძო კოლექციიდან. სულ გათვალისწინებული გვაქვს მასალა 60 ნაბეჭდი და 50 ხელნაწერი წყაროდან. მაგრამ რა თქმა უნდა, ეს კიდევ არ არის ქართული ანდაზების სრული კრებული.

ქართული ანდაზების კრებულებში ტრადიციულად შეაქვთ არა მხოლოდ ანდაზები, არამედ ანდაზის მსგავსი სხვადასხვაგვარი გამონათქვამები (სიტყვის მასალა, აფორიზმი, იგავი, ხალხური ლექსი და სხვ.). იქ მოხვედრილია ბევრი ხელოვნური ფრაზაც, რომლებიც ანდაზის მიბაძვით, ანდაზის ყაიდაზეა შეთხზული. იქვე არც თუ იშვიათად, გვხვდება ფრაზები რუსთაველის, დ. გურამიშვილის, საბა ორბელიანის, ილიას, აკაკის ნაწარმოებებიდან.

ფართო მკითხველისათვის ხშირად საეჭვო და ბუნდოვანი ხდება თვით ანდაზის რაობა, რადგან ნამდვილი ანდაზის გვერდით ანდაზად არის გამოცხადებული სხვადასხვა გამონათქვამები. შევეცადეთ დაგვეჯგუფებინა ეს ჭრელი მასალა, გაგვეჩიანა, რა არის ანდაზა და რა არ არის ანდაზა და მკითხველისათვის მიგვეწოდებინა არა მხო-

ლოდ ის, რაც ანდაზად მიგვაჩნია, არამედ ისიც, რაც ანდაზის სახე-
ლითაა ცნობილი, მაგრამ ნამდვილად ან აფორიზმია, ან სიტყვის მა-
სალაა, ან ფრაზეოლოგიზმი, იკავი თუ ხალხური ლექსი.

გავმიჯნეთ-რა ანდაზები სხვა სიტყვა-თქმებისაგან, ამავე დროს
ვცადეთ გვეჩვენებინა ამ ორი რიგის მასალის სიახლოვეც. ანდაზა
ხშირად გენეტურ კავშირშია იგავთან, ანდაზისაგან სიტყვის მასალაა
წარმოშობილი, ბევრი გამონათქვამი ცნობილი ანდაზის ანასხლეტია
და ა. შ.

ამ მიმართებებზე კრებულში მითითებულია „შეადარეს“ მეშვეო-
ბით. „შეადარეს“ ორ მიზანს ემსახურება:

1. უჩვენებს ამა თუ იმ ანდაზის კავშირს სათანადო სიტყვის მასა-
ლასთან, იგავთან, ხალხურ ლექსთან და სხვ.

2. მიუთითებს რომელიმე ანდაზასთან შინაარსობრივად ახლო-
მყოფ სხვა ანდაზებზე.

ე. ი. ასეთი მითითების წყალობით მკითხველს ვუჩვენებთ, რომ
მაგ., სიტყვის მასალა: „გადაადგეს ზღვაში თევზი“ დაკავშირებულია
ანდაზასთან: „ლოქო დასაჯეს და წყალში გადაადგესო“, ან თქმა: „გა-
ცემულ სიკეთეს ხალხი არ ივიწყებს“ კავშირშია ანდაზასთან: „სიკე-
თე ქენ — ქვაზე დადევ, გამოივლი — წინ დაგხვდება“.

მეორე მხრივ კი „შეადარეს“ მეშვეობით დაინტერესებული მკითხ-
ველი ადვილად მონახავს ერთგვარი შინაარსის ანდაზებს. მაგ:

„ღორის თავი ხალიჩაზე დადგეს, იგორა, იგორა და ისევ ლაფში
ჩაჯარდაო“.

„ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუპა და ისევ გუბეში ჩახტაო“.

„თაგეს ბუმბულში აწვეწვენ და თაგვისარაში გარბოდაო“.

ეს ანდაზები შინაარსობრივად ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგ-
რამ ამავე დროს ყოველი მათგანი დამოუკიდებლად არსებული ანდა-
ზაა, ამიტომ ყველა თავის ადგილას, ანბანის რიგის მიხედვით, შე-
გვაქვს, მაგრამ ერთმანეთზე ვუთითებთ, რომ მკითხველს შეეძლოს
წახოს მისთვის საინტერესო ანდაზის მსგავსი სხვა ანდაზებიც.

ასე წარმოდგენილი მასალა მკითხველს საშუალებას მისცემს თვა-
ლი გადაავლოს მთელ ამ მდიდარ სამყაროს, ერთ მთლიანობაში ნა-
ხოს ანდაზები და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სიტყვა-თქმე-
ბი — საანდაზო ლექსები, ანდაზური თქმები, ანდაზისაგან მომდინა-
რე სიტყვის მასალები და სხვ.; დაინახოს მათი სიახლოვეცა და გან-
სხვავებაც; იგრძნოს ის რთული მიმართებები, რაც მათ შორის არ-
სებობს.

ისიც გასაგები გახდება, თუ რატომ შეჰქონდათ ანდაზების კრე-

• ზულებში ეს ნაირ-ნაირი მასალა და იმის განსჯის საშუალებაც იქნება, თუ რამდენად მართებულად არის მიგნებული ანდაზის რაობა და რამდენად სწორადაა გამოყოფილი ხალხური ანდაზები სხვა თქმებისაგან.

მართალია, სიტყვის მასალა, იგავი, ხალხური ლექსი, მოსწრებული თქმები და სხვ. იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ანდაზასთან, რომ მათი გამოყოფა ზოგჯერ ჭირს, მაგრამ როგორ რთულადაც არ უნდა იყოს გადახლართული ანდაზასთან მისგან მომდინარე თუ მისი წარმომშობი ან მომიჯნავე სხვა ჟანრები, ანდაზა მაინც დამოუკიდებელი ჟანრის ნაწარმოებია და საჭიროა მისი გამოცალკევება. ამ საქმის პირველი ცდაა წარმოდგენილი ამ წიგნში.

ამ რთული ამოცანის დასაძლევად უპირველესი საშუალება არის ანდაზის რაობის გარკვევა, მის სპეციფიკაში ჩაწვდომა, მისი ბუნების შეცნობა, მისი შეპირისპირება სხვა თქმებთან¹.

ანდაზა ხალხური შემოქმედებაა, მხატვრული ნაწარმოებია, მაგრამ იგი საგრძნობლად განსხვავდება სხვა ჟანრის ნაწარმოებთაგან. მაშინ, როდესაც ყველა სხვა ჟანრის ნაწარმოები (ზღაპარი, ლექსი, იგავი, ნაწილობრივ გამოცანაც...) გაბმულ ტექსტს, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე წინადადებას მაინც წარმოადგენს, ან დაზა ერთი წინადადებათ არის გადმოცემული. ცხადად, ლაკონურად გადმოცემა აზრისა, გადმოსაცემი შინაარსის ერთ წინადადებაში მოქცევა ანდაზისათვის შეტად ნიშანდობლივია.

ანდაზას აქვს მეორე დამახასიათებელი მხარეც.

ანდაზაში კონკრეტულ ფაქტზეა ლაპარაკი, მაგრამ ამ კონკრეტულ შინაარსს მიღმა ზოგადი აზრი იგულისხმება.

ამ ზოგად აზრს ვგულისხმობთ, მასზე მივანიშნებთ იგავურად, როდესაც ანდაზას ვიყენებთ.

ამ ნიშნით განსხვავდება ანდაზა თქმებისაგან. თუ გამონათქვამს არ ახლავს აზრის განზოგადებისა და მისი გადატანით ხმარების უნარი, იგი თქმაა და არა ანდაზა.

მაგალითად, ძალიან ბრძნულად და მოსწრებულად უთქვამს ხალხს:

¹ ანდაზის რაობის შესახებ საინტერესო მსჯელობაა წერილებში: ფ. ერთელიძე ილი, ანდაზის ცნების საკითხისათვის, „მნათობი“, 1957 წ. № 3, ფ. ზანდუკელი, ანდაზისა და სიტყვის მასალის ურთიერთობისათვის, ქართული ფოლკლორი I—II, თბილისი, 1964. საინტერესო დებულებებზეა წარმოდგენილი გ. რ. კიკნაძის წიგნი: ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბილისი, 1963. ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე ძირითადად ეთანხმება ამ ავტორთა შეხედულებებს.

„რამდენიც ვინმე მოგვიკვდა, იმდენი გულს ჩამოეთალაო“.

„ერთი შვილის გაზრდას ერთი კოდი ფეტვის დახვრეტა სჯობიაო“ და სხვ. მაგრამ ამ მანვილად შენიშნულსა და კარგად ნათქვამს არ ახლავს რაიმე ზოგადი აზრი.

ანდაზა უპირატესად დიდაქტიკურ-აღმზრდელიობითი შინაარსისაა.

საგულისხმოა ანდაზის კიდევ ერთი თვისება.

ანდაზაში თხრობითი მხარე უაღრესად შეკუმშულია, შემჭიდროებულია. როგორც კი თხრობის ელემენტი ოდნავადაც კი გავრცელდება, გაფართოვდება, ანდაზურობა იკარგება, ანდაზა იგავს ემსგავსება, იგავის სახეს იღებს.

მაგ.: აქლემი კლდეზე გადავარდა, ვირმა ყროყინი მორთო — ანდაზაა, მაგრამ ეს კი აღარაა ანდაზა:

აქლემი კლდეზე გადავარდა, ვირმა ყროყინი დაიწყო, ვირს ცემა დაუწყეს, „რა გაყროყინებსო“. „ის მაყროყინებს, რომ იმ აქლემს მე ამომაზიდვინებენო“.

ე. ი. ანდაზაში არ შეიძლება იყოს თხრობა. ეს არის თქმა, რა-ღაცა ფაქტის დასახელება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ არამც და არამც ამბავი, თხრობა.

ეს ნიშანდობლივი მხარე ანდაზისა დიდად დაკვეხმარება იგავისა და ანდაზის გამიჯვნაში.

ზემოთქმულის მიხედვით ანდაზის ასეთი განსაზღვრა შეიძლება მივიღოთ:

ანდაზა ხალხის დიდ გამოცდილებასა და დაკვირვებაზე დამყარებული ერთწინადადებიანი მხატვრული ნაწარმოებია (უპირატესად დიდაქტიკური ხასიათისა), რომელიც ნართაულად მიგვანიშნებს კონკრეტულ შინაარსს მიღმა არსებულ ზოგად აზრზე და, ამდენად, სასაუბრო ობიექტს უშუალოდ კი არ ეხება, არამედ ირიბად, კონკრეტული სახის შუამავლობით, გადატანით, მინიშნებით, იგავურად.

ანდაზის ამ განსაზღვრებას დავემყარეთ და ჩვენ ხელთ არსებული მასალა რამდენიმე ჯგუფად დავყავით.

I. პირველ ჯგუფში შევეცადეთ შეგვეტანა მხოლოდ ხალასი ანდაზები.

ერთი და იგივე ანდაზა ცოცხალ სიტყვახმარებაში სხვადასხვაგვარად შეიძლება იცვალოს; სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ელფერი დაჰკრავს. ამიტომ ყოველ ანდაზას რამდენიმე ვარიანტი გააჩნია.

ჩვენ ხელთ იყო მრავალი საინტერესო ვარიანტი, თუ რედაქცია, მაგრამ ყველა მათგანის ჩვენება აქ არ ხერხდება. მოგვაქვს მხოლოდ

ისეთები, რომელნიც ან საკმაოდ განსხვავებულია ძირითადი ანდაზისაგან, მის სხვაგვარ რედაქციას წარმოადგენს, ან ანდაზის აზრის წვდომას შეუწყობს ხელს, ანდა ძალიან გავრცელებულია.

ეს ვარიანტები და რედაქციები ანდაზების კრებულებში სხვადასხვა ასოზეა ხოლმე გაბნეული, ერთი ანდაზა სხვადასხვა ვარიაციით მეორდება სხვადასხვა ადგილას. აქ კი ერთ ძირითად ანდაზასთანაა ყველა თავმოყრილი.

დალაგების ასეთი წესი არა მარტო ანბანთრიგზე გაწყობილი კრებულის დახვეწას შეუწყობს ხელს, არამედ ანდაზის თემატიკურ კლასიფიკაციასაც.

შვეიცადეთ ვარიანტებში გამოჩენილიყო ანდაზის ცვალების ზოგი ასეთი ფაქტიც:

1. სიღნაღი ისე არ დადაბლდება, საქათმის სიმალლე აღარ იყოსო. სიღნაღი ისე არ წაიქცევა, საქობომდე არ მოვიდესო.

ამ ორ წინადადებაში სიტყვა „სიღნაღს“ ორი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

პირველ ფრაზაში დარჩენილი უნდა იყოს ძველი მნიშვნელობა. სახელდობრ: მე-17 ს. „სიღნაღი“ ნიშნავდა სამხედრო თავდაცვისათვის გამაგრებულ ადგილს — არხით შემოზღუდულ მიწაყრილს. (ქ. სიღნაღის სახელიც ამ პირვანდელ მნიშვნელობასთან უნდა იყოს დაკავშირებული). მაგრამ ქალაქია „სიღნაღი“ ზემომოტანილი მეორე ტექსტში. აქ იგი საქობოსთანაა შეპირისპირებული. სოფ. საქობო სიღნაღთან შედარებით დაბლა მდებარეობს (სიღნაღთან ახლოს).

2. ზოგჯერ ერთ რომელიმე კუთხეში გავრცელებული ანდაზა მეორე კუთხეში სხვაგვარადაა გააზრებული. მაგ.: ანდაზაში:

თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევასო.

ლაპარაკია ქადასა და ქადის გულზე და ანდაზა ამას ამბობს: თუ ქადის გული კარგია, გულად ვარგა, ისეთია, როგორიც უნდა იყოს გული (ფხვიერია გული და იბნევა) ქადას ორივე ხელი სჭირდება საჭმელად.

დასავლეთ საქართველოში ქადა და მისი გული არც თუ ისე ცნობილია და მისი თვისებები — მითუმეტეს; ამიტომ თავისებურად გაიგეს ეს ანდაზაც, სახელდობრ, ასე: თუ გულით გინდა, თუ გულით ეკიდები, თუ გულით მოინდომებ.

ასეთი გაგების შედეგად გაჩნდა ვარიანტი:

თუ გული გულობს, ადამიანი ქადას ერთი ხელით ორს აიღებსო.

ცალკე ქვეჯგუფად გამოვყავით ე. წ. ლიტერატურული ანდაზები. მწერლის მოსწრებულად, გონებამახვილურად ნათქვამ, გადატანითი აზრის შემცველ თქმას შეიძლება მიეცეს ზოგადი აზრი, აღიჭურვოს კონტექსტისაგან დამოუკიდებელი არსებობის უნარით, ხალხში გავიდეს და ანდაზად იქცეს. ეს ფრაზები ხალხური ანდაზებისაგან მაინც განსხვავდებიან; სხვაგვარია მათი სინტაქსიც, სტილიც, ლექსიკაც და ფრაზის აგებულებაც.

ის ფაქტი, რომ მათი ავტორი ან ის ხალხური ლექსი, რომელთაგანაც ეს გამონათქვამები მოდიან, ხალხის მებსიერებაში ცოცხალია, ამ ფრაზას თავისთავადობას უნარჩუნებს და აბრკოლებს მათ გარეგან ხალხურ ანდაზებში.

ამ წიგნში უმჯობესად მივიჩნიეთ ცალკე გამოგვეყო ის ლიტერატურული ანდაზები, რომლებიც ანდაზების კრებულებში შეგვხვდა.

ჩვენი მიზანია, ვუჩვენოთ ფართო მკითხველს, რომ ეს არის ლიტერატურული ანდაზები, ე. ი. რუსთაველის, საბა ორბელიანის, გურამიშვილის თუ სხვათა მიერ შექმნილი და ხალხში გასული, ან ხალხიდან აღებული და მათ პოეტურ ლაბორატორიაში თავისებურად გადამუშავებული და ამ სახით კვლავ ხალხში დაბრუნებული ანდაზები.

ჩვეულებრივ, ლიტერატურული ფრაზა ძნელად იცვლება, დიდხანს ინარჩუნებს თავის სახეს, მაგრამ ნელ-ნელა მაინც შეიძლება შეიცვალოს, ხალხური ანდაზის ყაიდაზე გარდაიქმნას. იცვლება სიტყვათა რიგი, მარტივდება წინადადება, იხსნება კავშირები, რომელიმე ლიტერატურულ სიტყვას ხალხური ჩაენაცვლება და ა. შ. ე. ი. ფრაზას დაეტყობა ხალხში ხშირად ხმარების, გახალხურების კვალი. ასეთი ნიმუშები წიგნში წარმოდგენილია.

II. ანდაზებისაგან გამოვყავით ერთი რიგის გამონათქვამები, რომლებსაც ანდაზური თქმები ვუწოდეთ. ეს არის სხარტად ნათქვამი ფრაზა, გარკვეული დოზით იგავურობის შემცველიც, მაგრამ ამ გამონათქვამებს აკლია ანდაზის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი — განზოგადების უნარი, ამიტომ მათი აზრის გადატანითობაც შედარებით შეზღუდულია.

ბავშვსა და კატას მკათათვეში ფეხები დააზრებო.

ამ ფრაზას მხოლოდ იმის იგავურად თქმა შეუძლია, რომ პატარა ბავშვს ფეხი ადვილად უცივდება. კარგად ასახული სინამდვილეა, მაგრამ იგი მხოლოდ ამ კონკრეტულ ფაქტზე, მხოლოდ ბავშვის მიმართ ითქმის. რაიმე აზრი ამის მიღმა არ არის, ფრაზას არ ახლავს

ისეთი აზრი, რომლის განზოგადება და სხვაზე გადატანა შეიძლებო-
დეს.

111. ცალკე განყოფილებად არის გამოყოფილი ა ფ ო რ ი ზ მ უ-
ლ ი გ ა მ ო ნ ა თ ქ ე ა მ ე ბ ი, შ ე გ ო ნ ე ბ ა ნ ი, გ ო ნ ე ბ ა მ ა ხ-
ვ ი ლ უ რ ი თ ქ მ ე ბ ი. ანდაზისაგან განსხვავებით მათ არ ახლავთ
იგავურობა, გადატანითი აზრი.

ბედის მორჩილი მონობაში მოკვდება.

ტრაბახი უგვანი კაცის საქმეა.

რაც შენი ორი ყურით არ გაგიგონია, ნუ იტყვი.

აქვე შეგვაქვს ანდაზების პერიფრაზებიც.

IV. შევეცადეთ ცალკე გამოგვეყო ე. წ. ს ი ტ ყ ვ ი ს მ ა ს ა ლ ა .
ანდაზებისაგან ამ მასალის გამიჯვნა ყველაზე დიდ სირთულეს შეი-
ცავს. ზოგი მკვლევარი შეუძლებლად თვლის სიტყვის მასალისა და
ანდაზის გამიჯვნას. გვაქვს ერთი ფენა, რომელიც სიტყვის მასალისა
და ანდაზის საზღვარზე დგას. ძნელდება ამ ნიმუშთა შეტანა ერთ
რომელსამე ჯგუფში. ამიტომ ამჯობინებენ არ გაყონ ანდაზები და
სიტყვის მასალები და ერთმანეთში შერეული წარმოადგინონ.

ჩვენ მაინც ვცადეთ მათი გამიჯვნა. „სიტყვის მასალა“ ფართო და
პირობითი სახელწოდებაა ამ განყოფილებისა. აქ შევიდა არა მხო-
ლოდ ანდაზებიდან მომდინარე თქმები, არამედ ფრაზეოლოგიებიც.

სიტყვის მასალა უშუალოდ სასაუბრო ობიექტზე მიუთითებს,
მასზეა მიმართული, მას ახასიათებს.

სიტყვის მასალას ანდაზობამდე თითქოს აკლ: ს ჯ ბ ი ე ქ ტ ი და ასე-
თად იგულისხმება ის კონკრეტული პირი, ვის მიმართაც ითქმის ესა
თუ ის სიტყვის მასალა: ამიტომ იგი შეიძლება იცვალოს სამსავე პირ-
ში. მაგ.: ცა ქუდად არ მიაჩნია (მიგაჩნია, მიმაჩნია), მადლი მატლად
გადაექცა (გადაგექცა, გადამექცა).

ბევრი სიტყვის მასალა ანდაზისთანაა დაკავშირებული, მაგ.:

ძალდი ახსენე, ჯოხი ხელში დაიჭირეო — ანდაზა.

ძალდი ხსენებზედაო — სიტყვის მასალაა.

ლოქო დასაჯეს და ზღვაში გადააგდესო — ანდაზა.

გადააგდეს ზღვაში თევზი — სიტყვის მასალაა.

ხევი ისე ამოვიარე, ერთი კენჭიც არ დამინახავსო — ანდაზა,

რიყზე ქვა დაეკარგება — სიტყვის მასალაა და სხვ.

ანდაზიდან წარმოშობილ ასეთ სიტყვის მასალებს ანდაზისთან
კავშირი მთლად როდი გაუწყვეტიათ, მათი ხმარებისას ანდაზა ჯერ
კიდევ იკრძნობა. ამ ურთიერთობაზე მივუთითებთ „შეადარე“-თი.

V. ცალკე განყოფილებადაა წარმოდგენილი ი გ ა ვ ე ბ ი, ნ ა კ ვ ე -

ს ე ბ ი და თ ქ მ უ ლ ე ბ ე ბ ი. როგორც აღვნიშნეთ, ანდაზების კრებულებში ხშირად შეაქვთ მოკლე-მოკლე იგავები. მათი გამოიკვანა ანდაზებისაგან აუცილებელია:

ერთი რძალი თავს იბანდა. იმისმა უმძრახმა მაზლის ცოლმა ჯა-რა დაამტვრია და ცეცხლს შეუკეთა — ჩემ რძალს არ შეცივდესო.

ბუხს სპილოს ყურში დაუზამთრდა, გაზაფხულამდე დარჩა, რომ გამოვიდა, სპილოს მადლობა მოახსენა. სპილომ უთხრა: ვინ ხარ, მე შენი არც შესვლა გამოვიდა, არც გამოსვლაო.

კაცს გუდურა შეშა მოჰქონდა, გაუქირდა და სიკვდილი ინატრა, გამოჩნდა სიკვდილი: რა გინდაო? — ე შეშის შემოდება მიშველეო.

აშკარაა, არც ერთი ამ ფრაზათაგანი არაა ანდაზა, ყველა ნაკვეთია ან იგავი. როგორც აღვნიშნავდით, იგავში თხრობაა, ანდაზაში თხრო-ბითი ელემენტი ძალზე შეკუმშულია, მინიმუმამდეა დაყვანილი; იქ ერთი რომელიმე ფაქტია დასახელებული, ერთი რომელიმე ამბის შე-სახებ არის სხარტად ნათქვამი და არა მონათხრობი, ნაამბობი.

ზოგჯერ გვაქვს ერთი და იგივე აზრის შემცველი ანდაზა და იგა-ვი, თუ იგავისებური გამონათქვამი.

ეს უკანასკნელი შეგვაქვს იგავებში და ვუთითებთ სათანადო ან-დაზაზე, ასევე ანდაზასთან ვუთითებთ იგავზე.

VI. ანდაზების კრებულებში შეაქვთ ხ ა ლ ხ ი ს ც რ უ რ წ მ ე ნ ა ზ ე და მ ყ ა რ ე ბ უ ლ ი გ ა მ ო ნ ა თ ქ ე ა მ ე ბ ი, ა და თ-ჩ ე ვ ე ე ბ ი ს გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი თ ქ მ ე ბ ი. ამ რიგის მასალა თუმც ცო-ტაა, მაგრამ განსხვავებულია ყველა სხვა ჯგუფის მასალისაგან.

ორშაბათს თავის დამბანი სამოთხის კარს ვერ იხილავს.

ვინცა ჭამა ქათმის გული, ვერ მოიგო კაცის გული.

ფთილა თუ ტარზე დარჩა, ქმარი ჯარში დარჩებაო და სხვ.

VII. ყველა სხვა სახის გამონათქვამთაგან განსხვავდება დალოც-ვისა და დაწყევლის ფორმულები, გამოცანების ყაიდაზე აგებული ფრაზები, გამონათქვამები ზღაპრებიდან, საბავშვო თამაშობებიდან და სხვ. ასეთი ფრაზები ანდაზებში შეუტანიათ.

ჩვენ ისინიც ცალკე ჯგუფად გამოვყავით:

ეს ძველი და სხვა ახალი!

იხარე ჭერო, მოკვდი მტერო!

ჯალაბიმც დაგითავწვერავედება!

დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში ლალად იყო.

იწილო-ბიწილო, ღობეს ჭვრიტილო და სხვ.

VIII. ანდაზების კრებულებში გვხვდება ხ ა ლ ხ უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი ს ც ა ლ კ ე უ ლ ი ტ ა ე პ ე ბ ი და მ თ ე ლ ი ს ტ რ ო ფ ე ბ ი ც.

ასევე ხშირად შევხვდებით ლიტერატურულ ლექსებსა და გამონათქვამებს.

ამ მასალას თავი მოვუყარეთ ერთ ცალკე ჯგუფში. შეძლებისდაგვარად მივუთითეთ რომელი ლექსი თუ გამონათქვამი არის ხალხური და რომელი ეკუთვნის ამა თუ იმ ავტორს. ამ ლექსების ასე ერთად გადათვალთვალება წარმოდგენას შეგვიქმნის ახდაზების ერთ-ერთ ისეთ მძლავრ წყაროზე, როგორცაა ხალხური თუ ლიტერატურული ლექსები.

ხალხური ლექსის სტრიქონი ხშირად ანდაზისა თუ აფორიზმის ადგილს იჭერს — საუბარში მას იყენებენ, როგორც ანდაზას ან აფორიზმს.

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლექები მგლისანი.

ვაჭკაცსა გული რკინისა, აბჯარნი თუნდა ხისანი.

გულს ჯავრი — ღორღი ყანასა არადროს არ დაეღევა.

სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიძსა ქვაზედა...

შესაძლოა, ზოგი ასეთი ფრაზა ოდესღაც ანდაზა იყო და შემდეგ შევიდა ლექსში (ასეთი შემთხვევები ხშირია). მაგრამ, შესაძლოა პირუკუ პროცესსაც ჰქონოდა ადგილი.

ასეთ ეჭვს აჩენს ამ ლექსების პარალელურად არსებული ანდაზური ვარიანტი, მაგ.:

კაცს თუ გულად რკინა უძე, აბჯარი თუნდა ხის იყოსო.

გულს დარდი არ დაეღევა და მამულს — ღორღო.

სიმართლის ნერგი სიძედაც გაიხარებსო და სხვ.

ძნელია იმის თქმა, პირვანდელია თუ არა ეს ფრაზები, არიან ისინი ხალხური ლექსის გაანდაზებული სახეობანი, თუ ამ ლექსების ანდაზური წყარო.

ყოველ შემთხვევაში, დღეს-დღეობით ეს არის ანდაზებთან მჭიდროდ დაკავშირებული მასალა. ბევრ მათგანს შეიძლება ილიასეული ტერმინი „საანდაზო ლექსები“ მივუყენოთ. მაგრამ მაინც ესენი ლექსებია და არა ანდაზები.

წინამდებარე კრებულში მასალა გაწყობილია ანდაზის პირველი სიტყვის ანბანის რიგზე.

არსებობს ანდაზების კრებულის შედგენის სხვა პრინციპიც, კერძოდ, ანდაზების დალაგება შინაარსის, თემატიკის მიხედვით. ამ პრინციპს აქვს თავისი დადებითი მხარეები, მაგრამ მის გამოყენებას დღეს-დღეობით ახლავს სირთულეებიც.

ანდაზის შინაარსობრივად დასალაგებლად აუცილებელია ხალასი

ანდაზების გამოყოფა სხვა თქმებისაგან. ამდენად ამ საქმესაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს წინამდებარე კრებული.

რა თქმა უნდა, არ მიგვაჩნია, რომ აქ წარმოდგენილი კლასიფიკაცია საბოლოოა, რომ ჩვენ მიერ გამოყოფილი ყველა ჯგუფი აბსოლუტური სიზუსტით არის შედგენილი, რომ არ შეიძლებოდეს ერთ ჯგუფში შეტანილი ფრაზა მეორეში მოხვედრილიყო. თუმც ვცდილობდით, რომ ყველა ფრაზას მართებულად დაეჭირა თავისი ადგილი. მაგრამ შეცდომებისაგან დაზღვეული, ცხადია, ვერ ვიქნებით, რადგანაც ამ ფრაზების ბუნება ისეთია, რომ ზოგი მათგანი ერთ შემთხვევაში ანდაზად შეიძლება წარმოგვიდგეს, მეორე შემთხვევაში — გამონათქვამად.

საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი სიტყვის მასალის რაობა. მისი მიმართება ანდაზასთან, ერთი მხრივ, და ფრაზეოლოგიასთან, მეორე მხრივ, უნდა იქნეს შესწავლილი ნაკვესების, იგავების, აფორიზმების... ურთიერთობანი, გაივლოს მკვეთრი ზღვარი მათ შორის. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გვქონდეს უნაკლო კლასიფიკაცია ამ სიტყვა-თქმებისა.

თუ პრინციპში ჩვენ მიერ მოცემული კლასიფიკაცია სწორია, ზოგი უზუსტობანი შემდგომ მუშაობაში შეიძლება დაზუსტდეს და უფრო დაიხვეწოს ეს დიდძალი საინტერესო მასალა.

ლია ლეჟავა.

* * *

მახვილსიტყვაობაში ვგულისხმობთ მცირე ფორმის სატირულ-იუმორისტული ტიპის ხალხურ ნოველებსა და ნაკვესებს (ანეკდოტებს). სატირისა და იუმორის ეს ფორმები ადრევე იყო გავრცელებული და დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მახვილსიტყვაობაზე დამყარებული ხალხური ნოველა რამდენიმე მოტივს შეიცავს და უმთავრესად ნაკვესისებური შეგონებით მთავრდება.

ნაკვესებში უადრესად ლაკონიური ფორმით არის მხილებული ცხოვრებისეული მანკიერი მოვლენები, სიბრყვე და სხვ. მახვილგონიერი ნაკვესის თხრობა უეცარ გაელვებას ჰგავს.

მახვილსიტყვაობის ნიმუშებში უმალ პოულობდა გამოხატულებას კლასობრივი და სოციალური მოტივები, სასახლეში გამეფებული ზნეობრივი სიმდაბლე, მტრობა და შური. იუმორისტი მთქმელი, სასახ-

ლის ხუმარა თუ სხვა, სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას, დაუზოგავად ამხელდა მეფის რაიმე დაუფიქრებელ მოქმედებას, ამათრახებდა კარისკაცთა შურიანობას, ერთმანეთის მიმართ მტრობას, სულმდაბლობას.

ამასთან ერთად, მახვილსიტყვაობის ნიმუშებში დაგმობილია ადამიანების ზოგიერთი ჩამორჩენილი და მიუღებელი ჩვევები. ამგვარი ჩვევების მხილება და მის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ ძირითად მოტივად გვევლინება ქართულ ხალხურ მახვილსიტყვაობაში. მახვილსიტყვაობის ოსტატი გმობს, დასცინის ერთს და ამით აფრთხილებს მეორეს. მაგალითად, ზარმაცებზე, ბრიყვ და მუქთახორა ადამიანებზე შექმნილი სატირულ-იუმორისტული ნიმუშების მიზანია აჩვენოს, რომ შრომის გარეშე არ არსებობს ნამდვილი ბედნიერება, რომ შრომა ქმნის ყველაფერ დიადსა და ლამაზს ამქვეყნად.

წერილობით წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, ჩვენ ვიცნობთ მახვილსიტყვაობის მრავალი ოსტატის სახელს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი რეპერტუარის ჩაწერა მხოლოდ მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო. ადრინდელი ხალხური მახვილსიტყვაობის ნიმუშები აღნუსხული არ ყოფილა.

სატირულ-იუმორისტული ნიმუშების პირველი კრებული შეადგინა გრიგოლ ბაგრატიონმა 1819—1825 წლებში. გრ. ბაგრატიონი კრებულის შესავალში აღნიშნავს: „...ვეცადე, რომ შემეკრიბა ძველთაგან თქმული მუნასიბნი, ანუ... ოხუნჯობანიო“. — კრებულში შეტანილია მახვილსიტყვაობის 20 ნიმუში, რომელთა უმეტესი ნაწილი მიეწერება სასახლის ხუმარებს თარხანსა და ჭაბუა ორბელიანს, აგრეთვე თევდორე ხორგუაშვილსა და ოთარიკას. 1876 წელს ზ. ჭიჭინაძემ თარხანის მახვილსიტყვაობის ნიმუშები უფრო ვრცლად, გადამუშავებული სახით გამოაქვეყნა შემდეგი სათაურით: „ბენია, ქართველთა მეფეების ხუმარა“.

ხალხური მახვილსიტყვაობის ნიმუშები დროგამოშვებით იბეჭდებოდა „ცისკარში“, „დროებაში“, „საქართველოს კალენდარში“, „ივერიაში“, „თეატრში“, აკაკის „თვიურ კრებულში“ და სხვ. რამდენჯერმე გამოიცა ვ. ვაზარიანის მიერ შედგენილი ანეკდოტები. 1893 წელს გამოვიდა ალ. მირაქიშვილის მიერ თურქულიდან ნათარგმნი „მოლა ნასრედინის მოსწრებული სიტყვები“. 1921 წელს პ. ლეჟავამ „სევდიანის“ ფსევდონიმით გამოსცა „სერგია ერისთავის ოხუნჯობანი“. 1941 წელს გამოქვეყნდა ა. ჭელიძის მიერ სპარსულიდან ნათარგმნი „მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი“. 1948 წელს გამოვიდა ქართველი იუმორისტის ი. ხინველის წიგნი — „ლევარსი როხროხაძე“.

იუმორისტი ხალხური მთქმელი ლევარსი გოგოლაიშვილი (ი. ხინველის მიხედვით — როხროხაძე) ცხოვრობდა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში. მას ზრავალფეროვანი რეპერტუარი ჰქონდა, იგი „ცოცხალი“ ტყუილის საუკეთესო მთქმელად ითვლებოდა. ამგვარ მთქმელთა ტიპები ხალხურ შემოქმედებაში თითო-ოროლა გვხვდება, ამაღნად, ლევარსი გოგოლაიშვილი (როხროხაძე) მეტად საინტერესოა. ი. ხინველმა როხროხაძეს მიაწერა ადრე ვავრცელებული ხალხური ნაკვესებიც.

ამგვარად, მახვილსიტყვაობის ნიმუშების ერთი ნაწილი დაკავშირებულია რომელიმე გამოჩენილი მთქმელის სახელთან (ბენია. ჭაბუა ორბელიანი, ხორგუაშვილი, სერგია ერისთავი, ლევარსი გოგოლაიშვილი და სხვა). მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს მახვილსიტყვაობის ისეთი ნიმუშები, რომლებიც საერთო სახალხო კუთვნილებაა. რა თქმა უნდა, თავიდანვე ამგვარ ნიმუშებსაც ავტორები გააჩნდათ, მაგრამ შემდეგში ისინი გაუჩინარდნენ. ნაკვესი თუ მცირე ფორმის იუმორისტული ნოველა თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა, იცვლიდა ადრესატებს და იხვეწებოდა.

სოციალური და კლასობრივი თემატიკის ამსახველი მახვილსიტყვაობის ნიმუშები გადმოცემულია მცირე ფორმის ნოველებისა და ნაკვესების სახით. ჩვეულებრივი ხალხური ნოველებისაგან განსხვავებით, თავისებურია მათი სიუჟეტის გაშლისა და განსაკუთრებით გმირის გამოყვანის ხერხი.

აკ. წერეთელი თავის „კრებულში“ განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა საყოფაცხოვრებო თემაზე შექმნილ მახვილსიტყვაობის ნიმუშებს. აქ დაიბეჭდა „ანგელოზი ცოლი“, „ახირებული სიცილი“, „საიქიოს დაჯილდოებული“ და სხვ.

ცალკეული კუთხისა და სოფლის შესახებ შექმნილი მრავალრიცხოვანი ნაკვესი და ნოველა გამსჭვალულია მსუბუქი იუმორით, ასეთი იუმორი არასოდეს არ გადადის სატირასა და სარკაზმში.

ისტორიულ თემატიკასთან დაკავშირებული მახვილსიტყვაობის ნიმუშები თავს იყრის გარკვეული პიროვნების გარშემო. ჩვენამდე მოღწეულია ერეკლე მეორესთან დაკავშირებული მახვილსიტყვაობის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნიმუშები.

ამ ტომში შეტანილი მახვილსიტყვაობის ნიმუშები ამოკრებილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდიდან, ადრე გამოცემული კრებულებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან.

წარმოდგენილი მასალა ძირითადად კუთხურ კილოზე იყო ჩაწერილი. ასეთი ტექსტები გავმართეთ თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით. უცვლელად დატოვებულია ისეთი კუთხური გამოთქმები, რომლებიც იუმორისტული თვალსაზრისით იყო გამოყენებული.

ა ა ლ ო ნ ე ტ ა ნ ა ვ ა

* * *

გ ა მ ო ც ა ნ ა ფოლკლორის მცირე ფორმის ქანრებს შორის ყველაზე გამოკვეთილი ქახრია. თუ ანდაზის, აფორიზმის ან სიტყვის მასალის ერთმანეთისაგან გამოყოფა ხშირად დავას იწვევს. გამოცანის მიმართ არავითარ გაუგებრობას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი: გამოცანის ფარგლები სავსებით ნათელი და ყველასათვის აშკარაა.

გამოცანის ასეთი მკვეთრი სპეციფიკურობა გახშირობებულია როგორც თემატიკით, ასევე მეტად თავისებური გამომსახველობითი ხერხებით. გამოცანა წარმოდგენს მეტაფორების, მეტონიმიების, პოეტური პარადოქსებისა და ტროპის უამრავ სახეობათა ისეთ მდიდარ არსენალს, რომლის მსგავსი არ იცის სხვა, არა მარტო მცირე. არამედ გაცილებით უფრო დიდი მოცულობის ქანრებმაც კი.

წარმოშობით გამოცანა ფოლკლორის ერთ-ერთი უძველესი ქანრია და იგი ძალზედ პოპულარული ყოფილა უძველეს დროსაც. ამიტომ, რომ გამოცანის ნიმუშები ფიქსირებულია ისეთ ადრინდელ წერილობით ძეგლებში, როგორცაა: რიგვედა (შეიქმნა დაახლოებით 2000 წლის წინათ ჩვენს წ-მდე), ახიკარის დარიგებები, ბიბლია, თალმუდი და სხვა. გამოცანას ძველად არა მარტო გართობითი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, არამედ, უმთავრესად, მას იყენებდნენ როგორც ადამიანის სიბრძნის, გონებამახვილობის შემოწმების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას.


თემატურად გამოცანა უმდიდრესია. გამოცანის თემას შეიძლება წარმოდგენდეს ყველაფერი, რაც ადამიანის ირგვლივ არსებობს. მხოლოდ, აღსანიშნავია ერთი საყურადღებო გარემოება: გამოცანის თემად აღებულია კონკრეტული საგანი და არა საგანთა გვარი. ხარი — და არა შინაური ცხოველები, სკამი — და არა ავეჯი და ა. შ. გამოცანის პერსონაჟებად შეიძლება მოგვევლინოს არა მარტო, ვთქვათ, კოდალა ან ნემსი, არამედ კოდალას ნისკარტიცა და ნემსის ყუნწიც! უნდა ითქვას, რომ „მოქმედ პირთა“

შერჩევის დროს ასეთ თავმდაბლობას არც ერთი სხვა ფოლკლორული ჟანრი არ იჩენს. საერთოდ, თემად უაღრესად კონკრეტული საგნების შერჩევა გამოცანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.

გამოცანის სადა და მოქნილი გამომსახველობითი ხერხები საშუალებას იძლევა დაუყოვნებლივ იქნას ასახული ყოველი ახალი მოვლენა, ახალი საგანი. ამიტომ, რომ გამოცანებში მაშინვე ფართო ასახვა ჰპოვა ტექნიკის ისეთმა სიახლეებმა, როგორცაა: რადიო, ტელევიზორი, ტელეგრაფი, თვითმფრინავი და სხვა. ამ მხრივ, გამოცანას დიდი უპირატესობა აქვს სხვა ჟანრებთან შედარებით: თუ ზოგიერთ ფოლკლორულ ჟანრს ახალმა ეპოქამ საგრძნობლად შეუმცირა მასალა, გამოცანას პირიქით — ახალმა დრომ ახალი თემები, ახალი საგნები, ახალი მოვლენები შემატა. შესაძლოა ეს გარემოებაც იყოს იმის მიზეზი, რომ დღეს არც ერთ ფოლკლორულ ჟანრს ისე არ ეტანება მოზარდი თაობა, როგორც გამოცანას. ისიც საგულისხმოა, რომ ნორჩი მთქმელები მხოლოდ მამა-პაპათა რეპერტუარს კი არ იმეორებენ, არამედ, ხშირად, თვითონ თხზავენ და თვითონვე ავრცელებენ.

ტომში წარმოდგენილი გამოცანები, ძირითადად, მოზარდი თაობისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ ჩვენ მოვერიდეთ ისეთი გამოცანის დაბეჭდვას, რომელიც დამძიმებული იქნებოდა დიალექტებით. ეს გამოცანები ამოკრებილია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში დაცული ქართული გამოცანების მდიდარი კოლექციიდან, რომელიც კლასიფიცირებული და რედაქტირებულია პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის მიერ.

ჯონ დოუ ბარდაველიძე



ე

ააფრინე ალალიო, რაც არ არი — არ არიო. 1

აბაზის დამწუნებელსა ორი აბაზი მაინც უნდა გქონდესო. 2
ვისაც ერთი აბაზი არ მოსწონს, ორი აბაზი იშოვოსო. *

— აბდალავ, თოვლი მოდისო, და — აკი ვდგავარ და ვძიგძიგებო! 3.

აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო. 4
შდრ.: № № 642, 5454

აგორებული ქვა მსუბუქიაო. 5

ქვა რომ აგორდება, ასუბუქდებაო.

ქვა თავის ადგილას მძიმეა, დაიძვრის და გამსუბუქდებაო.

ქვა რაკი ადგილიდან დაიძვრება, ბუმბულზე უფრო დამსუბუქდებაო.

აგრე არ უნდა, თაყაო, შენ რომ მამული გაყავო. 6

აგურის ნატეხი იძახდა: ლალთან დამღვეით, აქაო-და მეც წითელი ვარო. 7

აგურის ნატეხი ლალს შეუდარეს, — აქაო-და წითელიაო.

შდრ.: № 3020

აგურს რეცხდნენ და უარესი წვენი გასდიოდაო. 8

* ძირითადი ანდაზები დანომრილია, ვარიანტები იბეჭდება შეწყვეით.

აღათია და წესია, ფეტვი ნახნავში თესია. 9

ჩვენში ასეთი წესია, ფეტვი ალაგზე თესია.

ადამიანის პანლური ვირის წიხლზე უარესიაო. 10

შდრ.: № № 832, 1732

— ადგილი ვისია და — ვინც მოხნა და დასახლდაო. 11

— ალაგო, ვისი ხარ და — ვინც ზედ მადგასო!

ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო. 12

ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარიო. 13

შდრ.: № № 14, 15, 4864

ადრე ამდგომი შორს წავაო. 14

შდრ.: № № 13, 15, 4864.

ადრე ამდგომი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარა — თვალებს
იფშენეტსო. 15

შდრ.: № 17

ადრე ამდგომს უხაროდეს, გვიან მოხადილესაო. 16

გვიან მოხადილე და ადრე ამდგარი მოგებულაო.

ადრე ამდგომსა ყმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსა. 17

ვინც დილას ადრე ადგება, საშოვარს შეხვდებაო.

შდრ.: № № 15, 14

ადუღებულ ქვებს რომ კიდევ შეუკეთო, გაღმოვაო. 18

ავ დროში ცოლი შეირთე, კარგ დროში გამოგადგებაო. 19

ავ კაცს ქრთამით მოშორდიო. 20

ავ მეზობელს და ავ ძალღს კარგით მოშორდიო.

ავ მეზობელს მეზობლის წიწილა ბატი ეგონაო. 21

ავ მეზობელს ცეცხლიც საციქველი ეგონაო. 22

კუღ მეზობელს ცეცხლი სიმდიდრე და ქონება ჰგონია და არ
მოგცემსო.

ავ მოვალეს ნაცარი გამოართვი და თვალეში შეაყარეო. 23

ავ მოვალეს ნაცრით გაეყარეო.

შდრ.: № 50

ავ მორბედსაო შორიდან მობრუნება ურჩევნიაო. 24

- ავადმყოფი რომ მორჩება, ექიმი შეძულდებაო. 25
- ავადმყოფის წამალი ექიმმა იცისო. 26
ავადმყოფს ექიმი მოარჩენსო.
შღრ.: № 3241
- ავადმყოფმა ქიშმიშს ცხრაჯერ უნდა უკბიჩოსო. 27
- ავადმყოფობას რამდენი დაუწვები, იმდენი დაგაწვებაო. 28
ავადობას თუ დაუწეკი, დაგაწვებაო.
შღრ.: № 1979
- ავალიანის სუფრაზე ასათიანი ცეკვავდაო. 29
- ავთა მამათი ნაქნარი შვილობილს მოეკითხებაო. 30
რაც მამას ჭირა სჭირდეს, შვილსაც იმისი ეშინოდესო.
მამამ ცოდვა ქნა, შვილმა ზლოო.
შღრ.: № № 3010, 5075
- ავი არ მაკადრიანო, კარგი არ მაღირსიანო. 31
კარგი არ გვაბადიანო და ავს არ გვაკადრიანო.
- ავი დასაქერი ცხენი ავ დამჭერს მოძებნისო. 32
- ავი დიაცი ჯამ-ჭურჭელსაც წვრთნას დაუწყებსო. 33
- ავი კაცი აქე და ერიდეო. 34
აქე და ერიდეო.
- ავი კაცი აღდგომასაც ავიაო. 35
ავი სულიერი ყველგან ავიაო.
ავი მუშა კვირაძალზედაც ავიაო.
- ავი კაცის ლუკმას ძაღლიც არ შეჭამსო. 36
ზოგი კაცისას ძაღლიც არას შეჭამსო.
- ავი მყარი ლხინსაც მოსცდა და ძილსაცაო. 37
ავი სტუმარი ჭირსაც მოსცდა და ლხინსაცაო.
შღრ.: № № 1117, 4236, 4774
- ავი მეზობლის მოშორება თუ გინდა, რამე ასესხეო. 38
- ავი მეზობლის ჭირიმე, კარგი რაღა იქნებაო! 39
ავი მეზობლის ჭირიმე, ვიცი, გამომადგებაო.

ავი მეზობლისაგან ცეცხლიც ნუ გინდაო. 40
ავი მეზობლისას ცეცხლსაც ნუ ინდომებო.

ავი მუშა კვირაძალსაო. 41
ვინც საქმთ არა, უქმთაო.
ზარმაცი უქმე დღეს გამუშაკდებაო.
მცონარა უქმის ძალზე გახელდებაო.
ზარმაცი მწყემსი და მუშა უქმსა და უღარობასაო.
შდრ.: № 901

ავი სიტყვა მის მთქმელსაო. 42
ავი თქვი, ავიც გაიგონეო.
კარგი თქვი, კარგი გაიგონეო.

ავი შემნახავი ქურდზე უარესიაო. 43
ავი შემნახავი ქურდის ამხანაგიაო.
ქურდი და ავი შემნახავი ამხანაგები არიანო.

ავი შვილი მამასაო გზაზე უზამს აღაპსაო. 44

ავი ძალლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო. 45

ავი ძალლი ზურით თივასა ჭამდა და გემოს ვერ აყოლებდაო. 46

ავია თუ კარგიაო, ქალო, შენი ქმარიაო. 47

ავისა კარგიც ნუ გინდაო. 48
ნურც- გინდა ავის კარგი, ნურცა მისი სარგებელიო.
გლაზისა კარგი ნუ გინდა, ნურც მისი გამოსარჩენიო.

ავმა მეზობელმა საციქელის პატრონი გამხადაო. 49

ავმა მოვალემ რაც მოგცეს, გამოართვიო. 50
გლაზა მოვალისაგან ნიორის ნაქურჩალიც კარგიაო.
გლაზა მოვალეს ქვა და ნაცარი რომ აართვა, ისიც კარგიაო.
ავ მოვალეს შავი ნახშირიც აართვიო.
შდრ.: № 23

ავმა მოციქულმა მოდავენი პირისპირ შეჰყარაო. 51

ავმა რა ქნა ავის მეტიო. 52

ავმა სახლმა ავი გამომიყვანა და კარგმა — კარგიაო. 53
ავმა სახლმა, ავმა კარმა ავად გამაღედაკაცა, კარგმა სახლმა,
კარგმა კარმა კარვად გამაღედაკაცა.

კარგმა სახლმა, კარგმა კაცმა ავი კარგად მაქციაო.

• ავიფურთხე — უღვაშს მოხვდა, დავიფურთხე — წვერებსაო. 54
აღმ ავღუქნებ — თავს დამეცემა, ჩაღმ ჩავღუქნებ — ფეხთავ.
შღრ.: № 55

ავინედავ — ცას შევხედავ, დავინედავ — მიწასაო. 55
მაღლა შევხტები — ცა დამხვდება, ძირს დავხტები — დედამიწა.
შღრ.: № 54

ავო ძაღლო, ნურცა მყეფ და ნურცა მხედავო. 56

ავჭალაში ქორწილია, მცხეთაში დოღს უკრავენო. 57
მცხეთას ქორწილია, მაყრები ავჭალას გარბიანო.
შღრ.: № 4239

აზამბურელი თათარი გოჭის თავს მედავებოდაო. 58

აზამბურელი თათარი ჩემს საცაღოს თავის ტომარას უწოდებ-
დაო. 59

თათარი ჩემ ტომარას თავის ჯვაღოს ეძახდაო.

გადაღმელი თათარი ჩემს ხურჩინს „მანიმ ჩვაღოს“ ეძახდაო.

აზნაურები სჩადისო, ჩვენი აღარა გაღისო. 60

აზნაური მჭადს არა ჭამს, მოშივდება — ჭირსაც მომჭამსო! 61
— ბატონო, მჭადს არა ჭამო? — დრო ჭამსო.

აზნაურისა ბზე არის კარგი, გღეხკაცისა — პურიო. 62

აზნაურის მოკითხული სუფრაზე არ დაიდებაო. 63

აზნაურის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო. 64

აზნაურიშიღიღმა რომ რამე გაჩუქოს, მაშინვე გამოართვიო. 65
შღრ.: № 607

ათასი გიჟი გარბოდა, ყვეღას თავისი ერჩივნაო. 66

ათჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო. 67

ათჯერ მოზმანე, ერთხელ მოთხარეო.

გძღად მოზომე და მოკღედ მოჭერიო.

შიღიდჯერ თვალი გადაავღე, ერთხელ ხმაღი გადაავღეო.

შღრ.: № 794

„აიარემ“ გაყიღა, „ჩაიარემ“ იყიღაო. 68

აკიდებულ აქლემს საცერი დაადევს და ჩაიზნიქაო. 69
აქლემს საცერი დაადევს და მეტი მოუვიდაო.
აქლემს საცერი დაადევს — დაწვაო, ააცალეს — ადგაო.
აქლემს ნემს დაადვიან — დაწვის, აიღიან — ადგის.

აკიდებულსა ვირსაო ყველანი წაჰკვრენ წიხლსაო. 70

აკრძალული ხილი გემრიელიაო. 71

ალალი მეწველი ძროხა არ გასუქდაო. 72

ალატი რომ არ ვარგოდეს, წისქვილმა რა ქნასო. 73

— ალექსი, ლეკები სად მიგიდისო? — მე კი არ მიმიდის, მივყე-
ვარო! 74

ალვის ხე მალაღია, მაგრამ პატარა ცული ჰრისო. 75
ალვის ხე ცამდის ასული ჰინჰველას წაუქცევიაო.

ალია ფლავს არა ჰამს, ნახავს და გადაყლაპავსო. 76

ალია წავიდა, მუსია მოვიდაო. 77

ალია ხარშავდა, თალია ხარჯავდაო. 78
შდრ.: № № 475, 773

ალია ჯოჯოხეთში არ შევიდა, ძალათ შეავადესო. 79

ალიას დარდი ფლავიაო. 80

ალიას დარდი რა არისო და — ფლავიო.

ალიას ოსმანა სჯობია და ოსმანას — ყველა კაციო. 81

ალხანას ჩალხანა არ დაელევაო. 82

ალხანას ჩალხანაც უნდაო.

შდრ.: № 1010

ამ დილამ რაცა ჰქნასო, ხვალ დილამა სცნასო. 83

— ამაშუკელო, მეფობა ვინ მოგცაო? — იღო და ავიღეო. 84

ამინდმა ცხვარი გააძღო, მწყემსმა დაიკვებხო. 85

შდრ.: № № 540, 2921

ამირან გულში მღეროდა — ყმანო, ბანი მითხარითო! 86

ბატონმა გულში იმღერა და ყმები დახოცა — რატომ ბანი არ
მითხარითო.

მეფე გულში მღეროდა და ყმებს წყრომა მიაყენა — ბანი რათ-
არ მითხარიო.

ამოღებული ხმალი პურ-მარილმა ჩააგო. 87

ჭიქა ღვინომ ამოღებული ხმალი ჩააგო.

აღებულმა ჭიქამ ამოღებული ხმალი შეაჩერაო.

ტკბილმა ენამ, კარგმა სიტყვამ ხმალი უქანვე ჩააგო.

ამქარი ამქარს იცნობსო. 88

ამყოლს აპყევი, დამყოლს დაპყევი და წყალი ნაპირზე გაგაგდებ-
სო. 89

ამყოლს აპყევი, დამყოლს დაპყევიო!

მიმყოლს მიპყევი, მომყოლს მოპყევიო!

შღრ.: № № 4836. 4720

ან საციქველს უნდა სცე პატივი, ან მოსაციქვლესაო. 90

ანაბარი მგელმაც იცისო. 91

ამანათს მგელიც შეინახავსო.

მიბარებული მგელმაც შეინახა, დაბარებული მუნჯმაც შეას-
რულაო.

ანაბრის შენახვა მიწამაც იცისო.

ანაკლიაში ერთ კაცს შემწვარი თევზი მიჰქონდაო. 92

ანაღვლე ბრმას სანთლის სიძვირეო. 93

ანაღვლე ბრმას, ლამფაში ნავთი უდგა თუ არაო.

შღრ.: № № 94. 1377

ანაღვლე ბუღიას — ბზე ქარსა, პური ურიასაო! 94

ანაღვლე ბელელსაო, რომ ბზე ქარს მიაქვს და პური მევალესაო!

შღრ.: № № 93, 1377

ანგარიში მტრულიო და მეგობრობა ძმურიო. 95

ანდერძი კაცს არ მოკლავსო. 96

ზიარება კაცს არ მოკლავსო.

არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეზო ქვიშითა. 97

შღრ.: № № 812, 829, 859, 1079, 2704, 3261

არ დაიღვევა სახნისი, არ გამოვიდეს სადგისიო. 98

შღრ.: № № 148, 149, 153, 405, 929, 1351, 2002

- არ ვარტყამ — გარბისო, რომ დავარტყა — უფრო გაიქცევაო. 97
 ჯერ არ მიკრავს — გარბისო, რომ ვკრა, რას იზამსო.
 არა გცემ — გარბიხარ, რომ გცემო, მაშინ ცხრა მთას იქით გა-
 იქცევიო.
- არა გიშავს-რა, თუ არა გიჩანს-რაო. 100
- არა გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო. 101
- არა მჭირდა ჭირიო, ძალად ვიკარ ჩხირიო. 102
 თუ გინდოდეს ჭირიო, თვალში იკარ ჩხირიო.
- არა სცმია მამაშენსა, ნურც შენ დასცვეთ მარმაშებსა. 103
 შდრ.: № 1085
- არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო. 104
 არ უგვარობს მწყერსაო, არ შაჯდება ხესაო.
- არაკუნე კედელიო, დაარიგე რეგვენო. 105
 ელაპარაკე რეგვენსაო, ურახუნე კედელსაო.
 გეუბნები კედელო, გაიგონე რეგვენო.
- არამ რომ შენი არა ქნას, შენ არასი ქენიო. 106
- არამკითხე მიაძბეო, მიტყიპე და მიაგდეო. 107
- არას მომცემო და ყბასაც მომტეხო?! 108
- არაქელას ფარჩას არუთინა ხევდაო. 109
 არუთინას ფართალსა კარაპეტა ფხრეწდაო.
 არუთინას ფართალსაო ფართო-ფართოდ ხევენო.
- არაყი არ გვიდგას, თორემ დაგპატიებდლიო! — იქნება პური
 მშიაო! 110
- არაყს უთქვამს: მოჩქარისათვის ხელი მომაკიდებინეთ და მერე მე
 ვიციო. 111
- არზრუმს არ ვყოფილვარ, აზრით კი ვიციო. 112
 აზრუმს არ ვყოფილვარ, აზრუმი კი ვიციო.
- ✓ არმინდამ ცხრა ჯამი ღო შეჭამაო. 113
 არმინდამა არ ჭამაო, ცხრა ხინკალი შაჭამაო.
- არც დედავ, არც დედინაცვალო? 114
- არც ვიყავი რძალი ვარგი, არცა შემხვდა ქმარი კარგი. 115

- არც მარტმა დამაყარა კეთილი, არც აპრილმაო. 116
 არც მარტმა მარგო და არც აპრილმაო.
 რაც მარტმა მომიტანა, აპრილისგანაც იმას ველიო.
- არც მეგლი მშიერი, არც ბატკანს ზიანიო. 117
- არც მინდა შენი ხეშიო, ნურც არას შემომხვნიეშიო. 118
 არც არა მინდა შენიო, ნურც არას შემომხვნიეშიო.
- არც ნახირო, არც ძახილოო. 119
- არც შევქამ რძესა, არც გავრეკავ თხებსაო. 120
 არც ვქამ რძესაო, არც გავუწვები მზესაო.
- არც წინა ურემს ვაკრივარ და არც უკანასაო. 121
- არცოდნა არცოდვააო. 122
- არცრა შენ იყავ, ხონაო, არცრა მაყრები მოგყვაო. 123
- არწივს უთქვამს: გასათხოვარ ქალს გავიტაცებდი, სისწლში ბრწყა-
 ლები რომ არ დამიღებოდესო. 124
- ას თათარში ერთი ქართველი ვერა ვნახეო. 125
- ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო! 126
 ასე, ჩემო თანასეო, შენ ეგრე და მე ასეო!
- ასი დამკარ და ერთი სწორე მათქმევიწეო. 127
 ასი მკარ, ერთი მათქმევიწეო.
 ნეტავი ასი დამკრან და ერთი მართალი მათქმევიწონო!
 ასი დამკარ და ერთი სწორეო.
- ასი ერთად და ერთი ასადო. 128
 ასი ერთად ღირს, ზოგჯერ კი ერთი — ასადო.
 ერთისაივ ასივ, ასისაივ — ერთივ.
- ასი კაცის ნუ გეშინია და ერთი კაცის გეშინოდესო. 129
 ბევრი მოღის, იმათი არ მეშინია, ერთი მოღის — იმისი მეშინ-
 ნიაო.
 შღრ.: № 4808
- ასი კაცი ცხენს კაზმავდა: — ვაი უკაცობასაო! 130
 ასი კაცი ცხენს ჰკიდებდა: — ვაი, ერთო კაცოო!
 ცხრანი ვირს ეხვეოდნენ და — ვაი, ჩვენს უკაცურობასაო!

- ასი ნათლიდედასაო და ერთი სვინასაო. 131
- ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის თავისასა. 132
შეასმინე დავითასა, არ მოიშლის თავისასა.
- ასი წლის დედაბერი ლეკურს სწავლობდაო. 133
- ასი წლის დედალს ერთი წლის მამალი სჯობიაო. 134
- ასკილის გონჯა რომ იყოს, პირველა ცოლი სჯობიაო. 135
- ასლის პური ჯერ არ მიჭამია, მუცელსა მგვრემს, რომ შეეკვამო, რა-
ლას მიზამსო! 136
ჯერ არ მენახა ასლი, ვნახე და მაშინაც მუცელი ამატკივო!
შდრ.: № 1675
- ასმა კაცმა ასი ცხვარი შექამაო. 137
ასმა კაცმა ასი ცხვარი შექამა და ერთმა ერთი ცხვარიც ვერ
შექამაო.
- ასმა მიიწია, ასი დაეტიაო. 138
ასმა კაცმა ასი კაცი იტიაო.
- ასმა ცხვარმა ხეს შებღავლა და ხე გახმაო. 139
ცხვრის ფარამ ხეს შებღავლა და ძირიანად გაახმოო.
ფარამ რომ ხეს შებღავლოს, გახმებაო.
ბევრი შეძახილით ხე გახმაო.
ყოველდღე რომ ხეს შეძახო — გახმიო, გახმებაო.
- „ასწიე“ ღონესა ჰქვია, „დასწიე“ — უღონობასაო. 140
აიღე — ღონესა ჰკითხე, დახარჯე და — ქონებასაო.
„აიღე“ აჯასა ჰქვია, „მოიტანე“ — ქონებასაო.
- ატაბეს ორნი — ატაბეს ომიო. 141
ომალოს ორივ — ომალოს ომივ.
- აქ ფარდაგი მომე, საიქიოს ხალიჩას მოგცემო. 142
- აქაო-და რბილიაო, აბა, ყლაპე, ნინიაო! 143
აქაო-და რბილიაო, ყლაპავს ჩვენი ნინიაო.
- აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისესო. 144
აქლემები წაიკიდნენ, ვაი კოზაკის ბრალიო!
- აქლემი აბაზი ღირდა და აბაზიც არსად იყოო. 145
ბაღდადს ვირი კიტრად იყო, მაგრამ კიტრი არსად იყოო.

- აქლემი ახლოს ძოვს და შორსა ხედავსო. 146
- აქლემი დაბერდა და კოზაკობა დაიწყოო. 147
შდრ.: № № 811, 1974
- აქლემი ისე არ გახდება, რომ ცხენის ოდენი მაინც არ დადგესო. 148
შდრ.: № № 98, 149, 153, 405, 929, 1351, 2002
- აქლემი ისე არ დავარდება, რომ ვირის საპალნე ვეღარ აიკიდოსო. 149
შდრ.: № № 98, 148, 153, 405, 929, 1351, 2002
- აქლემი კლდეზე გადავარდა, ვირმა ყროყინი მორთო: — მე ამომატანინებენო. 150
ძროხა კლდეზე გადაიჩეხა, ვირმა ყვირილი მორთო.
ცხენი კლდეზე გადავარდა, ჯორმა ყროყინი შექმნა: ამისი საპალნეც მე დამაწვებაო!
შდრ.: № 4777
- აქლემი ორი შაურიო და — ძვირიაო! — აქლემი ათი თუმანიო და — გაიქეცი, დაუძახეო! 151
- აქლემის კუნტრუში აღმართში გამოჩნდებაო. 152
აქლემის შუშპარი ხილზე გამოჩნდებაო.
- აქლემის საპალნე ისე არ დაპატარავდება, რომ ვირის საპალნე აღარ გამოვიდესო. 153
შდრ.: № № 98, 148, 149, 405, 929, 1351, 2002
- აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო. 154
ნემსის ქურდობას აქლემის ქურდობა სჯობიაო.
- აქლემმა თქვა: თოთხმეტი კოზაკი გავზარდე, მაგრამ მე ჩემი საპალნე არ მომეშვაო. 155
- აქლემმა თქვა: თორმეტი კოზაკი გავზარდე, მაგრამ ტვირთი არცერთმა არ ჩამომხადაო.
- აქლემს მიულოცეს: კოზაკი გეყოლაო და — მე კი საპალნე არ მომშორდა და გინდ ორმოცი მეყოლოსო.
- ვირმა დაიჩივლა: თხუთმეტი მუტრუჟი გავზარდე, მაგრამ ზურგიდან კურტანი არ მომცილდაო.
- აქლემს არაბული ცხენი უჩვენეს, როგორიაო და — კუზი რომ ჰქონოდა, უკეთესი იქნებოდაო! 156

აქლემს ასი აზრი ჰქონდა, აქლემის პატრონს — ას ერთიო. 157

— აქლემს თათრულად რა ჰქვიაო? — არც ეგრე მსხვილად ვიციო,
— ნემსს რა ჰქვიაო? — არც ეგრე წვრილად ვიციო. 158

აქლემს უთქვამს: რომ არ დამაჩოქებდნენ, ქვეყანას ავიკიდებ-
დიო. 159

ვირს უთქვამს: კოჭების დამტვრევის რომ არ მეშინოდეს, მთელ-
ქვეყანას წამოვიკიდებდიო.

შდრ.: № № 1136, 2660

აქლემს უთხრეს:— კისერი მრუდი გაქვსო, და — სხვა რა მაქვს სწო-
რიო! 160

აქლემს ჰკითხეს: წელი რადა გაქვს მრუდო, — სწორი რადა.
მაქვსო!

აქლემს ჰოქოლა დააყარეს: ჰაი, შე კუზიანო! 161

აქლემს კუზიანობით ლანძღავდნენო.

აქლემს ჰედდნენ და კურდღელი გარბოდაო. 162

შდრ.: № 4778

აღდგომას მომტყუებელი მეტს იზამს ამალღებასაო. 163

აღმა ქარისაო, დაღმა წყალისაო. 164

წყალს ჰკითხეს: შენი გზა საით არისო — საითაც დაღმართიაო,
ქარსა — საითაც აღმართიაო.

აღმართი და დაღმართიო არც ერთია წაღმართიო. 165

ვირო, აღმართი, დაღმართი შენთვის არ არის წაღმართიო!

აღმართმა თქვა: ვაეყაცი მოვლალე და ბერიკაცმა მომღალაო. 166

შდრ.: № № 416, 1285, 2395

აღმართს დაღმართიც მოსდევსო. 167

დიდ აღმართს დიდი დაღმართი მოსდევსო.

ამდენ აღმართს თავდაღმართიც ექნებაო.

აშელის მაგიერ ბაშელს ყური მოაქრესო. 168

აშელის პირობაში ბაშელს რას ვერჩიო.

ენუქამ დააშავა და პავლიას წვერი მოპარესო.

შდრ.: № № 187, 1261, 1343

აშურშურე ფერხულს ება, დოდინ-დოდინ — ღობე ჳკრიტე. 169
აშურშურე ფერხისაში, აწრიკწრიკე — ღობე ჩხიტე.
უწმინდიკემ ღობე ჳკრიტა, უშურშურემ მინდორს ძგიდაო.
ფანდურიკე მოლი მტკიცე, უწმინდიკე ღობე ჳკრიტე.
იწილ-ბიწილ ღობეს ჳკრიტილ, შართხა-ბურთხა გელას მოდისო.
იწილ-ბიწილო ღობეს ჳკრიტილო.

შდრ.: № № 808, 4835

აჩელიას ყანა მქონდა, ბაჩელიას — ნალიაო. 170

შდრ.: № 4335

აჩქარებული წყალი ზღვაში არ გაერევაო. 171

აჩქარებული წყალი ზღვას გასცილებიაო.

აჩქარებულ წყალივ წყალს გააცდომიავ.

სიჩქარით წყალს წყალ არ გაურევავ.

აჩქარებულის დედა ტიროდა, დინჯისა — იცინოდაო. 172

აცე, ვირო, მე მკილია, შენ ხომ არაო. 173

შდრ.: № 4786

აცე, ვირო, ნუ მოკვდები, ალერდი მოვაო! 174

ვირო, გაზაფხულამდე ნუ მოკვდები და იონჯაც მოვაო!

ჰაცე ვირო, არტანელო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მო-
ვა და მოძოვეო!

ახალ კიტრს ძვირად ნუ იყიდი, მალე გაიაფდებაო. 175

ახალგაზრდობით მოგებული სიბერის ღროს ხმალიაო. 176

ყმაწვილობით მოგებული დაკეცილ ქამხად ითქოო.

სიჯიელით მოგებული სული დაკეცილი ქამხააო.

ახალი მძახლობა მელასაც უნატრიაო. 177

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ჳვიშასაო. 178

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ბოლოს კაწვრა იცისო.

შდრ. № 4272

ახალსოფელს ჳინძარაო გინდ ყოფილა, გინდ არაო. 179

საჳინძარში ჳინძარაო გინდა მდგარა, გინდ არაო.

ჳანჳი, ჳუნჳი ჳანჳარაო, გინდ ყოფილა, გინდ არაო.

მარტყოფული ჳონდარაო გინდ ყოფილა, გინდ არაო.

ახლისა ნამუდრაგალსა ბებრისა სჯობდა ჩანჩალიო. 180

ახლისა ნაჩანჩალევსა ბებრისა სჯობდა ნაჯღანიო.
ბებრისაჲ სჯობაჲ ნაჯღანი ახლისა ნაჯანჯალევსა.

ახლობელი სტუმარი შორეულ სტუმარს უყურობდაო. 181

ახლობელი კაცს წვივშემწვარი ჰგონიაო. 182

შდრ.: № № 379, 1419, 2492, 2493, 2494

ახლოს იყავ — არ გიყვარდი, შორით — შენი ჰირიმეო. 183

აქ რომ იყავ — არ გიყვარდი, წახველ — შენი ჰირიმეო.

ახლო იყავ — არა მნახე, შორით — შენი ჰირიმეო.

ახლო ვიყავ არა მნახე, შორით მითვლი სალამსაო.

ახლოს ნაკალმახევიო — ცოლ-შვილ ნალალატევიო. 184

ახლოსა ხარ — წვერებს მაგლეჯ, გამშორდები — რა იქნები. 185

ახტა ვირის პატრონსა საძილედ არა სცალიანო. 186

კუდა ხარის პატრონი საძილედ ვერ მოიცილისო.

აჯიეშვილის პირობაში აჯიეშვილი მოთხარესო. 187

შდრ.: № № 168, 1261, 1343

ბ

ბადრიჯანს რომ ფრთები ესხას, მერცხალი იქნებოდაო. 188

ბავშვი აკვანში იცნობაო. 189

ბავშვი არ დაბადებულყო, აბრამს არქმევდნენო. 190

ბავშვი დასაქმე და უკან გამოუდქიო. 191

გიჟი დასაქმე და შენც უკან მიჰყევიო.

ბავშვი მალლა აფწიე და თავში ჩამკრაო. 192

შდრ.: № 202

ბავშვი რომ გაძღება, მოშიება აღარ მოაგონდებაო. 193

ბავშვის მალალი ტირილი თითის გალოკვა თაფლად ღირსო. 194

ბავშვმა თუ არ იტირა, ძუძუს არ მოაწოვებენო. 195

სანამ ყმაწვილი არ იტირებს, დედა ძუძუს არ მიაწოდებსო.

ხბომ თუ არ დაიბლავლა, ძუძუსთან არ მიუშვებენო.

- ბავშვმა თუ არ შემოგტიროს, კვერს ნუ დაუკრავო. 196
 ბავშვმა თუ არ შემოგტიროს, ხელში ნუ აიყვანო.
- ბავშვმა ჩასველება იცოდა, წამალი უყვეს—ჩასვრაც ისწავლაო. 197
 შდრ.: № 1215
- ბავშვს ის არგებს, რაც დიდებსაც არ აწყენსო. 198
- ბავშვს კაკალს რომ მისცემ, გასატეხიც უნდა მისცეო. 199
 ბავშვს თუ კაკალს მისცემ, ქვაც მიაყოლე, რომ გატეხოსო.
- ბავშვს კვერს ნუ დაჰპირდები და ხატს სანთელს, თუ დაჰპირდე. ნუ-
 ღარც უმტყუნებო. 200
 ბავშვს კვერს ნუ დაჰპირდები და ხატს სანთელსაო..
- ბავშვს კოკორს რომ მისცემ, შენვე გამოგაცხოზინებსო. 201
- ბავშვს პირი მიეცი, თავზე წაგაჯდებო. 202
 ბავშვს რომ გაუცინებ, მუშტს გიჩვენებსო.
 შდრ.: № 192
- ბავშვს ჰკითხეს: რადა ტირიო და — გამიდის და იმიტომაო! 203
 ბავშვმა თქვა: გამივა და ვტირიო!
- ბალი წვერში გამწარდებო. 204
 კახამბალი კატარში გამწარდებო.
- ბალს ქერქი მაშინ გააძრე. როდესაც გაეცლებო. 205
 თელას ტყავი როცა შეეხდებოდეს, მაშინ შეხადეო.
- ბალლი ბალლობით ბალლებთან გაძლებს, ძალლი — ძალლებთანაო. 206
- ბალლის ტირილი სჯობია დედის ტირილსაო. 207
- ბაყი ბარდანასა ძევსო. 208
- ბარში რომ მამაჩემმა ტყავი ჩაიცვას, მთაში მე რა მარგოსო! 209
- ბარში რომ ჰკუთა დაიკარგება, მთაში მოძებნიანო. 210
 ბარში ჰკუთის დამკარგავი მთაში დაუწყებს ძებნასაო.
 შდრ.: № 4279
- „ბარაქალამ“ მაზარალა, „ოლოლომ“ ვერა მიყო-რაო. 211
 „ბარაქალამ“ თავშიცა მცა, „ოლოლომ“ ვერაფერი დამაკლოვო.
 შდრ.: № 2477

ბარეო და, როცა დაიღალე, სარეო! 212

ჯერ ბარეო და მერე მიწა ყარეო!

როცა დაიღალე, მიწა ჰყარეო!

შდრ.: № 568

ბატის პატრონს ქათამი არ დაეჭირებაო. 213

ბატის პატრონს ქათამზე უარი არ ეთქმისო.

შდრ.: № 1225

ბატკანი ერთი ბლაოდა, ძუძუ ყველას შიოდაო. 214

ბატონი გადაგიდგეს — სოფელს შეეხვეწეო, სოფელი გადაგიდგეს—
გადაიხვეწეო. 215

მეფე გაგიწყრეს — თემს შეეხვეწე, თემი გაგიწყრეს — გადა-
იხვეწე.

ერთი კაცი გემტეროს — სოფელს შეეხვეწეო, მთელი სოფელი
გემტეროს — მთას გადაიხვეწეო.

შდრ.: № 2014

ბატონი მწყალობს, მეძალღე მწყარალობსო. 216

შდრ.: № 231

ბატონი რომ ყმას უწყრება, იმედიო. 217

შდრ.: № № 223, 226

ბატონი ყმასა სწუნობდა, ყმა კიდევ — მასთან ყმობასაო. 218

ბატონი ცხენზე ვერ შეჯდა, მეჭინიბეს უწყრებოდაო. 219

ბატონის კაცს ნუ გალახავ, თუ გალახო — კარგად გალახეო. 220

ბატონის კაცს ხუ გალახავ, თუ ზელს შეახებ, ისე გალახე, რომ
სიკვდილის პირად მიდგესო.

შდრ.: № 1585

ბატონის ნახვა თუ გინდა, ჯერ კარისკაცი უნდა ნახოო. 221

ბატონის ნებაა, თუნდ აღმა იქმს ფეხებს, თუნდ დაღმაო. 222

შდრ.: № 4781

ბატონის რისხვა წყალობააო. 223

შდრ.: № № 217, 226

ბატონის საყვარელი გველი ყმისაგან უბეში ჩასმას მოეღისო. 224

გველი ვარ ბატონის საყვარელი, ყმისაგან უბეს ჩასმას მო-
ველიო.

- ბატონის სურვილი ყმისათვის ბრძანებააო. 225
- ბატონისა ჯავრობაო შენ გეგონოს ჯვარობაო. 226
შდრ.: № № 217, 223
- ბატონიშვილის შვილიო — ათი ბათმანი ტილიო. 227
- ბატონმა რომ გითხრას — კაცი მოკალიო, შენ ნალი და ქუდი მოამ-
ზადეო. 228
- ბატონმა რომ თქვას. მუხას ვაშლი აბიაო, შენ დაიჯერეო. 229
- ბატონმა ყმას უბრძანა, ყმამ — მოსამსახურესაო. 230
შდრ.: № 1212
- ბატონმა ცხენი გაუბოძა, მეჭინიბე წყრებოდაო. 231
შდრ.: № 216
- ბატონობას რა დიდი ჭირი უნდაო: სჯლოდე და სთქლოდეო. 232
- ბატონს ბატონურად მოეპყარ, ყმას — ყმურადო. 233
შდრ. № 1376
- ბატონს ზურგი სტკიოდა, ყაზახები ტიროდნენო. 234
- ბატონს მოახსენეს: სკივრი მოგპარესო და — გასაღები მე მაქვსო!
235
- ბატონს ყმა უნდოდა უსმელ-უჭმელი, ტანთჩაუცმელიო. 236
ბატონს ყმა უნდოდა უსმელი, უჭმელი, ტანთჩაუცმელი, შინ მი-
უსვლელო.
- ბაღდადს ვირი კიტრადა ღირს, ჯორი საგზლად მოუნდებოაო. 237
ბაღდადს ვირი კიტრად იყო, იქ მისვლა აქლემის ფასზედ ბევრი
ჯდებოდაო.
წყალგაღმა ხბო ორი გროში ღირს, გამოყვანა — მანეთიო.
ჯოჯოხეთში ხარი ორი კაპიკი ღირსო.
- ბაღლინჯოს თავისი სუნი არ აწუხებსო. 238
- ბაყაყი გუბეში, ვაშლი უბეშიო. 239
- ბაყაყი ხალიჩაზე დასვეს, ისკუპა და ისევ გუბეში ჩახტაო. 240
ბაყაყი აილიან, ხალიჩაზე დასვიან, იხტუნის, იხტუნის და ისევ
ლაფში გადავარდისო.
შდრ.: № № 478, 945, 2375, 2847, 4815

- ბაყაყი წყალს მიჰქონდა და — მაინც მინდოდა ჩოჩხათში ჩასვ-
ლაო. 241
შდრ.: № 1512
- ბაყაყს გადაჭიმული გზისა აბა რა ეცოდინებო. 242
— ბაჩაყაურო, გამარჯვება! — საგულდესა ვზელო! 243
- ბებერი მოგონებითა, ჯეელი მოლოდინითაო. 244
- ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო. 245
ბებერი ხარისა რქაც კი ხნავსო.
- ბებერი ხარის რქა საქცევში დაურქვიანო. 246
ბებერი ხარის რქა ნაფუძვარში დაარქვე, მოსახნავი არ დაგრ-
ჩებო.
- ბებერი ხარის ხედნას დაკვლა სჯობიაო. 247
- ბებერმა თქვა: მოვკვდებიო, ქალმა თქვა: გავთხოვდებიო. 248
ბებერი სიკვილილა, რძალი—გათხოვებასა, იყვენენ იძის ნებასაო.
- ბებერმა თქვა: ხარჯს ეწევით, ბარემ მეც დამაქორწინეთო. 249
- ბებერმა საკეტი სხვას მისცა, თითონ კარს მიაწვაო. 250
კელავე სხვათ მიეცივ და თავად კართ უკან დეეყუდევ.
- ბებერმა კვერცხი თავით დაიდო, — ეგებ აღდგომა მალე გამითენ-
დესო. 251
- ბებერმა ხარმა თქვა: რომ მოვკვდე, გამატყავეთ და ჩემი ტყავი ძრო-
ხას გადააფარეთო. 252
- ბებერს უთხრეს: ცხონდებიო და — სულო, შენ გიხაროდესო! 253
- ბებია პატარებს აკრავდა, პაპა დიდებს ყლაპავდაო. 254
ბებია იოსტატაო, თხელ-თხელს დაუწყო ცხობაო, ბაბუამ
იოსტატაო — ორ-ორს დაუწყო კამაო.
დედამ ცოტ-ცოტა აცხო და მამამ ბევრ-ბევრი ყლაპაო.
- ბებიავე, წირპლიან თვალში იმიტომ გაკოცებ, რომ დიდი კვერი და-
მიკრაო. 255
ბებიავე, იმიტომ გაკოცებ, რომ კვერი მიტეხოო.
- ბებუის გამოცხვარი კვერი თბილის ქალაქს შეხვდაო. 256
- ბებრის ქორწილში ქერის ლაფაშს ვინ დაიწუნებსო. 257

ქვივის ქორწილში ქერის პურს ვინა კითხულობსო.
ბეზიას რიგში წმინდის ლაშს ვინ იკითხავსო.

ვინ დასდევს ბებრის ქორწილში კუტსა და ქერის ლავაშსა-

ბებრის ხბო პატარააო. 258

ბედაურ ცხენს გაკრეკილ კვიცს არ შეუჯიბრებენო. 259

ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო. 260

ბედაურები გაწყდაო, ვირს მეიდანს დარჩათ.

შდრ.: № 949

ბედაურებს ქედდნენ და ბაყაყმაც ფეხი აიშვირაო. 261

ბაყაყმა ფეხი აიშვირა, — მეც ნალი დამაკარიოთო.

შდრ.: № № 823, 834, 1271

ბედაური ბოლოსაო. 262

კარგ ბედაურს გზა გამოაჩენსო.

შდრ.: № 307

ბედაურიდან ჩამოვხტი და ვირზე შევკეკეო. 263

ცხენიდან გადმომხტარი ვირზე არ უნდა ჯდებოდესო.

ცხენზე ვიკეკე და ვირზე შემსვესო.

ბედაურის მოგებულს ვირი შეკამსო. 264

ბედაურის ნაბამზე ბედაური დაიბმებაო. 265

ბედი მომეც და სანაგვეზე გადამაგდეო. 266

ბედი მომეც და ქვაზე დამსვიო.

ბედი მომეც და ნეხვთა დამფალო.

ბედი რომ მოდიოდეს — დაკეკე და უყურეო, რომ მიდიოდეს, მაში-
ნაც დაკეკე და უყურეო. 267

ბედმა თქვა: ვინც მომიხმარს, წელიწადში ერთხელ ყველას კარზე
შემოვჯდებიო. 268

ბედი სამჯერ მოგიკაკუნებს კარს, თუ არ გაუღებ, სხვაგან მი-
ვაო.

ბედნიერთა მონაგები, უბედურთა წანაგებიო. 269

ბედნიერმა მიწა მოხნა, დაფარცხა და დაკყვა წვიმაო. 270

შდრ.: № 272

ბედნიერს უთოვდეს, უბედურს უქროდესო. 271

ბედნიერს ფარცხვაში გაუავდარდება, უბედურს — კალოშიო. 272
შდრ.: № 270

ბედნიერს ცოლი მოუკვდება, უბედურს — ხარიო. 273

ბედლოვლათი ვაჟრის ხელში კარგი საქონელიც ფუჭიაო. 274

ბევრ საქამაღს დიდი მუცელი უნდაო. 275

ბევრი მგელი ნავნებს ვერა იქმსო. 276

ბერი მგელი მავნეობას ველარ გასწევსო.

ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანიო. 277

ბევრი უნახავს ნაბაღსა წვიმა და ავი დარია. 278

ბევრი უხდია ნაბაღსა ავი დარი და მზე ცხელიო.

ბევრი ტირილი მკვდარს ვერ გააცოცხლებსო. 279

ბევრი ცემით რკინაც დაიღვედებაო. 280

დიდი ცემით რკინაც ტყდებაო.

ბევრი ხალხისა ტალახიც კარგიაო. 281

ბევრი ხელი — ჯაფაშიო, ცოტა ხელი ჭამაშიო. 282

შდრ.: № 283

ბევრი ხელის ჭირიმე და ცოტა პირისაო. 283

ორივ ხელის ჭირიმე და ერთის პირისაო.

ჭირიმე ერთი თავისა და ასი ხელისაო.

შდრ.: № 282

ბევრი „ჰოი-ჰოი“ ხარსაც უკულმა წაიყვანსო. 284

ბევრი „ჰოი-ჰოი“ კამეჩსაც გააგიყვებსო.

ბევრი „ხიო“ ხარს გააგიყვებსო.

ბევრის მდომმა ცოტაც დაკარგაო. 285

ბევრის მომდებს ცოტაც დაეკარგებაო.

მეტის-მეტის მაძიებელი მოკვდა გაუხარებელი.

შდრ.: № 3044

✓ ბევრის მჭამელმა ცოტაც ველარ ჭამაო. 286

ვინც ბევრი ჭამა, მან ცოტაც ველარაო.

ბევრის მჭამელს ცოტას მჭამელმა აჯობაო.

- ბევრნაირად კრელ წინდას ერთი ფეხი ცვეთსო. 287
- ბელტი ტიროდა: წვიმა რომ მოვიდეს, ა იმ ქვას რა ეშველებათ. 288
- ბერი რას იზამს, თუ მოლოზანი არ შეცდაო. 289
- ბერი ცხენის კრელი უნაგირი ვის გაუტონიაო. 290
- ბერიკაცი რომ ჭიანჭურის დაკვრას ისწავლის, საიჭიოს გამოადგებაო. 291
- კაცი რომ სიბერეში ჩონგურს ისწავლის, საიჭიოს დაუკრავსო. ორმოცი წლის კაცი რომ ჩონგურის სწავლას დაიწყებს, საიჭიოს დაუკრავსო.
- ბერმა და მონაზონმა ჯოჯობეთი აავსოო. 292
- ბერო, არ გინდა ცხონება და ღმერთმაც ნუ გაცხონოსო. 293
- ბერო, არ გინდა ბერობა და ღმერთმაც ნუ მოგცესო.
- ბერო, გაუშვი ბერობა, სხვა დაიჭირე ხელობაო! 294
- ბერო, ერთი მადლი გქონდა, ისიც მოგედოო. 295
- ბერო, სული გირჩევენია, თუ ლამაზი ქალიო? — სააქაოს ქალი მიყვარს, საიჭიოს — სულიო! 296
- ბერო, სული გირჩევენია, თუ ლამაზი ქალებიო? — შენი სული შენთვის გქონდეს, მე — ლამაზი ქალებიო!
- ბერო, ცხონდიო! — როდის ბატონოო? და — რომ მოკვდები, მერეო. 297
- ბერო, ცხონდიო და — როდისაო?
- ბერს ბერობა შეშვენის და ერს — ერობაო. 298
- ბედელმა თქვა: უნდა წავიქცეო, ბაღჩამ უთხრა: როგორ წაიქცევი, გვერდში მე ამოგიდგებიო. 299
- ბედელს ერთი თაველი მორჩაო. 300
- ბელურას ზარბაზანს არ ესვრიანო. 301
- ბეჩავი გუდიდან კარგი საგზალი ამოდისო. 302
- ბზე თუ სხვისია, საბძელი ხომ შენიაო. 303
- ბიძავ, ცხენს წაგართმევო! — არა მგონია, შევილოო! 304
- ბნელში ფუტუროც ანათებსო. 305

- ბობოლს პარკისთვის აპატიებენო. 306
- ბოლო გამოაჩენს საქმესაო. 307
შდრ.: № 262
- ბოლო ხინკალს პატივი არა სძევსო. 308
შდრ.: № 311
- ბოლოკმა თქვა: მე და თაფლი ისეთი ტკბილი ვართ, რომ რაღაო! 309
- ბოლოს ნანი ჯავრის საქარვებელიაო. 310
შდრ.: № 1982
- ბოლოხინკლიან ქვაბს უტირია, — აღარ მომხედესო. 311
შდრ.: № 308
- ბოროტი შვილი დედასა არ მოაშორებს კვნესასა. 312
ბოროტი შვილის დედასა რა მოაშორებს სევდასა.
- ბოსელში ისე ვერ შეხვალ, ავი სუნი არ გეცესო. 313
- ბოშების მამასახლისი ბოშა იქნებაო. 314
- ბოძი რომ წაიქცევა, სახლ-კარიც დაიქცევაო. 315
- ბრაზიანი ძაღლი პატრონსაც ჰკბენსო. 316
- ბრალი ქოთნის მუცლისა, თორემ ძირს აბა რა უჭირსო. 317
- ბრიყვ სიძეს სიდედრ-სიმამრის ქონება თავისი ეგონაო. 318
ბრიყვმა სიძემ რაც ცოლეურსა ნახა, ყველაფერი სათავისო ეგო-
ნაო.
ბრიყვ სიმამრს სიძის ნაქონ-ნაყოლი თავისი ეგონაო.
- ბრიყვი კაცი იზრდებოდა და ვირდებოდაო. 319
- ბრიყვი კაცი ცხენზე შეჯდება — ღმერთი დაავიწყდება, ჩამოვა —
ცხენი დაავიწყდება. 320
ბრიყვი რომ ცხენზედ შეჯდება, ღმერთი დაავიწყდებაო.
- ბრიყვის პურს ჰკვიანი ჰამსო. 321
გიყის სარჩოს ჰკვიანი ხმარობდაო.
- ბრიყვის საგზალი უმაღ დაილევაო. 322
ბრიყვის საგძალი მაღე შეჰამიანო.
უხეირო მგზავრის საგძალნი უწინ შეჰამიანო.

ბრმა ადგა და კუტს დაწვაო. 323

ბრმა ადგა და კუტი ამოიღო ქვეშაო.

ბრმა ბრმაზე აკიდებული სათხოვნელად ვის უნახავსო. 324

ბრმა ბრმას ეკიდებოდა, ორივე სამარეში ვარდებოდაო. 325

ბრმა ვერ ხედავს, მაგრამ საზრავსო. 326

ბრმა თვალმა რომ ერთი ცვარი ცრემლი გადმოაგდოს, ტირილში ჩაეთვლებო. 327

ბრმა თვალმა რო ცრემლი გადმოაგდოს, ისიც კარგიაო.

ისეთ ბრმა თვალს საყვედური არ ეთქმის, რომელიც ერთ წვეთ-
ცრემლს ჩამოაგდებსო.

შდრ.: № 1266

ბრმა თვალხილულს ატყუებდაო. 328

ბრმა ლეკვიც კი დედისკენ მიიწევსო. 329

ბრმა რას ჩივის და — ორსავ თვალსაო. 330

ბრმას რა უნდა და — ორივე თვალიო.

ბრმავ, რას ჩივი და — ორთავ თვალის ჩინსაო.

ბრმა რას სტირის და — თავის უსინათლობასაო.

ვინ რასა ჩიოდა და ბრმა ორსავ თვალეზსაო.

ბრმა საქონელს ბრმა მუშტარი არ დაეღევაო. 331

ჰიან კაკალს ჰიანი მუშტარი გაუჩნდებო.

წილიან ბაკლას წილიანი ვაჰარი არ დაეღევაო.

ბრმა ქათამს ასე ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრიაო. 332

ბრუციან ქათამს ყველგან საფქვეი ჰგონიაო.

ბრმა ქორწილში გაუშვეს, კოქლი — სანადიროდაო. 333

ბრმა ლობეს მიადგა და — შენს იქით გზა არა მაქვსო. 334

ბრმა ღორი რკოს მიადგაო. 335

ბრმა ყვავს ღმერთი აუგებს ბუდესაო. 336

ბრმა ჩაკლაკის ბუდეს ღმერთი ააშენებსო.

კაჭკაჭის ბუდე ღმერთმა ააშენაო.

ბრმათა შორის ცალთვალიო არს პირველი სარდალიო. 337

ბრმათა ქვეყანაშიო ცალთვალი ორთვალობდაო.

ბრმათა ქვეყანაში ბრუტიანი თვალიანობდაო.

ბურმის ქვეყანაშიაჲვ ცინთვალსაჲვ ორთვალად ხედვდიანაჲვ.

ბრმამ და კოკლმა ქვეყანა ამოაგდოო. 338

ბრმისა და კოკლისაგან ქვეყანა ამოვარდნილიაო.

ბრმამ თქვა: დავინახავო, ყრუმ თქვა: გავიგონებო. 339

ბრმას ელამი სჯობიაო. 340

— ბრმას ცოლი მოუკვდა, როგორ გავაგებინოთო და — გვერდს რომ აღარ მოუწვება, ხომ გაიგებსო. 341

ბრმას ცოლი მოუკვდა, ვერ შეიტყო, — ხელი რომ მოუსვა, მაშინ ხომ შეიტყოო.

ბრმას ცოლი მოუკვდა, ჯერ ნუ იტყვითო, — როცა გვერდს არ დაუწვება, მაშინ გაიგებსო!

ბრმისთვის სულერთია, ხონში იქნება თუ ბაღდადშიო. 342

ბრუტიანმა სხვას მიაძახა: ჰაი, შე ბრუტიანოო! 343

ქაჩალმა სხვას დაუძახა: ჰაი, შე ქაჩალოო!

შდრ.: №№ 1434, 2403

ბრძენი სიტყვა ითქვა, ბრძენო ყურო, სადა ხარო! 344

შდრ.: № № 1142, 2000, 3238

ბრძენი სიფრთხილით წახდებაო. 345

ბუზანკალი ბედაურსა და ჩოჩორს ერთნაირად უძვრება კულქვეშაო. 346

ბუზანკალი ბედაურის და ჩოჩრის კულქვეშ ერთნაირად არისო.

ბუზი ბევრი ბუზისო და ფუტკართან ყველა ტყუისო. 347

შდრ.: № 1778

ბუზი მყრალი კი არ არის, საძულველიაო. 348

ბუზი რომ თავზე დაგბუზის, კოლოც მაშინ დაგკბენსო. 349

ბუზის კბენა სპილოს ვერას უზამსო. 350

ბუზსა ჰკითხეს: რად ბუზიო და — როცა ჩუმად ვარ, მაღლიერი არავინ არისო. 351

ბულბული ვარდს შესტრფოდა, ვარდი კი — ცის ნამსაო. 352

ბულბულმა კარგი გალობა იცის, მაგრამ ხორცი არ უვარგაო. 353
ბუმ თვალები მიიღო და — წარბებიც მომეცითო! 354
ბუმბულს სანამ ქარი არ დაუბერავს, თავი მძიმე ჰგონიაო. 355
ბუმბულს ქარის დაქროლებამდე თავი მძიმე ეგონაო.
ბურთი მოძალესაო. 356
ბუს შემყურეს ბუს კლანჭები თვალებში ეჩხირებოდაო. 357
ბუტიას შეუქაშენ, მძინარეს შეუნახავენო. 358

ბ

გაადიდე ყალიაო — ნიორი და წყალიაო. 359
გადარეულისთვის ნიადაგ ლხინიაო. 360
გივისთვის სულ ქორწილიაო.
ცეტისთვის სულ აღდგომააო.
შდრ.: № 903
გადებულ ხიდზე ყველა გაივლისო. 361
გავბრიყვდი და შევჯექ ვირსა, იტლინკა და დამცა ძირსა. 362
გავიქეცი — გიჟს მეძახდნენ, დავდექი და — დაბდურასაო. 363.
გავიქეცი — ქაჯიანი მითხრეს, დავდექი — ბანდიანიო.
გაიქცა — ძუნძულაო, წაიქცა — ტყააუნაო.
შდრ.: № № 894, 5525
გათენდა ცუდავ ქალაო, ლამე რო იყოს, გერჩივნაო. 364
გათხოვილმა ქალმა მამის სახლს გადახედა, — ბოლი კიდევ ამოუ-
ღისო! 365
შდრ.: № № 1746, 2232
გაიკითხე ოქროს ქამხიანიო. 366
ოქროს სამოსლიანს მოწყალება მიეც და ნუ დაინანებო.
მიეც ქამხა-სარტყლიანს და ნუ განიკითხავო.
ოქროს ქამხიანი რომ მოგადგეს მთხოვნელიო, მაინც გაიკითხეო.
გაიყარნენ ნაცარანი, რა გაიყონ, რაც არ არი! 367

„გამარჯობას“ „გაგიმარჯოს“ უნდაო! 368

შდრ.: № 1518

გამომცხვარი პური მიწას აღარ ეკუთვნისო. 369

გამოსაშვები სისხლი დროზე უნდა გამოუშვაო. 370

რაც გამოსასვლელი სისხლია, უნდა გამოვიდესო.

გამოსაშვები სისხლი მაინც არ დადგებაო.

გამოსარწყავი მუწუჯი უნდა გამოირწყოსო.

მოსაპრელი თითი უნდა მოიპრასო.

გამოუდექ სიმართლესო, გამოგილევს სინათლესო. 371

მიპყე. მიპყე სიმართლესა, თვალთ გაგაცლის სინათლესა.

შდრ.: № № 1323, 1324, 1508

გამოუცდელ ანგელოზს გამოცდილი ეშმაკი სჯობიაო. 372

გამრჯე ხარს ალო არ დააკლდებაო. 373

გამქცევი და მიმწევი ორივე ღმერთს ეხვეწებოდაო. 374

ორივე ღმერთს ევედრება: კურღლელიცა და მწევარიცა, გამ-

ქცევიცა და მღევარიცა.

განაყოფი რომ კარგი იყოს, ღმერთსაც ეყოლებოდაო. 375

განსაცდელს ქრისტეც ვერიდებოდაო. 376

შდრ.: № 4197

გაყევილს გატეხილი სჯობიაო. 377

გარედან მტერს უბრმავებს თვალს, შიგნიდან — მოყვარესაო. 378

შორიდან მტერს მოუკლავს გულს, ახლოდან — მოყვარესაო.

გარეულ ოქროსანასა შინაური წვივდამწვარი გერჩიოსო. 379

შდრ.: № № 182, 2492, 2493, 2494

გარეული მოვიდა, შინაური გააგდოო. 380

გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდოო.

გარეული კატა შინაურ კატას გარეთ ავდებდაო.

გარეული თაგვი შინაურ თაგვს არ აყენებდაო.

გასაფრენი ბარტყი დროზე თუ არ გაფრინდა, დაკუტდებაო. 381

გასაჭირი ბრძენზე ბრძენიაო. 382

გატეხილი მჭადი აღარ გამთელდებაო. 383

ერთხელ გატეხილი კვერცი ალარ გამთელდება.
შდრ.: № 553

გაუგონიათ, ალია მომკვდარაო, ის კი ალარ იციან, რომელი ალიააო.
384

გაუგონიათ, ალია მომკვდარაო, ის კი ალარ იციან, თავი საიუ
უქნესო.

გაუგონიათ, ზარს რეკავენო და ის კი ალარ იციან, რომელ ეკ-
ლესიაშიო.

გაჭირმა გაჭირი იცისო. 385

გაქცევისაც მეშინია, წაქცევისაცო. 386

ვაი გაქცევას, ვაი არ გაქცევასო.

გაქცეული თევზი დიდი გამოჩნდებაო. 387

შდრ.: № 531

გაქცეულს ერთი გზა აქვს, მღევარს — ასიო. 388

გაქცეულს კვალზედ მიჰყეო, დამდგარს წინ დაუდებო. 389

გაქცეულს რაღა „ფხიკი-ფხიკი“ უნდაო. 390

გაღმა გაედავე, გამოღმა დაგრჩებო. 391

იქით შეედავე, აქეთ დაგრჩებო.

გორს იქით ედავე, გორს აქეთ მაინც დაგრჩებო.

ლობემდის რომ გინდოდეს, ლობის იქით დაიჩემეო.

გაყიდა მამული, იყიდა ხრამულიო. 392

გაყიდა მარანი, იყიდა ტარანი.

ვირი გაყვიდე, დოლი ვიყვიდეო.

გაყიდა ხარი, ითხოვა ქალი.

გაცივება, გაცხელება ორივე ერთიაო. 393

გაცხარებული კაცი ქვას დააფრინდებაო. 394

გაბრაზებული თათარი დააფრინდება ქვასაო.

გაწყდება, საცა წვრილიაო. 395

სადაც გაწვრილდეს, იქ გაწყდესო.

გაწყვეტას გაწვდენა სჯობიაო. 396

- გაჭირვება აღმართში აგახტუნებსო. 397
შდრ.: № № 398, 403
- გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. 398
შენ გაჭირვება მანახვეო და გაქცევას მე გაყურებიებო.
შიში მიჩვენე, მუხლს გიჩვენებო.
შდრ.: № № 397, 403
- გაჭირვებაში ჩიტი ჩიტობით ლობეს შეეხიზნაო. 399
- გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო. 400
გასაჭირმა პატარძალთან დამაწვინაო.
ულონობის ლონემა პატარძალთან დამაძინაო.
- გაჭირვებამ სტავრა-დიბა მაცვეთინაო. 401
სიღარიბემ ფარჩის კაბა გამაცვეთინაო.
უქონლობამ ქამხა-ატლასი გამაცვეთინაო.
- გაჭირვებულ კაცს ცამ გაულო პირიო. 402
- გაჭირვებული კაცი ზღვას გავაო. 403
შდრ.: № № 397, 398
- გეგუთს ძალი გალახეს და მოწამეთას ტიროდაო. 404
ერთი კაცი გორში გალახეს და გული ცბინვალში მოუვიდაო.
ოჩაჰჩირეს კაცსა სცემეს და მცხეთაში იწყინაო.
შდრ.: № 2448
- გემი ისე არ დაიღუპება, ერთი ფილუკაც არ დარჩესო. 405
გემი ისე არ დაიქცევა, ნავადაც არ ღირდესო.
შდრ.: № № 98, 148, 149, 153, 929, 1351, 2002
- გერი მგელიაო და მაინც ჩვენიაო. 406
- გეუბნები კედლო, გაიგონე რეგვენო. 407
შდრ.: № № 1296, 1569, 2729
- გვარი გვამში, თავი — ჯარში. 408
კაცი პირადობაა, გვარი — გვამშია.
შდრ.: № 4882
- გვარს მკადი აჭამეს, კაცს — პურიო. 409
- გველი გარედან არის ჭრელი, კაცი — შიგნიდანაო. 410

გველმა კანი გაიძრო, მაგრამ გული გველისა შერჩაო. 411
გველს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც გველიაო.
შდრ.: № 2976

გველმა კბენა არ იცოდა, კაცმა ასწავლაო. 412
გველმა თქვა: კბენა არ ვიცოდი და კაცმა მასწავლაო.

გველს თუ დაჰკრავ, მოჰკალ კიდეცო. 413

გვიან ნაფარცხი რომ გაგიკეთდეს, შვილს ანდერძად ნუ დაუგ-
დებო. 414

გზა ნაგზაურს, წყალი ნაწყლურსო. 415
წყალი ნაწყლევს, შარა ნაშარევსო.
წყალი თავის გზას არ დაკარგავსო.
წყალი ნაწყლევში ჩავარდებო.
წყალი ნაგუბარში ჩადგებო.
წყალი მიდგება, მოდგება, თავის ნადგომში ჩადგება.
არ დააგდებს გვარი გვარსა, წყალი — თავის ნამდინარსა.

გზა რამ მოღალა და — ბერიკაცმაო. 416
შდრ.: № № 166, 1285, 2395

გზა სიარულში დაილევაო. 417
ათვერსიანი გზა ნაბიჯით დაილევაო.
შდრ.: № 5005

გზას წასვლამდე ნუ კითხულობო. 418

გზირს სოფელში არ უშვებდნენ, — ფარ-ნმალი ზემოთავს დამიკი-
დეთო. 419

მამასახლისს სოფელში არ აყენებდნენ და — იარაღი გზირისას
დამიკიდეთო.

სტუმარს სახლში არ უშვებდნენ, და — თოფი სად დაკვიდოო?
ერთ კაცს სოფლიდან აძევენდნენ და — ზემოთ თავში დავ-
სახლდებიო.

ერთ კაცს სოფლიდან აძევენდნენ და მამასახლისობას თხოუ-
ლობდაო.

თითონ სახლში არ უშვებდნენ, ძალლიც თან შეიყვანაო.

გინდ გახიე, გინდ გაფხრიწეო. 420
გახიე და გაფხრიწე ორივე ერთიაო.
გახიე და გაფხრიწეო!

- გინდ დანით დაგიკლავარ, გინდ ღუმითაო. 421
 კაცი გინდ კოცნით მოკლა, გინდ იარაღით, შენგან მკვდარიოა.
- გინდ ზღვას დაუღრჩვივარ, გინდ ცვარსაო. 422
- გინდ მგელს შევეუქამივარ, გინდ მგლისფერ ძალსაო. 423
 თუნდ მგელმა შემქამოს, თუნდ მგლის შვილმაო.
- გინდ მკვდარი, გინდ შინ მიუსვლელიო. 424
 მკვდარი და შინ მიუსვლელი ორივე ერთიაო.
- გინდა ქოთანი დაჰკარ ქვას, გინდა ქვა ქოთანს, მაინც ქოთანი გა-
 ტყდებოა. 425
 გინდ ქვა კოკასა, გინდა კოკა ქვასაო.
- გინდა შენ იყავ, სესია, გინდა ნადირი ტყეშია. 426
 გინდა აქ იყვეს ტეტია, გინდა ნადირი ტყეშია.
- გინება პატრონისაო. 427
- გიორგობისთვემ წელები დასწყვიტა, იანვარს დააბრალესო. 428
- გიყი აბნედა, ჰკვიანი კრეფდაო. 429
 გიყი ის არის, ვინც აბნევს, ვინცა კრეფს — გიყი არ არის.
 შღრ.: № 445
- გიყი აღვა — აღარ დადგაო. 430
- გიყი ბამბაზედაც ფეხს მოიტეხსო. 431
- გიყი ბევრჯერ მართალს იტყვისო. 432
 ერთ ჰკვიანურს გიყიც იტყვისო.
- გიყი თავისუფალიაო. 433
 გიყი თავის ნება არისო.
 ყველა გიყი კანონის წინ თავისუფალიაო.
- გიყი კლდეზე გადავარდა და — მწამს იმისგანაო. 434
- გიყი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა. 435
 ურჩი მიუშვი ნებასა, გადაეყრება მცნებასა.
- გიყი მოზვერი დააბი, აუშვი — ისევ გიყიაო. 436
- გიყი მოზვერი კარგი ხარი დადგებოა. 437
- გიყი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო. 438.

ზინიავ, ქალაქს მიდიოდი, რა წაიღე, რა მოგქონდაო.
ბრიყვი მირბოდა, მორბოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო.
ძალდი ქალაქს მიდისო, რა მიაქვს, რა მოიტანოსო.
შდრ.: № 2288

გიეი ქორწილში შევიდა, — ჩემ სახლს აქა სჯობიაო. 439
გიეს ჰკითხეს: სად გირჩევიანო და — ჩემსას აქა სჯობიაო.

გიეის ამხანაგი გიეი იქნებაო. 440
შდრ.: № 1827

გიეის პატრონს სცხვენია, გიეს — არაო. 441

გიეისა ნურა გინდა რაო. 442

გიემა გიეი ნახა და კომბალი დამალაო. 443

გიემა სახლი აიშენა, ჰკვიანმა — იყიდაო. 444

გიემა ფული გაიღო, ჰკვიანმა — ჯიბეში ჩაიღო. 445
შდრ.: № 429

გიეს აპყე და ჰკვიანს დაპყეო. 446

გიეს ნურც მისცემ, ნურც გამოართმევო. 447

გიეს ნურც ეტყვი, ნურც ათქმევინებო.

გიეს ნურც ჰკითხავ, ნურც დაუჯერებო.

გიეს ნურც გაღამტერებ, ნურც დაიმეგობრებო.

გიეს ნურც გაღანძღავ, ნურც გაელანძღვინებო.

გიეი ნურც მტრად გინდა, ნურც მოყვრადაო.

გიეს რალა დასტვენა უნდა, ისედაც გიეიაო. 448

გირაო ყუამდენაო. 449

გიცნობ რკინაო, მიძევხარ წინაო. 450

პიტნავ, გიცნობ რაცა ხარ, მიძევხარ წინაო.

გლახა გლახას მისდევდა: ეგება ფარატინი დავარდესო. 451

გლახა გლახას აედევნა — ლმერთო, ფარატინი გააგდებინეო!

გლახა გლახას წაეკიდა, ორივე წყალში ჩავარდაო. 452

გლახა მამას ყარგი მამინაცვალი სჯობიაო. 453

- გლახა მთიბავს ცელის გაღესვა მოცდენა ეგონაო. 454
- გლახა მოწყალე ღმერთს სძულს და კაცს უყვარსო. 455
 გლახა გამცემი ღმერთს სძულდა, ეშმაკს უყვარდაო:
 გლახა გამცემი ღმერთს სძულდაო.
- გლახა მუშას თოხი გაუვარდებაო. 456
- გლახა მუშას შემოდგომაზე მოუკვდება გულიო. 457
 ზარმაცს გული მოწევაზე დასწყდებაო.
- გლახა მკედელმა თავისი წაადოო. 458
 მონას მკედელსავ ნახშირსაც თავისას აწვევდიანაფ.
 შღრ.: № 2166
- გლახა რომ ერთი იყოს, ყოველდღე ერბო-კვერცხს შეჭამდაო. 459
- გლახა ქალმა ძროხა ვერ მოწველა, კარგმა ქალმა მთაზე ირემი მოწ-
 ველაო. 460
- გლახა ძაღლი სხვის სახლში ფრთხილდებოდაო. 461
- გლახამ ალაპი ქნა, თვითონ შეჭამაო. 462
- გლახამ გლახა გაღლიტა და მათხოვარი ჩამოვიდაო. 463
 ტიტველმა შიშველი აიკიდა და მესამე მათხოვარი გააჩინესო.
- გლახამ ფული იშოვა და გამოსახვევი ვერაო. 464
 გლახას ფული ჰქონდა და გამოსახვევი არაო.
- გლახას ერთი ფრჩხილი ჰქონდა, ისიც წავარდაო. 465
- გლახას ერთი კიტრი მისცეს და — რალა დასეტყვილი მერგოო. 466
- გლახას ნურც აკოცებ, ნურც აკოცინებო. 467
- გლეხი ხატს შეეჩვია და ნაფრტის სროლა დაუწყოო. 468
 გლეხს ხატზე აკოცინეს, მერე ისე შეეჩვია, ქვებს ესროდაო..
 გლახას ხატის ეშინოდა, შეეჩვია და ბუცაობა დაუწყოო.
- გლეხიკაცის სამართალს თავზე დიდი ქვა ეფარაო. 469
- გლეხმა დაიკვება: ზამთარი უქალამნოდ გავღლიტეო! 470
- გლეხმა რა გაყიდა და — პურიო, რა იყიდა და — პურიო. 471

გლებმა კაცმა რა გაყიდაო?—პური და ღვინოო; რა იყიდაო?—
ისევ ისაო.

ვლებს რომ ცხენზე შემოიჯენ, გადაგადებსო. 472

გლებს შობა უთენდებოდა, მაგრამ მეალილოეებმა აღარ გაათენე-
ბინესო. 473

ვობის და საცრის მზიდავი ორივე ერთნაირად კვნესოდაო. 474

ვოვიაა მთოხნელიო, ოცდახუთი მცოხნელიო. 475
შდრ.: № № 78, 3409

ვოვო ჩიოდა: გასათხოვრად პატარას მეძახიან, წყლის საზიდავად
კი დიდსაო. 476

თუკი წყლისთვის არა ვარ პატარა, გათხოვებისთვის პატარა
ვარო?

კოკაისთვის დიდი ვარ და ქმარაისთვის პატარაო?

ვოვგრამ იგორა, იგორა და ქვევრი იპოვნაო. 477
შდრ.: № 2295

ვომბიოს ბუმბულში აწვენდნენ, „ფუჩეჩ-ფუჩეჩს“ იძახდაო. 478
დედაბერს ტახტზე აჯენდნენ, ის კი „ნაცარ-ნაცარს“ იძახდაო.
შდრ.: № № 240, 946, 2375, 2847, 4815, 2185

ვოშიამ თქვა: ჩხუბსა ვიქმო და ძირს მომნახეთო. 479

ვოჭი ღოუტუნს ღ არისგან ისწავლისო. 480

ვოჭი ჰყვივით გაიზრდება, ყმაწვილი — ტირილითაო. 481
ღორი ჰყვიტინითაო და ბავშვი ტირილითაო.

ვრძელ გზასაც ბოლო ექნებაო. 482

ვუდა გუდაში ჩადევი — ბარგიაო. 483
შდრ.: № № 1870, 2597

ვუთანი შვიდ წელიწადში ერთხელ ოქროს ქოთანს წამოედებაო. 484

ვულდიდი ქორი ქანდარაზე ჩამოიხრჩოო. 485
შდრ.: № 4891

ვული და ცეცხლი სტუმარსა. — არ უნდა ჩასადებარიო. 486
შდრ.: № 4074

- გული თუ არ ერჩის კაცს, ფეხით ვერ ივლისო. 487
 გული როსტომისა და ბარგი ლოკოკინისაო. 488
 გულის გასაღები ჯოჯოხეთში იქედებაო. 489
 გულმა გულს სიტყვა უთხრაო, ენამ ორივე გასცაო. 490.

ღ

- და დის სახლში მივიდა, თავი სამშობლოში ეგონაო. 491.
 დაადარე მსხალი პანტას, მალაჩინი — მაქალოსაო. 492
 შდრ.: № 4473
- დაადგი ვირს უნაგირი, ცხენად არ გადაიქცევაო. 493
 დაბადებით რა დაგყვაო, ან თან რა წაგყვაო?! 494
 დაბადს რომ ტყავი მოეწონება, მიწაზე დაახეთქებსო. 495
 დაბმული ძალლი სახლს ვერ შეინახავსო. 496
 დაბმული ძალლი უფრო ავიაო. 497
 დაგეშილი ჩიტი ბადეში არ მოხვდებაო. 498
 დაგვედენ და მერე იძახე, არა ვარ აქლემიო. 499
 შდრ.: № 4778
- დათვი ათასნაირად ხტუნავს, მაგრამ სულ პანტის ხეზეო. 500.
 დათვი დათვს პატიჟობდა, სხვის ვენახში მიჰყავდაო. 501
 დათვი თაფლს დაეძებდა, ფუტკარი — თაფლის წვენსაო. 502
 დათვი რომ მოგერიოს, ბაბა დაუძახეო. 503
 დათვი რომ საძაღლე გახდაო, იმისი საქმე წახდაო. 504
 დათვის დრო მაშინ წახდაო, როდესაც სამგლედ გახდაო.
 ქვეყანა მაშინ წახდაო, დათვი რომ საძაღლე გახდაო. .
- დათვი ტყეზე გაბუტულიყო, ტყემ კი არა იცოდა რაო. 505
 დათვი ტყეს ემდურებოდა, ტყემ არაფერი იცოდაო.
- დათვი ლობეზე გადახტა, თავისი ჩრდილი თან გადაჰყვაო. 506

დათვი შინდმა დაკბინაო. 507

დათვი შინდის ძირში წამოწვა: მალე რომ აყვავდა, ალბათ მალეც
დამწიფდებო. 508

დათვი ძუნძულს თამაშს ეძახის, მგელი თქვლეთასა — ჭამასაო. 509
დათვი თავის ძუნძულს თამაშს ეძახოდლაო.

დათვის ბლუილი პანტისთვისაო. 510
სხვანიც სხვათავ, დათვიც — სხალთავ.
შდრ.: № 2416

დათვის ტყავი ბანჯგელით ფასობსო. 511

დათვისა თუ გეშინია, დათვზე სანადიროდ ნუ წახვალო. 512

დათვისაც უნდა გეშინოდეს, დათვის ტყავისაცო. 513

დათვმა თავის ბელს მიუღალერსა: „აფურ-ჩაფურიანო და ოქროს ფე-
ხეზიანო!“ 514
შდრ.: № 2411

დათვმა თქვა: მე ადამიანის სიყვარულით ვერა ვძღვები, ის კი ჩემი
მტრობითაო. 515

დათვმა თქვა: სანამ ჩემი ტორი არ მოვკარი, გემო ვერ ჩავა-
ტანეო. 516

დათვმა თქვა: რასაც ჩემი თათი ვერ მოვუსვი, იმის გემო ვერა
ვნახეო.

მგელმა თქვა: რასაც ჩემი კბილი ვერ მოვავლე, გემო ვერ ჩა-
ვატანეო.

რასაც ჩემი ხელი არ მოხვედრია, ჩემი მუცელი არ გაუძლიაო.

დათვმა სიყვარულით თავისი ბელი მოკლაო. 517

— დათვო, პანტა გიმწიფსო! და — კიდეცა მიჭირსო. 518

— დათვო, პანტა გიდგაო? — მიდგაო; — გიდგაო და კიდეც გინ-
დაო! 519

დათვს ეძინა, თავგები სამარეს უთხრიდნენო. 520

დათვს ვენახი მიაბარეს, არც არავინ შეუშვა, არც არა შიგ გაუშ-
ვაო. 521

- დათვი მეველედ დადგა, არც ვინ შეუშვა, არც ვინ გაუშვაო.
დათვს თავისი მახრჩობელა უყვარდაო. 522
- დათვს თავისივე ქონი აწუხებსო. 523
დათვს თავისი ქონი საჯდომსა სწვავდაო.
თავისივე ქონით კურდღელს ტუჩს სწვავდნენო.
თავისი ქონი თვალებსა სწვავსო.
- დათვს თავში სცემდნენ და — ეს რა ბრავა-ბრუგიაო! 524
დათვს თავში სცემდნენ და — ბავა-ბუგი საიდან მოდისო?
- დათვს კოდოლა შეეჭამა, — ყველა მუცლის ბოძიაო! 525
ხვრიტე, ჩემო გოძიაო, ყველა მუცლის ბოძიაო!
- დათვს მელიას კვალი გაუკვირდაო. 526
შდრ.: № 1294
- დათვს უთქვამს: ღმერთო, ჩემ ძმას ნუ შემახვედრებ და თუნდა შვი-
დი სხვა შემხვდესო. 527
- დათვს ყურები დააგლიჯეს — თაფლზე ძლივს მიიყვანესო, მერე კუ-
დი მოაგლიჯეს, ველარ გამოიყვანესო. 528
- დათვსა ხედავდნენ და კვალს ეძებდნენო. 529
ცხენი ვნახე, კვალი — ვერა.
თვალით ხედავდიანა და კვალს იძებდიანავ.
კვალს რას ეძებ, აი, ნადირო!
შდრ.: № № 2898, 4234
- დაინახო მელია—თოფი მოარტყიო, დაიჭირო—ტყავი გააძვრეო. 530
- დაკარგული ძროხა ცხრა ლიტრას იწველიდა, დაუკარგავი — ერთ
ჩარექსაც არაო. 531
გადმოვარდნილი ძროხა ცხრა ჩარექას იწველიდაო.
დაკარგული ძროხა კარგი მეწველიაო.
შდრ.: № 387
- დალაქმა ხელობა ჩვენ თავზე ისწავლაო. 532
შდრ.: № 4318
- დალეულს დამბალი სჯობიაო. 533

- დამ დას საცერში გახედა: როგორ მხედავო და — ისე, როგორც
შენაო. 534
- დამავ დასავ საცერ აუფარავ: „რახელც შენ მხედავავ, აისრ
მიავ“.
- დაო, როგორ მხედავო? — როგორც შენ მხედავო!
- დამალულმა ჭირმა მოკლა კაციო. 535
- ჭირი თუ დამალე, თითონ დაგმალავსო.
შდრ.: № № 4192, 4193
- დამქნარი ვარდი ჭინჭარს მაინც სჯობიაო. 536
- დანგრეული ბუხარი არ დაიწუნება, თუ კვამლი სწორედ ამოდი-
სო. 537
- დაპატიეებულ სტუმარს დიდი გული აქვსო. 538
- დაპირებულიო — დაჩრჩილებულიო. 539
- დარი მუშაობდა, კაცი იკვეხიდაო. 540
- ამინდი მუშაობდა და კაცი თავისას იკვეხიდაო.
დარნი მუშაობდენ და მუშაკნი იკვეხიდნენო.
მუშა დარია, კაცი ქებულობს.
დარნი დარობენ, ყმანიც მღერიან.
შდრ.: № № 85, 2921
- დარბაზს შესვლა შენს ხელთაა, გამოსვლა — მასპინძლისაო. 541
- დიდკაცთან შესვლა შენია, გამოსვლა — მისიო.
- დარდს მოგცემ — დარდს დაგავიწყებო. 542
- დარდი მოგეც, დარდს მოგაშორებო.
დარდს დარდი დაგავიწყებსო.
- დარუებული წყალი დენას არ დაიშლისო. 543
- დარში არ იყო გიშერა, ავდარში ბულრაობდაო. 544
- შდრ.: № 2581
- დარში ნაბადს ნუ დააგდებ, ავდარში — ქალამანსაო. 545
- სიმძღვრით საგძალს ნუ დატოვებ და სიდარით მოსასხამსაო.
სიმძღვრის იმედს უსაგძლო ნუ წახვალ და დარის იმედს —
უბაჰკოო.

- დარში ფუნაც აგორდებო. 546
 კარგ ამინდში ჭია-ბუჭყანიც ცოცხლდებიანო.
- დასაკლავ ხარს რაღა ლოდინი უნდაო. 547
- დასასჯელს — სასჯელი, სახარკოსა — ხარკიო. 548
 საპატიოს — პატივი, მეხარკეს — ხარკიო, საშიშოს — შიშიო.
- დაუდევარი მწყემსი მგლებს ასუქებსო. 549
- დაუპატიეებელ სტუმარს აბუჩი ჰქვიაო. 550
 დაუპატიეებელ სტუმარს აბუჩად აიგდებენო.
- დაუჩვეველს ნუ დამაჩვევ, დაჩვეულს ნუ გადამაჩვევო. 551
 უჩვევს ნუ მიაჩვევ, ნაჩვევს ნუ მოაკლებო.
- დაღვრილ ერბოს ისე ვერ აიღებ, ცოტაც არ დარჩესო. 552
- დაღვრილი წყალი აღარ აიხვეტებო. 553
 შდრ.: № 383
- დაღირებულს დაკვრაც უნდაო. 554
 დაღირებული დაკვრაზე უარესიაო.
 მუქარას დარტყმა სჯობიაო.
- დაშინებულმა ძაღლმა ცხრა წელიწადს ხეს უყუფაო. 555
 შეშინებული ძაღლი მთვარეს უყუფდაო.
 შეშინებული ძაღლი ერთ წელიწადს ბუჩქს უყუფდაო.
- დახეულ ქალამანში წინდა ადრე დაიხევაო. 556
- დახლიდან ნემსი რომ ამოიღო, მახათი უნდა ჩადოო. 557
- დედა არ იყო, შვილი რისა იქნებოდაო. 558
- დედა მაინც დედა არის, თუნდ ხუზური ქალი იყოსო. 559
- დედა მყავდეს, თორემ მამას ვიშოვიო. 560
 თუ დედია ეყოლება, მამიაც ეყოლებო.
- დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. 561
 შდრ.: № № 562, 910, 1810, 1830
- დედა უკითხე და კვიცი ისე იყიდეო. 562
 ჯიში იკითხე — ცხენი იყიდეო.
 შდრ.: № 561

დედაბერი ბუქნას უვლიდა, არც მთა უმადლოდა, არც ბარიო. 563
მოლოზანი მთაზე ცეკვადა, არც იქითა მხარე უმადლოდა, არც
აქეთაო.

არსიანის მთაზედაო პატარძალი ცეკვადაო, არც ცა იყო მად-
ლიერი და არცა-რა ქვეყანაო.

დედაბერი კერიის ძირში დაიმტვრაო. 564
ბებერი კერის პირას დაიმტვრაო.

დედაბერმა თქვა: იმდენი ვერ მოვიცალე, რომ მოვმკვდარიყა-
ვიო. 565

დედაბერმა იანვარში მარწყვი ინატრაო. 566
ასი წლის ბებერმა იანვარში მარწყვი მოინდომაო.
განცხადების თვეში ბებერმან მარწყვი ინატრაო.

დედაბერმა მუგუზლით ზღვა დაწვაო. 567
შდრ.: № 1432

დედაბერო, თუ არ შეგიძლია, საყადელი ააყუდეო. 568
თუ არ შეგიძლია, დედაბერო, ხორა დგეო!
შდრ.: № 212

დედაბერს ყველა უყვარდა და დედაბერი ყველას სძულდაო. 569

დედაბერს შვიდი სოფლის დარდი აწუხებდა, მისი დარდი კი არა-
ვისა ჰქონდაო. 570
შდრ.: № 2585

— დედავ, პური მშიაო! — ჰა პურიო და — ჰა, პირიო! 571

დედაკაცის შარიო — მოვარდნილი ღვარიო. 572
მოვარდნილი ღვარი და ხევსურების შარიო.

დედაკაცს სანამ ქმარი ჰყავს, ამირანია, როცა მოუკვდება—ამირანთ-
ამირანიაო. 573

დედაკაცს უთხრეს: ცაში ქორწილიაო, — კიბეს შევიდგამ და ავა-
ლო. 574

დედაკაცს რომ უთხრან: ცაში ქორწილიაო, კიბის გამართვას.
შეუდგებაო.

დედაკაცს ქმარი სიკვდილის შემდეგ მოეწონებაო. 575

- დედამთილო, თუ კარგია, ახლა შენ შებრძანდი ვირზედაო! 576
- დედაჩემის გამომცხვარი კვერი ახალციხეს თბილი ჩამყვავო. 577
დედაჩემის გამომცხვარმა ხაჭაპურმა ახალციხის მთაზე პირი
დამწვაო.
ბებიჩემის გამომცხვარმა ხაჭაპურმა ცხრა მთას იქით ყელი
დამწვაო.
შდრ.: № 582
- დედაჩემის კინთი მომიტანეთ, თორემ ისე ვერ გაგვენტავო! 578
შდრ.: № № 587, 2007
- დედინაცვალი დედობას ვერ იზამსო. 579
- დედინაცვალიო — თვალში ნაცარიო. 580
- დედინაცვლის ალერსი გერისთვის ფშატის ეკალიაო. 581
- დედის გამომცხვარი კვერი ტკბილიაო. 582
შდრ.: № 577
- დედის პირი რომ იწყევლება, ძუძუები ილოცებიანო. 583
დედა რომ შეიღსა წყევლის, ენა ეხმარება, ძუძუები კი უარს
ეუბნებიანო.
დედა რომ წყევლის შვილს, ძუძუები უარს ამბობენ, მამა რომ
წყევლის, წვერიც ცანცარით ამინს ეუბნებაო.
შდრ.: № 3371
- დედის წინ რომ კვიცი გაიქცევა, ან მგელი შეჭამს, ან ტურაო. 584
კვიცი რომ დედას გაასწრებს, ან მგელი შეჭამს, ან მისი გვარიო.
დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო.
დედის წინ გამქცევ კვიცსაო მგელი გამოჰკრავს კბილსაო.
დედის წინ მორბენალ კვიცსაო ფეხი მოუტეხიაო.
ჯოგს რომ საქონელი მოშორდება, მგელი შეჭამსო.
ზაქი თუ დედასთან დადის, მგელი ვერ შეჭამსო.
შდრ.: № 2789
- დედლის სიმაგრე მამლის სიღამბლეაო. 585
შდრ.: № 1487
- დედ-მამიანი რომ ტირის, ობოლმა რაღა ქნასო. 586
დიაკვანმა თქვა: ჩემი დავითნი მომიტანეთო! 587
შდრ.: № № 577, 2007

- დიაკვანს რომ ღვინო მოსწყურდება, მღვდელს მიჰკერძავს, — შემდეგ ჭერი ჩემზე მოდგებაო. 588
 დიაკვანს რომ მოსწყურდება, მღვდელს მიაწოდებსო.
 შდრ.: № 1594
- ღიაცი მიმავალი იკვების, მამაცი — მომავალიო. 589
- ღიაც-ყმაწვილის გაზრდილი სახარე ხბოც არ ვარგაო. 590
 შდრ.: № 2282
- ღიბა რომ დაიხვეა, ფეხზეც არ დაიხვევაო. 591
- ღიბა-სტავრა ჩიოდა: ვაითუ უჯილაგომ გამომპრას, უხეირომ შემკე-
 როს და უჯიშომ გამცვითოსო. 592
- ღიდ გვალვას ღიდი ავდარი მოსდევსო. 593
- ღიდ მანძილს კაცი ჰენებით ვერ გაივლისო. 594
- ღიდ ნადირს ღიდი ნაგაზები ჰყეფენო. 595
- ღიდ სადულარს ღიდი სარქველი უნდაო. 596
- ღიდ საყდარში პატარა წირვა განა არ შედგებაო! 597
- ღიდ ფაფას ღიდი სულის ბერვა უნდაო. 598
- ღიდ ფელამუშს ღიდი გობი უნდაო. 599
- ღიდ ქვებს ღიდი ქაფქირი უნდაო. 600
- ღიდ ცეცხლს ღიდი ბერვა უნდაო. 601
- ღიდ ხეს ღიდი ნაფოტი ავარდებაო. 602
- ღიდ ხეს ღიდი ქარი უვლისო. 603
- ღიდ ხეს ღიდი ჩრდილი აქვსო. 604
- ღიდი აქლემის შესაყვანად ღიდი ჰიშკარი უნდა გქონდესო. 605
 ღიდი აქლემი თუ გყავს, ღიდი ჰიშკარიც უნდა გქონდესო.
- ღიდი გობი დაემხო, პატარა გობი წამოდგაო. 606
- ღიდი კაცის ბოძებულები მალე უნდა გადაყლაპოო. 607

გლახა პატრონის ნაჩუქარი მალე უნდა შექამო, თორემ ისევ
წაგართმევსო.

შდრ.: № 65

დიდა ტახი ძაღლებს აშინებდა, ძაღლებმა კი დაიჭირესო. 608

დიდი ძვლიდან დიდი ტვინი გამოვაო. 609

დიდი ჭირის წამალი ცოტა რამეაო. 610

დიდ სატივიარს პატარა წამალი შევლისო.

დიდჯალაბობა დიდბატონობააო. 611

დიდ ჯალაბობას დიდი უფროსობა უნდაო.

ჯალაბში ყოფნა დიდბატონობააო.

დილას პირში ოქრო უჭირავსო. 612

დილით ერთმა იცის, შუადღისას — ირმა, საღამოს — ღორმაო. 613

შდრ.: № № 1709, 1898, 1902

დილის შარი სჯობია საღამოს ხეირსაო. 614

დინჯი კაცი წონაში მეტი მოვაო. 615

თათარმა თქვა: მიძიმედ იყავ, წონაში მეტი მოხვალო.

ღის კოჭი ძმას არ დაენახებო. 616

ღიღმის მინდორი დიღია, გაქცევა შენზე ჰკიღია. 617

ღიღმის მინდორზე ერთი ჭიანა ბებერი ვერ ეტეოდაო. 618

სამგორის მინდორზე სამი ბებერი ვერ ეტეოდაო.

ტირიფონის მინდორზე დედაბერი ვერ ეტეოდაო.

ღო თუ შექამე, დოს ქილა რაღა უყავიო! 619

თუ დო შეევექამე, დოს ქილა ხომ აქ არისო!

თუ მაწონი ძაღლმა შექამა, ქოთანი რაღა იქნაო?

ღოქამიას დო აგონდებოდა, ყველიქამიას — ყველიო. 620

მკადიქამიას მკადი და დოქამიას დო აგონდებოდაო.

ყველიპარიას ყველი აგონდებოდაო.

ღრო არის — შექცევა სჯობია, ღრო არის — გაქცევაო. 621

ღრო ღროთი, თორემ ჟამი ნიადაგ იწირვისო. 622

ჟამი ჟამსა, ჟამი ნიადაგ იწირვებაო.

- დროზე მთესველი დროზე მოიმკისო. 623
- დროზე მოხმარებული ფარი ხმალიაო. 624
- დრონი მეფობენ და არა მეფენიო. 625
- დუმას რაღა საცხები უნდაო. 626
დუმას ქონი რად უნდაო.
- დღევანდელი კვერცხი მირჩევენია ხვალინდელ ქათამსაო. 627
- დღე-მეხვალე კაცსაო თოვლი მოუვა კარსაო. 628
მედღეხვალეის ხან უთოვს, ხან უწვიმსო.
დღესხვალობით თოვლი მოვიდაო.
შდრ.: № 2913
- დღეს თვალი აქვს და ღამეს ყურეო. 629
- დღეში ასი ჩნდება, ასი კვდება, ასსა ერთი ემატებაო. 630
- დღისით კევის ღეჭიაო, ღამე საქმის კეთიაო. 631

ე

- ეკალზე ეკალი ამოვაო. 632
ჯაგზე ჯაგი ამოვაო.
კინკრის ძირზე კინკარი ამოვაო.
ეკლის ადგილას ვარდი არ ამოვაო.
ნაძვისგან ნაძვი ამოვა, ლენცოფასაგან — ლენცოფაო.
- ეკლებს თითო-თითოდ ამოიღებენო. 633
- ეკლის წვერი ლოდზე არ დაერქობაო. 634
- ენადმრავალა ხელთმრავალს წინ უსწრებდაო. 635
ენადმრავალმა აჯობა ხელითმრავალსაო.
ენადმრავალმან მუხლადმრავალს აჯობაო.
- ენამ მოჰამა სოფელი და ამოღებულმა ხმალმა ვერაო. 636
კეჟამ მოჰამა სოფელი, არც ეგრე ხმალმა ამოღებულმაო.
- ენამ რა გიყო და — თავში რაკუნეო. 637
თავში კაკუნი ვინ გიყო და — ჩემმა ენამაო.
ენას თუ კბილს არ დაადგამ, თავში ჩაგირაკუნებსო.

ენით მიტანილს ურმით მიტანილი სჯობიაო. 638

ერბო რომ გაღმოვა, ციცხესა და ჩამჩას ფასი დაეკარგებაო. 639

ერბო ძვირი იყო, ჭიმური იაფიო. 640

ერევანს კურდღელი იყო, ახალციხეს — მწვეარიო. 641

ერთ ადგილას გდება ქვასაც ხავსს გაუჩენსო. 642

უძრავად მდებარე ქვას ხავსი მოეკიდებაო.

შლრ.: № № 4, 5454

ერთ ადგილას რომ ვირი ტალახში ჩაეფლოს, მეორედ იქ აღარ გაივლისო. 643

ერთ ღღეს კურდღლის ტყავსაც გაუძლიაო. 644

ერთ ღღეს ქვეყანა არ აშენებულაო. 645

სოფელი ერთ ღღეს არ აშენებულაო.

ერთ თითს რომ მოკაკავავ, ყველა თითები მოიკაკევაო. 646

ერთ კაკალს ქვას არ ესვრიანო. 647

ერთი კაკლისთვის ქვას არ ისვრიანო.

ერთ კაცზე ყველას გაუღარდებაო. 648

ერთ კაცს პარკში სტენიდნენ, ის ტომარაშიაც არ ეტეოდაო. 649

ერთ კაცს ჰკითხეს: ვირისა რა იციო და — ვირებში გავიზარდეო — და! 650

ერთ მკვდარს ორ საფლავში არ მარხავენო. 651

ერთ მღვდელს სახნისი დაჰქონდა, — ვინც მაწირვინებს, ამას ვაჩუქებო. 652

ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი არ ჩაიგებაო. 653

შლრ.: № № 704, 1706

ერთ ქვეყანას ვირი არ იყო, ვირს ვარდისახარს ეძახდნენო. 654.

თეირანს ქალი არ იყო, ვირს ვარდისახარს ეძახდნენო.

უმოახლო ქვეყანაში ვირს პირიმთვარისა დაარქვესო.

უხუცესო ქვეყანაში ყვავს ხუცესი დაუძახესო.

უთევზო ქვეყანაში კიბოს თევზს ეძახდნენო.

უკაცო ქვეყანაში თხას აბლორახმარი დაარქვესო.

უპურო ქვეყანაში ქერი პურად მოიმკებო.

შდრ.: № № 2158, 655

ერთ ქვეყანას სხვა რომ ვერაინა ნახეს, ვირი ყადად დააყენესო. 655
ერთ სოფელში ხალხი არ იყო, ვირი აირჩიეს მამასახლისადო.

შდრ.: № № 654, 2158

ერთ ყურს ჰქვია ისმინეო, მეორეს კი — ისხლიტეო. 656

ერთ ყურს ჰქვია შეიღინე, მეორეს — გაიღინეო.

ერთ ცხვარსაც მწყემსი სჭირდება და ათასსაცაო. 657

ერთსაც შენახვა უნდა და ბევრსაცაო.

ერთ წელიწადს მუცელა იყო და ყველა მუცელზე ისვამდა ხელსაო. 658

ერთ წელიწადს ნიორიც მიწაში თავს შეინახავსო. 659

ერთგული ძალი მტერს უყეფს, ორგული — შინაურებსო. 660

ერთი აკლდა რვასაო, მიემატა ცხრასაო. 661

ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებო. 662

ერთი აყვავება ნესვიც აყვავდებაო. 663

წელიწადში ერთხელ ნესვიც აყვავდებაო.

ერთი ბერი მგელი კვდება, სხვა ათასი ლეკვი რჩებაო. 664

ერთი გადახტომია მწყერი არავის დაუჭერიაო. 665

ერთი გაძლომა მგელს არას არგებსო. 666

ერთი გვერდიდან ფიცარი არ გაითლებაო. 667

ერთი დამპალი ვაშლი ცხრა ვაშლს დააღობსო. 668

შდრ.: № № 712, 715, 2259

ერთი დრო ჩიტსაც კი აქვსო. 669

შდრ.: № 670

ერთი დღე საწყალსაც გაუთენდებაო. 670

შდრ.: № 669

ერთი დღით ბატონობაც ბატონობა არისო. 671

- ერთი დღის საგზალი გინდ მუცლით გიტარებია, გინდ ზურგი-
თაო. 672
პატარა საგზალი გინდა მუცლით, გინდა ჭურჭლითაო.
ერთი დღის საგძალი თუნდა მუცელში, თუნდა გუდაშიო.
- ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო. 673
- ერთი კარი რომ მიიხურება, მეორე გაიღებო. 674
- ერთი კაცი გზასა ხნავდა და შარსა თესდაო. 675
შდრ.: № 2447
- ერთი კაცი თხასა ყიდდა და რქებს უქებდაო. 676
- ერთი კაცი სოფელს ვერ ააშენებსო, სოფელი კი ერთ კაცს ააშე-
ნებსო. 677
- ერთი კაცი წყალს მიჰქონდა და — ხომ მოგდევე, რაღას მანჯღრე-
ვო. 678
- ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. 679
გუგულის „გუგუ“ ზაფხულს ვერ მოიყვანსო.
ერთი ენძელა გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
ერთი ყვავილით გაზაფხული არ მოვაო.
- ერთი მუგუზალი ხრჩოლავს, ორს ცეცხლი უკიდია. 680
- ერთი მუჭა ბალახი აქლემსაც მალლა აახტუნებსო. 681
- ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა — ძმობააო. 682
დღეს ცნობა, ხვალ — ძმობაო.
- ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო. 683
ერთ პირს წყალიც დაიძინებსო.
ერთი პირი ძილი წყალმაც იცისო.
- ერთი პირიდან სითბოც ამოდის და სიცივეცაო. 684
ერთი პირიდან თბილიც ამოვა და ცივიცაო.
ერთი პირიდან კიდეც ცივა, კიდეც თბილაო.
შდრ.: № 1206
- ერთი პური წლამდის გორავსო. 685
ერთი მჭადი წლიდან წლამდე გორავსო.

- ერთი პურის მარცვლი ცხრაჯერ მისულა ქრისტე ღმერთთან: ვი-
საც ჩემი ყამი და ყადრი აქვს, იმას მიმეციო. 686
- ერთი რეგვენსაც დაეჯერებაო. 687
ზოგჯერ ბრიყვსაც დაუჯერებენო.
ერთხელ უნცროსსაც გაეგონებაო.
- ერთი რომ ასჯერა ვთქვა, ასი რამდენჯერა ვთქვაო. 688
ერთი რომ ათასჯერ თქვა, ათასი რამდენჯერაო?
- ერთი საღი თვალი ორ ბრუციან თვალს სჯობიაო. 689
- ერთი სულელი წყალში ქვას ჩააგდებს, და შვიდი ბრძენი ვერ ამო-
იღებსო. 690
ერთმა სულელმა ზღვაში ძვირფასი თვალი ჩააგდო და ასმ-
ჰკვიანმა ვერ ამოიღოო.
- ერთი ტიკისთვის არ იყო, ორში ასხამდნენო. 691
ერთ ხალთაში არ იყო, მეორეში ყრიდნენო.
ერთში არ იყო, მეორეში სდებდნენო.
- ერთი ფანდით ფალავანი არ დაეცემაო. 692
შდრ.: № № 694, 700
- ერთი ღორის გოჭები ყველა იჭმებაო. 693
- ერთი შემოკვრით ხე არ წაიქცევაო. 694
შდრ.: № № 692, 700
- ერთი შერჩა მელასაო, კიდევ ელის კბენასაო. 695
ერთი შერჩა მელასაო, სხვას დაუწყებებს დევნასაო.
ანატიეს მელასაო, მოუმბატა კბენასაო.
- ერთი ცხვარი ორჯერ არ გატყავდებაო. 696
ერთ ხარს ორი ტყავი არ გაძვრებაო.
ერთი ცხვარი ორ ალაგას არ დაიკვლებაო.
- ერთი ცხვარი ფარა არ არისო. 697
- ერთი ცხვრისკენ, მეორე მგლისკენო. 698
ზოგი ეშმაკისკენ იყოს, ზოგი — ღვთისკენაო.
სულ რომ ღმერთისკენ, ერთიც ეშმაკისკენაო.
- ერთი ძალლი და ერთი სახლიო. 699

- ერთი წიხლის კვრით ციხე არ დაინგრევავო. 700
 ის რა ციხეა, რომელიც ერთი ფეხის კვრით წაიქცევავო.
 იმის ციხეობას რა ვუთხრა, ერთის წიხლის კვრით წაიქცესო.
 შდრ.: № № 692, 694
- ერთი წლის ბერწობით ფური არ დაიკვლებათ. 701
 ერთი წლის სიბერწით ძროხა არ დაიწუნებათ.
- ერთი ხატი სალოცავად არ კმარაო. 702
 ერთი ხატის ლოცვა კაცს არ აცხონებსო.
- ერთი ხელი ჩუმად არის, ორი გაიღებს ტკაცანსაო. 703
- ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერო. 704
 ორი ნესვი ერთ სელში არ დაიჭირებო.
 შდრ.: № № 653, 1706
- ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცაო. 705
 ერთი ხიდან ნიჩაბიც გამოვა და ბარის ტარიცაო.
 ერთი ხიდან ეჩოს ტარიც გაითლება და ხერხისაცაო.
- ერთიმეორის ცქერით ძმებს სახლი დაეწვათო. 706
 შდრ.: № 716
- ერთის პატრონი ცას ბეწვითა ჰკიდიაო. 707
 შდრ.: № 708
- ერთის შემყურე — წყალში ჩამყურეო. 708
 შდრ.: № 707
- ერთმა გამტანმა აჯობა ას შემომტანსაო. 709
 შდრ.: № 711
- ერთმა მდიდარმა ერთი ღარიბი ვერ ააშენა და თვითონაც გაღარიბდაო. 710
- ერთმა მეკომბლემ აჯობა ას მეჭურჭლესაო. 711
 ცხრა მეჭოთნეს ერთმა მტეხელმა აჯობაო.
 ერთმა მქცეველმა ას ამგებს აჯობაო.
 ას მშენებელს ერთმა მნგრეველმა აჯობაო.
 შდრ.: № 709
- ერთმა ბილწმა თავგმა ასკოკიანი ქვევრი წაბილწაო. 712
 შდრ.: № № 668, 715, 2259

- ერთმა ფეხმოტეხილმა ტილმა ცხრა ლოგინი გადიარაო. 713
- ერთმა ღორმა ჯავახეთი ამოაგდოო. 714
- ერთმა წვირიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო. 715
ერთი გასვრილი ღორი ყველას გასვრისო.
წუწკი ღორი სხვებსაც გასვრისო.
შდრ.: № № 668, 712, 2259
- ერთმანეთისა ბაძითა სახლი აივსო ბრანძითა. 716
ერთმანეთისა ცქერითა სახლი აივსო მტვერითა.
რძალ-დედამთილის ჯიბრითა სახლი აივსო ნაგვითა.
შდრ.: № 706
- ერთს მგელსაც მოიხდენენ ცხვარშიო. 717
- ერთს მომგვარე ჰქვია, ორს — მომისხიო. 718
ორსა მორეკე ჰქვია და ერთს — მოაგდე.
- ერთხელ ბადეში ნაცემი თევზი მეორედ არ ეცემაო. 719
შდრ.: № 1662
- ერთხელ გავიქეცი და მაშინაც წავიქეციო. 720
შდრ.: № № 722, 723, 724, 970
- ერთხელ გასვრით ბავშვი ვის გადაუგლიაო. 721
- ერთხელ შევედი საყდარში და მაშინაც თვალი ვამოვიტხარეო. 722
შდრ.: № № 720, 723, 724, 970
- ერთხელ შეჯდა მწყერი ხეზე და მაშინაც ტოტი მოუტყდაო. 723
მწყერს ხეზე შეჯდომა უმძიმდა და ქარი აუტყდაო.
შდრ.: № № 720, 722, 724, 970
- ერთხელ წაველ წირვაზედა, ფეხი მომტყდა ყინვანზედა. 724
შდრ.: № № 720, 722, 723, 970
- ერთხელ ჯოჯოხეთსაც მიადგება მზეო. 725
- ერთხელაც იქნება — თხა მგელი იქნება. 726
- ერთხელაც იქნება, მელას საქათმის კარზე გაუთენდებაო. 727
ერთხელაც იქნება, მელას საქათმეში დაათენდებაო.
შდრ.: № 1540

ერთხელაც იქნება ნაგუბარში წყალი ჩადგებო. 728

შდრ.: № 415

ერკემალი რომ კლდეზე გადავარდეს, მთელი ფარა თან გადაჰყვე-
ბაო. 729

ეს ვირი ხომ ბედია და ჩონჩორიკიც მეტიაო. 730

ეს ფლავი თუ კარგია, ხან თქვენსაო და ხან ჩვენსაო. 731

რძის ფლავი რომ კარგია, ხან ჩემსას, ხან შენსასო!

ეს ქათამი ჩვენთან კაკანებს და კვერცხს სხვაგან დებსო. 732

ეს ქალაქი რადა ღირსო და — ერთი გულის ჯავრის ამოყრადაო. 733

ერთი ჯავრი ბაღდადა ღირსო.

შდრ.: № 4568

ეს ძაღლი ამ ძაღლისაო, ორივე — ამ სახლისაო. 734

ძაღლი არის ძაღლისაო, ორივე ერთის გვარისაო.

ესიკელას ქორწილი, გოგისელას ხარჯიო. 735

ეშმაკები ერთმანეთის მტრები არიან, კაცის წასახდენად კი დამო-
ყვრდებიანო. 736

ეშმაკი თუ არა ხარ, მანდ რას ყუყიხარო. 737

თუ ეშმაკი არა ხარ, მაგ მაღალ მთაზე რად ყუნტიხარო.

ეშმაკი მდიდარს აკვანს ურწევსო. 738

ეშმაკი წყლის ფერიაო. 739

ეშმაკი ჯოჯოხეთს არ დაანგრევსო. 740

ეშმაკი თავის ბუდეს არ დაანგრევსო.

ეშმაკის შენახული ანგელოზმა გაიხმარაო. 741

ეშმაკის წინ მალაყს ვერ გადახვალო. 742

ეშმაკმა ეშმაკს დაუძახა: „შე კოჭუკულმართო!“ „რატომ დამიძა-
ხეო“ და „შენ დამასწრებდიო!“ 743

ეშმაკმა თქვა: სანამ ამოკლებდნენ, იქ ვიყავ და როცა დაგრძელება
დაუწყეს კი მოვეუსვი და წამოვედიო. 744

მელას უთხრეს: გრძელს რომ ამოკლებდნენ, სად იყავიო? — იქ

ვიყავიო; — მოკლეს რომ აგრძელებდნენ, მაშინ სადღა იყავიო? — იქ აღარ ვიყავიო.

ეშმაკს თვალი არ უჩანსო. 745

ეშმაკს არ ძინავს.

შდრ.: № 2175

ეშმაკს კლდეზედაც არა უშავს-რაო. 746

ეშმაკს ნეკი რომ მისცე, მთელ ტანს წაიღებსო. 747

ეშმაკს რომ თითი მისცე, მთელ ხელს წაგართმევსო.

ეწერმა თქვა: მე რომ ეწერს არ მეძახოდნენ; ოცდახუთნაირი ჭირის წამალი ვარო. 748

ეკვს ბევრი თვალეზი აქვსო. 749

3

ვაი ამითაო — მოგკვდე ღამითაო. 750

ვაი ამითაო — ქურდი ღამითაო.

— ვაი, ბატონო, მელვინე მოგიკვდაო და — ვაი მელვინის ბრალე, თორემ ბატონი მელვინეს კიდეც იშოვისო. 751

ბატონს მელვინე მოუკვდა და რაღა ეშველებაო? — ვაი მელვინის ბრალი, თორემ ბატონს მელვინე გამოუჩინდებაო.

— ვაი, დედავ, რა შვილი გიკვდებო და — მაგდენიც არაფერიო. 752

შდრ.: № 4790

ვაი ვისაო და — ერთის პატრონსაო. 753

შდრ.: № № 1357. 1980

ვაი კუტი კალიის ბრალი. თორემ ფრთიანი გაჰრინდებაო. 754

ვაი ძველის გამგდებს და უი ახლის მომკიდესაო. 755

ვაის გავეყარე, უის შევეყარე. 756

ვაის გავეჭეცივ; უის შევეჭეცივ.

ვალი ჭუჭრუტანიდან შეძვრება და კარებიდანაც ველარ გამოეტევაო. 757

ვალმა თქვა: ქუქრუტანაში შემოვძვრები და კარებში კი ვეღარ
გავეტივიო.

ვაჟი მყავდეს ქორჩიანი, ქალს მოვიყვან ქრთამიანსა. 758

ვარაყიან ნაჭუქსა გული ჭიანი აქვსო. 759

ვარდი მოკრიფე და ეკალს ცეცხლი წაუკიდეო. 760

ვარდი სანებვეზედაც გაიზრდებაო. 761

სანაგვეზე ვარდი ამოვაო.

ვარიას რომ კვერცხის დადება მოუნდება, კაკანს დაიწყებსო. 762

ვაშლი რომ მალლა შეაგდო, მის ჩამოვარდნამდისაც დრო გაივლი-
სო. 763

ვაშლი შეაგდე — ხანი გამოვა.

ვაშლი შეაგდე, სუნამ ჩამოვარდება, იმაშიაც დრო გამოვაო.

ვაჭარი მუხლმა აჭეროსო. 764

ვაჭრობას დედ-მამა არა ჰყავსო. 765

ვდიე — ვერ მივეწიე, დავდექ და მოვუცადეო. 766

გდიე — ვერ დაგეწიე, დავჯექ და მოგიცადეო.

ვენაცვალე ქარსაო, მოიტანა კარსაო. 767

ვერიდებოდი ღოღოსაო, დამხვდა სოფლის ბოლოსაო. 768

ვეშაბი ისეთს არას ჩაყლაპავს, რომ ვერ მოინელოსო. 769

არწივმა შუა ძვალი იმიტომ ჩაყლაპა, რომ მონელების თავი
აქვსო.

შდრ.: № 1358

ვიდრე ჰკვიანი დაფიქრდეს, გიყი ხიდს გადაირბენსო. 770

მანამ ჰკუიანი მოიფიქრებდა, სულელი ფონს გავიდაო.

ვიდრე ჰკვიანი მოიფიქრებდა, გიყმა შვილი კიდეც დაასახლაო.

ვიდრემდის ღმერთი მწყალობდა, ცხრა დიაკვანი მყვარობდაო. 771

ვინ აგებს და ვინ აქცევსო. 772

ვინ „ალალო“ იძახა და ვინ მწყერი დაიჭირაო. 773

მე „ალალ-ალალს“ ვიძახდი, სხვები მწყერს იჭერდნენო.

ვინ მოკლა ხარი-ირემი, ვინ არაკრავებს კულასაო.
შღრ.: № № 78, 475

ვინ გამლანძღავს და — ჩემი გაზრდილიო. 774

ვინ იტყვის — ჩემი ღო მკავეაო. 775
შღრ.: № 1630

ვინ უფრო საბრალაო და — სიდედრი სიძის კარზეო. 776
დედამ ჰკითხა მზესა: შვილო, ქვეყანაზედ ყველაზე ბეჩავი რა
გინახიაო? — ქალი სახლში დამრჩალი და სიდედრი სიძის
კერასაო.

ვინც ათჯერ მოითმინა, მეთერთმეტეჯერაც მოითმენსო. 777

ვინც აიკიდა გოდორი, იმან შეჰამა კოტორი. 778
თითონ ავწევ გოდორსაო. თითონ ავჰკმეჰ კოტორსაო.
ასწიე გოდორსაო, დაჰკმიჰე კოტორსაო.
შღრ.: № № 781, 3447.

ვინც აკაკუნებს, იმას უღებენო. 779
დააკაკუნე და გაგიღებენო.

ვინც „ანი“ თქვა, იმან „ბანიც“ უნდა თქვასო. 780
ვინც ანი იცის, იმან ბანიც უნდა იცოდესო
შღრ.: № 789

ვინც არ გაირჯება, პურსაც ვერ მისწვდებაო. 781
შღრ.: № № 778, 3447

ვინც არის ნება ჩემიო, ის არის დედაჩემიო. 782

ვინც ასწევს, კიდევაც დასწევსო. 783

ვინც გააჩინა თხაო, მან დაუგრიხა რქაო. 784
რა ღმერთმაც ცხვარი გააჩინა, რქაც იმან დაუგრიხაო.

ვინც გაიქცა, ის წაიქცაო. 785
არც გაიქცევა, არც წაიქცევა.

ვინც ერბოს აწონის, ხელს გაისვრისო. 786
ვინც თაფლს ხელს ახლებს, ხელს გაითაფლიანებს.

ვინც ერღო მოსნა, ისიც მოკვდაო. 787
ვინც ღამე ხნა, ისიც მოკვდაო.

ვინც ვირს საპნით თავს დაბანს, საპონს ტყუილად წააღევსო. 788

ვინც თავი თქვა, ბოლოც იმანაო. 789

ვინც თავისა არა თქვა, იმისი ვერც ბოლო გაიგესო.

თავი არა თქვა, ბოლო არ იყოო.

ვინც თავი არ იცის, ბოლოც არ იცისო.

ვინც თავი ვერ გაიგო, ის ბოლოსაც ვერ მიხვდებაო.

შდრ.: № 780

ვინც თავს მალლა წაიღებს, ფეხს წაიკრავსო. 790

ვინც თავს მალლა აიღებს, თავს გაიტეხსო.

ვინც თავისთვის ავიაო, იმის სული შავიაო. 791

ვინც თავის თავისთვის არ იყო, იმის ბედი შავი იყოო.

ვინც თავისთვის არ არის, სხვისთვისაც ვერ იქნებაო.

ვინც იცის — ცეცხლიაო, ვინც არა და — ცერცვიაო. 792

ვისთვის ცეცხლია და ვისთვის — ცერცვიაო.

ვინც იცის — იცის, ვინც არა და — ბაკლა ცერცვი ჰგონიაო.

შდრ.: № 4798

ვინც კატას არ გაიჩენს, თავებებს მოიმრავლებსო. 793

ვინც მალე ჭრის, ის დიდხანს ნანობსო. 794

ვინც აჩქარებულა, უნანიაო.

შდრ.: № 67

ვინც მეზობლის იმედით იქნება, უვახშმოდ დარჩებაო. 795

ვინც მირბოდა, ისევე იძახდა: ნუ მივრბივართო! 796

ვინც მოდიოდა — ფქვაავდა, ვინც არა — ჯერს კითხულობდაო. 797

წისქვილში ვინც მიდიოდა, ფქვაავდა, ვინც ამბავს ტყობილობდა, მშიერი რჩებოდაო.

ვინც მოითმენს — ვერცხლიაო, ვინც არა და — ცეცხლიაო. 798

ნეტავი იმას, ვინც მოითმენს, ვაი იმას — ვინც ვერაო.

შდრ.: № № 799, 1517

ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. 799

შდრ.: № № 798, 1517

ვინც მოხადა ქვევრიო, იმას ერგო ბევრიო. 800

ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. 801

წისქვილს ჩემი ეყაროს და ვინც რა უნდა თქვასო.
ხაჭაპურები და ღვინო ხომ თავისას ფქვესო.
ვინც რა უნდა თქვას, ჩვენ კი ჩვენი ვქნათო.

ვინც სავსე ჯამში ხელს ჩაყოფს, გემოსაც ის გაიგებსო. 802
შდრ.: № 890

ვინც სვამდა, ისევ იმას სწყუროდაო. 803

ვინც ფლავს გაქცევა, კოვზი გაუტყდებო. 804

ვინც ქარს შეაფუროთხებს, თავის თავს შეაფუროთხებსო. 805
შდრ.: № 1465

ვინც ცხენიდახ არ ჩამოვარდნილა, ცხენოსნობას ვერ ისწავლი-
სო. 806

ვინც ჭამსო, ის ზღავსო. 807

ვინც ჭამაო, ისევ ზლოო.

ვინცა ჩქარი, ის მაძლარიო. 808
შდრ.: №169

ვირზე იჯდა, ვირს უშენდაო. 809
შდრ.: № 1198

ვირზე შეჯდომა ერთი სირცხვილია, ჩამოვარდნა — მეორეო. 810

ვირი დაბერდა და თოხარიკობა მაშინ დაიწყოო. 811
ცხენი დაბერდა და თოხარიკი მაშინ ისწავლაო.
ვირმა სიბერის დროს იორლაობა დაიწყოო.
შდრ.: № № 147, 1974

ვირი ვირად დარჩება. ვარსკვლავებითაც რომ შემოსოო. 812
ვირი ვირად დარჩებაო.
შდრ.: № № 97, 829, 859, 1079

ვირი თავის გვარ ჩოჩორს მოიგებსო. 813
შდრ.: № № 910, 561, 562, 1810, 1890

ვირი კარგ ბავაზე ება, მაგრამ ვერ იშენედაო. 814

ვირი მოგებაზე წავიდა, ნალებიც იქ დარჩაო. 815
ვირი სასოვდაგროდ წავიდა, ნალებიც იქ დაჰყარაო.
ვირი მოგებაზე წავიდა და ყურნიც იქ დასხნაო.

ვირი ნაგრობს და ცხენი სჭამს, ვირო, შენ ისევ ვირი ხარო. 816

ვირი ორშაბათსაც ვირია და ოთხშაბათსაცო. 817

შდრ.: № 35

ვირი რომ ბატონად გყავდეს, „ჰაცე“ არ უნდა შეჰკადროო. 818

ვირი რომ უფროსადა გყავდეს, „აჩიობას“ ნუ ჰკადრებო.

ვირი საღმთოში არ დაიკვლება, მაგრამ ვირის ფულით კი საღმთოს
გადაიხდიანო. 819

ვირი სამხთოდ შეიძლებაო? და — ვირი გაყიდე და ცხვარი იყი-
დე და სამხთო იქნებაო!

ვირი ფუნდრუქს არ მოიშლისო. 820

ვირი ქორწილში დაპატიუეს და წყალი მაინც იმას აზიდვინესო. 821

ვირი შექამეს და კულზე გაწყურენო. 822

ბოდბელმა ვირი შექამა და კულზე გაწყრაო.

ვირი ჩარბოდა ცხენთანა, — მეც ბელაური შენთანაო! 823

ვირი ჩამორბის ცხენთანა, — მეც იორლა ვარ შენთანა!

კუი დადგა ცხენთანაო, — დავედრები შენთანაო!

შდრ.: № № 261, 834, 1271

ვირი ხუცად იყო და ცოცხლებსაც მარხვა დაუწყოო. 824

ვირი ჯერ დააბი და მერე ღმერთს მიანდევო. 825

ვირიდან ჩამოვარდნილს ცხენზე აღარ შეეჯდომებოა. 826

ვირის დამკოდავს საპონი მეტი ეხარჯებოდაო. 827

ვირის დამკოდავს ორი შაურის საპონი მეტი წაუვაო.

ვირის ზურგს ვირის კურტანი მოუხდებოა. 828

ვირის თოფრამ თეირანი მოიარა, ისევ თოფრად დარჩაო. 829

ვირის თოფრა სტამბოლს წაიღეს, ატარეს და ისევ ვირის თოფ-
რად მოიტანესო.

ვირი ქაბას წავიდა, ისევ ვირად მოვიდაო.

შდრ.: № № 97, 812, 859, 1079

ვირის კული არ დაგრძელდებაო. 830

შდრ.: № 4351

- ვირის მადევარი მის ტლინკებსაც უნდა უძლებდესო. 831
- ვირის წიხლი არ უნდა გეწყინოსო. 832
 ვირის წიხლი არავის ეწყინებაო.
 ვირის წიხლი რა საწყენიაო.
 ვირის წიხლი მეტკინება და კი არ მეწყინებაო.
 შღრ.: № № 10, 1732
- ვირმა ზურგის ფხანაში კოჭლი ფეხი გაისწორაო. 833
- ვირმა თქვა: ბედაურებში ერთი მეც გავიჩაქჩაქებო. 834
 შღრ.: № № 260, 823, 1271
- ვირმა თქვა: ვისაც ზურგს მივეშვერ, ქოჭს ის დამადგამსო. 835
 შღრ.: № 873
- ვირმა მგელი დაინახა და თავი ეკალში დამალაო. 836
 ვირი რომ მგელს დაინახავს, თავის შიშით წინ წავაო.
- ვირმა ნარი მოიტანა, დაჯდა — თვითონვე დახვრიმაო. 837
 მოსულა, მოუტანია, დამჯდარა, შეუჭამია.
 ვირმა ნარნი დათხარნაო, იქავ თავად დაჭამნაო.
- ვირმა პალო მოთხარა, ერთი პატრონს ჰკრა, თხუთმეტი თვითონ
 მოირტყაო. 838
 ვირმა პალო მოთხარა, ერთს რომ სხვას მოახვედრებდა, ოცს
 თვითონ დაირტყამდაო.
- ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო! 839
- ვირმა რომ ხტომა არ იცოდეს, როგორ შეიკუნტრუმებდაო. 840
- ვირმა ყროყინი რომ არ იცოდეს, პატრონს როგორ გააგებინებს აქა
 ვარო. 841
- ვირს ბედსა სტენინდენ და ისევ გადმოაგდებდაო. 842
 ვირს ბედსა სწევდნენ, წიხლი ჰკრა და გადმოაგდოო.
- ვირს ბევრი სცემეს, მაგრამ თავისი არ მოიშალაო. 843
- ვირს დაემუქრნენ: ყურებში მოგკიდებთ ხელს და ცხრა მთას შემო-
 გატარებთო და — თქვენც ჩემთან არ იქნებითო! 844
 — დაგტაცებ ხელს და ჭალაში ხრიალს ჩაგატანინებო: — შენც
 ხომ იქ ჩამომყვებით!

ვირს თოფრა ჩამოაცვეს და — იუროყინეო! 845

ვირს თუ მოშივდა, სირბილში ცხენიც ვერ აჯობებსო. 846

ვირს თუ ფეხის მოტეხა არ უნდა, რკინას წიხლი არ უნდა ესრო-
ლოსო. 847

ვირს კურტანს არ მოხდიან, აქაო-და უხდებაო. 848

ვირს კურტანი არ მოხადეს, აქაო-და შევენისო.

შდრ.: №5186

ვირს მარილს აზიდვინებენ და არ ალოკვინებენო. 849

ვირს რამდენ მარილს მოატანინებენ, განა ყველას იმას მოატლა-
კვინებენო.

შდრ.: № 852

ვირსა მგელს შეაჭმევს მუტრუკის კუნტრუშიო. 850

მუტრუკი თავის კუნტრუშით დედას მგელს შეაჭმევსო.

ვირს პიტნა სძულდა, ცხვირში სტენიდნენო. 851

ვირს პიტნა სძულდა, მიუტანეს და ცხვირწინ დაუდევსო.

ვირს პიტნა სძულდა და ცხვირწინ ეტუზებოდაო.

ვირს რასაც აკიდებენ, განა თვითონვე შეაჭმევენო. 852

ვირი რასაც აიკიდებს, განა მისი საჭმელიაო.

რასაც ვირი აიკიდებს. ამისი როდიაო.

შდრ.: № 849

ვირს რომ ზურგი აჭკავდება, სახაბაზოს მიადგებაო. 853

ვირს რომ ზურგი მოეფხანება, წისქვილის კარებს მიადგებაო.

ვირს რომ აკიდება მოუნდება, წისქვილში შეიხედავსო.

ვირს რქა არ ამოუვიდა, თავი პატარა ეგონაო. 854

ვირს რქები არ ამოსვლოდა და თავის თავი მუტრუკი ეგონაო.

დოლა თხამ წყალში ჩაიხედა: ჯერ რქები არა მაქვს, პატარა
ვარო.

ძროხას რქები არ ამოუვიდა, „ქოჩიჩ-ქოჩიჩს“ უძახდენო.

ვირი ხბორებში გაერია და თავი პატარა ეგონაო.

ვირს უნაგირი ცხენად ვერ აქცევსო. 855

- ვირს უთხრეს: შენი ზრდილობა გვაჩვენეო და ტლინკები აჰყარაო. 856
- ვირს უთხრეს: აბა შენი ზრდილობა გვაჩვენეო და ტალახში ჩაგორდაო.
- ვირს უთხრეს: აბა შენი ბანი გამოიჩინეო და კული აიშვირაო.
- ვირს ყროყინს ნუ გააჯავრებ, თორემ ვირის ყურები გამოგებმისო. 857
- ვირს ყურები ჩამოეშვა, კატა კანჭებს აქაწრიდაო. 858
- ვირს ცხრა სკოლა გამოატარეს, ისევ ვირი იყოო. 859
შდრ.: № № 97, 812, 829, 1079, 2409
- ვირს ქედდნენ და წიხლს ისროდაო. 860
- ვირს ჰკითხეს: რამდენი ცოლი გყავსო და მთელ ნახირზე მიუთითათაო. 861
- ვის მოსწყენია თავი მეფედ, ცოლი — დედოფლად. 862
- ვის უნდა, ორივე თვალთ ბრმა იყოსო! 863
თავის თვალები ბრმა ვის უნდაო!
- ვის უჩივი და — ბატონსაო, ვისთან ჩივი და — ბატონთანაო. 864
- ვისაც არ მისდევენ, არც გარბისო. 865
- ვისაც ასი კაცი აძაგებს, ის ას კაცად ღირსო. 866
- ვისაც აღმართზე ასვლა გაუჭირდება, იმას დაღმართზე ჩასვლაც გაუჭირდებაო. 867
- ვისაც გული არა სტკივა, იმას ცრემლი არა სცვივაო. 868
ვისაც ცრემლი არა სცვივა, იმას გული არა სტკივაო.
- ვისაც დედას მივცემ, მამა იქნებაო. 869
დედას ვისაც მივცემ, მამას იმას დავუძახებო.
- ვისაც ემძახლეო, იმას ემსგავსეო. 870
შდრ.: № 877
- ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზი ის არისო. 871
- ვისაც ზამთარში ლხინი უნდა, ზაფხულში უნდა გაისარჯოსო. 872
შდრ.: № 904

ვისაც ზურგს მიუშვერ, ყველა დიდ ქვას დაგადებსო. 873
შდრ. № 835

ვისაც ზღვა უნახავს, მას ღვარისა არ ეშინიაო. 874

ვისაც თევზი უნდაო, ფეხი სველი უნდაო. 875
ორაგული თუ გინდა, ტანიც სველი გინდოდესო.
წყალში დაუსველებლად თევზი არ დაიჭირებო.
შდრ. № 1420

ვისაც თონე ცხელი აქვს, პურსაც ის გამოაცხობსო. 876

ვისაც მიჰყავდე, იმას მიჰგავდეო. 877
შდრ.: № 1829

ვისაც მწნარი წყალი უნდა, წყაროზე უნდა წავიდესო. 878

ვისაც ნემსის დაკარგვა არ დაენანება, არც აქლემის დაკარგვა დაე-
ნანებაო. 879

ვისაც რახა-რუხი ეზარება, სამკედლოში ნუ შევაო. 880

ვისაც საღვთო უნდოდა, ცხვარს იძახდა, ვისაც გაძლომა — ხარ-
საო. 881

ვისაც სახლი არ აუშენებია, დედაბოძი მიწიდან ამოსული ჰგო-
ნიაო. 882
ვისაც სახლი არ აუგია, ასე ჰგონია, ბოძები თავისთავად ამო-
სულაო.

ვისაც სიმინდი უყვარს, თოხიც უყვარსო. 883

ვისაც სხვისი მუშტი არ უფერდნია, თავისი მუშტი ბათმანი ჰგო-
ნიაო. 884

ვისაც უფროსისა არ ესმისო, იმის ვენახს არ ესხმისო. 885
შდრ.: № 5619

ვისაც ღმერთი აძლევს, კომბლითაც აძლევსო. 886
ვისაც ღმერთი ბედს მისცემს, ზურგს უკან კომბლით მისწევსო.
ბედი თუ მამცემსო, ცემა-ტყეპით მამწევსო.
შდრ. № 1047

ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, შვილის სიკვდილს ნუ შესჩივლე-
ბო. 887

- ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, სხვისი შვილის სატირლად ნუ წავაო.
- ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ღმერთმა ნურც ჩემი სიბერე აჩვენოსო. 888
- ვისაც ცხვარი არა ჰყავს, დანა მკრელი ექნებაო. 889
- ვისაც ხელი თაფლში აქვს, თითსაც ის გაილოკავსო. 890
თაფლი რომ წინ გედოს, ხელი უნდა გაილოკოო.
თაფლში რომ ხელი გკონდეს — გაილოკავო.
შდრ.: № 802
- ვისაც ჰყავს, იმას მოუკვდებაო. 891
- ვისიც ენა ჰართალიო, იმის საქმე მართალიო. 892
ვინცა ენაჰართალია, მისი ყველა მართალია.
ვისი ენაცა ჰრის, მისი ხმალიცა ჰრის.
- ვიცის დედა ტიროდა, არვიცისა — იცინოდაო. 893
შდრ.: № 1250
- ვკამე — ყლაპიას მეძახიან, არ ვკამე და — წუნიასაო. 894
შდრ.: № 363, 5525

ზ

- ზამთარი შემოტეული ჯობიაო. 895
- ზამთარს ეკონკეო, ზაფხულს ეკობტეო. 896
- ზამთარში ნაქერალი ცხენი ზაფხულში ლაშქარს გამოჩნდებაო. 897
- ზამთრის მზე ყვავილს ვერ მოიყვანსო. 898
- ზარმაც კაცს თავისი ხელ-ფეხი ნათხოვარი ჰგონიაო. 899
- ზარმაც მწყემსს საქონლის მობრუნება შორიდან მოუხდებაო. 900
კარგი მწყემსი ახლოდან მოღენის ნახირს, ცუდი — შორიდანაო.
- ზარმაც მკედელს კვირას მოუნდება მკედლობაო. 901
შდრ.: № 41

- ზარმაც ცხენს დეზის შემოკვრა სჭირდებაო. 902
შდრ.: № 1165
- ზარმაცისთვის ყოველდღე უქმეაო. 903
უსაქმო კაცისთვის ნიადაგ უქმეაო.
შდრ.: № 360
- ზაფხული ზამთრის მუშა არისო. 904
შდრ.: № 872
- ზაფხულში გველის შეშინებულს ზამთარში საბლის ეშინოდაო. 905
შდრ.: № 2180
- ზაფხულში დაფხვნილი ზამთარში გამოგადგებაო. 906
შდრ.: № № 872, 909, 904
- ზაფხულში მთესავი ზამთარში მთოხნელიო. 907
- ზაფხულში ჩეროს მძებნელსა ზამთარ ვინ მისცემს სითბოსა. 908
- ზაფხულში შენახული ზამთარში ცივი ქვაც თბილიაო. 909
შდრ.: № № 872, 904, 906
- ზაქარია ციციშვილი, რაც მამაა—ისიც შვილი. 910
ინდიშვილი, მინდიშვილი, რაც დედ-მამა, იგი შვილი.
ხემან მოისხა ხილიო, რაც მამა—ისიც შვილიო.
აყვავდა ხილი, დაისხა ხილი, როგორიც დედა, ისეთი შვილი.
შდრ.: № № 561, 562, 813, 1810, 1830
- ზევით ზიზილ-პიპილიო და ქვევით ტანი ტიტველიო. 911
ზევით დიზილ-ძმობილოო, ქვევით გამოწყობილოო.
შდრ.: № 2186
- ზეზე დაყრილი ქარსა და ქურდსაო. 912
- ზეცას წერო მიფრინავდა, ძირსა თლიდნენ შამფურებსა. 913
- ზევამა და წყალმა ანდერძი არ იცისო. 914
წყალი და ზოვი უანდერძოაო.
- ზეინში თავვი არ დაიხრჩობაო. 915
- ზოგი რჩებოდა ბედითა, ზოგი — ვერც მომჭირნებითაო. 916
ზოგი იზრდება ბედითა, ზოგი — ვერც გაჭირვებითაო.
ვინ ბედითა და ვინ უბედობითაო.

ზოგი სახლი რომ სახლია, ზოგი სახლიც — სასახლეაო. 917

ზოგი ჭირი მარგებელიაო. 918

ზოგი ფათერაკი ყისმათიანიაო.

ზოგიერთ კაცს ღმერთი უყვარს და პირჯვრის წერა ეზარებაო. 919

ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის — კაკალიც არაო. 920

ზოგის ჯიბეში ბამბაც ჩხრიალებს, ზოგისაში — კაკლებიც იმა-
ლებაო.

შდრ.: № 5204

ზოგისთვის ვერცხლი ცეცხლობს, ზოგისთვის — ცეცხლი ვერ-
ცხლობს. 921

ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს — მღვდლის ცოლიო. 922

კაცია — ხუცესი უყვარს, კაცია — ხუცესის ცოლი.

ზოგს მეფე ეყვარება, ზოგს — დედოფალიო.

ზოგს რძალი ტყუოდა, ზოგს — დედამთილიო. 923

ზოგს მღვდელი ტყუოდა, ზოგს — მღვდლის ცოლიო.

ზოგჯერ გაქცევაც კარგი ბიჭობააო. 924

შდრ.: № 5660

ზურგს უკან ხელმწიფესაც გალანძღვენო. 925

ზურგწამხდარ ცხენს ზეცაში კაჭკაჭები ელანდებო. 926

ზურგმოღლეტილი ვირი ცაში კაჭკაქს დაინახავსო.

ზურგწამხდარ ვირს ბუზის დანახვაზე კაჭკაქის ჩხავილი ეს-
მოლაო.

ზურნა რომ უცოდინარს მისცე, განიერი მხრიდან ჩაბერავსო. 927

ზურნის დამკვრელი თითონ ტკბებოდა ზურნის ხმითაო. 928

ზღვა ისე არ დაშრება, გუბის ტოლა არ დარჩესო. 929

შდრ.: №№ 98, 148, 149, 153, 405, 1351, 2002

ზღვა ფაფად გადაიქცა, უბედურს კოვზითაც არა ჰხვდაო. 930

ზღვა მაწვნად გადაიქცა და უბედურს კოვზიც არა ჰქონდაო.

ზღვა ფაფად გადმოვარდა, უბედურმა კოვზი ვერ იშოვაო.

ზღვას ძირი არ უჩანდა, ამბობდნენ უძირაო. 931

ზღვაში ლელი გახმა, რაკი ცის ნამი არ მოხვდაო. 932'

ზღვაში ქვიშას უმატებდნენო. 933

ზღვას ქვიშა აკლიაო!

ზღვას ქვიშა მიემატაო.

ზღვაც დაილევა კოვზითაო. 934

ზღვა ზღვაობით დაილევაო.

ზღვაც დაილეოდა, რომ წვიმის წვეთი არ ემატებოდესო. 935:

შდრ.: № 3000

თ

თაგვი ბუჯერში შიმშილით არ მოკვდებაო. 936

თაგვი რა იყო, ხვედას ებრძოდაო. 937

თაგვი სოროში ჩაძვრა, კუღზე გოგრას იბამდაო. 938

თაგვი ხერელში თვითონ ვერ ეტეოდა და გოგრის ჩატანა მოინდომაო.

მელა სოროში ვერ ეტეოდა და კუღზე ეკალს. იბამდაო.

თაგვი სულ წისქვილშია, მაგრამ ქვის მოკოდვა არ იცისო. 939

თაგვი ქვევრში ჩავარდა და კაცის ბრძოლაში გამოწვევა სცადაო. 940

თაგვის სოროში ლომს ქორწილად ეპატიყებოდნენო. 941

თაგვის შვილი ტომრის მჭრელი გამოვაო. 942

თაგვმა თქვა: კატაზე ძლიერი ნადირი არ მოიპოვებაო. 943

შდრ.: № 5469

თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო. 944

თაგვმა სასუსნის ძებნაში კატის ბრჭყალები იპოვაო.

შდრ.: № 2222

თაგვო, კატისა გეშინია და სოროდან კი ძვრებიო! 945

თაგვს საბან-ბუმბულში აწვენდნენ და თაგვისარაში გარბოდაო. 946

თაგვს ბუმბულში აწვენდნენ და სოროში მიძვრებოდაო.

ბუმბულში აწვენიდნენ და ის ეკლებში გარბოდაო.
შდრ.: № № 240, 478, 2375, 2847, 4815

თავად არ იყო ძმარო, შიგ აურიეს წყალიო. 947
ჯერ არ იყო ძმარო, ზედ დაასხეს წყალიო.

თავადების ახტალო საკამბეჩო გამხდაარაო. 949
შდრ.: № 260

თავდადრეკილი — კუდგაბზეკილიო. 950

თავდახრილი — კუდახრილიაო.

ქვეშ-ქვეშა და კუდაბზიკაო.

ჩუმჩუმა და კუდაგრძელიო.

თავდები ხელით ჰკიდიო. 951

თავდებს ხელი ჯიბეში უნდა ჰქონდესო. 952

— თავი ვინ მოგჭრა და—მკვიდრმა ძმამაო. 953

— ყელს ვინ გამოგჭრის და—მკვიდრი ძმაო.

თავი ვინ მოგჭრა და — ძმამაო; — კიდევ იმიტომ არის ასე ძირ-
ში მოჭრილიო.

თვალი ვინ გამოგთხარაო და—ნათლიამაო.

თვალი ვინ მოგთხარაო და შენიანმაო.

თავი იყოს, თორემ ქუდს კი იშოვნო. 954

თუ თავი იქნება, ქუდის მეტი რა არისო.

შდრ.: № № 1063, 2639

თავის დამკარგველი თმებს დასტიროდაო. 955

თავის დროზე დალეული შხამიც კი ტკბილიაო. 956

თავის კარებზე ძაღლსაც დიდი გული აქვსო. 957

ძაღლს თავის ეზოში დიდი გული აქვსო.

ძაღლი თავის კართან მამაციო.

თავის ბინაზე მხდალიც დიდგულიაო.

ყვავი თავის ბუდეში გულადიო.

შდრ.: № 2695

თავის სიმჩატე ფეხის სიმძიმეაო. 958

თავის სიმსუბუქე ფეხებს აწვებაო.

თავის უბედური ოსეთში გაყიდესო. 959

- თავის ქება კიტრად ღირსო. 960
 თავის ქება კიტრადაო, კიტრი კაპეიკადაო.
 თავის ქება დამპალ კიტრადაც არა ღირსო.
 თავის ქება კიტრად ღირს, სხვისი აუგი არც იმადაო.
- თავისისა თავში რაკუნიც კარგიაო. 961
 თავისისა თავში ცემა სჯობია სხვათა პირში კოცნასაო..
- თავმა იფიქრა და ფეხები გაიქცნენო. 962
- თავმდაბლობას მთებიც მოუდრეკიაო. 963
 თავმდაბლობამ ცანი მოღრიკაო.
- თავმთელის ქონებამდე თავგატეხილს მოეფერეო.. 964
 შღრ.: № 1918
- თავს იწონებს მწვანე კიტრიო. 965
 ტანიხილური კიტრი თავს იქებდაო.
- თავს მოგჭრი განა ხმლითა — ენითაო. 966
- თავწყალდასხმულს თავს ლაფი ესხმოდაო. 967
- თათარი და ქართველი ორივე ერთს ამბობდნენ და ერთმანეთისა არა
 გაეგებოდათ-რაო. 968
- თათარი ღორის ქურდობაში დაიჭირესო. 969
- თათარმა თქვა: წელიწადში ერთხელ მომინდა ნამაზის გაკეთება და
 მაშინაც ეშმაკებმა ხელი შემეშალესო. 970
 შღრ.: № № 720, 722, 723, 724
- თათარმა უთხრა თათარსა: შენც ალა დამიძახე, მეც ალას დაგიძახე
 და ორივე ალა ვიქნებითო. 971
- თათარო, შენი ჭირიმე, თუ ჩემი ძმა იქნებო. 972
- თათარს უთქვამს: კარგად ვიყავ — ავად გავხდი, უხლავ რაღა მომარ-
 ჩენსო. 973
- თათარს უთქვამს: ქართული ენა ბორძიკიაო. 974
- თათარის ნასახლარზე თათარხანი დადგებაო. 975
- თათარისა რა მიყვარს და — ერთი პირი და ათასი ხელიო. 976
- თათარის ქალი ორჯერ რომ მონათლო, მაინც თათარი დარჩებაო. 977

თამაშობას ხერხი უნდა, თორემ დათვმაც იცის ძუნძულიო. 978
თამაშობა თამაშობას ჰქვია, თორემ დათვმაც იცის ბაჯბაჯიო.
თამაშობა შუშპარია, თორემ ბრაცი-ბრუცი თხამაც იცისო.
შაქი უნდა შუშპარასა, ბრაცი-ბრუცი თხამაც იცისო.

თანხმობით ამოსუნთქვა ქარს ამოაგდებსო. 979

თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბალდადიდან მოვაო. 980

ღოვი იყოს, თორემ ბუზი ბალდადიდან მოვა და ჩაირჩვებაო.
თავზე მუნი მჭირდეს, თორემ მწერი ბალდადიდან მონახავსო.

თაფლი კარგია, მაგრამ ძაღლის გუდაშიაო. 981

თაფლი კარგია, მაგრამ ცოტა კუპრი ურევიაო.
ხორნაულთასაც თაფლივ ბევრია და ძაღლის გუდაში ძესაც.
ყველი კარგია, მაგრამ ძაღლის გუდაშია ნადებო.

თაფლი ტკბილია, მაგრამ ყველას როდი უყვარსო. 982

თაფლის მკამელსა დათვსაო ბუზი დაბზუის თავსაო. 983

თაფლს ლოკვით ჰამენ, ქიშმიშს — მარცვლობითაო. 984

თაფლი ლოკვით გათავდება, ქიშმიში — მარცვლობითაო.

თევზი თავიდან აყროლდებაო. 985

თევზი წყალში არ დაფასდებაო. 986

ზღვაში თევზი ვის დაუფასებიაო.

თევზის უინით ბაყაყი არავის შეუქამიაო. 987

თევზმა თევზს უთხრა: პატარა იქით მივიწიეო, და—საით მივიწიო,
ორივე ერთ ტაფაში ვიწვითო. 988

თევზმა თქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს
საგაეო. 989

თევზმა თქვა: პირი წყლით არა მქონდეს სავსე, მეც ვილაპარაკებდიო.

ბაყაყს უთქომ: სათქმელი ბევრია, მაგრამ პირში წყალიაო.

თევზს ბოლოთი ვერ დაიჭერო. 990

თეთრი თხა მყიდველს მსუქანი ეგონაო. 991

ყასაბს თეთრი თხა შიგნით გარემდინ ქონი ეგონაო.

თეთრი ცხვარი შიგნითაც თეთრი ეგონათო.

- თეთრი კბილი და შავი გულიო. 992
 შავ გულს თეთრი კბილი მალავსო.
 გული შავი, კბილი თეთრი არავისთვის მშურსო.
- თეთრი კბილი, შავი კბილი სიცილის დროს გამოჩნდებაო. 993
- თეთრი ძალლი და შავი ძალლი ორივე ძალლიაო. 994
- თეთრი ძალლი მატყლის ზარალიაო. 995
 ბამბის მპენტავს თეთრი ძალლი სძულდაო.
- თეთრი ჯორი გაიღეო და მტრის ჯავრი ისე ამოიყარეო. 996
- თვალდირიანი თვალფინჩიანს დასცინოდაო. 997
 შდრ.: № 2997
- თვალეშუა რომ ცხვირი არ იყოს, ერთმანეთს დასჩიჩქნიდნენო. 998
 თვალეშიც ვერ მორიგდებოდნენ, რომ მათ შორის ცხვირი არ
 ყოფილიყოო.
 თვალი თვალს შექამს, შუაზე რომ ცხვირი არ იყოსო.
- თვალი დაუდგეს ხუროსა, დაჯდეს და არახუნოსა. 999
 ჯანი გავარდეს ხუროსა, დაჯდეს და არახუნოსა.
 საქმე არ ჰქონდეს ხუროსა, დაჯდეს და აბრახუნოსა.
- თვალი რამ გამოგთხარაო და — ჩემმა სიკეთემაო. 1000
- თვალი რომ თვალს მოშორდება, გული გადასხვაფერდებაო. 1001
 თვალი შორსო და გულიც შორსაო.
 როგორც თვალი შორს, ისე გული შორსაო.
- თვალი სვამს და თვალი ჭამსო. 1002
 შექამანდს თვალი ჭამსო.
 თუ თვალმა არ ჭამა, გული ვერა ჭამსო.
- თვალს თვალისა სცხვენია და პირს პირისაო. 1003
 პირს პირისა სცხვენიაო.
 სახეს სახისა სცხვენიაო.
- თვალსა და თვალს შუა ცხვირი დაიკარგაო. 1004
- თვალში რა გჩხვლეთს და — ჩემივე წამწამიო. 1005
- თივა და ცეცხლი ერთად არ დაიდებაო. 1006
 ცეცხლი და თივა ერთად არ გამოდგებაო.

- ცეცხლი და ნავთი ერთად ვერ გვარობსო.
 თივასთან ცეცხლი არ მიიტანებაო.
 ზივამი ცეცხლი არ დაიმალებაო. 1007
- თითის ტკივილს გული გრძნობს, გულის ტკივილს — არავინაო. 1008
- თითო კუზიანი ოჯახს არ გამოელევაო. 1009
 ერთი კუზიანი ყველგან გამოერევაო.
 ოჯახში ერთი მახინჯი გამოერევაო.
 ოჯახი უგონჯოდ არ არისო.
 შდრ.: № 2178
- თითო მარიკელას თითო მოსიკელა არ დაელევაო. 1010
 შდრ.: № 82
- თითო ოჯახში თითო კოჭობი შექამანდი დულსო. 1011
 თითო კოჭობი ნაცარი ყველგანა დულსო.
 თითო ქოთახი ყოველ ოჯახში დულსო.
 თითო გობი ლაფი ყველგან დგასო.
 თითო კოვზი ძაღლის ფინთი ყველგან არისო.
 თითო მუგუზალი ყველგან ბოლავსო.
- თითო უპატიური კოვზი ყველა ოჯახშიაო. 1012
- თმიე-თმიეს კმიე-კმიე სჯობდაო. 1013
- თოვლი თეთრია, მაგრამ სიცივე ძნელი სჭირსო. 1014
 თოვლი თეთრია, მაგრამ ჭირივით მოელის კაციო.
 თოვლი თეთრია, მაგრამ მის წასვლას ყველა ნატრობსო.
- თოვლი თეთრია, მაგრამ ქვეყანა ზედ დადისო. 1015
- თოვლი იმისთვის მოკა, რომ ფეხი მოაზროსო. 1016
 თოვლი იმიტომ მოვა, რომ ან ხელს შესცივდეს ან ფეხსაო.
 ზამთარი მოვა, — ზოგს ხელს მოსწვავს, ზოგს ფეხსაო.
- თოვლი ძაღლის თავის ტოლად რომ მოჩანდეს მთაში, მაინც საში-
 შიაო. 1017
- თორმეტ კბილს რომ სიტყვა გადმოსცდება, თორმეტ მთას გადაივ-
 ლისო. 1018
 რამაც ცხრა კბილი გადიარა, იმან ცხრა მთა გადაიარაო.
 სიტყვა ცხრა კბილს გადმოსული ცხრა მთას გადავაო.

- თორნეს უთქვამს, ფიჩხი ბევრი ჩამაყარე, რომ პური მალე ამოყ-
 ყარო. 1019
 ფიჩხი ჩაპყარე, პური მალე ამოპყარე.
- თოფი და წამალი ხელმწიფისა, თვალის კიყევას რა უნდაო! 1020
 თოფის წამალი ამილახვრისაო, თორემ თვალის ამოკიყევას რა
 უნდაო!
- თოფი მეთოფეს, მეთოფე სოფელსაო. 1021
 თოფი მსროლელსაო.
- თოფს მსროლელი უნდაო. 1022
- თოფს უთქვამს: შვიდი წელი მატარე და ერთხელ გამოგადგე-
 ბიო. 1023
 იარაღი კაცს წელიწადში ერთხელ დასჭირდებაო.
- თოხი მიწას არ დასცილდებაო. 1024
- თუ არ იწვიმა, დაქუხებით ხომ დაიქუხაო. 1025
- თუ არ გქონდეს ხავიწიო, პური წყალში ჩაიწიო. 1026
- თუ ასატურას მიმცემდი, რაღას მალოდინებდიო. 1027
 თუ ეთერას შემერთავდით, რაღას მალოდინებდითო.
- თუ ბზუის ფუტკარი — თაფლს აგროვებს, თუ ჩუმად არის — მასზე
 ფიქრობსო. 1028
- თუ გავთხოვდი, გავთხოვდი, თუ არა და ჩვენებიანთ მელორე ხომ აქ
 არისო! 1029
 შდრ.: № 1862
- თუ გინება გძულს, ნურავის შეაგინებო. 1030
- თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმებაო. 1031
 გული გულობდეს, თორემ ქადა ორი ხელით იჭმებაო.
 თუ გული გულობს, ადამიანი ქადას ერთი ხელით ორს აიღებსო.
- თუ დამაცდი — მახარა ვარ, თუ არა და მასხარაო. 1032
 თუ მკითხავ — მიხა მქვია, თუ არა და — მიხრინკეო.
- თუ ვალი არა გაქვს, სხვას თავდებად დაუდექიო. 1033
- თუ ვერ იშოვო ველურიო, შინ დაკალი ყვერულიო. 1034

- თუ ვირი ხბოს მოიგებს, თევზიც საძოვარზე გაიგზავნებაო. 1035
- თუ თვალი ვერ ხედავს, სახეს არა სცხვენიაო. 1036
- თუ კატა მკვირცხლია, არც თაგვია დონდლო. 1037
თუმცა კატა მარდია, თაგვიც დამბლა როდია.
- თუ კაცს არა სწადია, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო. 1038
კაცს როცა არ უნდა, რიყეზე ისე გაივლის, ქვას არ დაინახავსო.
რიყეზე ჩაეიარე, ქვა ვერ დავინახეო.
შდრ.: № 4522
- თუ კაცსა ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებაო. 1039
- თუ-კი სიმართლე იქნება, ვენახს ღობე რად უნდაო. 1040
- თუ მარტის ღრუბელი გაცივდა, იანვარს გასცილდაო. 1041
- თუ მეცხვარეს სწადია, ყველი ერკემლისა შეიწურებაო. 1042
- თუ სამოთხე არ იქნება, ჯოჯოხეთი ხომ მზად იქნებაო. 1043
- თუ სახლში უფროსი არა გყავს, დედაბოძს დაეკითხოეო. 1044
ბებერა რო არა გყვანდეს, ბებრის ნაქონ ჯოხს დაეკითხე — სხვა-
თაოდენს ისიც გასწავლისო.
- კაცი თუ არ გყავდეს, კერიას გამოელაპარაკეო.
კაცს თუ მრჩეველი არა ჰყავს, კედელს დაეკითხოსო.
- თუ ღარიბი არა ხარ, ღარიბი მეზობელი ხომ მაინც გყოლიაო. 1045
თუ სისაწყულე არ გამოგიცდია, საწყალი ხომ მოგდგომია კარ-
ზეო.
- თუ ღმერთი მწყალობს, ეშმაკები ვერას დაგაკლებენო. 1046
თუ ღმერთი მწყალობს, მისი ანგელოზი რას დამაკლებსო.
ანგელოზები რომ შენკენ იყვნენ, ეშმაკი ვერას დაგაკლებსო.
ხატი მწყალობელი მყვანდეს, თორემ დეკანოზებმა რაც უნდა.
მიჰქარონო.
ცა მწყალობდეს, თორემ ღრუბელი რას მიზამსო.
სიღედრი მწყალობელი მყავ, სიმამრს რას შევეპუები.
შდრ.: № 5237
- თუ ღმერთს უნდა, ავანანთ ხევშიაც მოგვემს სიმდიდრესო. 1047
შდრ.: №886
- თუ შენი არაფერი იხარჯება, ღზინს ნურა გირჩევენია-რაო. 1048

თუ შენი არა იხარჯებოდეს, ლხინს ხუ დაერიდებო.

თუ ცეცხლში ერთი მუგუზალი ბოლავს, ცეცხლი არ აენტებაო. 1049

თუ ცული ტყუის, ცულის ტარიცა ტყუისო. 1050

თუ ცხელმა არ დამწვა, ცივი რას დამწვავსო. 1051

თუ წიწაკა არ გიჭამია, პირი რად გეწვისო. 1052

თუ ნიორი არ გიჭამია, პირი რად გიყარსო.

ვისაც წიწაკა უჭამია, პირიც იმას დაეწვისო.

თუ ხარ დიდი გორიო, გაძევს დიდი თოვლიო. 1053

კი ხარ გორიო, კი გძევს თოვლიო!

დიდ მთას დიდი თოვლი აძევსო.

თუმანს ცხრა მანეთი მიკლიაო. 1054

თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს კუნელსაო. 1055

თუშისთვის უკითხავთ: ტალკვესი გაქვსო? — მაქვს, მაგრამ ალვან-
შიაო! 1056

შდრ.: № 2609

თუშს უთქვამს: ნეტა ძმა მომცა და თუნდა ცხრა მთას იქით იყო-
სო. 1057

თხა გასუქდა და მგელთან ჭიდაობა მოინდომაო. 1058

ცხვარი გასუქდა და მგლის შექმა მოიწადინაო.

ღორი რომ გასუქდება, მგელს გაეჭედურებაო.

თხა და მგელი ერთად ვერ მოძოვსო. 1059

თხა ვიყიდე, თხა გაყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო. 1060

თხა იყიდა, თხა გაყიდა, რა წააგო, რა მაიგო.

თხა თავის დარდში იყო, ყასაბი — ქონისაშიო. 1061

თხა თხას მისწევს, ცხვარი — ცხვარსაო. 1062

ცხვარი ცხვართან მივა, თხა—თხასთანო.

ფარაში თხები თხებთან წავლენო.

შდრ.: № 1068

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შექამაო. 1063

თხა თხის უარესი მგელმა გამოხრასო.

- თხა იყოს, თორემ საკენეტი ბევრიაო. 1064
- თხა პატარაა, რქები კი დიდი აქვსო. 1065
- თხამ მღვდლობა მოინდომა, აქაოდა გრძელი წვერი მაქვსო. 1066
თუ მარტო წვერზე მივარდება საქმე, ვაციც დეკანოზად გამოდ-
გებაო.
- თხამ სანეკრე ნახა, სახტომი კი — აღარაო. 1067
თხამ კომბოსტო დაინახა და ღობე — ველარაო.
თხამ სანეკრე იშოვა და სახტომი — ვერაო.
წუწვი კამეჩი მხალს ხედავდა, ღობეს — ველარაო.
- თხას ათას სულ ცხვარსა, ერთი თხა ერჩივნაო. 1068
თხას თხა უნდა, ცხვარს — ცხვარიო.
შდრ.: №№ 206, 1062
- თხას თხის ფეხი აბიაო. 1069
- თხას თხის ფეხით დაჰკიდებენ, ცხვარს — ცხვრის ფეხითაო. 1070
· ცხვარს მისი ფეხით დაჰკიდებენო.
- თხას რომ გადაშენება მიადგება, ვაცობას დაიწყებსო. 1071
- თხას რომ წინ მგელი არ შეხვდეს, დაღესტანში გავაო. 1072
თხას რომ მგელი არ დახვედროდა, ქაბას აპირობდა სალოცავად
წასვლასაო.
- თხელი ქალამნის პატრონი გაძლებას ლაპარაკობდაო. 1073
თხელი ქალამნის პატრონმა გამძლეობა არა სთქვასო?
შდრ.: № 1139
- თხის პატრონს აღარც თხის კუდიო! 1074
ღორის პატრონს ღორის კუდიც აღარაო?

0

- იანვარში მეცხვარეს ცხვრები დაუპარსია, საქმეს წინ წავიგდე-
ბო. 1075
შდრ.: № 4802

იარაღს მტერი მოიტანსო. 1076

შდრ.: № № 1699, 1558

იაფი ყველაზე ძვირიაო. 1077

იაფი ყველაზე ძვირად დაგიჯდებაო.

იაფფასიან ხორცს წვენი არ გაუკეთდებაო. 1078

იაფი ხორცი წვენს არ გამოსცემსო.

იაფი ფასისაო — წვენი ძალღისაო.

იაფფასიან ხარს უღელი არ დაედგმებაო.

იერუსალიმს ვირი თოფრით გაგზავნეს, ისევე თოფრით დაბრუნდაო. 1079

შდრ.: № № 97, 812, 829, 859

იერუსალიმს მიმავალს ნურც დაუშლი, ნურც გაუპირდებო. 1080
ელურსამეთს წამსვლელ კაცს ნურც ააგულიანებ და ნურც დაუშლიო.

იერუსალიმში მიმავალს ნურც წასვლას ურჩევ და ნურც დარჩენასაო.

იერუსალიმს ნიორი გაგზავნეს, მოიტანეს — ისევა ყარდაო. 1081

იერუსალიმს ნიორი გაგზავნეს, — წმინდა ადგილია, სიწმინდეს მისცემსო, მოიტანეს და ისევა ჰყარდაო.

იესო ქრისტემ მთვრალი კაცი რომ ნახა, ყავარჯენს დაეფარაო. 1082

იესო ქრისტე ცოფიან ძალღს არ დაემალა და მთვრალ კაცს დაემალაო.

ივანიკამ თიბოსო, კიკოლიკამ ზიდოსო. 1083

იმ მეზობლის ჭირიმე, რომელიც კვერცხზე მარილს მომიყრი-
სო. 1084

იმას დასჯერდი ზონდაო, რაც მამაშენსა ჰქონდაო. 1085

შდრ.: № 103

იმერელი რომ გაუჩენია ღმერთს, თან გულიც დაუყოლებიაო. 1086

იმერელმა ნალი იპოვა და — ეხლა ერთი ცხენის და სამი ნალის მე-
ტი აღარა მაკლია-რაო. 1087

იმერელმა ნალი იპოვა და — ეხლა რალა მაკლიაო.

შდრ.: № 4814

- იმერელმა ნალი იპოვა და — ღმერთო, სარკინეთი ამოაგდეო. 1088
- იმერელმა ცხვარი იყიდა და მალი-მალ ღუმას უსინჯავდა, თხა არ გამოდგესო. 1089
- იმერელს მკადის სახელი დაავიწყდაო. 1090
კაცს თავისი სახელი დავიწყებიაო.
- იმერელს უთქვამს: სტუმარს რომ შემწვარი ხახვი მივართვა, მწვადად ჩამეთვლებაო. 1091
- იმერელს უთქვამს: საციქვლად პერანგსაც არავის დავუჭერ, თუ ჩემსავით იხმარებდნენო. 1092
- იმერელს უთქვამს: ცარიელი პურს რად შევკვამო. მოვითლი და ისევკვამო. 1093
იმერელს უთქვამს: დანა რომ მქონდეს, უშეჭამანდობას რას ვინაღვლიდიო, პურს მოვითლიდი და შევექცეოდიო.
- იმერელს უთქვამს: ცეცხლი ნურც სააქაოს დამილიოს და ნურც საიქიოსაო. 1094
- იმერელს ჰკითხეს: ყველაზე მძიმე რა არისო და — ცარიელი მუცელიო. 1095
- იმისთანა შიში დაიქცესო, რომ მეწისქვილის ვერ უთხრა — მსხვილდა ფქვეავს, წმინდათ დაფქვიო. 1096
- იმისი ცოცხალთ იციან, მკვდარს საით უზმენ თავსაო. 1097
თავად იციან ღთისშვილთა, მკვდარს საით უქმენ თავსაო.
მღვდელმა იცის, მკვდარს საითყენაც უზამს თავსო.
- იმიტომ ვუხნავ ალოსა, ხარები გამილალოსა. 1098
- იმიტომ ვძულდი თარხანსა, სიტყვას ვეტყოდი მართალსა. 1099
- ინდოეთში ვირი ხეზე გადიოდაო და — ეს ვირი და ეს ხე, აბა, აქაც გავიდესო. 1100
შდრ.: № 4342
- ირემმა ირემს ბალახი აუშვირა: ვიცი, არც შენ გაკლია, მაგრამ ერთმანეთის გულის დადებააო. 1101
ირემმა ირემს ბალახი აუშვირა: არც შენ გაკლია, მაგრამ თავაზა კიდევ სხვა არისო.

ირემმა ირემს ნეკერი უთავაზა, შენც ბევრი გაქვსო, მაგრამ
ჩემგანაც გეამებო.

ირემმა ირემს ფოთოლი წაუშვირა, შენც გეშოვება, მაგრამ სი-
ყვარულობა არისო.

ირემმა ირემსა ბალახი მოუკითხა, განა გაკლია — გემატებო.

ის თვალი დადგეს, რომელმაც ბუზი ბაღდადამდის ვერ დაინახო-
სო. 1102

ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა. 1103

ისე ვიყავ მე, როგორც ახლა შენ, ისე განახავ შენ, როგორც ახლა
მე. 1104

შდრ.: № 5790

ისევ ის ვირია, სხვა თოქალთო დაუხურავთო. 1105

ისევ ის თომაა, ისევ ის ტყავი აცვიაო. 1106

რაც თომაა, ის თომააო.

ისევ ის კვერია, სხვა კეცზე დაუცხვიათო. 1107

ისევ შეჩვეული ციებ-ცხელება სჯობია შეუჩვეველსაო. 1108

ისევ ჩემმა ნახულმა მგელმა შემჭამოსო. 1109

ისეთ ადგილას ნუ დაჯდები, რომ მალე აგაყენონო. 1110.

ისეთ ალაგს ნუ შეხვალ, საიდანაც გამოგადებენო.

ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა, გულისა არ ერიოსო. 1111

ის ხუმრობა შევარცხვინე, რომელიც ნახევრად მართალი არ
იქნებო.

შდრ.: № 1967

ისეთი გოდორი დაწანით, რომ თქვენ შვილებსაც გამოადგესო. 1112

შდრ.: № № 4789, 1823

ისეთი სანაგვე არა ვარ, რომ არ დაგჭირდეთ, — უთქვამს სანე-
ხვეს. 1113

ისეთი ხიდი გადევი, რომ შენმა შვილიშვილებმაც ზედ გაიარო-
ნო. 1114

ისეთმა მთამ დამაზრო ფეხები, რომლისაგანაც არ მოველოდიო. 1115
რომელი მთის იმელიც მქონდა, ფეხები იმან დამაზროო.

ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო. 1116
ასეთმა ფურმა დამწიხლოს, საწველელს მივსებდესო.
ასეთმა ფურმა დამწიხლოს, ღერგით მიდგამდეს ყველსაო.

იქაც მოვცდი ქორწილსაო, აქაც სადილობასაო. 1117
აქეთ მოვცდი ყოფასაო, იქით — ქორწინებასაო.
აქით დავცდი მთიბელთაო, იქით მესადილეთაო.
ვერც აქ მოვწვდი, მანდაც მოვცდიო.
შდრ.: № № 37, 4236, 4774

იქაც ცეცხლში, აქაც ღველფში. 1118

იქითკენ უნდა ეცადო, საითაც წყალი დგებაო. 1119

იღბალი აქვს ღიბლიზასა, ყველა მისკენ მიტლინკავსა. 1120

იცინი, გუდაო, გეწვება პირსაკრავიო. 1121

იხვმა თქვა: სიარულიც ვიცი, ფრენაც და ცურვაცაო. 1122

ბატმა თქვა: ჰაერშიც კარგად დავფრინავ და მიწაზედაც კარგად
დავიარებო.

3

კაბდომ იცის სამართალი, მაღალ-დაბალს გაასწორებსო. 1123

— კათალიკოზო, ქვეყანა დალოცეო და — მე თუ აღარ ვიქნები ქვა
ქვაზედაც ნუ ყოფილაო! 1124

ბოდბელმა თქვა: მე თუ აღარ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ ყო-
ფილაო.

ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე აღარ დარჩენილაო.

ჩემი სიკვდილის შემდეგ თუნდ ქვა თოვოსო.

კაი ყმის ნასახლარში ყორე არ დაიშლება და შეშა არ გათავდე-
ბაო. 1125

შდრ.: № 5306

კაი ყმის ნასადგომარს შეეტყობაო. 1126

კაკაბმა თქვა: ოცდაათობმეტი სიმღერა ვიცოდი, ისეთმა ალაღმა
დამქროლა, რომ ყველა დამავიწყაო. 1127

შაშვმა თქო: სამას სამოცდა ექვსი გალობა ვიცოდი, მიმინომ
დამიქროლა და ღღეს არცერთი აღარ ვიცო.

შაშვმა თქვა: თორმეტი გალობა ვიცოდი, მიმინომ სულ დამავიწყაო.

ჩიტმ თქვეევ: ცხრა ენა ვიცოდევ, მიმინო დამეტია და ცხრაივ დამაცილავ.

შოშიამ თქვა: ოცდაათი ენა ვიცოდი, მაგრამ ქარმა დამიქროლა, მიწაზე გამართხო და სულ დამავიწყაო.

კაკალი უნაქუტუოდ არ იქნებაო. 1128

კაკანა კაკაბი მახეში გაებმებაო. 1129

კაკანა ქათამი კვერცხს არ დადებსო. 1130

კალთაში მიჯდე და წვერს მაგლეჯდევ? 1131

კალთაშიაც გიზივარ და წვერსაც გაგლეჯო.

კალთით შემოტანილს ნემსის წვერით შემოტანილი სჯობიაო. 1132

კალმახს უთქვამს: წვიმის კამარა რომ არ შეწყდებოდეს, ზეცაში ავალო. 1133

კამეჩი მყავდა ნიკორა, ვაქებდი, არა იყო-რა. 1134

კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო. 1135

კამეჩმა თქვა: ქვეყნის დანგრევისა რომ არ მეშინოდეს, ისე გავიქცევი, რომ ფრინველიც ვერ დამეწევაო. 1136

შდრ.: № № 159, 2660.

კამეჩს რომ ცალი ფეხი მოგიტყდეს, ურემი ლაფში დაგრჩებაო. 1137

კამეჩსა კალანჩხით ბზე რას უზამსო. 1138

კამეჩს ლაქანით ბზე რას გააძლებსო.

კანთხელმა რა თქვას კანის სიმაგრის მეტით. 1139

კანთხელმა რა თქვა? — კანსქელზე მეტით.

ტყავთხელმა რა თქვა ტყავისისქის მეტით.

შდრ.: № 1073

კაპასმა ქალმა ძალდი დააბა და თითონ აყეფდაო. 1140

კაყის მჭამელი ქათამი თავს იღორებსო. 1141

კევის მღეჭავი თავის კუჭს ატყუებსო.

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. 1142

მთქმელს გამგონი უნდაო.
ავის მთქმელსაც კარგი გამგონე უნდაო.
შდრ.: № № 344, 2000, 3238

კარგ მონადირეს იარაღი არ დაეჯანგებაო. 1143

კარგ მოსავალს კარგი გამრიგე უნდაო. 1144
კარგ მუშაობას კარგი გაკვლევა სჭობიაო.
შდრ.: № 1162

კარგ მოხსულზე თესლი ერთიანად მოიმკებაო. 1145

კარგ საძირეს კარგი სარჩული უნდაო. 1146
შდრ.: № 4548

კარგ საძირკველზე კარგი კედელი ამოვაო. 1147

კარგი გუთნისდელითა გუთანს არ გაუჭირდებაო. 1148
კაი გუთნისდედა გუთანს არ გაუჭირვებსო.
ქრისტე ღმერთი რომ გუთნისდედად გყავდეს, გუთანს არ გაუ-
ჭირდებაო.
ქრისტე ღმერთი რომ შენი მეკვლე იყოს, კვალი არ გაგიმრუდ-
დებაო.

კარგი დედა მომეციო, კარგი მამაც ვიქნებიო. 1149

კარგი დიასახლისის ხელი საცერ-ვარცლს შეეტყობაო. 1150

კარგი თესლი კარგ მიწაში არ დალბებაო. 1151

კარგი იყოს ავადობა, ინატრებდა თავადობა. 1152

კარგი კარგსა — ცოტა ხანსაო. 1153

კარგი ღვინის ნაძირალი, კარგი კაცის ნაცოლარო. 1154
კაი ბიჭის ნაყოლი ცოლი და კაი ბიჭის ნაყოლი ცხენიო.
კაი კაცის ნაყანვეი, კაი ქალის ნაკაბევიო.

კარგი მეურმე ურემს ზამთარში გამოაწყობს, მარხილს — ზაფხულ-
შიო. 1155

კარგი მეწისქვილის სული ჭოჯოხეთშია, ავისა სადღა იქნებაო! 1156

- კარგი მოთამაშე კამეჩის ცოხნასაც აპყვებო. 1157
ვინც თამაშობა იცის, კამეჩის ხრამა-ხრუმზეც აპყვებო.
- კარგი მოკრივე გვიან გადმოვაო. 1158
თავი მოკრივე ბოლოს გამოვაო.
- კარგი მონადირე დაწოლილ კურდღელს არ ესვრისო. 1159
- კარგი ქალის ქმარს საგზალი არ ეჭირებო. 1160
- კარგი ქენი—ქვას დადევო, გაიარე — წინ დაგხვდებაო. 1161
სიკეთე ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება.
ერთი ფული გაცემული საიქიოს დაგიხვდება.
შდრ.: № № 1926, 3325
- კარგი შემნახავი სჯობია კარგ მომგებსო. 1162
კარგ მშოვნელს კაი შემნახველმა აჯობო.
შდრ.: № 1144
- კარგი შვილის დედ-მამას საკუროთხი არ უნდაო. 1163
- კარგი შვილისთვის სახლის აშენებაზე ნუ იზრუნებ, ავ შვილს ნუ დაუქცევო. 1164
- კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო. 1165
გვარიანი ცხენი წკიპურტსაც არ ირტყამსო.
კაი ცხენი დებს არ დაიკრავს და კაი ხარი — შოლტსაო.
კარგი ხარი სახრეს არ დაირტყამსო.
შდრ.: № 902
- კარგი ცხენი ქერს მოიმატებ, ავი — მათრახსაო. 1166
- კარგი ხარ, კარის მამულო, რომ არა გქამდეს ქათამიო. 1167
კარგი ხარ, საკარისპიროვ, ქათამ რო არა გქამდესო.
- კარგი ხარი საღამოხანს მოუმატებსო. 1168
შდრ.: № 5657
- კარგი ხარი უღელში გამოძდებაო. 1169
- კარგის მოქმედისა საფლავ-სამარე ამოწვიანო. 1170
შდრ.: № 5675
- კარგმა რა ქნა, ბოროტმა რა უნდა გვიყოსო. 1171
- კარგმა ქალმა არცა ქნა და არც თქვაო. 1172

- კარგსა საძრახისი, ავსა — ვაგლახისიო. 1173
 კარგთ ახიო, ყროლთ — ვაგლახიო.
- კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, — პარასკევია დღესაო. 1174
- კატა ზურგზე არ დაეცემაო. 1175
 კატა რომ გადააგდო, ფეხზე დადგებაო
 შდრ.: № 4414
- კატა თავთან მამაციაო. 1176
- კატა თავს რომ კულზე გაებას, თავიც იმისიაო. 1177
- კატამ შეჭამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო. 1178
- კატას თევზი უყვარს, მაგრამ ფენის დასველება ეზარებაო. 1179
 ციცას ფენის დასველების რო არ ეშინოდეს, თევზებს დაი-
 ჰკერდაო.
- კატას ისე უნდა სცემო, რომ ხელები არ დაგაფხაქნოსო. 1180
 კატა ისე უნდა დაიჭირო, რომ ბრჭყალები არ გაგკრასო.
- კატას უთხრეს: შენი ფინთი წამალიაო და ღრმად ჩაფლაო. 1181
 კატის ფინთი წამლად თქვეს, მივიდა და მიწა წააყარაო.
- კატას ფილტვი ესროლეს და იმასაც ეს უნდოდაო. 1182
 კატას ფილტვი უნდოდა და შიგ ცხვირში გაართყესო.
- კატას ძეხვი თავში ჩაჰკრეს და — ღმერთმა მაგისტანა მეხი ნუ მო-
 მაკლოსო! 1183
 კატას ძეხვი თავზე დაეცა და — ნეტავ ამნაირი მეხი ყოველთვის
 დამეცესო!
 კატას ჩაართყეს ძეხვიო, — დამეცა კარგი მეხიო!
- კატაც შეხედავს მეფესაო. 1184
 კატამ ნეფეს შეხედაო.
- კატის მანძილი საბძელიაო. 1185
 კატის სანადირო მანძილი დერეფანი და კალოაო.
 კატის გაქცევა საბძლამდისაო.
 შდრ.: № 1265
- კატის შვილი თავს დაიჭერსო. 1186

კატისთვის თამაშობაა, თავისთვის სულთა ბრძოლააო. 1187
კატა თავს ირთობდა და თავგი კვდებოდაო.

● კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. 1188
კაცი ფიქრობდა, ღმერთი გულს აცინებდაო.

კაცი გულითა ხარობს, ხე — ნაყოფითაო. 1189
კაცი გულითა, ხე ძირითაო.

კაცი გულითა ხარობს, ცეცხლი კი — უგულობითაო. 1190
ცეცხლი შეშით ხარობს, კაცი — გულითაო.
ყველამ გულით იხარა, ცეცხლმა — არაო.
ცეცხლს უთქვამს: ვაი, ჩემი ბრალი, ყველა გულითა ხარობს,
მე კი — არაო.
ცეცხლთავ გულს აწუხებენავ, კაცთავ — უგულობაივ.

კაცი დედამიწას ეუბნებოდა და ცას ემდუროდაო. 1191

კაცი ერთი ფეხით წინაც წავა და უკანაც დარჩებოაო. 1192
შლრ.: № 3646

კაცი ზღვას გადურჩა და ცვარმა დაახრჩოო. 1193
ზღვამ არ დაახრჩო კაცი და წვეთმა დაახრჩოო.
ზღვას ემალებოდა და ცვარმა დაახრჩოო.

კაცი კაცის გულისთვის შემწვარ ქათამს შექვამსო. 1194
შლრ.: № 4794

კაცი თუ ეკალთ არ გაება, ეკალნი არ გაებმიანო. 1195

კაცი — კაცითაო, ღობე — ქაცვითაო. 1196
კაცი — კაცითაო, თევზი — წყლითაო.
კაცი კაცითაა, ხე — ძირითაო.
კაცი კაცს მიატანს, ნადირი — ტყესაო.

კაცი კიდევ გაიქცა, კიდევ გაიფცქენაო. 1197

კაცი რომ ნავში იჯდეს, მენავეს არ უნდა ეჩხუბებოდესო. 1198
ნავში მჯდომს მენავესთან ჩხუბი არ გამოადგებაო.
ჯერ არ ვარგა ნავში ჯდომა, მერე — მენავესთან ბრძოლაო.
ურემში მჯდომი მეურმეს ეჩხუბებოდაო.
შლრ.: № 809

კაცი რომ აშენდება, სახლი მრუდედ ეჩვენებოაო. 1199

კაცი სცადე და თავი ააზატო. 1200

კაცი ტყუოდა, ხორცი — არაო. 1201

კაცი ჩამოსახრჩობად მიჰყავდათ და ცოლი ეუბნებოდა: წითელი ქოშები მიყიდეო! 1202

ქმარი ციხეში მიჰყავდათ, ცოლი კაბას უბარებდაო.

კაცი ცერცესა თესდა, თანაც პირში იყრიდა: ან მოვა და ან არაო. 1203

კაცის აშენებული ოჯახი ქალმა დააქციაო, ქალისა კი ვერც ეშმაკ-მაო. 1204

ქალის აშენებული საყდარი ღმერთმა ვერ დაანგრიო, კაცის აშენებული საყდარი ქალმა დაანგრიო.

ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურაო, ქალის გაუბედურებული კაცი ღმერთმა ვერ გააბედნიერაო.

კაცის დაქცევა თუ არ გინდოდეს, ყოველდღე ცეცხლს ნუ მისცემო. 1205

კაცის დაქცევა თუ გინდოდეს, ნურაფერს ნუ დაუკავებო.

თუ მეზობლის ამოგდება გინდა, ნურაფერს დაუკავებ და ვერაფერს შეიძენსო.

კაცმა თქვა: ამ ჩემი სულისა ვერა გამიგია-რა, ცივს ათბობს და თბილს აცივებსო. 1206

მთიულმა თქვა: ჩემი სულისა ვერა გამიგია-რა, შევეუბერავ—თბილა, შევეუბერავ — ცივაო.

შღრ.: № 684

კაცმა ისეთი ლუკმა არ უნდა გადაყლაპოს, რომ ვერ მოინელოსო. 1207

ისეთი ლუკმა ჩაყლაპე, ყელზე არ დაგადგესო.

კაცმა კაცის დარდი არ იცოდა, შუალამისას სიზმარს ეუბნებოდაო. 1208

კაცმა კაცს ვენახი აჩუქა და იმან ყურძენიც აღარ აჭამაო. 1209

მამამ შვილს ვენახი აჩუქა და შვილმა მტევანიც აღარ მიაწოდაო.

კაცმა კაცისა თქვა, საქმემ — ორივესიო. 1210

- კაცმა ჩიტს თოფი დააცილა და — ჩემი სელიდან ხომ მკვდარიყო!
1211
- კაცმა ძალი დასაქმა, ძალმა — თავისი კუდიო. 1212
ძალი დასაქმეს და მანაც თავისი კუდიო.
შდრ.: № 230
- კაცმა ხელეჩო დაკარგა და — ვაი თუ გარეთა პირიდან გაღესონო!
1213
შდრ.: № № 1219, 1231, 2909
- კაცო, საბელი მათხოვეო და — ზედ ფეტვი მიყრიაო. 1214
მეზობელს თოკი სთხოვეს და — ფეტვი უნდა გაეშალოო
- კაცს გამოულოცეს და უარესი ქნაო. 1215
შდრ.: № 197
- კაცს ზურგზე სცემდნენ და — ვაი, მუცელოო! 1216
- კაცს თავი სტკიოდა და წამალს ფეხებზე უსვამდნენო. 1217
- კაცს თავისი ბრალი ზურგზე ჰკიდია, სხვისი კი — ცხვირზეო. 1218
- კაცს თავსა ჰკრიდნენ და — მუწუკი არ მატკინოთო! 1219
კაცს თავსა ჰკრიდნენ და — ვაი მუწუკოო!
კაცს თავსა ჰკრიდნენ და მუწუკს ჩიოდაო.
შდრ.: № № 1213, 1231, 2909
- კაცს თუ დასაკერებელი ეშოვება, ღარიბი არ ეთქმისო. 1220
- კაცს თუ კაცი სძულს, მისი ლაპარაკი რახა-რუხია და ჭამა ჭლაპა-
ჭლუპიაო. 1221
კაცს რომ კაცი ეჯავრება, სიტყვა ჭლაყა-ჭლუყიაო და ჭამა
ჭლაპა-ჭლუპიაო.
ვინც არ გიყვარს, მისი სიარული ბრავა-ბრუგია და ჭამა ხრა-
შა-ხრუშიო.
ვისაც ვინ უყვარს, მისი ჭაპა-ჭუპი ნაზ ჭამად ესმის, ბრავა-ბრუ-
გი — კეკლუც გავლადო.
შდრ.: № 3521
- კაცს იმდენი ჰკირი ნუ მიადგეს, რამდენსაც აიტანსო. 1222
ღმერთმა იმთენი განსაცდელი ნუ მიაყენოს კაცს, რამთენსაც
აიტანსო.

- ჟაცს რა ჰირიც სჰირს, იმის წამალს მოძებნისო. 1223
- კაცს რომ ერთი ფეხი დაუსხლტეს, მეორეთიც ძირს დაეცემაო. 1224
- კაცს რომ კვიცი ეზრდებოდეს, ცხენი არ დაეკავებაო. 1225
შდრ.: № 213
- კაცს რომ პირველი ცოლი მოუკვდება, მეორე გაუტკებებაო. 1226
- კაცს საცა სჰამს, იქ დაიფხანსო. 1227
- კაცს ღმერთი არ სწამდა და პირჯვარს იწერდაო. 1228
- კაცს შეხედე და ქუდიც ისე მოუხადეო. 1229
- კაცს შინ ოქრო სათხრელი ჰქონდა, კარში საქმეს ეშურებოდაო. 1230
- კაცს ცოლი გაექცა და — ნეტავი არავინ აკოცოსო. 1231
შდრ.: № № 1213, 1219, 2909
- კაცს ცოლი გაეშვა და ცოლის მამიდას ყვარობდაო. 1232
შდრ.: № 1319
- კაცს ცხენი არ ჰყავდა, უნაგირს ნატრობდაო. 1233
შდრ.: № 2407
- კაცს წყალი ახრჩობს, თევზს — უწყლობაო. 1234
- კაცს წყალში ცული გადაუფარდა, წალდიც თან გადააყოლაო. 1235
წალდუნას ცულდუნაც დაუმატესო.
შდრ.: № 4813
- კბენია უკან დაედევნება, მღრინავი წინ დაუხვდებაო. 1236
- კბენია ძალს პურს მიუგდებენო. 1237
- კბილები რომ ჩამკვივდა, წამალი მერე ვისწავლეო. 1238
- კბილი მქონდა — თხილი არა, თხილი მაქვს და კბილი არა. 1239
შდრ.: № № 1443, 2112
- კბილი ტკბილია, მაგრამ რომ შეგაწუხებს, მოიგლეჯ და გადააგდე-
ბო. 1240
- კბილის ნაჩიჩქნით მუცელი ვერ გაძლებაო. 1241
კბილის ნაჩხრეკით კაცი ვერ გაძლებაო.
შდრ.: № 1607

კედელ-კედელ იარეო, ოღონდ გამოიარეო. 1242

კედელს ცერცვი შეაყარე — ზედ არა შერჩება-რაო. 1243

კედელს რომ ცერცვი შეაყარო, ზედ არ დადგებაო.

კედელს ცერცვი შეაყარე და მგელს კრავი შეაყვარეო.

ცერცვი კედელსა, სწავლა რეგვენსა.

შდრ.: № 4630

კვერნა სანადიროდ წავიდა, თავისი ტყავი იქ დატოვაო. 1244

ვირი სანადიროდ წავიდა, ყურებიც იქ დაყარაო.

კვერნასაც თავისი ტყავი სჯისო. 1245

მელასაც თავისი კუდი სჯისო.

წავის მტერი თავისი ბეწვიო.

კვირას ნამუშევარი — ორშაბათს მომცდარიო. 1246

კვდცა გვარზე ხტისო. 1247

ცხენი გვარზე გაიქცევაო.

კვიცს რომ დაინახავს, მგელი ზეციდან ვარსკვლავებს ჩამოჰყვებო. 1248

კვრინჩხს რომ ეკალი არ ესხას, ფეხს დაადგამენო. 1249

უეკლოდ კვრინჩხს სულ ფეხით გათელავენო.

კვრინჩხს თავისი ეკალი იცავსო.

„კი ვიცის“ კარზე ჯარ იდგა, „არ ვიცის“ კარზე — არც ერთიო. 1250

„არა ვიცი“ სთქვიდი და განსვენებით ექდიდივ.

„არ ვიცი“ უთხარ და გაიცილეო.

შდრ.: № 893

კიდევ ვნახავ ივანესა, კარზე შემომჩივანესა. 1251

კიდევ მივა ქაჩალი მექუდესთანო. 1252

კიდევ ვნახავ ქაჩალსა მექუდის კარზე დამდგარსა.

ქაჩალი უმექუდოდ ვერ გაძლებს, ერთხელაც იქნება, მივაო.

კიდევ მეტყემლებოდა და კიდევ ვჰამე ტყემალიო. 1253

კითხვა-კითხვით იერუსალიმს მივლენო. 1254

კისერი იყოს, თორემ უღელი მოინახებაო. 1255

კოდალავ, შენ სულ ეგრე აკაკუნებ, მაგრამ შენი გაკეთებული ხა-

რატულები ვერა ვნახეო. 1256
ხეკაქუნისა კაკუნი ბევრი გამიგონია, გათლილი ხე კი არ მინახავსო.
კოდალავ, სუ ხეს აკაკუნებ და შენი აგებული სახლი არ მინახავსო.

კოვზის მრჩეველსაო კოვზი კვაჭანტიო. 1257

კოვზის პირით საფქვავეი დააყარეო და ტარით მინდი აიღეო. 1258

კოკა მუდამ წყალს არ მოიტანსო. 1259

კოკა მუდამ წყალს არ ზიღავს, ერთხელაც იქნება, გატყდებაო.

კოკა წყლის გზაზე გატყდებაო. 1260

კოკა წყალზედ გატყდება, ხარი — ალოზედაო.

კოკა წყალზედ გატყდება, ხარი ქირაზე მოკვდებაო.

კოკა წყალზედ გატყდება, ქურდი ქურდობაში მოკვდებაო.

კოკამ წყალი დაღვარა და პატარა ლიტრა დატუქსესო. 1261
შღრ.: № № 168,187,1343

კომბლეს ვირი არა ჰყავდა, იყიდა და იყოლიაო. 1262

კოლოსაც თავისი მუცელი აბზუებსო. 1263

კოლოც წააქცევს ცხენს, თუ დიდი მგელი მიეშველებაო. 1264
ლომს ხერხით კოლოც მოერიაო.

კოჭლი კაცის გზა მოკლეაო. 1265
შღრ.: № 1185

კოჭლმა ძაღლმა რომ კურდღელი გამოაბრუნოს, დაჭერაში ჩაუვარდებაო. 1266

ჯორჯობა ძაღლმა კურდღელი აგიფრთხოს, იმითიც მაღლიერი იყავიო.

ქოფაკმა ძაღლმა რომ კურდღელი გამოაბრუნოს, ვითომ დაუჭერიაო.

გოშიამ რო კურდღელი გაგიქციოს, დაჭერაში ჩამაართვიო.

კუდა ხარმა რომ საყვეარი მოგიბრუნოს, ისიც კარგიაო.

შღრ.: № 327

კრავის თავს მოველოდი და ძაღლის თავი გამომიგორდაო. 1267

კოუსუნა დედაბერმა ქვეყანა ამოიჭამაო. 1268

შდრ.: № 2452

კუნდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უკერებდაო. 1269

კუზიანს სამარე გაასწორებსო. 1270

კუმ ფეხი გამოყო, — მეც ნახირ-ნახირაო. 1271

გოჭმა კული აიბიკა, — მეც ნახირ-ნახირაო.

ვირმა ტლინკი გაიქნია, — ნახირში გამრიეთო.

ჩოჩორმა თქვა: მეც პეტი-პეტი მინდაო.

გოჭმა ფეხი აიშვირა, — მეც ნახირში ლალა-ლალა!

შდრ.: № № 261, 823, 834

კურდღელი დაამწყვდიეს და ურმის თვალი მიაფარესო. 1272

კურდღელი პატარაა და გაქცევა ღიდი იცისო. 1273

კურდღელი რომ გამოვარდა, მწვევარს ძილი მაშინ მოუნდაო. 1274

კურდღელი რომ გამოჩნდა, მწვევარს მაშინ მოუნდა საქნელიო.

კურდღელმა თქვა: ბინა მქონდეს, თორემ საძოვარს რამდენსაც მინდა ვიშოვიო. 1275

კურდღელმა თქვა: სანამ გამომახტუნებდნენ, მანამ უფრო მეშინოდაო. 1276

კურდღელს სანამ დაიჭერდნენ, შიშმა უფრო დალიაო.

კურდღელმა რაც იკუცა, ის იხტუნაო. 1277

კურდღელმა რაც იდგომილა, ის იხტომილაო.

კურდღელს მათრახი არა სჭირდებაო. 1278

კურდღელს მელიის ეშინია, ბაყაყს — კურდღლისაო. 1279

კურდღელს წელში შამფურს უყრიდნენ და იმას ხუმრობა ეგონაო. 1280

კურდღლის კვალი დათვთანაც მიგიყვანსო. 1281

კურტანი კურტანზე არ დაადვა და ვენახში არ გადმოხვიდეთ! 1282
ლობე-ლობე იარეთ, შიგნით არ გადმოხვიდეთ!

კუს ბაკანი გაუტყდა, ჭირადაც ეყო და ლხინადაცო. 1283

კუს რომ ბაკანი გაუტეხო, ჭირადაც ეყოფა და ლხინადაცო.

- კუს რომ ჯოჯო არ აპკიდებოდა, იქნება ჩანჩალი მაინც ესწავლაო.
1284.
- კუტმა თქვა: დამაყენე, თორემ ფაშზე გაგხეთქავო. 1285
შდრ.: № № 166, 416, 2395
- კუხე სილს ნუ მოწყვეტ, დამწიფდება—თითონ ჩამოვარდებაო. 1286

ღ

- ლაპარაკი ლაპარაკსა, ცხენი გაჰყვა ამსანავსაო. 1287
ლაპარაკ-ლაპარაკშიო ღორი შევიდა ყანაშიო.
ამბავი ამბავს მამიყუა, ცხენი ქარავანს გამიყუა.
შდრ.: № 1933
- ლარი გაიტანს კელესაო. 1288
- ლარი რამდენიც მალე გაიჰიმება, იმდენიც მალე გაწყდებაო. 1289
მალ-მალ გაქიმული ღარი მალე გაწყდებაო.
გაქიმული თოკი მალე გაწყდებაო.
- ლასტი გადაიქცა და კურდღელი მოკლაო. 1290
დედაბერმა უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო.
- ლაფი აიღე, ტალახს წაუხსვიო. 1291
- ლაშქრის შეყრა თუ გინდა, ბუკი უნდა დაუკრაო. 1292
- ლეკი და შენი ძმა რომ ჩაუბოზდნენ, სწორი სამართალი მიეციო.
1293
- ლეჩაქის მქსოველს გოდრის დაწვნა უკვირდაო. 1294
ოქრომქედელს უთქვამს: ნეტა მაჩვენა, რა ოსტატის ხელმა
დაწვნა გოდორიო.
გემის მკეთებელს ფეხსაცმლის შეკერვა უკვირდაო.
მანქანის გამკეთებელს კალათის დაწვნა უკვირდაო.
შდრ.: № 526
- ლეჩხუმურ ლობიოს ლეჩხუმურივე წყალი მოხარშავსო. 1295
- ლიტრას ეუბნებოდნენ და — კოკავ, შენ გესმოდესო! 1296
ლიტრავ, შენ გეუბნები, კოკავ, შენ გესმოდესო!
სურავ, გესვრიან ქვასაო, კოკავ, შენ გაიგონეო!
შდრ.: № № 407, 1569, 2729

- ლიტრიანი კაცი ჩარეჟიანის ბოძიანო. 1297
- ლოკოკინას თავისი ხოკერა ემძიმებოდა, ისიც თავზე დაამტკრივ-
სო. 1298
- ლომი დაბერდა და ვირმა წიხლი ჩაჰკრაო. 1299
შდრ.: № 1354
- ლოქო დასაჯეს და მორევეში გადაადგესო. 1300
მელამ: ორაგული უნდა დავსაჯოო და შუაგულ მორევეში გა-
დაადგოო.
შდრ.: № 4289
- ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. 1301
- ლუკმის დაკლება სჯობია ჯერის დაკლებასაო. 1302
- ლხინი უნდა ნებისაო, განა ცემა-ტყეპისაო. 1303
- ლხინში ნაბიჯით წადიო, ჭირში სირბილითაო. 1304
ლხინში გულდინჯად წადიო და ჭირში — გულფიცხადაო.

მ

- მადა ჭამაში მოდისო. 1305
- მადლი ქენი, მარილიც მოაყარეო. 1306
საქმე გააკეთე, ზედ მარილიც მოაყარეო.
- მაზმანი თოკს დაეძებდაო. 1307
შდრ.: № 1627
- მაინც არა ხარ, წისქვილო, თუნდა მოგიგდო იორიო. 1308
მაინც არა ხარ წისქვილო, არაგვიც ჩამოგდიოდესო.
- მაინც კი ვკვდებიო და შენი ჭირიც მეო. 1309
- მამა მოგიკლა შიმშილმანო! — მქონდა და არ ვაჭამეო? 1310
— ჰაი, შენი გველიჭამია მამის სულიო! — ხოხობი ჰქონდა და
არა ჭამაო?
- მამავ, გიყვარდა გუთანი, დაწექ და დაიძინეო. 1311

გიყვარდა, მამავ, ურემი, დაჯექ და ილიღინევი.
მამავ, გიყვარდა ჯიჯია, დაჯე და ეხლა გლიჯია.

მამალი რომ უდროოდ ყივილს დაიწყებს, თავს მოკრიანო. 1312

მამალი რომ ფრთას შემოჰკრავს, იცოდე, რომ დაიყვილებსო. 1313

მამალმა თქვა: მე ვიყვილებ და გინდ გათენდეს, გინდ არაო. 1314

მამალმა თქვა: მე ვიყვილებ და გათენება ღმერთმა იცისო.

მამალმა თქვა: ყივილი ჩემი საქმეა და გათენება — ღვთისაო.

მამალმა თქვა: მე ვიყვილებ და თუ არ გათენდება, რა ვქნაო.

მამალმა თქვა: მე კი მიყვილიაო!

შდრ.: № 1523

მამალს მელიის მეგობრობა არ გამოადგებაო. 1315

მამას რომ თვალები დათხარო, ქოროღლის არ დაგიძახებენო. 1316

მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯილაო. 1317

მამიდასაც ვნახავ, კვიცსაც გავხედნიო. 1318

მამიდასთან წავალ, კვიცსაც გავხედნი და მამიდასაც ვნახავო.

მამის სული გაეშვა, მამინაცვლისას ჰფიცავდაო. 1319

მამა დავიწყებოდა, მამინაცვალს ფიცულობდა.

მამის სული გააგდო, პაპის სულს ეჭიდებოდაო.

მამას გაუარაო, მამობილს მიეფარაო.

შდრ.: № 1232

მამლის ყივილითა და ძაღლის ყეფით ქვეყანა არ აშე უღებო. 1320

ყეფითა და ყივილით სოფელი არ აშენდებო.

შდრ.: № 4821

მამულმორეულს მტერმორეული სჯობიაო. 1321

მამულბევრსავ ნეხვბევრმ აჯობნავ.

ქათამმორეულს მტერმორეული სჯობიაო.

მართას კოცნა დაუპირეს — თეკლემ ტაში დაჰკრაო. 1322

მართლის მთქმელ მტრედს ნისკარტი მოაპრესო. 1323

შდრ.: №№ 371, 1324, 1508

მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. 1324

მართლის მთქმელი ცხენზე უნდა იჯდეს, თქვას და მოკურ-
ცხლოსო!

მართლის მთქმელს ადგილი არა აქვს, თქვას და გზას გაუდგესო.

მართლის მთქმელს ქუდი ხელში უნდა ექიროსო.

შდრ.: № № 371, 1323, 1508

მარტი რომ წინ გედვას, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აგინებო. 1325

მარტში უქუხარი ნულარც იქუხებსო. 1326

მარტში უხნავი ნულარამცა ხნავსო. 1327

მარტო ლოცვით სამოთხეში არ შეისვლებათ. 1328

მარტო მარბოლი ცხენი ხალხს მეწინავე ეგონათ. 1329

მარტო ცხენი ძლიერ გაჰყენდებო. 1330

შდრ.: № 3062

მარტოსხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიათ. 1331

ერთი ჭამაშიც შესაბრალისიაო.

მარწყვი მპირდება გასუქებასა, გული არ ამბობს ასრულებასათ. 1332

მარხვა ვეამო დოსთვინათ, ქურდობა ვესა ხბოსთვინათ? 1333

მარხვას არვინ გატეხს დოსთვინა და ქურდობას არავინ იქმს ხბოსთვინათ.

მარხვა სინანულისა, აღდგომა სინარულისათ. 1334

მარხვის მკამელს ხსნილში აღარა ჰქონდა-რათ. 1335

მარხვის ჭამა დამეწამა, ნეტავ რამე შემეჭამათ! 1336

მარჯვე კურდღელი თავისთვისაც იზოვის და სხვისთვისაცო. 1337

მარჯვენა ხელი მარცხენა ხელის ამარად ღმერთმა ნუ დატოვოსო. 1338

მარჯვენა ხელი მარცხენა ხელს არ უნდა ენდობოდესო.

მასპინძლისა მარილი მეტი იხარჯებათ. 1339

სასლის პატრონს მარილი მეტი ეხარჯებოდათ.

მადალი არ მოდრკა, დაბალი ვერ შეწვდათ. 1340

თუ მადალი არ მოდრკა, დაბალი როგორ შეწვდესო.

დაბალი კაცი ვერ შეწვდა, მაღალი არ მოდრკა და ერთმანეთს როგორ აკოცებდნენო.

- მალალი ხე თავისი ჩრდილით გაიზომებაო. 1341
- მაშინ ვაქებ ალოსაო, როცა გავლევ კალოსაო. 1342
- მაჩაბელმა დააშავა, ურიას წვერები დააქრესო. 1343
 მაჩაბელმა ცოდვა ქნაო, ურიას გადაახდევინესო.
 ელაშელმა ღლიტოსო და მაჩაბელმა წყვიტოსო.
 შდრ.: № № 168, 187, 1261
- მაჩემა ხვრელი გააკეთა, ტურამ დაატოვებინაო. 1344
- მაძლარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო. 1345
 მაძლარი მშიერს წვრილად უფხვნიდა, თან დასძახოდა: ცოტა
 ჰამეო.
 მაძლარი კაცი მომყმარს წვრილად უფშენეტდა და ზედ დაჰყვედ-
 რიდა: რა ღორულად ჰამო.
- მაძლარს მშიერიც მაძლარი ეგონაო. 1346
 მაძლარ ხუცესს დიაკონიც მაძლარი ეგონაო.
 მაძლარსა მშიერი ემთვრალეზისო.
 გამაძლარ თხას ციკანიც გამაძლარი ეგონაო.
- მაწანწალა ძალლი ან კარგს შეეყრება, ან ავსაო. 1347
 მაწანწალა ძალლი ახში რამეს წააწყდებო.
- მახათით ზღვას ვერ გაათბობო. 1348
- მგელი დანარჩენს ჩიოდა, პატრონი — წანაღებსაო. 1349
 მგელი შეუქმელს დარდობდა, პატრონი — ზარალსაო.
 მგელს წანაღები ეცოტავებოდა, პატრონს კი — ებევერებოდა.
 დამკარგავს ებევერებოდაო, წამღებს ეცოტავებოდაო.
- მგელი თხას ისე არ დაიქერს, თუ კბილები არ დააკაწაწაო. 1350
- მგელი ისე არ მოკვდება, რომ თხის დასამარხი გახდესო. 1351
 შდრ.: № № 98, 148, 149, 153, 405, 929, 2002
- მგელი კვდებაოდა და ცხვარი კუნტრუშის გუნებაზე იყოო. 1352
- მგელი მგლობას არ მოიშლისო. 1353
 შდრ.: № 5402
- მგელი რომ დაბერდება, ძაღლები ხუმრობას დაუწყებენო, 1354
 მგელი რომ დაბერდება, ძაღლების სათრევი გახდებაო.

მგელი რომ დაბერდება, თხები ზედ დაასხდებიანო.

შდრ.: № 1299

მგელი ფარეხში, ვირი ბოსტანშიო. 1355

მგელი ცხვარს სამი წელიწადი დასდევდა, — ეგებ ღუმა ჩამოვარდესო. 1356

ბებერი მგელი ცხვარს უკან დასდევდა, ღუმა ჩამოუვარდებო.

შდრ.: № 4832

მგელი ცხვარში გაერია, ვაი ერთის პატრონსაო. 1357

ფარაში მგელი შევარდა, ვაი ერთის პატრონსაო.

შდრ.: № № 753, 1980

მგელი ძვალს არ გადაყლაპავს, ყორყის იმედი რომ არა ჰქონდესო. 1358

შდრ.: № 769

მგელმა თქვა: ერთხელ რო კბილი გავისისხლიანო, ექვს თვეს მყოფოაო. 1359

მგელმა თქვა: ეს ოხერი და ტიალი, ჩემ სოროშიაც ვერა ვთქვარაო! 1360

მგელმა თქვა: ვირის ყურები მირჩევენია მთელ ფარა ცხვარსაო. 1361

მგელმა თქვა: ორმოში ვიყავი და ვინ ძვალს მიგდებდა და ვინ რბილს, ყველა მახსოვსო. 1362

მგელმა თქვა: ჩემ დამჰკერ ძალს ერთი შეხედვით ვიცნობო. 1363

მგელმა რომ დაგპატიყოს — ეწვიე, ოღონდ ძალლი თან წაიყვანეო. 1364

მგელმა რომ ძალღვით სუნი იცოდეს, ქვეყანას ამოაგდებდაო. 1365

მგელმა უთხრა მეცხვარეს: ე ძალღები დახოცე და შენს ფარას ხელს არ ვახლებო. 1366

მგელმა უთხრა ძალღს: საქმე ის კი არ არის, რომ მივრბოდე და მომდევდეთ, საქმე ის არის, მოგიბრუნდე და დამხედეთ. 1367

მგელმა შვილი მომტაცა და კაი სიტყვებიც მოვახსენე: „ჰაი, შე უმი ხორცის ჭამიო!“ 1368

- მგელმა ცხვარი მოიტაცა — მეცხვარე ტიროდაო, გააგდებინეს —
მგელი ტიროდაო. 1369
- მგელმა ცხვარი მოიტაცა: ჩემი სერისა იყოო. 1370
- მგელს არიარეობა დაერქვა, „არია-არია“-ს ეძახდნენო. 1371
- მგელს თავისი ფეხები აქმევს პურსაო. 1372
მგელს მუხლები აქმევს, ბრძენს — თავიო.
- მგელს თუ თხები უნდა, თითონ უნდა ჰყავდესო. 1373
- მგელს კურთხევანი წაუეკითხეს და — თიკან-კრავი მეო! 1374
მგელს ლოცვანს აკითხებდნენ და — ციკანი და ცხვარი მეო.
ანა-ბანა და ციკან-კრავაო.
შდრ.: № 1385
- მგელს მგლობა შეერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო. 1375
მგელს სახელი გაუვარდა და ტურამ ქვეყანა დააქციაო.
ტურამ ქვეყანა დააქცია, მგელს ბრალდება აქვსო.
- მგელს მგლურად დაუხვდი, მელას — მელურადაო. 1376
შდრ.: № 233
- მგელს რა ენაღვლება, თუ ცხენი და ვირი ძვირი ღირსო. 1377
შდრ.: № № 93, 94
- მგელს რომ წერა მოუვა, შუა გზაზე დადგებაო. 1378
- მგელს ტკბილი სიტყვით ვერ მოაშინაურებო. 1379
— მგელო, კკუას მოდიო, და — სათხებოში შეეხტეო? 1380
- მგზავრი ნაშუადღევს ბინას უნდა ეძებდესო. 1381
- მგზავრსა ჰკითხეს: რა მოიტანეო და — შენ რალა გამატანეო! 1382
— რა მომიტანეო და — რაც გამატანეო!
- მგლებში მაცხოვრებელმა ღმუილი უნდა იცოდესო. 1383
თუ ნადირთან იმდგმურეო, ნადირივით იყმუვლეო.
- მგლები რომ წაიჩხუბებიან, კრავებს გული მაშინ დაუმშვიდდება-
თო. 1384
- მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და — გამიშვით, ცხვარმა
სერი გაღიარაო. 1385

მგელს სახარებას უკითხავდნენ და — გამიშვით, ცხვარი წამი-
ვიდაო.

მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, ის კი ცხვრისკენ იხე-
დებოდაო.

მგელს ჰკუთას არიგებდნენ, ის კი ტყისკენ იცქირებოდაო.

მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, მგელი მგლობას არ
იშლიდაო.

მგლის თავზე სახარება ვინ ქნაო.

დათვის ანბანს ასწავლიდნენ და ის ბატკნისკენ იყურებოდაო.

შღრ.: № 1374

მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო. 1386

მგლის წყალობით მელა რჩებოდაო. 1387

მგლის საბაბით ტურა ირჩენს თავსო.

მგლისა ბატკანი ვის უნახავსო. 1388

მგლისთვის ვირის ყურები ვის შეშურდებოაო. 1389

მგლისად ვირის ყურნ ვის ეწყალებიან?

მგლისთვის ცხვარი ვის მიუბარებიანო. 1390

მდიდარი კაცისა მამალიც კი კვერცხს დადებსო. 1391

ბედნიერი კაცისა მამალიც კვერცხსა დებს, უბედურისა — ქა-
თამიც არაო.

შღრ.: № 1396

მდიდარი მკვდარსა ტიროდა; ღარიბი ხარჯსა ჩიოდაო. 1392

მდიდარი ღარიბს პერანგს აძრობდაო. 1393

მორთული შიშველს პერანგსა ჰხდიდაო.

მდიდარს ერთი ეხარჯება, ღარიბს — ორიო. 1394

მდიდარს უთხრეს: მშვიდობაშიო, ღარიბს ჰკითხეს: ვინ მოგცაო.
1395

მდიდრის ურემი მთას გადაივლის, ღარიბისა — სწორე გზასაც შემ-
ლისო. 1396

შღრ.: № 1391

მდიდრის წუწუნი საწყალ კაცს თავის სიღარიბეს დაევიწყებსო. 1397

მდიდრისას კატას ტიროდნენ, ღარიბისას — კაცსაც არაო. 1398

მდინარე წყალი ნათელიაო. 1399

მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემ მახლს არა ერგო-რაო. 1400
მე და ჩემმა ცოლმა ვიანგარიშეთ და კალოც ჩვენ შეგვხვდა და
საბძელიცაო.

მე დავუქარ — შენ გემა, შენ დაუქარ — მე გემა. 1401

მე ვუთხარო, მაგრან კატამ ნიორი არ ქამაო. 1402
შდრ.: № 4349

მე კარგად ვხედავ ჩემ თავ-ფეხთ, სადაც მქონანო. 1403

მე კი დამიფქვი წისკვილო, გინდა ძირა ქვავ, გინდა ზეითო! 1404
მე კი დავაყრი და გინდ ზედა წისკვილმა ფქვას, გინდ ქვე-
დამაო.

მე მაწონს ვეუბნებოდი, ის დოს მოაქყამპალიბდაო. 1405
წველას ვეუბნებოდი, დოს მოარბენინებდაო.
მაწონს ვთხოვდი და დოს მაყლაპებდაო.
მე მქადას ვთხოვდი, ის ქადას მოატლაკუნებდაო.

მე რას მიზამს ყარაული, ტყეს რომ ახლოს არ გავუვლი. 1406

მე რომ ვხედავ ნიშანსაო, ხარს დაგვიკვლენ ნიშასაო. 1407

მე რომ მენახირედ დავდექი, ფამფარა მაშინ გაწყდაო. 1408
შდრ.: № № 2345, 2513

მეზობელი რომ პურ-მარილიანი გყავდეს, შენ მარილს უნდა უნა-
ყავდეო. 1409

მეზობელმა რომ მარილი გთხოვოს, თუ მარილი არა გაქვს, მარი-
ლიანი სიტყვა მაინც უთხარიო. 1410
მარილის მთხოვნელს თუ მარილს არ მისცემ, მარილიანი სი-
ტყვა მაინც უთხარიო.

მეზობელმა რომ შემოგაფურთხოს, შენც თუ არ შეაფურთხე, უპი-
რო ეგონებო. 1411
ზურგს რომ გიჩვენებენ, შენც ზურგი უნდა უჩვენო, თორემ
იფიქრებენ, უზურგო ყოფილაო.

მეზობელს მეზობლის მკვდარი მძინარე ეგონაო. 1412

მეზობელს მეზობლის ქათამი აქლემი ეგონაო. 1413

მეზობელს რომ მუცელი სტკიოდეს, შენც მუცელი აიხვიეო. 1414
მეზობელს რომ მუცელი სტკიოდეს, შენ მუცელზე ხელს უნდა
ისვამდეო.

მეზობელს ხარი უქადე, ღმერთი შენ მოგცემსო. 1415

მეზობლები რამ გადაჰკიდა და — კატამ და ლეკვმაო. 1416

მეზობლის გაჯავრებულმა ცოლსა სცემაო. 1417

შდრ.: №2643

მეზობლის ტირილი მეზობელს ქორწილი ეგონაო. 1418

მეზობლის ქალს არ შეირთავენ, — ფეხნაცრიანიო და თვალნაც-
რიანს მოიყვანენო. 1419

შდრ.: № № 182, 379, 2492, 2493, 2494

მეთევზეს საჯდომი სველი უნდა ჰქონდესო. 1420

შდრ.: № 875

მელა კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიჰქონდაო. 1421

მელა კვდებოდა და — საქათმეში დამმარხეთო.

მელას ჰკითხეს: თავი საით გიყოთო და — საქათმისკენაო.

თავსაითკე დაგაწვინოთო, — ჰკითხეს მელას, — თავსაქათმის-
კენაო.

მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა, — იქნებ სიზმარი იყოსო.
1422

მელა მახეში გაება: თავს მოვიმძინარებ და გამომეხსნებაო.

მელა მელას ატყუებდა, ორივეს გზაზედ უღამდებოდაო. 1423

მელია ნასისხლარზე ჩარბოდაო. 1424

დაჩვეული მელა ნაზოვარზე ჩარბოდაო.

დაჩვეულ მელაივ აიმ კვალზედავ ჩარბოდისავ.

მელა რომ ეშმაკი არ იყოს, საქათმის კართან რა უნდაო. 1425

მელა სადაც წავა, კუდიც იქ გაჰყვებაო. 1426

შდრ.: № № 2400, 4848

მელა საცხონებლად მიდიოდა, წაწყმედილი მოდიოდაო. 1427

საცხონებლად წასული წაწყმედილი დაბრუნდაო.

მელა საქათმის კარზე მოკვდებოდა. 1428

- მელა ხაფანგში გაება და — თუ მთელი ქათამი არ მომიტანეთ, ბარ-
კალს არ დავჯერდებიო. 1429
- მელამ თავისი კული მოწმედ მოიყვანაო. 1430
მტყუანმა ცოლი იმოწმაო.
შდრ.: № № 1588, 1660
- მელამ თავისი ტყავი თავის ფეხით მოიტანაო. 1431
- მელამ თქვა: ზღვას მუგუზალს შევეუჩიჩხინებ, თუ ვერ დავაშრობ,
ხომ დავაშიშხინებო. 1432
შდრ.: № 567
- მელამ თქვა: მე და მგელმა აქლემი მოვკალითო. 1433
- მელამ მგელს წასძახა: ჰაი, შე უმი ხორცის ჭამიაო. 1434
შდრ.: № № 343, 2403
- მელას თავის კულზე ჭავრი მოსდიოდაო. 1435
- მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო. 1436
მელას რაც ელანდებოდა, ის ეზმანებოდაო.
მელას ძილშიაც ქათამი ესიზმრებოდაო.
შდრ.: № 1599
- მელას ურმით არ სდევნო. 1437
- მელას ქათმის მოტაცება თუ შეარჩინე, ცხვარს მოიტაცებსო. 1438
- მელას ყურ-ფეხი მოსჭრეს, ოავს რომ სჭრიდნენ, გაქცევა მოინდო-
მაო. 1439
- მელიის კულის მოქნევამ ქათამს თვალი გამოსთხარაო. 1440
მელამ კული გაიქნია და ქათამს თვალი დაუდგაო.
- მენახირე ძებნას ჩიოდა, პატრონი — დანაკარგსაო. 1441
- მენახირემ თავისი ოჯახი ააშენა, მოჯამაგირემ — დალუპაო. 1442
- მენახირემ თქვა: პური მაქ — გუდა არა მაქ, გუდა მაქ — პური არა
მაქო. 1443
შდრ.: № № 1239, 2112
- მენახირის მძახალი მეხბორე იქნებაო. 1444
მენახირის შვილს მენახირე წაიყვანს, მეხბორის შვილს — მე-
ხბორეო.

შერიქიფეს თავი თამადა ეგონაო. 1445

შესტვირის ცოლს ჰკითხეს: თამაშობა იციო და — ჩემ ღლეში მეტი რაღა მიკეთებია მე დაღონებულსაო. 1446

შესტვირის ცოლს ჰკითხეს: თამაშობა იციო და — მეტი რაღა მასწავლა ჩემმა ქმარმაო.

შესტვირის ცოლს უთხრეს: თამაშობა რა არიო? და — ხელობა რა არიო?

შესხი მოვიდა და მკვიდრი აპყარაო. 1447

მეტი ზელა ცომს არ წაახდენსო. 1448

მეტი მიეცი და კარგი იგემეო. 1449

მეტისმეტი სიხარბით მელამ კული მოიკამაო. 1450

მეტის-მეტმა სიწმინდემ ტრაპეზს იქით გადამაგდოო. 1451

მეტის-მეტმა სიწმინდემ ტრაპეზი დააქციაო.

მეტის-მეტი სიწმინდით ხატი ტრაპეზიღამ გადმოვარდაო.

მეტიჩარა მაყარი მეფე-ღედლოფალს წინ უსწრებდაო. 1452

მეფეს კაცი გამოექცა, კუჭაიძეს მოუვიდაო. 1453

დაღიას კაცი გამოექცა, ჩიბურდანიძეს მიენდოო.

მეფეს მოჯალაბის კოვზი დასჭირდაო. 1454

მეფის საყვარლობას მკედლის ცოლობა სჯობიაო. 1455

მეჭებოდეო და არას მერგებოდეო? 1456

ძმაო, რას მეჭებოდი, თუ არათეს მერგებოდიო.

რაღას მეჭებოდიო, თუ არ მერგებოდიო.

მეცხვარე თავის ცხვარს შორიდან იცნობსო. 1457

მეცხვარე ცხვარს შორს იცნობსო.

მეცხვარემ თქვა: რომ მცოდნოდა, ციდან მეგელი ჩამოვარდებოდა, ჩემ ძალს გულადმა დავაწვენდიო. 1458

შდრ.: № 1846

მეცხვარემ ცხვარი გაუშვა, პატრონმა კი — არაო. 1459

მენახირემ საქონელს თავი დაანება, პატრონმა კი — არაო.

მგელმა ცხვარი დაკარგა, პატრონმა კი — არაო.

მეძახიან მეღჭოსაო, დაე, ისევ მერჭოსაო. 1460

- მეძებრის შვილსაც დაგეშვა უნდაო. 1461
- მეჭურჭლეს საითაც უნდა, ქოთანს ყურს იქით გამოაბამსო. 1462
 მეჭურჭლეს საითაც უნდა, კოკას ყურს იქით შეაბამსო.
 მეგოდრის ნება არ არის, რომელი მხრიდანაც უნდა, იქიდან
 გაუკეთებს ყურს გოდორსო.
- მეხერეს სახრე ხელში უნდა ეჭიროსო. 1463
- მზე რომ ამოვა, ყველა კაცისას მივაო. 1464
 მზე რომ ამოვა, ყველა დაინახავსო.
 მზე რომ ამოვა, ყველაფერს გაანათებსო.
- მზეს რომ ტალახს ესერი, თავზე დაგეცემაო. 1465
 ვინც მზეს ტალახს ესერის, თვითონვე თავზე დაეცემაო.
 მზეს ბევრი აფურთხებს, თავზე დასდისო.
 შღრ.: № 805
- ძთა და ბარი არავის გაუსწორებიაო. 1466
 მთა და ბარი როდის გასწორებულაო.
- მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს შეეყრებაო. 1467
 მთა მთას ვერ შეხვდება, კაცი კაცს ვერ ასცილდებაო.
 ქვა ქვას არ მოხვდება ისე, როგორც კაცი კაცსაო.
 ქვა ქვას შეხვდება, თორემ კაცი კაცს რა საკვირველიაო.
 შღრ.: № 4306
- მთამ თქვა: ფულის მეშინია, ის დამანგრევესო. 1468
 ფულისა ჯოჯოხეთსაც კი ეშინია, — არ დამანგრიოსო.
 ფული კლდეს გაანგრევესო.
 ფული კლდეს გამოესობაო.
- მთაო, რას ჩასძახიო და — ბარსაო, ბაროო? და — მთასაო. 1469
- მთელ ღღესა მოქეიფესა არა დარჩა-რა ვახშმადაო. 1470
- მთვრალს ხელს ნუ ჰკრავ, თვითონაც წაიქცევაო. 1471
 მთვრალს წაბიძგება არ სჭირდებაო.
- მთისა მეცხვარეს ჰკითხე, ბარისა — გუთნის დედასაო. 1472
 ბარისა ბარელს ჰკითხე, მთისა — მთიელსაო.
- მთხოვნელი დამწუნებელი ღმერთსაც სძულს და კაცსაცაო. 1473
 გლახა მამწუნებელა არ გაგონილაო.

- მიანებეთ, მკედარი დამარხონ მოტირალთაო. 1474
- მიეთ-მოეთი საიქიოს ენით არის დაკიდულიო. 1475
- მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო. 1476
- მიკიტანი ბაზაზობას ვერ იქმსო. 1477
შდრ.: № 1470
- მიმინო რომ გაძღებაო, ხელზე აღარ დადგებაო. 1478
- მიმინოს მაგივრობას ძერა ვერ გასწევსო. 1479
შდრ.: № 1477
- მინდორს თვალი აქვს და კედელს — ყურიო. 1480
ტყე ყურიანია, მინდორი — თვალიანია.
ტყე უყურო ნუ გგონია და მინდორი უთვალოო.
- მიცვალებული თავისით არ წავა სასაფლაოზეო. 1481
- მიძალებული ლუკმა ძაღლმაც არ შეუჭამაო. 1482
მიძაღლებული ლუკმა ძაღლსაც არ შეუჭამიაო.
საყვედურისა მგელსაც არ შეუჭამიაო.
- მიწა იყარე დიდი მთისაო. 1483
მტვერიც იყარე დიდი გორისაო.
მიწამც მაყრია დიდი გორისაო.
მიწა იყარე დიდი მთისაო, ქალი ითხოვე დიდ გვარისაო.
- მიწა მიწას დააყარე, პატივად დაედებაო. 1484
- მიწამ ყანა გაგიკეთოს — ნუ ჩამოეკიდები, მოგიცდინოს — ნუ შე-
მოწყრებიო. 1485
- მიწას უთქვამს: ჩემზე მამლისთანა და კოჭლისთანა ცრუვი არავინ
გაივლისო. 1486
- მიწის სირბილე თოხის სიმაგრეაო. 1487
შდრ.: № 585
- მიხვდა მხარჯველი და ვერა მკამელიო. 1488
იცის მხარჯველმა და არა მკამელმაო.
- მკაში პირობას ხენაში პირობა სჯობიაო. 1489
ცეხვაზე გარიგებას თესვაზე გარიგება სჯობიაო.

ხენაში პირობის დადება სჯობს, თუ გინდა, რომ მკაში არ წა-
მოგედანო.

მკედარ ლომს ცოცხალი ძაღლი სჯობიაო. 1490

მკედარი მკედარს აეკიდა — სამარემდის მიმიტანეო. 1491

მკედარი მკედარს ეკილებოდა, ორივე სამარისკენ იზიდებოდაო.
მკედარი მკედარს აპკიდიანო.

მკედარი უკულმა ვინ წაილოო. 1492

მკედარს რაღას არგებს წაშალოო. 1493

მკედარს საფლავი მოსწონდა, კრულმც არის მისი მომწულელიო!
1494

მკედარს შინიდან უნდა მოტირალიო. 1495
შდრ.: № 2862

მკედარს ცხრა კაცი მარხავდა და დაუმარხავი დარჩაო. 1496
შდრ.: № 2665

მკედრის მზე ცოცხალს არ ეთობაო. 1497

მოაკლდეს მძინარესაო, ემატოს მღვიძარესაო. 1498

მოდავედ თუ მოსამართლე გყავს, შენი შემწე აღარც ღმერთიაო-
1499

მოვიდა სეტყვა — დახვდა ქვაო. 1500

მოვიდა შიმშილი, წავიდა სირცხვილიო. 1501

მოვიდა ძაღაო, სამართალი დაიცაღაო. 1502
შდრ.: № 3835

მოზიარობა ერთი წლის, ხსენება — ასისაო. 1503

მოიხედე, მიიხედე, ტანზე ისე გაიხადეო. 1504
მიიხედ-მოიხედე და ისე დაჯეჟიო.

მოკვდა პაპაო, დარჩა ჯაყვაო. 1505
მოკვდა მამაო, დამრჩა დანაო.

მოკლას ხარი თივამაო! 1506
აწყინოს ქერმა ლურჯასაო.
მოკლას ლურჯა ქერმაო!

მოკლე გზით მტერსა ელოდე, შორი გზით — მოკეთესაო. 1507

მოკლეს მართლის მთქმელიო. 1508

დამღუპა სიმაართლემაო.

მართლის მთქმელს სცემესო.

შდრ.: № № 371, 1323, 1324

მოლა ვირზე იჯდა და ვირს დაეძებდაო. 1509

კაცი ცხენზე იჯდა და უნაგირს დაეძებდაო.

მოლა კვდებოდა, ფლავი მაშინ ჩააყარეს პირშიო. 1510

მოლა რომ მოკვდა, ფლავი მაშინ მიუტანესო.

მოლა მოკვდა და საფლავში ფლავი ჩააყარესო.

მოლა მეჩეთში არ შედიოდა, ხელის კვრით შეიყვანესო. 1511

მოლა მეჩეთში არ შედიოდა, წიხლი ჰკრეს და ძალით შეაგდესო.

მოლა ცხენიდან ჩამოვარდა, — მაინც უნდა ჩამოვსულიყავიო. 1512

შდრ.: № 241

მოლა ხალხს მეჩეთში ეძახდა და თვითონ საქურდლად მიდიოდაო.

1513

მოლამ კევი ცხვირზე დაიკრა: ჩემ ქონებას თვალით ვუყუროო! 1514

მოლას უთხრეს: უნაგირი წინ მოგქცევიაო და — ნეტავი შინამც

მისულიყოსო! 1515

მოლას უთხრეს: შეილი გადაგერიაო და — როდის იყო ჰკვიანო!

1516

მომთმენის დედა იცინოდეს, მოუთმენლისა — ტიროდესო. 1517

აჩქარებულის დედა ტიროდა, დინჯისა — ხარობდაო.

შდრ.: № № 798, 799

მომციას მიმცია უნდაო. 1518

მიგციამ მოგცია იცისო.

ჩუქებას ჩუქება უნდაო.

მითქვიას მოთქვია მოაქვსო.

შდრ.: № 368

მომხდურს დამხვედურიც უნდაო. 1519

მომსვლელს დამხვედრიც უნდაო.

მომხილავი ცხონდესო და დამფხანი წაწყმდესო. 1520

- მონას უთხრეს: რატომ არ იცინიო და — როდისღა, სულ ტირილი-
გვაქვსო! 1521
- მონადირე თავის გამონავალზედაც კი უნდა იხედებოდესო. 1522
- მონაზონმა მუგუზალი ზღვაში ჩააგდო, — გინდ დაშრეს და გინდ,
არაო! 1523
შდრ.: № 1314
- მორჩა ბერი ცხონებასა, მოლოზანი წაწყმედასაო. 1524
მიხვდა ბერი ცხონებასა, მისი მღვდელი — ქონებასაო.
- მოსაეალს მოცდა უნდაო. 1525
- მოსათხრელი კბილი დროზე უნდა მოითხარო. 1526
- მოსაყიდი ფულითაო, მოსაკითხი გულითაო. 1527
- მოსაციქვლეს დაჰხედე და საციქველზე უარი ისე უთხარიო. 1528.
მესაციქვლეს დახედე და საციქველი ისე გაეციო.
- მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ცულის ტარზე დაიძინებსო. 1529
კარგი გუნებით ცოლ-ქმარი თონის ტარზე დაეტევაო.
ცოლ-ქმართ ცულის პირზე სძინებიათო.
- მოტეხილს მოტეხიანო. 1530
ნატეხს მოსტეხიანო.
შდრ.: № 1649
- მოულოდნელი კუნძი ურემს გადააბრუნებსო. 1531
- მოქნევას მოზომვა სჭირდებაო. 1532
- მოქნეული არავის მოუზომიაო. 1533
მოქნეული და მოზომილი არ შეიძლებაო.
- მოყვრის მოყვარეს ძროხა დაეკვლებაო. 1534
- მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — პირს უკანაო. 1535
მოკეთემ პირში უთხრა, მტერმა უკან უძრახაო.
- მოჩქარეს მოუგვიანდესო. 1536
- მოციქული ყვენთან მივაო. 1537

- მოკლილი კაცი კურდღელს ურმითა სდევსო. 1538
შდრ.: № 4433
- მოწანწალე ტურამ აჯობა მწოლარე მგელსაო. 1539
- მოწანწალე ტურას ერთხელ გაუთენდებაო. 1540
შდრ.: № 727
- მოჭრილი თავი აღარ ლაპარაკობსო. 1541
- მოხვალ კალათიანო, წახვალ სამართლიანო. 1542
- მოხსიელებმა მტკვარზე ხიდი ჩააქციეს, — ძერა გამოდის და ქათმებს
გეიჟამსო. 1543
- მოხუცის დარგული ხის ქვეშ შეილები და შეილიშვილები ისვენე-
ბენო. 1544
- მოჯამაგირეს ან პურის კიდობანი უნდა ჰქონდეს ღია, ან არ დად-
გებო. 1545
- მოჯამაგირის ფულს ცეცხლი არ დაწვეავსო. 1546
- მრეცხავი ტიტველ ხალხში ვერ იცხოვრებსო. 1547
- მრუდი ღონიერს ეძებს და სწორი — უღონოსაო. 1548
- მსუნავი არა სუქდებაო. 1549
- მსუქანს ყელი იცნობს, მძიმეს — ხელიო. 1550
მსუქანს ყელი იცნობს, დიდს — თვალიო და მძიმეს — ხელიო.
შდრ.: № 4782
- მსხალმა რა ქნა, მსხლის კურკამ რა გვიყოსო. 1551
- მსხვილად დამრთავი და წვრილად დამრთავი ორივე ერთად გამო-
დისო. 1552
მსხვილისა და წმინდის დამფქველს ერთი ფასი აქვსო და ვაი
წმინდის დამფქველსაო.
წმინდა, მსხვილი ერთად გადის, ვაი წმინდის დამრთველსაო.
შდრ.: № № 2967, 3290
- მსხვილ-მსხვილი მენაფოტე მალი-მალ ტყეში გარბოდაო. 1553
ბევრი შეშის დამწველი ტყეში მალი-მალ გარბოდაო.
- მტერთან ხშირად მიდი, მოყვარესთან — გვიანო. 1554

- მტერი დღისითაც მტერია და ღამითაცო. 1555
- მტერი თუ არა გყავს, ძმას გაეყარე და მტერს გაიჩენო. 1556
 თუ მტერი არა გყავს, ძმას გაეყარე — მტრად გავიხდებო.
 თუ მტერი არა გყავს, ძალი გაიჩინე და მტერი გაგიჩინდებო.
- მტერს გობითაო, მოყვარეს კოვზითაო. 1557
 შდრ.: № 1559
- მტერს რითი შეხედებო? და — რაც ხელთ შემრჩებო. 1558
 უცბად მოსულ მტერს იმით დახვდებიან, რითაც შეხედებიანო.
 შდრ.: № № 1076, 1699
- მტერსა შენსა ულოცვიდეთ. 1559
 შდრ.: № 1557
- მტერს — ხმალი, ვაჭარს — თეთრიო. 1560
- მტერს — ხმალი, ძმას — სამართალიო. 1561
- მტერს — ჯოხითაო, მოყვარეს — ბოხჩითაო. 1562
- მტრედს სირბილით ნისკარტი მოსკამიანო. 1563
 მტრედს თავისი სიმშვიდით ნისკარტი მოსჭრესო.
- მტრის პური ჭამე — მტრის ხმალი მოიქნეო. 1564
 ვის პურსაც ჭამდე, მისი ღმერთი იფიცეო.
- მტრისას შედი და ფეხით მუგუზალი შეატაკეო. 1565
- მტყუნანს ტყუილის კარებამდე მიჰყევიო. 1566
 ცრუს სიცრუის კარებამდე სდიეო.
 ტყუილს იქამდე მიჰყე, ბოლო გამოუჩნდესო.
 მტყუანი მანით-მანამდე ავლიეო, სიმართლე კი ათქმეო.
 ტყუილს კარებამდეო.
- მუკუზანი ოცი კომლი, ოცდახუთი მოურავიო. 1567
 ოფითარას ორი გლეხი, ოცი მათი ხელოსანიო.
 ყანდაურას ერთი გლეხი, ოცდახუთი აზნაურიო.
- მულის ტყავი გადმოვარდა, ცხრა რძალი დაიტანაო. 1568
 რძლის ტყავი ჩამოვარდა, არავინ დაიტანა, მულის ტყავი ჩამო-
 ვარდა, ცხრა რძალი დაიტანაო.
- მულო, შენ გეუბნები, რძალო, შენ გაიგონეო. 1569

მულს ელაპარაკებოდნენ, — ჩიპლო, შენ გესმოდესო!
ეტყოდინ ქალასაო, ასმენდიან ზალასაო.
დიდს ეუბნებოდნენ და პატარას ასმენდნენო.
შდრ.: № № 407, 1296, 2729

მუმლი მითხარ, მუმლს ფრთები, მისი გადავლილი მთები. 1570

მუნიანი ცხენი მუნიან ცხენს მონახავსო. 1571

მუნჯის ენა დედამ იცისო. 1572
ყმაწვილის ენა დედას ესმის.

მუნჯის შვილი მარტო „ჭრი-ჭრის“ იძახოდანო. 1573

მუნჯმა რომ „ბა“ დაიძახოს, მეტი რაღა გინდაო. 1574

მუნჯს ნუ ალაპარაკებ, თორემ ენიანს უენოდ გაგხდისო. 1575
მუნჯს ნუ ალაპარაკებ, თორემ შენც დაგამუნჯებსო.

მუქთი წიწაკა შაქარზე ტკბილიაო. 1576
მუქთი ძმარიც კარგიაო.
მუქთი კუბოც კარგიაო.
მუქთი იყვეს და გინდ თოფის ტყვია იყვესო.
შდრ.: № 4475

მუშამ იჯავროს სიგრძე დღისა და სიცხე მზისაო. 1577

მუშტარი ბრმა სჯობიაო. 1578
მუშტარ ბრმა ჯობავ — ფულის დათვლა აერევაე.

მუცელმა მტრის კარს მიმიყვანანო. 1579
მუცელს თუ აპყევი, ხეზე გაგიყვანსო.

მუცელს აქორებ — ქორია, აღორებ — ღორიაო. 1580
ქალს აქალებ — ქალია, აქაჯებ — ქაჯია.

მუცლად მშიერმა აჯობა ტანად ტიტველსაო. 1581
მშიერმა აჯობა ტიტველსაო.
შდრ.: № 2772

მუწუკი რომ დამწიფდება, უნდა გამოირწყოსო. 1582

— მუხას ვაშლი ასხიაო, — ასხია და ასხიაო! 1583
მუხამ რომ ვარდი მოისხას, სად გაგონილაო.

მღვდელი აკურთხე და რიყეზე გადაადგეო. 1584
მღვდლობა მომეცი და ქვაზე შემსვიო.

მღვდელი თუ გაკრიჭო კარგად გაკრიჭეო. 1585
შდრ.: № 220

მღვდელი რომ წირვას დაიწყებს, მოლოზანს მაშინ მოუნდება ბერ-
ტყვაო. 1586

მღვდელმა თავის ქებაში ცოცხლების მარხვა დაიწყო. 1587

— მღვდლო, მოწმე ვინა გყავს და — დიაკვანიო. 1588
შდრ.: № № 1430, 1660

— მღვდლო, ტაბლა მოაქვთო და — მე რაო! — შენთვის მოაქვთო
და — შენ რაო! 1589
ფლავი გაატარესო და — მე რაო! — თქვენსა შეიტანესო და —
შენ რაო!

მღვდელს არ დაუჯერეს, მღვდლის ძაღლს — კიო. 1590
მოლას არ დაუჯერეს, მოლას ვირს დაუჯერესო.
შდრ.: № 4829

მღვდელს თავის წვერებს აბარებდნენ, — კარგად მოუარეო. 1591
შდრ.: № 1639

მღვდელს თუ ერგება, მეც შემხვდებაო. — უთქვამს დიაკვანს. 1592
შდრ.: № 588

მღვდელს პური შიოდა, დიაკვანს — კიდეც უფროო. 1593

მღვდელს პური შიოდა და — დიაკვანს მიართვითო! 1594
მღვდელმა თქვა: დიაკვანს პური შიოა.
ამ მღვდელს მიართვით რამეო!
მღვდელს კანჭი მიართვითო!
შდრ.: № 588

მღვდელს კილოზშიაც იცნობენო. 1595
იესო ქრისტე ტყავში იცნესო.

მღვრიე წყალში თევზი ადვილად დაიჭირებაო. 1596
კალმახი მღვრიე წყალში ხვდება ნემსკავსაო.

მყარ გრდემლს უროს ცემისა არ შეეშინდებაო. 1597

მზიერ დათვს რა ათამაშებსო. 1598

მზიერ ქათამს ყველგან ფეტვი ელანდებოდაო. 1599

წიწილას ფეტვის მარცვალი ელანდებოდაო.

შდრ.: № 1436

მზიერი დამშეულს უბეს უსინჯავდაო. 1600

მზიერი კატა ქურდობას იქსო. 1601

მზიერი მესადილის პატრონს ყველა ხე დაწყველისო. 1602

მზიერი პურსა აქებდა უმსა და უმარილოსაო. 1603

მზიერი ძალლი პატრონსაც უკბენსო. 1604

მზიერი ძალლი არავის დაზავდებო.

მზიერი წისქვილსა და გუთანს მიატანსო. 1605

მზიერს მაშინ გააჩუმებ, როცა მაძლარისად მისცემ საკმელსო. 1606

მზიერს ნამცეცები ვერ გააძღვებსო. 1607

შდრ.: № 1241

მზიშარა დღეში ორჯერა კვდებო. 1608

ვისაც სიკვდილი აშინებს, ის ცოცხლად კვდებო.

მზიშარა კაცი ორჯერ მკვდარიო.

მჩხავანა კატა თავს ვერ დაიჭერსო. 1609

მჩხავანა კატა მახეში გაბმულ თავგზე გაიმარჯვებსო.

მცონარა ადგა და ველარ დაჯდაო. 1610

ბლანტემ ფეხი ასწია — ფეხზე ვერ დადგაო, დადგა და — ვე-
ლარ დაჯდაო.

მცონარა ადგა, სახლი დაწვაო. 1611

მცხეთაში ძალღმა კაცი დაგლიჯა და ქალაქში მოკლესო. 1612

„მძიმე“ ქვასაც გაუხარდება, „მსუბუქი“ ბუმბულსაც ეწყინებო.

1613

შდრ.: № 1987

მწევარი რომ კურდღელს მისდევს, კურდღელი რაღას მისდევსო.

1614

ეს მწევარი კურდღელს მიდევს და ეს კურდღელი — რაღასაო.

- მწევარს რომ ყურები მოაჭრა, მწყემსის ძაღლად არ გადაიქცევაო.
1615
- მწევრისგან მოღლილი კურდღელი მეძებარმა დაიჭირაო. 1616
- მწვადი ისე შეწვი, არც მწვადი დაწვა, არც შამფურიო. 1617
შდრ.: № 4254
- მწიფე პანტა ლორისააო. 1618
ტყეში საუკეთესო მსხალს დათვი ჭამსო.
- მწიფეს ესროდნენ, მკუხე ცვიოდაო. 1619
- მწიხლავს წინ დაუდებ, მრჩოლელს — უკანაო. 1620
წიხლიანს წინიდან მოუვლიან და კბილიანს უკანიდანაო.
მკბენელას უკანიდან უფრთხილდი, ღრენიას — წინიდანაო.
შდრ.: №№ 1236, 2710
- მწყემსს ერთი დღე შეხვდა, ისიც ავდრიანიო. 1621
შდრ.: № 2142
- მწყურვალ ძაღლს ქალმა ქვაბით წყალი დაალევინა და იმითი ცხონ-
დაო. 1622
- მწყურვალის წამალი წყალიაო. 1623
- მჰადი ვკამე — იმან მომკლა, არ ვკამე და — შიმშილმაო. 1624
- მჰადი თუ გაქვს, მომეცი და მოგიტეხო. 1625
- მჰადმა თქვა: ოცდაოთხი კელავერი მაქვსო. 1626
- მჰედელს დანა არა ჰქონდა, ფეიქარს — ხელსახოციო. 1627
მჰედელს დანა არა ჰქონდა, ხარაზს — ჩუსტებიო.
ფეიქარს შარვალი ენატრებოდა და მჰედელს — დანაო.
მეწაღეს წაღა არ ჰქონდა და მექედეს — ქუდიო.
შდრ.: № 1307
- მკლე ჭაკი ლამაზ კვიცს იგებსო. 1628

- ნაბდის წყალში ჩაგდება ადყილია, ამოღება — ძნელიო. 1629
- ნაბიჭვარი არ იძახის — დედაჩემი ცუდიაო. 1630
ვინ იტყვის — დედაჩემი კუდიანიაო.
შღრ.: № 775
- ნაბიჭვარსაც გაზრდა უნდაო. 1631
ბუშსაც მონათვლა უნდაო.
- ნაგავზე სოკო დიდი გაიზრდება, მაგრამ მალე წაიქცევაო. 1632
- ნაგიჟარს რომ სიგიჟე მოაგონო, ისევე გაგიჟდებაო. 1633
ნაგიჟარს სიგიჟე არ მოაგონო, თორემ კიდევ გაგიჟდებაო.
- ნათლი, ძალი გეპარებოდა, სირცხვილით ვერ გითხარიო! 1634
- ნათლიავ, ნათლიდედას ნუ დაივიწყებო! 1635
- ნათლიავ, კოჭლი ცხენით მოვედი და ვერა მოგიტანე-რაო!
— ვერცარას აქედან წაიღებ შენი კოჭლი ცხენითაო! 1636
შღრ.: № 1840
- ნათლიავ, შენსას ჩემი მირჩევნია და სხვისას — შენიო. 1637
სვინაო, შენი თავი სხვისას მირჩევნია და ჩემი თავი — შენსასო.
ჩემი სხვისას მირჩევნიაო.
- ნათლიავ, ხან რომ ჩვენსა, ხან თქვენსაო. 1638
- ნათლიამ უთხრა ნათლიდედასა: ჩემი ნათლული გეპარებოდესო!
1639
ნათლია ნათლიდედას ნათლულს აბარებდა, — აბა შენ იცი, რა-
ვა მოუვლიო!
შღრ.: № 1591
- ნათლიდედის სილამაზე ნათლიმამას გაუხარდებაო. 1640
- ნათხოვარი ათხოვეო, მამის სული აცხონეო. 1641
ითხოვე — ათხოვე, სული იცხონე.
- ნათხოვარი მოგიხდება, ისევე მალე გაგეხდება. 1642

- ნათხოვარი ნუ გძულსო, ნაშოვარი ნუ გშურსო. 1643
საშოვარი ნუ გშურსო, ამხანაგი ნუ გძულსო.
- ნამგლევი მგლისა არისო. 1644
ნამგლევი მგელთაო.
- ნამოყვრი ჭირი ძნელი არისო. 1645
მოყვრის სახადი მტერს შეხვდაო.
- ნარეცხის ნარეცხმა კუროს პერანგი გარეცხაო. 1646
ნარცხის ნარცხმა სარეცხი ქნა, ვაჰ შენ, კუროს პერანგო!
- ნართვლევს კოლოტი შარას ააგორესო. 1647
ნართვლევს კოლოტი შარას ათრიე, ვის რად უნდაო.
- ნარსა ჰკითხეს: შენი ბინა სად არისო და — ზენა ქარსა ჰკითხეო.
1648
შდრ.: № 2250
- ნატკენს ეტკინოსო. 1649
ყველაფერი ნატკენს ეტანება.
შდრ.: № 1530
- ნაფუძარი რომ მოგიხნან, ვითომ კლდეს დაგეთესოსო. 1650
სხვამ რომ მოხნას შენი ნაფუძარი, შენ არაფერი გერგებაო.
შდრ.: № 1895
- ნაქებმა კატამ თაგვი ვერ დაიჭირაო. 1651
შდრ.: № 1935
- ნალველას შაქრის გემო არ მიეცემაო. 1652
ნალველსა შაქრის გემო!
- ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო. 1653
- ნაჩუქარი რეგვენს ნაპოვნი ეგონაო. 1654
რეგვენს ნაჩუქარი მუქთი ეგონაო
შდრ.: № 1518
- ნაჩუქარი ტალახიანი ჯოხიც კარგიაო. 1655
- ნაცარქექია კერის პირში გახელდაო. 1656
ნაცარქექია სად იკვების და — კერაშიო.
- ნაცარქექია ღონეს იქადნებოდაო. 1657

- ნაცარში რომ ფეხი ჩაჰკრა, მტვერი მოგედინებაო. 1658
- ნაცვალგარდად ცხენი ცხენს დაჰფხანსო. 1659
- ნაცვლის მოწამე ვინ არის და — გზირიო. 1660
შდრ.: № № 1430, 1588
- ნაცნობი ციებ-ცხელებაც კარგიაო. 1661
შდრ.: № 2478
- ნახაფანგარი მელა ადვილად აღარ გაებმისო. 1662
შდრ.: № 719
- ნაჯახის დამკარგავმა უბეშიც უნდა ჩაიხედოსო. 1663
- ნელო და თბილო თავის სასახლეო. 1664
- ნემსი ჭერ შენ იტაკე და მერე სხვას ატაკეო. 1665
- ნემსის მყიდველი ბათმან რკინას კითხულობდაო. 1666
- ნემსის ოდენა ჭუჭრუტანაში ერთი ურემი სიცივე შევაო. 1667
სადაც თავგი შეეტივა, იქ ერთი ურემი სიცივე შევაო.
- ნემს-მახათს მჯილი არ დაერთყმისო. 1668
ნემს-მახათს მჯილით არ ეცემისო.
სადგისის წვერს მუჭი არ დაეკვრისო.
- ნეტავი ფაფა მაჭამა და ქვაბი არ გამარეცხინაო. 1669
შდრ.: № № 1749, 2834, 5528
- ნეტამც ჩვენ თხას ტყუბი მოეგოსო. 1670
ნეტა თხა იყოს, ტყუბი მოიგოსო.
ღმერთმა ქნას, თქვენმა თხამ წყვილ-წყვილი შობოსო.
- ნიავი როცა მოდის, მაშინ უნდა ანიაოო. 1671
- ნიაღვარი რომ ბარს გართმევდეს, მაშინაც უნდა მორწყო ყანაო.
1672
- ნივრის ნაყვა ხაშს მოუხდებაო. 1673
- ნიორმა თავის სიმყრალე ძმარშიაც კი შვიდ წელიწადს შეინახაო.
1674
ნიორი შვიდი წელიწადი ძმარში იღვა, მაინც თავისი სუნი არ
გამოეღიაო.

ნიორმა სიმყრალე სამ წელიწადს შეინახაო.
მწარე ნიორმა ერთი წელიწადი თავი შეინახაო.

ნიორო, ჯერ არ მიკვამიხარ, სუნით მახრჩობ, რო გქამო, რას მიზამო. 1675

შდრ.: № 136

ნისია სხვისიაო. 1676

ნისიად ნაყიდი ღვინო ორჯერ ათრობსო. 1677

ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო. 1678

ძველი გზა, ძველი მოყვარე ადვილ არ გაიწირებო.

შდრ.: № 3271

ნუ დაიკვებებ მამულო, ყანა ამინდის შვილიაო. 1679

შენ რას იკვები მოხუცო, ყანა ამინდის შვილიაო.

ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო. 1680

ვინც დასცინის სხვასაო, მოიბრიყვებს თავსაო.

სხვას ნუ გეეცინები, თორო გეეცილებიო.

ნუ იქმ ავსა, ავისა ნუ გეშინიაო. 1681

ავს ნუ იზამ და ნურც ვისი გეშინოდესო.

ცუდს ნუ იქმ და ცუდისა ნუ გეშინისო.

ჩამოშორდი სიავეს და ისიც ჩამოგშორდებაო.

თუ თავად ბოროტი არა ხარ, ბოროტისა ნუ გეშინიაო.

ნუ შეხვალ — ნუ ებანები, ნუ გამოხვალ — ნუ თრთიო. 1682

ნურც ეშმაკს დაინახავ და ნურც პირჯვარს დაიწერო. 1683

ნურც მომიტეხ მჟაღსა, ნურც მომიტეხ ყბასაო. 1684

Ⴍ

ობობაც თავის საქმეზე ფიქრობსო. 1685

ობლის კვერი ნაცრიანიაო. 1686

ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო. 1687

ობლის კვერი ცხვა, ცხვა და როგორც იყო გამოცხვაო.

ობლის კვერი გვიან ცხვებაო.

ობლის კვერი ცხვა, ცხვა და არ გამოცხვაო.

ობოლი თავის კიპს თვითონვე მოიჭრისო. 1688

ობოლს ერთი კვერი ჰხვდა, ისიც გატეხილიო. 1689

ობოლს ძლივს ერთი კვერი ხვდა, ისიც დამწვარიო.

ობოლს კვერს ბევრი ჰპირდებოდა, მაგრამ გამომცხობი არავინ არისო.
1690

ობოლს დამპირებელი ბევრი ჰყავდა, კვერის დამკვრელი კი
— არაო.

ობლისად იმედის მიმცემი ბევრია, პურის მიმცემი — ცოტაო.

პურს ბევრნი მპირდებიან, მაგრამ არავინ მაჭმევსო.

ობოლს კვერი ემცრობოდა, ისიც შუა გაეყოო. 1691

ობოლი კვერს დასტიროდაო, ისიც შუა გაუტეხესო.

ობოლს კვერი ეცხოვროდაო, ისიც ცეცხლში ეწვებოდაო. 1692

ობოლს კვერი ხელში ეჭირა, ჰამდა და მაინც იძახდა: პური მშიაო.
1693

ობოლს ნურცა სცემ, ნურც მოჰკლავ, პური წაართვი და გაუშვიო.
1694

ობოლს უთქვამს: ნეტა დედა მომცა, საფქავში ჩავესვიო. 1695

ოდს უთქვამს: ჩემ საყოფს ურმიდანაც გამოვგლეჯო. 1696

ომს ნაშუადღევს არ აგვიანდებო. 1697

სადილთ უკან ომი არ დაგვიანებულაო.

ომში ნამყოფს ომს ვერ ასწავლიო. 1698

ომში რა სჯობიაო და — რაც ხელში მოგხვდებო. 1699

ომში — რითაც შეესწრებო.

ზღრ.: № 1076, 1558

ორი თავგატეხილი კოდალა ერთმანეთს შესჩიოდაო. 1700

ორი კაცი ერთ კაცზე ლაშქარიაო. 1701

ორი კაცი ერთ კაცთან ნადი არისო.

ორი კაცი სოფელიაო. 1702

შდრ.: № № 2017, 2018

ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო. 1703

მწევარი რომ ორ კურდღელს გამოეკიდება, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.

ერთი ძაღლი ორ კურდღელს ერთად ვერ დაიჭერსო.

ორი პურაძვირი კაცი ერთმანეთის მიბაძვით შიმშილით მოკვდაო. 1704

ორი ქაჩალი სავარცხლისთვის ჩხუბობდაო. 1705

ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო. 1706

შდრ.: № № 653, 704

ორი ძაღლი ლომს გააქცევსო. 1707

ორ ძაღლს ლომის გაქცევა შეუძლიაო.

ორი ჯამბაზი ერთ თოჯზე ვერ ითამაშებსო. 1708

ორმა თუ იცის, ღორმაც იცისო. 1709

შდრ.: № № 613, 1898, 1902

ორმა კაცმა რომ გითხრას ბრმა ხარო, თვალეები დახუჭევო. 1710

ორმა კაცმა რომ გითხრას ბრმა ხარო, თვალეებზე ხელი დაიფარე და გამობრუნდიო.

ერთმ რო გითხრასავ — არაივ, ორმ რო გითხრასავ, — თვალთავ ხელ აიფარევ.

ორი კაცი რომ გეტყვის, მთვრალი ხარო, უნდა დაიჯერო.

ორმა მდიდარმა ერთი ღარიბის ოჯახი ვერ ააყენაო. 1711

ორბსა ჰკითხეს: რატომ აღარა ფრინავო და — ფრთები დამაჭრეს და როგორღა ვაფრინოო. 1712

ფრთებდაჭრილი ორბიც ვერა ფრინავსო.

ორმოში დამპალი თოკით არ ჩაისვლებაო. 1713

ორსულს შობა არ ასცილდებაო. 1714

ორშაბათი რომ გიცდებოდეს, მუცელი მაინც გიძლებოდესო. 1715

ოსმა შვიდი წლის მერე სისხლი აიღო და — რა მეჩქარებოდაო! 1716

ოსმანა და აღიაო ორივე თათარიაო. 1717

- ოქრო პატარაა, მაგრამ ფასი დიდი აქვსო. 1718
 ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირად ფასობსო.
 ოქრო პატარაა, მაგრამ რამდენ რკინას სჯობიაო.
- ოქრო სადაც იჭრება, ფასი იქა სძევსო. 1719
- ოქრო ფუთობით არ იყიდებაო. 1720
- ოქრო წყალშიაც არ იძირებაო. 1721
- ოქროს ანკესი ყველანაირ თევზს იჭერსო. 1722
- ოქროს ქალამანი რომ გეცვას, მაინც ქალამანიაო. 1723
- ოქროს ყადრი ოქრომჭედელმა იცისო. 1724
- ოქროს ჩაქუჩი ცხრაკლიტულს აღებსო. 1725
- ოჩანი ხარი დაღმართში გაიქცევაო. 1726
- ოხერი ცხენი, ოხერი ქერიო. 1727
 აურწყავი ქერი და ოხერი ვირიო.
- ოჯახი გაქებს, ოჯახი გაგინებსო. 1728
 ოჯახმა შენმა შეგინახოსო.
- ოჯახი ვისიაო და — ვინც მოიხმარს, მისიაო. 1729
 — ოჯახობა ვისიაო და — ვინც მოუვლის მისიაო.
- ოჯახის სიმდიდრე კატითა და ძაღლით იცნობაო. 1730
 ოჯახის სიმდიდრე იმით გაიზომება, თუ კატა და ძაღლი მსუქა-
 ნიაო.
 მსუქანი კაცის ცხენი და ძაღლი მსუქანიაო.
 დედაკაცის სიკეთე ოჯახში კატასა და ძაღლს შეეტყობაო.
 სოფლის სიმდიდრე მამასახლისისა და მისი ცხენის სიმსუქნით
 იცნობაო.

3

- პატავ, ბანი თქვიო და — ქუსლი მტკივა, ბატონო! 1731.
- პანღური მეტკინება და არ მეწყინებაო. 1732
 პანღური განა მეტკინება, მეწყინებაო.
 შდრ.: № № 10, 832

- პაპავ, ცხვირი მოიწმინდე, ცანგლი ჩამოგდისო, — ზამთარიო!
 — ზაფხულშიაც გვინახიხარ მასეო! 1733
 შდრ.: № 2779
- პარკით პურს ნუ მომპარავ და გოგრიტ ღვინოსაო. 1734
- პატა-პატო, პატით კვერცხი გამოცხვაო. 1735
- პატარა ვიყავ—დიდისა მეშინოდა, დიდი გავხდი და პატარასი მე-
 შინიაო. 1736
- პატარა კაცმა დიდი გორი გაღიარაო. 1737
- პატარა კაცმა დიდი სიზმარი ნახაო. 1738
 პატარა კაციც ნახავს დიდ სიზმარსაო.
 პატარა კაცმა დიდი სიზმარი ნახა და გაუჟვირდაო.
- პატარა მთიდან პატარა წყალი გამოვაო. 1739
 ცოტას მთას ცოტა ნამ მზღდისო.
- პატარა სოფელში გზირი ხშირად მივაო. 1740
 ბატარია სოფელასა მალევე გაივლის გზირიო.
- პატარა ტოროლა დიდ ტოროლას ატყუებდაო. 1741
 პატარა მელია დიდ მელიას ატყუებდაო.
 პატარა ეშმაკმა დიდი ეშმაკი აცდუნაო.
 შდრ.: № 2089
- პატარა ღვარი მომადგა — პატარა ვიყვირე, დიდი ღვარი მომადგა
 — დიდი ვიყვირეო. 1742
- პატარა ღრუბელს დიდი სეტყვა მოჰყავსო. 1743
- პატარა ძაღლი ლეკვად მოკვდებო. 1744
- პატარძალი ტყუოდაო, ისევ თითონ ბუოდაო. 1745
 პატარძალი ტყუოდაო და მაყრებს უწყრებოდაო.
 ვინც სასირცხვო საქმე ქნა, ისივე წყრებოდაო.
- პატარძალი შინ დაბრუნდა, გეშინოდეს საციქველოო! 1746
 შდრ.: № № 365, 2232
- პატარძალმა კოკა გატეხა და — ნეტავი ბავშვი მყავდეს, იმას და-
 ვაბრალოო. 1747
 შდრ.: № 2127

- პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა, — ბაკი მრუდღეაო! 1748
 პატარძალი ეზოს ვერ გვიდა და — ეზო მრუდღეაო.
 ვინც თამაშობა არ იცის, ეგ რა ეზოს ბრალიაო!
- პარატძალს ფაფის ჭამა უყვარდა და ქვაბის გამორეცხვა ეჭავრე-
 ბოლაო. 1749
 შდრ.: № № 1669, 5528
- პატივმა ერთი ორად კი არ მაქცია, მაგრამ ერთი ორს კი დამამჯო-
 ბინაო. 1750
 პატივს უთქვამს: კაცს ერთი ორად კი ვერ გავხდელი და გავა-
 უკეთესებდი კიო.
 სმა-ჭამამ ორად კი ვერ მაქცია, მაგრამ პირველს კი დამამჯო-
 ბინაო.
- პატივს ნურც მოითხოვ და ნურც დაითხოვო. 1751
- პატიოსან კაცს გაცვეთილი ჩოხა აცვიაო. 1752
 პატრონმა როგორც გითხრას, ვირი ისე დააბიო. 1753
- პატრონმა ხარს ყურზე ხელი მოავლო და შემოატარა, — მე თითონ
 არ მოგღევო! 1754
- პაწა ძღვენო, სად მიხვალო? — საიდანაც დიდს მოველიო. 1755
 შდრ.: № 2618
- პეპელა სინათლეს მისდევსო. 1756
 ციცინათელა შუქს მისდევსო.
- პერანგი თუ არ გამოგდიოდეს, სოფელში გაიტანე და სანიფხვეც
 მოგჩიებაო. 1757
 საპერანგე გაიტანე, სანიფხვეს შიგ გამოგვეკრიანო.
 ერობაში გატანილი საპერანგე სანიფხვედ გახადიანო.
 ორლობეში სანიფხვე საკაბედ გავიდაო.
 საქვეყნოდ გამხდარს საპერანგეში სანიფხვე აღარ გამოვიდაო.
 საპაიჭე საჩოხედ გადააქციესო.
 შდრ.: № 2277
- პეტრეს დააზომეს და პავლეს შეუკერესო. 1758
- პირალმართ გაიჭირვე, პირალმართ გაგიადვილდებო. 1759
- პირველ ლუკმას მეორე ლუკმა ვერ მოეწევაო. 1760

პირველი და ბოლო სიცივე უფრო საგრძნობი იქნებაო. 1761

პირველი ვინაა და — ადამიო. 1762

თავ ვინ ასაგ? — ადამივ.

პირობა კაცს ცოლს წაართმევსო. 1763

დანაპირებმა კაცს ცოლი აპგვარა მკლავიდანაო.

პურადძვირი თუ გამხიარულდა, ბედოვლათს გადააქარბებსო. 1764

პურადძვირი კაცისა მარილი მეტი წავაო. 1765

პურადძვირ მასპინძელს მარილი მეტი ეხარჯებოდაო.

პურადძვირ კაცს ერთი პური მეტი მისდიოდაო.

ძუნწისა მეტი იხარჯებო.

შდრ.: № 2766

პური და გული სტუმარსა, წავა, შინ მოაგონდებაო. 1766

შდრ.: №№ 486, 4074

პური მაშინ მინდა, როცა მომშივდებაო. 1767

პური მეპურეს დააკვრევინე და ერთი პური მეტი მიეციო. 1768

მეპურესაო ერთი პური მეტი მიე და კაი პური დააცხოზინეო..

ხაბაზს ერთი პური მეტი მიეცი, კარგად გამოაცხოზინეო.

პური მეპურეს გამოაცხოზინეო.

პური პურის ჭამის შემდეგაც დაგჭირდებაო. 1769

პურის და ყველის მჭამელმა ღმერთს აღარ შეხედაო. 1770

პურის მცხოზლის მოსამსახურე და ძალღი მშივრები დარჩენო. 1771

პურმა თქვა პირს არ მოვძებნი, თუ თვითონ არ მომძებნაო. 1772

პურ-მარილი ქვაზე დადე. გამოივლი — წინ დაგვდებაო. 1773

გაიარე — ქვა დადევო, გამოიარე — დაგვდება.

შდრ.: № № 1774, 4169

პურ-მარილის დასწავლა ქვამაც იცისო. 1774

ძალღი დაიმასხოვრებს ვინც აქმევსო.

სიკეთე ძალღსაც არ დაავიწყდებაო.

შდრ.: № 1773

პურ-მარილს ნურც ყეხს ამოჰკრავ. ნურც გაექცევიო. 1775

პწყენა-პწყენაში პატარძალი დაორსულდაო. 1776

ცოტ-ცოტობათ ბატარძალი გამაყულო.

ქ

ქანგმა თქვა: ვიდრე მე რკინა შევკვამე, დარღმა გული ასჯერ მოინე-
ლაო. 1777

ქანგი რკინას ჰამს, დარდი — გულსაო.

ჩ

ჩა ბუზიცა ბზუის, ყველა თაფლს კი არ აკეთებსო. 1778

შდრ.: № 347

— ჩა უფრო ცქვიტია და — შინ გაქცეული გლეხიო. 1779

ჩა ქნას კარგმა მონარღემა, დროზე შაში თუ არ მოვაო. 1780

ჩა ქნას კარგმა მონადირემ, თუ ნადირს ვერ შეხვდებო.

ჩა ღმერთმაც ჩამოჰქინქლა, ის ღმერთი აჰქინქლავსო. 1781

ჩა ციხის იმედიც არ გქონდეს, დაიქცეს ის ციხეო. 1782

ჩა წევს, ჩა კენესისო. 1783

ჩა წევს, ჩა ღრინავსო.

ჩაკი ფარჩა გაიჭრება, ფასი დააკლდებაო. 1784

ჩამღენი ვირიც ვიყიდე, ყველა ყროყინა გამომადგაო. 1785

ჩამღენიც დედას გავარდა, იმღენი ნახირს შევარდაო. 1786

ჩამღენიც დაიბადა, იმღენი ნახირს შეემატაო.

ჩასაც არ ჩამახევენ, არას ჩამაკერებენო. 1787

თუ არას ჩამახევე, არას ჩამაკერებო.

თუ არას მახევე, ხომ არაფერს მაკერებო.

ჩასაც დათეს, იმას მოიმკიო. 1788

კაცი რასაც დასთესს, ღმერთიც იმას მისცემსო.
სადაც არ მიხნავს, იქ რა მოვიმყოლო.
რასაც გაასესხებ, იმასვე ჩაისესხებო.
შლრ.: № № 2249, 5600

რასაც ვერ შეწვდები, ნუ შეეწვდებიო. 1789
შლრ.: № 5597

რასაც ვირი ეწეოდა, ორი იმდენს — ვირის პატრონიო. 1790

რასაც კბილს დაადგამენ, აყროლდებო. 1791

რასაც ხელზე დამისხამო, წვერზეც იმას წაგისვამო. 1792
რა დამისხი ხელზედაო, რა წაგისვა წვერზედაო.

რაც არ დაწვა, რა აღგაო. 1793

რაც არ მერგება, არ შემერგებო. 1794

რაც არ უნდა მინდისაო, ყურში მძიმედ მისდისაო. 1795
როცა არ სწადის მინდისა, ყურებში მძიმედ მიზდისა.
რაც არ მამდისავე, არ ჩამდისავე.

რაც არა ვშობე — შვილი არ იყო, რაც არ გავზარდე — ყმაო. 1796
რაც არა ვშობე — არშვილი, რაც არ გავზარდე — არყმაო.

რაც გატყენს, ის მოგარჩენსო. 1797
შლრ.: № № 2707, 2263

რაც გეზარებოდესო, ის გეძალებოდესო.. 1798
რაც გეზარებოდესო, იგი არ გეცილებოდესო.
რაც გძულს, არ აგცილდებო.
რაც გეზარებოდესო, ის გეძნელებოდესო.
რასაც ერიდევე, იმას ეგანევე.

რაც დედამთილი — ის რძალიო. 1799
შლრ.: № № 1825, 1864

რაც თხამ უყო თრიმალსა, ის თრიმლმა — თხის ტყავსაო. 1800
რაც თხამ თრიმლს უყო, უფრო უარესი თრიმლმა თხის ტყა-
ვსაო.
თხამ თრიმლი ჭამა, თრიმლმა — თხაო.

- რაც ითქმოდეს, ქარს მიჰქონდესო. 1801
- რაც მგელმა მელას თავზე დაცემით უყო, ის მელამ მიპარვით გადაუხადაო. 1802
- რაც მგელმა ცხვარს დააკლო, დააკლო, რაც არა — მწყემსმა უარესო უყოო. 1803
რაც მგელმა ცხვარსა დააკლო, რაც არა და ძაღლმა აიკლოო.
- რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. 1804
- რაც მოხდეს, სოფელს გადახდესო. 1805
რაც მოხდება, ხალხს გადახდებო.
თუ რამე წახდა, სოფელს გადახდაო.
- რაც უნდა ქნას თვალმა, წარბს ზევით ვერ წავაო. 1806
- რაც შეშვენის გლახა ბერსა, არ შეშვენის კახაბერსაო. 1807
- რაც ცასა ჰფერავდა, დედამიწა უქცევდაო. 1808
რაც ცას ხფერავდავ, დედამიწამ შაუქციავ.
- რაც ცოლს არ უყვარს, იმას ქმარი თავის დღეში ვერ შექამსო. 1809
- რაც ხეა, ნაფოტიც იგივეაო. 1810
შდრ.: № № 561, 910, 813, 1830
- რაცა მქვია — პირსა მცხიაო. 1811
- რაკველსა სცემეს და — საკინძე დამახიესო! 1812
- რეგვენი ბრძენზე ბრძენია, რაშიაც გამოცდილიაო. 1813
- რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო. 1814
- რეგვენი ტყეში შეშას ეძებდა, ეცხლი ყველაფერს წვავდაო. 1815
გიჟი გარბოდა ტყეშია, ცეცხლი ყველასა ჰწოვდაო.
- რეგვენმა შვილი მოკლა, დაჯდა, თვითონვე იტირაო. 1816
- რეგვენს ხელმწიფობა უბოძეს და წინდაწინ თავის დედა შესვა ვირ-ზეო. 1817
- რთველში ძაღლსაც კი მოხსნიან კონკილასაო. 1818
- რისი ცნობაც არ იყოო, მისი ფასიც არ იყოო. 1819
- რკინა რკინობას ცეცხლში ვერ იზამსო. 1820

- რკინა ცეცხლში იწრთობაო. 1821
- რკინის კარი ლასტის კართან მისულაო. 1822
- როგორ გოდორსაც დაწნავ, ისეთ გოდორში ჩაჯდებიო. 1823
შდრ.: № 1112
- როგორ მკედარსაც მიასვენებენ, ისეთივე მღვდელი მიუძღვისო.
1824
- როგორი მოხვედიო? — როგორიც დამხვდი, იმისთანაო. 1825
შდრ.: № № 1799, 1864
- როგორიც ალაგიო, ისეთი ალაბიო. 1826
შდრ.: № 4852
- როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო. 1827
ცარიელი ალხანა, ცარიელი ჩალხანაო.
როგორიც არის ქარხანაო, ისეთი ხარ, თარხანაო.
რაც ტურა, ის მელაო.
შდრ.: № № 440, 1835, 1829, 1826
- როგორიც ბერიო, ისეთი ერიო. 1828
შეხედე ერსა, მერე ბერსაო.
- როგორიც გამთხოვი, ისეთი მომყვანიო. 1829
შდრ.: № № 877, 1827
- როგორიც გყავდა დედაო, შენც ისეთი ხარ, ქედაო! 1830
შდრ.: № № 561, 813, 910, 1810
- როგორიც დოღი იყო, ცხენმაც ისე ირბოლაო. 1831
დოღი რიგზე იყო და ცხენმაც ისრე წინ ირბოლაო.
- როგორიც მთა იყო, თოვლიც ისეთი რადოო. 1832
ღმერთი მთას დახედავს და თოვლს ისე დადებსო.
- როგორიც პაპა იყავიო, ისეთი ჭამა გიყავიო. 1833
როგორი მამაც იყავიო, ისეთი რიგი გიყავიო.
ავი პაპა იყავიო, ავი წირვაც გიყავიო.
არცრა პაპა იყავიო, არცრა ჭამა გიყავიო.
- როგორიც პირ-მარხვაო, ისეთი დიდმარხვაო. 1834
- როგორიც ტყე იყო, ნადირიც იმისთანა გამორბოდაო. 1835
როგორიც ტყე, ისეთი ნადირიო.
10. ხალხური სიბრძნე, ტ. V

როგორც ტყეა, იმისთანა ნადირი ბუდობსო.

შდრ.: № № 1827, 1826

როგორც გიწირავს, ისე სწირეო. 1836

როგორც გიქირდეს, ისე გიღირდესო. 1837

გეჭირებოდესო, გელირებოდესო.

სადაც გილხინდეს, იქავ გიჯობდესო.

როგორც დაიგებ, ისე მოისვენებო. 1838

როგორც იშრომებ, ისე იცხოვრებო.

როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკდებო. 1839

ჩონგურს როგორც დამიკრავ, მეც ისე დაგითამაშდებო.

როგორადაც ტაშს უკრავთ, მეც ისე ვცეკვავო.

როგორც დამიტაშდებო, ისე დაგითამაშდებო.

შდრ.: № № 2072, 2584

როგორც მოხვალ, სეინაო, ისე წახვალ შინაო. 1840

როგორც მოხვალ ტარიელი, ისე წახვალ ცარიელი.

როგორიც მოხვალ ჩვენსაო, ისეთი წახვალ თქვენსაო.

შდრ.: № 1636

როგორც უნდა დიამბეგსა, ისე შეცვლის ყველას ბედსაო. 1841

როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო. 1842

რამდენჯერაც დაიგრუხუნებს, იმდენჯერ კი არ გაწვიმდებაო.

რაც იქროლებს, იმდენს არ ითოვებსო.

როგორც შეიძლო, შენ მეუფეს ისე ელაღადეო. 1843

რომ გაძღებინან, ობოლი მერე მოაგონდებათო. 1844

რომ ვთქვა — ვაიმე რძლებო, რომ არა ვთქვა და — ვაიმე ძმებო!

1845

რომ მცოდნოდა, სად დავეცემოდი, ჩალას იქ დავაგებდიო. 1846

კაცმა რომ იცოდეს, სად დაეცემა, იმ ადგილას ქეჩას დაიგებსო.

შდრ.: № 1458

რომელ თითააც მოვიჭრი, ყველა ერთნაირად მეტკინებაო. 1847

რომელ წყალშიც ცურავ, ის დაგახრჩობსო. 1848

რომელი მგელიც მე არ შემკამს, დიდხანს იცოცხლოსო. 1849

- რომელი მორვეიც მე დამახჩობს, ყველასთვის ზღვა დამირქმე-
ვიანო. 1850
- რომელი წყალიც მე დამახჩობს, ის ჩემთვის ოკეანეაო.
- რომელი ძალლიც არა კბენს, შორიდან იყეფებაო. 1851
- რომელმაც უარი გითხრას, იმის იმედი გკონდესო. 1852
- რომში პაპი ვერა ვნახე და თბილისში — აბანოო. 1853
- როცა გშია ზაქარია. ცივი მჰადიც შაქარია. 1854
თუ კი გშიან ზაქარია, ქერის პურიც მაქარიაო.
არა გშია ზაქარია, თორემ მჰადიც შაქარიაო.
- როცა დედა დედინაცვალა, მამაც მამინაცვალაო. 1855
- როცა ვნახავ ალოსაო, მაშინ გავლევ კალოსაო. 1856
- როცა პური არ არის. ეს თხა მგლის პურიაო. 1857
- როცა პური ენატრებათ, მწვადზე არ ბაასობენო. 1858
- როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო. 1859
შდრ.: № № 3287, 3402
- როცა ჩაკრა ცულმა ქვასა, მაშინ ჩახვდა გულისხმასა. 1860
- როცა ჯოხი არა გაქვს, ძალს ლუკმა გადაუგდევო. 1861
როცა ჯოხი არა გაქვს, ძალი ლუკმით მოიგერევო.
- რუისელმა გოგომ თქვა: თუ ქარელში გამათხოვებენ, ხომ კარგი, თუ
არა და ე ბებნისი ხომ აქ არისო! 1862
შდრ.: № 1029
- რჩოლია საქონელს ღმერთი რქას არ მისცემსო. 1863
მოჭიდავე ხარს ღმერთმა რქები არ მისცაო.
- რძალი დედამთილს კისრიდან ჩაჭხივიანო. 1864
რძალი დედამთილს ჩიქილის ტოტით ჩაჭხივიანო.
შდრ.: № № 1799, 1825
- რძალი მყავდა კუდიანი, არც მე ვიყავ ქრისტიანიო. 1865
- რძალმა რძლის ჯიბრზე ერთი ქილა მარილი შექამაო. 1866
- რძალო, დედამთილი გიჩივისო და — რასა, ის სულძალიო! 1867
რძალს უთხრეს: დედამთილი გემღურისო და — რაზედ მემღუ-

რის ის ქოფაკიო, — აი სწორედ ემაგაზედაო!
— მღვდელო, რძლები გიჩივიანო! — რას მიჩივიან ის უნამუ-
სოებიო! — სწორედ მაგასაო!

რწყილს ნესტარი ჰკრეს, ჰირადაც ეყო და ლხინადაცაო. 1868
რწყილს ნემსი მოჰკლავს, კამეჩს — სადგისიც ვერაო.
რწყილს ნემსი კრეს, მეტიც არ შეეძლოო.
რწყილს შაშარი ჰკრეს და მეტი აღარ ღარჩაო.

ს

საბანი ისე დაიხურე, როგორც გაგიწვდებოდესო. 1869
შდრ.: № 2191

საბარგული საბარგულს მიუმატე — საპალნე გახდებო. 1870
შდრ.: № № 483, 2597

საბრალოს ერთი ფჩხილი ჰქონდა, ისიც წაჰკარდაო. 1871

საბძელს რა დიდი რამ უნდა: ბოძი, ლატანი, კავიო. 1872
შდრ.: № № 2065, 2781

სად ახმეტა, სად წილკანი, სად თხა ძოვდა, სად — ციკანიო. 1873

სად ბერი ცხენი და სად ჰრელი უნაგირიო. 1874
ბერი ცხენის ჰრელი უნაგირი ვის გაუგონიაო.

სად დავკარ და სად გასკდაო. 1875

სად ერეკლე, სად თოროზაანთ თეკლეო. 1876

სადაც არ იყოს, ცოტა კმარიყოსო. 1877

სადაც არის ბელი შენი, იქ მიგიყვანს ფენი შენიო. 1878
სადაც სიკვდილ გიწერავის, ფეხნიც იქ მიგიყვანენო.

სადაც ბალი არ იყო, მაყვლის ბარდი თავის თავს ბაღს ეძახდაო. 1879

სადაც გავა გავაო, თეძოც გავად გავაო. 1880
საცა გავა გავად გავა, ფერდის ფენტხიც გავად გავაო.
ვისი გავაც გავაო, კანჭიც გავად გავაო.
თუ გავა არ გავა, ფენტხი რაღად გავაო.

სადაც დიდი ამოეტევა, იქ პატარაც ამოეტევაო. 1881

- სადაც თათლია, ფუტკარიც იქა ბზუისო. 1882
- სადაც კვამლი მაღალიო, მეც იმისი მაყარიო. 1883
ვისი ერდო მაღალიო, ეს იმისი მაყარიო.
შდრ.: № 1950
- სადაც მინახავს წისქვილი, წყალზე მინახავსო. 1884
საცა გამიგონავ — წისქვილი წყალზედაო.
- სადაც მიხვიდე, იქაური ქული დაიხურეო. 1885
რომელ ქვეყანაშიც მიხვალ, იმ ქვეყნის ქული დაიხურეო.
საცა შეეხიზნები, იქაური ქული უნდა დაიხუროო.
- სადაც მჭამს—იქა არა მფხანს, სადაცა მფხანს—იქ არა მჭამსო. 1886
შდრ.: № 4534
- სადაც ქვეყნის ნახირი, ბებრის ხბოც იქაო. 1887
რაც სხვასა, ის ბებრის ხბოსაო.
- სადაც ყოჩის თავი გაეტევა, ყოჩის ტანიც გაეტევაო. 1888
- სადაც შევარდენი ბუდობს, მწყერი ვერ გაიხარებსო. 1889
სადაც შევარდენი ბუდობს, იქ კაკკაკი რას შესჭამსო.
შევარდენის ახლოს ქედანი ვერ იბოგინებსო.
სადაც ქორი ბუდობს, იქ მტრედს რა უხარიაო?
- სადაც წყალი — იქ.წნორიო. 1890
- სადილი ვისას ვჭამოთ, და — ბრიყვისასაო. — ვახშამიო? — თუ ვერ
შეიტყოს, ისიც მისასაო. 1891
- სავაგლახოდან აიღე, სატილოზე დააგდეო. 1892
საოხარზე ნაშოვნი სატილოზე დაიხარჯაო.
სავერანოში აღებული სატილოში გაივლისო.
ოხრად ნაშოვნი ქონება ხმარდება სატილოსაო.
შდრ.: № 3263
- სავსე ქვევრზე ბამბიქულასაც არ დაახლიანო. 1893
- საზიარო საზიანოაო. 1894
ზიარი ზიანისააო.
შდრ.: № 1895

- საზიარო ყანა თავემა შექამაო. 1895
 სანახევრო ყანას წერო მოქამსო.
 სანახევრო ფეტვი ჩიტს მოუქამიაო.
 სანახევრო მამულს ან ჩიტი შექამს ან კიკვაჯიო.
 ზიარი ძროხა მგელმა შექამაო.
 შდრ.: № № 1894, 1650
- სათვალაუში რვანიო და ნახევარნი ბრმანიო. 1896
- საიდანაც არ ელი, კურღელი იქიდან გამობტებაო. 1897
- საიდუმლო ორშიაო, თუ შესამე მიემატა — საიდუმლო ერშიო. 1898
 ორმა იციან — თვით იციანო, სამმა იციან — თემთ იციანო.
 შდრ.: № № 613, 1709, 1902
- საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო. 1899
- საკვამური ისე არ ვარგა, თუ ბოლი არ ამოდისო. 1900
- საკიცხავი წყალს მიჰქონდა, ხელი ამოყო და ცხრა სოფელი კიდეც
 გაკიცხაო. 1901
 ხინჯი წყალს მიჰქონდა და ცხრა სოფელი წახინჯაო.
- სამ დღემდისინ სამმა იცის, სამ დღეთ უკან თემმა იცისო. 1902
 სამთ იციან დღესაო, სამ დღეს უკან — ცხრა მთასაო.
 შდრ.: № № 613, 1709 1898
- სამ ძმას ერთი ცხენი ჰყავდა და ყველას დასვენებული ეგონაო. 1903
- სამართალს ძალი ჩაგებში დაათრევდაო. 1904
- სამართლით მოჰრილი ხელი არ მეტკინებაო. 1905
 სამართლით მოთხრილი თვალი არ მეტკინებაო.
- სამართლის გაჩენამდის ბრძენსა ჰკითხეო. 1906
- სამოთხეს ლასტის კარები აქვს, ჯოჯოხეთს — ოქროსიო. 1907
- სამოთხეში არ მიშვებდნენ, ჯოჯოხეთში ხელს მიქნევდნენო. 1908
 სამოთხეში არ შემიშვებენ, ჯოჯოხეთში კიდეც შემეხვეწებიანო.
- სამოთხის გზაზე დამდგარ ცხვარს დუმა ამძიმებსო. 1909
- სამოთხის მონატრულსა ჯოჯოხეთშიც არ უშვებდნენო. 1910
- სამშობლო რომ შორსა გქონდეს, თავის ქებას დიდი არა უნდა რაო.
 1911

- სამკედლო გადაიწვაო და — რაც იმას ბერვა ჰქონდა, ან აქამდის-
როგორ გაძლო. 1912
- სანამ თორნე ცხელია, პური მანამ ჩააკარიო. 1913
თონე როცა ცხელია, პური მაშინ იკვრისო.
სანამ კეცი ხურს, ცომი დააკარიო.
როცა თონე გაგრილდება, პურს ველარ გამოაცხობსო.
ცივი თონე პურს არ დაიკრავსო.
გაუხურებელ თონეში პური არ დაიკვრისო.
- სანამ ლაპარაკობ, ქვევრიც ხმას გაძლევსო. 1914
- სანამ მზე ამოვიდოდა, ცვარმა თვალი ამომწვაო. 1915
- სანამ მსხვილი დაწვრილდებოდეს, წვრილს სული დაეღვეაო. 1916
- სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო. 1917
- სანამ სწორი ჯოხი არ იპოვო, მრუდეს ნუ გადააგდებო. 1918
ქუჭყიანი ჯოხი არ გადააგდო, სანამ სუფთას არ იპოვნო.
შდრ.: № 964
- სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზე იფიქრეო. 1919
- სანამ ხარი გახარდაო, პატრონი გათავდაო. 1920
- სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოკრაო. 1921
სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ სისხლი დაღვარაო.
- სანამდის ქვა მოჯდებაო, ჩემი ფეტვიც მორჩებაო. 1922
- სანამდის წვერი გაქვს, უღვაშს ხელს ნუ ახლებო. 1923
- სანახვეს რამდენსაც გაჰქექავ, იმდენი უფრო აყროლდებაო. 1924
- სანთელი სხვას უნათებს, თავის ძირს კი — არაო. 1925
სანთელი თავის ქვეშ ვერ გაინათებსო.
- სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო. 1926
შდრ.: № 1161
- საპონი ვარცლის თავზე დადე, სარეცხი თითონ გამოჩნდებაო. 1927
- სართი დასწრებისააო. 1928
სართი მოგებისააო.
- სასაფლაოდან მკვდარი აღარ გამობრუნდებაო. 1929

- სასწორის სისწორე ამწონავზე ჰკილიაო. 1930
- სასწორ-სამართალს ღმერთი უყურებსო. 1931
შდრ.: № 2041
- სატეხეს ხეში ვერ ჩასვამ, სანამ არ დაჰკრავ ხვედასა. 1932
- საუბარ-საუბარო, ეს დღე კი არ მოიპარო. 1933
საუბარ-საუბარო, ეს დღე კი გაიპარო.
შდრ.: № 1287
- საფიქრებელი წლისაო, საქმე კი ერთი დღისაო. 1934
წლის საფიქრებელი და წამის გასაკეთებელიო.
საგონებელი წლისაო, საქმე — ერთი წამისაო.
- საქებურმა ხარმა ნიახური გადაქელო. 1935
ნაქებმა ძაღლმა ნიახური დაასველო.
სანაქებო პატარძალმა საყვეარი გაატალახიანაო.
შდრ.: № 1651
- საქმე არ ჰქონდეს ხუროსა, დაჯდეს და არახუნოსა. 1936
- საქონელი მწყემსის ხელში კვდებაო. 1937
- საქონელი პატრონს ემსგავსებაო. 1938
რაც პატრონი, ის საქონელიო.
თუ საქონელი პატრონს არა გავს, არამიაო.
შდრ.: № 1951
- საქონელმა თქვა: ერთი გვერდი დამილპეს, მეორეზე გადამდევი,
მაინც გავიყიდებო. 1939
- საქონელმა თქვა: ღმერთო, პატრონს მიმეცი, რომ მოხმარება შეეძ-
ლოსო. 1940
საქონელმა თქვა: ნეტამც ისეთ პატრონს მისცა ჩემი თავი, რო-
მელსაც მოვლა შეეძლებოდესო.
- საქონელმა უთხრა პატრონს: დამამშვენე და დაგამშვენებო. 1941
შდრ.: № 2381
- საღორეში დაბადებულ ხბოს გოჭს არ დაუძახებენო. 1942
- საყდარი ღიღია, მაგრამ შიგ პატარა ხატებიანო. 1943
ღიდ საყდარში პატარა ხატებიანო.

საყდარმა თქვა: დავიქეციო; მგელმა უთხრა: დაიქეცი და ოხერ-
ტილად იქეციო. 1944

საყდრიდან მე მოვიღვიარ და „გწყალობდენ“-ს შენ მეუბნებიო? 1945
შდრ.: № 2290

საყდრის კარი ღია იყო ძალს ნამუსი არა ჰქონდაო. 1946

საყდრის კარი ღია იყვეს, ძალს ნამუსი უნდა ჰქონდესო.

საყდრის კარი ღია იყო, მაგრამ ძალმაც იმოდენა ნამუსი გა-
მოიჩინა, შიგ არ შევიდაო.

საშოვარი სიკვდილს გაღმააო. 1947

საცა არა არის-რაო, არც-რა გატყდება და არც-რა დაიღვრებაო. 1948
რაც არ არის, რა გატყდება და რა დაიღვრებაო.

საცა მიხვიდე სვინაო, იქ არის შენი ბინაო. 1949

საცა პური ფუნთუშიო, მეც იქ შევექენ კუნტრუშიო. 1950
შდრ.: № 1883

საციქველი პატრონს ემგვანებაო. 1951

საციქველი პატრონს უნდა გავდესო.

შდრ.: № 1938

საცრის მთხოვნელმა სადილს მოუცადაო. 1952

საწყალ კაცს ბედი წელიწადში სამჯერ მოუგორდებაო. 1953
კაცს ბედი სამჯერ მიადგება კარზეო.

საწყალ კაცს ცოტა ყოფნიდაო. 1954

საწყალმა თქვა: უნდა გავიხაროო, ღმერთმა უთხრა: მე სადა ვარო!
1955

საქმელი ერთი დღისა, სახელი ასი წლისაო. 1956

სახარე ხბოს სასკორეში შეეტყობაო. 1957
სახარე მოზვერს სარქეში შეეტყობაო.

სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო. 1958

ავად სახელის გავარდნას თვალის გავარდნა ამჯობინესო.

სახელგატეხილს თავგატეხილი სჯობიაო.

პირის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო.

შდრ.: № 3630

- სახლი გქონდეს ფანჩატო, 'შოგ რამ გედვას ფარსაჯო. 1959
შდრ.: № 2183
- სახლი მაქვს — კარი მიბია, ძალი მყავს — კუდი მიბია. 1960
შდრ.: № 2267
- სახლი რომ გეწვოდეს, ხელი მოითბეო. 1961
საბძელი რომ გეწვოდეს, ხელი მაინც უნდა მოითბოო.
კაცს სახლი ეწვებოდა და — ერთს მაინც გავთბებო.
- სახლს რომ ბევრი კარი გაუკეთდება, ბევრი ქარი შევაო. 1962
- სახლში გამოწყობილი საქმე კარში არ გამოდგებაო. 1963
შინ დაბარებული გარეთ არ გამოდგებაო.
შდრ.: № 2495
- სახლში კარგი ძალიც არ იკბინება. 1964
- სახლში მიმხტომს სუღარა ჭიბეში უნდა ედვასო. 1965
ზედმიტანესავ სუღარ ჭიბაჩი უნდა ედვასავ.
- სახრე სამოთხიდან არის გამოსულიო. 1966
ჯოხი სამოთხითგან გამოსულია, გიყს დააკვირიანებსო და ჭკვიანს
გააფრთხილებსო.
სახრე ღმერთს დაულოცნიაო.
- საჩვევანური ხუმრობა ნახევრად მართალიაო. 1967
შდრ.: № 1111
- სელის დათესვაზე რაც ითქვა, მოგლეჯაზეც ის ითქვაო. 1968
- სესიავ, შენი ნაცვლობა მერუობაზე ჩამოხტა. 1969
- სვაფი ძვალს გაზომავს და ისე გადაყლაპავსო. 1970
სვაფი ძვალს კისერს დააზმანებს და ისე ჩაყლაპავსო.
- სვინაო, წვენი მიირთვი და — ხორციც კარგიაო! 1971
- სიბერე როსტომსაც კი მორევიო. 1972
როსტომი დაბერებულა, ჩემი რა საკვირველიაო.
სიბერე ლომს მალრევიავ.
შდრ.: № № 2265, 4936
- სიბერემდე სიქაჩლეო. 1973

სიბერემდის სიქაჩლეს მოელოდეთ.

სიბერის დროს ძაღლმა კურდღლაობა მოინდომაო. 1974

შდრ.: № № 147, 811

სიზმარი გორის ოდენა, გადავა ჩალის ოდენა. 1975

სიკვდილის პირს მუწუქსაც მოევლებათ. 1976

სიკვდილმა თქვა: ისე ვერავინ მოვკალი, რომ არას დააბრალონო.
1977

სიკვდილმა თქვა: მე კაცს მოვკლავ და ფათერაკს დააბრალებენო.

სიკვდილმა თქვა: ისე არავინ მოკვდა, რომ მე ბრალი არ დამდონო.

ღმერთმა თქვა: უმიზეზოდ კაცი ვერ მოვკალიო.

სიკვდილმა თქვა: მოგკლავო და — მჭერა შენი ჭკუისაგანო. 1978

სიკვდილმა უთხრა კაცსა: მოგკლავო და — შენგან გასაკვირი არააო.

სიკვდილი დაემუქრა კაცს: შვილს მოგიკლავო და — შენი ამბავი რომ ვიცი, არ გამიკვირდებაო.

სიკვდილმა თქვა: ნუ ჩამეჭიდები და არ ჩაგეჭიდებიო. 1979

შდრ.: № 28

სიკვდილმა ჩამოიარა, ვაი ერთის პატრონსაო! 1980

შდრ.: № № 753, 1357

სიკვდილს გინდ ემტერე და გინდ ეფერეო. 1981

სიკვდილს უკან სინანული არ იქნებაო. 1982

სიკვდილის შემდეგ სინანულიო!

შდრ.: № 310

სიმართლე შვილიშვილამდეთ. 1983

სიცრუე დილამდეთ და სიმართლე შვილიშვილამდეთ.

შდრ.: № 2094

სიმდიდრის მქონე მაძლარი ვერა ვნახე, სიმართლისა — მშვიტოო..

1984

სიმინდი თოხის შვილიაო. 1985

- სიმინდის ქურდს ტომარა აუწიე, ღვინის ქურდს თავი წააგდებინეო. 1986
- სიმძიმე ქვასაც ამშვენებსო. 1987
შღრ.: № 1613
- სიმწარე თუ თავზე გაყრია, სიტკბოება ფრჩხილსაც ვერ დაგიფარავსო. 1988
- სიობლისა მე მკითხე, სიქვირისა — დედაჩემსაო. 1989
- სირაძემ ყანაში კიტრი ჭამა, შინ — მარილიო. 1990
- სირცხვილი მოგადგა, სიკვდილი განატრაო. 1991
შღრ.: № № 3331, 3887, 3888, 3889, 5683
- სისხლი სისხლით არ გაიბანებაო. 1992
სისხლი სისხლით კი არა, წყლით გაიბანებაო.
სისხლი წყლით დაიბანებაო.
- სისხლიან გვერდს ლაფიანი გვერდი სჯობიაო. 1993
გვერდსისხლიანსა გვერდტალახიანი სჯობიაო.
- სიტყვაბარაქიანიო — საქმეტალახიანიო. 1994
- სიტყვამ ცხრა კარი უნდა გაიაროსო. 1995
- სიტყვას ათვენებ — თავნია, აქარებ — ქარიო. 1996
- სიტყვას ასი ტყვია ესროლეს და ვერ მოარტყესო. 1997
- სიტყვას ბაეი არა აქვსო. 1998
- სიტყვით „ვაი მეო“, საქმით „სხვაი მეო“. 1999
- სიტყვის თქმა რომ გინდოდეს, ჭერ გამგონი გასინჯეო. 2000
ბრძენს როცა ლაპარაკი უნდა, გამგონეთ გასინჯავსო.
შღრ.: № № 344, 1142, 3238
- სიფრთხილეს თავი არა სტკივაო. 2001
- სიღნაღი ისე არ დადაბლდება, საქათმის სიმაღლეზე ვერ მოვიდესო. 2002
სიღნაღი ისე არ წაიქცევა, საქობომდე არ მოვიდესო.
შღრ.: № № 98, 148, 149, 153, 405, 929, 1351

- სიცილით დაკარგულს ტირილით ვედარ დაიბრუნებო. 2003
ტირილით დაკარგული სიცილით ვედარავის უპოვიაო და სი-
ცილით დაკარგული — ტირილითაო.
- სიძე რომ სიმამრისას ჩავა, ღობის სარებიც გაიხარებენო. 2004
- სიძე სად ტყუა და — ცოლოურსაო. 2005
- სიძევ, რაც გვიან-გვიან მოხვალ, უფრო შეგვიყვარდებიო. 2006.
- სიძემ თქვა: ჩემი თოხი მომიტანეთო. 2007
შდრ.: № № 578, 587
- სიძის სიძე წვენის წვენიო. 2008
- სიხარბემ რა ქნა და — ყველა დაკარგაო. 2009
- სნეულის ჯავრი მანამ ამოიყარე, სანამ ლოგინში წვესო. 2010
- სოკო ამინდს მოჰყავსო. 2011
- სოლი სოლს გააქვსო. 2012
- სოფელზე გატყავებულმა მელამ ჩამოირბინა და — ზედსიძე კაცს.
ხომ ვჯობივარო. 2013
ჩასიძებულ კაცს გატყავებული მელია სჯობიაო.
- სოფელი აგიდგეს — წყალს მიატანე, წყალი აგიდგეს — სოფელს.
მიატანეთო. 2014
შდრ.: № 215
- სოფელი არ აშენებულებო, მთხოვარამ შეასწროო. 2015
სოფელი არ აშენებულებო და გლახა მივიდაო.
- სოფელი გაიქცეს — გაიქეცი, დადგეს — დადექო. 2016
სოფელი გაიქცეს — გაიქე, წაიქცეს — წაიქე.
- სოფელი დიდია: ორი სახლი და ერთი ეზოო. 2017
შდრ.: № № 1702, 2018
- სოფელი ვინ და — ერთი კაციო. 2018
შდრ.: № № 1702, 2017
- სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხომო. 2019
სოფელი ვნახე უძაღლო, უჯოხოდ დავიარებო.
მღვდელმა უძაღლო სოფელი ნახა, უჯოხოდ გაიარაო.

სოფელი კარგი სათლელი დუმააო. 2020

სოფელი შენდებოდეს — შეასწარი, იქცეოდეს და — გაასწარიო.
2021

სოფელი იყრებოდეს — გაასწარი, შენდებოდეს — შეასწარიო.
ქალაქი რომ შენდებოდეს — შეასწარიო, რო იქცეოდეს — გა-
მოსწარიო.

სოფელს დიდი თვალი და ყური აქვსო. 2022

სოფელში რომ მიხვიდე, იქაური ამბავი ყმაწვილსა ჰკითხეო. 2023

სოფლის გზა რომ არ იცოდეს, ბავშვსა ჰკითხეო.
შდრ. № 3274

სოფელში ჰირი გაჩნდა. ძაღლებს მზარეულობა ერგოთო. 2024

სოფლის ჰირს ასი ხარი და ურემი ვერ ზიდავსო. 2025

სტუმარი მასპინძლის ვირიაო. 2026

ატუმარი რომ ბჭედ დადგება, სახლი მაშინ დაიქცევაო. 2027

სტუმარი რომ ბჭედ დაჯდება, საქმე მაშინ გაფუჭდებაო.

სტუმარი სტუმარს ეპატიეობდა, მასპინძელს ორივე სძულდაო.
2028

სტუმარი სტუმარს ეპატიეობდა, მასპინძელი — არც ერთსაო.
სტუმარი სტუმარს ეპატიეობდა, მასპინძელმა ორივე გამო-
აგდოო.

სტუმარს სტუმარი სძულდა, მასპინძელს — ორივეო.

სტუმარო, შენც გაისარჯე, შენი სახეთქიც არისო. 2029

სტუმარს უთხრეს: კორკოტს მოურიე, შენი სახეთქიც არისო.

სტუმარო, მაგ ცეცხლს წაპკეთენე, — შენი საცეცხლაღიაო.

სტუმარს წყალი დაუმალე, ღვინოს აღარ მოიკითხავსო. 2030

კაცს ღვინო მოუკავე, წყალი მოაგონდებაო.

სტუმრად უმყოფელმა სტუმრობისა არა იცისო. 2031

სტუმრის საბაბით მასპინძელი გამოძღაო. 2032

ბავშვის საბაბით დედა ძღებოდაო.

სტუმრის წასვლა თუ გინდა, სასთუმალი გამოაცალეო. 2033

სულ არაობას ცალუღელა ხარი სჯობიაო. 2034

სულ არარაობას მღვდლის ცოლი სჯობიაო.
სულ არარაობას, ყველი ინატრე, სჯობიაო.
შდრ.: № № 2035, 2037, 2155, 4856

სულ არყოლას ბრმა დის ყოლა სჯობიაო. 2035
შდრ.: № № 2034, 2037, 2155

სულ რომ ქუდები ვთელოთ, დამხურავი ვინლა არისო. 2036

სულ უდედობასა დედინაცვალი სჯობიაო. 2037
შდრ.: № № 2034, 2035, 2155

სულელი თავი არც თეთრდება, არც ტიტვლდებაო. 2038

სუსტ ხიდზე გინდ რბოლით შამხდარხარ, გინდ ცოცვით. მაინც ჩა-
ტყდებაო. 2039

სწავლა სიბერემდეო. 2040
სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჯარბდებაო.

სწყავს მწყველი და ხედავს ღმერთით. 2041
კაცი სწყავს, ღმერთი უყურებსო.
შდრ.: № 1931

სხვა თევზს კალმახი სჯობს, კალმახს — თხის წვენუაო. 2042

სხვა ოსი მოვიდა, სხვა ნაბადი მოიტანაო. 2043

სხვა სხვის ომში ბრძენიაო. 2044
სხვა სხვის საქმეში გმირიაო.

სხვათა ერბო-ყველაიო — დედის ხელა ხმელაიო. 2045
დედისაი სჯობს ხმელაი, სხვისა ერბო-ყველასაო.

სხვათა მაზიარებელი მოკვდა უზიარებელიო. 2046
ქვეყნის მაზიარებელი დარჩა უზიარებელიო.
სხვისმა მაზიარებელმა ხუცესმა თავის თავი ვერ აზიარაო.
მოკვდა მღვდელი უზიარებელიო!

სხვათა ქვეყანაში ძალლიც კუდამოძუებული დადისო. 2047

სხვამ რომ გველი შეგიწვას, შენ კალმახი შეუწვიო. 2048
გველის შემწვავს კრავი შეუწვიო.

სხვას სხვისი მზე არ ეთობაო. 2049

სხვას სხვისი სიგელი გაუკვირდებაო. 2050

- სხვაფრივ კარგი ხარო, მაგრამ ცალის თვალით ელამი ხარო. 2051
- სხვებისთვის მოტირალი თვალი უცრემლოდ დარჩებაო. 2052
- სხვის ამარად ფართო კარავს ნუ დაიდგამო. 2053
 სხვის იმედზე ფართო ლოგინს ნუ დააგებო.
 სხვისი ცოლის მოიმედე ლოგინს ნუ იფართოვებო.
- სხვის იმედით მდინარეში არ უნდა შეხვიდეო. 2054
- სხვის სანებველაზე ორი ბელურა ერთმანეთს სწეწავდაო. 2055
 ბელურა და ბელურა სხვის სანაკელოზე იბრძოდაო.
 ვირი და ვირი სანახიროზე იბრძოდაო.
- სხვის შვილს აჭამე — შენ შვილს შეერგებაო. 2056
- სხვის ცხენზე შემჯდომი მალე ჩამოხტებაო. 2057
- სხვისა სანთელ-საკმელო, ჩემი მკვდარი აცხონეო! 2058
 სხვისი პურ-მარილით, ღმერთო, ჩემი მკვდარი აცხონეო!
 ხახულის ღვინითა და პურიტა, ღმერთო აცხოვნე ჩემი მკვდა-
 რიო.
 ახოზადის ტაბლითა სტურუას სული აცხონა ღმერთმაო!
 ბაბე ცხონდეს სხვის პურ-ღვინოზეო!
 სხვისი პურით და მარილით ბატონს გაუმარჯოსო!
 ბებიის ტაბლა-კვერით ბაბუას შეგინდოს ღმერთმაო!
- სხვისა ღობეს ვლობავდიო, ჩემი კი შარად მრჩებოდაო. 2059
 სხვისა ღობესა ვლობავდი, ჩემი მრჩებოდა ტრამლადა.
- სხვისა ჭირიო — ღობეს ჩხირიო. 2060
- სხვისას ხია-ხიაო, ჩემსას წია-წიაო. 2061
 შდრ.: № № 2529, 2533, 2534
- სხვისთვის უღელი ნუ გშურს, შენ რომ ყვეარი გყავდესო. 2062
- სხვისი გიჟი სასაცილოა, თავისი კი — სამარცხვინოო. 2063
- სხვისი თხა სხვის ბაღჩაში ოდელიას იძახოდაო. 2064
 სხვისი სახრე სხვის კამეჩზე ოროველას იძახოდაო.
 ჩიტები სხვის კალოზე ლეკურს უვლიდნენო.
 შდრ.: № 2889
- სხვისი შვილის საჩოხესა ერთი ყდა და ერთი სოლიო, მერე ყველა-

ფერი დასჭირდაო. 2065
შდრ.: № № 1872, 2781

სხვისი ხელით კინკარი ადვილი მოსათბრელიაო. 2066
სხვისი ხელით ნარი გლიჯეო, შენი ხელით ვარდი წყვიტეო.
შდრ.: № 4574

სხვისი ხელით ჯოხი მსუბუქი სასროლიაო. 2067

სხვისმა გაკეთებულმა გული მატკინა და ჩემმა — წელიო. 2068
სხვისი გაკეთებული საქმე თვალს ეამა და გულს არაო.
სხვისმა გაკეთებულმა ხელი დაასვენა და არა გულიო.

სხვისმა ძალმა მიკბინოს, ოღონდ ჩემმა — არაო. 2069

3

ტაბლას ახლოსაო და მტერს — შორსაო. 2070

ტალახიან ჯოხს ხელს რომ მოკიდებ, გაგსვრისო. 2071
ტალახიან ჯოხს ხელს არ მოჰკიდებენო.

ტაში ასწავლის შუშპარსაო. 2072
შდრ.: № № 1839, 2585

ტაშტი გატყდაო და — კი არ გატყდა, ხმა გავარდაო. 2073
ტაშტი დავარდა, გატყდაო? — ხმა კი გაიღოო!
ტაშტი გატყდაო? — არაო, — ხმა კი დიდი გავარდაო-და!

ტახი ისე არ გახდება, რომ ქეჩოში სიმსუქნე გამოეღიოსო. 2074

ტერტერ, ცოლსა გრთავენო და — მეც ეგ მინდაო! 2075
— ბერო, ცოლსა გრთამენო და — მეც ახლა მიჭირსო.

ტერტერამ თქვა: მე რომ გაქცეული კურდღელი მინახავს, იმისი
ხორცი ღმერთმა ნუ მაჭამოსო. 2076
მე რო გაქცეული კურდღელი მინახავს, ჩემი მისხის-მისხს ნუ
აჭამოსო.

კურდღელი რო მიცდიაო, იმის ხორცი მითმიაო.

ტიკი გაივსო, ტიკტორა — ვერაო. 2077

- ტიკს მაშინ გაბერავენ, როცა ცარიელიაო. 2078
- ტირილით დამთესი სიხარულით მოიშვისო. 2079
- ტირილით მკვდარი არ დაიმარხებაო. 2080
- ტიტველა კაცი ცხრათ ვერ გაცარცვესო. 2081
 შიშველი ასთ ვერ გაცარცვესო.
 ცარიელი კაცი ძარცვეს, ძარცვეს და ვერ გაძარცვესო.
 ტლევია კაცი ცხრაჯერ გაძარცვეს და ვერა დააკლეს-რაო.
 შდრ.: № № 2125, 2117
- ტკა-ტკუცი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არა ჩანსო. 2082
- ტკბილი ენის მქონე კრავმა დედაც მოწოვა და არადედაცაო. 2083
 ჭკვიანმა ბატყანმა ორი დედა მოწოვაო.
- ტკბილი ლუკმა ბოლოსაო. 2084
- ტკბილი სიტყვითა მთას ირემი მოიწველაო. 2085
 შდრ.: № 2086
- ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო. 2086
 შდრ.: № 2085
- ტოლმა ტოლს რითი აჯობაო და — ადრე ადგომითაო. 2087
 ტოლმა ტოლს რით აჯობა და — ადრე ცოლის შერთვითაო.
- ტურა და მელა ორივე ერთი გზით დადიანო. 2088
- ტურა ტოროლას გალობას ასწავლიდაო. 2089
 შდრ.: № 1741
- ტურამ ხვრელი გამოთხარა, მაჩვმა დაატოვებინაო. 2090
 ტურამ სორო გამოთხარა, მაჩვმა წაართვაო.
- ტყეში ვდევდი ველურსაო, შინ დავეცი ყვერულსაო. 2091
- ტყეში ნადირი ბევრია, მაგრამ მომკვლელი არ არისო. 2092
- ტყეში ნადირი ვის გაუთაეებიაო. 2093
 ტყეში ტურა არ გამოილევიაო.
- ტყუილი ფიცი შვილიშვილამდე გასტანსო. 2094
 შდრ.: № 1983
- ტყუილი ფიცილისაო, ბავშვი ტირილისაო. 2095

ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო. 2096

ტყუილს გრძელი კუდი დასთრევს და მოკლე ფეხები აბიაო.
ტყუილს ყველგან კუდი გარეთა რჩებაო.

უ

უბედურ კაცს ჭეა აღმართში მიეწევაო. 2097

ქვანიც უბედური კაცისკენ გორავენო.

კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, ჭეა აღმართში მიეწევაო.

უბედურთ მონაგარი ბედნიერთ განაგიანო. 2098

უბედურის ნაზოგავი ბედნიერმა მოიხმარაო.

უბედურმა კოკნა, კოკნა, ბედნიერმა კი შეკოკნაო. 2099

უბედურს წისქვილში შია, ბედნიერს — კალოშიო. 2100

წისქვილში ვისაც მოშივა — წაწყდებაო და კალოზე ვისაც მო-
შივა — ცხონდებაო.

უგვარო ცხენსაო ნუ აჰმევე ქერსაო. 2101

უჯილაგო ცხენსაო ტყუილად აჰმევევენ ქერსაო.

უგუნურ დედ-მამას შვილი ჭიამ მოუქლაო. 2102

უდედო ქალი და უმარილო მხალიო. 2103

უდროოდ მოსული სტუმარი იმას მიირთმევს, რასაც თვითონ მოი-
ტანსო. 2104

უენოსთანამც მაუბნა, უკბილოსთანამც მაკშიაო. 2105

უკბილოსი ჭამე, უენოსი ილაპარაკეო.

უვახშოდ დაწექ — უვალოდ ადექო. 2106

მშიერი დაეწვეთ სჯობია ვალით ვახშმის ჭამასაო.

ლუქმის დაკლება სჯობია ვალის მომატებასაო.

შდრ.: № 2628

უთქმელის მთქმელი თქმულმა შეკამაო. 2107

— უი, ჩემ ბატონს რა რბილი ფეხი ჰქონიაო და — არავის უთხრა
და გულიც რბილი მაქვსო. 2108

- უიმედოს იმედი მაქალო და პანტააო. 2109
- უკბილომ სამი ლუკმით აჯობა კბილიანსაო. 2110
- უმცროსს საუფროსოდან მალე ააყენებენო. 2111
- უნაგირი ვიშოვე — ცხენი ვერ ვიშოვე, ცხენი ვიშოვე და — უნაგირი ვერაო. 2112
შდრ.: № № 1239, 1443
- უნამუსო დიაცი სხვას ნამუსზე ვერ დაარიგებსო. 2113
- უნამუსო ვირზე შესვეს, „აცე, ვირო“ დაიძახაო. 2114
უნამუსო ვირზე შესვეს: „პაჩი, არა მრცხვენიაო!“
უნამუსო ვირზე შესვეს, ფეხებს ატლაკუნებდაო.
შდრ.: № № 2115, 2116, 2146, 2725
- უნამუსოს პირში აფუროთებდნენ და — უჰ, რა კარგი წვიმააო! 2115
უნამუსოს პირში აფუროთებდნენ და ის კი იძახდა: „იფ, რა კარგიაო!“
უნამუსოს აფუროთებდნენ და „იფ-იფ-ს“ იძახდაო.
შდრ.: № № 2114, 2116, 2146, 2725
- უნამუსოს სილის გარტყმის არ შერცხვებაო. 2116
შდრ.: № № 2114, 2115, 2146, 2725
- უნამუსოს ქუდსა ხდიდნენ, რაც არ ჰქონდა, რას მოხდიდნენო. 2117
შდრ.: № № 2125, 2081
- უნახავმა ლაფი ნახა და შიგ ჩავარდაო. 2118
უნახავმა ჰა ნახა და შიგ ჩავარდაო.
- უნახავმა ნალი ნახა, — ო, რა სანახავიაო! 2119
უნახავმა ნახაო, ცხრა მთა გადალახაო.
- უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო. 2120
- უპატრონო ცხენზე ვინ არ გადაჯდებაო. 2121
- უპატრონო ცხვარი ზამთარშიც იკრიკებაო. 2122.
- უპერანგო სიზმარში ცხრა პერანგს ხედავდაო. 2123
უნიფზო კაცსა სიზმარში ცხრა ადლი ტილო ელანდებოდაო.
- უპერანგოს მზე არ ამოუვაო. 2124

უპერანგოს პერანგს ხდიდნენო. 2125
უპერანგოს საკინძს აგლეჯდნენო.
შდრ.: № № 2081, 2117

ურგები — შვილიც წყალსაო. 2126
შდრ.: № 2519

ურემი გადაბრუნდა და — პატარავ, სადა ხარ, დაგაბრალებდიო!
2127
შდრ.: № № 1747, 4793

ურემი ვიყიდე, ისიც ვალითაო. 2128

ურემი შეშას თუ ვერ მოიტანს, თითონ ხომ შეშა არისო. 2129
რა ურემიც შეშას ვერ მოიტანს, შეშად იქცევაო.

ურემი ისე არ გადაბრუნდება, კალი მაინც არ მოტყდესო. 2130

ურემი მძიმეა, მაგრამ ტვირთს კი ამსუბუქებსო. 2131

ურემს ნუ გაჰყვები და ტალახი არ მოგეცხებაო. 2132

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. 2133
ურემი წაიქცა, გზა მერე გამოჩნდაო.

ურემი რომ გაჩერდება, ხარებს უნდა გაუტყლაშუნოო. 2134

ურემი რომ კრიალს დაიწყებს, საპნის წასმა უნდაო. 2135

ურემი უხაროდ არ ვარგაო. 2136

ურემს რომ მეტს დაუდებენ, ისიც კრიალს დაიწყებსო. 2137
ურემს ძალა რომ დაადგება, კრიალს დაიწყებსო.
შდრ.: № 2140

ურემს სადაც დააწევა, იქ დაიკრიალებსო. 2138

ურემს უთქვამს: აღმართში მომაშველე ხარი, დაღმართში მეც დაე-
გორდებიო! 2139

ურემს უთხრეს: რა გაკრიჭინებსო და — მაწევს და მაკრიჭინებ-
სო. 2140

— ურემო, რა გაკრიჭინებსო და — რაც მამძიმებსო.

— საკვიარაო, რა გაკრიჭინებსა? — მაჭირებსა და მაკრიჭინებსა.
შდრ.: № 2137

- ურიამ თქვა: ღმერთო, ჩემი შვილი პირველად აზარალეო. 2141
 ურიამ თქვა: ღმერთო, ჩემ შვილს, პირველად საქმეზედ რომ
 დადგება, ხელს ნუ მოუმართავ, თორემ გათამამდებო.
- ურია პირველად შვილს რომ სავაჭროდ გავაზავნის, იტყვის:
 ღმერთო დააზარალე, რომ კვლავ თვალი გაახილოს წა-
 გება-მოგებაზეო!
- ურიას ერთი დღე შეხვდა, ისიც შაბათიო. 2142
 შდრ.: № 1621
- ურიგ-მარიგობამ ზღვა დააშროო. 2143
- ურიგო ტირილი მკვდარს ფეხს გააქნევინებსო. 2144
 უხეირო მოტირალი მკვდარს ფეხს გააქნევინებსო.
- ურჯულომ დაიფიცა, რჯულიანმა დაიჯერაო. 2145
 უსჯულო ფიცავდა, ქრისტიანს არა სჯეროდაო.
- უსინდისოს უთხრეს: ფურთხის ღირსი ხარო და — შემაფურთხეთ,
 რა, მეც ავიწვევ კალთას და ჩამოვიწმენდო! 2146
 შდრ.: № 2114, 2115, 2116, 2725
- უფასო მუშას პური არ დაეყვედრებო. 2147
- უფროსს ცალი თვალი ბრმა უნდა ჰქონდეს და ცალი ყური ყრუო.
 2148
- უფხო კაცს ტრაბახი საქმე ეგონაო. 2149
 შდრ.: № 3932
- უქმი მეუქმეზე ჰრისო. 2150
 უქმი მეუქმეთაიავ.
- ულმერთო ქუხილს გაიგონებს და ღმერთსაც მაშინ მოიგონებსო.
 2151
- ულონო ღონიერთან დანაშაულიაო. 2152
 შდრ.: № 2980
- უშვილო და პურადძვირიო. 2153
 უშვილო კაცი პურადძვირი რომ არ იყოს, არ შეიძლებაო.
- უშვილო კაცს სტუმრის ნასვამ-ნაქამი გაუბევერდებაო. 2154
- უშვილოსთვის ქალიც შვილიაო. 2155

სულ არაობას ქალიც შვილიაო.

შდრ.: № № 2034, 2035, 2037

უჩინარი მტერი გამოჩენილზე უარესიაო. 2156

უცხო მხარეში შევარდენსაც ყვავს ეძახიანო. 2157

უძალლო ქვეყანაში კატებს აჩხავლებდნენო. 2158

ერთ სოფელში ძალლი არ იყო, კატებს აჩხავლებდნენო.

შდრ.: № № 654, 655

უძირო ქოთანში ვერას ჩაასხამო. 2159

უწვევი სტუმარი ქალმა მწარე პრასით გაისტუმრაო. 2160

უწინ მოჩივარი ბატონს მართალი ეგონაო. 2161

უქირისუფლო ქალასო მოუჩეჩქვავენ ჩალასო. 2162

უხარო კაცს ისეთი სახენელ-ულელი უნდა ჰქონდეს, რომ ხარიანი
ეხვეწებოდეს: შენ სახენელს ჩემ ხარებს მოვუბამო. 2163

უხეირო ამპარტავანს შინ სცემენ — გარეთ მალავს, გარეთ სცე-
მენ — შინაო. 2164

შინ მცემენ — კარში ვერ მითქვამსო, კარში მცემენ — შინ ვერ
მითქვამსო.

უხეირო გუთნისდედა მებრეებს ემუქრებოდაო. 2165

უხეირო ვაჭაროო, შენი შენვე გაჭამოო. 2166

შდრ.: № 458

უხეირო კაცმა თქვა: იანვარში ცხრა ურემი ენძელა უნდა გავთი-
ბოო. 2167

უხეირო პატარძალმა ცხრა ცოცხი მოიხმარა და ერთი ოთახი ვერ
გამოჰგავაო. 2168

უხეირო ფრინველი აფრენის დროს დაჯდებოაო. 2169

უხეირო შვილი თავის დედ-მამის კერასაო. 2170

უხეირო ხელოსანი უხეირო ნაკეთობას იარაღს დააბრალებსო. 2171

უხნავ-უთესი კაცი ღმერთს ემღუროდაო. 2172

უხორცობითა ლოკოკინა არავის შეუქამიაო. 2173

უხორცობის გამო ძაღლის ხორცი არავის შეუქამიაო.

უჯიშო თხისა ვაცი არ გამოვა, თუ გამოვა — ცხვარს არ გაუძღვება
წინაო. 2174

უ

ფათერაკს თვალი არ უჩანსო. 2175

შდრ.: № 745

ფანცი-ფუნცი გაცვდებაო, შავი ქამი დარჩებაო. 2176

ფარა მობრუნდა და კოჭლი ცხვარი წინ მოექცაო. 2177

ცხვრის ჯოგი მობრუნდა, კოჭლი ცხვარი წინ დადგაო.

კოჭლი ცხვარი უკანაო, ფარა რომ მობრუნდება — წინაო

შდრ.: № 4339

ფარაში კოჭლი არ გამოილევაო. 2178

შდრ.: № 1009

ფაფა წამიხდა რევითა, კორკოტი — მოურევლობითაო. 2179

ფაფით პირდამწვარი დოსაც სულს უბერავდაო. 2180

ფაფით შეშინებული დოს უბერავდაო.

ცხელი რძით გაფუფქული დოს უბერავდაო.

რძისგან შეშინებული წყალს უბერავდაო.

შდრ.: № 905

ფაფის მკამელს კოვზი წელში უნდა ერქოსო. 2181

ფაცი-ფუცს უნდა აჰყვეო, თორემ ბრაგი-ბრუგს ყველა აჰყვებაო.
2182

ფაცხამც იყოს, შიგ რამც იყოსო. 2183

შიგამც იყოს, ფაცხამც იყოსო.

შდრ.: № 1959

ფახი-ფუხი კასრაძისა, ხმალი მაისურაძისა. 2184

ფეიქარი ფაშა შეიქნა და — ვაი შენ, ჩემო საფეიქრო, მასტიკო და
მასრა-მაქოო. 2185

შდრ.: № № 478, 966, 2375, 2847, 4815

ფერი ლალისა, გემო წყალისაო. 2186
შდრ.: № 911

ფეტვი კი მოცდა და ეხლა გინდ უწვიმია და გინდ არაო. 2187

ფეხებო, თქვენ ერთმანეთს ეხვევით და მე კი წყალში მაგდებთო.
2188

ფეხებო, მასხიხართ — არას მარგიხართ, დამწყდებით — რას და-
მაკლებთო. 2189

ფეხი ისე გადადგი, რომ თვალში ჩხირი არ მოგხვდესო. 2190

ფეხი იქამდის გაჭიმე, სადამდისაც საბანი გაგწვდესო. 2191
როგორც საბანი გაგწვდეს, ფეხი ისე გაშალეო.
ფეხს საბნისდაგვარ გაშლა უნდაო.

საბანი ისე დაიხურე, რომ ფეხებამდე გაგწვდესო.

კაცმა ფეხი ისე უნდა გაჭიმოს, საბანს გარეთ არ დარჩესო.

ღუქანში შედი ჭიბის-და კვალადო, წაწვე საბნის-და კვალადო.
შდრ.: № 1869

ფეხიანს ღავეშუროთ, უფეხო სად წაგვივაო. 2192

ფია-ფუა ყმაწვილსაო, დიდი ლუკმა დედასაო. 2193

ფიცი ალალ-მართალთაო. 2194

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებსო. 2195
შდრ.: № 4847

ფლავი ვის უდგია და მადა ვისა აქვსო! 2196
მადა მე მაქვს და პური—შენაო.

ფლავი რომ დაინახა, ხუცესს სამოციქულო დაავიწყდაო. 2197

ფოთოლი რომ შეიტანო, სახლს ისიც შეემატებაო. 2198

ფონი გასავალს დალოცეო. 2199
ფონი გასვლის შემდეგ უნდა აქოო.
ფონი გასავალსაო.

ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას ახრჩობსო. 2200
ეს ფონი კარგია, ოღონდ გასავალს ახრჩობსო.

ფონი მუხლამდეაო, მაგრამ დახრჩობისა მეშინიაო. 2201

- ფრთხილთა დედანი არა ტირიანო. 2202
 ფრთხილთა დედანი ძნიად სტირიანო.
 ფრთხილი კაცის დედა მალე არ ატირდებაო.
- ფრთხილი ნადირი ოთხი ფეხით გაებმისო. 2203
 ოსტატი მელა ოთხივე ფეხით გაება მახეშო.
 ჭკვიანი ჩიტი ორივე ფეხით გაებმებაო.
 მთბილივ ოთხით გააბიანავ.
- ფრინველია, რომ ხორცს აჭმევენ, ფრინველია, რომ მის ხორცსა
 ჭამენო. 2204
 ფრინველი არის, რომ ხორცსა ჭამს, არის ფრინველი, რომ იმის
 ხორცი არ იჭმებაო.
 ყოველი ფრინველის ხორცი როდი იჭმებაო.
- ფული ფულთან მივაო. 2205
- ფური „დეედლობით“ იწველებაო. 2206
 ხარს „მამამო“-ობით მოჭამენ, ფურს „დეედო“-ობითაო.
- ფური მოკვდა და ხანულობა გადავარდაო. 2207
- ფური ნახე და საწველელი ისე ითხოვეო. 2208
 ჯერ შაჰხედემ ღებილასა და მერე რძე სთხოვეო.
- ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა წიხლი და დააქციაო. 2209
 ღულამამ რაც იწველა, დააქციაო.
- ფუტკარი ბევრ ყვავილს წუწნის, თაფლს კი ცოტას შოულობსო.
 2210
- ფუტკარს თავი თაფლში ედვა, კიდევ თაფლს ეძებდაო. 2211
- ფუტკარი რომ შეგიმცირდეს, სკები მოამზადეო. 2212
- ფუჭი კაკალი არც ყვავს არგია, არც კაცსაო. 2213
- ფშაველმა თქვა: სიმდიდრეს ერთი ფშაური შემღერება მირჩევ-
 ნიაო. 2214

ქათამი ერთ კვერცხს დადებს და ას მეზობელს შეატყობინებსო.
2215

ქათამი კვერცხს კაკანით დადებსო.

ქათამი რომ დაგვიღს ნახავს, გულზე შემოეყრებაო. 2216

ქათამი უკუღმა ქექავს და საქმე წინ მიჰყავსო. 2217

„უკუღმა ვქექავო, ჩივ წიწილებს ვკვებავო“, — უთქვამს ქათამს.

ქათამი ჩიოდა: ცხვარი დაკლეს — მე წამაკლეს, ღორი დაკლეს — მე წამაკლეს, ძროხა დაკლეს — მე წამაკლესო. 2218

ქათამმა თქვა: ხარი დაკლეს — ზედ წამაკლეს, ცხვარი დაკლეს — ზედ წამაკლესო, არა დაკლეს, პაინც წამაკლესო.

ქათამი წყალს დაღევს და ღმერთს შეხედავსო. 2219

ქათამი რომ წყალს დაღევს, ზევით აიხედავს, — ღმერთო, შემარგეო.

ქათამმა თქვა: იმ დღეს ვფიცავ, როდესაც ჩემი პატრონი ორმოდან ფეტვს ამოიღებს გასაფენადაო. 2220

ქათამმა თქვა: მარილს მღვდლის ცოლის მეტი ვერავეინ მომასწრებსო. 2221

მონარაშულ ქათამს ქვაბიდან ამოღებისას მღვდლის ცოლმა მოასწრო დროზე მარილიო.

ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო.
2222

ქათამმა თავის დასაკლავი დანა თვითონ გამოჩხრიკაო.

ქურდმა იპარა, იპარა და თავისი დასაკლავი ხმალი მოიპარაო.

ზღრ.: № 944

ქათამს ქათმისთვის უთქვია: საფენზე ავკენკოთო, დაშლილი ხო მაინც ჩვენიაო. 2223

ქათმის მომჩივანს ინდოური კალთაში უნდა გყავდესო. 2224

სამართალში ქათამზე რომ ჩიოდე, ინდოური ხელში უნდა გეჭიროსო.

ქათმის შესაძლო კვერცხიაო. 2225

- ქათმის წიწილს უთქვამს: ღმერთს რომ ჩემთვის სიკეთე სდომებოდა,
დედას ძუძუს მისცემდაო. 2226
- ქალაქამდის თხის ტყავი თხაზე მძიმე გახდაო. 2227
თხის ბალანი ქალაქამდის თხის სიმძიმე გახდაო.
- ქალაქი რომ შენდებოდეს, იქიდან ფეხი არ უნდა გამოდგაო. 2228
- ქალი ბედს სხვაგან ეძებდა, ბედი შინ ელოდაო. 2229
- ქალი იჯდეს — ბედს ელოდეს, ვაყი იჯდეს — ბერდებოდესო. 2230
ბერდებოდეთ — ბედს ელოდეთ.
- ქალი მორცხვი — ქვეყნის ფასი, კაცი მორცხვი — კვერცხის ფასი.
2231
ქალი მორცხვი, ვაყი ხასი — ორივე ერთად ქვეყნის ფასი.
მძიმე ქალი ოქროს ფასი, მსუბუქი ქალი — ფოთლის ფასი.
მორცხვი ქალი ერთ ქალაქად, მორცხვი კაცი — ერთ ქალამნაღო.
- ქალი რომ სამშობლოში მივა, ფილთაქვაც კი დაიმალებაო. 2232
შდრ.: № № 365, 1746
- ქალი ქებით გათხოვდება, რძალი კარგი ვის უნახავსო. 2233
ქალი ქებით გათხოვდება, რძალი ვილას უქიაო.
შდრ.: № 5792
- ქალი ქმარსა სწუნობდა და იყო იმის ამარაო. 2234
- ქალმა ზეცას ასვლა მოინდომა, კიბე არ მოძებნაო. 2235
- ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ველარ დააკავებსო. 2236
დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესიაო.
ერთი ქალის ოდენს ცხრა უღელი ხარიც ვერ გაიწევსო.
თუ დედაკაცმა გაიწია, ამირანს აითრევსო.
- ქალმა თქვა: კაცად ის ჩამიგდია, ვისაც ჩემი ქმრისა არ ეშინიაო.
2237
- ქალმა თქვა: ნეტა ისეთ ადგილს წამიყვანა, კვეხნით გავძლეო. 2238
— ქალო, ვინ გაქებსო და — ჩემი წირპლიანი ბებიო! 2239
- ქალსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა — ნაწიბურიო. 2240
ცოლსა დედა მოუკითხე, სამოსელსა — კიდურიაო.
კაცსა გვარი გაუსინჯე, სამოსელსა — კიდურიაო.

- ქალს უთხრეს: სიძე მოდის, პირი დაიბანეო და — რომ არ მოვიდესო?! 2241
- ქალს ქმარი ეყვედრებოდა და არ ემალლებოდა კიო. 2242
- ქალს შვილი რომ არ ეყოლება, — ნეტავი მყოლოდა და მომკვდომოდაო. 2243
- ქალს ძალიც არ დაჰყევსო. 2244
 პათიოსანი ძალი ქალს არ შეუყევსო.
 ქალის პათივი ძალმაც იცისო.
 დამჯდარს და დედაკაცს ძალიც არ დაეტანებო.
 დედაკაცის ძალსაც კი არ ეშინია და არ ერჩისო.
- ქამარს რომ შეგხსნიან ჩოხასაც გაგხდიანო. 2245
 . სარტყელსა მხსნიანო, სჩანს, ჩოხასა მხდიანო.
- ქარი ვაზს ფოთოლს ვერ დააყრევინებსო. 2246
- ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო. 2247
- ქარისა არც მოტანილი მინდა, არც გატანილიო. 2248
 ზენა-ქარო, არც შენი მოტანილი მინდა, ნურც რას წაიღებო.
 შდრ.: № 4844
- ქარის მთესველი ქარიშხალს მოიშკისო. 2249
 კაცი ქარსა თესდა და ქარიშხალს იშკიდაო.
 შდრ.: № № 1788, 5600
- ქარქვეტას გზა ქარმა იცისო. 2250
 შდრ.: № 1648
- ქაჩალი თავს ჯერ არ მოიფხანს, თუ მოიფხანა, სულ მოიგლეჯსო. 2251
 ქაჩალმა თავი ჯერ არ მოიფხანა, მერე სულ მოიტყავაო.
 ქაჩალი თავს არ მოიფხანს, მოიფხანს — სისხლს დაიდენსო.
- ქაჩალი ისე არ მოკვდება, დალაქი არ დასკირდესო. 2252
 ქაჩალიც მივა დალაქთანო.
- ქაჩალი სავარცხლის გაძვირებას ჩიოდაო. 2253
- ქაჩალმა რომ წამალი იცოდეს, თავის თავს უწამლებდაო. 2254
 ქაჩალი რომ კარგი აქიმი იყვეს, თავის თავს მოირჩენდაო.

- ქაჩალს ერთი გიდელი სავარცხელი ახარესო. 2255
ქაჩალს სავარცხელი უხაროდაო.
- ქაჩალს ჰკითხეს: ვინა გძულსო და — ვინც თავი დამბანაო. 2256
ნაქაჩლარს ჰკითხეს: ვინა გძულსო და ვინც ქეცი მომირჩინაო.
ქაჩალო, ვისა ჰშურობ და — ვინც თავს დამბანსო.
შდრ.: № № 2679, 2731
- ქერი მქონდეს, ჩემ ცხენს ვაჰმევეო. 2257
- ქერს თუ დათეს, ხორბალი არ მოვაო. 2258
შდრ.: № 1788
- ქეციანი ცხვარი მთელ ფარას გააქეციანებსო. 2259
შდრ.: № № 668, 712, 715
- ქვა იქ დარჩება, სადაც ჩავარდებაო. 2260
- ქვა რომ ქვა არის, დაიჭეჭებს და გასკდებაო. 2261
- ქვა ქვას ეცა და მე შუაში დამიტანაო. 2262
მთა მთას ეცა და მეც იქ დავხვდიო.
- ქვა ქვის წამალიაო. 2263
ნაქვევის წამალი ქვა არისო.
შდრ.: № № 1797, 2707
- ქვავე, აგორდი და მე ნუ მომხვდებიო. 2264
ქვამც აგორებულა, ჩვენ კი ნუ მოგვხვდებაო.
— ქვა მოგორავსო — მე კი ამცდეს და ვისაც უნდა მოხვდესო!
ქვა ნუ აგორდება და მე ნუ მომხვდებაო!
- ქვანიც ბერდებიანო. 2265
შდრ.: № № 1972, 4936
- ქვას რომ სიტკბილე დაასხა, ისევ ქვა იქნებაო. 2266
- ქვაცა აქვს და კაკალიცა, თავში შემოსაკრავიცა, 2267
ქვაც შინა აქვ, ქადაცაო.
შდრ.: № 1960
- ქვევრის სუნი სარქველს ეცაო. 2268
ორმოს სუნი ბადიმს ეცაო.

ქვევრს არა ჰკითხავდნენ და — ასკოკიანი ვარო. 2269
ქურს არ ეკითხებოდნენ და — ასჩათიანი ვარო.
ქოცო ზედაშედ ჩაუგლიათ და იძახის სამჩაფიანი ვარო.

ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო. 2270

ქვეითი ცხენოსანს დასცინოდაო. 2271
ცხენიანი ქვეითს დასცინოდაო.

ქვეითს ჰკუა არა ჰქონდა, ცხენზე ვინღა მიაწვდიდაო. 2272

ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს ექცეოდაო. 2273
ქვეყანა იქცეოდა, ქლიბაძე ბუქნას უვლიდაო.
ქვეყანა წყალს მიჰქონდა და ქალი ბანზე ლეკურს უსვამდაო.
ქვეყანა იქცეოდა და ქეციანი აბანოში გარბოდაო.

ქვეყანამ რომ ერთმანეთი დაქამოს, მეყალიონებებს ერთმანეთი უყ-
ვართო. 2274

ქვეყანას პირის საკრავი არ მოწვდებაო. 2275

ქვეყანას რომ თითო ძაფი ჩამოარჩინო, შიშველს პერანგი გამოუ-
ვაო. 2276

ქვეყნის ენას სახნისიცი გამოუვა და საკვეთელიცაო. 2277
შღრ.: № 1757

ქვით ქვას ტეხენ, რკინით რკინას ულესავენ პირსაო. 2278

ქვის აღმა ზიდვამ ხვნეშა იცის, დაგორებამ — სიცილიო. 2279

ქვისლებმა ვირი ყანიდან ვერ გამოაგდესო, სიძე-ცოლისძმამ კი
მღევი ყურით დააბესო. 2280

ქვრივ ქალს ქმარი არ დაეყვედრებაო. 2281

ქვრივი დედაკაცის გაზრდილი ხარი კარგი გამოვა და შვილი ავი
გამოვაო. 2282
შღრ.: № 590

ქვრივმა თქვა: ისეთი ბედი ვინ მომცა, რომ სანებვეზე ჩურჩხელა
ვიპოვოო. 2283

ქვრივმა ქვრივს მიუტირა, მერე თვითონვე ერთმანეთს გული დაუდ-
ვესო. 2284

ორი ქვრივი ერთმანეთის შესჩიოდაო.

ქვირის ვინც წაიყვანს, ობლებიც იმან უნდა შეინახოსო. 2285

ქვირისა და ობოლს ღმერთი დღეში სამჯერ გადმოხედავსო. 2286.
ქვირე-ობერს ღმერთი არ დაქარგავსო.

ქისტს ღუმის ხსენება ჭამად მიაჩნიაო. 2287

ღუმისა იუბენ, ჭამად მიმაჩნავისავ, — უთქვამს ხევსურს.

— ქიტუავ, სად იყავი? — ქალაქსაო; — რათაო? — წაველ და მოვე-
ლო. 2288

შდრ.: № 438

ქიციც ვიცი და ქოცმატურიცო. 2289

ქიცი ვიცი და ქიცმატურიცო, რძალიც მყავს და დედამთილიცო.
რძალიცა ვარ და დედამთილიცო.

ანიცი ვიცი, ბანიცი ვიცი, სიგრძეცი ვიცი, სივანეცა.

შდრ.: № 2603

ქმარი ლაშქრიდან დაბრუნდა, ცოლი ამბავს მოუთხრობდაო. 2290

ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს უყვებოდაო.

მამა ლაშქრით მოსულიყო, შვილი ამბავს უამბობდაო.

ლაშქრიდან მოსულს შინ ომის ამბავს უამბობდნენო.

შდრ.: № 1945

ქმარმა რომ სიზმარი ნახოს, ცოლმა უნდა გაიგოსო. 2291

ქმარს შეხედო—დიდი ლუკმა ჩაიდე, ძმას შეხედო—პატარაო. 2292

დიდი ლუკმა ჩაიდევი — ქმარს შეხედეო, პაწა ლუკმა ჩაიდე-
ვი — შვილს შეხედეო.

მამას შეხედე — პატარა ლუკმა ჩაიდე, ქმარს შეხედე — დიდი
ლუკმა ჩაიდეო.

ქმარს ცოლის სიმყრალე არ ეცმა და ცოლს — ქმრისაო. 2293.

ქოთანი დაგორდა, სარქველიც დაგორდაო. 2294

ქოთანი დაგორდა, სარქველი იბოვაო. 2295

შდრ.: № 477

ქოთანი რომ ადულდება, თავის თავს დამღულრავსო. 2296

კოჭობი რომ ადულდა, გადმოვიდა და კოჭობივე დაიფუფქაო.

სადულარი ადულდა, თავის თავი დამღულრავო.

შდრ.: № 2635

ქოთანი რომ წაიქცევად, შექამანდიც დაიქცევად. 2297

ქოთანი ქვავს აქებდა, ქვაბი — ქოთანს, მაგრამ მკვარტლი არცერთს-
არ აკლდაო. 2298

ქოთანმა თქვა: „ოქროს ძირი მაქვსო“, ციცხვმა უთხრა: „მე საიდან-
მოვალო?“ 2299

ქოთანმა თქვა: „ოქროს ფსკერი მაქვსო,“ კოვზმა უთხრა: „მე,
შიგ დავცურავ და შენ მასწავლიო!“

ქოთანმა თქვა: „ოქროს ძირი მაქვსო“, „ქოთნის ამბავი მე მკი-
თხეთ, იქ ვიყავიო“, — თქვა ციცხვმა.

ქოთნის ამბავი ციცხვსა ჰკითხეთ.

ქოთანში რაც არის, კოვზმა იცისო.

ქოთანს ქვავბის ამხანაგობა არ გამოადგებაო. 2300

ქონი აიღეს და მსუქანს მიაკრესო. 2301

ქონი ქონს ეცხებაო. 2302

— ქონებავ, სად მიხვალო? — სადაც ბევრიაო. 2303

ქონებამ პაპის პაპისთვის გამაკეთებინა საკურთხი, უქონლობამ მან-
მისთვისაც არაო. 2304

ქორი ბუზს არ გამოუდგებაო. 2305

ქორი გაუშვეს და თავიანთ დედალს დააჯდაო. 2306

ავალიანთ ქორი აფრინდა და თავიანთ დედალს დააჯდაო..

ქორი ქორსა ჩეკს, ძერა — ძერუკასაო. 2307

ქორს უთქვამს: განა დედალს ვერ მოვიტაცებო, მაგრამ წიწილის-
წივილი მიყვარსო. 2308

ქორს ჰკითხეს: რად გიყვარს წიწილიო და—წივის და იმიტომაო..
ქორს წიწილა წივილით მოსწონსო.

ქორს ყვავით ვერ შეაშინებო. 2309

ქორწილი ჩემი ძმისა და აღაპი მამიჩემისაო. 2310

ქორწილში ძალღებიც მოვლენო. 2311

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო. 2312

ქრთამი ღმერთთანაც კრისო.

- ქრისტე ღმერთი ჭკუით იცნესო. 2313
 ქრისტე ღმერთი დადიოდა, რით იცნესო და — ჭკუით იცნესო.
 იესო ქრისტე საქმით იცნესო.
- ქრისტეს უთხრეს: ჭირი მოდისო და ეკალი აიფარაო. 2314
- ქრისტიანი თუ გათათრდა, თათარზე უარესიაო. 2315
- ქუდი დადე და სამართალი ისე ჰქენიო. 2316
 ჯოხი დადე და სამართალი ჰქენიო.
 ჯერ დაჯე და მერე სამართალი ჰქმენიო.
- ქუდი მტვრიანი მინახეს და მეწისქვილე დამარქვესო. 2317
- ქურდთან რომ გაივლი, ქურდს დაგიძახებენო. 2318
- ქურდი და ქურდის ამხანაგი ერთნაირად დაისჯებიანო. 2319
 ქურდის ამხანაგი ქურდიაო.
- ქურდი თავის სახლს ვერ ააშენებს, სხვისას კი დააქცევსო. 2320
- ქურდი სამ დღეს ბარმა მალა, სამასი — მთამ, მაგრამ მაინც გამო-
 ჩნდაო. 2321
- ქურდი უწინ დაიფიცებსო. 2322
 ქურდი ფიცზედ მზად არისო.
 ქურდს ფიცი პირზე აკერიასო.
 ქურდი რომ ფიცზე მიაგდო, ასჯერ შემოგფიცავსო.
 ქურდმა თუ იშოვა, ცხრა ხატზე შემოგფიცავსო.
 ქურდი ფიცლისააო.
 შდრ.: № 2330
- ქურდი ქურდობას არ მოიშლისო. 2323
- ქურდი ხეზე ჩამოჰკიდეს და — ცუდად ვკიდევარო! 2324
- ქურდის ქურდი ცხონებულაო. 2325
 ქურდის ქურდი არ წაწყმდებაო.
- ქურდის შემნახველი ქურდზე უარესიაო. 2326
 ქურდი ისე არ ტყუის, როგორც ნაქურდლის შემნახველიო.
- ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა — ათასიო. 2327
- ქურდმა თქვა: სახლში ისე არ შევალ, რომ ერთი მუჟა ნაცარი მა-
 ინც არ ჩავიყარო. 2328

ქურდმა მოსაპარი რომ ვერაფერი ნახა, თავის ქუდი დადო და ის მოიპარაო. 2329

ქურდმა თუ ვერა იშოვა-რა, თავის ქუდს მოიპარავსო.

ქურდმა ფიცი იშოვა და შინ მახარობელი გაგზავნაო. 2330

ქურდს ფიცი მიუსაჯეს და ცოლს მახარობელი გაუგზავნა, — ფიცზედ მივარდა საქმე და ახლა კი ნულარ გეშინიაო.

შდრ.: № 2322

ქურდმა ქურდს მოპარაო და ღმერთმა გაიცინაო. 2331

— ქურდობა იციო? და— ვიციო,— დამალვო?— დამალვა კი არაო. 2332

ქურდობა ვიცი და დამალვა — არაო.

ქურდს რა უნდა და — ბნელი ღამეო. 2333

ქურდს რომ კაცმა ყური უგდოს, დღეში ათჯერ გამოტყდებაო. 2334

ქურდს სწორი გზა და სწორი სიტყვა ვინ მისცაო. 2335

ქურდს ქუდი ეწვისო. 2336

თხის მამპარავსავ თავს ცეცხლივ.

შდრ.: № 4839

ქურდს ქურდი იცნობსო. 2337

ქურდს ყველა ქურდი ჰგონიაო. 2338

ქურდს სხვაც ქურდი ეგონა და უნამუსოს — უნამუსო.

გიეთ ყველა გიჟად ეჩვენებათო.

ავს სხვაც ავი ჰგონიაო.

ღ

ღამეგამოვლილი ჩხუბის ნუ გეშინიაო. 2339

ღამეგამოვლილი მტერი მოლბებაო.

ღამემ გაიარაო, ამაგმაც ჩაიარაო. 2340

ღამით ნაკერნი კაბანი ღლისით გამოჩნდებიანო. 2341

ღამის ქურდს ღლისით დაიჭერენო. 2342

- ღარიბი კაცი სიხარულში მოკვდება. 2343
ქისტი კაის მოლოდინში კვდება.
- ღარიბი ქალი და კაცი დღეში ცხრაჯერ მოკვდება. 2344
- ღარიბმა თქვა: მე რომ დალაქი ვყოფილიყავი, კაცები უთავოდ დაი-
ბადებოდნენო. 2345
ღარიბმა თქვა: მე რომ ხარაზი ვყოფილიყავი, ღმერთი უფეხო
ადამიანებს დაბადებდაო.
- ღარიბმა თქვა: გემი რომ მაჩუქონ, ზღვა დაშრებაო.
შღრ.: № № 1408, 2513
- ღარიბს ორი ეხარჯება, მდიდარს — ერთიო. 2346
- ღლანიძემ სამი დღის სიცოცხლისთვის სამი თვის ლეკვი შეჭამაო.
2347
სამი დღის სიცოცხლის გულისთვის ხელმწიფემ წამლად ძაღ-
ლის ლეკვი შეჭამაო.
- ღვინის ქურდი თხლეზე დაიჭირესო. 2348
ქურდი ჭაჭაზე დაიჭირესო.
- ღვინო არსად იყო, ეშმაკები ტიკებს ალბობდნენო. 2349
ეშმაკს შვილი არა ჰყავდა და აკვანს ამზადებდაო.
- ღვინო თხლეზე რომ დავა, მაშინ გაგემრიელდებაო. 2350
- ღვინომ ქვევრი გახეთქა, კაცი — ვერაო. 2351
ღვინო ქვევრსაც ხეთქავსო.
ღვინომ ხე გახეთქა და კაცს რაღას უზამსო.
- ღვინოსაც ვსვამ, მაყრულსაც ვმღერიო. 2352
- ღმერთი არამზადას ურმით დასდევს, მაგრამ მაინც მოეწევა ხოლ-
მეო. 2353
- ღმერთი ვისაც მისცემს, ორი ხელით მისცემს, ვისაც წაართმევს —
ორი ხელით წაართმევსო. 2354
- ღმერთი მექუდეაო. 2355
- ღმერთმა მტერს მისცა ასი კვერცხი და ნისია ერბოო. 2356
- ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნაო. 2357
- ღმერთმა მისცა და არ მიუფასაო. 2358
- ღმერთმა ქვეყანაზე გადმოიხედა და — ბევრი ჩემი უნებური მკვლა-
რი არისო. 2359

- ღმერთო ნუ მისცემ გლახასო, ვერაფერს შეინახავსო. 2360
 ღმერთო, ნუ მისცემ გლახასა, უფრო არა სჭამს მარხვასა.
- ღმერთო, ნუ შემყრი ხევგრძელას აღიდებულსა, ღარიბ კაცს — გამ-
 დიდრებულსაო! 2361
 გეშინოდეს დამშრალი ხევის აღიდებისა და უფიცი კაცის გან-
 დიდებისაო.
- ღმერთს ვინ გამოცელის, აქაოდა ბებერიაო. 2362
 — ღმერთი დაბერებულა და უნდა გამოვცვალოთო, — უთქვამს
 ქიზიყელს.
- ღმერთს უთქვამს: მოცადმა ნახევარი ხელიდან წამგლიჯაო. 2363
- ღმერთსაც თავისი პირით შეეხვეწებიაო. 2364
- ღობეს რომ მანა გამოძვრება, ადვილად წაიქცევაო. 2365
- ღობეს ცერი არ ასცდებაო. 2366
- ღოლოს რაც უნდა საწებელი უყო, ისევ ღოლოაო. 2367
- ღოლოს შეჭამანდს მეხი დაეცეს, ისიც უმარილოსაო. 2368
- ღომის ჭამასაც ცოდნა უნდაო. 2369
- ღორი გლეჯითაო, თორემ პარსვით ვერას გახდებო. 2370
 შღრ.: № 4615
- ღორი ზღვის გაღმაც ღორიაო. 2371
- ღორი ლაფში გორვას არ მოიშლისო. 2372
 ღორი რამდენიც უნდა ბანო, ისევ ლაფში ჩაწვებაო.
 ვირს მტვერში გორაობა უყვარსო.
- ღორი ნაპირში შეუშვი, შუაში შევაო. 2373
- ღორი როცა დაიკვლება, წონა მაშინ გამოჩნდებაო. 2374
- ღორის თავი ხალიჩაზე დადევს, იგორა, იგორა და ისევ ლაფში ჩა-
 ვარდაო. 2375
 ღორის თავს სუფრაზე დებდნენ და ძირს მიგორავდაო.
 შღრ.: № № 240, 478, 946, 2185, 2847, 4815

ლორის კუდი ნუ გექნება, თორემ ეშვები თავისთავად გამოგებმისო. 2376

ლორის ტილი ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგალოდდებო. 2377

ლორის ტყავს ძაღლი ვერას დააკლებსო. 2378

ლორმა გვერდი იქით იბრუნა, საითაც დიდი ლაფი ნახაო. 2379

ლორმა თქვა: დამკალ და დამათასეო. 2380

ლორმა თქვა: რომ დამკლავენ, მაშინ დამათასებენო.

ლორმა თქვა: თუ შემინახავ, მეც შეგინახავო. 2381

ხარმა თქვა: შემინახე და შეგინახავო.

შდრ.: № 1941

ლორმა თქვა: რაც გოჭები დავყარე, წმინდა წყალი აღარ დამილევიო. 2382

ლორმა თქვა: სანამ გოჭები დამეხვეოდნენ, წმინდა წყალსა ვსვამდი და როცა დამეხვივნენ, მღვრიე წყალიც დამეკვეთაო.

ლორმა თქვა: სანამ გოჭები არ მოვიშორე, წმინდა წყალი ვერ დავლიეო.

გოჭიანმა ლორმა წმინდა წყალი ვერ დალიაო.

ლორმა ღრუტუნ-ღრუტუნით ცამეტი გოჭი გაზარდაო. 2383

ლორს თუ დინგით არა, კუდით მაინც იცნობენო. 2384

ლორს დინგით იცნობენ, ვირს — სიარულითაო.

ლორს რომ აკოცო, გიკბენსო. 2385

ლორს რომ რქებიც მისცა, მთელ ქვეყანას გადააბრუნებსო. 2386

ლორს ქეჩო უსველდებოდეს, გავა უსქელდებოდესო. 2387

ლორს სიმინდი გინდ ქეჩოში, გინდ ცხრა მთას იქითო. 2388

ლორს უთხრეს: ქეჩოში ქერი გიყრიო და მე კი პირი არ მიმიწვდება და გინდ ცხრა მთას იქით ეყაროსო.

ლორს უთხრეს: ქეჩოზე ბევრი ქერი გაყრიო და — მე რას მარგიაო!

ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონაო. 2389

ყ

- ყადის ცოლზე ყადთან იჩივლესო. 2390
- ყადმა რომ აგიკლოს, ვისთან უჩივლებო. 2391
- ყანა რომ წახდა, ბაღჩამ შემოუძახაო. 2392
- ყარყუმბი რამ მოკლა და — თავის ენამაო. 2393.
- ყბადალებული — წყალწალებულიო. 2394
თვალალებული — წყალწალებულიო.
- ყბედი ვინ მოღალა და — მუნჯმაო. 2395
ყბედს რა გააჩერებს და — მუნჯიო.
შდრ.: № № 166, 416, 1285
- ყვაევი თავის სახელს იძახისო. 2396
- ყვაევი თვითონ ყარდა და ბუდეს იცვლიდაო. 2397
- ყვაევი კაქკაქსა სტაეებდა, კაქკაქი — კრუხსა, წიწილა ყველას მა-
გივრად ზღავდაო. 2398
- ყვაევი ნეხვზე იჯდა, ბოლოს არიდებდაო. 2399
ყვაეს ნისკარტი ნეხეში ედო და ბოლოს მალლა იწევდა, არ და-
მესვაროსო.
- ყვაევი სადაც წავა, თავისი წითიანი კუდი თან გაყვებო. 2400
კაქკაქო, სადაც წახვალ, შენი წითიანი კუდი იქ გაგყვებო.
შდრ.: № № 1426, 4848
- ყვაევა სიარულში მწყერს მიბაძა, ვერც მისი ისწავლა და თავისიც
დააეიწყდაო. 2401
შდრ.: № 5394
- ყვაევა ქორის ბახალა გაზარდა და ბოლოს ყვაევი შექამაო. 2402
- ყვაევა ყვაეს წასძახა: ჰაი, შე ყრანტალაო! 2403
ყვაევა ყვაეს დასცინა: „ყრინტო“.
ყვაევა ყვაეს უთხრა: აი, შე კუდსკინტლიანოო!
შდრ.: № № 343, 1434
- ყვაევა შვილები დაზარდა, დაჯდა, თითონვე დაქამაო. 2404

ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო. 2405

ყვავს რა ჰქონდა, ჰქას გაჰქონდაო.

ყვავს რა აქვს, კაჰკაჰს რა მისცესო.

ყვავმა თქვა: მე რა მაქვს, ყორანს რა მივცეო!

ყვავს თავისი სკინტლიანი საბუღარი ქვეყანას ერჩივნაო. 2406

შდრ.: № 2418

ყვავს თვალი არ ჰქონდა, ღმერთს წამწამსა სთხოვდაო. 2407

ქიანჰველას თვალეზი არა ჰქონდა და ღმერთს ეხვეწებოდა, —
წამწამი გამომასხიო!

შდრ.: № 1233

ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგიაო. 2408

ყვავს შევარდნადა ზრდიდნენ და ისევ „ყვას“ იძახდაო. 2409

ყვავს ქორად ზრდიდნენ, ისევ ისე ყრანტალებდაო.

შდრ.: № № 2689, 859

ყვავს შვილი მოუკვდა და ბუს მიუგდო, — დიდი თავი გაქვს და შენ
იტირეო. 2410

ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო. 2411

ბუს თავისი ბარტყი ფარშევანგზე ლამაზი ჰგონიაო.

ყველა მელას თავისი კუდი მოსწონსო.

ყველა დედას თავისი შვილი მოსწონსო.

შდრ.: № 514

ყველა ბებიას სცემდა, ერთი მეც წამოვუქნიეო. 2412

ყველა დაბალ ლობეზე გადადისო. 2413

დაბალ ლობეს ყველა გადაქელავსო.

ძალღს ლობე სადაც ედაბლება, იქ გადახტებაო.

სადა ხარ, ლობევ დაბალო, გადავყვე, გადავიარო!

შდრ.: № № 2816, 4313

ყველა ერდოდან ბოლი ამოდის, მაგრამ ყველაში საქმელს არ ხარ-
შავენო. 2414

ყველა თავის კერიას უბერავსო. 2415

ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე — ბუზანკალსაო. 2416

ყველას თავისი დარდი აქვს, მეწისქვილეს — წყლისაო.

ყველა თავისას ჩიოდა.

შდრ.: № 510

ყველა ღმერთს ეხვეწებოდა, წალდი — კიკოსაო. 2417
ხალხი ღმერთს ეხვეწებოდა, წალდი კი — წვერსაო.

ყველა ჩიტს თავისი ბუდე უყვარსო. 2418

შდრ.: № 2406

ყველა შუქს მისდევსო. 2419

საითაც ნათობს, კაცი იქისაჲ იწევსო.

ყველა ცხენი თოხარიკია, მაგრამ თავის გაქნევა ეზარებაო. 2420

შდრ.: № 2723

ყველა ძალდი ერთი ჯოხით არ გაიდენებაო. 2421

ყველაზე ზევით რომ დაჯდე, ბეგად არ გადაიქცევიო. 2422

ყველაზე მეტად თვალს ვის აკლია და — ვინც თავის თავს იქებსო
2423

ყველამ სხვისა ჭამა, ჭურღმა კი — თავისიო. 2424

ჭურღმა თავისი ჭამა, ალალმა — სხვისიო.

ყველამ თავისი ჭამა, ჭურღმა ვერც თავისიო.

ყველამ ღმერთი ახსენა, ლომმა კი — არაო. 2425

ყველი ყველად ამომიღე. სველი მაწვნად გამიკეთეო. 2426

ყველის და პურის მჭამელმა ღმერთს აღარ შეხედაო. 2427

ყვითელი ოქრო შავი დღისთვისაო. 2428

ყინული თოვლს თავდებად დაუდგაო. 2429

ყმას უთქვამს: ეს მთა თუ იმ მთას ეცემა, ბატონისგან ჩვენც წყა-
ლობა მოგვეცემაო. 2430

ყმაწვილს ნუ აიყვან, თორემ შემოტირილს დაგიწყებსო. 2431

ყოველგვარ ჭირს ფეხი ზიდავს, ფეხს კი — არაფერიო. 2432

ყორანმა თქვა: აქ ვარ შავი და აქ ვლებ შავ კვერცხს, თორემ წყალ-
გაღმა რომ გავალ, თეთრ კვერცხს დავლებო. 2433

შდრ.: № 4849

ყორანმა შაშვის ჯავრით შრომანი მოკლა, — შენც შავი ხარ და ისიცაო. 2434

შაშვის ჯავრით ყორანმა შოშია მოკლა, — შენც შავი ხარო.

ყრუსთვის ზარს ორჯერ არ რეკენო. 2435

ზარს ერთხელ დარეკენო.

ზარი მეორედ აღარ დაირეკებაო.

ყური — ყრუთაო, ენა — ბლუთაო. 2436

ყურმა თქვა: ბევრი ამბავი რომ მესმის, იმიტომ არ ვიზრდებიო. 2437

ყური იმიტომ არ იზრდება, რომ ბევრის გამგონეაო.

ყური და თვალი მისთვის არ გაიზრდებიან, რომ ბევრს ხედავენ და გაიგონებნო.

ყურს რომ ამდენი ამბავი არ სმენოდა, კიდევ გაიზრდებოდაო.

ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდნენო. 2438

ერბოს ნდომით ქილას კოცნიდნენო.

ერბო-კვერცხის სიყვარულით ტაფას კოცნიდნენო.

დედის სიყვარულით ბავშვს ეალერსებოდნენო.

ყურძნის ქურდი იანვარში დაიკვეხებსო. 2439

კიტრის ქურდი იანვარში დაიქადნისო.

იანვრის ქურდი მარტში გამოჩნდებაო.

შ

შავ მთას შავი კერატი არ დააკლდებაო. 2440

შავ ღორს გინდ აღმა აფხანე, გინდ დაღმა დაფხანე, მაინც ღორიაო.

2441

ავს ღორს თუნდა ზურგზე დაჰფხანე, თუნდა მუცელზედაო.

შდრ.: № 2875

შავ ღორს შავი ტრუხა არ დაეღვეაო. 2442

შავ ღორს შავი ტილიო.

შავ ტრუხას შავი კერატა არ დაეღვეაო.

შავი კანის ჩენას შავი ფარატინის აფარება სჯობიაო. 2443

შავი ცხვარი ბანით მოკლეს, თეთრი — დაუბანლობითაო. 2444

- შავი ძალის არ გათვრდა, „ჩოქირ-ჩოქირს“ უძახდნენო. 2445
 შანშემ რა იცის თოფისა, ჯერ ისარიც არ უსროლიაო. 2446
- შარიანმა კაცმა შარის გულისთვის შარა მოხნაო. 2447
 შდრ.: № 675
- შარშან მაშიდა მომიკვდა, წრეულს ახ და ვაგლახ მეო. 2448
 შდრ.: № 404
- შარშან ჩემი შვილი ბედაურს აკენებდა, წელს მუთაქაზე ვერ ხტე-
 ბაო. 2449
 შარშან ჩემი შვილი ცხენს აკენებდა, წრეულს კი ველარც გაი-
 ჩაქჩაქაო.
- შაურიანმა მუშამ აჯობა მანეთიანსაო. 2450
 ორი შაურის მწირველი მუდამ აჯობებს აბაზისასაო.
 ორი შაურის მუშასა მის დღეში არა უშავს-რაო.
- შაშვები წაიჩხუბნენ, მელამ პირი აივსოო. 2451
- შაშვმა კუთილით ქვეყანა მოჰამაო. 2452
 შდრ.: № 1268
- შეაქეს გოშია და შეაჰამეს მგელსაო. 2453
 ფინია აქეს, აქეზეს და მგლებს შეაჰამესო.
 წაქეზებით მურია მგელს შეაჰამესო.
 შააქიან ლებილაი, შააქმივიან მგელსაო.
 თუშთავ დიდო შააქიანავ, შააქიანა და შააკლიანავ.
 შდრ.: № 4629
- შეგნებულთან ჰირი სჯობია შეუგნებულთან ლხინსაო. 2454
 შესმენილ კაცთან ჩხუბი სჯობია შეუსრენელთან ჰურის ჰამასაო.
 ომი სჯობს შეგნებულთანა შეუგნებულთან ნადიმსაო.
- შემოდგომის ბუზი უფრო მწარედ იკბინებაო. 2455
 შდრ.: №4631
- შემპარავი ძალის მყეფარზე უარესიაო. 2456
 შდრ.: № 5497
- შენ არ გქონდის ჩემო მტერო, შენ ჩაგქონდეს შავო წყალოო. 2457.
 შდრ.: № 4841
- შენ რომ გგონია ერბო, ქონიაო. 2458

- შენ რომ დიდი ტანი გქონდეს, ჩემი შეიდიშის რა ბრალიაო. 2459
შენ რომ დიდი მადა გქონდეს, რა ჩემი ქონების ბრალიაო.
- შენ რომ იყილო ჩოხანი, ცოლსაც უმზადენ ჯუბანიო. 2460
- შენ საქონელს მოუარე, რომ მეზობელს ქურდი არ დაუძახოო. 2461
- შენ სახლში შეიხედე და კარში ისე გაიხედეო. 2462
- შენ სულგრძელობას ჩემი დღეგრძელობაც უნდაო. 2463
- შენ ძმას რა ერქვივნაო და — გული რო არა მქონდაო! 2464
- შენ წისკვილში წაბრძანდი, მე ქორწილში წავეთრევიო. 2465
- შენ ხილი იგემე, მებაღეს რასა კითხულობო. 2466
ხილი იხილე, მეხილეს რას კითხულობო.
ხილი ჭამე და ხეს ნუ კითხულობო.
- შენა ხარ ხერხში, არც მე ვარ ტყეშიო. 2467
თუ ის არის ხერხში, არც მე დავდივარ ტყეშიო.
- შენდებოდეს — შეეწიე, იესებოდეს — შეესიეო. 2468
- შენი ბატონი რომ ხილად გაგედოს, ზედ ნუ გაივლიო. 2469
- შენი გოჭის ხუთშაბათი შენ პაიქებს ეტყობაო. 2470
- შენი კარი გააღე, სხვისიც ღია დაგხვდებაო. 2471
- შენი სიგულადე ჩემი სილაჩრის ბრალიაო. 2472
- შენი ჯავლაგი გერჩიოს სხვის ბედაურსაო. 2473
თავისი კვიცი გერჩიოს სხვისა კარგა ცხენასაო.
ჩემი ჯავლაგი სხვის იორღას მირჩეენიაო.
შენი ხმელი პური გერჩივნოს სხვის ფლავსაო.
შდრ.: № 4119
- შენც ბატონი, მეც ბატონი, სახლი ვინღა დაგავოსო. 2474
შენც ბატონი, მეც ბატონი, ძროხა ვინ უნდა მოწველოსო?
შენც ბატონი, მეც ბატონი, ამ ცხენს ვინღა შეკაზმავსო?
- შენც წახდი, მეც წამახდინე, ახლა ქრისტე აღსდგა — გიხაროდესო. 2475
- შეუნდოს შენ მკვდარსა, ჩაუნდოს ჩემ ყბასაო. 2476

- შექვამ და წაქეზებამ ვირზე შემსვა, ძაგებამ ვერა მიყო-რაო. 2477
შდრ.: № 211
- შეჩვეული ჰირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო. 2478
შდრ.: №1661
- შეხეთქებული ჰირისუფალი მალე გადაიგლოვსო. 2479
- შვიდ სადილზე შეესწრო — შვიდი ლუკმა აიღეო. 2480
ცხრა სუფრა რომ მოიარო, ყველგან თითო ლუკმა უნდა შე-
ქამოო.
- შვილი მოგიკლა თუ სიცრუე მოგიგონო? — შვილი მომიკალიო..
2481
შვილის სიკვდილი მირჩევნია ცილის დაწამებასაო.
- შვილი მოჯალაბისას მიაბარე, გამოიზრდებო. 2482
- შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებო. 2483
შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება ძმურადა.
- შვილი ჩემია, ჰკუა კი თავისი აქვსო. 2484
- შვილიშვილი ბაბუას ძველ დროს ასწავლიდაო. 2485
- შვილსაცა და შვილის მკვლელსაც სამართალი ერთი უნდაო. 2486.
- შიმშილმა ხმელა არ იცის და სიცივემ — ძველაო. 2487
შიმშილმა სანუკვარი არ იცის და ძილმა — სასთუმალიო.
შიმშილს საწები არ უნდა და ძილს — სასთუმალიო.
შიმშილს მისატანი არ უნდაო.
ძილს სასთუმალი არ უნდაო.
- შინ მითანილი ჰვაც ჰადააო. 2488
შინ მითანილი სიპი ჰვაც კარგიაო.
- შინ რომ ბავშვი გიტროდეს, ტაბლას გარეთ რა უნდაო. 2489
ყმაწვილები რომ შინ მშვივრები იყვნენ, გარეთ ტაბლას რა ხე-
ლი აქვსო.
ყმაწვილს რომ პური შიოდეს, გარეთ რა უნდა ტაბლასაო.
- შინ შვილის სიკვდილს გარეთ შვილიშვილისა სჯობიაო. 2490
- შინ ჯალაფთათვის დათმენ-მოთმენა სირცხვილი არ არისო. 2491

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. 2492

შდრ.: № № 182, 379, 2493, 2494

შინაურ ხარს მოზვერს ეძახიანო. 2393

შდრ.: № № 182, 379, 2492, 2494

შინაური ელამიაო. 2494

ვაი შინაურსაო!

შდრ.: № № 182, 379, 2492, 2493

შინაური მაზანდა ბაზარში არ დამხვდაო. 2495

შდრ.: № 1963

შიშველისთვის ზაფხულიც ზამთარიაო. 2496

შოლტი ისე უნდა მოიქნियो, რომ შენვე არ მოგხვდესო. 2497

შორეულ ცხენოსანს მახლობელი ვიროსანი სჯობიაო. 2498

– შორეულ მოყვარეს ახლობელი მტერი გერჩიოსო.

შორს მოყვარეს ახლოს მტერი სჯობიაო.

შორეული ქალია, ახლობელი — გოგოო. 2499

შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო. 2500

შუაქაცის გული ხალვათიაო. 2501

დაღალის გული მხიარულიაო.

შუალამისას დათვი მზეს ეფიცებოდაო. 2502

დათვი შუალამეზე მზეს ითბობდაო.

შუალამისას შავ ნახნავეში მგელი შავ ბატკანს გაარჩევსო. 2503

შუბი ხალთაში არ დაიმალებაო. 2504

შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ედებოდაო. 2505

ჩ

ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო. 2506

ჩამავალი მზე ამომავალ მთვარეს განზე უყურებსო. 2507

ჩამოცლილ ხეს არაეინ შეხედავსო. 2508

- ჩემ დამკვერ ძალს ერთი შეხედვით ვიცნობო. 2509
- ჩემ დღეში რომ სახლი ვაგო, შიგ როდისღა შევიდევო. 2510
სულ რომ სახლი ვაშენო, შიგ როდისღა დავდგევო.
- ჩემ მუნიაან თავზეც შემოჭდება მწერიო. 2511
- ჩემ სატრფოს მუმლიც ნუ დააჯდებაო, — უთქვამს ქალს. 2512
- ჩემ სისაწყლესი ხეში მატლიც არ იყოო. 2513
შდრ.: № № 1408, 2345
- ჩემ ცარიელ ჯამს გიკრავო და სავსეს დაგიქცევო. 2514
ცარიელ ჯამს ვესვრი შენ სავსე ჯამსაო, თუ გაგიტეხე, ხომ
კარგი, თუ არა-და ჩემი მაინც ცარიელიაო.
- ჩემი ვირი კი მოკვდა და ეს ქალაქი რაღა ქალაქიაო. 2515
- ჩემი პურ-ღვინით გამაძლარი ცას მევე მატებს თავზედაო. 2516
- ჩემი სამართალი ჩემი ხანჯალიაო. 2517
ჩემი სამართალი თოფის ტუჩზე ჰკიდიაო.
- ჩემი საქმეა, ვენახს როგორ დავასხმევინებ — ზქლად თუ თხლა-
დაო. 2518
- ჩემი ურგები ქოთანს ქვასა და შექამანი ძალსაო. 2519
შდრ.: № 2126
- ჩემი უსიამოვნო მარჯვენა ხელიც არ მინდაო. 2520
- ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო. 2521
ჩემი არ გითხრა, გული რით დავწვაო.
თუ შენი არ გითხრა, ჩემი რით დავავიწყო.
- ჩემი შექედილი ხატის მადლი მე თვითონ ვიციო. 2522
ჩემი გაქედილი ხატის ძალა მე ვიციო.
ხატი თუ ჩემი მოქედილია, მე ვიცი მისი სიცხოველეო.
ხატო, ჩემი გაკეთებული ხარ და ვიცი რა ძალაც გაქვსო.
ჩემი შეწირული ხატისა მე ვიცი, რა ძალაც აქვსო.
- ჩემმა დაქედებმა ჯორმა წიხლი ისევ მე მესროლაო. 2523
- ჩემმა ტიკტიკა ენამა მევე გამარტყა ყბაშიო. 2524
ჩემი ენა ტიტიჩა, ყბაში კარგა მიტყიცა.

ჩემმა ენამ ჩემი დასალუპავი მათქმევინაო.

ჩემმა ენამ პანლური ამომკრაო.

შღრ.: № 4113

ჩემმა ფურმა წიხლი იცისო და — ჩემი ასწრებსო. 2525

— ჩემა ცხენი კვიცს მოიგებსო. — ჩემი კიდეც მოასწრებსო!

ჩემმა ღორებმა ჩემი ვენახი თხარონო. 2526

ჩემმა ცოლმა სიყვარულით საკვეთლით მცემაო. 2527

სიყვარულით ჩემმა ქმარმა ბარ-საკვეთლითა მცემაო.

ჩემს იქით თოფი გინდ კუნძს მოხვდეს, გინდ კაცსაო. 2528

ჩემს იქით თოფი რომ კაცს მოხვდეს, ვითომ კუნძს მოხვედრიაო.

შენს იქით კაცის ისრის კვრა ბუკის ცემას დაადარეო.

სხვათად ნასჭობი ისარი მითომ ყუნქს ესჭვაო.

შღრ.: № 4665

ჩემსას ვარახელაო, შენსას არაფელაო. 2529

ჩემთან არაფელა, შენთან ბარაქელაო.

შღრ.: № № 2061, 2533, 2534

ჩვენ ბატონს გაუვიდაო და ნამუსი წაუვიდაო. 2530

ჩვენ სოფელში ცხრა ნახირი დადისო, ჩემი ხბოც არ ურევიაო. 2531

ჩვენი ქვაბი და მეზობლის ბატი სწორი-სწორ მოვიდნენო. 2532

ჩვენი ქვაბი და განაყოფის გოჭი კარგად მოვლენო.

ბატონიანთ ჩალხანა და ჩვენებიანთ გოჭი სწორეთ მოვიდნენო.

ჩვენსა ყლაპე-ყლაპე, თქვენსა კაპე-კაპეო. 2533

შღრ.: № № 2061, 2529, 2534

ჩვენსას მოხვალ — ღვინოს ყლურჭავ, თქვენსას მოვალ — თვალებს ხუჭავო. 2534

შღრ.: № № 2061, 2529, 2533

ჩვეულებამ პანლური ამომკრაო. 2535

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. 2536

ჩივილი თხოვაა, თხოვა — ძალად წართმევაო. 2537

მოჩივილი თხოვნაა, თხოვნა კარზე დგომააო.

ჩიკორი ცემით მოკლეს — რატომ ძმა არა გყავსო. 2538

ნიკორა გაატყავეს — რატომ ღელა არა გყავსო.

- ჩიტი ბღღვნად არ ღირდა, დევნა მეტი იყო. 2539
 ჩიტი დევნად არა ღირდა, დევნა — ბღღვნადო.
 ჩიტი ბღღვნად არა ღირსო.
- ჩიტი დაუქერია გამჩენს: — რა გაჩუქო? — რომელ ლობეშიც გა-
 ვიზარდე, ისაო. 2540
 შღრ.: № № 2542, 2799
- ჩიტი ეკალს შეეხიზნა და ტოროლა კირცხილასაო. 2541
- ჩიტი მთაში გაიზარდა, მთას შეაკვდაო. 2542
 მთის ჩიტი მთას შეაკვდაო.
 შღრ.: № № 2540, 2799
- ჩიტი ოქროს გალიაში რომ ჩასვა, მაინც ტყვეაო. 2543
- ჩიტი სადაც გაიზარდება, მისი ბაღდადი იქ არისო. 2544
- ჩიტი ფერხულში ჩაება და იძახდა: „ფეტვი, ფეტვიო“. 2545
- ჩიტი — ფრთითაო, ქალი — ქმრითაო. 2546
 ყველა ფრინველი ფრთით ფრინავს, ქალი კი — თავის ქმრითაო.
 ფრინველი ხარობს ფრთითაო, ქალი — თავისი ქმრითაო.
 ქალი ქმრითა, ცხვარი მთითა.
 ქალი ქმრითა, ხარი რქითა.
 ქმარი ქალის ფრთებიაო.
- ჩიტი ლობეზე შეკდა, — უფრო ფეხს მოვიკიდებო. 2547
- ჩიტი ლობეს შეეხიზნა: ქარს ნუ გამატანო! 2548
 ჩიტი ლობეს შეეხიზნა, — ქარმა არ წამიღოსო.
 ჩიტი ლობეს შეეხვეწა: წვიმა მომიფარეო!
 ჩიტი ნარს შეეხიზნაო.
 ჩიტი ჩიტობით ლობეს შეეხიზნაო.
- ჩიტი ცალი ფრთით ვერ გაფრინდებაო. 2549
- ჩიტის სკინტლზე ზვაეი აიშლებაო. 2550
- ჩიტმაც თავისი ბუდე იცისო. 2551
 თავისი ადგილი ძროხამაც იცისო.
- ჩიტს აფრენა უნდოდა, ხელის აქნევას ელოდაო. 2552
- ჩიტს სადაც უნდა, ბუდეს იქ გაიკეთებსო. 2553
 ჩიტს სადაც მოეწონება, ბუდეს იქ ჩადგამსო.

- ჩიჩხვინა კაცი ბევრ კურდღელს გააქცევსო. 2554
 ჩხირი არ ეტეოდა, მუგუზალს სტენიდნენო. 2555
 ჩხუბი რაზედ მოვიდაო და — ძალღზედა და ბალღზედაო. 2556
 — ჩხუბო, საიდან მოხვალ და — საკლიტიდან ჭიჭიტა! 2557

ც

- ცა და ქვეყანა იქცეოდა და მუდომ თვალები დაითხარაო. 2558
 ქვეყნის დაქცევის შიშით თხუნელამ თვალები დაითხარა — არ
 შემიძლია ვუყუროო.
 ქვეყნიერების დანგრევის მოლოდინში თხუნელამ თვალები და-
 ითხარა — სულერთია აღარ გათენდებაო.
 ქვეყნის დაქცევის შიშით ჭიამ თვალები დაითხარაო.
- ცა სირცხვილ-ნამუსს რომ არ ეჭიროს, ჩამოინგრეოდაო. 2559
 ცას სირცხვილი იჭერს, თორთო დაიქცეოდაო.
- ცალ ხარს უღელი არ დაედგმისო, მარტულელი — კიო. 2560
 ცალთვალა ლომს ელმობას ვერ შეჰკადრებო. 2561
 ცალთვალა ხარს ორთვალა ხარის ნამუშევარი თავისი ეგონაო. 2562
 კუდა ხარმა მოიხედა, ნახნავი დაინახა, თავისი ნახნავი ეგონა და
 ცოხნა დაიწყოო.
 ზარმაც ხარს ზედა და ქვედა ნახნავი ორივე თავისი ეგონაო.
- ცალთვალას ჰკითხეს: ცალი თვალით რას ხედავო და — ნეტა იმდენი
 მომცა რასაც დავინახავდიო. 2563
- ცალი გვერდი ნათლიისა აქვს ნათლულსაო. 2564
 ცალი მხრიდან ხე არ მოიჭრებაო. 2565
 ცალი ყბით მიპატიეებული სტუმარი ორივე ყბით შეექცეოდა ვახ-
 შამსაო. 2566
 ცალი ხელით ტაში არ დაიკვრისო. 2567
 ცალფულში რომ მოატყუებ, მანეთს აღარ განდობენო. 2568
 ცალ-ცალკე მომჩივანი ბატონს მართალი ეგონაო. 2569

- ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდანო. 2570
 ცარიელი საბაჟოში გარბოდანო.
- ცარიელ კაცს სახლი შებღაღღებდნო. 2571
- ცარიელ ფარებს მგლით სავსე ფარები სჯობიანო. 2572
- ცარიელ ჯამში ხელს არავინ ჩაყოფდნო. 2573
 ცარიელ ჯამს ხელს არავინ ჰკრავდნო.
- ცარიელა ქვა-ყორეში თაგვიც არ დადგებანო. 2574
- ცარიელი თოფისა ორს ეშინია, გატენილის — ერთსანო. 2575
 ცარიელი თოფისა შორს მტერს ეშინია, შინ — პატრონსანო.
- ცარიელი კაცი ქვებზე მაგარიანო. 2576
- ცარიელი ქვევრი მეტს ხმაურობდნო. 2577
- ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დადგებანო. 2578
- ცარიელი ტომარა — ცარიელი ჩანახიო. 2579
- ცარიელმა თითმა ხახა გამომქლითანო. 2580
- ცაცი ძირს ვერ დადიოდანო, ალვის ხეზე ადიოდანო. 2581
 კუ დედამიწაზე ვერ დადიოდანო, მალლა ხეზე ადიოდანო.
 შდრ.: № 544
- ცაცუნს კაკუნი მოაქვდნო. 2582
- ცდა ბედის მონახევრეანო. 2583
- ცეკვა დაკვრამ და ტაშმა იცისო. 2584
 შდრ.: № № 1839, 2072
- ცენტერაძის დედაბერი ქვეყნის სატირალს ტიროდანო. 2585
 ცენტერაძის მოლოზანს ქვეყნის დარდი აწუხებდნო.
 შდრ.: № 570
- ცეცხლი და წყალი არცერთი სანდო არ არისო. 2586
- ცეცხლი ენთო, მე არ მეთბოდანო. 2587
- ცეცხლი ვთქვი და პირი არ დამწვანო. 2588

- ცეცხლი ისე გააქრე, რომ ბოლი არ აუვიდესო. 2589
- ცეცხლის პატარა ნაპერწკალი მთელ ხორას გადასწევასო. 2590.
- ცეცხლიდან გავიყარენით, განა ძმობიდანაო. 2591
- ცეცხლიდან გაქცეული წყალში დაიხრჩოო. 2592
- ცეცხლის შემბერავი ნაპერწკლებს უნდა ერიდოსო. 2593
- ცეცხლს ნუ ეხუმრები და წყალს ნუ ერწმუნებიო. 2594
- ცეცხლს ხელსა ვკიდებდი და გულსა მწვეავდაო. 2595.
- ცეცხლს წყლით აქრობენო. 2596
- ცვარი ცვარს მიუმატე — ზღვად იქცევაო. 2597
- ცვარი ცვარს ეცა, ზღვად გადაიქცაო.
 ნამიე ნამს ხკარიო, ალაზან იქნებაე.
 ცვარ-ცვარად ნადენი წვეთი ტბად გადაიქცევაო.
 თითო ცვარითა ტბა შედგაო.
 ზღვა წვეთებით გაივსოო.
 შღრ.: № № 483, 1870
- ცვარი წვიმა არ არის, მაგრამ მისებრ მარგებელიაო. 2598
- ცვარში დახრჩობას ზღვაში დახრჩობა სჯობიაო. 2599
- პატარა წყალში დახრჩობას დიდ წყალში დახრჩობა სჯობიაო.
- ცვილი რკინად არ გამოდნებაო. 2600
- ცის ვალი დედამიწას არ შერჩება და დედამიწასა — ცისაო. 2601
- ცისარტყელას დარი მოსდევსო. 2602
- ციცხვიც ვიცი, კოვზიცაო. 2603
- შღრ.: № 2289
- ციხე ვისიც არის, მინდორიც იმისიაო. 2604
- ციხე შიგნიდან ვატყდებო. 2605
- ციხეს კარი უნდა, კარს უკან — კაციო. 2606
- ციხეს კარი უნდა ჰქონდეს, კარს დარაჯი უნდა ჰყავდესო.
- ცოდვავ, გაანებე კაცს თავი და — დაიცა, ჯერ პირში სული უღ-
 გასო. 2607

„ცოდო შვილიშვილამდო. 2608

„ცოლი მყავს და გაღმელ კაცსა ჰყავსო. 2609

კაცსა ჰკითხეს: ცოლი გყავსო? და — კი მყავსო, მაგრამ გაღმეულ კაცსა ჰყავსო.

კაცსა ჰკითხეს: ცოლი გყავსო? — ჰოო; — სადაო? — გაღმა ყვარელშიო.

შდრ.: № 1056

„ცოლი რომ კარგი ყოფილიყო, ღმერთსაც ეყოლებოდაო. 2610

ცოლი უნდოდა, ცოლეური — არაო. 2611

„ცოლი შერთეს უნდილასაო, ეგრე იყო უწინაცაო. 2612

ცოლს თავისი ქმარი ლომი ეგონაო. 2613

ცოლსა დიდი ცოში უნდა, ასი ლიტრა საფანელიო. 2614

ცოლსა დიდი ცოში უნდა, ასის ლიტრის საფუარიო.

ცოლსა დიდი ცოში უნდაო.

„ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს გაყრა ეგონაო. 2615

ბრიყვ კაცს ცოლ-ქმრის აშლა გაყრა ეგონაო.

„ცოტა მოთოხნე, ცოტა მოხოხნეო. 2616

ცოტას მოვთოხნი, ცოტას მოვცოხნიო.

ცოტა მოთოხნე — ცოტა მოხოხნეო.

ცოტა რამ კვერის დამკვერელის ხელშიც არისო. 2617

— ცოტავ, სად მიდიხარო და — ბევრთანაო. 2618

— ცოტავ, სად იყავ და — ბევრის მოსატანადაო.

შდრ.: № 1755

„ცოტას მხენელი და მთესველი ღმერთს ემდუროდაო. 2619

ცოტას მხნავი ღმერთს ემდუროდაო და ყროლის მთქმელი — ქვეყანასაო.

„ცოფიან ძაღლს სადაც მოჰკლავენ, იქვე დამარხავენო. 2620

„ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩანო. 2621

შდრ.: № 2622

„ცოცხალს იმდურებენ და მკვდარს იმადლიერებენო. 2622

შდრ.: № 2621

ცრუს სახლი დაეწვა და არავინ დაუჯერაო. 2623

შდრ.: № 3935

ცუგა გარეთ არ გავიდა და კურდღელი შინ არ შევიდაო. 2624

ცუდ პანტას თუნდა ბევრი ესხას, თუნდა ცოტაო. 2625

ცუდად მოხნულს კარგად დაფარცხვა ველარ უშველისო. 2626

ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო. 2627

ცუდი მეზობლისაგან პურის სესხებას უფავშმოდ დაწოლა სჯობიაო.
2628

შდრ.: №2106

ცული პატარა არის, მაგრამ დიდ ხეს კი წამოაქცევს ხოლმეო. 2629

შდრ.: № 2631

ცული ხეს შესჩიოდა: ნახევარი შენი ბრალიაო. 2630

ცულით პატარა ხელი დიდ ხეს მოჭრისო. 2631

შდრ.: № 2629

ცულის პირით მოჭრილი ხე ცულსა ტარად დაეგებაო. 2632

ცულს ტარი შიგნიდან დაეგებაო. 2633

ცუნცრუკა ცხენი მანძილს ვერ გაივლისო. 2634

ცხარე ძმარი საძმრეს გახეთქსო. 2635

ცხარე ქოთანი თავის თავს გახეთქსო.

შდრ.: № 2296

ცხენდავარდნილს „შინ მშვიდობითის“ მეტი რა ეთქმისო. 2636

ცხენდავარდნილ კაცს შინ მშვიდობით მისვლის მეტი რა ეთ-
ქმისო.

ცხენზე ვინც შეჯდება, ის გადმოვარდებაო. 2637

ცხენი თუ სადავით მიგყავს, სიარულით არ დაიღლებიო. 2638

ცხენის მოლოდინში კაცი სიარულით არ დაიღლებო.

ცხენი იყოს, თორემ უნაგირს იშოვიო. 2639

შდრ.: № № 954

ცხენიდან გადმოვარდნა სჯობია ვირიდან გამოვარდნასაო. 2640

ცხენიდან ჩამოვარდნილს ვირიც არ შეისვამსო. 2641
ბედაურიდან ჩამოვარდნილი ვირმაც არ შეიჯინაო.

ცხენიც კი არ წავა უმათრახოდაო 2642

ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირი დაამტვრიაო. 2643
ცხენს ვერა დააკლიანო, უნაგირს გადაჰკრიანო.
კაცი უნაგირს ვერ მისწვდა, უზანგებს მტვრევა დაუწყოო.
ხარებს რომ ვერა დააკლეს, ტაბიკებს დაუწყეს მტვრევაო.
ბატონის ჯავრს ბიჭზე იყრიან, ცხენის ჯავრს — უნაგირზეო.
ივანეზე გაჯავრებულმა პეტრეზე გასტეხა ბრაზიო.

ცხენს კუდს მოედანზე ნუ მოსჭრი, ზოგი გრძელს გეტყვის, ზოგი
მოკლეს და დაგიმახინჯებენო. 2644

ცხენს თავისი ფეხები იპარავსო. 2645
ცხენი თავის თავს თითონ იპარავსო.

ცხენს რომ იყიდიან, კბილს გაუსინჯავენო. 2646
ცხენს კბილს გაუსინჯავენ, მოჭიდავეს — მკლავებსაო.

ცხენს რომ სცოდნოდა, საპალნეს აჰკიდებდნენ, პატრონს არ დაექე-
რინებოდაო. 2647

ცხენს წინა ფეხები წყალში ჩაადგმევინე, დასტვენა აღარ დაჭი-
რებო. 2648

ცხვარი ბატონსა და ძროხა ანტონსაო. 2649
შდრ.: № 4812

ცხვარი თუ არ მოკვდება, მემცხვარედ რა მინდაო. 2650

ცხვარი რო არიალდება, მარილი უნდაო. 2651

ცხვარი რომ გამოსაკვები გყავდეს, საბძელში ჩალა-თივა უნდა
გქონდესო. 2652

ცხვარი უთხოვდ არსად წავაო. 2653

ცხვარი შიმშილით კვდებოდა, თხა კიკინით გამოვიდაო. 2654
ცხვარს შიმშილით სული ამოძვრა, თხა კიკინით გამოვიდაო.
თხა კიკინით გამოვიდა, ცხვარმა თავი გარდაასკვაო.
თხა კიკინით გამოვიდა, ცხვარი — ფეხების ბაკუნითაო.

- ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა — ცხარეაო. 2655
- ცხვარმა თხას სთხოვა ნაპარსიო. 2656
 ცხვარი თხას მიადგა მატყლის სათხოვრადო.
 თხას ნაკრეჭი არა ჰქონდა და ცხვარს აძლევდაო.
- ცხვარო, ვისი ხარ და — ვის კარზედაც ვბლავიო! 2657
 ცხვარი ვის კარზედაც დაიბლავლებს, იმისი არისო.
- ცხვარს გრძელი ნაწლავი აქვსო. 2658
- ცხვარს მეტს თუ მოწველი — ყველს შეემატება, თუ არა და -- ბატ-
 კანსაო. 2659
 მოვწველ — მე შემემატება, არა და — ხბოსაო.
- ცხვარს უთქვამს: ღუმა რომ არ მიშლიდეს, ისე გავიქცევი, ვერაფერ
 დამეწვეაო. 2660
 შდრ.: № № 159, 1136
- ცხვირი პირიდან არ მოიჭრებაო. 2661
- ცხვირს რომ დაისველებ, ლოყებიც თან მიჰყვებაო. 2662
- ცხვრის ღუმას არა ჰვამს, აქაო-და უკან აბიაო. 2663
 ზოგი კაცი ღუმას არ ჰვამს — უკანიდან აბიაო.
- ცხრა რძალი მოვიყვანე, ცხრა თავი საქმე მომემატაო. 2664
- ცხრა ძიძის ხელში ყმაწვილი დამახინჯდაო. 2665
 ცხრა ძიძის ხელში ყმაწვილი შიმშილით მოკვდაო.
 ბევრი გამზრდელის ხელში ყმაწვილი დაიჩაგრებაო.
 ორ ძიძას შუა ბავშვი დაიხრჩოო.
 ბევრი გამზრდელის ხელში ბავშვი უზრდელი გამოვიაო.
 შდრ.: № 1496
- ცხრა ძმას ცხრა უღელი ხარი ბევრი ეგონაო. 2666
 ას ძმას ასი ცხვარი ბევრი ეგონაო.
- ცხრაჯერ ძველმა გამახარა, ერთხელ — ახალმაო. 2667
- ცხრილით წყალს ვერ წაიღებო. 2668

d

- ძალა აღმართს ხნავსო. 2669
- ძალა შინ შევიდაო და სამართალი ბანიდან აძვრაო. 2670
 ძალა რომ მოვიდა, სამართალი უკანა კარებიდან გაიპარაო.
- ძალად გამღერებენ ვარდო-ნანასაო. 2671
- ძალად გატანებული ძალლი ცხვარს არ გამოადგებაო. 2672
- ძალად დასმული კრუხი წიწილას ვერ გამოჩეკსო. 2673
- ძალად მიტევებული მწევარი კურდღელს ვერ დაიჭერსო. 2674
- ძალად მოტირალს რა ვუთხრა და ძალად ნასვამ-ნაჭამსაო. 2675
- ძალღები ერთურთს ვერა ხდებოდნენ, საყარი ერთადა ჰქონდა-
 თო. 2676
- ძალღები წაიჩხუბენ, მათხოვარს გაუხარდაო. 2677
- ძალღი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო. 2678
 ძალღი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო.
 შდრ.: № 4707
- ძალღი გაზარდე — კანკში გიკბენსო. 2679
 შდრ.: № № 2731, 2256
- ძალღი გაკრიჭეს და პატრონი გამოუჩნდაო. 2680
 ძალღს დაარტყი და პატრონი გამოუჩნდებო.
 ძალღი დაფასდა და პატრონიც მაშინ გამოუჩნდაო.
- ძალღი დაბერდა და კვესია დაარქვესო. 2681
- ძალღი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოსო. 2682
 ვინც ძალღს მოკლავს, იმასვე გადაათრევიწებენო.
- ძალღი ვირს ხორცს უზიდავდა, ვირი ძალღს—თივას და ორივე მშვიე-
 რი რჩებოდაო. 2683
- ძალღი იერუსალიმშიც ყუფდაო. 2684
 იერუსალიმი წმინდა ქალაქია, მაგრამ ძალღები იქაც არიანო.
 იერუსალიმშიც არიან ძალღებიო.
- ძალღი იყეფებს, იყეფებს, დაიღლება და დადგებაო. 2685

ძალს დიდი ყბა აქვს, დაე იყეფოს, თუ დაიღლება, თავი იტე-
ხოსო.

ძალლი კოკლობით არ მოკვდებაო. 2686

თუ ძალლი ძალად არ მოკლეს, სიკოჭლით არ მოკვდებაო.

ძალლი პატრონს მოძებნისო. 2687

ძალლი რასაც შეჭამს, იმასვე მოინელებსო. 2688

ძალლი რაც უნდა გაწვრთნა, ყეფას მაინც არ მოიშლისო. 2689
შდრ.: № № 2409, 859

ძალლი რომ არაფერს ხედავდეს, არ დაიყეფებდაო. 2690

ძალლი რომ ყანიდან კუღით ჩხერგს გადაათრევს, მუშას იმიტაც მი-
ეხმარებაო. 2691
შდრ.: № 2714

ძალლი სადაც სალაფავს სვლეპავს, იქვე ყეფავსო. 2692

ძალლი სადაც თქვლეფსო, იქა ჰყეფსო.

— ძალლო, ვისთვის ყეფხარო? — ვის კარზედაც ვწევარო.

ძალლი სამკედლოდან ვერას გაიტანსო. 2693

ძალლი საყასბოს არ მოშორდებაო. 2694

ძალლი სხვის ეზოში კუდამოძუებული დადისო. 2695
შდრ.: № 957

ძალლი ფერხულში ჩაება, ფეხი აიწყვიტაო. 2696

ძალლი ყეფს, ქარავანი მიდისო. 2697

ძალლი ყეფს, მაგრამ მე კი ვერ მომწვდებაო. 2698

ძალლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო. 2699

ძალლი ძალს იცნობსო. 2700
ცუგრია ტუგრიას იცნობსო.

ძალლი ძალლის ტყავს არ დახევსო. 2701
ძალლი ძალლის ძვალს არ გატეხსო.

ძალლი წუწკობას არ მოიშლისო. 2702

ძალლისა ბატკანი ვის უნახავსო. 2703

ვის უნახავს ცხერისა ლეკვი და ძაღლისა — ბატკანო.
ძაღლისა ძაღლი გამოვა, ბატკანი ვის გაუგონიაო.

ძაღლის კუდი არ გასწორდებაო. 2704

ძაღლის კუდი ცხრა წელიწადს კალაპოტში იყო, ამოიღეს და
ისევ გაიღუნაო.

ძაღლის კუდს რა გაასწორებსო.

გველის კუდს რა გაასწორებს, ხვრელშიაც კლაკენით გაიცი-
რებსო.

შდრ.: № 97

ძაღლის ლეკვი მორევში არ დაიხრჩობაო. 2705

ძაღლის ლოცვა-ვედრება რომ შეიწყალებოდეს, ციდან ხორცი ჩა-
მოვარდებოდაო. 2706

ძაღლის ნაკბენს ძაღლის ბალანივე მოარჩენსო. 2707

ძაღლის ნაკბენსაც — ძაღლის ბეწვიც.

შდრ.: №№ 1797, 2263

ძაღლის სამარე მგლის მუცელიაო. 2708

ვირის სასაფლაო მგლის მუცელიაო.

ძაღლისა ყეფააო. 2709

ძაღლისა წინიდან გეშინოდეს, ცხენისა — უკნიდანაო. 2710

შდრ.: № 1620

ძაღლიც მოიხედავს კუდისკენაო. 2711

ძაღლმა თუ ურემს დაუწყო დევნა, მარხილსაც გაჰყვებაო. 2712

ძაღლმა თქვა: კუდი მელიას აბია, თავი — მეო. 2713

ძაღლმა რომ კუდით რამე მოგიტანოს, ისიც ხეირიაო. 2714

შდრ.: № 2691

ძაღლმა სიჩქარით ბრმა ლეკვები დაყარაო. 2715

ძაღლმა ცხრა ჯალაბი ინატრა, ციცამ — ერთი ბებერიო. 2716

შდრ.: № 4816

ძაღლს განა მარტო ნადირობის დროს აკმევენო! 2717

ძაღლს იარაღი მუდამ თან დააქვსო. 2718

ძალს მოულაქეუე, ჯოხს კი ხელიდან ნუ გააგდებო. 2719
ძალს რომ უგლოთნიდე, ხელში ჯოხი უნდა გეჭიროსო.

ძალს პატრონის დახედულ სცემდენო. 2720
ბაღსა და ძალს კაცდახედულად სცემდიანო.
ძალის ხათრი თუ არა გაქვს, პატრონს მინც დაეხათრეო.

ძალს პატრონის სიყვარული აბერებსო. 2721

ძალს რომ გააძალღებ, გიკბენსო. 2722

ძალს რომ ცხვირში ეკალი არ ეზარებოდეს, ყველა მეძებარიაო.
2723

მეძებრობა ყველა ძალს შეუძლია, მაგრამ ზოგს კუდის ქიციანი
ეზარებაო.

ქოფაკმა ძალმა კაი ძებნა იცის, მაგრამ ცხვირში ეკალი ეჯავ-
რებაო.

შდრ.: № 2420

ძალს უთხრეს: რად იყეფებიო და — მტრებს ვაშინებო, — კუდს
რალად იქნევო და — მეც მეშინიაო. 2724

ძალს ჰკითხეს: — რატომ ჰყეფო? — მგლებს ვაფრთხობო, —
კუდს რად იქნევო? — მგლისა განა მე არ მეშინიაო!

ძალს შეაფურთხე და — შეილოკავსო. 2725

შდრ.: № № 2114, 2115, 2116, 2146

ძალს ძალის ნაკბენი არ ეტკინებაო. 2726

ძალს ძვალი არც ეხვროდა, არც ეთმოდაო. 2727

ძალს ძვალს ვერ ხრავდა, არც თავს ანებებდაო.

ძალს ძვალსა ხრავდა, არც არა ეხვროდა, არც თავს ანებებდაო.

შდრ.: № 4268

ძალს ძვალი ეწუნებოდა, მეორე ძალმა წაართვაო. 2728

ძალსა სცემდენ და რძალს ასმენდენო. 2729

შდრ.: № № 407, 1296, 1569

ძერამ წიწილა წაიღო და მელა სადილისთვის მოემზადაო. 2730

ძერამ წიწილა წაიღო, მელა ნაშოვარ სადილს გაეკიდაო.

ძერას წიწილა მიჰქონდა და ყვავი უკან მისდევდა, — ორივეს
წიწილა მიგვაქვსო.

დათემა საკმელი იშოვნა, ტურებმა სიმღერა წამოიწყესო.
შღრ.: № 4452

ძალს ჰკითხეს: ვის უკბენო და — ჩემ პატრონსაო. 2731
შღრ.: № № 2256, 2679

ძეძეში ფულის ჩამყრელს აკრეფა გაუჭირდებო. 2732

ძვალი პავლიას და რბილი კიკოლასაო. 2733

ძველი ბზე ვერცხლიაო, ძველი თაგა ცეცხლიაო. 2734

ძველი თაგა ძველდებოდეს, ძველი ბზე კი თაფლდებოდესო.

ძველი ფიცარი ლურსმანს ვერ დაიმაგრებსო. 2735

ძველი ქვევრი კარგ ღვინოს ინახავსო. 2736

ძველი ჩოხა და ნაბადი ზამთარში მოგეწონებო. 2737

ძველი ძველს დააკერე და ახალს დაამსგავსეო. 2738

ძველი ხევასა და ბერი კვნესას არ მოიშლისო. 2739

ძილი მქონდა უყვედური, თავი მქონდა უბედურიო. 2740

ძმა იმიტომაა საყვარელი, რომ ძმაც არის და ძმობილიცაო. 2741

ძმას ძმობილი რით ემჯობინება, ძმა ძმაც არის და ძმობილიცაო.

ძმა ძმის მტერიო, ღმერთი — ორივესიო. 2742

ძმა ძმისთვისაო, შავ ღლისთვისაო. 2743

ძმამ ძმას ანგარიში უყო, ისევ ძმები იყვნენო. 2744

ძმამ ძმას თოფი დაუმიზნა: ძმაო, კი უნდა გესროლო, მაგრამ ნამუ-
სი ნამუსად დარჩესო. 2745

ძმამ ძმის ხორცი ლოღნა და ყიამ არ გადაიტანაო. 2746

ძმამ ძმის ხორცი ლოღნა და ვერ ჩაყლაპაო.

ძმამ ძმის ხორცი ლოღნა და გვამმა არ ჩაუშვაო.

ძმამ ძმას შეკმა მოუნდომა და ყელმა არ იგუაო.

ძმებს სიმინდი რომ შემოელევათ, მაშინ გაიყრებიანო. 2747

სიმინდი რომ შემოელევათ, ძმები მაშინ გაიყოფიანო.

ძნა იწვოდა, ულო იცინოდაო. 2748

ძნა იწვოდა, ულო იცინოდა. — მოიცა ულოვ, შენთანაც მოვა
ცეცხლიო!

გიდელი იწვოდა, ღაღვი იცინოდაო.

•ძროხა შავია, მაგრამ თეთრ რძეს იწველისო. 2749

ძროხა ხბოს იგებდა, მოზვერს გული უსკდებოდაო. 2750

•ძროხამ თქვა: დასაბმელი მიშოვე, დასაწოლს მე ვიშოვიო. 2751
ხარს დასადგომი უშოვე, დასაწოლს თითონ იშოვისო.

•ძროხას საწველელი მიუტანეს — ხარი ვარო, უღელი მიუტანეს —
ძროხა ვარო. 2752

ძროხას სცემდნენ, ხბოს ავიწყებდნენო. 2753

ძროხის კუდზე დანა გატყდაო. 2754

დანა კუდზე გატეხესო.

დანა კუდის ძირზე დაატეხეს ხარსაო.

•ძროხის ფეხი ხბოს არ მოკლავსო. 2755

•ქუნწი კაცის ჯამში ლუკმა არ დასველდებო. 2756

წუწი კაცის ჯამში ლუკმა მუდამ მშრალიაო.

•ქუნწი კვდებოდა და თქვა: ღმერთო, მომარჩინე და ღღეში თუმანს
შევეკამო. 2757

•ქუნწმა კაცმა თაფლი გასცა, უკან გაჰყვა ლოკვითაო. 2758

ქუნწმა თაფლი გასცა, უკანვე მისტიროდაო.

ქუნწის ოქრო მემკვიდრესაო. 2759

•ქუძუ გინდა ღეღამ მაწოვოს, გინდა ღედინაცვალმაო. 2760

6

წაბაბულობით ვაცი დამაკდაო. 2761

ნეზვის ჯინზე ვაცი დამაკდაო.

თხაივ თხის ბაზით გაიბოტნავ.

წავალ-წავალა სტუმარი სახლის ამომგდებიაო. 2762

წამსვლელ-დამრჩომა სტუმარმა ოჯახი დააქციაო.

- წავალ-წავალა სტუმარი ისევ შინა რჩებოდაო. 2763
- წავიდა ბაზაზი, მოვიდა ყაზაზი. 2764
- წავიდა დღე და არა ფათერაკიო. 2765
განვლო დღემ და ფათერაკმა არაო.
- წავიდა ძვირისა და არა იაფისაო. 2766
შდრ.: № 1765
- წაკიდებული ქორების საკმელი ქივკავებს დარჩათო. 2767
- წამალს გველიც არწყევსო. 2768
- წამწამი ისე არ გაიზრდება, რომ წარბს ასცილდესო. 2769
- წამწყმიდა წახედულობამო. 2770
- წარა-მარა მავალსაო მუცელი ატანს ძალასაო. 2771
- წარდგა მშიერი და არა ტიტველიო. 2772
წავდეგ მშიერი, ვერა ტიტველიო.
შდრ.: № 1581
- წასვლა იანი, მოსვლა გვიანიო. 2773
- წახდა მამულის პატრონი და არა შვილისაო. 2774
- წელიწადში ერთხელ ნეხვიც აყვავდებაო. 2775
- წვეთ-წვეთი წყალი ქვასაც გახვრეტსო. 2776
შდრ.: № 5361
- წვიმა მოვა და ქვეყანას ვერ გადასწვდებაო. 2777
წვიმა რომ მოდის, ყველა ალაგას როდი ასველებსო.
- წვიმიან დღეს ქათამი ბევრ წყალს დალევსო. 2778
- წვინტილიან კაცს ავდარი მიზეზად მოჰქონდაო. 2779
ცინგლიანი კაცის მიზეზი ავი დარიაო.
კრინტილიან კაცს ავდარი მიზეზად დაეჭირაო.
შდრ.: № 1733
- წვრილშვილობას მგელიც დაუჩხავლებიაო. 2780
- წიღნას რა დიდი რამ უნდა: გათხარე და ამოყარეო, მინიჩბე და მია-
ყარეო. 2781
შდრ.: № № 1872, 2065

- წითელი კვერცი აღდგომისთვისაო. 2782
- წითელი ცხენი წითელ ტყავში მოკვდებაო. 2783
წითელი ხარი მოკვდაო და ისევ წითელი დარჩაო.
- წითელი ძალღი ტურის ბიძაშვილიაო. 2784
- წითელო ხარო, ვერ შეძლებ შავი კამეჩის ბრძოლასაო. 2785
- წილი სიკვდილს არგუნებს კაცსაო. 2786
- წინ წასული ურემი უკან მიღრიჭინებდაო. 2787
წინ მავალი უკან დარჩებაო.
- წინა კაცი უკანა კაცის ხილიაო. 2788
წინანი უკანათათვის ხიდადაო.
- წინასა წინწიბურასა გველი აუღდა ყირასაო. 2789
შღრ.: № 584
- წინდა სიპატარავემ გაცვითა, პაიჭი — სიდიდემაო. 2790
- წირვის უწინ ნაწირავი არ მიიცემაო. 2791
- წისქვილი ორ ჩანახს ფქვავდა და სამ ჩანახს ჭამდაო. 2792
- წისქვილი ჭერით ფქვავსო. 2793
- წისქვილის ქვები რომ ერთმანეთს არ ეხმარებოდნენ, ცალი ვერა-
ფერს დაფქვავსო. 2794
- წისქვილს — წყალიო, გუთანს — ხარო. 2795
გუთანს მომეტებული ხარი არ მოსჭარბდება და წისქვილს —
მომეტებული წყალიო.
გუთანს ხარი, წისქვილს წყალი არ მოსჭარბდებაო.
- წიწაკას თავს ვინ ჩივის, როცა თესლიც მწარე აქვსო. 2796
- წკვეწკავა ძალღი მგელს მოყვრობას ვერ გაუწევსო. 2797
- წკაპი ნამგალო! და — ხარჯის-და გვარო. 2798
- წკირის წვერზე დაბადებულს წკირის წვერზე სიკვდილი ურჩევ-
ნიაო. 2799
შღრ.: № № 2540, 2542

- წლისა წელს მიაქვს, დღისა — დღესაო. 2800
- წმინდა ბერი წმინდად წაწყმდაო. 2801
- წმინდა გიორგის ცხერისთვინა მგელს თვალები უდგებოდაო. 2802
- წმინდა წყალს კარში არ დაღვრიანო. 2803
- წნელი სანამ ნედლია, მანამ უნდა მოიგრიხოსო. 2804
 სანამ წკეპლი ნორჩია, მაშინ უნდა მოქნა წნელადაო.
 წნელი სანამ პატარაა — მოგრიხე, გაიზრდება, აღარ მოიგრი-
 ხებაო.
- წუთისოფელი ზოგისა მამაა, ზოგისა — მამინაცვალიო. 2805
- წუნია პატარძალი უქმრობითა კვდებოდაო. 2806
- წუნისა აკლდებოდესო. 2807
 მეწუნისა მოკლება უნდაო.
- წუწურაქა კაცის ღვინო კაქკაქს დააჩხავლებსო. 2808
- წყალი აღმა ვერ იღენსო. 2809
- წყალი ნაყე, ნაყე, ისევ წყალი იქნებაო. 2810
 წყალი რამდენიც გინდა ნაყო, მაინც წყალიაო.
- წყალი რომ დაგუბდება, აყროლდებაო. 2811
 ერთ ადგილზე დგომით წყალიც აყროლდებაო.
 წყალი რომ დიდხანს ერთს ადგილს დადგება, სუნი გაუდინ-
 დებაო.
- წყალი თუ არ მოგყვეს, შენ მიჰყევით. 2812
 შდრ.: №№ 5236, 5262
- წყალი სათავიდან მოდისო. 2813
- წყალი წყაროსთან ჯობია სათონესთან გადატანილსაო. 2814
- წყალი წყლისაყენ მიდისო. 2815
- წყალმაც დაბალზე გადიარაო. 2816
 შდრ.: № 2413
- წყალმა აქვია: მე მხოლოდ მცურავს დავახრჩობო. 2817
 წყალმა თქვა: ვინც ცურვა არ იცის, საიდან ჩავიგდო, თორემ
 ვინც იცის, ის ხომ ჩემია და ჩემიაო.

წყალსაც ზოგი უნდაო. 2818

მისვლა-მოსვლა უნდაო და წყალსაც ზოგი უნდაო.
წყალს წყალობა უნდა, იმით რომ მოტანა უნდაო.
შღრ.: № 2822

წყალს რომ ქაფი მოხადო, ისიც ვალი იქნებაო. 2819

წყალსავ პერ მახხადეო, ვალ იქნებავ.

წყალს საყდარშიც გაიყვანენო. 2820

წყალს ეთქვამს: ხამს ვეძებო. 2821

წყალს წყლობა ეთქმოდა, იმასაც მოტანა უნდოდაო. 2822

შღრ.: № 2818

წყალში თევზი ვის დაუთვლიაო. 2823

წყალში ზოსიარულეს ცალი ფეხი სამარეში უდგასო. 2824

წყალში რომ ჩავარდები, მშრალად ვერ ამოხვალო. 2825

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. 2826

კაცი იხრჩობოდა და ხავსს ეკიდებოდაო.

წყევლა მაწყევარსაო. 2827

წყევა — მაწყევართავ, ლოცვა — ზიარიავ.

წყევლა უზიანო არ არის და ლოცვა უსარგებლოო. 2828

წყევლა უწყევარი არ არის და ლოცვა — ულოცველიო.

წყევლამ თქვა: სწორი გზა მიჩვენე; თორემ უკანვე დაგიბრუნდებიო. 2829

წყევლამ თქვა: გზა მასწავლე, ჭაგი აიღე — გადავიდეო.

წყლის მოტანილ ხერგს წყალივე წაიღებსო. 2830

წყურვილს ნამით ვერ მოიკლავო. 2831

ჭ

კადარი მაღალი იზრდება, ნაყოფს კი არ იძლევაო. 2832

ალვის ხე მაღალიაო, შიგ არაფერი ყრიაო.

კამა ერთი დღისა და საყვედური ასი წლისაო. 2833

ჰამა მწადიან, გარჯა — არაო. 2834

შდრ.: № 1669

ჰამა ქონებაზე ჰკილიაო. 2835

ჰამა დებასა ჰკილიაო.

სმა-ჰამა ქონებამ იცისო.

ჰამა ძლომამდეო. 2836

ჰამა ძლომამდეო და სმა თრობამდეო.

ჰამის საზღვარი გაძლომაო.

ჰამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო. 2837

ჰამამ ვერ გამაძლო, ლოკვა რას გამაძლებსო.

ლოკვით ვინ გამძღარა, თუ არა ჰამითაო.

ლოკვით ვინ გამაძღარაო.

ჰამოს შვილმა და ზლოს სულმაო. 2838

ჰიანი კბილი კაკალს ვერ გატეხსო. 2839

ჰიანჰველას ექვსი დღის სიცოცხლე ჰქონდა და ექვსი თვის სარჩოს
მიათრევდაო. 2840

კაცს ორი დღის სიცოცხლე ჰქონდა და რკინის ქალამანს იყე-
რაევდაო.

ჰიანჰველას რომ ფრთები გამოუვა, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო.
2841

ჰიანჰველას რომ ფრთები გამოუვა, აფრინდება და კალია შე-
ჰამსო.

დალევის წელსავ ჰინჰველასავ მხარს გამეებმიანავ.

შდრ.: № 5943

ჰიას რომ ფეხს დაადგამენ, ისიც ხმას ამოიღებსო. 2842

ჰიას ფეხი არ დაედგმისო.

ჰიას უთქვამს: ისე პურს ვერ მომკი, რომ ჩემი სამყოფი არ დარ-
ჩესო. 2843

ჰიაცელა გველს წაეზმანა, გაიწია და გაწყდაო. 2844

ჰიაცელამ იწია, იწია და ზედ შუაზე გაწყდაო.

გველის ზმანებაში ხელიკი გაწყვეტილაო.

ხარის ზმანებაში ბაყაყი გახეთქილაო.

კინკალას რომ ღმერთი გაუწყრება, ხის წვერში შემოჯდებაო. 2845

კინკალას შევარდენი გამოუვიდაო. 2846

კინკრაქას შვილი შევარდენი გამოუვიდაო.

კინკრაქა ბუმბულში ჩასვეს და — ფუჩეჩშიო! 2847

შდრ.: № № 240, 478, 946, 2375, 4815, 2185

კინკრაქა გულალმა დაწვა: ცა რომ ჩამოინგრეს, ფეხებით დავიქე-
რო. 2848

მელა გულალმა დაწვა, ცას ფეხს მივკხირებო.

კინკრაქა რა არის, მისი ქონი რა უნდა იყოსო. 2849

ჯერ მინახეთ კინკველაო, მერე მისი თირკმელო.

ქიანკველა თითონ რა არის და იმისი თირკმელი რა იქნებაო.

ჯერ ჩიტი ნახე, მერე მისი მხარ-ბარკალიო.

კინკრაქა წამოდგა და თავის კირი წამოაგდოო. 2850

ერთა რაიმ წამოდგაო, თავის კირი წამოთქვაო.

კინკრაქას ახედ-დახედე და ბარკალი ისე აართვიო. 2851

კინკრაქამ თქვა: ტანი გამისინჯეთ და ჩემი მოსახარში კარდალი
ისე დაჰკიდეთო.

ჩიტსავ ანე-განე უშინჯეო, სისხლივ მემრ უყარეო.

კირთა თქმა ლხინიაო. 2852

კირი მართალთაო. 2853

კირი ლხინის მოზიარეაო. 2854

კირი და ლხინი ძმები არიანო.

კირი მომგონებელსაო. 2855

კირი მომეც, კირს გაჩვენებო. 2856

კირი შედის ურმობითა და გამოდის მისხლობითაო. 2857

ადამიანის სხეულში ავადმყოფობა კოდობით შედის და მისხ-
ლობით გამოდისო.

სნეულება ქენებით მოიჭრება და ჩანჩალით წავაო.

ავადმყოფობა სახლში კუჭრუტანიდან შევა და კარიდან ველარ
ეტევაო.

კირი კირს გაართობსო. 2858

ჭირი ჭირზე შემეყარაო. 2859

ჭიოი ჭირს გადაეკიდაო.

ჭირის უნახავმა ლხინისა რა იცისო. 2860

ჭირისა გამონაცადს ჰკითხეო. 2861

ვისაც ჭირი უნახავს, წამალიც იმას ჰკითხეო.

ვისაც ჭირი სჭირდა, იმისი წამალი იმასა ჰკითხეო.

ჭირისუფალი თუ არ ტირის, მოსამძიმრეს რა ატირებსო. 2862

შდრ.: № 1495

ჭირიც აღარ მობრუნდება მეორედაო. 2863

ჭირო, მეზობლისასაო! 2864

ჰკვიან ვირზე ორი შეჯდაო. 2865

ჰკვიანი ბუზი დოს დააჯდება — ქალაქს გაჰყვება, უჭკუო ბუზი —

ჯიგარსა, სოფლად გაჰყვება. 2866

ბუზი ბალდადს წავიდა და ფილტვს დააჯდაო.

ჰკვიანი თავი სულელს ერგოო. 2867

ჰკვიანი თუ არ შეცდა, გიყი კლდეზე როგორ გადავარდებო. 2868

თუ ჰკვიანი არ შეცდეს, რეგვენი კლდეზე გადავარდესო.

ჰკვიანი კაცი ტყეში მრუდე შემას არ მოჭრის, აქ მე გამაწვალებს,

შინ — ჩემ ცოლშვილსაო. 2869

იმერელს უთქვამს: ბრუნდი შეშა მე აქ მაწვალებს და შინ ჯა-

ლაბს მიწვალებსო.

ურია მრუდე შემას არ იყიდის, — ცოლ-შვილს გამიმწარებსო.

ჰკვიანის საგზალი ზურგითაო, უჭკუოსი — მუცლითაო. 2870

ჰკვიანს ჰკუით გადაახტუნებენო. 2871

ჰკვიანურ სიტყვას რეგვენის ყურში სძინავსო. 2872

ჰკუამ მოჰამა სოფელი, ამოღებულმა ხმალმა — ვერაო. 2873

ჰკუამ მოჰამა სოფელი, ვერც ხმალმა ამოღებულმაო.

ჰკუამ მოჰამა ქვეყანა, ვერცა-რა გაჭირებამაო.

ჭორი თქვი და მეჭორე ხელში დაიჭირეო. 2874

ქრელი ღორი გინდ ზღვას გაღმა გაიყვანე, გინდ გამოღმა, მაინც
ქრელი ღორიაო. 2875
ღორი ზღვის გაღმაც ღორიაო.
შღრ.: № 2441

ბ

- ხადელს ფეხი რომ მოჰრეს, ფარს მერე იფარებდაო. 2876
ხადელივ ფეხ მაჰრიდგე ფარობდავ.
- ხათრი. ხათრიო და ჩემ ქმარს აღარა ერგო-რაო. 2877
- ხან სულ არაო და ხან სულ ვარხალალო. 2878
- ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯერებო. 2879
ღროული კაცისა სიზმარიც დაიჯერებო.
- ხანდახან ხატიც გაისვრის წიხლსაო. 2880
- ხანი გაივლის, ქირი გადივლისო. 2881
- ხარბი კაცი რომ სარგებელში წავა, კენესას მოუმატებსო. 2882
- ხარბი სანამ არ გაიფტქენა, არ გაიქცაო. 2883
- ხარბის თვალი რამ გააძლოო და — მიწამო. 2884
ხარბის თვალს მიწა გააძღებსო.
ხარბის თვალს შავი მიწის მეტი ვერა გააძღობს-რაო.
შღრ.: № № 3620, 4775
- ხარდაუკლავი ხარს ვერ დაკლავსო. 2885
- ხარი არ იყო, ფური ხარობას ეწეოდაო. 2886
- ხარი დანასთან მიათრიესო. 2887
ხარი დასაკლავად დანასთან მიჰყავდათო.
- ხარი სანამ გახარდა, პატრონი გათავდაო. 2888
- ხარი სხვისაო, სახრე ტყისაო. 2889
ხარი სხვისა, სახრე ტყისა, დაჰკარ, რაში გეზოგვისა.
ჯოხი ტყისა, ხარი სხვისა, დაჰკარ, რას გენანებისა!

სახრე ტყისა, ხარი სხვისა, დაჰკარ და გააწევინეო.
შდრ.: № 2064

ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. 2890
ხარი ხართან დააბი, ან ალლოს აიღებს, ან ალოსაო.

ხარმა ხარს ურქინა და საძოვარზე მიაგდოო. 2891
ხარმა ხარი წაჩხვერა — თივაზე მიაგდოო.
ხარმა ხარს ურქინა და უკეთეს ბაგაზე მიაგდოო.

ხარს რქები არ ამძიმებსო. 2892

ხარს რქით დააბამენო, დედაკაცს — ენითაო. 2893
აღამიანს ენით აბამდნენ, საქონელს — რკლითაო.

ხარს უღელი მიუშვეს და ეგონა მომძვრაო. 2894
ხარს აპეური მოუფონეს და ეგონა უღელი მომეხსნაო.

— ხატო, შემეწყალე, შორეული ვარო და — რით შეგიწყალო, ცა-
რიელი ხარო! 2895

ხატს შეეპუე და თავი ცხოველი ეგონებაო. 2896
ხატს სანთელს ბევრს ნუ დაუნთებ, თავი ცხოველი ეგონებაო.

ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა ზედ შეადგებაო.
2897

ხედავდნენ და — სად არის სიკვდილიო? 2898
შდრ.: № 529

ხევსურო, არც შენი გაკეთებული მინდა, არც შენი გაკვესებულიო.
2899

— ხევსურო, ვინა გყავს მოწმე და — ორნივ ჩემნი ვაჟანიო. 2900

ხევსურს უთქვამს: ავაბიჯე — მთა არის, ჩავაბიჯე — ბარიო. 2901
ააბიჯე — მთა არის, ჩააბიჯე — ბარიო.

ხელთნაქნარი გულმაც ნახოსო. 2902

ხელი ხელსა, გოჭი — მგელსაო. 2903
ხელი ხელსა, მადლი ღმერთსაო.

ხელი ხელსა ჰბანს, ორივე — პირსაო. 2904

ხელმა ხელი დაბანა, ორივემ — პირო.

ხელი ხელს მოეხმარაო, პირ კარგად დაიბანაო.

ხელიდან გაშვებულს ფეხით ვერ მიეწევიო. 2905
მიეცი ხელითა, სდიე ფეხითაო.

ხელოსანი ხელოსნის მტერიაო. 2906

ხემ თქვა: ცული ვერას დამაკლებდა, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ეჩა-
როსო. 2907

ხეს უთქვამს: ჩემი ჯიშისა მკრის, სხვა ვერავეინაო.

ხეს უთქვამს: ცული მე ვერ მომკრის, თუ ჩემი შიგ არ ერევაო.
ჩემი გვარისას რომ არა მოეჭრა კისერი, სხვა ვერას დამაკლებ-
დაო.

ცული ხეს შესჩიოდა, — ნახევარი შენი ბრალიაო.

ხერხი სჯობია. ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა. 2908

ხეს ძირში ჭრიდნენ და — ფოთოლი არ ჩამოვარდესო. 2909
შდრ.: № № 1213, 1219, 1231

ხეს ერთი ვაშლი ება, ისიც ჭიანისო. 2910

ხეს სადაც გათლიან, ნაფოტიც იქ დაცვივაო. 2911

ხვალი მკივანი ჯობიაო. 2912

ხვალ-მეხვალე მუშასა ნაცარი უყრავ გუდასა. 2913
შდრ.: № 628

ხვამლი ვისაც სწყალობს, ღომიც იმას მოუვარ. 2914
ვისაც ხვამლი სწყალობს, მისი ბელელი არ დაიცლებაო.

ხიდი გაღე და გაიარეო. 2915

ხიდი წყლის ზომა უნდა იყოსო. 2916

ხილი იხილე და ჩრდილი იჩრდილეო. 2917

ხილი მეხილესაო. 2918
ბალი მებაღესაო.

ხმა ღვთისა, ხმა ერისაო. 2919

ხმალი ღონიერისა, ხერხი — გონიერისაო. 2920

- ზნავენ დარნი და არა ხარნიო. 2921
 შდრ.: № 540
- ხორცს რომ ჭამდე და გვერდს ძალი გედგას, ძვალი მაინც გადა-
 უგდეო. 2922
- ხოსიკა თან თოხნიდა და თან ტკეპნიდაო. 2923
- ხოხობი თავსა მალავს და კუდს — არაო. 2924
 ხოხობმა თავი დამალა და ბოლო ზევით აიშვირაო.
 შდრ.: № 4728
- ხოჯას სახლში კაკალი ბევრია, მაგრამ დათვლილიაო. 2925
 — ხრინვი, ხუცესოო და — ერისკაცმაც იცისო. 2926
- ხსენთან ნაჭამი — სულთან ამოსულიო. 2927
 ხსენთან შეყოლებული ხარათი სიკვდილამდინ გაჰყვებო.
 ხსენს ჩაყოლილი სულს უნდა ამოჰყვესო.
- ხუთ თითში ერთმანეთის ტოლი ორიც არ არისო. 2928
 ხუთი თითი აქვს კაცს, ხუთივე უთანასწოროო.
- ხუთი წლის ტახს რაღა წინ თხრა უნდაო. 2929
- ხუმრობაში კატას თავგი გაექცაო. 2930
 მახრობაში ციკას თავგი წასვლიაო.
- ხურო და სიკვდილი ერთად მომადგაო. 2931
 აქეთ ხურო მიდგას, იქით სიკვდილიო.
- ხურო კაცის ხე ტყისპირშიაო. 2932
- ხუცესი უწინ წაწყმდებო. 2933

ჯ

- ჯამში თუ არას ჩაჰყრი, ვერც არას ამოიღებო. 2934
- ჯამში ღალატს ომში ღალატი სჯობიაო. 2935
- ჯანდაგი ვირი — ხბორებში გმირიო. 2936
- ჯარი წავიდა და თოფები მერე დაცალესო. 2937
 ჯარი წავიდა და თოფებს უტკაცუნებდნენო.

ჯარ-მოყვარეს ჯარ-მტერი სჯობიაო. 2938

ჯერ არ დაიჭერს ძერა, თუ დაიჭერს, ველარ გააშვებინებო. 2939

ჯერ ქვე არ დაიჭირავ ძერიკამავ, დაიჭირაო, ქვე აღარ გაუშვავ-

ჯერ გაუშვებს მელასაო, მერე იწყებს სტვენასაო. 2940

ჯერ დაბადება არ მინდოდა, მერე — სიკვდილიო. 2941

ჯერ დაბადება არ მეწადა, დავიბადე და სიკვდილი აღარა მწა-
დიანო.

ჯერ არ მინდოდა შობა, მერე — სიკვდილიო.

ჯერ დედავ, მერე დედინაცვალოო. 2942

ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შეილოო. 2943

ჯერ სამოთხეს ვეძებ, თორემ ჯოჯოხეთი ხომ მზად არისო. 2944

ჯერ ფონს იკითხავენ და მერე წყალში შევლენო. 2945

ნუ შეტოპავ, ვიდრემდის საფონო ადგილს არ ნახავო.

ჯერ შობა არ მოსულა და ეხლავ სიკვდილიო? 2946

ჯერ ძილო, მერე სიზმაროო. 2947

დაძინებამდე სიზმარი ვის უნახავსო.

ჯიბეში რომ ჩურჩხელა მაქვს, ეგრე ტკბილად დამიბერდიო. 2948

ჯიში ღორმაც იცისო. 2949

შდრ.: № 1247

ჯიშსა და ჯილავს კაცი ჯინჯილით უჭირავსო. 2950

ჯიში კაცს ლაგამივით მოსწევსო.

კაცი გვარს მხარშეკრული უჭირავსო.

ჯორს ტლინკებით იცნობენო. 2951

ჯონდარტყმული ძალი უკანიდან მოგეწევაო. 2952

ჯოხს ორი წვერი აქვსო. 2953

ჯოხს რომ აიღებენ, ქურდი კატა დაიმალებაო. 2954

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აქლდა, ისიც მიუმატესო. 2955

ჯოჯოხეთში ღმერთს არ აღიღებენო. 2956

ჯოჯოხეთში ყვირილია და გაგონება არაო. 2957

3

ჰაი გიდი, ცხრა ნაბაღზე რომ ვხტებოდიო! 2958

შდრ.: № 4827

ლიტერატურული ანდაზები*

არ ასცილდების დაცემა უფრთხილოდ გზაზედ მარებსა (გურამი).
2959

არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან (ვ. ტ.). 2960

ვარდი უეკლოდ არ იქნებაო.

ყველა ვარდს თავისი ეკალი აქვსო.

ვარდის შტო კოხტა არის, მაგრამ ეკლებით არის დაფარულიო.

არ იხმარებ, რა ხელსა ჰხნდი საუნჯესა დაფარულსა (ვ. ტ.). 2961

არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა (ვ. ტ.). 2962

არ ძალუძს ხესა ხენეშსა ნაყოფთა მოსხმა ტკბილისა (ქ. დ.). 2963

არვინ სჯის ნაცვლად შაქრისა წვიმა გუბეთა მდგომელი (ქ. დ.). 2964

„არავინ დაადგის სადგმელი ახალი უმურკვენელი სამოსელსა ძუელსა“ (სახარ.). 2965

ახალ ტყავს ძველ საკერებელს არ დააკერებენო.

ბებერი სასძლოდ შემკულა, გაფრთხილდი, მოერიდეა (ქ. დ.). 2966

ბევრთა და ცოტას მწველელნი ერთად გავლიან ბერასა (გურამი).
2967

შდრ.: № 1552

ბელტისა მსროლელისათვის ქვა თქმულა შესატყორცებლად (ქ. დ.).
2968

* იბეჭდება იმ სახით, როგორც ადრე გამოცემულ კრებულებშია შეტანილი.

- ბიცზე ყვავილი ვინ კრიფა, ან ყანა თაგვის სოროსა (ქ. დ.). 2969
- .ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა,
გვრიტი ვიყავ, მწყერობა რად მინდოდა (საიათ.). 2970
- ბროლ-ბადახშისა მძებნელმან სათნი დავკარგენ, მინანი (ვ. ტ.). 2971
- ბუზნი მუნ შემოკრბებიან, სადაცა თაფლნი სდიანო (ქ. დ.). 2972
- ბუისგან ნუ გამოელი ბოლოკარკაზის ბუდებსა (ქ. დ.). 2973
- .გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა (ვ. ტ.). 2974
- გემოვანს საკმელს თან ახლავს კბილისა მოსაპრელიო (ქ. დ.). 2975
- .გველი აგრეთვე გველია... რაგინდ რომ ქერქი შეიძროს (ქ. დ.). 2976
შდრ.: № 411
- .გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი (ვ. ტ.). 2977
ტკბილი ენა გველს ხვრელიდამ გამოიყვანსო.
სიმშვიდითა გველსა ხვრელით გამოიყვანენო.
- გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდნენო (გურამ.).
2978
- გულმტკივარსა ტკივილი არ იცის გულდადებულმა (ქ. დ.). 2979
- .დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი (აკაკი). 2980
შდრ.: № 2152
- .დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დაწვავს ნაბერწკალი (ვ. ტ.). 2981
დიდთა ხეთა მოერევის მცირედიც ნაპერწკალიო.
- .დიდი ქვეყანა მოუწვავს ენასა მაბეზღრიასა (ქ. დ.). 2982
- .დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა მცირე ღრუბელიც შეუცვლის ზნე-
სა (ქ. დ.). 2983
- ენისა დანაკოდარი ხმლისაგან უარესია (ქ. დ.). 2984
ენით დაჭრილი ცულით დაჭრილზე უარესიაო.
- .ერთი „მაქეს“ სჯობს ათას „მქონდას“ (ბესიკი). 2985
- .ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (ვ. ტ.). 2986
- ერთი წავა და სხვა მოვა სოფლის სასძლოსა წვეულად (ქ. დ.). 2987

ერთხელ რომ გემოდ გენახოს, მეორედ რად შუამ მწარებსა (გურამ).
2988

ეძიებდე და ჰპოვებდეო (სახარ.). 2989
რასაც ეძიებდე, იმას ჰპოვებდეო.
ეძიეთ და ჰპოვებთო.

ვაზის მრგველთან ის არ აქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო (გურამ). 2990

ვარდთან ვარდობა იჩემე, ეკალთან — ეკლის რქებია (ქ. დ.). 2991:

ვარდის მოკრეფას ნუ ელი, ძეძვისა რწყო გარემონი (ქ. დ.). 2992

ვერ შექსვრის მწვირე ნათელსა, სხივთა და მზისა მზობასა (ქ. დ.).
2993

ვინცა გაკურონე, დამკოდა, წყლულზედ დამადო ხონდრონი (ქ. დ.).
2994

ვინც განკურონე, მან დამკოდა.

ვინც სხვასა მთხრებლსა უთხრიდეს, მან თავის ზომა მოთხაროს.
(ქ. დ.). 2995

ვინც სხვას ორმოს უთხრიდეს, თავისი ზომა მოთხაროსო.

ვინც სხვას ორმოს მოუთხრის, პირველად თითონ ჩავარდება.

ნუ უთხრი სხვას ორმოს, თორემ თითონვე ჩავარდები.

სხვას ხაროს უთხრიო და წინდაწინ შენ ჩავარდებიო.

სხვას ორმოს ნუ უთხრი, შენ თითონ არ გადავარდეო.

სხვისი ორმოს მთხრელმა თავისი ზომა ორმო მოთხარაო.

ვისაც თონე ცხელი ჰქონდეს, პურსა იგი გამოაცხობს (ქ. დ.). 2996
შდრ.: № 1913

თავის თვალში ძელს ვერ ამჩნევს, სხვისაში ბეწვსა ხედავსო.

კაცს ღირე ელო თვალშიო, სხვას კი ბეწვს უსინჯავდაო.

აქლემი სხვისა ბეწვსა ხედავს და თავისას სარტყელსაც ვერაო.

თავისაზე ამავალივ ვირ ვერ ნახავ, სხვითაზე ამავალივ—ტილივ.

„ანუ ვითარ ხელ-გეწიფების თქუმად ძმისა შენისა: ძმაო მიტევე და აღმოგილო წუელი თუალისაგან შენისა, და შენ ღირესა თუალისა შენისასა არა ჰხედავ“ (სახარ.). 2997

შდრ.: № 997

- .თვალად ნასსა ალამაზებს, ვის ლამაზი არ ახლდების (გურამ.). 2998
- .თორნისა პირსა მკდომარე გაძღების მისის ნახვითა (ქ. დ.). 2999
- .თუ ზღვასა წყალი არ შესდის, იგიც დაშრების ძირამდის (ქ. დ.).
3000
- თუ ზღვას წყალი არ შესდის, ბოლოს ისიც დაშრების.
შდრ.: № 935
- .თუ ლხინი მაქვს, ყოვლნი კაცნი გამიდებენ ფერხთ ქვეშ ხილსა
(ქ. დ.). 3001
- თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვეებითა (ქ. დ.). 3002
- .თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია (ვ. ტ.). 3003
- .ირემი ლომსა ებრძოდეს, ჟამი შეუმცრდეს დღეთანი (ქ. დ.). 3004
- კაცსა ქარვისა მძებნელსა ხელთ შეხვდა იაგუნდიო (ქ. დ.). 3005
კაცი ლალისა მძებნელი იაგუნდს შეხვდაო.
- .კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს (გურამ.).
3006
- .კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების (ვ. ტ.). 3007
- ლაგვანთ ნადგამი აგრევე მასვე დაიწყებს დენასა (ქ. დ.). 3008
- .ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყვეს თუნდა ხვაღია (ვ. ტ.). 3009
- .მამათა სჭამეს კაწახი, შვილთ დააქრა კბილებიო.
პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო.
„მამათა ჭამეს კაწახი და კბილნი შვილთანი მოლხვეს“ (ბიბლ.). 3010
შდრ.: № 30
- .მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად (ვ. ტ.). 3011
- .მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს
(ვ. ტ.). 3012
- კაცს რო ჰკირი სჭირდეს, თუ არავის უთხრა, სხვა როგორ გაი-
გებსო.
- .მაშინ იხარებს მწიღნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა (გურამ.).
3013
- .მდაბალი ამალდდეს, მაღალი დადაბლდეს.
„რომელმან აღიმადლოს თავი თავისი, იგი დამდაბლდეს, რომელმან

- დაიმდაბლოს თავი თავისი, იგი ამალდეს“ (სახარ.). 3014
- მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია (ვ. ტ.).
3015
- მზე დიდია, მცირე ნისლი დაფარავს და დაგვიბნელებს (ქ. დ.). 3016
- მოყვრის გაშვება ადვილ სჩანს დიაცსა გაწბილებულსა (ქ. დ.). 3017
- მუმლო, ფასკუნჯის ადგილი საფრენად რისთვის გწადიან (ქ. დ.).
3018
- ბუზი ფასკუნჯის ადგილს ვერ დაიჭერსო.
- მუშა უფასო მინახავს და უპატიო კი არაო (სახარ.). 3019
- ნეტავ აგურის ნატეხი ლალსამც რად შეუდარენით (ქ. დ.). 3020
შდრ.: № 7
- ნებესა და ვარდსა ვინათგან მზე სწორად მოეფინების (ვ. ტ.). 3021
ნებესა და ვარდს მზე ერთად დასცქერისო.
- ოდეს მაშვრალს მოწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა (გურამ.). 3022
- ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად (ვ. ტ.). 3023
- ოქრო და ვერცხლსა წმიდასა ვერსად უპოვებ წიდასა (ქ. დ.). 3024
- პურს რომ გთხოვენ, ქვას ნუ მისცემო.
„ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძეი თვისი პურსა, ქვა
ნუ მისცეს მას“ (სახარ.). 3025
- რასაცა ვასცემ შენია, რას არა — დაქარგულია (ვ. ტ.). 3026
- რა გინდა რომ კაცმა მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს (გურამ.).
3027
- კაცმა ჭირი მალაო, ჭირმა თავი არ დამალაო.
რა თვალის გატყუებს, იგი თვალი დაივსოსო.
რომელმა თვალმაც მოგატყუოს, მოითხარე — გადააგდეო.
„თუ თვალი შენი გატყუებდეს, შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენ-
გან“ (სახარ.). 3028
- რამცა ირგოს, თუ სნეულმან მკურნალს ჭირი დაუმალოს (ქ. დ.).
3029

- რალა იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელია (ვ. ტ.). 3030
რალა არის ის სინათლე, რასაც ბნელი ახლავსო.
- რაც არა ჰხამდეს ჩიორას, ნუ უყრი ასაკენკლადა (გურამ.). 3031
რაც არ ჰფერობდეს ჩიორას, ნუ უყრი ასაკენკლადა.
- რაცა თავს თვისსა უყოფდღე, სხვათაც ეგრე უყოფდღე (ქ. დ.). 3032
როგორც ვიგემე, ეგრეც ვიგემე (გურამ.). 3033
- სადაც ლომის ტოტი ველარ თესავს, მელიის კუღმა უნდა მოიმკოს
(აკაკი). 3034
- სადაც ცული ვერ გამოდგება, იქ პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს
ხოლმე (აკაკი). 3035
- სამწყსოს უმწყემსოდ მავალთა შეჭამს ტურა და მელია (გურამ.).
3036
- საყვარლის გესლი მოყვარეს მწთოლვარე თაფლი ჰგონია (ქ. დ.).
3037
- საცა რომ ვირი დაეფლვის, იმ გზაზედ აღარ წარებსა (გურამ.) 3038
- სიკვილიამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა (ვ. ტ.). 3039
- სნეულმა რა უნდა ირგოს, მკურნალს ჰირი დაუმალოს (ქ. დ.). 3040
- სოფლის ნადიმთა მჯდომელი სოფელსავითვე ტრელია (ქ. დ.). 3041
- სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების (გურამ.).
3042
სიბრძნის ძირი მწარე არის, მემრე წვერში გატკბილდება.
- სწყუროდეს. წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი (ვ. ტ.).
3043
- უგვანად დიდთა მძებნელთა პატარაც დაეკარგება (გურამ.). 3044
ერთობ დიდისა მომდებსა, პატარაც დაეკარგება.
შდრ.: № 285
- უზომოთ ბევრის მჭამელსა სიმაძღრით გულს დაძმარებსა (გურამ.).
3045
- უკულო ვირი კულისა საძებრად იარებოდა (ქ. დ.). 3046
უკულო ვირი კულის საძებრად მეზობლებში დარბოდაო.

უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების
(გურამ.). 3047

ფუყე თავთავი თავს მალლა იწევს, სავსე თავთავი თავდახრილია
(გრიშ.). 3048

ქარქვეტს ქარი სწრაფად შესპრავს... ტინი მყარად მდგომელია
(ქ. დ.). 3049

ღვარი... რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია (ვ. ტ.). 3050

ღვარძლის მთესველი ვერ მომკის იფქლსა ბასრისა ცელითა (ქ. დ.).
3051

ღვარძლის მთესველი იფქლს ვერ მოიმკისო.

ღმერთი გფარავს. — სწორად გაჰკვეთს შეშა ვის სცე, თუნდა ხმალი
(ვ. ტ.). 3052

ღმერთმან ერთი რით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს (ვ. ტ.).
3053

ყვაი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია (ვ. ტ.). 3054

ყვაი თუ ვარდსა იშოვის, თავი ბუღბული ჰგონია (ვ. ტ.). 3055

ყვაისა კვერცხი ყვაესა შობს (ქ. დ.). 3056

ყვაის კვერცხისაგან ყვაი დაიჩეკებაო.

ყოველი წული მშობელთა მზგავსი მზგავსს ემზგავსებიან (გურამ.).
3057

ყოველი შვილი მშობელს ჰგავს, მზგავსი მზგავსს ემზგავსებიან.

ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გაღუხდელი (ვ. ტ.). 3058

შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა ცუდნილა დაღრეჯანია (ვ. ტ.). 3059

შიში სიკვდილისაგან არ იხსნისო.

შიში გადამდებისაგან ვერ იხსნისო.

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, სწორება სასთუმალისა.

ცუდი არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა ბერვა (ვ. ტ.). 3060

ცუდსა მეთევზეს შერჩება უბრალოდ წყალთა მღვრევანი (გურამ.).
3061

ცხენი მარტო მორბენალი მუხლმოკლედ იც გამაღდების (გურამ.).

3062

შდრ.: № 1330

წყალი ძელთა არ დასძირავს, რადგან მისი გაზრდილია.

„ძელი რა წყალთა ჩააგდო, იცოდე არ დაძირავსა“ (ქ. დ.). 3063

წყულულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს ანუ გაამსივნებს (ვ. ტ.).

3064

ხე ნაყოფით იცნობაო.

„თითოეული ხე თვისისაგან ნაყოფისა საცნაურ არს“ (სახარ.). 3065

ჯერ მწარე ჰამე კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა (გურამ.). 3066

ჯერ მწარე ჰამე, მერე ტკბილიო.

მწარე თუ არა ჰამე, ტკბილის გემოს ვერ გაიგებ.

ვისაც მწარე არ უნახავს, ტკბილის გემოს ვერ აფასებსო.

სიმწრის გემო რომ არ გეცოდნოდა, სიტკბობას ვერ შევიტყობ-
დითო.

თუ უწვავი არა ჰამე, შემწვრის გემოს ვერ გაიგებო.

ტკბილის ნაჩვევი მწარეს ვერ შეჰამო.

ჰკითხე ასსა, ჰმენ გულისა (ვ. ტ.). 3067

ასსა ჰკითხე და ნება შენი ათავეო.

ცხრა კაცსა ჰკითხე და მერე თავის გულისა ჰქენიო.

ანდაზური თქმები

ახალ ვაზში ჩიტიც არ შეფრინდებაო. 3068

ახალგაზრდა გული მოშლილი წისქვილის ჩაკუნხედაც იცეკვებსო.

3069

ახალწელიწად დღეს ვირმა ბაგაზე შეიტყო, რომ დღემ მოიმატაო.

3070

ლამის გადიდება ვირმა ბაგაზე გაიგოო.

წყალკურთხევას ვირის ყურებიც გაიგებენ, რომ დღემ იმატაო.

ბავშვის ნაწლავი ღობეზე რომ ეკიდოს, კიდევ იმედი გქონდესო.

3071

ბავშვის წელები ღობეზე ეკიდა და ფანქალებდაო.
ბალღის ნაწლეე ღობეზე რე ეკიდოს, მინც გაჩუჩუნდებაო.

ბავშემა თქეა: ნეტავი ბებიის კალთაში ძილით გამაძლოო. 3072

ბავშესა და კატას მკათათეეში ფეხები დააზრებაო. 3073

მკათათეეში ყმაწვიღს ფეხები დააზრებაო.

ბაღღი მკათათეეში დაზრალაო.

ბაღღის ფეხი აგვისტოშიც არ გათბებაო.

ბაღღმა თქეა: კბიღის ამოსეღის დროს რა გასაჭირში ვარ, ჩემმა დედმამამ რომ იცოდეს, თავზე რკინის საღტეს შემომიჭერენო.

3074

ბაღღს როცა დედის კალთაში სძინავს, მარცეღის ოღენა ემატებაო.

3075

ბერიკაცმა თქეა: ნურც მაჭმევ, ნურც მასმევ, ეეცხღზე გამათბეო.

3076

ბიქსა ცალი გვერდი რომ არ ჰქონდეს, მინც ბიჭიაო. 3077

ბოღოქმა თქეა: უკადრისმა გამთალა და მსუნაგმა გამფხიკაო. 3078

ბოღოქს უთქევამს: ვინც გამფტქენის — ბრიყვიაო, ვინც გამფხეკს — მსუნაგაო.

ბუნარი და ორი კაცი, თუ გაჭირდა — სამი კაცი, თუ მეოთხეე მიემატა, მასპინძეღო, კარში ვადი! 3079

გაზაფხულზე სიცივე საავდროა, შემოდგომაზე — სადაროა. 3080

გაზაფხუღის მზე რძალსაო, შემოდგომისა — ქალსაო. 3081

გაზაფხუღის წვიმა ფოთოღ-ბაღახის დედააო. 3082

გასათხოვარი ქალი მღერის, გათხოვდება და — ტირისო. 3083

გაუთხოვარი ქაღებით სავსე ოჯახს მგღებით სავსე ოჯახი სჯობიაო. 3084

გაცრიღი ფქვიღი და გაპენტიღი ბამბა კაცს ბევრი ეგონაო. 3085

გაპენტიღ ბამბას და გაცრიღ ფქვიღს ვაქკაცს ნუ აჩვენებო.

კაცს გაცრიღ ფქვიღს ნუ აჩვენებ და გაწეწიღ მატყლსა — ბეერი ეგონებო.

გიორგობულა გოჭი გაზაფხულზე ღორიაო. 3086

- გლები ძროხას ეძებს ჯიშინს, თვალი — ცოლსაო. 3087
- გოქს ერთი კოდი სიმიანი საბალახოდ გასვლამდე უნდა გაუთავდესო. 3088
- ღა ნოკვდა ძმისთვისაო და არა ძმა ღისთვისაო. 3089
და ძმისთვისაო, ძმა სსვისთვისაო.
- ღაწვრილშვილდი — ღავეწიე, ღამეზარდენ — ავიწიეო. 3090
- ღედა რომ ბავშვმა შეაბეზროს, ღედამ აკვანი უნდა შეაბეზროსო. 3091
- ღედაკაცს თავისი ნაგრილისაც უნდა ეშინოდესო. 3092
- ღედ-ძამა შვილისათვის, შვილი — თავის თავისათვისო. 3093
ღედა მოკვდება შვილისთვისა, შვილი — თავის თავისთვისა.
ღედა მოკვდა შვილისადა, არა შვილი ღედისადა.
- ღეიდას ღედის სუნი ასდისო. 3094
- ღედლის წვენი წვივში ჩაისხესო. 3095
- ღიდ ზამთარს კარგი მოსავალი მოსდევსო. 3096
- ღიდმარხვას უთქვამს: ისე მალე გავირბენ, რომ ქვრივმა პერანგის გამოცვლაც კი ვერ მოასწროსო. 3097
ღიდმარხვას უთქვამს: ისე მალე გავირბენ, ქვრივმა პერანგი ვერ შეიკეროსო
ზამთარი ისე გაიპარა, რომ პერანგის შეკერვა ვერ მოვასწარიო.
- ღილით ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ხანი ღაგიგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი. 3098
ერთხელ სტუმარიო, მეორედ — ხუმარიო.
- ერდოს მაშალი ვერ დაამძიმებს და ღედამიწას — გასათხოვარი ქალიო. 3099
- ერთი აკვნის ბავშვის სტუმრობას თხუთმეტი ცხენოსნის სტუმრობა სჯობიაო. 3100
- ერთი ბუკი სკა ერთ უღელ ხარად ღირსო. 3101
- ერთი შვილი — ღობეს ჩხირი, ორი შვილი — ვითომ შვილი. სამა. შვილი — მართლა შვილი, ოთხი შვილი — აი შვილი! 3102

- ურთი შვილის გაზრდას ერთი კოდი ფეტვის დახვრეტა სჯობიაო.
3103
- ვაზმა თქვა: ღმერთო, პატრონი ხრიალობაში ავად გამიხადეო! 3104
ვაზმა თქვა: ნეტავი მე რომ ყვავილში შევიდე, ჩემი პატრონი
ავად გახდეს, ვერც თვითონ შემოვიდეს, ვერც სხვა შე-
მოიყვანოსო.
- ვენახს უთქვამს: ნეტა ჩემმა პატრონმა წელიწადში თუნდ ერთხელ
გადამიაროსო და სხვის ხელში კი არ ჩამაგდოსო. 3105
- ვენახს უთქვამს: პატრონი შემოვა — შევყვები, გავა — გავყვებიო.
3106
ვენახში შესვალ — შეგყვება, გამოხვალ — გამოგყვება.
ვენახი ბედოვლათი მმასავით არის: შეხვალ — შეგყვება, გამო-
ხვალ — გამოგყვება.
- ზაფხულში დათესილი ღომი თოხის პირს ამოჰყვავსო. 3107
- თათარი დაიწყევლება: ცხენი და ცოლი გაგისუქდაო. 3108
- თათარი იტყვის: მანამ გურჯი ძვალს არ გამოხრავს, განაფხული არ
მოვაო. 3109
- თათარმა თქვა: ცოლის ავადმყოფობას ჩემი ავადმყოფობა მირჩე-
ვია და ჩემ სიკვდილს — ცოლის სიკვდილიო. 3110
- თათარს რჯულს ნუ შეუგინებ და ქართველს — ცოლსაო. 3111
- თებერვალში დღეს იმდენი ემატება, რასაც ბიჭა-ბატკანი გადახტე-
ბაო. 3112
კალანდას დღე ბაქიას ნახტომის ოდენაა მომატებულიო.
- თივა — მთისა, პური — ბარისა და ღვინო — ზერისაო. 3113
შდრ.: № 5232
- თუ ვინდა, რომ ზაქი კარგი კამეჩი დადგეს, საჯდომში ნუ შეაბა-
მო. 3114
- თუ გინდოდეს თავის ქირი, მოიყვანე ქალი ქვრივი. 3115
- თუ კარგი სიძე შეგხვდა — შეილსა პოულობ, თუ არა და — ქალსა
კარგავო. 3116

თუ ქვეყანა დაიმშეს — საჩინომ არჩინოს, თუ საჩინო დაიმშეს ვერა
კაცმა არჩინოს. 3117

კახეთი რომ დამშვიდდეს, ქიზიყი გააძღობსო და ქიზიყის მოუსავე-
ლობა კი კახეთსაც დაამშვესო.

ინდოურმა თოვლი უნდა შექამოს, რომ გემრიელი იყოსო. 3118

კამეჩმა თქვა: რაკი ბალახში ჭიანჭველა დაიმალება, გემოც წაუვანო.
3119

ცხენს უთქვამს: როცა ჭიანჭველა დაიმალება ბალახში, მაშინ
ბალახს რაღა გემო აქვსო.

ცხენმა ცხენს ჰკითხა: „მინდორში როგორი ბალახიაო?“ „ჭიან-
ჭველას მალავსო“, „მაშ გემო წასვლიაო!“

კამეჩმა კითხა კამეჩსა: „მინდორში იყავი და როგორი ბალა-
ხიაო?“ „ჭიანჭველა დაიმალებაო“, „ოჰ, მაშ გემო აღარ
ექნებაო!“

კაცმა თქვა: სახლი გატყდაო, მუხამ უპასუხა: ჩემი სახლიკაცები რომ
ყოფილიყვნენ, არ გატყდებოდაო. 3120

კაცმა რომ კაცი გაიცნოს, ცხრა ლიტრა მარილი უნდა შექამონ ერ-
თადო. 3121

კაცმა რომ ნიჩბის პირით შეყაროს ქონება სახლში და ცოლმა კოვ-
ზის პირით გადაყაროს, სიღარიბე არ დაეღვეათო. 3122

კაცს როგორც ცოლი არ წაერთმევა, ისე ნაფეტვარი არ წაერთმე-
ვაო. 3123

კაცს რომ ცალი გვერდი ლასტისა ჰქონდეს, დედაკაცს კიდევა სჯო-
ბიაო. 3124

კვერცხის გემო თავის წონა მარილითაო. 3125

კვერცხი რითა და — თავის წონა მარილითაო.

კვირაძალს უთქვამს: მომავალს დამეჩქარეო და მიმავალს გამიფრ-
თხილდიო. 3126

მოვლიოდე — მეჩქარეო, მივლიოდე — მერიდეო.

კვირიკობისთვემ თქვა: ხარაბუზას რქის ოდენა ჩამაბარეთ და მერიე
მე მკითხეთო. 3127

კოკამ თქვა: ცხენზე არასოდეს შევმჯდარვარო, მაგრამ ფეხით არ გა-
მივლიაო. 3128

კოკამ თქვა: ცხენი არა მყავს, მაგრამ ფეხით არ გამივლიაო.
კორკოტი ვკამე ასლისა, დრო არის ჩემი წასვლისაო. 3129
შდრ.: № 136

კურდღელმა თქვა: თავქვევით ვერ გავიქცევი, მაგრამ აღმართში
ვერვინ დამეწევიაო. 3130

ლეჩხუმელმა თქვა: სილარიბეს დაუდგეს თვალი, თორემ მკადში და
ლობიოში იდაყვამდე უნდა იფლობოდეთ. 3131

მაისის წვიმა ოქროა, ივნისისა — ვერცხლი, ივლისისა — ცეცხლია.
3132

მარტი იცინოდეს — კაცი ტიროდეს, მარტი ტიროდეს — კაცი იცი-
ნოდესო. 3133
მარტი მოიტირებოდეს, კაცი მოიცინებოდეს.

მარტი პატარძალია, დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოაჟუ-
შებაო. 3134
მარტი ქალსა ჰგავს ლამაზსა, დღით სამჯერ მაიკაზმებაო.

მარტი რომ წინ გედვას, ცხრა დღის წყალიც შინ გედვასო. 3135

მარტმა თქვა: დღეში ცხრაჯერ გატირებ და ცხრაჯერ გაცინებო. 3136

მალლა-მალლა ყვირის შვილის პატრონი, წელღია დადის წისქვილის
პატრონი, სულ თავში ჯდება პურის პატრონი, უსუღროდ
კვდება ფულის პატრონი. 3137

მგლის დაკბენილსაც მოუვა ძილი, მშიერს კი — არაო, 3138

მელოგინეს რომ მოშივდეს, ცხრა სოფელი დაიმშევაო. 3139
ბაღლის დედას თუ შია, სოფელს უჭირსო.
ბაღლის დედა ასკილთყოილობასაც არ დაყმენდილაო.

მეცხვარისთვის ერთი ცხვრის მოვლა ერთი ომის გადახდააო. 3140

მიწა მოხან ნაგზაური, ყანა მოვა აზნაური. 3141

მიწა სჯობს ჰაი-ჰარადა, მამული — ერთიანადა. 3142
ნათიბი სჯობ ერთაზედა, ნახნავ — არი-არეზედა.

მიწას უთქვამს: ცუდად მომხან, ოღონდ კარგად დამფარცხეთ. 3143

მოსარეცხემ ტაბოცი ჩაყლაპაო. 3144

- მოყვანილი ქალის აშბავს ათ წელიწადს ნუ იკითხავო. 3145
- მწყემსს უთქვამს: ჩემი ფეხი არა შრება, როგორც წყალში თევზიო.
3146
- მჰადი ჭამამდინაო, ფაფა კარამდინაო, ქერი მთამდინაო, პური გა-
დავლამდინაო. 3147
- ხალიფაფა ხახამდინა, ფაფა სახლის კარამდინა.
ხალი ხახამდი, ფაფა კარამდი, ქერი ცხრა მთამდი, იფქლი გა-
დავლამდი.
წველა კარამდინაო.
- ნადრი შვილი ბატონსა, ნაგვიანევი — პატრონსა. 3148
- ნათლია როცა შინა ჰყავთ, ბანზე კატას არ გადაატარებენო. 3149
კაცმა რომ ნათლიის ბანიდან შიგნით მიწა ჩაყაროს, ისიც ცოდ-
ვააო.
ნათლიის ბანზე არ შედგე, ღმერთს ეწყინებო.
- ნაღვარევსა ჩასტიროდე, ნაგვალევსა ჩასცინოდეო. 3150
- ნაწვენი შემოდგომისა, ნაბარი გაზაფხულისაო. 3151
- ნიორმა თქვა: გიორგობისთვის ჩამასწარ და მკათათვეს ამომასწა-
რო. 3152
- ნიორმა თქვა: ნეტა იმ კუქს, სადაც მე ჩავალ და ვაი, იმ პირს, რო-
მელიც მე შემჰამსო. 3153
- ნიორმა თქვა: ვაი იმ პირს, სადაც მე ჩავალ და ნეტა იმ მუცელს, სა-
დაც მე ვიქნებიო. 3154
- ნიახურმა თქვა: ნეტა კბილს, ვაი მუცელსაო.
- ნუთუ ასეთ ცუდ ბუდეში ვიყავ ასეთი კარგიო—უთქვამს წაბლს.
3155
- ორი წლის ქათამს უთქვამს: პატრონი აღარა მყავსო. 3156
- ოცსა ენკენისთვისა ზოგი თესლი უნდა ჩადიოდეს, ზოგი ამოდლო-
დესო. 3157
- პირველად რომ დაიქუხებს: ნიორი აღარ იკმებო. 3158
- პური და ღვინო გვალვისაო. 3159

- .პური მამკაცველაა, მქადი გამზარდელაა. 3160
- პური ქართლისა, ღვინო კახისა, ყველი თუშისა, ერბო ფშავისა. 3161
- რამდენიც ვინმე მოგვეკვდა, იმდენი გულს ჩამოეთალაო. 3162
- რაც ფეხზელს ფიქრში აქვს, ის მთვრალს ენაზეო. 3163
 მთვრალმ რა თქვა და — გულისაივ!
 ღვინო კაცს სწორეს ათქმევენებსო.
- რჩევის მიცემა მოხუცისა, ქმნა-ასრულება ვაჟკაცისა. 3164
- სალათას ასე აკეთებენ: პურადმა ზეთი დაასხას, პურადმეირმა — ძმა-
 რიო, ჭკვიანმა — მარილი და გიჟმა აურიოსო. 3165
- სამი დღის ბაღს დედა გოდრის ოღენა ეჩვენებაო. 3166
- სამი დღის გოჭი სამი დღის სავალზე წავაო. 3167
- სამი დღის კვიცი წყალში გასულაო. 3168
- სამი დღის ხბო თავისთავად წავა წყალზეო. 3169
- სანამ დედაკაცმა ლეჩაქი გაიწორა, ცა ღრუბლით შეიმოსაო. 3170
 სანამ მღვდელი ჩაიცვამს, ცაც შეიმოსება და სანამ გაიხდის —
 ცაც გადაიყრისო.
 ცამ თქვა: სანამ მღვდელი შეიმოსებოდეს, მე მოვიღრუბლები
 და გამოვიღარებ კიდეცაო.
- საყვარელი ძმა ღმერთმა გველსა და მტერსაც ნუ მოუკლასო! 3171
- სახლი ააგე — სახლი გადააგეო. 3172
 სახლის აგებას სახლის გადაგება უნდაო.
- სვირელი კაცი კარგ ხარსა და კარგ ქალს სხვა სოფელში არ გაუშ-
 ვებსო. 3173
- სიკვდილ-სიცოცხლის: წამალო, სადა ხარ, შევბალახაო! 3174
- სიმინდმა თქვა: მიწა ყურში ჩამაყარეთ და პურს პირში ჩაგაყრი-
 თო. 3175
- სიმინდმა თქვა: ძირში წყალი მომიგდეთ და თავზე გინდა ცეცხლი
 დამინთეთო. 3176
- სიძის ტყბილ ქადას ქმრის მწარე ლუქმა გერჩიოსო. 3177

- სხვისი შვილი არა შვილობს, ვით ნაცარი არა ფქვილობს. 3178
- უბაღლო და უძაღლო ოჯახი დაყრუებულიაო. 3179
- უფროსი და დედ-მამის სახელით, უმცროსი და — უფროსი დის სახელით. 3180
- უშვილოს ერთი ჰყავდა, უძეოს — არცერთიო. 3181
- ფეტვს უთქვამს: ხრიალი მაჩვენეო და ჩხრიალს გაჩვენებო. 3182
- ფეხშიმე ქალს ცალი ფეხი სამარეში უდგასო. 3183
- ფეხსაცმელი მოხუცს ქუსლში გაუცვდება, ახალგაზრდას — ჭვინტ-შიო. 3184
- ფუტკარი ასი ძირი გყავდეს — ერთი თქვი, ერთი გყავდეს და — ასო თქვიო. 3185
- ფუტკარს დათვლა არ უყვარს. 3186
- ფუტკარს თუ ზურგი უჩვენე, ისიც ზურგს გიჩვენებსო. 3187
- ქადას უთქვამს: მიბრუნდ-მობრუნდით და ამაყენეთო. 3188
- ქათამს უთქვამს: ნეტა იმას, ვისაც ქვის შობა არ უნდაო. 3189
ქათამი ამბობსო: ვაი ჩემი ბრალი, ხორციით ქვასა ეშობო.
- ქალმა თქვა: ფოთოლი რომ მედოს თავზე, მაინც ვიტყვი. პატრონი მყავსო. 3190
- ქალს რომ გათხოვება მოუნდება, კერიას წაეკიდებო. 3191
- ქალს უთქვამს: მიჩვენია სულ არ მეყოლოს შვილი, ვიდრე დამახინჯებულს ვხედავდეთო. 3192
- ქერის ურემი რომ აგორდება, ფეტვს მაშინ უნდა გაუავდარდესო. 3193
- ქერმა თქვა: ლაფში ჩამფალ, ხვავში ჩავფლავო. 3194
ასლს უთქვამს: ლაფში ამხვიე, ხვავში აგხვევო.
- ქვეყნისგან მოკლული გული ქმარმა გაამთელაო, ქმრისაგან მოკლული გული კი ქვეყანამ ველარაო. 3195
- ქორფა ბავშვს მარჯვენა ხელი რომ აყენებს, მარცხენა აწვეწვსო. 3196

- ქრისტესშობის თვეში თოვლი ჭირკის ძირშიაო. 3197
- ქრისტესშობის თოვლი — გამოსული ლორიო. 3198
- ლამის მესრეობას სალი კლდის მტვრევა სჯობიაო. 3199
- ღმერთმა დალოცოს იმერეთში — ბაღდადი, გურიაში.— ასკანა და
სამეგრელოში — ნაოლაღევიო. 3200
- ლორი საღორეში არ შევა, სანამ ზურგზე თოვლი არ დაედინებაო.
3201
- ღორმა მოგება იცის კოქამდინა და ზარალი — ყელამდინა. 3202
- ყანას უთქვამს: აპრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წავეისხი, თი-
ბათეში გული ჩავიდევ და მკათათვეში მოვიმკიო. 3203
- ყმაწვილისა საყელოცა ქამსო. 3204
ქალიშვილისა კალთასაც შიაო.
- ყვავილმა თქვა: თუ სადმე გამიგონო, რკინის ქალამნით შემომიბა-
რეო. 3205
- ყველა სიკვდილმა გვერდით ჩამიარაო, შვილის სიკვდილმა გულზე.
გადამიარაო. 3206
შვილმა გული გახია, ძმამ კარი გაიარაო.
ძმამავ კარ ჩაიარავ, შვილმავ — გულივ.
შდრ.: № 3215
- ყიდვა-გაყიდვა დედამიშვილობაშიც კიაო. 3207
- შავი ქირი ჩემს ოჯახში, ავი ქალი შენს ოჯახშიო. 3208
ავი დარი ჩვენსა, ავი პატარძალი თქვენსაო.
- შაშვმა თქვა: ქალს იმას დავუძახებ, ვინც ახალწელიწადს წიწილის-
ამოპურებას მომასწრებსო. 3209
- შემოდგომის წინნაო, ვითომ ქვევრში გიდგაო. 3210
- შემოდგომით საზრდო თავგ-ბუზებსაც კი აქვთო. 3211
- შვიდ მაისს რომ შვიდი ღერი ყანა გქონდეს, ნურც აქებ და ნურც
აძაგებო. 3212
შვიდი ფეხი ყანა გქონდესო და შვიდ მაისს წვიმა მოხვდესო,
იმედი გქონდესო.

ოცდასამ აპრილს ოცდასამი ძირი ყანა რო გქონდეს, მოიმედე იყავიო.

ყანას მაისში ნურც აქებ და ნურც აძაგებო.

წვილ შვილს უფრო უჭირს ერთი მამის შენახვა, ვიდრე მამას შვილი შვილის შენახვა. 3213

წვილი მაისისათვის შვილი გოდორი ბზე უნდა გეყაროს და შვილი ზურგი თივაო. 3214

შვილმა გული გაიარა, შვილიშვილმა გულის გულიო. 3215
შვილმა გულზე გადაიარაო, შვილიშვილმა გული გაარღვიაო.
შღრ.: № 3206

შვილმა რომ დედის გულისათვის ერბო-კვერცხი მოიწვას ხელის გულზე, იმის ამაგს მაინც ვერ გადაიხდისო. 3216

შვილმა რომ დედის გულისათვის თავზედ ერბო-კვერცხი მოიწვას, დედის ამაგს მაშინაც ვერ ამოუვაო.

ჩვილ ბავშვს დღეში იმდენჯერ სჭირდება დაძუძურება, რამდენჯერაც ხარი კუდს გაიქნევსო. 3217

ხარი კუდს რამდენჯერაც შეასწრევს, იმდენჯერ უნდა აქამო მოზარდ ბავშვს საქმელიო.

ჩვილი ყველაზე დიდი ბატონიაო. 3218

ჩვილი მეფის ტოლიაო.

ყმაწვილს ხელმწიფეზედაც დიდი უფლება აქვსო.

ცელს ნუ მთხოვ და ცოლს გათხოვებო. 3219

ცოლ-ქმრის ამბავი მხოლოდ ლოგინმა უნდა იცოდესო. 3220

ცხენმა და ვირმა თქვეს: შვიდ წლამდე მადროვე და მერე მე მკითხეო. 3221

ცხვარს უთქვამს: ღმერთო, ჩემ პატრონს ისე ნუ გაადარიბებ, რომ შემოდგომაზე მუცელი გამპარსოსო და ნურც ისე გაამდიდრებ, რომ გაზაფხულზე არ გამპარსოსო. 3222

ცხრა მარტს ცხრა მტკაველი თოვლი მოვიდა, შიგ ჯოხი დაფლეს და სალამომდე წაიქცაო. 3223

ძიგურამ თქვა: როცა არ ვიქნები, მაშინ მქამენ და როცა ფურბერ-

- წის ხორცსა ვჯობივარ, მაშინ არაო. 3224
- ბროხის მოზიარებებიც მოყვრები არიანო. 3225
- წითელა და ყვავილუხედელ შვილს შვილს ნუ ეძახიო. 3226
- წისქვილს უთქვამს: თებერვლის დიკას ყელში ვიცნობო. 3227
- ჭანგას უთქვამს: შვიდი წელიწადი კაჭკაჭის საბუდარზე ვიყავიო, მთაში წაველ, მიწას პირი მოვკიდე და გავენდლდიო. 3228
- ხარმა ხარს თივა მობრთვა, — ნარი კი არ ურევია და რა გემო უნდა ჩავატანო! 3229
- ხარმა ხარი დაჰპატიჟა: „თივა უნაროაო!“ ..მაშ რა გემოს ჩავაყოლებო!“
- ხბო უნდა თებერვლისა, ციკან-კრავი — მარტისა, თუ რომ სადმე გაიზრდება, ტახი — იანვრისა. 3230
- თიკან-კრავი მარტისაო, ხბოი იანვრისაო.
- თიკან-კრავი მარტისაო, ხბო სჯობს თებერვლისაო, თუ სადმე გაიზრდებოდეს, ცხვარი — იანვარისაო.
- ჩიხვმა თქვა ჩემი რქის ზევით მარტო ღმერთი უნდა მეგულებოდესო. 3231

აფორიზმული გამოვსატყუებები, შეგონებანი, თქმები

- ადათის ამოწყვეტას გვარის ამოწყვეტა სჯობიაო. 3232
- ადამიანი ადამიანის მალამოა. 3233
- კაცი კაცის წამალიაო.
- შდრ.: № 3582
- ადამიანი ღმერთსაც კი დაივიწყებს და ჭამა-სმას კი — ვერაო. 3234
- ადამიანი ჯოჯოხეთსაც მიეჩევეაო. 3235
- ადამიანს ფეხები ატარებენ, ხელები აჭმევენ. 3236
- ადრე ამდგომი შვილი თავის დედას ახარებსო. 3237
- ავ თვალს კარგს ნურას უჩვენებ, ავ ყურს კარგს ნურას ეტყვიო. 3238
- შდრ.: № № 344, 1142, 2000

- ავადმყოფის პატრონი ავადმყოფზე უარესიაო. 3239
- ავადმყოფობა ბევრია, ჯანმრთელობა — ერთი. 3240
- ავადმყოფს ექიმი არჩენს, უბედურს — კაი მეგობარიო. 3241
შდრ.: № 26
- ავი დედაკაცის ყურებას ასი სული ცხვრის მომწყემსვა მირჩევნიაო. 3242
ვირჩევ ნახშირზე წოლასა ავი ცოლისა ყოლასა.
- ავი ზედიზედ, კარგი ზედიზედ. 3243
- ავი იქნები — თავისთვის, კარგი იქნები — თავისთვისო. 3244
- ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო. 3245
შდრ.: № 4805
- ავი ცოლის ყოლას ავი ძაღლის ყოლა სჯობიაო. 3246
- ავის მოქმედი თავის თავის მტერიაო. 3247
ავი კაცი თავის თავის მკვლელიაო.
- ავის მქნელს ავი დაემართებაო. 3248
- ავკაცობა არავის შერჩენია. 3294
- ალალი არამთ საფარიაო. 3250
- ალალი კაცის საქონელი ქვაზე იდვას — არ დადნება. 3251
- ამ წუთისოფელს არავინ შეებერებია. 3252
- ამბის ამბავი კაცმა არ უნდა დაიჭეროსო. 3253
- ამდენი მგელთა ყმუილი უამბოდ არ ჩაივლისო. 3254
- ამხანავი თვალთა სინათლეა. 3255
- ანჩხლი ცოლი ქმარს ჭკუიდან შეშლისო. 3256
- არ გაგივიდა, თარხანო, ნიადაგ შენი ტყუილი! 3257
თარხან, შენი ტყუილი ნიადაგ აღარ გაგივია!
- არ გაიხარა გაუხარელმაო. 3258

- არ იცი, სად ნახავ და სად დაკარგავო. 3259
- არ მინდა, ჯიბეში ჩამიდგო. 3260
- არ შეიძლება მრუდი კაცის გასწორება და შავი მატყლის გათეთრებაო. 3261
შდრ.: № 97
- არა მწამს-რა დიაცისა, არცა მოწმენდილი ცისა. 3262
- არმად ნაშოვნია არმად წავაო. 3263
შდრ.: № 1892
- არც ავად გაუვარდეს კაცს ხმა, არც ჯარგადაო. 3264
- ას კაცში რომ კაცი შეშინდება, ზიარება არ უწევსო. 3265
- ასი ტყუილი რომ თქვა, განა ერთ მართლადაც ჩაგეთვლებაო? 3266
- აღარა ვარ იმ კილოსა, ლურჯამ ჩაიკინკილოსა. 3267
- აღმიტყვი და აღმისრულეო. 3268
- აშენება თქვი, თორემ დაქცევა ადვილიაო. 3269
- აძუნძულდი — ღმერთს მოძულდი. 3270
- ახალი მეგობარი გაიჩინე, ძველს ნუ დაივიწყებო. 3271
ახალი მეზობელი გაიჩინე, ძველს ნუ დაკარგავო.
შდრ.: № 1678
- ახლანდელი ყმაწვილები კვერცხიდან გამოწვიან. 3272
- ბავშვი დარდს შუაზე ჭრის. 3273
- ბავშვისაგან გაიგებ ოჯახის ავსაც და კარგსაცო. 3274
შდრ.: № 2023
- ბაღლი და გამოუწვავი ჭურჭელი ერთიაო. 3275
- ბარი ბარში, თოხი ტარშიო. 3276
- ბებერი და ბაღლი სახლში უმცროსებიაო. 3277
- ბებერი ბებლი კი არაა, მონახულიაო. 3278
- ბედი ბრმაა. 3279
- ბედი თუ არ გწყალობს, მეზობელი მაინც იქნება მწყალობელიო. 3280

- ბედი უნამუსო ქალსა ჰგავსო. 3281
- ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო. 3282
- ბედნიერება თუ მოგპარბდა, ცოლი შეირთეო. 3283
- ბევრი ბოდიშის მოხდას ბევრი მადლობის ხდა უნდაო. 3284
- ბევრი ვეცადე შენთვისო, ძლივს მოვახერხე ჩემთვისო. 3285
- ბევრი ფული ბევრი დარდიაო. 3286
- ბევრი თქვია — ცოტა ქნია. 3287
შდრ.: № № 1859, 3402
- ბევრი ყოყმანი კაცს წაახდენსო. 3288
- ბევრი წყალი არისო. 3289
- ბევრის და ცოტას მჭამელი ერთრიგად გამოდისო. 3290
შდრ.: № 1552
- ბევრის მოლაპარაკეს არც ერთი არ დაეჭერებაო. 3291
- ბევრის მსურველი კეთილს ვერ ნახავსო. 3292
- ბევრის მცოდნეს ბევრჯერ შეცდებო. 3293
- ბევრიც რომ იცოდე, მაინც ცოტა ილაპარაკეო. 3294
- ბევრმა ბედვამ გაუბედაობა იცისო. 3295
- ბევრმა ჩურჩულ-კურკურმა ქვეყანა ამოაგდოო. 3296
- ბევრს ნუ იჯავრებ, მალე დაბერდებიო. 3297
- ბიჭი ის არის, ვინც ორი შაურით აკმევს ცოლს პურსაო. 3298
- ბიჭობა გამორთმევა კი არა, მიცემააო. 3299
- ბოროტს და უნამუსოს ვინც არ მოშორდება, მისი ფერიაო. 3300
- ბრიყვი კაცის სიცოცხლე სიკვდილზე უარესიაო. 3301
- ბრიყვი ნათხოვარსაც გაანათხოვრებსო. 3302
ნათხოვრის გამნათხოვრებელი ბრიყვზე უბრიყვესიაო.

- ბრიყვი უწინ იტყვისო. 3303
- ბრიყვს ასმენდნენ, გონიერი სწავლობდაო. 3304
- ბრიყვს დარიგება სძულდა, ჭკვიანს — უხაროდაო. 3305
ბრიყვს მსწავლებელი სძულდაო.
- ბრძენი უსაქმური არ ვარგა და უფროსი — უსამართლოო. 3306
- ბუზლუნა ადამიანი თხის ხორცზე უარესიაო. 3307
- ბუტიას წილი გემრიელიაო. 3308
- გაბედე და სოფელიც მაშინ გიშველისო. 3309
- გადადებული საქმე ეშმაკისააო. 3310
გადადებული საქმე მგელმა შეჭამაო.
გადადებული საქმე სანახევროდ ჩაშლილიაო.
გადადებული საქმე არ ვარგაო.
დღევანდელ საქმეს სახვალიოდ ნუ გადადებო.
- გაზაფხული მგელია, შემოდგომა დათვია. 3311
- გამარჯობა, არაყო! — მაშ მშვიდობით, ჭკუაო! 3312
შღრ.: № 4034
- გამგები გაიგებსო. 3313
- გამგონი გაიგონებსო. 3314
- გამდიდრდები — გაძუნწდებიო. 3315
- გამრჯე კაცისთვის უსაქმობა დიდი სასჯელიაო. 3316
მშრომელი კაცი თუ გინდა დასაჯო, შრომა აუკრძალო.
- გამშველებელს მოხვდებაო. 3317
ვაი მაშველებელსაო.
- გამწარებული გული დაუნდობელია. 3318
- განა ყველა ჩვენია, რაც ღმერთს გაუჩენია. 3319
- გარეთ გასული კაცი მაგარია. 3320
- გაუგონარი თავის თავს დააკლებსო. 3321

- გაუთლელმა გაუთლელი სიტყვის თქმა იცის. 3322
გაუთლელს გაუთლელი სიტყვა მოსდისო.
- გაუყრელს ვერავენ გაყრისო. 3323
- გაუჭირებლად ვინ გაიჭირვა. 3324
- გაცემულ სიკეთეს ხალხი არ ივიწყებსო. 3325
შდრ.: № 1161
- გაძლომას ძროხაც მიხვდებაო. 3326
- გაჭირვებაში კარის მეზობელი ძმაზე უწინ მოგეშველებაო. 3327
- გაჭირვებულის ვალის მზღველი ღმერთიაო. 3328
- გაჭირვებული კაცი თავის გულად დევიაო. 3329
- გეშინოდეს იმისი, ვისაც შენი ეშინიაო. 3330
- გეშინოდეს სირცხვილისა, სიკვდილისა კი — არაო. 3331
ვერ შემამინებს სიკვდილი, ოღონდ მომშორდეს სირცხვილი
ნუ გეშინია სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისა.
შდრ.: № № 1991, 3888, 3889
- გველს თავისი წელი დაკლავნის, ადამიანს — თავისი ჭირიო. 3332
- გ^წ ს ნემსით არ ზომავენო. 3333
- გინდ რეგვენისთვის გისწავლებია, გინდ მკვდრისათვის გიწამლე-
ბია. 3334
- გიყი და ტრფიალი ორივე ერთიაო. 3335
შდრ.: № 4096
- გიყი ქალის ჭირიმე და გიყი ხარისაო. 3336
- გლახა ამპარტავანი მიწას ემძიმებაო. 3337
- გლახა კაცის ნაფესურში ფეხი არ ჩადგაო. 3338
- გლახა მოყვარეს კაი მტერი სჯობიაო. 3339
ერთ ცუდ მოყვარეს ასი მტერი სჯობიაო.
შდრ.: № 5755
- გლახა სიტყვა მათრახიაო. 3340
- გლახა ქალი გლახა საქმეს იქმსო. 3341

- გლახა ყველაფერს თავის თავზე იღებსო. 3342
- გლახას მისი სიგლახე ეყოფაო. 3343
- გლენიკაცი იმედში მოკვდებაო. 3344
- გლენიკაცის ღმერთი გუთანიაო. 3345
- გმირი ბრძოლაში იბადებაო. 3346
- გმირი მოკვდება, სახელი დარჩებაო. 3347
კაცი მოკვდება, საქმე დარჩებაო.
- გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, უგნური — დედამიწასაც აშპობებს. 3348
- გონიერი მეტს მოითმენსო. 3349
- გული გულს იცნობსო. 3350
სული სულს იცნობს და გული გულსო.
სული სულს იცნობსო.
- გული მისანიო. 3351
- გული ყოველთვის იმღერის, მაგრამ ჟამი არ უჭერისო. 3352
- გულისა პირმან ამოთქვასო. 3353
- გულს არაფერი მოეტყუება. 3354
- დაე, დამძრახონ და ნუ შემობრალევენო. 3355
- დაზარება სჯობს დატყუებასაო. 3356
- დამ დის ამბავი არ უნდა იცოდესო. 3357
- დამარხულ ოქროს და სიბ ქვას ერთი ფასი აქვსო. 3358
- დარიგება იმას სთხოვე, ვინც დარიგებულადა ცხოვრობსო. 3359
- დაუპატიებელი სტუმარი მტერზე უარესიაო. 3360
- დაფარული ეშმაკისააო. 3361
- დაღამებას ძროხაც მიხვდებაო. 3362
დაღამდება და ჩიტიც თავის ბუდეს მოძებნისო.
- დაყვედრებული ლუკმა ყელს ვერ გადაივლისო. 3363

- დაცინვას კაცი არ მოუქლავსო. 3364
თავსიცილი კაცს არ მოჰკლავსო.
- დგომას ჯდომა სჯობია და ჯდომას — წოლაო. 3365
- დედაკაცი ერთი თვალთ ტირის, მეორეთი — იცინის. 3366
- დედაკაცი მარტსა ჰგავს, დღეში ათასგვარად იცვლებაო. 3367
- დედაკაცი მუცელში ყმაწვილს შეინახავს და კაცმა სიტყვა როგორ ვერ უნდა შეინახოსო. 3368
- დედაკაცი შვილების გაზრდით ფასდებაო. 3369
- დედაკაცის ოხტში ჯოჯოხეთის სატანაც ვერ მოვაო. 3370
- დედის წყევლა შვილს ლოცვად მიუვაო. 3371
შდრ.: № 583
- დედ-მამის ურჩი შვილი უბედურიაო. 3372
- ღიაკვანს ცალი გვერდი ეშმაკისა აქვსო. 3373
- ღიაცთა უნდა იტირონ, მამაცთა — შური იძიონ. 3374
- დიდ „არა“-ს პატარა „პო“ სჯობია. 3375
- დიდ კაცს დიდი ჰკუა აქვსო. 3376
- დიდ კაცს მუდამ კრძალვა უნდაო. 3377
- დიდ სიყვარულს დიდი სიძულელი მოსდევსო. 3378
- დიდება და სახელი შრომის ხელშიაო. 3379
- დიდი კაცის სამსახური არ დაიკარგება. 3380
- დიდი ცხენი ბაჩად გადააქციესო. 3381
- დიდის ნათქვამი, პატარას გაგონილიო. 3382
- დიდმა ავადმყოფობამ ნალის დაგდება იცისო. 3383
- დიდს დიდი მოთმინება უნდა ჰქონდესო. 3384
დიდ კაცს დიდი სულგრძელობაც ჰპართებასო.

ვინც მეტი იცის, მეტი უნდა მოითმინოს.
დიდი მოთმენა დიდმა მკოდნემ იცისო.

- დილის ლუკმა ცოლის მზითევს სჯობიაო. 3385
დოვლათი ბრმაა, ბუზივით ხან ნეხვს დააჯდება, ხან ვარდსაო. 3386
დრო ყველაფრის მკურნალიაო. 3387
დღე ავდრიანი სჯობს, ღამე — მთვარიანიო. 3388
დღევანდელი სიტყვა ხვალისთვის ხილიაო. 3389
ენა არც გატყდება, არც გაცედებაო. 3390
ენა გულის მოციქულიაო. 3391
ენა გულის ცოცხიაო. 3392
ენა თაფლიანია, მაგრამ შარიანიაო. 3393
ენა რას არ იტყვისო! 3394
ენა ყველაფერს ფქვავსო. 3395
წასქვილიც ფქვავს და ენაც.
ენაგრძელი სულმოკლეაო: 3396
ენამ ზღვარი არ იცისო. 3397
ენას კლიტე არ დაედებაო. 3398
ენას ქალი არ წამოედებაო. 3399
შდრ.: № 4513
ენას ცხრა საბრუნავი აქვსო. 3400
ენას ძვალი არა აქვსო, სიტყვას — ბაჟიო. 3401
ენას ძვალი არ ედება, სიტყვას ფასი არ ედებაო.
ენა უძვლო-უფხვიაო.
ენას კორძი არ აბიაო.
ენატარტარა — ხელებპატარაო. 3402
ენატარტარა — საქმე პატარაო.
შდრ.: № № 1859, 3287
ენით ცხვარი სჯობია და საქმით ცხარიო. 3403

- ერთ დღეს დავბადებულვარ, ერთ დღეს მოკვდებიო. 3404
- ერთ მზეს ვხედავთ, მაგრამ ერთნაირად არ გვათბობსო. 3405
- ერთი დრო არავის შერჩებაო. 3406
არც შენ შეგჩება ერთი დრო.
- ერთი დღით რომ სადმე მიდიოდე, სამი დღის საგზალი უნდა წაი-
ლოო. 3407
- ერთი კაი კაცის სახელი დარჩება ქვეყანაზე და მეორეც — ავისაო.
3408
- ერთი კაცის მხრით ასი იცხოვრებსო. 3409
შდრ.: № 475
- ერთი საქმეს მოუსდება, ორი კი — წაახდენსო. 3410
- ერთი ფასი აქვს სიზმარში ნახულ ქისასა და სადღეგრძელოში ნათ-
ქვამ სიტყვასა. 3411
- ერთი ჰკვიანი აჯობებს ცხრა რეგვენსაო. 3412
- ერთი ჰკუა კარგია, ორი — უკეთესიაო. 3413
- ერთი ხელი ტანსაცემელი ცოცხალსაც უნდა და მკვდარსაცაო. 3414
- ერთზელ დაკოდელ გულს ვერაფრით გაამრთელებო. 3415
- ეს ესაო, ეს ისაო და გამოიფხიკა ქისაო. 3416
- ეს ქვეყანა გამოცანაა. 3417
- ეს ქვეყანა კიბეა, ზოგი აღის, ზოგი ჩამოდის. 3418
ცხოვრება კიბიანია.
- ეს წუთისოფელზე მოკლეა. 3419
- მეტსი მტკაველი მიწა ყველას ეყოფა. 3420
- ტყმაკი თავის უნებურად ღვთის ნების ამსრულებელა. 3421
- ტყმაკი ძლიერია. 3422
- ვაი თქმა, უი უთქმელობაო. 3423

- ვთქვა — ვაია, არა და ვალალო. 3424
 ანას ვიქმ — ვაია, იმასა ვიქმ — ვალალო.
- ვაი თხოვნაო, უი კარზე დგომაო. 3425
- ვაი სიკეთის მქნელსაო. 3426
- ვაი ქონავ, ვაი უქონლობაო! 3427
- ვაისაც მეშინია, ვალალისაცაო. 3428
- ვალი ვაია. 3429
- ვალი ხმას არ იღებს, არც მაძინებს. 3430
- ვ.ლის პატრონს ვალალო აყრიაო. 3431
- ვალს გადახდა უნდაო. 3432
- ვაჟი ნაჩეხი სჯობიაო. 3433
- ვაჟი სახლის ბურჯია, ქალი სხვათა ლუქმაა. 3434
- ვაჟკაცი გაჭირვებაში არ ატირდებაო. 3435
- ვაჟკაცი იქ იპოვის, სადაც მშიშარა დაკარგავსო. 3436
- ვაჟკაცი ქულს სიცივისათვის კი არ ატარებს სირცხვილისთვისაო. 3437
 ქული სიცივისათვის კი არა მხურავს, ნამუხისთვისაო.
- ვაჟკაცისა სიკვდილსაც ეშინიაო. 3438
 გულადისა ტყვიასაც კი ეშინიაო.
- ვაჟკაცს გამრჯე ხელი ამშვენებს. 3439
- ვაჟკაცს თავისი თავი მჯიღში უნდა ექიროსო. 3440
- ვაჟს გაბედვა და გაუბედაობა პირისახეზედ შეეტყობაო. 3441
- ვაჭარი ას ტყუილს იტყვის, ერთს — მართალსო. 3442
- ვაჭრობა და მოყვრობა ნებისააო. 3443
- ეაჰმე, ჩემო სიალნეო, დამწვი, დამანიავეო. 3444
- ვინც არ გაირჯება, პურამდი ვერ მიწვდებაო. 3445
- ვინც არ მუშაობს, ის არ ცდება. 3446

ვინც არ შრომობს, არც ჭამს. 3447
შღრ.: № 781

ვინც ბევრს ყბედობს, ის ბევრს ტყუის. 3448

ვინც დაიზარაო, არ გაიზარაო. 3449

ვინც თავის თავის პატივი არ იცის, არც სხვისი პატივი ეცოდინებაო. 3450

ვინც მეტი ჰქნას, მას ეკითხოსო. 3451

ვინც მდიდარია ფულითა, ის ღარიბია გულითა. 3452

ვინც მოხუცებულს დასცინის — თავის თავს დასცინისო. 3453

ვინც მოკვდა — მორჩაო. 3454

ვინც პატარას ვერ დააფასებს, ის ვერც ღიდის ფასს მიხვდებაო. 3455

ვინც უარი თქვას, იმისი გეჭეროსო. 3456

ვინც უჯაფოდ პურს ჭამს, იმან ხეირიანი ჭამაც არ იცისო. 3457

ვინც შენთვის იყოს, შენი დედ-მამა ის იყოსო. 3458

ვინც შრომობს, ჭონება იმასა აქვსო. 3459

ვინც წავიდა, აღარ მოვიდაო. 3460

ვირს გზა გამოსცდის, ნათესავს — გლოვაო. 3461

ვირი ვირია, სულელი გარდამეტიაო. 3462

ვირის სახელი ვირიაო და სულელი ვირზე უარესიაო.

ვისაც გაჭირვება არ უნახავს, მან ღხენა არ იცისო. 3463

ვისაც ავი არ მოსწრებია, მას არც კარგი შეხვდებაო.

ვისაც გული ატკინე, იმისი გეშინოდესო. 3464

ვისაც ესმის, ერთიც კმარა, ვისაც არა — არც ათასიო. 3465

ვისაც რა არ ეხერხება, მისთვის ყველა ცუდიაო. 3466

ვისაც სიმართლე არ უყვარს, მართლის მთქმელი ეჯავრებაო. 3467

ვისაც სხვისი ბედნიერება შურს, ვერც თავისას მოესწრებაო. 3468

- ვისაც ღვთისა ეშინია, იმისი ნუ გეშინიაო. 3469
- ვისაც კოტა ჰყოფნის, მდიდარზე ბედნიერიაო. 3470
- ვისგანაც არ გეგონოს, ყველა იმისი გეჯეროსო. 3471
- ვისკენაც გული გიწევს, თვალის მისკენ იხედებაო. 3472
- ცხნადით — არ მოვიდა, ვმკიდით — არ მოსულა, ეჭამდით და ძმად
გაგვიხდაო. 3473
- ზარალი წიწაკაზე მწარეაო. 3474
- ზარალს ზარალი მოსდევსო. 3475
- ზარმაცი მუდამ კენესისო. 3476
- ზარმაცი ჭამის დროს კარგად არის, მუშაობის დროს — ავად. 3477
- ზოგან თავით, ზოგან ხრიკით, საქმე წავა თოხარკით. 3478
- ზოგი თავით დადის, ზოგი — ფეხებითო. 3479
- ზოგის სიცოცხლე ვერცხლია, ზოგისა კი — ცეცხლიაო. 3480
- ზოგჯერ ტყუილი მართალს სჯობია. 3481
- ზოგი თავით დადის, ზოგი — ფეხებითაო. 3479
- თავზეთ ვერ ახტები. 3483
- თავი აგიგდია, კაცი ვერ გიცვნია. 3484
- თავი აგიგდია, ვერა გაგიგია. 3485
- თავი ფეხებს არაფერს ეკითხება. 3486
- თავი კუდს არ უცდის.
- თავის აგდებას ტანის აგდება სჯობიაო. 3487
- თავის ბედს კაცი ვერ შემოუვლის. 3488
- თავის დაკვრით თავი არ წაგწყდებაო. 3489
- თავის ურგები კაცი სხვისთვის რა სარგებელიაო. 3490
- თავისი გაჭირვებისა ყველამ თვითონ უკეთ იცისო. 3491
- თავისი ტოლი ჭიანჭველასაც კი ჰყავსო. 3492

- თავისით არაფერი მოვა. 3493
- თავს რომ მომპრი, პრასა კი არა ვარ, ამოვიყარო. 3494
- თავშავამ თქვა: ღმერთი რომ გამიწყრა, ბაღღების ხელში ჩავვარდიო. 3495
- თავში თუ ჰკუა არ გვექნება, ჰირი ჰირზე შეგვეყრებო. 3496
- თავში ნაბიჭვარსა და ობოლს ჩაართყამენო. 3497
- თავხმელი ცხენი, პირხმელი ქალიო. 3498
- თათარი რომ იტყვის, აღარ ჩათქვამსო. 3499
- თანხმობა კლდეზე უმაგრესიაო. 3500
- თბილი პური თვალის წყალიაო. 3501
- თეფზი მარხვაში, ცხენი აღმართშიო. 3502
- თეთრ ხელებს სხვისი შრომა უყვარსო. 3503
- თვალი გულის სარკეაო. 3504
- თვალი სარკეა კაცისა, შიგ ბევრი რამ ხატაო.
- თვალი უნებურიო. 3505
- თვალი ქვას გახეთქსო. 3506
- თვალი შორს ხედავს, ჰკუა — უფრო შორსაო. 3507
- თვალი ცქერით არ გაძლება, გული — ნდომითაო. 3508
- თვალმა უნდა დაინახოს და ჰკუამ განსაჯოსო. 3509
- თვე არის — ერთ დღესა კვებავს, დღე არის — მთელ თვესაო. 3510
- თვე მოვა, წელიწადს აჯობებსო.
- თითო გოგრიდან თითო ჰკუა გამოდისო. 3511
- თითო კაცს თითო რამის შნო აქვსო. 3512
- თოვლი აღნიანიაო. 3513
- თოკი გრძელია კარგი, სიტყვა კი — მოკლეო. 3514
- თოფით მკვდარ კაცს განკითხვა არა აქვსო. 3515
- თუ არ მოვკვდი, სიბერე შორს არისო. 3516
- თუ არ ჰამ, გეყოფაო. 3517
- თუ გინდა უკუღმა დაჯექი, ოღონდ კი სწორე თქვიო. 3518

- თუ იყოს — იყოს, თუ არა და — წყალმა რიყოსო. 3519
ნახა იყვეს, მაგრა იყვეს, ნახა არა — სულ არ იყვეს.
- თუ კარგია — ჩემთვის, თუ არა და — ჩემი ძმისთვისაო. 3520
- თუ კაცს კაცი მოსწონს, იმისი სიგლახეც მოსწონს, თუ არა — კარ-
გიც ეზარებაო. 3521
შდრ.: № 1221
- თუ კაცის ცნობა გინდა, ჯერ მისი მეგობრები იკითხეო. 3522
- თუ მეზობელი კარგად გყავს, შენც კარგადა ხარო. 3523
- თუ პატარა არ გაიზარდა, დიდი საიდან იქნებაო. 3524
- თუ სამოთხე არ იქნება, ჯოჯოხეთი ხომ მზად იქნებაო. 3525
- თუ სარკე არა გაქვს რომ ჩაიხედო, ქვეყანა ხომ შენი სარკეაო. 3526
ქვეყანა სარკე არისო.
თუ სარკე არა გაქვს, წყალში ჩაიხედეო.
- თუ სიკეთე გაგირბის — დაეწიე, თუ სიაცე მოგდევს — გაექეციო.
3527
- თუ ტკბილის თქმა შეგიძლია, მწარეს რაღად უნდა ლაპარაკობ-
დეო. 3528
- თუ შენ არ იცოდე, სხვას დაუჯერეო. 3529
თვითონ თუ არ იცი, სხვებს ჰკითხეო.
- თქმა და ქმნა ერთიაო. 3530
გინდა გითქვია, გინდა გიქნიაო.
- თხილსაც შენ მაკმევე და ხილსაცაო. 3531
- თხოვნა მსუქანიაო. 3532
თხოვნა მადლიანიაო.
- იარაღიანს თუ უიარაღომ სმარებამდის მოასწრო, მერე იარაღი ზა-
რალიაო. 3533
- ელაპარაკე დროზე, დაჩუმდი დროზე. 3534
სათქმელი დროზე თქვიო.
- იმედი დიდი ყავარჯენიაო. 3535
- იმედი წამალიაო. 3536

- იმედლიანი სიტყვაც კარგიაო. 3537
- იმედით ცოცხლობს ყოველი კაციო 3538
- იმედიც კარგიაო. 3539
- ისე გაგიხდი საქმესა, ცალი თვალით გატირებ, ცალი თვალით გაცინებო. 3540
- ისეთ კაცსაც კი გაუტყდა თავი, რომელიც შენზე ჰკვიანი იყოო. 3541
- ისეთი ტყუილი უნდა თქვა, ფეხები ჰქონდეს — დადგომაც შეეძლოს და გაქცევაო. 3542
- იყავი მბაძი და არა მშურიო. 3543
კაცისა მშური ნუ იქნები და ბაძი იყავიო.
- კაი კაცი ხის წვერზე დაარჩენს ქალსაო. 3544
- კალმის წვერს ხანჯლის ძალა აქვსო. 3545
- კარზე მოსულს ნუ გააბრუნებ, მარილის მეტიც რომ არაფერი გქონდესო. 3546
- კარგ კაცს პურ-მარილი კალთაზე უყრიაო. 3547
- კარგ ქალს კარგი ცხენი სჯობია და კარგ ცხენს — კარგი თოფიო. 3548
- კარგი ამხანაგობა კარგი ძმობის დარიაო. 3549
- კარგი ვაჟკაცი მტრისაგანაც პატივსაცემიაო. 3550
- კარგი ვაჟკაცი და კარგი ძალლი სოფლის იმედიაო. 3551
- კარგი კაცი სარკეაო. 3552
- კარგი კაცობა კაცს არასოდეს წაახდენსო. 3553
კარგი კაცობა არსად დაიმალებაო.
- კარგი კაცობით ნაშოვნნი ლუკმა ტკბილიაო. 3554
- კარგი მასპინძლობა კერათაც უნდა ეტყობოდესო. 3555
- კარგი მეზობელი ამომავალ მზეს სჯობიაო. 3556
- კარგი მეზობელი მზეზე კარგი დასანახავია გაჭირებაშიო. 3557

- კარგი მეზობლის ჭირიშე, ვიცი, რომ გამომადგებაო. 3558
- კარგი სიტყვა კარგ ყმას ხმალივით უნდა ამშვენებდესო. 3559
- კარგი სტუმრის მოსვლა კერასაც გაუხარდებო. 3560
- კარგი ყანის მოზიარე მოყვარეს სჯობიაო. 3561
- კარგი შვილის დედა ქვეყანას ახარებდაო. 3562
- კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო. 3563
- კარგი ცოლი ამხანაგსაც სჯობია, ძმასაცაო. 3564
- კარგი ცხენი მთის ძირას იცდება, მეომარი — ომში და ხმალი — ჭრათიო. 3565
- კარგი ხარ თუ ავი ხარ, მე ხომ არას მარგიხარო. 3566
- კარგის მძებნელი ავს შეეყრებაო. 3567
შდრ.: № 3671
- კარგმა შვილმა მშობლებიც ასახელა და სოფელიცაო. 3568
- კარგმა ძალმა ავ კაცს აჯობაო. 3569
- კარგს დამალავენ, ავს მალე იტყვიანო. 3570
- კარგს კარგი არც კაცს შეხედება, არც ქალსაო. 3571
- კაუჭით მოწეული საქმე არ გაკეთდებაო. 3572
- კაცი ან ავკაცობით, ან კაიკაცობითაო. 3573
- კაცი გაგონებაში პირველი უნდა იყოს, სიტყვის თქმაში კი — ბოლოო. 3574
- კაცი ვაზომე გაჭირვებაშიო. 3575
კაცი იცნობა გასაჭირში და ღვინოშიო.
ნამდვილი მეგობარი ჭირში გაიცნობაო.
- კაცი გამოსცადე და მერე ეძმეო. 3576
- კაცი ღროზე აღრე არ მოკვდებაო. 3577
- კაცი თავის ბედს ვერ გაექცევაო. 3578
- კაცი თავის ენით პატივს კიდევ დაიყრის და კიდევ აიყრისო. 3579

- კაცი თავს ხის წვეროზე ირჩენსო. 3580
- კაცი კაცს ვერ დალუპავს, თუ ღმერთმა ხელი არ მოუშარტაო. 3581
- კაცი კაცის ბოძიაო. 3582
შდრ.: № 3233
- კაცი კაცის მტერია, ძაღლი კი — ერთგულიაო. 3583
- კაცი კაცს შეხვდებაო. 3584
შდრ.: № 1467
- კაცი მალე აშენდება, მალე დაიქცევაო. 3585
- კაცი მალე წაწყდება, მალე ცხონდებაო. 3586
- კაცი მაუცდომარი და ქვა აუცდომარი არ არისო. 3587
- კაცი მგზავრობაში გაიცნობაო. 3588
- კაცი ნუ მოკვდება, თორემ თუნდა სანაგვეზე გადააგდონო. 3589
- კაცი ოჯახის სტუმარიაო. 3590
- კაცი პაწაით არ დაიწუნება და ბევრით არ იქება. 3591
- კაცი რაზე გამოიცდება და — ყველაფერზეო. 3592
- კაცი რომ გაკირვებას ვერ გაიგებს, თავი ბედნიერი ჰგონიაო. 3593
- კაცი რომ დაბერდება, ხმალი უნდა დადვასო. 3594
- კაცი რომ დათვრება, ორი კაცის ტოლა გახდებაო. 3595
- კაცი რომ სიტყვის ღეჭვას დაიწყებს, იმისა აღარა დაიჯერებო. 3595
ღეჭვით ნალაპარაკევი არ დაიჯერებო.
- კაცი რომ წაიქცევა, ყველა ზედ შედგებაო. 3597
კაცი თუ წაიქცა, დიდი და პატარა ზედ მიცვივდებიან და გა-
დაქქელავენო.
- კაცი რომ ჰკვიანს დაუჯერებს, იმას სულელი არ ეთქმისო. 3598
- კაცი სანამ არ მოკვდება, მისი საქმე არ გამოჩნდებაო. 3599
- კაცი სანამ უცოლოა — ჰოტაა, ცოლს რომ შეირთავს — დალაბავ-
დება, შვილი რომ ეყოლება — დოლა გახდებაო. 3600
- კაცი საფლავში მოისვენებსო. 3601

- კაცი საქმით იცნობა და მგელი — ხახიაო. 3602
 შდრ.: № 3643
- კაცი სიკეთისაგან სიივეს უფრო აიტანსო. 3603
- კაცი სიკვდილს და სიბერეს ვერსად წაუვაო. 3604
- კაცი უნდა დიდთან დიდი იყოს, პატარასთან — პატარაო. 3605
- კაცი უნდა კაცი იყვეს, რომ დაჰპირდეს, არ გამტყუნდესო. 3606
- კაცი ფულში გამოსცადეო. 3607
- კაცი ყველას ნახავსო და სიჭეულეს ვეღარაო. 3608
- კაცი შეცდომებზე სწავლობსო. 3609
- კაცი შეხედულებით არ გაისინჯებაო. 3610
- კაცი შიმშილით არ მოკვდებაო. 3611
- კაცი ცოტა ხნის ბალახიაო. 3612
- კაცია — ათასადა ღირს, ასია — კაცად არა ფასობსო. 3613
- კაცია — მე მწუნობს, კაცია — მე ვწუნობო. 3614
- კაცის ამბავი მართალი თუ არ იცოდე. ნურც აქებ და ნურც აგი-
 ნებო. 3615
- კაცის გული არ გაძლებაო. 3616
- კაცის გულში დარდი არ დაიმალება, ძონძში — ცეცხლიო. 3617
- კაცის გულში ვის ჩაუხედნიაო. 3618
- კაცის გული შუშა არის, თუ ერთი გაიბზარა, აღარ გამთელდებაო.
 3619
- კაცის თვალი ხარბიაო. 3620
 შდრ.: № № 2884, 4775, 3635
- კაცის კაცითაა ყველაფერიო. 3621
- კაცის მოღალატეს საიქიოს საშველი არა აქვსო. 3622
- კაცის მოძულებულს ღმერთი არ მოიძულებსო. 3623

- კაცისთვის ყველაზე ძნელი თავის თავის ცნობააო. 3624
- კაცმა რამდენი რამეც იცი, იმდენი კაცი ხარო. 3625
- კაცმა რომ თავის თავგადასავალი იცოდეს, შინიდან გარეთ არ გამოვაო. 3626
- კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო. 3627
- კაცს ალალი ლუკმა დიდხანს გაწვდება, არამი — არაო. 3628
- კაცს თუ დღე არ დაელია, სული არ ამოუვაო. 3629
- კაცს თუ სახელი გაუტყდა, ძნელადღა გამთელდებაო. 3630
შდრ.: № 1958
- კაცს ისეთი საქმე უნდა ჰქონდეს, რო მძიმედ იყოს და შიგ ეშმაკი არა ძვრებოდესო. 3631
- კაცს კაცობა უნდა, თორემ უღვაში კატასაც კი აქვსო. 3632
- კაცს მანამდინ აქვს წერა, სანამ ჯოხზე გადაფრენა შეუძლიაო. 3633
- კაცს მუცელი სულ მალე გაუძდება, თვალი კი არასოდესო. 3634
- კაცის თვალს ვერა გააძღებს-რაო. 3635
შდრ.: № 3620, 2884, 4775
- კაცს ნიადგ ქორწილიც მობეზრდებაო. 3636
კაცს წართვით სუფრაც მობეზრდებაო.
ხშირი ლხინიც მოსწყინდება კაცსაო.
- კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს — ერთი სააქაოსათვის, მეორე — საიქიოსათვისო. 3637
კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს — ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო.
- კაცს ორი სიკვდილი მოუვა — ერთი დააქცევს, მეორე ააშენებსო. 3638
- კაცს რისიც სცხვენია, იმისაგან დნებაო. 3639
- კაცს რომ პირი სისხლით სავსე ჰქონდეს, ხმა არ უნდა ამოიღოსო. 3640
- კაცს როცა პირი შეეყრება, ლხინზე აღარა ფიქრობსო. 3641

კაცს სადაც მტერი ჰყავს, იქ მოკეთეც ჰყავსო. 3642

კაცს საქმე გამოცდის, ცხენს — გზაო. 3643
შდრ.: № 3602

კაცს სახელმწიფოს მართვა არ გაუჭირდება, როგორც თავის ცო-
ლისაო. 3644

კაცს ცოტა ეწყინება, ცოტა გაუხარდებაო. 3645

კაცს ცოტა მოაქლდება, ცოტა მიემატებაო. 3646

კაქკაქმა კრელი ბარტყები იცისო. 3647

კბილი ენის კლიტეაო. 3648

კბილი კბილს მოხვედება და კუჭი კარს გააღებსო. 3649

კვერცხი საბუღრით ამოღებული სჯობს ნაყიდსაო. 3650

კვირას ნათამაშევი ბავშვი ორშაბათსაც ითამაშებსო. 3651

კი არ ჩამოვედი, ჩამოვევარდიო. 3652

კითხვა აუგი არააო. 3653

კიცხვა ქებაზე ადვილიაო. 3654

კოჭლი, ბრუტიანი, ქოსა და ქაჩალი სანდო არ არისო. 3655

კუჭი სჯის და კუჭი ფიქრობსო. 3656

კუჭი ძმაზედ ახლოაო. 3657

ჩემი პირი ახლოს მაქვსო.

სტომაქი ძმაზე ახლობელიაო.

ლამაზი ნამძინარევი, მახინჯი ნააბანევი. 3658

ლამაზი ქალის მწყემსი მისი სინდისიაო. 3659

ლამაზი ქალის ცოლად შერთვა წყალში ჩავარდნააო. 3660

ლამაზი ქალი ცოლად შეერთე — წყალში გადავარდიო.

ლეჩაქახდილი დედაკაცი უნამუსოაო. 3661

ლხინი უტირალი არ არის და ჭირი უცინარიო. 3662

ლხინში მეც შენთანაო, ჭირში კი — შენ შენთვისაო, მე ჩემთვისაო.
3663

- მათხოვარი მათხოვარია, არმიმცემი უარესიაო. 3664
- მალვით მოღალატეს მალვითა სცემენო. 3665
- მამის სიკეთე შეილს ინახავსო. 3666
- მართალი გულთ ტიროდა, მტყუანი — თვალებითაო. 3667
- მართალსა და ტყუილს შუა ერთი ხელის დადებააო. 3668
- მართალში რას იძლევი, ტყუილში რას მომცემო. 3669
- მართლის მთქმელს ბევრი მოძულე ჰყავსო. 3670
 შდრ.: № № 1323, 1324, 1508
- მარჩიელას ნარჩიელაო. 3671
 შდრ.: № 3567
- მალა-დაბალი ღმერთს გაუჩენიაო. 3672
- მაშენებელი წაწყდესო. 3673
- მაშუალის ცალი ფეხი ეშმაკისააო. 3674
- მაჭამე და დამსაქმეო. 3675
- მგელს ძვალი აღრჩობს, ადამიანს — შურიო. 3676
- მდიდარი სიმდიდრეს იძენს, ბრძენი — ცოდნასაო. 3677
- მდიდარი ღმერთიაო. 3678
- მდიდარს ეშინოდა ცხოვრების გათავებისა, ღარიბს — შერცხვენი-
 საო. 3679
- მე გაწყენინე და შენ მაპატიეო. 3680
- მე ვსვამ ღვინოს და შენ თვრებიო? 3681
- მე ვწუხვარ და ის კი ოდელიას იძახისო. 3682
- მე კი არ მივრბივარ, გასაჭირი მიმარბენინებსო. 3683
- მე რომ ერთი ფუთი, შენ ერთი გირვანქა არაო? 3684
- მეგობრის გზა მეგობარს არ დაეკარგებაო. 3685
- მეზობელთან ჭირიც ღვინიაო. 3686
- მეზობელი თუ კარგად გყავს, შენც კარგად ხარო. 3687

- მეზობელი მეზობლის მგელიაო. 3688
- მეზობელი მეზობლის სარკეაო. 3689
 შენი მიჭკრიტანა შენი მეზობელიაო.
- მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო. 3690
- მეზობელს თუ რამე აქვს, შენ შენი შეგრჩებაო. 3691
- მეზობელს თუ რამე აქვს, შენცა გაქვსო. 3692
- მეზობლებში მოარულ დედაკაცს შინ ღმერთი უწყრებაო. 3693
- მეზობლობა გრძელიაო და ბრტყელიაო. 3694
- მეტი მიეცი და კარგი იგემეო. 3695
- მეტის-მეტი თავში რეტიო. 3696
- მეშურნეთა თვალი — ცეცხლის მინათვალი. 3697
- მზევ, ჩადი და ალოვ, გადიო! 3698
- მთელი ეს ქვეყანა სესხი და ვალიაო. 3699
- მთვრალი ეშმაკის ძმაო. 3700
- მთქმელი ვერა იქმს და მქნელი ვერ იტყვისო. 3701
- მიწა გრილიაო. 3702
- მიწას ბევრი გაუძლიაო. 3703
- მიწისთვის ბეწვიც კი დასანანიო. 3704
- მიხვედრილობა ჭკუაზე ნაკლები როდიაო. 3705
- მკვდარ კაცზე უმყრალესი ქვეყანაზე არაფერიაო. 3706
- მკვდარი ვის გაუცოცხლებია ტირილითა და ვიშითაო. 3707
- მკვდარი ღონიერიაო. 3708
- მკვდარს სიცილი შესწამესო. 3709
- მკვდარს ცოცხალში არა სცვლიანო. 3710
- მკვდარსაც კი დაასვენებენ. 3711
- მკვეხარას გაუჭირდებაო. 3712

- მოკება და ზარალი ამხანაგები არიანო. 3713
 სარგებელს ზარალი მოსდევს, ზარალს — სარგებელიო.
- მოვდიოდე — შემინახე, მივდიოდე — გამიძახეო. 3714
- მოკვდე — არ მოხვიდე, მოკვდე — არ მოვალო. 3715
- მოკვდები ნამუსისთვისა, განა თავი მომძაგებიაო. 3716
- მოვხუცი და გადავხუცი, ამ ქვეყანას რაღას ვუცი. 3717
- მოთმინება კარგი საქონელიაო. 3718
 მოთმინება სამოთხის გასაღებიაო.
 მოთმინება მწარეა, ნაყოფი კი ტკბილი.
 მოთმინებით ბევრ რამეს გააკეთებო.
- მომხილავი ცხონდესო და დამფხანი წაწყმდესო. 3719
- მოსვენება საფლავშიაც გვეყოფაო. 3720
- მოციქულის მოციქული მატრაკვეცააო. 3721
- მოწადინება ნახევარს საქმეაო. 3722
 მოწადინება საქმის ნახევრად გაკეთებააო.
- მტერი თუ არა გყავს, ნურც მოყვარე გინდაო. 3723
- მტერი რომ არ გყავდეს, პირობის გატეხით მტერს ნუ გაიჩენო. 3724
- მტერმა მტრის ამბავი არ იცის, თორემ მასთან ბრძოლა არ გაუძნელდებაო. 3725
- მტერმორეული და ჭირმორეულიო. 3726
- მტერ-მოყვარე ჭირში იცნობაო. 3727
- მტერს მტრულად დახვდი. მოყვარეს — მოყვრულადო. 3728
 მოყვარეს მოყვრული უნდა, მტერს — მტრულიო.
- მტრის შინ ყოლას ვეფხვთან ბრძოლა სჯობიაო. 3729
- მუშა კაცი ცხონებულიაო. 3730
- მუშას საკმელი, არამუშას — არაფერიო. 3731
- მუშვი და სიყვარული არ დაიმალებაო. 3732
 სიყვარულს, ცეცხლსა და ხველას ხალხისაგან ვერ დამალავო.

- მუცელი მადლობას არ გეტყვის. 3733
- მუცელი ჩემ ქვევით არის, ჩემ ზევით არაო. 3734
- მშრომელი კაცი სოფლის ბურჯიაო. 3735
- მცემე და მასწავლეო. 3736
- მძინარეს გველიც არ უკბენსო. 3737
- მწარე ენა თოფზე უარესიაო. 3738
- მხდალს ნუ გასდევ, თორემ გაყოჩაღდებო. 3739
- მჭამელი და არა მქნელიო. 3740
- მჯობნის მჯობნი არ დაილევაო. 3741
 მომრევის მომრევი არ გამოილევაო.
- ნაარმევი გამსხვილდება და მალე გაწყდებაო, ალალი კი გაწვრილდება და არ გაწყდებაო. 3742
- ნაარმი არავის არ შეერგებაო. 3743
- ნაბოლოვარი, შვილი მალე დაობლებულაო. 3744
- ნადიკვარზე რომ დააცემინო, ზუზუმბოზე ხეირს გეტყვიანო. 3745
- ნადირი აზრიანიაო. 3746
- ნადირი მონადირეს ეტანებაო. 3747
- ნადირა რომ კაცს დაინახავს, სიკვდილს დაინახავსო. 3748
- ნათესავეები ვართ: ჩემი ბაბუა და მისი ბაბუა ორივე ბაბუები იყვნენო. 3749
- ნათლულს ნათლის სამსახური არ მოსწყინდებაო. 3750
- ნამუსის ძაფი წმინდაა, უნამუსობისა კი — მსხვილიო. 3751
 ნამუსის ტყავი ფოჩივით თხელია, უნამუსობისა კი კამეჩის ტყავივით სქელიო.
- ნამუსიც კარგი საქონელიაო. 3752
- ნამუსიანს ერთი უთხარ, უნამუსოს — ათასიო. 3753
- ნაყიდს გემო არა აქვსო. 3754

- ნახული სჯობს ნათქვამსაო. 3755
 თავის თვალთ ნახული სჯობიაო.
 ბეჟანმა თქვა: გაგონილი ნახულთან არ იქნებაო.
 შდრ.: № 5519
- ნეტავი იმას, ვინც მოითმენს, ვაი იმას, ვინც ვერაო. 3756
 ნეტავი სიამოვნება მომცა და ნაცარი ამაფშრუკინაო. 3757
 ნუ მატყუებ სარქისაო, ეგრემც ღმერთი გაგზრდისაო! 3758
 ნუ მატყუებ სარქისაო, ხბოც მინახავს, ზაქიცაო!
- ნუგეში მაგარი ყავარჯენიაო. 3759
 ნუგეში მკვდარსაც ეთქმისო. 3760
 ნურა გინდა ეშმაკისა, ნურც ეშმაკი და ნურც ნაეშმაკარიო. 3761
 ნურც იფიცებ, ნურც აფიცებო. 3762
 ნურც შემომფხან, არც შემოგფხანო. 3763 .
 ობლის მამა ღმერთიაო. 3764
 ობლის თვალი ვერ გაძლებაო. 3765
 ობოლი დიდგული რომ არ იყოს, არ შეიძლება. 3766
 ომიანობა ზოგს ააშენებს, ზოგს გადააშენებსო. 3767
 ომს დიდი სისხლისღვრა მოჰყვებაო. 3768
 ორგული კაცი მცინარი, პირდაპირ მტერზე უარესიაო. 3769
 ორი ყური და ერთი პირი იმისათვის არის, რომ ბევრი ისმინო და
 ცოტა თქვაო. 3770
- ორპირობა ღვთისაც საძულველია და კაცისაცაო. 3771
 ორშაბათმა გაიარა, გულზე დარღმა გადიარა. 3772
 ოფოფს თავით იცნობენ, კაი საქმეს — ბოლოთიო. 3773
 ოქრო რომ ამოტივტივდეს, სამართალი დაიძირებაო. 3774
 ოქრო უხელოა, მაგრამ ყველაფერს აკეთებსო. 3775
 ოქრო ცეცხლში გამოიცილება, კაცი — კაცშიო. 3776

- ოჯახი ან დიდი წყლის პირზედა, ან დიდი მინდვრის პირზედაო. 3777
- ოჯახი მსუქანიაო. 3778
- ოჯახი მყლაპავიაო. 3779
- ოჯახი უძირო ქვევრიაო. 3780
- პარასკევი ოთხშაბათის წინ ვის სმენია! 3781
- პატარა კაცს გული ყელში სჩრიაო. 3782
- პატარა სიტყვა ლაპარაკში გაიზრდებაო. 3783
- პატარა ძღვენი და დიდი სირცხვილიო. 3784
- პატივისცემა არ დაიკარგებაო. 3785
- პატივისცემა კარგ კაცისთვის პატივია, ავკაცისთვის — პატიჟიაო.
3786
- პატიოსან კაცს ძილი არ გაუფრთხებაო. 3787
- პატიოსნება უენოდ ლაპარაკობსო. 3788
პატიოსნებას ენა არ უნდა, თვითონ ლაპარაკობსო.
ამ ქვეყანაზე მხოლოდ პატიოსნება ლაპარაკობს უენოდაო.
- პატიოსნება ფულით არ შეიძინებაო. 3789
- პირის გამთავებელი ძმაზედ უკეთესიაო. 3790
- პირდაუბანელი და ძმასაც არ ეჩვენებაო. 3791
- პირველი სამოსახლო წყალიაო. 3792
- პირმოთნე კაცი მტერზე უარესიაო. 3793
- პირს მუწუკიც მოერიდებაო. 3794
- პირუტყვიც სულიერიაო. 3795
- პირში მაქებარი ეშმაკის მოციქულიაო. 3796
პირში მაქებარი არ დაინდობაო.
- პურადძვირი გულკეთილი არ იქნებაო. 3797
- პურ-მარილი ბატონსაც კი ყმად გახდისო. 3798
- ჟამის ჭირი ყველას საძულველიაო. 3799

- ჟამის ჭირის შეყრა სჯობია ავი ცოლ-ჭმრის შეყრასაო. 3800
- ჟამის ჭირს ყველანი ემალებიანო. 3801
- რა გზასაც დავადექი, ხალხიც ისეთი შემხვდაო. 3802
- რა ჯილაც მშობლებს დაადგი, იმ ჯილას შვილი დაგადგამსო. 3803
- რადაც კაცი ღირს, იმად იარაღიო. 3804
- რამდენიც დღე მიდის, იმდენი სიკვდილს უახლოვდება კაცი. 3805
- რამდენიც თავია, იმდენი ჭკუააო. 3806
- რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერი ვერ უზამსო. 3807
 კაცი რომ თავს სიავეს უზამს, იმოდენას შვიდი ეშმაკიც ვერ უზამსო.
- შღრ.: № 5329
- რასაც მოიგებ, ბოლოს გაიგებ. 3808
- რასაც სხვისგან ვერ აიტან, ნურც შენ უზამ სხვასაო. 3809
- რასაც სხვისთვის მოინდომებ, შენ თავს გადაგხდებაო. 3810
- რასაც შენი თვალით არ ნახავ, ნუ დაიჯერებო. 3811
 თუ თვალით ვერ ნახო, ყურით გაგონილს ნუ დასდევო.
- რაც არ გეგონოს, იგი მოხდებოდესო. 3812
- რაც არ გეკითხებოდეს, ნუ მოიკითხავო. 3813
- რაც გინდოდეს სხვისთვისაო, მოგივიდეს თქმისთვისაო. 3814
- რაც შევექამე — ის შემრჩაო, რაც არა და — სხვას დარჩაო. 3815
 რაც რომ შევექამე — შემრჩაო, რაც არა — ოხრად დამრჩაო.
- რაც შენი ორი ყურით არ გაგიგონია, ნუ იტყვიო. 3816
- რაც ჩემთვის არ არის, თუნდ იყოს და თუნდ არაო. 3817
- რეგვენ კაცს ჭკუა თვალში აქვსო. 3818
 ბრიყვის ჭკუა თვალეში აქვს და არა თავშიო.
 ბრიყვ ადამიანს ჭკუა თვალში აქვს და რწმენა ყურებშიო.
 სულელს ჭკუა კბილებში აქვსო.
- რკინას ცეცხლი აწრთობს, ადამიანს — განსაცდელიო. 3819

როგორც აქლემი ნემსის უხნწში ვერ შეეტევა, ისე ვაჭარი სამოთხე-
შიო. 3820

როგორც ყველაფერი არ იქმნება, ისე ყველაფერი არ ითქმებაო. 3821
როგორც ყველასთან პური არ იქმნება, ისე ყველასთან სიტყვა
არ ითქმებაო.

როცა კაცს უჭირს, ნემსის უხნწში გაეტევა, როცა უღბინს — სახ-
ლის კარიც ვიწროდ ეჩვენებაო. 3722

როცა საქმე ჩემკენ მოდიოდა, ძაფით ვეწეოდი, როცა დაბრუნდა,
ჯაჭვითაც ვერ დავიმაგრეო. 3823

როცა უკან დახევა საშიშია, ლაჩარიც კი წინ წავაო. 3824

რჯულს გამოიცვლის კაცი და ხასიათს ვერაო. 3825

სადაც ავი არ ითქმება, იქ არც კარგი ითქმებაო. 3826

სადაც კუდი თავია, იქ თავი კუდიაო. 3827

სადაც მზე არ შედის, იქ ექიმი ხშირად შედისო. 3828

სადაც სიყვარული არ არის, იქ არც სიხარულიაო. 3829

სადაც ფული ჩხრიალებს, იქ სიმართლე ხრიალებსო. 3830

სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო. 3831

სადილთ უკან ხილობაო არის გვარიშვილობაო. 3832

აზნაურის ხილობაო არის გვარიშვილობაო.

ვახშმის უკან ხილის მირთმა გვარიშვილობა არისო.

სალამი მტერსაც არ დაეკავებაო. 3833

სამართალი და კანონი ძმებიაო. 3834

სამართალი ძალამ იცისო. 3835

საითაც ძალია, სამართალიც იქით არისო.

საითაც ძალამ გაიწია, სამართალიც იმას გაჰყვავო.

შდრ.: № 1502

სამშობლო დედაა კაცისა, უცხო მხარე — დედინაცვალიო. 3836

სამშობლო დედის ძუძუაო. 3837

სამშობლო კუთხე კაცობის ძირიაო. 3838

- სამშობლოს გამცემი ყველა მტერზე უარესიაო. 3839
- სამშობლოს ერთგული უდიდგვაროდაც დიდიაო. 3840
- სანამ შვილებს მშობლობა არ მიერგება, მანამდის არ იციან მშობ-
ლის დარდიო. 3841
- საოხრო და სატილო შინ არ შეიტანებო. 3842
- საქმე თუ თავიდან არ დაიწყე, ბოლო რა მოსახმარი იქნებო. 3843
- საქმე ხომ დათვი არაა, ტყეში გაიქცესო, — უთქვამს ზარმაცს. 3844
- საქონლის ღმერთი კაციაო. 3845
- საყვარლის აუგზე მოყვრის თვალი ბრმააო. 3846
- საშოვარი კარგია, ნაშოვარი — ძვირფასი. 3847
საშოვნელს ნაშოვნი სჯობიაო.
- საციქველი ვის დაუბრუნებიაო. 3848
- საწყალ კაცს ბეჩავი გული აქვსო. 3849
- საწყალ კაცს ღმერთი არ დაკარგავსო. 3850
საწყალ კაცს ღმერთი წყალობსო.
საწყალი კაცის ნუგეში ღმერთიაო.
- საწყალი კაცის აფთიაქი მიკიტნის დუქანიაო. 3851
- საწყალი კაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო. 3852
- საწყალი კაცის დღესაო არ დაელევა კვნესაო. 3853
- საწყალი კაცი ნატვრაშიც საწყალიაო. 3854
- სახლში უვარგისი სხვაგანაც უვარგისიაო. 3855
- სესხი და ვალი არ დაბერდებო. 3856
- სესხს უნდა მიუხაროდესო. 3857
ვალის აღებაში მიის — მიიმღერიან, მოის — მოტირიან.
მიის — მიიცინოდეს, მოის — მოიცინოდეს.
- სველი ენა რას არ იტყვის! 3858
ენა რას არ იტყვისო.
ენა ყველაფერს იტყვის, მაგრამ კაცს სინდისი უნდაო.

- სინდის-ნამუსი რჯულ-სამართალიაო. 3859
- სიაზიზით გამოზრდილი ხშირად ქოჩორს გაგლეჯინებსო. 3860
- სიბერით კაცს პატივი აპხდება და თავს დახრისო. 3861
- სიზარმაცე სილარიზის გასაღებიაო. 3862
 ზარმაცს სილარიზე მალე მოეწევასო.
 გაურჯელ კაცს შიმშილი კარს ადგასო.
- სიზმარი გორის ოდენა, გადავა ჩალის ოდენა. 3863
- სიზმარი სიბერკაცემდეო. 3864
- სიკვდილი განა კითხვით მოგივაო! 3865
- სიკვდილი და სიცოცხლე ამხანაგები არიანო. 3866.
- სიკვდილი ზურგს უკან გვიდგას. 3867
- სიკვდილი ყურს უკან გვაქვსო. 3868
- სიკვდილის დროს გველიც კბენას ეცდებო. 3869
- სიკვდილის მეტს ყველაფერს ეშველება. 3870
- სიკვდილს ვერ გაექცევიო. 3871
- სიკვდილს სიმაგრის მეტი არა გამოადგება რაო. 3872
- სილამაზეს მოხმარება უნდაო. 3873
- სილამაზეს რა ჭკუა აქვსო. 3874
- სიმართლე გაშლილი სუფრაა, რომ დაიკეცოს, ისევ გაიშლებაო.-
 3875
- სიმართლე ბოლომდე გაჭრისო. 3876
 სიმართლე ბოლოს თავს იმართლებსო.
- სიმართლე ზღვაში რომ გადააგდო, არ დაიკარგებო. 3877.
 სიმართლე არ დაიკარგებო.
 სიმართლე კაცს არ დაეკარგებო.
 სიმართლეს კაცს ღმერთი არ დაუკარგავსო.
- სიმართლე თქვი და მკვდარი ადგებო. 3878
 სიმართლე მკვდარს გააცოცხლებსო.

- .სიმართლე მერცხლის რძესავეთ ძნელი საშოვნელიაო. 3879
- სიმართლე მწვავეაო. 3880
- .სიმართლე სინათლეაო. 3881
- სიმართლე ჯანის სისაღეაო. 3882
- სიმართლის წინ მთებიც კი თავს მოიხრიანო. 3883
- სიმდიდრე უჭკუოდ და ცხენი უაღვიროდ არ ვარგაო. 3884
- სინდისს კბილები არა აქვს, მაგრამ კბენა კი იცისო. 3885
სინდისი უკბილოა, მაგრამ იკბინებაო.
- სინდის-ნამუსი კეტზე მაგარიაო. 3886
- .სირცხვილი დიდი კომბალიაო. 3887
სირცხვილი დიდი ქვა არისო.
სინდისი კომბალზე უარესიაო.
- სირცხვილი სიკვდილიაო. 3888
სირცხვილს სიკვდილი ბევრჯერ სჯობიაო.
შდრ.: № № 1991, 3331, 3889, 3887
- სირცხვილს სიკვდილი სჯობია და ორივე ერთად კი ჯოჯოხეთიაო.
3889
შდრ.: № № 1991, 3331, 3887, 3888
- სისხლი და ძმობა არ გაიყიდებისო. 3890
- სიტყვა ვერცხლია, დუმილი — ოქრო. 3891
- სიტყვა უსაქმოდ მკედარიაო. 3892
- სიტყვა ქარიაო. 3893
- სიტყვაშაქარმა შეგინახოსო. 3894
- .სიტყვის თქმასაც თავისი ზომა აქვსო. 3895
სიტყვის თქმაც რიგით არისო.
- .სიყვარული ბრმააო. 3896
- სიყვარული ვარდს ეძებს, ეჭვი — ეკალსაო. 3897
სიყვარული ვარდია, ეჭვიანობა — ეკალიაო.
- .სიყვარული წივასაც მიეკვრისო. 3898

- სიყვარულის დროს ნათქვამი სიძულვილის დროს არ უნდა ითქვასო. 3899
- სიშიშველე და შიმშილი არ გაიტანებაო. 3900
- სიცილი გადამდებია. 3901
- სიცილს ტირილი მოსდევს და ბევრჯერ სიცილი ტირილად გადაიქცევაო. 3902
- სიცილს ტირილი მოსდევსო.
ამდენ სიცილს ტირილის სენი უდისო.
- სიძუნწე სიმდიდრის შვილია. 3903
- სიხარბე კაცს ჭკუას წაართმევსო. 3904
- სოფელთან ჭირიც ღვინიაო. 3905
- სოფელი სოფლის წესითაო. 3906
- სტუმარი მოვა და წავა, სახლსა ბარაქა დარჩება. 3907
- სტუმარი ღვთისაა. 3908
- სტუმარი ძალღიჯ არ გაიგდება გარეთო. 3909
- სტუმრობა ხადელთ იციანო. 3910
- სულელს გული ენაზე აკერია, ჭკვიანს — ენა გულზეო. 3911
- სულელს ნურც მიენდობი, ნურც მიინდობო. 3912
- სული მწარეა. 3913
- სული ტკბილია. 3914
- სულელ კაცს ახალწელიწადს რომ ჰკითხო იანვარი როდის დგებაო, ვერ გეტყვისო. 3915
- სულელი მეგობარი მტერზე უარესიაო. 3916
- სულელი ვის მოუჭკვიანებია. 3917
- სულელი მკვებარა არისო. 3918
- სულელს მტერი რაღად უნდა, თავისი თავის მტერიაო. 3919
- სუფრას საზღვარი არა აქვსო. 3920

- ისწავლა სალესავია, კაცს ფხას აძლევსო. 3921
- ისწავლა სიმდიდრეს სჯობია. 3922
- ისწავლა სინათლეა, უსწავლელობა — სიბნელეო. 3923
 ცოდნა სამოთხეა, არცოდნა — ჯოჯოხეთიო.
- ისწავლა ცოდნის თესლია, ცოდნა — ბედნიერებააო. 3924
- სხვისა გული — ვით ჯურღმულიო. 3925
- სხვის კარებზე ნაზუქის ჭამას მირჩევნია ჩემ სახლში ნაცარი ვშუ-
 შოო. 3926
- სხვისი აუგი ნუ გაგეხარდებო. 3927
- სხვისი საფლავი არავის ამოუესიაო. 3928
- სხვისთვის მისაცემი ფული კაცის ჯიბეში ცხენის ჩონჩორიკი არი-
 სო. 3929
- ტიალი მიწა მკვდარსაც ინახავს და ცოცხალსაცო. 3930
- ტირილი ქალის საქმეა, გაძლება — ვაჟკაცისაო. 3931
- ტრაბახი უგევანი კაცის საქმეაო. 3932
 შდრ.: № 2149
- ტყუილი რომ არ იყოს, არც სიმართლე იქნებოდაო. 3933
- ტყუილით ქვეყანას მოივლი, მაგრამ უკან ველარ დაბრუნდებო.
 3934
- ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ დაუჯერებენო. 3935
 შდრ.: № 2623
- ტყუილს ნუ ამბობ, შეგარცხვენსო. 3936
- უავო კარგი ღმერთს არ გაუჩენიაო. 3937
- უარშიო შვილი მშობელთაც ნუ გაზრდიაო. 3938
- უბედოდ არაფერი იქნებაო. 3939
- უბედურება ბედს წინ უსწრებსო. 3940
- უგემური კაცი ლუკმას სხვასაც უგემურად შეაქმევსო. 3941

- უგვარო გლეხსაო თავში დაარტყმენ მეხსაო. 3942
- უგვარო სუფრიდან შორს დაჯდება და გვარიანი სკამს ახლოს მიიტანსო. 3943
- უგზო-უკვლოდ მოარული ორივ თვალით ბრმა არისო. 3944
უგზო-უკვლოდ მოარული მკვდარზე უარესიაო.
- უგნურს მოყვარე გაჭირებაში მოაგონდებაო. 3945
- უგუნურ მეგობარს გონიერი მტერი სჯობიაო. 3946
- უთავისო ღმერთმა მტერიც ნუ ქნასო. 3947
შდრ.: № 3953
- უთქმელები სამარეში წვანანო. 3948
- უქანაებს რო სცდიან, წინანი მაშინ დაფასდებიანო. 3949
- უკვდავ-უბერებელი არავინ არისო. 3950
- უმტრო ქიანჭველაც არ არისო. 3951
- უმცროს-უფროსობა ღვთის გაჩენილიაო. 3952
- უნათესაო ჯაგიც არ არისო. 3953
შდრ.: № 3917
- უნაყოფო ხეც კი არ ვარგაო. 3954
შდრ.: № 3963
- უნიათო ფაცა-ფუცი არის ცეცხლის ტკაცა-ტკუციო. 3955
- უსამართლობა ძაღლზეც არ ვარგაო. 3956
უსამართლოდ ძაღლსაც არ უნდა მოექცეო.
- უსახელო ქვაც არ არისო. 3957
- უსინდისო სტუმარი მასპინძლის მტერიაო. 3958
- უსწავლელი კაცი ამ ქვეყნად წაწყმედილიაო. 3959
უცოდინარი წაწყდებაო.
- უსწავლელი კაცი უტარო ცულიაო. 3960
- უქონლობამ უპირობა იცისო. 3961
- უღვთოდ ხეს ფურცელი არ ვარდებაო. 3962

უშვილო კაცი ჭირკიაო. 3963

შღრ.: № 3954

უცაბედად კაცს კაცი შემოაკვდებაო. 3964

უცოდველი კაცი სამარეს არ წავაო. 3965

უცოდველი კაცი ქვეყნად არ არისო.

შეუცდომელი კაცი არ გაჩენილაო.

უცოდველი ღმერთიაო.

უცოდინარი წაწყმდებაო. 3966

უწინ ბებერს მიაართვი — ის უფრო სულწასულიაო. 3967

უპკუო კაცს ცოტაც გაუკვირდებაო. 3968

ფათერაკი მწყერსა ჰგავს, უცებ თვალწინ ამოგინტებაო. 3969

ხიფათი მწყერს წააგავსო.

ფათაც შექამე, თევზიც შექამე და კიდევ უკმაყოფილო ხარო? 3970

ფეხი თბილად, თავი გრილადო. 3971

თავი იქონიე გრილად, ფეხები თბილად, კუქს ნუ დაამძიმებო.

ფინთს უთხარი კარგი ხარო, კარგი თავადაც კარგიაო. 3972

ფიცი გასტეხს მტყუან კაცსო. 3973

ფიცი პატარაზე გაჭრისო. 3974

ფრინველს ბუღით იცნობენ, კაცს — მამულითაო. 3975

ფრინველი ბუმბულით იცნობა, კაცი — საქმითაო. 3976

ფული ამოდებული ხმალიაო. 3977

ფულს ბატონი არა ჰყავსო. 3978

ფული ბატონის ბატონიაო.

ფულს დათვლა უყვარსო. 3979

ფული კაპიკობით შედგებაო. 3980

ფული მოსამსახურედ კარგია, ბატონად კი არ ვარგაო. 3981

ფული პატარა ღმერთიაო. 3982

ფული ხმალამოდებული ხელმწიფეაო. 3983

ფულით ჰკუთას ვერ იყიდის. 3984

შდრ.: № 4202

ფუტკარს კბენით ვინ შეიძლება, სატრფოს — წყევლითაო. 3985

ფუტკარის და ჰიანწველის წრომა კაცსაც ჰკუთას ასწავლისო. 3986

ქალი არ ვარგა ჰონებაბეერი და ენაგრძელიო. 3987

ქალი აშენებულ ოჯახს დააქცევს და დაქცეულს ააშენებსო. 3988

ქალი თმიანი, მწვადი მცვრიანიო. 3929

ქალი მაშინ გამოჩნდება, როცა აკვანს მოუჯდებაო. 3990

ქალი რომ თავის ნებაზე მიუშვა, მეზურნეს გაჰყვებაო. 3991

ქალი სხვათა სახლის ყორეაო. 3992

ქალი სხვისი კერის ნაცარიო. 3993

ქალი სხვისი ლუკმაო. 3994

ქალი სხვისი საქონელიო. 3995

ქალი სხვისა, არა დედ-მამისაო. 3996

ქალი შუბლგასნისი და კაცი შუბლშეკრულიო. 3997

ქალი წლისაო, მზითევი ათი წლისაო. 3998

ქალის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო. 3999

ქალის იარაღი კივილიაო. 4000

ტირილი ჩვენი ფარი და სმალაიაო, — უთქვამს ქალს.

ქალიშვილი ოჯახის ბოქაულიაო. 4001

ქალიშვილი ქალიშვილის მტერიაო. 4002

ქალმა თვითონ თუ არ დაიჭირა თავი, შენ როგორ დაიჭერო. 4003
ვერ შეიმავრებ იმ ქალს, რომელიც თვითონ არ იმავრებს თავსაო.

ქალმა თქვა: შვილი მინდა, ქმარი არაო. 4004

ქალს ვინც უპატრონებს, იმისიაო. 4005

- ქალს რომ დედა მოუკვდება, ბედი მაშინ შეეკვრებაო. 4006
- ქალს რომ შუბლის კაპი გაუწყდება, ღმერთი გაუწყრებაო. 4007
- ქალს სიკეთე ფაფანაგზე ეტყობა და სიავე — შუბლზეო. 4008
- ქართველ კაცს შნო ნატვრაშიაც არა აქვსო. 4009
- ქვეყანა არავის შერჩენიაო. 4010
- ქვეყანა ბორბლიანია, ზოგს აქეთ აბრუნებს, ზოგს იქითო. 4011
- ქვეყანა ბორბლიანია — ზოგი აღმა აჰყავს, ზოგი ჩაღმა ჩაჰყავსო.
- ქვეყანა ქარვასლაა — ზოგი შედის, ზოგი გამოდისო. 4012
- ქვეყანა ჩალით არ არის დახურულიო. 4013
- ქვეყანა ქვეყნის მოვალეაო. 4014
- ქვეყანა ქვეყნობითაო. 4015
- ქვეყანა ჭრელიაო. 4016
- ქვეყანაა და სამართალიო. 4017
- ქვეყნის ლაგამი ვის გაუჭედილაო. 4018
- ქვიდან ხარშო არ გამოვაო. 4019
- ქვიშის საბელი ვინ დაგრიხაო. 4020
- ქვრივი რომ განაზღებო, მეტად გალამაზებო. 4021
- ქვრივმა თქვა: ისეთი ბედი ვინ მომცა, რომ სანახველზე ჩურჩხელა ვიპოვოო. 4022
- ქონება თავს არ დამალავსო. 4023
- ქონება მგზავრია. 4024
- ქონს ნუ წამისვამ, ძალღი წამიღებსო. 4025
- ქორწილი უჩხუბრად ვის უნახიაო. 4026
- ქურდობის შეწამება თუ გინდოდეს, ჯამი და ბაწარი დაიჭირე ხელში და ტყის პირად გაჩერდიო. 4027

- ღარიბი კაცის დაპურება მაღლიაო. 4028
 ღარიბისთვის ლუკმის მიწვდა მაღლიაო.
- ღარიბი კაცის ლუკმა გემრიელიაო. 4029
- ღარიბის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო. 4030
- ღვთის ხელი ხელმწიფის გულზეაო. 4031
- ღვინით გალახულს ჯოხით გალახული სჯობიაო. 4032
- ღვინო გართმევს გონებასაც და ქონებასაცო. 4033
- ღვინოს დაუმეგობრდი, ნამუსს დაემშვიდობეო. 4034
 შდრ.: № 3312
- ღვინოსა და პურს არ ელაღატებისო. 4035
- ღმერთი თავის გაჩენილს არ დაკარგავსო. 4036
- ღმერთი კაცს არ მოატყუებს, არც მოტყუვდებაო. 4037
- ღმერთი მოგიწონებს, კაცი დაგიმადლებსო. 4038
- ღმერთი როგორც გააჩენს კაცს, ისე დაარჩენსო. 4039
 რამაც გაგაჩინაო, იმანვე დაგარჩინაო.
- ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, პირველად ჭკუას გამოუღვესო. 4040
 ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, გონებას წაართმევსო.
 ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, ჯერ თვალთ აუბნევს, მერე
 ჭკუას წაართმევს და ბოლოს ცნობასაო.
- ღმერთი შეუნდობს შეცოდებულთა. 4041
- ღმერთმა ყველაფერი საქმე ჭკვიანთან მოგცესო. 4042
- ღმერთმა შენი ნუ მოგიშალოსო. 4043
- ღმერთმა ცხოვრებაში ერთის მეტად ნუ მოგკლასო. 4044
- ღმერთს ავი იმისთვის დაუბადებია, რომ ჯოჯოხეთი არ დაცარიელ-
 დესო. 4045
- ღმერთს სამება უყვარსო. 4046
- ღმერთს სიმართლე უყვარსო. 4047
- ღმერთსაც კარგი უნდაო. 4048

- ლობე მიწას არ წაიღებსო. 4049
- ლონესაც მოსმარება უნდაო. 4050
- ლორმუცელა კაცის აშენება არ შეიძლებაო. 4051
- ყაირათიანობა სიძუნწე არ არისო. 4052
- ყბედის პირი ძაღლის ქონითაა მოპოხილიო. 4053
 ყბედის პირი ძაღლის ქონითაა მოქონილჲ, რამდენიც არ უნდო
 იყბედოს არ მობეზრდებაო.
- ყბედს სიტყვაძვირმა აჯობაო. 4054
- ყველა აბდალს თავი ჭკვიანი ჰგონიაო. 4055
 ყროლს თავისი თავი ღმერთად მიაჩნიაო.
- ყველა ბედით არისო. 4056
- ყველა გლახა დიდგულიაო. 4057
 ყველა გლახას დიდი გული აქვსო.
- ყველა გლახა ფაფხურობსო. 4058
- ყველა თავის სამარეს ამოავსებსო. 4059
- ყველა თავის კერას აქებსო. 4060
- ყველა კაცი თავის თავის მკურნალიაო. 4061
- ყველა კაცი კაციაო, კახაბერი სხვა კაციაო. 4062
- ყველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ცოლ-ქმრობისა კი — ზეცაშიო.
 4063
 ცოლ-ქმრობის საქმე ცაში რიგდებაო.
- ყველა სიკვდილის შვილიაო. 4064
- ყველა ტყუა, ამხანაგობა — არაო. 4065
- ყველა ტყუოდა, სისხლი და ხორცი — არაო. 4066
- ყველა ყველას არგებს და მუცელი მუცელს არ არგებსო. 4067
- ყველაზე საშიში მადლარი ძაღლი და მშიერი კაციაო. 4068
- ყველას გულს ვერ მოიგებო. 4069

- ყველას ერთი საზომით არ გაზომავენო. 4070
 ყველას თავისი ფასი აქვს: თხას თხისა, ციკანს — ციკნისაო. 4071
 ყველაფერი ადრეული სჯობია სიკვდილის მეტიო. 4072
 ყველაფერს აკლდეზოდესო და სარეცეს კი ემატებოდესო. 4073
 ყველი და პურიო — კეთილი გულიო. 4074
 ყველიერმა ზღვა დააშროო. 4075
 ყვირილს რომ ფასი ჰქონდესო, რუსთ ხელმწიფე ბაეს დაადებდა^ო
 4076
 ყმაწვილის გული ბოსტანია — რასაც დასთეს, ის მოვაო. 4077
 ყმაწვილს გვამი პატარა აქვს, სული — დიდიო. 4078
 ყმაწვილსა და გიყს არა ეძრახვიით-რაო. 4079
 ყმაწვილს სათამაშოებით იტყუებენ, მოზრდილებს — ფიცითაო.
 4080
 ყოველი გამყიდველი თავის საქონელს აქებსო. 4081
 ყურით ვისმენ და ძალი არა ვარ, რომ კუდი გავიქნოო. 4082
 შეგირდი კარგ ოსტატად ჯოხს გამოკყავსო. 4083
 შემოსავალს დაზოგვა უნდა, თორემ სიღარიბე კართან დგასო. 4084
 შდრ.: № 1162
 შემოსულ ყანას ნამგალი უნდა, ასაკმოსულ გოგოს — გათხოვე-
 ბაო. 4085
 შემოჩვეულ ჭირს მოშორება უნდაო. 4086
 შენ გძინავს, ვალი იზრდებაო. 4087
 შენ მკლავს გაიქნევ, მე ქადას გამოგიცხობო. 4088
 შენ მუცელში ქორწილია, ჩემში ნიშნობაც არ არისო. 4089
 შენახული შემნახავს უნდა სჯობდესო. 4090
 შენი ამხანაგი შენი სახელიაო. 4091
 შენი სვი და შენი ჰამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო. 4092

- შენი შრომით შექნილი ლუკმა ტკბილიაო. 4093
- „შენი ჰირიმეთი“ შვილი არ გაიზრდებაო. 4094
- შერიგებული მტერი ორმაგი მტერიაო. 4095
- შეყვარებულ კაცს ჰკუთას ვერ მოსთხოვო. 4096
შდრ.: № 3335
- შეცოდება თუ შეგიძლია, მონანიებაც შეიძელიო. 4097
- შეძლებული მეზობელი კარგია — რომ მოკვდება, მისი საკმევლის
სუნი მოედინებაო. 4098
- შვილი თავად არ შეაქო, სხვები უნდა აქებდნენო. 4099
- შვილი თაფლზე უტკბესიაო. 4100
- შვილი სიყვარულს შუა ჰყოფსო. 4101
- შვილი ჩვენი გვიყვარს, ცოლი კი — სხვისიო. 4102
- შვილმორცხული მტერმორეულსა ჰგავსო. 4103
- შვილს ვინც გიქებს — მტერია, ვინც გიძაგებს — შენიაო. 4104
- შინაურულად გაყოფილი კაცი ისევ გასაყოფი იქნებაო. 4105
- შიში თავს ზეით არ წავაო. 4106
- შრომაში ზარმაცი, ჰამაში მამაციო. 4107
- შუბლში გამოსადენი ოფლი კბილებში გამომადინესო. 4108
- შურიანები იხოცებიან, მაგრამ შური ისევე რჩებაო. 4109
- ჩამდინარი წყალივით დღეები აღარ დაბრუნდებიანო. 4110
- ჩასაფრებით და მიპარვით ლომიცა კვდებაო. 4111
- ჩემ არამკითხე შვილს რასაც არ ვკითხავდი; იმას აბრაგუნებდაო.
4112
- ჩემი ენა ჩემი მტერიაო. 4113
შდრ.: № 2524
- ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარიაო. 4114
- ჩემი მტერი ჩემი სვინდისიაო. 4115

- ჩემი ურგები თუნდა ზღვაში ქვა ედებულაო, თუნდა ქვეყანაზე კაცი ყოფილაო. 4116
შდრ.: № № 2126, 2519
- ჩემი ქულის ქვეშ მეც კაცი ვარო. 4117
- ჩემი ტილი ჩემთვის მქონდესო. 4118
ჩემი ჩემთვის იყოსო.
- ჩემი ცული მირჩენია შენს ოქროსაო. 4119
ჩემი ცული სხვის კარგს მირჩენიაო.
ჩემი ცოტა სხვის ბევრს მირჩენიაო.
შდრ.: № 2473
- ჩემობას იმას ვინანი, კაცი ვერ ვიცან ვინ არი. 4120
- ჩვენ ქვეყანაში შიმშილით ლეკიც არ მომკვდარაო. 4121
- ჩვილი ბავშვი ანგელოზიაო. 4122
- ჩიტის ძალაც კარგიაო. 4123
- ჩუმჩუმათობა ოჯახის დამქცევიაო. 4124
- ჩხუბის დროს გამშველებელი ღმერთიაო. 4125
- ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევსო. 4126
- ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგებისას შეგრცხვესო.
4127
- ცარიელი წახველ, ცარიელი მოხველ, რაში მეკნაჭებო. 4128
- ცას არავინ შეაბერდებო. 4129
- ცილისწამება ნასშირია, თუ არ დაეწევეს, გაგვცრის მაინცაო. 4130
- ცის ქვეშ რაც კაცია, ყველა სიკვდილისააო. 4131
- ციციშვილის ნასუფრალი — ამირეჯიბის სადილიაო. 4132
- ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო. 4133
- ცოდვა კაცს არ დააყენებსო. 4134
ცოდვა ან წინ მიეწევა, ან უკანაო.
ცოდვა ზოგს წინ მიეწევა, ზოგს უკანაო, ზოგს შვილიშვილანდო.

- ცოდო პატარძალიაო. 4135
 ცოლი ქმრის ფეხის ქალამანიაო. 4136
 ცოტა იცოდეს და ბევრს ლაპარაკობდესო. 4137
 ცოტა მეძინა, ბევრი რამ მესიზმრაო. 4138
 ცოტა ყოველთვის დარჩებაო. 4139
 ცოტას ცოტაც დააკლდებაო. 4140
 ცოცხლებმა იკითხონ, თორემ მკვდარს აბა რა უჭირსო. 4141
 ცუდა. უსაქმურა კაცი სულ მშიერი იქნებაო. 4142
 ცუდად გაზრდილი შვილი დედის სირცხვილია და მამის მწუხარე-
 ბაო. 4143
 ცუდს აპყვები და გადაპყვებიო. 4144
 ცუდი მეზობელიც მეზობლისთვის ამომავალი მზეა, კარგი რაღა
 იქნებაო. 4145
 ცუნცრუკი ამ წამს ნათქვამს იმ წამს გადათქვამსო. 4146
 ცხენი აზნაურისა, ხარი გლეხისაო. 4147
 ცხენი თუ არ ამუშავე, ბატონიაო. 4148
 ცხენი წყალზე მიუშვი, მაღალაშვილი — ღვინოზეო. 4149
 ცხენის სისხლში კაცის სისხლი ურევიაო. 4150
 ცხენსა და ცოლს ნუ ზოგავ, დღეს შენია, ხვალ — სხვისიო. 4151
 ცხვირს მოიწმენდენ და არ მოიგლეჯენო. 4152
 ცხონდა ყოველი, ვერა ძუნწიო. 4153
 შტრ.: № 4920
 ცნრა ქალის ჭკუა ერთი კაკლის ნაჭუჭში ჩაეტევაო. 4154
 ქალის ჭკუა ნაჭუჭშიაც ჩაეტევაო.
 ძალა ერთობაშიაო. 4155
 ერთობა ძალაა და ცალ-ცალკეობა — უღონობაო.
 ძალას რიგზე მოხმარება უნდაო. 4156

- ძალა ხომ სამართალი არააო. 4157
 ძალად ბედს ვერავენ იშოვისო. 4158
 ძალად ლამაზობა არ იქნებაო. 4159
 ძალად წართმევა გამიგონია; ძალად მიცემა კი — არაო. 4160
 ძალიან ნუ აიწვევი. მაღლა ღმერთთაო. 4161
 ძაღლის ერთგულებას არაფერი ეღრება კაცისთვისო. 4162
 ძაღლი ძაღლობას, გველი გველობას არ მოიშლისო. 4163
 ძაღლიც დადგება პურის ჭამაზეო. 4164
 ვეღმა ახალი იცისო. 4165
 ვეღვი გზა და მეგობარი სულ ადვილად იკარგებაო. 4166
 ვეღვი კაცის ნათქვამით სწირად არის მართალიო. 4167
 ვეღვი მტერი კაცს გულგაწმენდით არასოდეს არ დაუმოყვრდებაო. 4168
 ვეღვი პურ-მარილი არ დაიკარგებაო 4169
 შდრ.: № 1773
 ძიღმა მოპარვა იცისო. 4170
 ძიღი ძიღის პურის ცომიაო. 4171
 ძიღი ძიღის დედააო.
 ძიღს ძიღი მოსდევსო.
 ძმის მოღალატე ძმა მტერზე უარესიაო. 4172
 ძნელი ყოფილა შიმშილი, დამაგდებინა სირცხვილიო. 4173
 ძროხას მარილი ატყუებს, კაცს — ენაო. 4174
 ძროხის მოზიარენიც მოყვრები არიანო. 4175
 ძუნწი კაცის ცხოვრება ძაღლის ცხოვრებაზე უარესიაო. 4176
 ძუნწსა ჰგონია, სამოთხეს ფულითა ჰყიდიაო. 4177
 წადი და მრდი, განა წადი და დაიძინეო. 4178
 ჰიდი და მოდიო. განა მიდი და მოკვდიო.

- წარსულს ვედარ მოეწევიო. 4179
- წარსულზე ნუ ინანებ, მომავალს ნუ აუჩქარდებიო. 4180
- წელიწადს დიდი მუცელი აქვსო. 4181
- წვიმის დაჭერა უფრო ადვილია, ვიდრე გასათხოვარი ქალისაო. 4182
- წლის მოსავალი ყველას უნდა ჰხვდესო. 4183
- წუთი ფული ღირსო. 4184
- წუთისოფელი ჩქარიაო. 4185
- წუთისოფლიდან გაუმწარებელი არავინ წასულაო. 4186
- წუნია კაცი და ქალი წუნობაში გამოლამდებიანო. 4187
- წყალი ყველაფერს გარეცხს ნამუსის გარდაო. 4188
წყალი ყველაფერს ჩარეცხს და გაასუფთავებს პირშავობის
გარდაო.
- წყულულიანი გულის წამალი გულშივე არისო. 4189
- კამის დროს ძალღიჯ არ გაილახებაო. 4190
- კიის მოკელაც ცოდოაო. 4191
- კირი დანახული სჯობია დაფარულსაო. 4192
შდრ.: № 535
- კირის თქმა დამწვარ გულს ნასევრად ანელებსო. 4193
შდრ.: № № 2852, 535
- კირმა შეჩვევა იცისო. 4194
- კირი სიდედრსაო, ლხინი პირთეთრსაო. 4195
- კირს გაძლება უნდაო. 4196
სატკივარს გაძლება უნდაო.
- კირში მორიდება უნდაო. 4197
შდრ.: № 376
- კვიანი თავის თავს დაემდურება, უკეუო — სხვასაო. 4198
- კეუა ბევრს აქვს, მაგრამ მოხმარება ცოტამ იცისო. 4199

ჰკუა ბევრსა აქვს, მოხერხება — ცოტასაო.
ჰკუა უნდა გონებასა, მოსწარება ჰონებასაო.

ჰკუა მოგონებაზე კილიაო. 4200

ჰკუა საქმით გამოჩნდებაო. 4201

ჰკუა ფულზე ძვირიაო. 4202
შდრ.: № 3984

ჰკუა ხანში კი არ არის, თავშიაო. 4203

ჰკუავე, კარგი სამკაული ხარ, ვინც მოგიხმარსო. 4204
ჰკუას მოხმარა უნდაო.

ჰკუამრავალი ხელმრავალს ყოველთვის აჯობებსო. 4205

— ჰკუას რომ არიგებდნენ, სად იყავიო? — შენ საქებნელად ვიყავიო!
4206

ჰკუას რომ არიგებდნენ, არ დასწრებიო

ჰკუიანისაგან ძაგება გიჯობს სულელის ჰებასაო. 4207

ჰკორი ტილს ტიკად აქცევსო. 4208

ხათრი ხათაბალააო. 4209

ხათრიანი კაცი სამოთხეში ვერ შევაო. 4210

ხალხი ჰვევრი არის, რასაც ჩასძახებ იმას ამოგძახებსო. 4211

ხამი თამადისთვის შემოსწრებული სტუმარი კარგიაო. 4212

ხარბის თვალი არ გაძლებაო. 4213

ხარბი კაცი გზაშიაც სახითათაო. 4214

ხარბისა ნახევარი ყალბიაო. 4215

ხე ფესვითა დგას, ადამიანი — მოყვრითაო. 4216

ხელის მანდილი უნდა იყოს ძმა ძმისთვის და მეზობელი მეზობლისთვისო. 4217

ხემა და ჰვამაც იცის დარდიო. 4218

ხილს რომ პირი ჰქონდეს, თავის თავს თითონვე შეჰამდაო. 4219

ხილს უთქვამს: პირი რომ მქონოდა, ჩემ თავს მე თვითონ შეეჰამდიო.

„ხოლქე“ და „მეთქი“ კახის სიტყვის საგრძელებელია. 4220
„კოსე-კოსე“ სიტყვის გამზარაქიანებელია.
„არალე-თარალე“ სიტყვის გასამრავლებელია.

ხუთი გლახა ერთ ჭკვიანად არ ღირსო. 4221

ხუთამდე დათვლა ბავშვმაც კი იცისო. 4222

ხუმრობა თავს ვერ დაიჴერსო. 4223

ხუმრობა ჭკვიან კაცს ვერ დაიჴერსო. 4224

ხუმრობაში კაცი მოკლესო. 4225

ხუმრობაში კაცის ჭკუა მოკლეაო. 4226

ჩაფახვლების საათი მამალიაო. 4227

ჩაფახვია და ბრიყვობსო, დაე, თავისთვის იყოსო. 4228

ჩან-ლონით ცოცხლობს კაციო. 4229

ჩდომას და დგომას ერთი ფასი აქვსო. 4230

ჩერ ნომკლავ და მერე გამაცოცხლებ? 4231

ჩერ შობა, მერე აღდგომაო. 4232

ჩიბრს ჩიბრი მოაქვსო. 4233

სიტყვის მასალა და ფრაზეოლოგია

ა. დათვი და ა. კვალიო! 4234

ეს შელია და ეს მისი კვალიო!

წიღრ.: № 529

აბაზის საქმეზე მანეთის მაყარიჩი. 4235

აგიაშვილის გამდეღივით არ დაგემართოს. 4236

შღრ.: № 4774

ადგომაში კეტი უნდა, დაჯდომაში — ბოძკინტიო. 4237

ადამყოფს ჰკითხავენ. 4238

ავტალაში ქორწილიაო! 4239

შდრ.: № 57

აირია მონასტერი! 4240

ამომავალ მზეს ეთამაშება. 4241

ამომავალ მზეს ჰკავს. 4242

ამომავალ მზესავით უყურებს. 4243

ან ვირი დარჩება, ან ვირის პატრონი. 4244

შდრ.: № 4828

ან მოჰკლავს, ან შეაკვდება. 4245

არაფერი ბედაური შვილია! 4246

არც აცივა, არც აცხელა. 4247

არც ბატონს მახტანს აძლევს, არც მღვდელს საწეაო 4248

არც დაარტყამს, არც გაილახება. 4249

არც ღელაა, არც ღედინაცვალიო. 4250

არც თავისთვის უქნია ღმერთს, არც სხვისთვისო 4251

არც მთისაა, არც ბარისაო. 4252

არც მოკლავს, არც მოგარჩენს. 4253

არც მწვადი დაწვა, არც შამფურიო. 4254

შდრ.: № 1617

არც ფლავია, არც ჩლავიო. 4255

არც ფხისაო, არც ხისაო. 4256

არც ღვინოა, არც წყალიო. 4257

არც ღვთისაა, არც კაცისაო. 4258

არცა ვქნა და არცა ვთქვაო? 4259

ასარ-ბასარ-ყურქედანასავით ეცაო. 4260

ასე გაგხდი, რომ კარი კედელი გეგონოს და ვირი — მჭედელი. 4261

- ანე ჰგონია. ალა-ალა იყოს. 4262
- ანტიკვარი თავი რად ავიტყიო! 4263
- აფსუს, ქალო და მზითეო! 4264
- აქ მე ვარ და გორს ამირანიო. 4265
- აქ ცოცხლებს აკლიხარ და იქ მკვდრებს. 4266
მკვდრებს აკლიხარ, ცოცხლებს არ არგინარ.
- აქლემი და გალია? 4267
- აღარც ნიხვრება, აღარც მეყრება. 4268
შდრ.: № 2727
- აღდგონა და ხვალაო. 4269
ალილო და ხვალეო!
ალილო და ხვალეო, ღმერთო შეგვიწყალო!
- აღდგომის კვერცხივით უხარია. 4270
- ახალი ტყუილი ურჩევნია ძველ მართალსა. 4271
- ახალი ცოცხია. 4272
შდრ.: № 178
- ახია ვირზე კურტანი! 4273
- ახითა და იოლითა, განა ხახვითა და ნიორითაო! 4274
- აჯაფსანდალი გახდა. 4275
- აჰყვა ფეხის ხმასაო. 4276
- ბაგა არ მივა ძროხასთან. 4277
- ბამბით მოგჭრის ფეხს. 4278
- ბარში ჰყუა დაუკარგავს, მთაში ეძებსო. 4279
შდრ.: № 210
- ბაღია არ დამიტყეპნო! 4280
- ბევრი ფაცია-კალო გადაჰხედია. 4281
- ბზობის ყვაევივით დაიკარგა. 4282
- ბოლოკად არ ჩაუგდია. 4283

- ბრიყვის საკითხავი, ჭკვიანის მოსახმარისი. 4284
- ბუ კი არა, ბუსკუნჩია. 4285
- ბურთი და ზოედანი შენ დაგრჩა. 4286
- ბუხარში ჯეჯილი ამოსულა. 4287
- გააგდო ძვალი. 4288
- გადააგდეს ზღვაში თევზი! 4289
შდრ.: № 1300
- ჯამარჯობა, ცარიელო მამუკაო! 4290
- გამდიდრდა და გაბუღდაო. 4291
- გამიყვანა სამართალშიო. 4292
- გამოდგა დამპალი კომშივითა. 4293
- განა ბებერი ცხენი ქერს არა ჭამსო! 4294
- განა ვირს კურტანი მოუხდება? 4295
- განა ნინიას ბაკია! 4296
- განა ჩვენ ხარის რქაში გვეძინა! 4297
- გასცვივა ზურგში. 4298
- გასწორდა მთა და ბარი! 4299
- გატეხილ ხილამდის იციან. 4300
- გაჭირვების ტალკვესია. 4301
- გესმოდეს კარო, კედელოო! 4302
- გვარია, განა მჩვარია! 4303
- ვზამართალს ადგია. 4304
- ვიყიდის და გაგყიდის. 4305
- გორი გორს შეხედება. 4306
შდრ.: № 1467
- გუდასავით გაგბერავ. 4307

- გული აქვს ქვეყნის ოდენა და ღობე აქვს წიწილის ოდენა. 4308
გული გულის ადგილასა აქვს. 4309
გული შიგნიდანა აქვს. 4310
გურიელის სული ნუ წაგიწყდებო. 4311
გცემ და არ გატირებ. 4312
დაბალი ღობეა. 4313
 შდრ.: № 2413
დაბმულ მგელს ააწყვეტინებს. 4314
დათვის მოწამლავს. 4315
დაიცა, გნახავ, ლიახვო! 4316
 შდრ.: № 5042
დაიჭირე ქარი მინდორში. 4317
დალაქობას ჩემ თავზე სწავლობს. 4318
 შდრ.: № 532
დამპალი ვერა უძღვებს-რა! 4319
დამწვარს მღუღარე დაასხა. 4320
დანა პირს არ უხსნის. 4321
დანა ყელთან მაქვს. 4322
დაუკრეფავში ნუ დადიხარ. 4323
დაჭრილი ირემია. 4324
დიდმა საწყავმა დაგვლუპა. 4325
დომხალივით აირია. 4326
დროც არის პაპიჩემისაო! 4327
დღეში შვიდი პარასკევი აქვს. 4328
ეგ არის და გორის ციხე! 4329
ეგ საკენკი თქვენ ქათმებს დაუყარე. 4330
ეგრე არ მიწირავს და ვერცა ვწირავო. 4331

- ელეთ-მელეთი მოსდის. 4332
- ენით გამოაქვს ნაკვერჩხალი. 4333
- ენუქას ანდერძს ჰგავსო. 4334
- ერთი ალთას, მეორე ბალთას. 4335
შდრ.: № 170
- ერთი ვაია, მეორე ქვაიაო. 4336
- ერთი შეწვი, მეორე შესცხეო. 4337
- ერთი ცეცხლია, მეორე — ნავთიო. 4338
- ერთხელ კოჭლიც წინაო. 4339
შდრ.: № 2177
- ეს ბურთი და ეს მოედანი! 4340
- ეს დღე ხომ კატას არ შეუჭამია. 4341
- ეს ვირი და ეს ხეო! 4342
შდრ.: № 1100
- ეს თუ არ გინდოდა, აქ რა გინდოდაო! 4343
- ეს ისეთი აქლემია, რომ ყველას კარებზე დაიწოქებსო. 4344
- ეს ყური დამათალე, თუ... 4345
- ეშმაკის ცხენზე შეჯდა. 4346
- ეშმაკს მიჰყიდა სული. 4347
- ვარსკვლავებს ეთამაშება. 4348
- ვერ ჭამა კატამ ნიორი! 4349
შდრ.: № 1402
- ვინ გკოცნის, რომ ლოყას იშვერ! 4350
- ვირის კუდივით არც გრძელდება, არცა მოკლდებაო. 4351
შდრ.: № 830
- ვირის მუშა ხომ არ არის? 4352
- ვის გამოუტყვევს და ვინ შეჭამა! 4353
- ვის ღარჩენია ქვეყანა! 4354

- ვისი ტიკი-ტომარა ხარ! 4355
- ვიცი, პიტნავ, რაც სუნი გიდის! 4356
- ზენა ქარია. 4357
- ზურნა რომ უყვარს, სახეზე ეტყობა. 4358
- ზღვის გამოგდებული ხომ არ არის. 4359
- თავზე კაკალს ამტვრევს. 4360
- თავზე ცეცხლი ეკიდება. 4361
- თავზე ხელი აუღია. 4362
- თავი მოძულეებული აქვს. 4363
- თავი ნაპოვნი აქვს. 4364
- თავი ქვას ახალოს და მტყელი სამართებელსაო. 4365
- თავი ქულში აქვს. 4366
- თავი შეირუჯა. 4367
- თავის ჭიას ახარებს. 4368
- თავისი ალო გამოუყვანია. 4369
- თავისი არ უავს. 4370
- თავისი გამოფურთხებული თვითონვე ალოკა. 4371
- თავისი კალო გაუღეწია. 4372
- ჩემი წილი კალო გავღეწე.
თავისი პური შეჭამა.
- თავისი ჩრდილის ეშინია. 4373
- თავს ზევით ღონე არა მაქვს. 4374
- თავს პატივი დასდე. 4375
- თეთრი შაშვია. 4376
- თვალთან თითს ვერ მიიტან. 4377
- თვალიდან ბეწვს ამოგართმევს. 4378

- თვალს წყალი დააღვინა. 4379
 თვალსა და ხელს შუა მოგატყუებს. 4380
 თვალში ეკლად ესობა. 4381
 თვალში უზის. 4382
 თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამს. 4383
 თვალში ჩაეწება. 4384
 თვალშიც ვერ ჩამხედავო. 4385
 თითებით სამარე არ გამითხარო. 4386
 თოვლივით და ახალწელიწადივით ერთად წავიდნენო. 4387
 თოქს არ ვანდობ. 4388
 თოფის წამალივით აფეთქდება. 4389
 თუ არ გვეყოფა, ჩვენ ვეყოფით. 4390
 თუ არ სტყუი, აგე, კოტორიო! 4391
 იდგე — არ დაჯდე, იჯდე — აღექი. 4392
 იმდენი ვიცი, რომ ცაზე მალაღია. 4393
 იმდენს გცემ. ნახევარიც ვერ დათვალო. 4394
 იმდენს გირტყამ, მომხედო ვერ მიცნო.
 იმის ბედს ძალიც არ დაჰყეფს. 4395
 იმის საცოდაობით ქვა იწვოდა. 4396
 იმისთვის თავიც არ შეუტხანია. 4397
 იმისთვის ფაფარიც არ შეუქანებია. 4398
 იმისთვის წარბიც არ შეუხრია. 4399
 იპოვნა კოვზი თაროზე! 4400
 ისე არიან ერთმანეთზე გადაკიდებული, როგორც კატა და ძაღლი.
 4401
 ისე გაება, როგორც ჩიტი კაკანათში. 4402

- ისე გამომიზნებული თოფის არ ეშინია. 4403
- ისე უყვარს, თვალში რო ჩაუყვარდეს, ხელს არ ამოისვამს. 4404
- ისე შვენის, როგორც ვირს კურტანი. 4405
- ისეა, როგორც ბატონი სამარეში. 4406
- იხეთი ენა აქვს, რომ ორსულ დედაკაცს მუცელს წაუხდენს. 4407
- იქნება ჩვენმა მამალმაც იყვილოს. 4408
- იცის ამ საქმის ავან-ჩავანი. 4409
- იცის და იტყვის. 4410
- კაკალი უგორეთ. 4411
- კაკალი შენზე გატყდაო. 4412
- კალია გაუჩინესო. 4413
- კატასავით ზურგზე არ დაეცემა. 4414
შდრ.: № 1175
- კაცია და გუნებაო. 4415
- კაცია და ქუდიც ჰხურავსო. 4416
- კაცს ქვეშიდან ხალიჩას გამოაცლისო. 4417
- კაცს ყურზე ხელს წაავლებს, წყალზე წაიყვანს, არ დააღვეინებს და ამოიყვანს. 4418
- კბილის მატლივით შეუჩნდა. 4419
- კედლებს განზე გასწევენ. 4420
- კერა მოითხოვსო. 4421
- კვალიდანაცა გჯობივარ და ველიდანაცაო! 4422
- კვერცხის მღებელი ქათამივით მოეძალებაო. 4423
- კიდევც კრის და კიდევც კერავს. 4424
- კიკოსავით მარტო დარჩა. 4425
- კისერზე რომ კიტრი დათესო, ამოვა. 4426

- კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. 4427
- კოვზით ზიარებაა. 4428
- კოჭებზე გეტყობა. 4429
- კოქივით მუდამ აღჩუზე ზის. 4430
- კრიჭა აუკრა. 4431
- კუდით ქვას ასროლინებს. 4432
- კურდღელს ურმითა სდევს. 4433
შდრ.: № 1538
- კუტიდან ნახშირს ვერ გამოარჩევსო. 4434
- ლანლად მახსოვს. 4435
- ლილა გაუცვდება. 4436
- ლუკმამ ქვეშ მოიტანა. 4437
- ლუკმას ყურში იდებს. 4438
- მაგის მუცლის ტკივილი სხვაა. 4439
- მაგის ფერისა ხატიც არ ვარგა. 4440
- მადლი მატლად გადაექცა. 4441
- მათხოვრის ჯოხივით მომადექიო. 4442
- მამალ ყვავს თავზედ არ ისვამს. 4443
- მანამ ბევრი თავი გახმება. 4444
- მანამ ბევრი ტურა იკივლებს. 4445
- მანუჩარი არ უჩქარის. 4446
- მარილივით გადაიმტვრა. 4447
- მარტის დღესავეთ იცვლება. 4448
- მას ჩემთან პირი არ უბანია. 4449
- მალლა ცას ატყუებს, ძირს — დედამიწას. 4450
- მე გეტყვი და შენ გინდ ყინულზე დასწერეო. 4451

მე და ძერას წიწილა მიგვაქვსო! 4452

შლრ.: № 2730

მე თხასაც ჰქვია, შენ თიკანიც არა ხარო. 4453

მე რალა მაჩანჩალა ვარ. 4454

მე შენსკენ და შენ ეშმაკებისკენო. 4455

მეკვერცხე დედალივით რას იარებო. 4456

მელიასავით გააგრძელა. 4457

მეცამეტე გოჭივით ეჩრება. 4458

მზეს შეკყურებს, როდის ჩავაო. 4459

მთამ გადმოვიქცევი, გადმოვიქცევიო! 4460

შლრ.: № 4797

მთვარემ შეივახშმა. 4461

მთის პირის ჩამონაბანი. 4462

მიატეხა ჩხირი. 4463

მითოვა, მიწვიმა. 4464

მის პურს მარილი აკლია. 4465

მისი ყოფნა მიწას ემძიმება. 4466

მიწაზედ ფეხს არ ადგამს. 4467

მიწაში რაა — იცის. 4468

მიჰყე მიხედულებასა! 4469

მკვდრებს აკლიხარ, ცოცხლებს არ არგიხარ. 4470

მოდო შენა და ვირი ტალახიდან ამოიყვანე! 4471

მოხვდა თევზი ჩანგალსაო. 4472

მსხალი პანტას დაადარა. 4473

შლრ.: №492

მურმანის ეკალია. 4474

მუქთ კუბოში ჩაწვება. 4475

შღრ.: № 1576

მუცელი ღმერთად გაუხდია. 4476

მუცელი ცხვირზე ჰკილია. 4477

მუხრუჭი მოუჭირე. 4478

მშრალზე ყოჩალია. 4479

მწარე წიწაკა არ მოგაგონდეს! 4480

მხარი ექცა. 4481

ნაზუქის სუნი დაგახრჩობს! 4482

ნალოსავით აეთრია. 4483

ნახშირი ჩაიღე პირში, არავინ შეგაშინოსო. 4484

ნემსი დანაკარგად არ მიაჩნია, აქლემი — საპოვნელადო. 4485

ნემსი შეურჭო და მახათს ეძებს. 4486

ნემსის ყუნწში გაძვრება. 4487

ნემსში მახათს გამოიყვანსო. 4488

ეგ ისეთია, სადაც ნემსს შესდებს, სახნისს გამოიღებსო.

ნემსით სახნისს გამოსთრისო.

შენ ისე გინდა, ნემსი დადო და მახათი აიღო.

ნისკარტს იწმენდს. 4489

ნონიანთ ხარი ხომ არა ვარ! 4490

ნუ გამიყვან სამართალშიო. 4491

ორი კაპიკი ჩემთვის კარგი მწვანილიაო. 4492

ორშაურიან თავზე ოცთუმნიანი ქუღია. 4493

ოქროს საციქველა ხომ არა ხარ? 4494

პანტის კოვზით შიგ ეჩრება. 4495

პირდაპირ არის ღომზე მარილი. 4496

პირველ ხმას რომ ჩვენ გვეუბნება, მოძახილს ჩვენი მოწინააღმდე-
გისკენ გაიძახის. 4497

- პირი პირია, განა ქვაბის ძირიაო! 4498
- პირი ღრინს არ მიშეება. 4499
- პირს იქით იწამს, საითაც ქარი ქრის. 4500
- პირს ნუ დააღებ, ბუზი ჩაგიფრინდება შიგაო. 4501
- პრასა არ გადააპრა ყურზე! 4502
- პური რომ მკეროდა, ძალი არ გამომართმევდა. 4503
- პურს ქალაში ვერ არჩევს. 4504
- პურსა ჭამ, ბალახს ხომ არა სძოვ! 4505
- რა ახალი კიტრით თავს იწონებ! 4506
- რა დაგიკარგავს, რას ეძებ? 4507
- რა მებაღის ყური გამოიბი! 4508
- რა მოსაკლავი გველივით თავი დაგიღვია! 4509
- რა ოთოთაანთ ქორივით დააცხრება ხოლმე! 4510
- რა ტოტზეც ზის, მას ქრის. 4511
- რა ციხემაგარიაო. 4512
- რა ქალი მოედება ენაზე. 4513
- რა ქალს წამოსდებს ენასო.
შდრ.: № 3399
- რა ხახვია ბორჩალოში! 4514
- რადა წევს ისეთ მშვილდს, რომლის მოწვევაც არ შეუძლია. 4515
- რავა იქყანები ყველის ვაჭარივით! 4516
- რავა რაჭველებივით მოიბოჭებით! 4517
- რას გაუშვებს მახობელა! 4518
- რაც მართალია, მართალია. 4519
- რაც მიწაზეა, ორი იმდენი მიწის ქვეშაო. 4520
- რაც ზევითაა, ის ქვევით არისო.
- რიყე რომ მიაბარო, ქვებს შეგიჭამს. 4521

- რიყეზე ქვა დაგეკარგება. 4522
შდრ.: № 1038
- როგორც ვიყიდე, ისე ვყიდი. 4523
- როგორც ორჯერ ორი ოთხია. 4524
- როდინობის კვირაშიო. 4525
- რომ დაკლა, სისხლი არ გამოუვა. 4526
- რძეც მინდა და მაწონიცა. 4527
- რწყილს დააწვენს და აქლემს აშობინებს. 4528
- რწყილს კამეჩად მოგაჩვენებს. 4529
- რწყილს ტყავს გახდის, რუმბად იხმარს. 4530
- რწყილს ფეხს არ ადგამს. 4531
- საბელი უთრიე. 4532
- სად მარხია ძაღლის თავი! 4533
- სადა მქამს და სადა მფხანსო! 4534
შდრ.: № 1886
- სადაც შენა ხნავ, მე იქ არ ვთესავ. 4535
- სავსე ჭიქასავით ვუყურებ. 4536
- სათხე მარილი სად არის! 4537
- საიდან კუდი ილლიასაო! 4538
- საიდან სადაო, წმინდაო საბაო! 4539
- საიდანაც მოსულხარ, ისევ იქით წადიო. 4540
- საითაც წითელ კაკაბს დაინახავ, იქით მირბიხარ. 4541
- საკოცნელი პირი საფურთხებლად რად გავიხადო? 4542
- სამ ქცევა ტყეს ეყოფა ქაჯად. 4543
- სამარეში სუდარას მოიპარავს. 4544
- სამართალმა პური ჭამოსო. 4545

- სამგლე გოჭივით ატყდაო. 4546
- საორმოცე სნებასავით გადამეკიდა. 4547
- სარჩული სჯობს საპირესა. 4548
შდრ.: № 1146
- საქმე ბოლოში. 4549
- საყალიონე დავლით... საყალიონე წავიძინოთ. 4550
- საყდარში ხატები დაგეკარგება. 4551
- საცინლად არ ეყოფა. 4552
- საძაღლ-ლორედ გახდა საქმე. 4553
- სახელი ჩემი და სახრავი სხვისაო. 4554
სახელი მგლისა, სახრავი მღვდლისაო.
რა: ე სახელია, ის სახრავი არ არისო.
სახელია და სახრავი არაო.
სახელი მისია და სახრავი სხვისიო.
სახელადაც ეყოფა და სახრავადაცო.
- სახლი მოითხოვსო. 4555
- სახლიც ღვთისაა და სტუმარიცაო. 4556
- სესხი და ვალიაო. 4557
- სიზმარივით იცქირებაო. 4558
- სიკვდილამდის გსდევს. 4559
- სიკვდილი თვალზე აქვს აღებული. 4560
- სიკვდილის მახარობელი. 4561
- სიკვდილში მიგიდგამ ფეხს. 4562
- სინათლე ორივ თვალისაო. 4563
- სირცხვილ-ნამუსი წაუხდა. 4564
- სიტყვა ბანზე შეავდო. 4565
- სიტყვა-პასუხი წაუხდა. 4566

სიხარულით თვერი ამოუვიდა. 4567

სტამბოლი ჯავრადაო! 4568

შდრ.: № 733

სული ბურღოში არ გაახვიო. 4569

სული გვამში არ უდგება. 4570

სული კბილით უჭირავს. 4571

სულის სიმართლეზე თქვი. 4572

სხვისთვის მამაცი, თავისთვის ზარმაცი. 4573

სხვისი ხელით ნარსა გლეჯს. 4574

შდრ.: № 2066

ტალახში მოძეულია. 4575

ტირილი ცხვირზე ჰკილია. 4576

ტუჩით მკოცნის, ენით კი მკბენს. 4577

ტყუილად დავცვითე ვირის ქალამანი. 4578

ტყუილს ნუ ამბობ, თორემ ქარი აღგება. 4579

უვანშმო ძალღრვით დაუხრკენია კბილები. 4580

ურმით გღევ და დაგეწევი. 4581

უფეხო ტყუილია. 4582

უყმო ბატონივითა წყრება. 4583

რას წყრები უყმო ბატონივითაო.

უჩუმაჩი ქამანდი იცის. 4584

უცოცავე და უგოგავე კაცია. 4585

უხრიკავი საქმე სახრიკავად რად გავიხადო. 4586

შდრ.: № 4595

ფაფაში თითი ჩაგიკარო? 4587

ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო. 4588

ფეტვი არ გაჰვარდება ხელიდან. 4589

- ფეხებზე ჰკიდია ფოშტის ფულები! 4590
- ფეხები უკან რჩება. 4591
- ფეხები ფაფისა აქვს. 4592
- ფეხზე ცხვარი აბია. 4593
- ფილტვივით ზევიდან ექცევაო. 4594
- ფრჩხილით გასახსნელი კბილით გასახსნელად რად გავიხადო? 4595
შდრ.: № 4586
- ქათამივით ორი ფეხი აბია. 4596
- ქარავანს დაცილებიხარო. 4597
- ქარი არ ააყენო. 4598
- ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. 4599
- ქვა აქვს და კბილი ეწყალვის. 4600
- ქვა იწვის იმის საცოდაობით. 4601
- ქვაბში ნაღვეებს არ აყენებს, საღვეებელში — კარაქსაო. 4602
- ქვრივი დედაკაცივით წუწუნებს. 4603
- ქრისტეს ნათლულია. 4604
- ქრისტეს ტირილი აქვს. 4605
- ქრისტეს ფეხის მტკვერელია. 4606
- ღვთის წყალობას ვერ ეტყვი, ისეთი კაცია. 4607
შიშით ღვთის წყალობა ვერავის უთქვამს.
- ღმერთი მოგიწონებს, კაცი დაგიმადლებს. 4608
- ღმერთი რატო არ გაიცინებს. 4609
- ღმერთმა ქნას, ჩვენ ძროხას მგელი დაექიროსო. 4610
- ღმერთსა სძულს და ეშმაკს უამსო. 4611
- ღმერთსაც დაავიწყდა, კაცსაცაო. 4612
- ღმერთს კუყას რომ ასწავლიან, იმ ქვეყნიდან ხომ არა ხარ? 4613

- ლობე-ყორეს ედება. 4614
- ლორი გლეჯითაო. 4615
შდრ.: № 2370
- ლორივით მალლა ვერ აიხედავს. 4616
- ლორს ააჰყვირებს. 4617
- ლორს მარგალიტი დაუყარე! 4618
შდრ.: № 5534
- ღრუბელს გადაიყრის. 4619
- ყბას ნუ მიქცევ. 4620
- ყბები ძაღლის ქონით აქვს მოპოხილი. 4621
შდრ.: № 4053
- ყვაფი ჩხიკვის მამიდაო! 4622
- ყვავს ხმა ვინ მისცა! 4623
- შაბივით გადაიმტერა. 4624
- შაფი წარბი უყრია. 4625
- შამილის აშლა სჯობდა მაგის აშლასაო. 4626
- შარი ხეირად გადაექცა. 4627
- შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი. 4628
ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.
- შეაქვს და შეაკლესო. 4629
შდრ.: № 2453
- შეაყარე ცერცვი კედელს! 4630
შდრ.: № 1243
- შემოდგომის ბუზივით იკბინება. 4631
შდრ.: № 2455
- შენ ვინა გკითხავს, ბალი ათი შაურიო! 4632
- შენ მოტყუებულს კიდევ მოტყუება სჭირდება. 4633
- შენ რომ სასწავლად მიდიოდი, მე ნასწავლი მოვდიოდი. 4634
- შენ შენი ნომერი იცოდე! 4635

- შენ შენ ფუშრუკს მოურიე! 4636
- შენ შენთვის, მე ჩემთვის. 4637
- შენგან არ მიკვირს! 4638
- შენი გამზრდელი ეშმაკი ჩემი გამოზრდილიაო. 4639
- შენი ენა მოლს მოსწევას. 4640
- შენი ავლადიდებაო კატას აეკიდებაო. 4641
- შენი არც შარი მინდა, არც ხეირიო. 4642
- შენი მეზობელი შენს სხვენზეაო. 4643
- შენი ოსტატი ჩემი შეგირდი იყოო. 4644
- შენი სახუმარო კბილი რა ხანია მოვიცვალე. 4645
თქვენი სატყუები კბილი დიდი ხანია მოვიტეხეო.
- შენი უღვაშებიცა სვამს ღვინოს. 4646
- შენი ხმალი, ჩემი კისერი. 4647
- შეშა ტყეში ვის წაუღია! 4648
- შვიდი მაისის წვიმად არ ღირსო. 4649
- შვიდი ჰურის ამდუღებელია. 4650
- შინაც მახოხი და კარშიაცაო? 4651
- შორს და მშვიდობითო! 4652
- შუა ბაზარში მტრის არ ეშინია. 4653
- შუა ტყავებაშია. 4654
- ჩაითრია ბადაგმა ბუზი! 4655
- ჩაილურის წყალი დალია. 4656
- ჩემ ბაღში ხილს არავის მოვაწყვეტინებ. 4657
- ჩემი ვირი ყუდროზე დავაბი. 4658
- ჩემი თვალთ შეგახედაო. 4659
- ჩემი მტერიმც ატკბობს წიწაკასაო! 4660

- ჩემი ხნის ქვაც კი არაა. 4661
- ჩემი ხორცი რომ შეჰკამოს, გული არ მოუთმენს. 4662
- ჩემმა თავმა ქვა მარტყა? 4663
- ჩემმა სწავლებამ ჯვარი დაგწერა. 4664
- ჩემს უკან კუნძს მოხვედრიაო! 4665
შდრ.: № 2528
- ჩვენ ერთმანეთისაგან მხოლოდ თოხი და ბარი გაგვყრის. 4666
- ჩვენ შორის შავმა კატამ გაიარა. 4667
- ჩვენი თხები ერთად ვერა ძოვენ. 4668
ჩვენი თხები თქვენ თხებთან ვერა ძოვენ.
- ჩვენი მღვდელი ეგრე არ წირავსო. 4669
აგრე როდი წირავს ჩვენი მღვდელი!
- ჩიჩიაც გინდა, ბაბაცაო! 4670
კაკაც უნდა და ჩიჩიაცაო.
ჩიჩიაც მინდა, ბაბაც მინდა, კაკა ყველას მირჩევნიაო.
ჩიჩიაც შენა და ბაბაცაო!
- ჩიტი უფრინავს გულში. 4671
- ჩიტის სკინტლი აბაზიანი ჰგონია. 4672
- ჩიტის წველასავით გაიკვირვა. 4673
- ჩხირი კედელს! 4674
- ჩხირს ვერ გაამწვეტებს. 4675
- ცა ქულად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნად. 4676
- ცაი ფეხათ მოვა. 4677
- ცალი თვალით გაცინებ, მეორეთი — გატირებ. 4678
- ცალი ფეხი სამარეში უდგას. 4679
- ცალკე მზეა, ცალკე — მთვარე. 4680
- ცამდე კიბე ააყუდა. 4681
- ცამდე მართალია. 4682

- ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერა გაიგო-რა. 4683
- ცას ბეწვითა ჰკილია. 4684
- ცას გამოეკიდა. 4685
- ცას მტვერი მისცა. 4686
- ცას ხელი მოავლო. 4687
- ცდა ჩემი, ბედი — შენი. 4688
- ცეცხლი და ნავთია. 4689
- ცეცხლი მეკიდება. 4690
- ცეცხლზე წყალი დამისხა. 4691
- ცეცხლში რომ ჩააგდო, არ დაიწვის. 4692
- ციბრუტცივით ტრიალებს. 4693
- ცივ ქვაზე დაასახლებს კაცს. 4694
- ციციიანთ დავა გახდა. 4695
- ციციიანთ სუფრა ხომ არაა? 4696
- ცოდო არ ასვენებს. 4697
- ცოლია, განა ცომია! 4698
- ცოლ-ქმართ გამყრელია. 4699
- ცოცხალი სიცრუეა. 4700
- ცრუ და მავნე შეიყარა. 4701
- ცხვარმა მგელი შექამოსო! 4702
- ცხვირ ზეით არ აიციდენს. 4703
- ცხრაჯერ მონათლულია. 4704
- ძალად მაცხონეა. 4705
- ძალდი პატრონს ვერა სცნობს. 4706
- ძალდი ხსენებაზეო. 4707

შდრ.: № 2678

- ძალის მადლიერი კატა იყვესო? 4708
- ძალის ნაკბენივით დაგიმახსოვრებს. 4709
- ძალს რომ მიუგდო, დაჩუმდება. 4710
- ძვლებს ცალ-ცალკე ვეძებ. 4711
- წაღმა ხნავს, უკუღმა ფარცხავს. 4712
- წერას ხომ არ აუტანიხარ? 4713
- წითელი კოჭი ხომ არა ხარ? 4714
- წითელ კიღობანში შეინახა. 4715
- წინ მარტი უჩანს, უკან აპრილი. 4716
- წისქვილის ქვადა არ დატრიალებულა ჩემ თავზე. 4717
- წიწმატივით რას წიწმატობ! 4718
- წმინდა აზნაურიშვილია. 4719
- წყალი ნაპირზე გაგაგდებსო. 4720
შდრ.: № 89, 4836
- წყალსაც კბილები აქვს. 4721
- ქალას დიდი ბარდანაო! 4722
- ქიანქველას აეკიდება. 4723
- ქკუას ძალას ატანს. 4724
- ხან ალთას, ხან ბალთას. 4725
- ხელი ფაფას! 4726
- ხვალაც ამ თვისაა. 4727
- ხოხობივით თავსა მალავს. 4728
შდრ.: № 2924
- ჯანი გავარდეს ჯანიაშვილსაო. 4729
- ჯანი ჯანია, განა ბადრიჯანია! 4730
- ჯაყელის კაცი ხომ არა ვარ! 4731

- ჯერ აკიდებულს არ უვლია! 4732
- ჯერ ახალი ხილია. 4733
- ჯერ დედის ხსენი არ შეშრობია. 4734
- ჯერ რქები არ ამოგსვლია! 4735
- ჯოხი ჩემზე გადატყდა. 4736
- ჯოჯი. ხეთის მუგუზალია. 4737

ცრურწმენანი და ალათ-ჩვევები

- აღდგომა დარიანი, ამალღება ნამიანი, ყველა კაცმა დაიჯეროს, პუ-
რი მოვა ძალიანიო. 4738
- აღდგომას მზესაც კი უხარია, ისიც კი თამაშობსო. 4739
- ახალ მთვარეზე დათესილი ჭირნახული კარგი იცისო. 4740
- ბედნიერს თმა ეზრდება, უბედურს — ფრჩხილიო. 4741
- ბზობასა და აღდგომას ერთნაირი დღე იცისო. 4742
- გვრიტის ნახული კანაფი მარცვალს არ გაიკეთებსო. 4743
ყვავის ნანახი თესლი არ აყვავდებაო.
- გუგული მიფრინავდა და უკან სამი ჩიტი მისდევდაო. 4744
- დათვი რომ ხიდან ჩამოვარდება, სუქდებაო. 4745
- დიდი სულადისა და ღვინის ნიშანია ზამთრის პირს ცისარტყელა.
4746
- დილას ვაშლი — გულზე ვარდი, დილას მსხალი — გულზე შხამი.
4747
- ვაშლის ქერქი ცეცხლში ჩაყარე, ჩიტი დაგლოცავსო. 4748
- ვინც აღება ღამეს გაძღა — ცხონდაო, ვინც აღდგომასაო — ჯოჯო-
ხეთში წავიდაო. 4749
- ვინც თავს დაიბანს და ფეხს არა, სასუფეველში ვერ შევაო. 4750

ეშმაკს უთქვამს: იმდენი ვაცდინე, თავი დავაბანინე, ფეხები
. კი — არაო!

ვინც რომ მარტში ხორცი ჭამოსო, დედამ თავისი შვილის ხორცი
ჭამოსო. 4751

ვინცა ჭამა ქათმის გული, ვერ მოიგო კაცის გულიო. 4752

ვისაც ორშაბათი მოუცდება, მთელი კვირა მოუცდებაო. 4753

იანერის რვასაო ნუ გამოხვალ კარსაო,
ნურც მიხვალ დისასაო, ნურცა ცოლის ძმისასაო.
თუ მიხვედი ძმისასაო, თეთრი გედვას ქისასაო. 4754

კვირაძალის სიზმარი ან წუთსაო, ან ცრუსაო. 4755

ლუკმას დილისას წყალში ჩაჰყევო, საღამოსას — წიხლი ჰკარიო.
4756

მგზავრს კერათ ნაწმენდი არ უნდა გააყოლოო. 4757

მკვდრებს უთქვამთ: დიდ ორშაბათს, ძმანო, ბაგანი ამოხვეტეთ და
ისე მოგვიგონეთო. 4758

ნათლიღების წინა დღეო ნუ გგონია კვირადღეო. 4759

ორშაბათმა დამაშამათა, სამშაბათმა მათამაშაო. 4760

ორშაბათს ტანის დამბანი სამოთხის კარს ვერ იხილავსო. 4761

ოჯახი რომ გაუბედურდება, სახლი უარესადაო. 4762

სადაც და ძმის სიკვდილს გაიგონებს, იმ ადგილას ბალახი არ ამო-
ვაო. 4763

სიდედრი რომ სიძეს აუდგება, ნადირი გაეჭეცევაო. 4764

ფერიცვალობა დღეს ირემი ხეს არ გაეჭეცებაო. 4765

ფერიცვალობა დღესაო ქარი არ დასძრავს ტყესაო. 4766

ფთილა თუ ტარზე დარჩა, ქმარი ჯარში დარჩებაო. 4767

ქათამი რომ ქანდარიდან ჩამოფრინდება ან დანა, ან წყალიო. 4768

ღამის ერთი ცხვირის დაცემინება ხეირიაო. 4769

შაბათს გადაწმენდილი კვირა სადილობამდეო. 4770

წვიმიანი ამალღება — ყანა მალღა ამალღღება. 4771

წყალკურთხევის წინა დღესა, ამალღების უკანაო, ხორცი ისე არ იქმევა, როგორც ბავშვის წუნკალაო. 4772

ხუთშაბათის წვიმა ხუთშაბათამდღო. 4773

იბაკეზი, ნაკვესეზი

აგიაშვილის მოხუცი გამზრდელი ქორწილში ყოფილა დაპატიყე-ბული. სადილი არ უქამია, ისე წასულა, მაგრამ ქორწილისთვის ვე-ღარ მიუსწრია. შინ დაბრუნებულს ვეღარც სადილისთვის მოუს-წრია და შეწუხებულს ესლა უთქვამს:

— იქაც მოვციდი ქორწილსაო, აქაც სადილობასაო! 4774
შღრ.: № № 37, 1117, 4236

ადამიანის თვალი სასწოროზე აწონეს. ერთ პირზე თვალი იღო. მეორეზე აუარებელი ოქრო და ვერცხლი დააყარეს, მთები ააგეს, მაგრამ კაცის თვალი არ იქნა, ვერ გადაძლია. ერთი ურია მოვიდა ამ ღროს, ერთი ბეწო მიწა მიაყარა ოქრო-ვერცხლს და თვალი მა-შინვე გადაიძალა. 4775

შღრ.: № № 2884, 3620

აზნაურმა აბაზაძემ თავისი ოხუნჯობით თურმე ძალიან გაამხი-არულა გიორგი მეფე. მეფემ მადლობის გადახდა მოინდომა და ჰკი-თხა:

— რასა მთხოვო?

აბაზაძემ უპასუხა:

— გადმომიგდე იტრიაო, როგორც ერთი კიტრიაო.

მეფემ შეუსრულა თხოვნა და უბოძა სოფელი იტრია. 4776

აქლეში კლდეზე გადავარდა, ვირმა ყვირილი დაიწყო. ვირს ცე-მა დაუწყეს:

— რა გაყვირებღსო?

— ის გაყვირებღსო, რომ ა იმ აქლემს მე ამომაზიდვინებღსო! 4777

შღრ.: № 150

აქლემს ჰედდნენ და კურდღელი გარბოდაო.

— სად გარბიხარო და — დაგკედენ და მერე ამტკიცე, კურდღელი ხარ თუ აქლემიო! 4778

შდრ.: № 162, 499

აღდგომა დამეს ორი ქალი სახლში დარჩენილიყო, ეკლესიაში წასვლა ვერ მოეხერხებინათ. ერთმა მათგანმა მეორეს გასძახა:

— მოდი ყურში რაღაც გითხრაო.

მეორე ქალი მივიდა და ჰკითხა:

— რა უნდა მითხრაო?

— მემრის ლიტონიობას ერთად წავიდეთო! 4779

აპარელს ცხენი გადაეჩეხა კლდეზე და მიაძახა:

— სწორად დაგებიჯებინა ფეხი და არ გადაიჩეხებოდო! 4780

ბატონი თავისი ყმით მიდიოდა გზასა. წყალი შეხვდათ გასასვლელი. ხიდი არსად იყო. ბატონმა უბრძანა:

— შედი წყალში, დაფონეო!

— არა, შენი ჰირიმე, მე ბატონის წინ როგორ წავდგამ ფეხსა, წინ წასვლას როგორ გავებდავო!

ბატონი წყალში შევიდა, წყალმა წააქცია და წაიღო. ყმას აქეთ-იქიდან უყვიროდნენ:

— არიქა. შენმა ბატონმა ფეხები ამოიშვირაო!

— ბატონი თავის ნებაა, თუნდა მალლა იზამს ფეხებს, თუნდა დაბლაო. 4781

შდრ.: № 222

ბრმას ნასუფრალი მიუტანეს და უთხრეს:

— კარგი სადილი გაქვსო.

მან უპასუხა:

— გავსინჯავ, სიმსბოს ხელი იცნობს და სიტკბოს — ყელიო. 4782

შდრ.: № 1550

ბუზს სპილოს ყურში დაუზამთრდა, გაზაფხულამდე დარჩა, მერე გამოვიდა და სპილოს მადლობა მოახსენა. სპილომ უთხრა:

— ვინ ხარ? მე შენი არც შესვლა გამიგია და არც გამოსვლაო!

4783

გასათხოვარმა ქალმა უთხრა დედასა:

- სიძე მოგდისო!
- აბა სად არისო?
- ბოგატყუილეო!
- შენს თავს მოატყუილეო! 4784

გლეხი ყანას თოხნიდა. ამ დროს მეზობელმა ცოლის სიკვდილის ამბავი მოუტანა. გლეხმა თოხი ხელიდან გააგდო და წამოიძახა:
— ო, რა მაისის ორშაბათი გამიცდაო! 4785

გლეხმა ვირს საპალნე აკიდა. საპალნე ვირს მძიმე მოუვიდა, გლეხმა ჩამოხსნა საპალნე, თვითონ აიკიდა და შეაჯდა ვირს. ვირი სიმძიმისაგან მოიკაკვა. გაჭირებული რომ დინახა, გლეხმა შესძახა:

- აცე, ვირო, მე მკიღია, შენ ხომ არაო! 4786
- შდრ.: № 173

გურულს ჰკითხეს:

- საიქიო შორს არისო?
- რა ვიცი, მამაჩემი ოცდაათი წელიწადია რაც წასულია, ჯერაც არ დაბრუნებულაო. 4787

დედაკაცმა თქვა:

- გავიყვან ჩემ შვილს და საჯაროდ გავხეთქამო.
- ქვეყანას რას გამააჯავრებ, ჩემო დაო, — უპასუხეს დედაკაცებმა. 4788

ერთ ადგილს ჩვეულება ჰქონდათ, კაცი რომ დაბერდებოდა, გოდორში ჩასვამდნენ და კლდიდან გადაადგებდნენ. ერთი ბრმა ბერიკაცის შვილებმა მოინდომეს მამისთვის გოდრის დაწვნა, ბერიკაცს ესმოდა იმათი ლაპარაკი და ჰკითხა:

- რას აკეთებთო?

უთხრეს:

- არაფერს, გოდორსა ვწნავთო.
- ვიცი ვისთვისაც გინდათო, მაგრამ ისეთი გოდორი დაწანით. თქვენს შვილებსაც გამოადგეთო.

ეს რომ უთხრა, შვილებმა თავი მიანებეს გოდრის დაწვნას. მას შემდეგ ეს ჩვეულებაც დაივიწყეს. 4789

შდრ.: № № 1112, 1823

ერთ დედას შვილი სიკვდილის პირად ჰყავდა. მომაკვდავ შვილს მაინც დედა შეებრალა და უთხრა:

— ვაი, დედავ, რა შვილი გიკვდებო!

დედას უნდოდა ენუგეშებინა შვილი და უპასუხა:

— მაგდენიც არაფერი, შვილო, ჯავრს ნუ ჩაიყოლებ სამარე-შიო! 4790

შდრ.: № 752

ერთ კაცს გაუგზავნია მეორისათვის კაცი:

— კარგი ჯილაგის ღორი გყავს და გამიცვალეო.

იმას ერთი ხელსახოცი სიმინდი გაეგზავნა:

— აი, ეს აქამე და შენც კარგი გეყოლებო. 4791

ერთ კაცს ერთი ცხვარი ჰყოლია და როდესაც ის ცხვარი მთაზე გამოჩნდებოდა, დაიძახებდა, „აგერა, ჩემი ცხვარო!“ — თითქო ფარა ჰყოლოდეს. 4792

ერთ კაცს ურემი გადაუბრუნდა და თავის თავს რომ ვერა უყო რა, ასე წამოიძახა:

— ახ, სადა ხარ, პატარა ბიჭო, შენ დაგაბრალედიო! 4793

შდრ.: № 2127

ერთ კაცს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა მეფემ და საპყრობილეში ჩამწყვდეული ჰყავდა. დამნაშავეს მეგობრებმა გადაწყვიტეს სიკვდილი შეემსუბუქებინათ მისთვის და საწამლავეში ამოვლებული შემწვარი ქათამი შეუგზავნეს საპყრობილეში. როცა ერთ-ერთი მეგობარი მოწამლული ქათმით საპყრობილეში შევიდა, ტყვეს ურჩია — ახლავე ჰამე, სანამ გაცივდებოდესო. ტყვემ დაჭრა ქათამი და მიმტანიც მიიპატიჟა, ერთად ვჭამოთო, მეგობარმა უარი ვერ უთხრა, ჰამეს მოწამლული ქათამი და ორივე მოკვდა. 4794

შდრ.: № 1194

ერთ კაცს ღარიბი ნათლიდედა ჰყავდა. ერთხელ ნათლიდედას ნათლია ესტუმრა. ნათლიდედა ტიტველი იყო, ტანზე არაფერი ეკრა, შერცხვა და გოდორში დაიმალა. შვილებს უთხრა:

— ნათლია რომ მოვიდეს, უთხარით, დაიმალა, ჰრცხვენოდაო.

მოვიდა ნათლია, იკითხა ნათლიდედა და გაიგო, სადაც იყო და დაუძახა:

- ნათლიდელ, გამობრძანდი და საკაბეს მე მოგიტანო.
- მტყიცე და წმინდა იყოსო! — გამოსძახა გახარებულმა ნათლიდელამ.
- მაგ გოდორზე სქელი და თხელი აღარ იქნებაო. — უპასუხა ნათლიამ. 4795

- ერთ ხელმწიფეს ჰკითხეს:
- შეხა ჰკვდები, ბატონო, და ის მაინც გვითხარ, შენს შემდეგ რა დრო დადგებაო?
 - უარ და უარაო! — უპასუხა ხელმწიფემ. 4796

- ერთი კაცი მაღალი მთის ძირში იდგა შეუპოვრად. მთა ეუბნებოდა: — გამეცა, თორემ წამოვიქცევიო!
- კაცი იხევ იდგა, მთა არ იქცეოდა და კვლავ გაიძახოდა:
- გამეცა, თორემ წამოვიქცევიო და ქვეშ დაგიტანო.
- კაცი გაბეზრდა ბევრის მუქარით და უთხრა:
- შე ოხერო, წამოიქეცი, თუ წამოიქცევი, რაღას იმუქრებიო? 4797
- შდრ.: №4460

- ერთი კაცი მეზობლის ცოლს გაუარშიყდა. მოასწრო ქმარმა და მოსაკლავად გამოუდგა. კაცი გადახტა ბაღზე, სადაც ცერცვი ეთესა. გამწარებულმა მოგლიჯა ერთი ბლუჯა ცერცვი და ისე გარბოდა ქუდ-მოგლეჩილი. უკან კი მისდევდა დამუქრებული ქმარი. ერთმა მგზავრმა დაინახა და მიიძახა ქმარს:
- არა გრცხვენია, კაცო, ცერცვის გულისთვის კაცი უნდა მოკლაო?
- გამწარებულმა ქმარმა უპასუხა:
- ვინც იცის, ცეცხლია, ვინც არა და — ცერცვი ჰგონიაო! 4798
- შდრ.: № 792

- ერთი კაცი ქალის სანახავად მისულა. ქალისთვის უთქვამთ. წყალი მოიტანეო. ადგომის მაგივრად ქალი მითრილა და ისე გაუწვდია წყალი. მაშინ კაცს უთქვამს:
- მითრილო ქალო, მოთრილო წყალო, არც შენ მინდი ქალია. არც შენ დაგლევე, წყალო! 4799
- 312

ერთ მაღალ კლდეზე თავის ქალა ეგდო და იძახდა:

— გაოდამხრა გარდასავალი. აწ უარესსა მოველიო!

მგზავრმა შეხედა და თქვა:

— ამაზე უარესი რალა დაემართებაო?

შემოუბერა ქარმა, გააგორა და ანთებულ საკირეში ჩააგდო. 4800

ერთი რძალი თავს იბანდა, იმისმა უმძრახმა მაზლის ცოლმა ჯარა დაამტვრია და ცეცხლს შეუერთო, — ჩემ რძალს არ შეცივდესო. 4801

ერთმა მეცხვარემ იანვარში დაპარსა ცხვარი, — საქმეს წინ წავიგდებო. მაგრამ ცუდი ამინდები დაუდგა და ცხვარი სულ გაუწყდა. 4802

შდრ.: № 1075

ერთმა მონადირემ ტყუილი ამბის თხრობის დროს წინასწარ ამხანაგი გააფრთხილა: თუ გადავაპარბე, კალთა მომწიეო და დაიწყო:

— ერთი აელა მოვეკალი, შვიდი მეტრი კუდი ჰქონდაო.

ამხანაგმა კალთა ჩამოსწია, მომყოლმა დაუკლო:

— შვიდი კი არა, ხუთიო!

ამხანაგმა კიდევ კალთაზე მოსწია. ტყუილის მთქმელმა კიდევ დაუკლო:

— ხუთი კი არა, სამიო! ამხანაგმა კიდევ მოსწია; მაშინ მატყუარა მონადირემ შესძახა:

— თუ კუდი არა ჰქონდა ველარ მითხარო! 4803

ერთმა მღვდელმა ზეპირი თვლა არ იცოდა. დიდმარხვა დადგა თუ არა, დაითვალა ორმოცდაცხრა ლობიო და ჩაიყარა ჯიბეში. ყოველდღე თითოს აკლებდა ხოლმე. როცა ვინმე ჰკითხავდა, აღდგომა როდის მოვაო, დაითვლიდა ლობიოს და რამდენიც აღმოჩნდებოდა იმდენი დღის შემდეგ იქნებოდა აღდგომაც.

ერთხელ ცოლი მიეპარა და მთელი მუჭა ლობიო ჩაუყარა ჯიბეში. მეორე დღეს მრევლიდან ეკითხებიან:

— აღდგომა როდის მოვაო?

მღვდელმა ითვალა, ითვალა ლობიო და ვერ დაითვალა. შემკითხველმა უთხრა:

— მე რომ შენ ჯიბეში ლობიოს ვხედავ, აღდგომა თავის დღეში არ მოვაო! 4804

ერთმა შვილმა უთხრა დედას:

— ეს რისი მიზეზია, რომ ყველას დედას აგინებენ და მე კი არავენ მაგინებსო?

— ეგ ჩემი მიზეზია, შვილო, — უპასუხა დედამ, — მე ვარ კარგი: მიცნობენ და ამით არ გაგინებენო.

— არაო, — უპასუხა შვილმა, — მიზეზი მე ვარო.

— არა მეო, — გაუნიჭა დედამ.

— აბა, მაშ, თუ შენა ხარ, მიყურეო, — უთხრა შვილმა და გამვლელ კაცს შეაგინა:

— აი, შენი დედის ასე-ისეო!

— შენი დედისაცა და შენი მამისაცაო, — მიაძახა მგზავრმა.

— აბა. დედავ, შენა ხარ მიზეზი, თუ მეო? ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო. 4805

შდრ.: № 3245.

ვაყვაცს უთქვამს: ან ქორწილში რად წავალ, ან ქელეხშიო! თუ კაი ცოლი მეყოლება, ქორწილი შინა მქონია და თუ გლახა ცოლი მეყოლება, საგლოვიც შინ მექნებაო. 4806

თაგვებმა თქვეს: კატას ეყვანი შევაბათ, რომ ვეღარ მოგვეპაროსო. ბევრი ეძებეს, მაგრამ ეყენის შემბმელი თაგვი არ გამოჩნდა. 4807

თურმე ერთმა დათვმა ერთი სოფელი აამტუტა. ბოლოს სოფელი შეიყვარა და გადაწყვიტეს, მოეკლათ. ერთი კაცი წავიდა და დათვს მიუტანა ამბავი:

— სოფელმა გადაწყვიტა შენი მოკლა და თავს უშველო.

— შენ ეს მითხარი, — ჰკითხა დათვმა, — ერთი კაცია, თუ მთელი სოფელიო?

— მთელი სოფელიო!

— მაშ ვერაფერს მიზამენო, ერთი კაცი რო ყოფილიყო, გავიქცეოდიო. 4808

შდრ.: № 129

თხამ დააფრუტუნა. მგელმა უთხრა:

— ღვთის წყალობაო?

თხამ უპასუხა:

— ჩემი ღვთის წყალობაც შენა ხარ და ღვთის რისხვაცაო! 4809

თხამ თქვა:

— ერთი ხის ძირში გავძლები, მაგრამ მწყემსის ჯავრი მკირსო. ცხვარს კი უთქვამს:

— მე ქვეყანა რომ მოვიარო, მაინც ვერ გავძლები, მაგრამ მწყემსი მეზბრალეაო. 4810

ი ჩემი ქმარი, ის სულკურთხეული გულთმისანი იყო. იტყოდა: „ხვალ ან დარი იქნება, ან ავდარიო“ და მართლაც ისე იქნებოდაო. 4811.

იმერელ თავადიშვილ ნიჟარაძეს მოუთრავად ჰყოლია ვინმე ანტონ ჩიქოვანი. ერთხელ დიდი საქმე დასკირებია გლეხს ბატონთან. მოუთრავს უთქვამს:

— მე გაგიკეთებ მაგ საქმეს ბატონთან, მხოლოდ ქრთამად საჭირო იქნება ერთი ცხვარი და ერთი ძროხაო. ხვალვე მოიყვანე, ოღონდ, ცხვარი ბატონს მიართვი და ძროხა კი მე მომეცი გასამრჩელოდო. — თანაც დაბეჯითებით რამდენჯერმე გაუმეორა:

— არ დაგავიწყდეს — ცხვარი ბატონსა და ძროხა ანტონსაო! 4812

შდრ.: № 2649

იმერელი შეშაზე მიდიოდა, მჰადი წყალში ჩაუვარდა, წალდიც თან გადააყოლა: „წადი და შეშაც შენ მოიტანეო!“ 4813

შდრ.: № 1235

იმერელმა ნალი იპოვა, წაიღო სახლში და ცოლს უთხრა:

— ახლა სამი ნალი და ერთი ცხენილა მაკლიაო. ვიშოვი იმათაც, შეეჯდები, ჩალანდრად შევდგებიო და ფულებსაც ბევრს ვიშოვიო.

— იქიდან რომ მოხვალ, — უთხრა ცოლმა, — შემაჩინე და მამისას წამიყვანეო.

— შე ასეთ-ისეთო, დაღალული იქნება, როგორ შეიძლებაო, — დაუწყო იმერელმა ცოლს ლანძღვა. 4814

შდრ.: № 1087

კარალეთელი გლეხის ქალი უთხოვია ერთ თავადიშვილს. სუფთა ლოგინში რომ ჩააწვინეს, გოგოს ეხამუშა, ვერ მოისვენა, ჩალაში წოლა უფრო სანატრელად ეჩვენა და წამოიძახა:

— ვაი, შენ ჩემო კარალულო ჩალავ, სადა ხარო! 4815

შდრ.: № № 240, 478, 946, 2375, 2847

კატას უთქვამს:

— ნეტავი პატრონი დამიბრმავდებოდეს, რომ ჯამიდან ლუკმა ამოვცანცლოო.

ძალს უთქვამს:

— ღმერთო პატრონი გამიმრავლე, ყველა თითო ლუკმას მომიგდებსო. 4816

შდრ.: № 2716

კაცს გუდურა შეშა მოჰქონდა, გაუჭირდა და სიკვდილი ინატრა. გამოჩნდა სიკვდილი:

— რა გინდაო?

— ე შეშის შემოდება მიშველეო! 4817

კაცს შვილი უკვდებოდა. სიკვდილს უთხრა:

— მის მაგიერ მე წამიყვანეო. მოვიდა სიკვდილი და

— აბა, წამომყევით!

კაცმა თვალთ შვილზე ანიშნა, — ის წამიყვანეო. 4818

ერთი შვილი ჰყავდა დედ-მამას. მისულა სიკვდილი და უთქვამს: „შვილი უნდა მოგიკლათო“. წაუყვანიათ შვილი, ბაგაში დაუმალავთ, — სიკვდილი ვერ იპოვისო. სიკვდილს უთქვამს: „მამ თქვენ უნდა დაიხოცოთო თქვენი შვილის მაგივრადო“. მამაშინ უთქვამთ: „სიკვდილო, ბაგა, ბაგაო!“ — ვითომც ბაგაშიაო.

კაცი ხეზე ომბოხებიანი აღიოდა, ეშმაკმა დაინახა და თქვა:—ახლა რომ ჩამოვარდეს, მე დამაბრალებენო. 4819

შდრ.: № 4843

მამა თხებსა ყიდულობდა და ჰყიდდა. შვილმა დაინახა და სთქვა: — ვაჟო, აქ თუ ეშმაკობა არაფერია, მამაჩემი ან რაღა ყიდულობს ამ თხებს, ან რაღა ჰყიდისო. 4820

მამალმა უთხრა ძალსა:

— მოდი სოფელი ავაშენოთო.

— როგორაო?

— შენ იყეფე, მე ვიყვივლებ და სოფელიც აშენდებაო.

დაიწყეს ერთმა ყეფა, მეორემ — ყვილი. ამ დროს გამოიარა ერთმა მგზავრმა და უთხრა:

— ე, ჩემო მეგობრებო, ყეფითა და ყივილითა სოფელი ვერ აშენდებაო. 4821

შდრ.: № 1320

მარტიც გასულა და ერთ მეცხვარეს ბატჯანიც არ დაჰკლებია. მეცხვარეს დაუკვენხია: ისე გავიდა მარტიო, ვერ მოკლა ციკნის ბლარტიო! მარტს მოუვიდა მეცხვარეზედ ჭავრი, წავიდა გაჭავრებული და სამი დღე ისესხა თებერვლისაგან. იმ სამს დღეს მარტმა ააყენა საშინელი ქარიშხალი, თოვლ-ჭყაპი და ბუქი.

მეცხვარემ ველარ გაუშვა ცხვარი ფარეხიდან და შიმშილით ეხოცებოდა. მაგრამ აი რა მოახერხა: ერთი კატა ჰყავდა. ჩამოჰკიდა ის კატა ფარეხის შუა ბოძზე, ტრიალებს ეს კატა და ჩხავის. ცხვარმა კატას დაუწყო ყურება: იმ სამ დღეს თვალი არ მოაშორა, ამ ყურებაში გაერთო, აღარ ამოიცოხნა, აღარ მოიმშვივა და უზარალოდ გამოვიდა; მეცხვარემ აჯობა მარტსა. 4822

მგელს უთხრეს: შენ ცხვარში უნდა გაგზავნოთ და შენი შვილი კი — კრავშიო. შეხტა და შემოტრიალდა: აქაც მე უნდა წავიდე და იქაცაო. 4823

მელა გაიყინა. ერთ მთაზე ცეცხლი დაინახა და გაიშვირა იქითკენ ფეხი, ვითომ-და გავითბობო. გვერდზე შვილი ედგა. შვილმა თვალზე იტაცა ხელი:

— ვაჰმე, ვაჰმე, მიშველეო!

— რა დაგემართაო? — ჰკითხა დედამ.

— წინწელი ჩამივარდა თვალში და დამეწვაო.— უპასუხა შვილმა. 4824

მელას ჰკითხეს:

— რამდენი რიგი ოსტატობა შეგიძლიაო?

— ათასი რიგო. ოცდაათი ბარტოკა ძალლისა ვიციო, მაგრამ ჩემი დიდი ოსტატობა ის არის. არც მე ძალლი ვნახო და არც ჩემი თავი ძალლს ვუჩვენო. 4825

მესაცრე ტახტზე დასვეს და ატარებდნენ ბოძს შეხედა და თქვა: — რა კარგი სარკალეაო! 4826

მოლა რუზე გადახტა და შუა წყალში ჩავარდა:

— ჰაი გიდი, სადა ხარ ჩემო ჭეელობავ, ცხრა ნაბაღზე რომ ვხტებოდითო! — ამ დროს მიიხედ-მოიხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— კიდევ კარგი, არავის გაუგონია, არც ჭეველობაში ვიყავი დი-
დი მარიფათის პატრონიო. 4827

შდრ.: № 2958

მოლამ ერთი კაცისაგან ვირი აიბარა: ოცი წლის განმავლობაში
წერა-კითხვა უნდა ესწავლებინა. სასყიდლად წინდაწინ გამოართვა
ათი თუმანი. შინ რომ მივიდა, ცოლს უამბო ყველაფერი. ცოლს გაუ-
კვირდა:

— ვირს ანაბანა როგორ უნდა ასწავლო?

მოლამ უპასუხა:

— ოც წლამდინ ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო. 4828

შდრ.: № 4244

მოლასთან მეზობელი მივიდა ვირის სათხოვნელად. მოლამ უარი
უთხრა. შინ არა მყავსო. ამ დროს ბოსელში ვირმა დაიყოყნა. მე-
ზობელმა უსაყვედურა:

— მოლავ, არა გრცხვენია, მატყუებ, ვირი სახლში გყოლიაო!

მოლამ წყენით უპასუხა:

— როგორ? მოლას სიტყვა არა გჯერა და ვირისა გჯერაო? 4829

შდრ.: № 1590

მუსულმანმა თქვა: — ერთი ჭიქა ღვინო ნეხეს დაასხა — აყვავ-
დება, ყვავმა დალიოს, ბულბულად იქცესო. 4830

მღვდელი წყალს მიჰქონდა და ხელს იშვერდა, მიშველეთო. ერთ-
მა მეორეს უთხრა: — შეხე, კაცო, იხრჩობა და კიდევ საწირავის-
თვის ხელს იშვერსო! 4831

მშვიერმა მელამ დაინახა, რომ ერკემალი მირბოდა, ღუმას მიიქ-
ნევდა, ეგონა — დაუვარდებაო. გამოუდგა. ირბინა ერკემალმა, სდია
მელამ. ერკემალს ღუმა არ დაუვარდა და მელია შიმშილით მოკვდა.
4832

შდრ.: № 1356

მჭედელმა უთხრა მასზე მოსაკლავად წამოსულ მტერს: — მე ის
კი არა მწყინსო, რომ მოკვლას მიბირებო, ის უფრო მაწუხებს, რომ
ხელში ჩემი გაჭედილი ხანჯალი გიჭირავსო. 4833

უფრო ის მიკლავს გულს, მამიჩემის გაკედლილი ხანჯლით დამპრესო, — უთქვამს ერთ მშველელს.

ნიორი და ხახვი წაიჩხუბნენ: არა, შენ უფრო ყარხარ და არა შენაო! ბოლოს თითონვე თქვეს: — ჩვენ უფრო ვაყროლებთ ჩვენის ჩხუბით ერთმანეთსაო — და შერიგდნენ. 4834

ორ დას ერთი საქორწილო ძმა ჰყოლია. თურმე უთხოვეს ცოლი და შეუდგნენ მაშინვე საფაფანაგის დართვას. ერთი წმინდად ართავდა, მეორე — მსხვილად. ქორწილმა მოატანა, რომელმაც მსხვილად ართო, იმან მოქსოვა კიდეც, შეიკერა, ჩაიცვა და ქორწილში გელასაც მოდიოდა, რომელიც იწილ-ბიწილოდ ართავდა, ვერ მოასწრო შეკერვა, ტიტველი იყო და ღობიდან-ლა უჭვრეტდა ლხინსა და თამაშსა. 4835

შდრ.: № 169

ორი კაცი მიდიოდა გზად. ერთს ღმერთი გაუწყრა და წყალში ჩავარდა. წყლის ტალღები ხან ამოაჩენდნენ და ხან ჩააყურყუმე-ლაკებდნენ. მეორე გამოუდგა უკან და ეძახდა:

— ეგრე, ეგრე, ამყოლს აპყევ და დამყოლს დაპყევო! 4836

შდრ.: № 89

პატარძალი უარს იყო, — ღორის ხორცს არა ეკამო. რომ შექამეს, გაიბუტა — წვენი მაინც გეკმითო! 4837

საწყალმა თქვა:

— ჩვენმა თხან ტყუბი ციკანი მოიგოო.

ხალხმა უთხრა:

— როგორ შეიძლებაო?!

მდიდარმა თქვა:

— ჩვენს თხას ბატჯანი ეყოლაო.

ხალხმა უთხრა:

— კი შეიძლებაო. 4838

სოფელში ერთმა კაცმა ქურდობა ჩაიდინა. მეორე დღეს შეიკრიბა ხალხი და გამართეს მსჯელობა. უეცრივ მამასახლისმა დაიყვირა:

— არიქა, ქურდს ქუდი ეწვისო!

ერთმა გლეხმა მაშინვე ქულზე იტაცა ხელი და ყველა მიხვდა,
რომ ქურდი ის იყო. 4839

შდრ.: № 2336

სოფლის ქვრივმა იჩივლა:

— ურიშას მკაღმა ლამის შვილები დამიხოცოსო. მეზობელმა
ჰკითხა:

— ქა, კიდევა გაქვს მკაღიო?

— არ გებრალეები, ბეჩავს ისიც გამომელიაო!

— მაშ ამას იქით ნახე გაწყვეტაო! 4840

უფალმა უთხრა ერთ კაცს:

ყვეარი ხარი შენ უნდა მოგცე და უღელი შენს მეზობელსაო.

კაცმა მიუგო:

— უფალო, ოღონდ ჩემს მეზობელს ნურას მიცემ და მეც არა-
ფერი მინდაო. 4841

შდრ.: № 2457

ფეიქარს ცოლი ეუბნებოდა:

— შენი ძმა ამდენს შოულობს მოტყუებით და სიცრუითო.

ეს მაქოს აგდებდა და მღეროდა:

— ჯერ არ გაუგიათო, ჯერ არ შეუტყვიათო.

ერთხელ მისი ცოლი მოვიდა:

-- შენი ძმა დაუჭერიათ და ამდენს ახლევინებენო.

მერმეთ დაამღერა:

— ახლა გაუგიათო, ახლა შეუტყვიათო! 4842

ქალმა ფურის წველისას ხბო კასრზე გამოაბა. ეშმაკმა თქვა:

— ახლა რომ დააქციოს, ხომ მე დამაბრალებენო. 4843

შდრ.: № 4819

ქარმა უთხრა საბძელს:

— კარი გამიღე, ბზეს შემოვყრიო.

საბძელმა უთხრა:

— თუ დამეხსნები, არც შენი შემოყრილი მინდა, არც გაყრი-
ლიო. 4844

შდრ.: № 2248

ქოროლის ჰკითხეს:

— კოჰმალალი ცხენი ჯობია, თუ კოჰდაბალიო.

— კოჰდაბალიო.

— მაშ როგორ ყოფილა, რომ კოჰმალალს უჯობნიაო?

— ნაბიჯი დიდი ჰქონიაო. 4845

ქრისტე გზაზედ მიდიოდა თავის მოწაფეებით. ერთს ადგილას მკედარი ძაღლი დაინახა. ქრისტე მოუბრუნდა. თავის მოწაფეებს და უთხრა:

— აი, ძაღლი გარდაცვლილაო.

მოციქულებმა მოახსენეს:

— მოძღვარო, ძაღლზე ეგ რა სათქმელია, უნდა გეთქვა: გაღამდრძალაო.

— მე ჩემს პირს არ ვეადრებ, ძაღლს რო ეადრებოდესო, — უპასუხა ქრისტემ. 4846

ქურდმა მამალი მოიპარა, კალთაში დამალა, მაგრამ ბოლო უჩანდა, პატრონს კი ეფიცებოდა:

— არა ვიცი რაო!

პატრონმა უპასუხა:

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო! 4847

შდრ.: № 2195

ყვავმა თქვა:

— აქაურობა ავყაროლეო, ახლა სხვაგან უნდა გადავსახლდეო. კაჰკაჰმა უთხრა:

— სადაც წახვალ, შენი მყრალი ბოლო იქ გაგყვებაო. 4848

შდრ.: № № 1426, 2400

ყვავმა თქვა: შავ ზღვაზე რომ გადავფრინდები, იქ თოვლივით თეთრ კვერცხებს დავდებო, მაგრამ რომ გადაფრინდა, იქაც შავი კვერცხი დადოო. 4849

შდრ.: № 2433

ჩოჩორმა უთხრა ბულბულსა:

— შენისთანა ენამეტყველი ფრინველი არ არისო. ყველასაგან ქებული ხარო, მაგრამ შენ რო მამაჩემივით ბაიათები იცოდე, ფრინველი ველარ შეგედრებოდაო. 4850

შვილმა უთხრა დედას:

— დედა, ერთი მგელი ჩვენს ხბოს ტყისკენ ეზიდებოდაო, მაგრამ მეორე ჩვენსკენ ეზიდებოდაო.

— ჩვენთვის არც ერთი არ ზრუნავდა, შვილოო. 4851

ჩერქეზმა ვაჟარი დაიჭირა, ჯოხი მისცა და უთხრა:

— ფართალი ამით მოზომე, ჩემი ალაბი ეს არისო!
ვაჟარმა მოუზომა და თქვა:

— როგორიც ალაგია, იმისთანა ალაბიაო. 4852

შდრ.: № 1826

ცოლი და ქმარი ხიდზედ მიდიოდნენ. ქმარმა უთხრა ცოლს:

— რა მშვენიერად არის ეს ფიცრები დაწყობილი, უთუოდ ხერხით იქნება დახერხილიო.

— არაო, — აუხირდა ცოლი, — მაკრატლით არისო!

— არა, ხერხითო!

— არა, მაკრატლითო!

მოუვიდათ ჩხუბი. ქმარმა ჰკრა ხელი ცოლს და გადააგდო წყალში. ცოლი ერთხელ კიდევ ამოჩნდა წყლიდამ, ამოჰყო ხელი და დაიძახა: — მაკრატ!.. მაკრატ!... 4853

ცხვარი კლდეში გადავარდა, თხამ გაიცინა:

— რა გაიცინებსო?

-- უკანარი გამოუჩნდაო!

— შენ კული მუდამ აწეული გაქვს და გიჩანსო, მაგრამ ვინ იცინისო! 4854

ცხვარი სახლში შევიდა, დაინახა სიღარიბე და უთხრა:

— ადე, სიღარიბევე, ამ სახლიდან გამეცალეო.

სიღარიბემ უპასუხა: — ცალ მხარზე მე დავდგები, ცალზე — შენაო.

— არაო, სულ უნდა დამიცალოო.

— მაშ ერთი კუნჭული მაინც დამანებე, რომ მივიკუნჭოო.

— არა, არა! ვერც ერთს ვერ დაგანებებ, სულ მე მინდაო.

— რათ გინდაო?

— აი, ამისთვის მინდაო: ცალ კუნჭულში მე უნდა დავდგეო,

ცალ ქუჩულში ბატკანს დაეყენებო, ცალ ქუჩულში მატყლი უნ-
და დავდო და ცალში — ყველიო.

მაშინ კი გაეცალა ხიდარბე. 4855

ცხრა ძმას ცხრა უღელი ხარი ბევრი ეგონა: გაიყვეს, ცალ-ცალი
უღელი შეხვდათ, მერმე თქვეს: სულ არაობას ისევ ცალუღელი ხარი
სჯობიაო. 4856

შდრ.: № 2034

ძალი ჭობოსანს ლოკავდა. ენაში სისხლი გამოსდიოდა, მას კი
ეგონა, ჭობოსანს გამოსდისო. 4857

ძეგველი კაცი რწყილს ატყავებდა, მცხეთელმა ნახა და უთხ-
რა: — ოპ, რამოდენა ლეში გაგიყოლებიაო! 4858

გორელებმა რწყილი დაკლეს და ხონელებმა უთხრეს.—
ქონი არ გაატანოთო!

წინათ ღვარძლი არა ყოფილაო. თურმე ერთმა კაცმა კალოზე გა-
დაიარა და ნახა, რომ მშვენიერი პურის ხვაკი აგროვია. აიღო ერ-
თი მუჭა პური და გულში არამი ფიქრი გაიტარა. შეშურდა პატრო-
ნისთვის. ის რომ დაუყრია, ის ერთი მუჭა ღვარძლად ქცეულა და
მას აქეთ გამორეგია პურსა. 4859

ხევსურს უთხრეს:

— ხევსურო, მარხეას რად ჰამ, წაწყდებიო, სულს გაუფრთხილ-
დიო!

— მეც იმიტომ ვკამ, ცოცხალი დავრჩე, სული არ დამემშე-
სო. 4860

ანდაზურ-აფორიზმული ლექსები და გამონათქვამები

აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეჰყარა ერთფერი (ხალხ.). 4861

აგეთისასა ნუ მიხვალ, მანპინძელს გული სტკიოდეს,
სტუმრისა სასმელ-საჭმელსა ცოლი ჰმარს შემოსჩიოდეს (ხალხ.).

4862

ადვილია დევთა შეყრა, მაგრამ გაყრა გაჭირდების (ხალხ.) 4863

ადრე ამდგომსა კურდღელსა მწვევარი უნდა ქარისა,
მისდევს და ვერ მისწევია, იქავ და იქავ არისა (ხალხ.). 4864
შდრ.: № № 13, 14

ადრე მოფრენილ მერცხალსა სუსხი სცემს და ყინვა აზრობს (აკაკი).
4865

ავად ვიყავ და ვკვდებოდი, ხუცესმა მაზიარაო,
მე იმან არა მიშველა, არც არა მაზიანაო (ხალხ.). 4866

ავად შეჭფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება. (ვ. ტ.). 4867

ავგვარისაგან იმედი ნუ გაქვს კეთილის ყოფისა (ქ. დ.). 4868

ავენა კაცსა შენ წინა ნუ მიცემ გზასა მარებლად. (ქ. დ.). 4869

ავის მოქმედმან მოიგოს მისივ ნაქმნარი ავები,
ნაცვლად მიეცეს საჭიროდ თვისივე დანაშაუვები (ქ. დ.). 4870

ავკაცობა ლაფი არის ძნელად-ძნელად სატოპავი (—). 4871

ავსა ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო? (გურამ.). 4872
ტუდს რომ კარგი დავუძახო, ავს სახელად რა ვუწოდო.

ავსა ავი არ მიეგოს, მსჯავრი რითლა აიწონოს (ქ. დ.). 4873

ავსა ავისა მდომარეს ავისა უდგა ლოგინი,
მამასაცა და შვილსაცა ავისად უნდა ლოდინი (ხალხ.). 4874

ავსა იქ და კარგი გინდა, ესე ვინმცა მოიგონა (ქ. დ.). 4875

ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს. (ვ. ტ.).
4876

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა (ვ. ტ.). 4877

ავსა კაცსა არ ვეუბენ, თავი კარგი შევინახე (—). 4878

აზნაურისა მუცელი ადლი და ნახევარია,
საწყალი გლეხი კაცისა — არც იმის ნახევარია (ხალხ.). 4879

აზნაურისა ქებასა მე მოგიყვები ყველასა:
ცოლი შიმშილმა მოუკლა, გადააბრალა სნებასა. (ხალხ.). 4880
აზნაურს ცოლი შიმშილმა მოუკლა და სნებას გადააბრალო.

ათას უგულო მეომარს გულადი ორი სჯობია,
არამ მწყერს, ხოხობ-კაკაბსა, ალალი ქორი სჯობია (ხალხ). 4881

ათასად კაცი დაფასდა, ათათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა (ხალხ.). 4882
შდრ.: № 408

აკი ხომ გითხარ, ბებერო, მაგ ენას დაგიბეგვენო (—). 4883

ალალი დედა მომიკვდა, დამიჯდა დედინაცვალი,
იმას რომ გერები მოჰყენენ, თვალში მაყარეს ნაცარი (ხალხ.). 4884

ალალი კაცის ჭირიმე, ალალი სული ამოსდის,
ღმერთმა დასწყევლოს ვარამი, ვარამი სული ამოსდის. (ხალხ.). 4885

ალალი უყვარს უფალსა, არამი დაუწყეველია (—). 4886

ალალის შიშით ვერ წავა ნიბლია ჯვარობასაო,
და თუ რომ გაიპარება, ვერ იტყვის გალობასაო (ხალხ.). 4887

ამ ჩემმა ღორმა მუცელმა ცეცხლზე დამისხა წყალია (ხალხ.). 4888

ამ საწუთროსა მკერვალმან ვის რა უკეროს ცნობილად,
კაბა ვერავის ჩააცვას დაუძონძებლად, მკობილად (ქ. დ.). 4889

ამად შემძულდი, ჰყოფილხარ ცუდი (გურამ.). 4890

ამაყმა კაცმა ბოროტმა გული ხანჯალზე ააგო (ხალხ.). 4891
შდრ.: № 485

ამოა ჰკრეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა (ვ. ტ.). 4892

ამოწვდილ ხმალსა მტრისასა წინ მიაგებე ფარაო (ხალხ). 4893

ამხანაგისამც შენსას სჯობს, შენი საგზალი — სხვისასა (—). 4894

ან უნდა ძმასა ძმა ყვანდეს, ან კაი შვილი მამასა,
ან უნდა ბიძას ძმისწული, ის მოუხნავდა ყანასა (ხალხ.). 4895

ანეულობა, ფეტვობა, ვაჰმე, რა დიდი დღე არი! (ხალხ.). 4896

ანეულობა, ფეტვობა, ხარო, კისერზე გეტყობა! (ხალხ.). 4897

ანწლი არ მოგვეცემს ყურძენსო, — ეს არაკი მაქვს ძველითა (ქ. დ.).
4898

არ აშენდა ხუროს სახლი, არცა არა მონადირისა,

- სამი თვით უწინ დაივსო მეთევზე-მეზადურისა (ხალხ.). 4899
- არ გაეჯავრდები ჯერ კია, გაეჯავრდი—ალარ დავდგები (ხალხ.). 4900
- არ გაიკითხვენ გოგოსა ტირილითა და ვიშითა (ხალხ.). 4901
- არ გამოდგეს ყვაფი ყორნად, არც უგვარო გვარის სწორად (—).
4902
- არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა (ვ. ტ.). 4903
- არ ეშინია ბაადურს ბაკაკაურის ხმლისაო (ხალხ.). 4904
ბაინდურს არ ეშინიან ბეკურაულის ხმლისაო.
არ ეშინის ზარიძესა ფშავლის შვილების ხმლისაო.
- არ ვარგა კაცი უმტერო, არც ძლიერ მტერმორეული (ხალხ.). 4905
არც უმტერო კაცი ვარგა, არც მტერმორეულიო.
კაცი არ ვარგა უცოლო, არც ისე ცოლმორეული.
- არ ვარგა ქალი მეჭორე, სოფლად ვაჟკაცი მკვებხარი,
გაუჭირდება — შედგება, როგორც უღელში მჭლე ხარი (ხალხ.).
4906
- არ მინდი ქინძო, ქონდარო, არც ნიახურო მხალადა,
არც მინდი ნიჯონის გორო, არც ქისტაურო ქმარადა (ხალხ.). 4907
- არ უნდა ქირში გატეხა, თუ კაცი გონიერია,
წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერია (ხალხ.). 4908
სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია.
- არ სჩხრევენ ყვაფთა ჩხავილსა... ბუკიოტისა ბღვერასა (გურამ.).
4909
- არა გაყავდეს მეგობარი — ეძებე და როცა იპოვნი, ნულარ დაჰკარ-
გავ (დამ.). 4910
- არა მჯერა, რომ კინკრაქამ კვერცხი დადოს არწივისა (ქ. დ.). 4911
- არა უშავს-ჭა წისქვილსა, დატრიალდება წყლის პირსა (ხალხ.). 4912
- არავეინ არის ღვთისაგან უწილო, კერძმიღებული (ქ. დ.). 4913
- არალო ბიჭო გოგია, მოხან და ბევრი მოგივა (ხალხ.). 4914
- არარას არგებს სნეულსა სასთუმლისა სწორებაო (ხალხ.). 4915

- არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა (ვ. ტ.).
4916
- არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლოდ ცრემლთა დენა (ვ. ტ.).
4917
- არას გეტყვი გერი გერსა, არ წამიწყდეს მკვდრისა სული (ხალხ.).
4918
- არას დაგიდევეს ჯამრული გაბეგრებასა მტრისასა (ხალხ.). 4919
- არასოდეს არ გახმება წყალთა შინა ხეთა ძირი,
არასოდეს არ ცხონდება უშვილო და პურაძვირი,
თუ უშვილო ცხონდებოდეს, სამოთხეში შევა ვირი (ხალხ.). 4920
- არასოდეს არ ივარგებს წყალთა შუა ხეთა ძირი.
უშვილო და პურაძვირი მისდღეში არ ცხონდებო.
ვინა ნახა ცხონებული უშვილო და პურაძვირი,
თუ ცხონდება პურაძვირი, სამოთხეში შევა ვირი.
შდრ.: № 4153
- არვინ იცის, ხვალ და ზეგა რა მოვა და რა იქნების (ქ. დ.). 4921
არავინ იცის, დღეს რა მოაქვს.
- არნადი და ფიწალიო, შენ ველარას ისწავლიო (ხალხ.). 4922
- არ-სასმნელისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა (ვ. ტ.). 4923
- არქონება არ ვარგა, ავადქონება უარესია (საბა). 4924
- არშის ციხეში ჩამსვლელი განა შენფერა ყმა უნდა,
ჩავის ჩამტანი ფარისა, ამამტანელი სხვა უნდა (ხალხ.). 4925
- არც ეგრე დავბერებულვარ, ველარ გაგცვიოთ, ჩუსტებო! (—). 4926
- არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა-რა არგოს (ბარათ.). 4927
- არც ღმერთი ბატონს შეარჩენს ყმაზე საუდიეროსა (გურამ.). 4928
- არცა ვისი ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო წლით-წლობამდინ გამყოლია (ხალხ.).
4929
- არცა მყოლია ბატონი, არც დამზნეჟია წელიო (ხალხ.). 4930

არცა უშჯულო იკადრებს, უმუხთლოს მისსა ძმობილსა (ქ. დ.). 4931

არცა ყველასი თქმა უნდა, თუ კაცი გონიერია (ხალხ.). 4932

არწივო მხარკვერიანო, ყორნებს რად აძლევ ზავსაო,
მინდორს რომ მოკედეს კაი ყმა, წინ-წინ ეგ დასთბრის თვალსაო
(ხალხ.). 4933

არჯაკელი ჩიოდაო, ბევრი ერბო მინდოდაო,
ასი კვერცხი ჩამატეხეს, ასი კიდენ მინდოდაო (ხალხ.). 4934

არჯაკელი ჯაგდებოდა, ქალსა გული უკვდებოდაო (ხალხ.). 4935

ასეთი არის სიბერე, სიბ ქვასა აეწონება,
რაგინდ კარგი თქვას მოხუცმა, ყმაწვილს არ მოეწონება (ხალხ.).
4936

შდრ.: № № 1972, 2265

ასეთია კაცის გული, ვით მორევი შავი ზღვისა,
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც მოუნდება სხვისა (ხალხ.). 4937
ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია (ვ. ტ.). 4938

ასლო, სამკალად ლამაზო, სახვავედ ბარაქიანო,
ფქვაში წისქვილის მომშლელო, საჭმელად თავ-ლაფიანო! (ხალხ.).
4939

ასწიე მძიმე-მძიმესა, მსუბუქი რაღა მეტია;
თუ კაცი კაცსა არ იცნობს, სიკვდილზე გადამეტია (ხალხ.). 4940

ადარა შესძლებია-რა ჭადარაშერთულ ბერსაო,
ხელდახელ დათვი მოუკლავს და ემუქრება დევსაო (ხალხ.). 4941

აღმართზე ამსვლელი შეიძლება შედგეს, დაღმართზე ჩამსვლელი
კი — არა (დამ.). 4942

აჩაჩამ უთხრა გუთანსა: „გუთანო, პური მიტეხეო!“
„აჩაჩავ, მაშინ სად იყავ, მე რომ ყამირი გავტეხეო?!“ (ხალხ.). 4943

აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია,
და ვინც რომ აჩქარებულა, მალე თან გადაჰყოლია (ხალხ.). 4944

- აწ-ყა ვცან, საქმე სოფლისა სიზმარია და ჩმახია (ვ. ტ.). 4945
- ახალ-ახალი მეთოფე კაცს არად გამოადგება,
იყიდის ტყვია-წამალსა, ყელამდის ვალში ჩაჭდება (ხალხ.). 4946
- ახალი ჩალა დამიგეს, მკერდი ხუობს დაწოლასა (ხალხ.). 4947
- ახალწელიწად დღესაო ქაქუჩა ჩხრეკდა ბზესაო (—). 4948
- აპა. მღვდლო, კორკოტი, შენ ამისთვის მორბოდი (ხალხ.). 4949
- ბალახ მოთიბე ნარიანიო, თუ თივა გინდა დალიანიო (ხალხ.). 4950
- ბანგი-ბუნგი ყანასაო, მერე ამისთანასაო (ხალხ.). 4951
- ბაძით მორცხვიც გაურცხვდების უსირცხვილოს თუ არ არცხვენ
(გურამ.). 4952
- ბებერი რომ დაბერდება, მიუჯდება კერასაო,
ნატეს პურს რომ ველარ შექამს, მთელს დაუწყებს ცქერასაო (ხალხ.).
4953
- ბებერო, შენი ჯარაო, დაბერდი — დაიშალაო (ხალხ.). 4954
- ბედი მას ჰქვიან, რომ კართ მოგადგეს დაუშრომელად (ქ. დ.). 4955
- ბედი ხნავს, ბედი თვით თესავს, ბედი მოიყვანს ყანასაო (—). 4956
- ბედნიერების საღამო გაადილაეა ზენამან (ქ. დ.). 4958
- ბედში მოყვარს გვიან იცნობ, უბედობა მალ გაცნობებს (ქ. დ.). 4959
- ბევრ ჭიქას კენჭიც ეყოფა, უგუნურს — დრამის წონანი (—). 4957
- ბერიკაცი ბერდებოდა, ცხენს უკულმა შეჯდებოდა (—). 4960
- ბერიკაცი თვრესო, ვაჟკაცს ერთი ხვდესო,
ყმაწვილს სუნი ეცესო და ღმერთს თაყვანი სცესო (ხალხ.). 4961
- ბერო კაცო, ნუ აპყვები ყმაწვილების ხუმარასა,
ძალღებია ყმაწვილები, ჩამაგაცმენ ტუმარასა (ხალხ.). 4962
- ბეჩავებმა ქორწილი ქნეს იწილითა-ბიწილითა ერთის ქათმის წიწი-
ლითა (ხალხ.). 4963
- ბიამ თქვა: მეც ხომ ხილი ვარ, თითო და თითო ყადარი,
სიწიფით თავსა ვერ ვიქებ, დაბადებით ვარ მაგარი (ხალხ.). 4964

ბინდის გვარია სოფელი... (ვ. ტ.). 4965

ბოლოდ მომაკდა წესია, რაც წინად დაგითვისია (ქ. დ.). 4966

ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს (ვ. ტ.). 4967

ბოროტი თვალი ცეცხლთ მინათვალი (ქ. დ.). 4968

ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა (ვ. ტ.). 4969

ბოროტის სიხარბისაგან კაცს გაუცვდება დიდება,
ვინცა მოითმენს, უთუოდ ღვთის კალთას მოეჭიდება (ქ. დ.). 4970

ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ გაარჩიესო (გურამ.). 4971

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია (ვ. ტ.). 4972

ბრალთა, შენებრ მწყაზარი გალიას იჯდეს ნაზარი (ქ. დ.). 4973

ბრთხილად მავალი სოფელსა გვიანად წაიქცევისა (—). 4974

ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი? ხელი ვითა იქმს ბრძნობასა (ვ. ტ.).
4975

ბრძენის ურიგოდ ქცევისა ბაძით წახდების ერია (გურამ.). 4976

ბრძენსა აქვს თავისუფლება სოფელში ყოფა-ნებისა (გურამ.). 4977

გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია (აკაკი). 4978

გადი-გამოდი გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო! (ხალხ.). 4979

გავლენად გინდეს ბრძანება თემისა დასაპყრობელად (ქ. დ.). 4930

გავძელ სმითა და ქამითა ვერ გავძელ სიყვარულითა (ხალხ.). 4981

გავუშვი, აზნაურობა, თოხი წამოვკარ ახოსა,
აქეთ-იქით ვიხედები, არავინ დამინახოსა (ხალხ.). 4982

გამარჯვებული გუთანი აჩაჩას პურსა სთხოვდაო (ხალხ.). 4983

გამარჯვებულმა გუთანმა სამოცი კვალი მოხნაო,
ან ხარმა როგორ შეიძლო, ან გუთნისდედამ რა ქნაო (ხალხ.). 4984

გამოურჩევლად არ ვარგა კაცმან ჰქნას თავის ნებანი (ქ. დ.). 4985

გამოქცეულის მოსვლასა არ მოსვლაი სჯობს შინაო (ხალხ.). 4986

გამხიარულდი ბუხარო, გულჩათხრობილი ნუ ხარო (ხალხ.) 4987

- განგებასა კერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების (ვ. ტ.). 4988
- განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ დაპირდებია (ვ. ტ.). 4989
- განგებულების ისარი საცერეთ განატყორცნია,
რა მივა, აღარ დასცდება, იფაროს ფარი ოცია (ქ. დ.). 4990
- გარჯილობასა მოქქონდა საწუთრო დაულეველიო (ხალხ.). 4991
- გატეხით, გამაგრებითა ხმალმა ბედენად არ გასჭრა,
გატეხილისა ვაჟისა ხორცი ყორნებმა არ სჭამა,
გაუტეხელის ვაჟისა წინ-წინ მკლავები დასჭამა (ხალხ.). 4992
- გაუთლელი სჯობს აღმასი გათლილსა ფირუზანასა (ხალხ.). 4993
- გაუხზრეკელნი რჩევანი ისარსა ჰგავს განატყორცსა (ქ. დ.). 4994
- გაუსინჯავთა საქმეთა ბოლოს შეექმნა ზღვევანი (ქ. დ.). 4995
- გაუსინჯავსა სიტყვასა ჩხავილი სჯობან ტურისა (ქ. დ.). 4996
- გაცლა სჯობს სამკვიდროსაგან, თუ დგომა არ ეგებოდეს (ქ. დ.). 4997
- გახელებული წისქვილი დღეში ჩანახსა ფქვავდაო,
გახარებული პატრონი თუნგ-ნახევარსა სვამდაო (ხალხ.). 4998
- გვასვი, გვაჭამე, ბუჯერო, გული შეგვექმნა უჯერო (ხალხ.). 4999
- გველი წავიდა მრუდობით, ეგონა გადაჩხებოდა (—). 5000
- გვირგვინი პატიოსანი სჯობს მეფეთ დასაბურესა (ქ. დ.). 5001
- გვიჯობს სიკვდილი ქებული, თავის განწირვა ნებითა,
სიცოცხლეს მოყივნებულსა, აუგინსა ვნებითა (ქ. დ.). 5002
- გზა გაუსინჯე საქმესა (ქ. დ.). 5003
- გზა კეთილისა კაცისა ნიადაგ გქონდეს სავალად (ქ. დ.). 5004
- გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყალთა დენამა,
ლამაზი ბიჭი და გოგო — ერთმანეთისა ცქერამა (ხალხ.). 5005
- შდრ.: № 417
- გზა ყივის წარმავალისა, დამწოლელისა — ლოგინი (ხალხ.). 5006
- გზას ჰპოვებს ვისცა ჰკუა აქვს, თუცა მოიცლის სოფელი (ქ. დ.).
5007.

გზასა, ჩომელსა ხვდიოდე, წინ დაიხედეო (გურამ.). 5008

გლახა ამპარტავანი ღმერთსაც სძულს და კაცსაცაო.

კობტა ამპარტავანი ღმერთს სძულდა და ეშმაკს უყვარდო.

„უყვარს ვით იობ უფალსა, გლახა მომთმენი ჭირისა.

სძულს ღმერთსა ამპარტავნობა, მეტადრე გლახა-მწირისა“ (გურამ.). 5009

გოგრა არ ვახდება შირაზის შუშა, რაგინდ მალლა თახჩაშიაც შაიწყოს (საიათ.). 5010

გონებიერი ნადირი შუალამისას ადგება,

გათენებამდე გაძლება, სიმაგრის ადგილს ჩადგება (ხალხ.). 5011

გონიერსა მწვრთნელა უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს (ვ. ტ.). 5012

გონჯაის გული სივდების კეეხნითა, ჭადილითაო (ხალხ.). 5013

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი (ვ. ტ.). 5014

გუდამაყრელო, ხინკალი ფხიტურზე მოგაგონდება (ხალხ.). 5015

გულბოროტ კაცსა ერიდე, ნუ გავლი მისა არესა (ქ. დ.). 5016

გული გულისა მოყვარე უგულოდ მალე დადნების (ქ. დ.). 5017

გული გულს შენაწებარი კაცმან ვერ გახსნას ვერრითა (ქ. დ.). 5018

გული თვალს აცლის, ქრთამი ორსავე სცვლის (ქ. დ.). 5019

გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი (ვ. ტ.). 5020

გული ნაღვლითა აღვსილი ვით იქმნას გამომკვლეველად (ქ. დ.). 5021

გული რა ერთით გააძლოს, მეორე სძებნოს მიგებით (ქ. დ.). 5022

გული სანთლებერ მნთაობელი გულდამწვართა მცნობელია (ქ. დ.). 5023

გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან (ვ. ტ.). 5024

გულის განზრახვა გულმავე იცის და ემოწმებიან (ქ. დ.). 5025

გულისა განძთა მძებნელსა ჭირნი გაუმრავლებიან (ქ. დ.). 5026

გულის საწადლისა ვარდი ეკლისგან აღმობრწყინდების (ქ. დ.). 5027

- გულოვნის კაცის წესია ფერხისა მაგრად დგომანი (ქ. დ.). 5028
- გულს მოიზიდავს ბოროტი, კეთილიც მოიტაცებსო (ქ. დ.). 5029
- გულს მქონდა ხმალი გაჩრილი, აწ შუბიც დამაძგერეო (გურამ). 5030
- გულს ჭავრი, ღორღი ყანასა არც როდის არ დაეღევა (ხალხ.). 5031
გულს დარდი არ დაეღევა და მამულს — ღორღიო.
- გულსა ხმელსა ვერ დააღობ, მიწყვიც ცრემლითა სველითა (ქ. დ.).
5032
- გულსწრაფი ელვის მზგავსია ანაზღათ გამოჩენითა (ქ. დ.). 5033
- დაბალსა მტერსაც ეკრძალე, ღვარსა ჰგავს მჩქებრად მდინარისა
(ქ. დ.). 5034
- დაბერებულხარ ბიძაო, ფეხებსაც ველარ ზიდავო (ხალხ.). 5035
- დაბნეულს ფეტვის მარცვალსა რა აჰკრეტს წიწილის მეტი.
მე და შენსა სიყვარულსა რა გაჰყრის სიკვდილის მეტი (ხალხ.). 5036
- დავბერდი, დეჩაჩანაყდი, წვერი შემექნა ჰალარა.
შინ ჯალაბთ მოვძულეღვიარ, ბატონს უნდივარ აღარა (ხალხ.).
5037
- დავბერდი, მშვილდი ძირს დავდე, მალლა მთაშია ძევს სადმე,
ღალპება, ალყა ასძვრება, არ მიაღგება მზე სადმე (ხალხ.). 5038
- დავბერდი, თოხი დავაგდე, მუნღს ძალა გამომელია,
დამავდეს შინაურებმა, სალამი ჩამომელია (ხალხ.). 5039
- დავიღალე და დავვარდი, საღონებელში ჩავვარდი (ხალხ.). 5040
- დავღიე ღვინო—მან მომკლა, არა და—მისმა სურვილმა (ხალხ.). 5041
- დაიცა, გნასავ, ლიახვო, დაგხვეოდენ კოლოები,
ბიქ-ბუჭნი გაჰყამპალეზდნენ და გწყემპლავდნენ გოგოები (ხალხ.).
5042
- შდრ.: № 4316
- დალივე საბრძნო წამალი, დაღვარე საშმაგონია (გურამ). 5043
- დამარსულ ოქროს და სიპ ჰქვას ორივეს ერთი ფასი აქვსო (საბა).
5044
- დაჟინებული მრჩეველი საზღვარსა გადახდებისა (ქ. დ.). 5045

- დარია თუ ავდარია, ჩემი გული მაგარია (ხალხ). 5046
- დაქადებისა სიტყვითა ვინ გარდასწყვიდა ვალიო (ქ. დ.). 5047
- დაყვედრებულ ვარდის ყნოსვას ეკალს ვყნოსო — სჯობიაო (ხალხ.).
5048
- დაჯერებასა თავი დაუდევ და სიმდაბლესა მიაპყარ ქელი (ქ. დ.).
5049
- დაჯექი ჩიტო ნიბლიავ, ნუ ეტანები ნარსაო,
დაგეტანება მიმინო ბუმბულს გაატანს ქარსაო (ხალხ.). 5050
- დგომა მგზავრისა ცდომაა (ვ. ტ.). 5051
- დედამ რა შეას ძე, პირველთა ჳირთ აღარ მოიხსენებსო (გურამ).
5052
- დედინაცვალი, გერიო — ერთმანეთისა მტერიო (ხალხ.). 5053
- დიდ მტერს კაცი ან შეეხვეწება, ან გადაეხვეწება (საბა). 5054
- დიდად მიიჩნევს უფალი მწირთაგან მცირეს ძღნობასა (გურამ.).
5055
- დიდი არის შესაწვენად ამხანაგი ჳპოოს ვარგი (ქ. დ.). 5056
- დიდი ლხინია ჳირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს (ვ. ტ.). 5057
- დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისის თავისა (—). 5058
ყველაზე ძნელი კაცისთვის თავის თავის ცნობააო.
- დიდი უნჯია მოგება მოყვრისა გაუყრელისა (ქ. დ.). 5059
- დიდი ჳირისა წამალი ცოტა რამ არის სამყოფი (—). 5060
- დიდის სახელით სიკვდილსა ვლამი და მომიწადიან (ქ. დ.). 5061
- დიდის სიცხითა მაშვრალსა აამოს სიო-ნიაემა (გურამ.). 5062
- დიდსა ქვევრსა ცარიელსა პატარა სავესე გვირჩევენია (ხალხ.). 5063
- დისწული დედისძმათასა სკამს უკრძალავად დაჯდება,
ის თუ დედისძმას ეწყინოს, სკამ-კერამც ოხრად დარჩება (ხალხ.).
5064
- დისწულს არ მოკვლენ დედისძმანი, მოკვლენ — თავადავ იტირებენ
(ხალხ.). 5065

დრო აქვს თქმას და უთქმელობას, უდროოდ ყველა ცუდია,
უადგილოსა მართალსა ადგილას ჰორი სჯობია (ხალხ.). 5066

დრო მოვა, საათიც დაჰკრავს, დრო ყველაფრის მკურნალია (—).
5067

დრო მოვა, რომ გატკბილდების, ხილად შუამდნენ პანტის ჩირსა
(გურამ.). 5068

დროა როს ვარდის კონათა ბალახთა ურთვენ წონათა (ქ. დ.). 5069

დროზე მოსწრებული სიტყვა დროზე მოქნეულ ხმაზე უკეთესია
(ილია). 5070

დროს ჰსკვრიტე, ჟამთა რა მოაქვს, რას ისხამს, რა მოისთვლების
(ქ. დ.). 5071

დღეის ვაგლახს ისი დასძლევს, ვინცა ხვალისა მდომია (—). 5072

დღესა არა მისმენ სწავლასა, ხვალ დაინანებ დავლასა (ქ. დ.). 5073

ეგ ილინჳა სხვა ფრინველსა მოუდგი და მოუმახე (ქ. დ.). 5074

ეგრე არა ქნა ხუცესო, საქმე არა ქნა უწესო,
თორემ ეგ შენი ნაქნარი შენს შეილიშვილსაც უწევსო (ხალხ.). 5075
შდრ.: № 30 ...

ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა მტრისა ვუფრობი: მემოყვრება, მოცინარობს (ქ. დ.).
5076

ეგრე ჩემო თანანიო, მიყვარს შენისთანანიო (—). 5077

ეკალი საქებარია ცეცხლისა აღსაგზებელად
მაგრამ საქონლად არ ვარგა, უბეში ჩასადებელად (ქ. დ.). 5078

ეკრძალე ცუდად მეტყველსა, უმსგავსად მოუბარესა (ქ. დ.). 5079

ელაო-მელაო, მღვდელი ძალაზე გამაძლარა, დიაკვანს დაახველაო
(ხალხ.). 5080

ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა მოკლე, ენა გრძელი,
ენა სევდის უკუმყრელი, ენა ქვეყნის შეცამძვრელი,
ენა მკურნალ სნეულთათვის, ენა მთელთა ლახვრის მკვრელი,
ენა სული სულთმაბრძოლთა, ენა ზოგჯერ სისხლის მღვრელი (ხალხ.).

5081

ენითა მუნჯი სჯობია ავმეტყველ მოუბარესა,
ათასი მტერი სჯობია ერთ უმსგავსო მოყვარესა (—). 5082

ენის ისარი, მკვლელი ის არი (ქ. დ.). 5083

ერეკლემ სიზმრით იცოდა, ომი რით გათავდებოდა (—). 5084

ერთი კარგი ჰსჯობია ათის ცუდისა ყოლასა (—). 5085

შდრ.: № 277

ერთგული კაცი არ გაორგულდება და ორგული კაცი არ გაერთგულ-
დება.

„ორგული არ გაუერთგულდა და ერთგულიც არ გაუორგულდა“
(საბა). 5086

ერთგულის მეორგულესა გული დაუქრა დანამა (ბაჩანა). 5087

ერთი დრო გრძლად არ შეგრჩების, კარგი სთქვა, გინა ავია (გურამ.).
5088

ერთი ვარ, ერთხელ მოვკვდები, ერთხელ ვატირებ დედასა,
ბეჩაევი ერთხელ მორჩება მუდამ შიშსა და ელდასა (ხალხ.). 5089

ერთი თხა მყავდა ელაო, ოჯახი დამინელაო (ხალხ.). 5090

ერთი კაცისა გონება თემსა დაიპყრობს კილითა (ქ. დ.). 5091

ერთი კაცი წყლის პირს იჭდა, ცულს ლესავდა უტაროსა,
იგი რასაც სხვისად ფიქრობს, ღმერთი არც მას უწყალობსა (ხალხ.).
5092

ერთი ორთაგან მოკლული საბრალო, სატირალია,
ერთისგან ორნი მოკლულნი სულ არად სატირალია (ხალხ.). 5093

ერთი პირუტყვი მინახავს გორსა თუ ახალგორასო,
თავისთვის მუტრუქს აკეთებს, სხვათ გაუკეთებს ჯორსაო (გურამ.).
5094

ერთი ყმა ჰბედავს ძალასა, ვერა ნადირობს ქალასა (ხალხ.). 5095

„ერთი შეარცხვენს ასსაო და ასიათასს ღირსეულს დააკარგვინებს
ფასსაო“ (აკაკი). 5096

ერთი ხმალი გამკვეთელი ორმოცს მოჰკლავს, ანუ ასსა,
ერთი რჩევა სულ დათრგუნავს, სიმრავლესა ლაშქრის დასსა (ქ. დ.).
5097

- ერთმა კაცმა ქორწილი ქნა ერთი ჯამი ღვინითა,
პატარადლი მოიყვანა შეკაზმული ვირითა (ხალხ.). 5098
- ერთობ დიდისა მომდებსა პატარაც დაეკარგება (ჯურამ.). 5099
- ერთსა რა გცემენ ათასნი ეგრეცა მოგერევიან (ვ. ტ.). 5100
- ერთსა ხელი ვერ მოჰკიდა, სხვა გაექცა, გაეკიდა (ქ. დ.). 5101
- ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშოკობდეს (ვ. ტ.)
5102
- ერთხელ მეც ვიყავ მეცხვარე. ცხვარი გავრეკე ლილოსა,
სულ თავზე შემოვიკრავდი მთელი ლეჩხუმის ტილოსა (ხალხ.). 5103
- ერთხელ სჯობია სიკვდილი სულ მუდამ შეღონებასა (ხალხ.). 5104
- ერი და მღვდელი მყვარობდა, არვისთვის გამიმხელია (—). 5105
- ერის კაცი ბევრადა სჯობს ზარმაცსა და მხდალ ხუცესსა,
ნამუსიანი გონჯი სჯობს ურცხვსა და ლამაზ საწესსა (ხალხ.). 5106
- ეს ზოგი კაცი რასა ჰგავს. ან ცხოვრობს ნეტა რისთვისა,
რასაც იშოვის. იპოვის. იმ ერთი შავი დღისთვისა,
არც თავის თავზე დაჰხარჯავს. არც სხუასთვის. არცა ღვთისთვისა,
გადაბრუნდება, მოკვდება, დარჩება ეშმაკისთვისა (ხალხ.). 5107
- ეს სოფელი ასეთია, მიეთი და მოეთია (ხალხ.). 5108
- ეს სოფელი სოფლად მექცა, ქუთაისი — ქალაქადო (ხალხ.). 5109
- ეს წისქვილის ქვა არისო, მისი წესი ფქვა არისო.
როცა კაცი არ შეისმენს, იმისთვის თქმა რა არისო (ხალხ.). 5110
- ესე სოფელი მღერას ჰგავს. უმაწვილთა თამაშობასა (ქ. დ.). 5111
- ესეთი ნერგი დანერგე ბედსა ისხემდეს ზენარსა (ქ. დ.). 5112
- ესეთს მოყვასსა ეთვისე, კაცურად ყოლე მავალსა.
მოყვრისთვის სულდადებულსა, მტერს მოუთმენდეს მრავალსა
(ქ. დ.). 5113
- ეშმაკის მუშა ღმერთმა დაფუშა (საიათ.). 5114
- ეპა. მეფეო. რას იტყვი. მას დღესა განკითხვისასა (ქ. დ.). 5115
- ვაი დედაო. დედაო, რა დიდი ღორი კვდებაო!

— შვილო, შენ რა გენაღვლება, დიდი ჩიჩიაც გვხვდებო! (ხალხ.).
5116

ვაიმე, დედის ამავსა ველარ გადვიხდი, რა უყო?
დავემხო დედამიწასა, ქვეშენეთ კიასა ხმა ვუყო (ხალხ.). 5117

ვაიმე, დედავ, გული მტკივა, სად ხარ, ჩემო ვარდ-კაჭაჭავ! (ხალხ.).
5118

ვაიმე. დედავ, დავიბადე, დავიწვი და დავიდაგე (ხალხ.). 5119

ვაი, რა ცოდო-ბრაღია, შევარდენ ახყავ ძერასა,
გაუფრინდება, წაუვა, შორით დაუწყებს ცქერასა (ხალხ.). 5120

ვაი შენ. წუთისოფელო, ქვეყნისა დამლონებელო,
თუ რომა სიკვდილი იყო, რაღათა მშობებ მშობელო? (ხალხ.). 5121

ვაი ჩემო ტიკქორაო, რა ტყუილებს მოქორავო,
შენ თუ ღვინოს გამომილევი, ვიცი, კარგად მიგტორავო (ხალხ.). 5122

ვაი ჩვენსა წერასაო, თავი გიგავს ძერასაო?
გულითადი ვეზირიო ორგული ჰყავს ყველასაო (ხალხ.). 5123

ვაეკაცობა კარგია, მაგრამ შალურებ გაცვდება
პურადობა სჯობს ყველასა, განძი გაქვს — შვილსა დარჩება (ხალხ.).
5124

ვაეკაცი სადაც შერცხვება, მისი სამარეც იქ არის (ხალხ.). 5125
სადაც შერცხვები ვაეკაცო, თავიც იქ უნდა დამარხოო.

ვაეკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მკვეხარი (ხალხ.). 5126

ვაეკაცობით მაშინ გაქებ, იყო მოძმეთ მოყვარული (—). 5127

ვაეკაცს ღიაცის მიმყოლსა სამარემც დაეკვეთება (ხალხ.). 5128

ვაეკაცს ნურც აქებ, ნურცა გმობ, სანამ არ გაჭირდებო,
ვინც არის კარგი ვაეკაცი, მაშინლა გამოჩნდებო (ხალხ.). 5129

ვაეკაცს რას გამოადგება სოფლად მშვეენება თავისა,
ხმალს უნდა აჭრევინებდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა (ხალხ.). 5130

ვაეკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო,
ოვალნი—ქორულებ მხედავნი, მუხლები შავარდნისაო (ხალხ.). 5131

ვაეკაცსა თოფი და ხმალი, მოემწითუროს კისერი (ხალხ.). 5132

- ვაჟკაცსა უღვაშგაკრეჟილს ხატში წილ აღარ ერგების,
გოგოსა მანდილმოხდილსა ნამუსი დაეკარგების (ხალხ.) 5133
- ვაჟკაცსა უნდა ეხუროს ნამუსის ქული თავზედა (ხალხ.). 5134
- ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული და თავის ერი (—). 5135
- ვაჟკაცსა უხელეებელსა ქალი სჯობს უხსენებელი (ხალხ.). 5136
- ვაჟკაცსა ცოლის სიავე შუაგზას მოაგონდება,
წაიღებს საფიქრებელი, გზას იქით გადავარდება (ხალხ.). 5137
- ვაჟობის ლხინი მხცოვანმა ვითლა მოიგოს ძებნითა (ქ. დ.). 5138
- ვარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების (ვ. ტ.). 5139
ნეხესა და ვარდს მზე ერთად დასცქერისო.
- ვარდი ამას ვით იაზრებს: მზე მომშორდეს, არ დავსცქენო (ვ. ტ.).
5140
- ვარდისა გაცინებამან ბულბული სრულად შეშალა (ქ. დ.). 5141
- ვარდსა ამშვენებს ბულბული, ვაჟკაცსა — ღონიერობა,
ჩემი მაკვირვებს სირეგვენე, ქვეყნისა გონიერობა (ხალხ.). 5142
- ვაჰ დასა, ვაი დედასა, სხვა ყველა გავა ნებასა (—). 5143
- ვაჰმე, ვარ სევდით მოკლული, სევდა სევდაზე დამერთო,
ნაკბენი მორიელისა, ზედ გველისაცა დამერთო (ხალხ.). 5144
- ვენახს წისქვილი სჯობია, რაც უნდა ძლიერ რომავდეს (—). 5145
წისქვილი სჯობს ვენახსა, რაგინდ წვრილად დაიფქოს.
- ვერ გაჭრა ხმალმა ორპირმა, გაჭრა დიაცის ენამა. (—) 5146
იმდენად ხმალმა არ გასჭრა, რამდენადაც ენამაო.
- ვერ დაინახავს უსწავლი თავისას, ვერც სხვისასაო (ქ. დ.). 5147
- ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს. სუსტი და ძალ-გულოვანი,
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი (ვ. ტ.). 5148
- ვერ ემოყვროს კატას თავგი სიყრმიდან სიკვდილამდისო (—). 5149
თავგი კატას ვერ დაემოყვრებაო.
- ვერ იქმოდა, რად მიქაღდა, თუ მიქაღდა, რად მიმტყუნა (ვ. ტ.). 5150

- ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო აღმა მხენელსა, დაღმა მბარავს
(გურამ.). 5151
- ვერას ვარგებ ვულსა დავდებ, ჩემი ფიცი არ გატყდების (ვ. ტ.).
5152
- ვერ ვინ ჰკრა გონის მშვილდითა საწადლის საგანს ისარი (ქ. დ.).
5153
- ვერცხლზე ვინც სულსა გაჰყიდის, მით მოიყიდის რასაო! (ქ. დ.).
5154
- ველარ შევიძელ მოწევა, დავბერდი, მშვილდი დავდეო (გურამ.).
5155
- ვიდრე დრო გქონდეს, დავრდომილს ხელი აღუჰყარ სავალად (ქ. დ.).
5156
- ვით მიწა დამყარებული პირობას დამეკვიდრეო,
ქარსავით მთა-მთა ნუ დარბი, ქარქვეტასავით ჰრბიდეო (ქ. დ.). 5157
- ვინ არ მისცეს ქადებული, მოურავსა მოიმდურებს (ვ. ტ.). 5158
- ვინ აღირსებს გლებსა კაცსა იფქლის პურსა საქმელადა,
იფნის შეშას საწველადა, სიყმის შეილსა — საზრდელადა (ხალხ.).
5159
- ვინ დაშვრა, მანვე მოიგო უნჯი ორსავე სოფელსა (ქ. დ.). 5160
- ვინ მოკლა გახარებამა, ვინ ააყენა გლოვამა?
ამირან ვერ ააყენა სამოცი გმირის გვლეჯამა (ხალხ.). 5161
- ვინ ჰირსა თავი არ მისცეს, ლხინს როდის შეესწრებისო (ქ. დ.) 5162
- ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად (გურამ.). 5163
- ვინც არის ჩემი მებრძოლი, პირისპირ მკადროს ომია (ქ. დ.). 5164
- ვინც აჰამა მჰადიო, — ჰანგიანში წადიო,
ვინც აჰამა ერბოო — იმას მეტი ერგოო! (ხალხ.). 5165
ვინც რომ ასვა არაყიო, მისცეს სახლის ალაგოო.
- ვინც ბრძენთა სწავლას მისდივა, ბოლოს ის მისწვდა ნებასა. (ქ. დ.).
5166

- ვინც საფხულობით არა მკის, ზამთარში სად რა იშოვოს,
უცეცხლოდ მაინც შესცივა; რაგინდ პატარა ითოვოს (ხალხ.). 5167
- ვინც თავი დაიმდაბლა, იგი ამაღლდა.
„რომელმან აღიმალღოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს და რომ-
ელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (საწარ.). 5168
- ვინც მე მომდევს გაუყრელად. მეც იმასა ვზღეო (გურამ.). 5169
- ვინც მოკვდეს, თავსა მოუკვდეს, ცოცხალი ღონიერია,
წავა და ყველგან დარჩება, სოფელი გონიერია (ხალხ.). 5170
- ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია (ვ. ტ.). 5171
- ვინც ნდომას დაემონება, მორჩენა დია ძნელია (ქ. დ.). 5172
- ვინც რომ გარეთ გაიზარდოს, ან ლომი და ანაც გმირი,
ვინც რომ სახლში გაიზარდოს, ან ძროხა და ანაც ვირი (ხალხ.). 5173
- ვინც რომ კაცია, ჩოხა ჯაჰვია, ქუდი ნაბღისა — ჩაბალახია (ხალხ.)
5174
- ვინც რომ მოჰკრა ბალიო, არ დაედვა ვალიო (—). 5175
- ვინც რომ ძრახვეას თავილობდეს, ნურასა იქს საძრახვესა (გურამ.).
5176
- ვინც რომე შენა გეზების, ფისივით ზედა ეცხები (გურამ.). 5177
- ვინც სახელოვნად მოკვდება, სახელი დარჩეს ქებული (ქ. დ.). 5178
- ვინც სულგრძელობას დაიპყრობს, შერჩება სახელოვნება (ქ. დ.)
5179
- ვინც წყალზე ვაღო პატარა ხიდიო, იმან მაღლი ქნა ერთობ დიდიო
(—). 5180
- ვინც ჭირსა თავსა არ მისცემს, ლხინს როდის შეესწრებისა (ქ. დ.).
5181
- ვინცა დაჩაგრა სიმართლე ბოროტ განზრახვით, ხერხითა,
ის კიდევ ადრე ჩავიდა ჯოჯოხეთს თავის ფეხითა (—). 5182
- ვინცა მოითმენს, უთუოდ ღვთის კალთას მოეკიდება (ქ. დ.). 5183
- ვინცა სიბრძნითა მეტია რად ჰკითხავს, ვინცა რეტია (ქ. დ.). 5184

ვინცა-ლა ჰკადრებს, მან ჰკადროს, რაცა ვსთქვი, მასცა ვინანი (ვ. ტ.).
5185

ვირს თუ კურტანი აჰხადე, ვირი ვირზე უარესია,
ედგას და მასში დაბერდეს, ხალხს მისთვის დაუწესია (—). 5186
შდრ.: № 848

ვირს რას ჰკითხავენ საქმისას, მელას რას დაუჭერებენ (—). 5187

ვის ასმია პატრონისგან ჰირსა შიგან ყმისა რიდი (ვ. ტ.). 5188

ვის ვანდო გულის პასუხი, არა მყავს მეხვაშიადე (ქ. დ.). 5189

ვის გვერდს ახლავს საყვარელი, რამცა უნდეს ამის მეტი (ქ. დ.). 5190

ვის შერჩენია, შენ შეგრჩეს სიაშრე, ავკაცობანი (—). 5191

ვის ჰყვანდეს ცოტა მოყვარე, ავ კაცად საცნობარია (ქ. დ.). 5192

ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა შავი მთისასა (ხალხ.). 5193

ვისი-რა ვის-რა დარჩება, მაშვრალთი — დასვენებულთა (—). 5194

ვისიც არა მერგება-რა, მოკვდეს, არა მევენება-რა (—). 5195

ვისლა შესჩივი? რაცა გჰირს, შენმავ ნაქნარმა გიწია (ქ. დ.). 5196

ვისცა მინდობა არა აქვს... მისგან ბოროტი რად გიკვირს (ქ. დ.). 5197

ვმონო თუ მტერსა, გავეგო მტვერსა (ქ. დ.). 5198

ჯაფხულს საზრდო შეინახე, იშრომე გაკვირვებითა,
ზამთარში რომ არ დაგაკლდეს და იყო მოსვენებითა (—). 5199
შდრ.: № № 904, 906

ზედაობითა, გუთანო, კვალი არ გაგვიტანია (ხალხ.). 5200

ზოგ კაცსა საკმლად მიუჩანს თვისი სიმყრალის სუნება (გურამ.).
5201

ზოგი მთაკაცის გონება მსუბუქი ჩიტის გინგლია (—). 5202

ზოგიერთმა კაცმა იცის, გაძლება და გაგორდება,
რა გინდ საქმე უხდებოდეს, საქმე აღარ აგონდება (ხალხ.). 5203
ჩვენებიანთ ჰაკი ვირი გაძლება და გაგორდება.

ზოგის გროში ოქროდ გადის, ზოგის ოქრო არც მაწყულად (—).
5204

შდრ.: № 920

- ზოგს წესად აქვს, ამოაგდოს მამა-პაპათ სამარხეთი (—). 5205
- ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კაცსა—კაცუნაო,
 ზოგს დედაკაცს — დედაკაცი, ზოგსა — დედაკაცუნაო (ხალხ.). 5206
 ზოგი კაცი კაციაო, ზოგი კიდეც — კაცუნაო.
- ზოგსა კაცსა რეგვენსა თავი უკვდავი ჰგონია (—) 5207
- ზოგსა კაცსა უმეცარსა ბედი ხელიდან წაუვია,
 დაჰკარგავს თავის ხელითა, თავისი თავით მოუვია (—) 5208
- ზოგსა ქუდ-ბედი დაჰყვება, ზოგსაცა—წყევლა-კრულვაო (—). 5209
- ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების
 (ვ. ტ.). 5210
- ზღვა და ხმელეთი ვრცელია. კაცმან ვერ დაასრულაო (ქ. დ.). 5211
- ზღვის უბისაგან გამოჰხდა პატარა მარგალიტიო (ქ. დ.). 5212
- თავითგან კაცის სიკვდილი კაცთაგან შემოღებულა (გურამ.). 5213
- თავის მკვდარს თავი ანება, სხვისას დაუდგა მატური (—). 5214
- თავის ხრა, ზორვა კერპისა ფუჭი რამ თამასუქია (გურამ.). 5215
- თავისისა ცნობისაგან ჩავარდება კაცი ჭირსა (ვ. ტ.). 5216
- თავს ასეთზე ნუ იხარებ, ბოლოს ინანებდგეო (გურამ.). 5217
- თავს და ბოლოს სად უპოვნი მელიას ხვრელს, სორო-მოროს? (—).
 5218
- თავს სინანული სჯობია ბოლოყამ დანანებასა (გურამ.). 5219
- თავსა სევდასა ნუ მისცემ, გულს ხავსი მოეკიდება,
 კაცი ცრუ, ამპარტავანი სილაღეს მოეკიდება,
 ის უფრო ცუდი იქნება, ვინც იმას წაეკიდება (ხალხ.). 5220
- თავსა შენსა დაემღურვე, შენის ბედისა მკვერავსა (—). 5221
- თბილა თუ ცივა — ორივე მტკივა (გურამ.). 5222
- თებერვალი ბერავსო, მარტი კაბას კერავსო,
 აპრილი გაჩქარებული სახნის-საკვეთს ფერავსო (ხალხ.). 5223
- თეთრი ქორისა მეგონა შავი შავარდნის ბუდეო,
 ფუჭი და ცარიელი ხარ. ლაჰაზი ქალის უბეო (ხალხ.). 5224

თეთრისა თხისა ციკანსა შორს შეეტყობა ვაცობა.
დღეს ღვინო გალაპარაკებს, ხვალ ვნასოთ შენი კაცობა (ხალხ.). 5225
თელავში ზურნა დაუქრეს, კურდღელაურში — ნალარა.
სულ რომ ჩვენსა ვიქეიფოთ, ერთხელ თქვენსა კი აღარა? (ხალხ.).
5226

თეოზე ცეცხლი დავანთე, ზედ დავაყარე დეკაო,
კაცი რომ იხარჯებოდეს, რილასთვის უნდა დრეკაო (ხალხ.). 5227
თვალი თვალიაა წილ და კბილი კბილისა წილ (სახარ.). 5228
თვით ქრისტე ბრძანებს: ძნელია ორთა უფალთა მონება (გურამ.).
5229

თვითონ სიფრთხილე სჭირდება, სხვას ვინც დაუგებს მახესა (—).
5230

თივა მთიბელეის ნათიბი, ირმების ნაგელარია,
ნუ გინდა ქალი ლამაზი, ბევრი ყმის ნახელარია (ხალხ.). 5231
თივა მთისა სჯობს, რეგვენო, პური და ღვინო ბარისა. (ხალხ.). 5232
შდრ.: № 3113

თორმეტი უღვაშ-კოკობი მე მოგკალ ქალმა იამა,
განა თავს რამე შევმატე. ცოტა რამ გულზე მეამა (ხალხ.). 5233
თუ ავსა ავი არ უყო, ვის ჰკითხო დანაშაუვბი. (ქ. დ.). 5234
თუ არა იქ, ვით იქნასო, რაცა რომ დაიქადეო (გურამ.). 5235
თუ არ მოგყვეს საყვარელი, შენ მას მიჰყევ, რაცა სწადდეს (ვ. ტ.).
5236

შდრ.: № 2812

თუ ბედი მწყალობს, არ ვნადვლობ ბატონის ჩემის წყრომასო (—).
5237

შდრ.: № 1046

თუ გინდა მომკალ ხორცითა, ოლონდ ნუ წამწყემდ სულითა (გურამ.).
5238

თუ გულთ გიყვარს მოყვარე, შორი და ახლო სწორია (ქ. დ.). 5239

თუ ვერ მოვიხმარ იარაღს, როგორც რიგი და წესია,
რომ არ მეიკდოს წელზედა, ათასჯერ უკეთესია (ხალხ.). 5240

თუ ვინმემ ყბაში გაგარტყას, მეორეც მიუშვირეო.
იესო ქრისტემ ბრძანაო: ცალ ლოყაში რო სილა გაგარტყან, შენ მე-
ორეც მიუშვირეო (სახარ.). 5241

თუ თავი გიყვარს, დაცავ სიტყვანი შესანახონი (ქ. დ.). 5242

- თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებ (ვ. ტ.). 5243
- თუ კაცსა მტერი არა ჰყავს, მოყვარე დაუმტერდება (—). 5244
- თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (გურამ.). 5245
- თუ ლხინი გვინდა ღვთისაგან, ჭირნიცა შევიწყნარეთო (ვ. ტ.). 5246
- თუ მასპინძელი არ ლხინობს, სტუმარსაც მოეწყინების (ხალხ.). 5247
- თუ მაჰმევე ტკბილთა, ჩამამტვრევ კბილთა (გურამ.). 5248
- თუ მეზობელნი გშურობენ, ხარ ღლით გაუტივიდი (ხალხ.). 5249
- თუ მტერი გამექცეოდეს, ოქროს ხიდს ვასწავლიდიო.
- შენს მტერს რომ გაქცევა უნდოდეს, ოქროს ხიდი გაუკეთეო.
- „გაქცეულ მტერს ღირს, რომ ოქროს ხიდი გაუდო“ (დამ.). 5250
- თუ რისავეს ხმლითა მოცამკლავ, შენ იცი, ნება შენია (ქ. დ.). 5251
- თუ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო (გურამ.). 5252
- თუ სახელის ქსა გინდოდეს, ლაშქარს წინაწინ წარსდგეო (—). 5253
- თუ სურს, გლახაკიც დაიდგამს საშეფო სასახლესაო (—). 5254
- თუ უმეცარმა საქმე ქნას, ამპარტავენული რიგია,
ყრუსავით ყურთა დავიხშავ, ვითარმცა არ გამიგია (ქ. დ.). 5255
- თუ შენა გაქუს-ყე ისარი, მეც მიპყრია ფარიო (ქ. დ.). 5256
- თუ შენს მტერს ხელთ აქვს ისარი, ნურც შენ გიჭირავს ფიცარი.
- თუ ჟამს ხელთა აქვს ისარიო, შენცა ხელთ გქონდეს ფარიო.
- თუ შენ თავვი ხარ, მე — ციცი, რაც რომ შენ იცი, მეც ვიცი (—). 5257
- თუ შენ ტვირთს შენ ვერ უძლებ, რატომ გიკვირს, რომ სხვაც ვერ უძლებსო.
- „თუცა კაცი თვისსა ტვირთსა ვერ ზიდავს, სხვას რომე აჰკიდოს და მანცა ვერ ზიდოს, არა საკვირველია!“ (ქ. დ.). 5258
- თუ ჩემი თავი გინდაო, იყავ ყოველთვის წმიდაო (გურამ.). 5259
- თუ ცურვასა არ ისწავლით, ვერ გაუხვალთ წყალთა ღრმათა (გურამ.). 5260
- თუ წყვდიადი არ გინახავს, ფასს ვერ დასდებ სინათლესა (—). 5261
- თუცა ჟამი შენ არ მოგყავს, შენ ჟამს მიჰყევ, რაცა სწადდეს (ქ. დ.). 5262

- თქვეს თუ: ცდებისო სოფელსა კაცი ჰკვით მიუყოლელი (—) 5263
- თქმულა: თუცა მოყვარენი ათასიცა გესხნეს, იცოტავეო და ერთი მტერი მრავლად მიიჩნიეო (—). 5264
- თქმულა: სიბრძნესთან სირეგვენე ვითა ცოცხალთან მკვდარია (გურამ.). 5265
- თქმულა: სიწყნარე გამობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა (ვ. ტ.). 5266
- თხამ მგლის სიკვდილი გაიგო, დაიკიკინა შახტაო, შე თხოო, რა გიხარიან განა სამგლეთი წახდაო, შენ თუ დაზარდე ციკნები, მგელსაც ლეკვები დარჩაო (ხალხ.). 5267
- თხილი როგორ გაიმტვრევა ერთმანეთის სროლითაო, მთვრალი როგორ გაიქარვებს ცეცხლთან წამოწოლითაო (ხალხ.). 5268
- იარე, მოგეწევიან, თავი ნუ გემარტოვება (ხალხ.). 5269
- იგი თავს მთელსა ნუ ჰგონებს, ვინცა სნეულის მკვრეტია (ქ. დ.). 5270
- იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია (ვ. ტ.). 5271
- იობს უთქვამს: თუ სიკეთეს შევიწყნარებთ, ბოროტი კი არ უნდა შევიწყნაროთ? (—). 5272
- ისარი და პირით სიტყვა, რა გასატყორცნი, არ მობრუნდეს (ქ. დ.). 5273
- ისე ვისწავლე ფშაური, არ დამეხარჯა შაური (ხალხ.). 5274
- ისევ წახვალ გუდამაყარს, მამა-პაპის ალაგასა (—). 5275
- ისეთ მოყვასსა ეთვისე, კაცურად ყველგან მავალსა, მოყვრისთვის სულსა დაღვედეს, მტერს ნოუთმენდეს მრავალსა (—). 5276
- ისეთი ქალი ვიყოდი, ჯაგნიც არ მიშვებდიანო (ხალხ.). 5277
- იქ ყველაფერი გვეადვილება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი (ილია.). 5278
- იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი (გურამ.). 5279
- იყავ შენ გულმართალია, როგორც რომ სამართალია (გურამ.). 5280

- იშვებლე: გარჯას არა აქვს ვით ზღვასა ახლო კილება (ქ. დ.). 5281
- იკოდე. კუტი სჯობია ცუდ გზაზე კაცსა მავალსაო,
ქვემძრომი გველი სჯობია სამშობლო ქვეყნის მტარვალსაო (ხალხ.)
5282
- იკოდეთ, ყოვლი ბუნება გვართაკენ მოიზიდება (ქ. დ.). 5283
- კაინის ამბის სმენასა სჯობს ყურში თითის დაცობა (გურამ.). 5284
- კამეჩები მოგაბარე ამუშავე და აჰამეო,
განა მისთვის მოგაბარე, დაკალი და შექამეო (—). 5285
- კამეჩები ჩაგაბარე, წაასხი და შაასხიო,
განა მისთვის ჩაგაბარე — ცეცხლზე წყალი დაასხიო (—). 5286
- კამეჩი ღონიერია უღელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება — წაიღებს თავისასა და სხვისასა (ხალხ.). 5287
- კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია (ხალხ.). 5288
- კამეჩო, მუხრანელი ხარ, უღელი გეცოდინება,
— მე მუხრანელი არა ვარ, უღელი მეჩოთირება (ხალხ.). 5289
- კაპიკმა გამომაგზავნა: კაპიკისა ხურმაო,
კარგიც იყვეს, ბევრიც იყვეს, კაპიკ ისევ ხურდაო (ხალხ.). 5290
- კარგს კაცს ვითარ დავუკარგო, რაც რომ სიკარკაცე აქვსო (გურამ.).
5291
- კარგ საქმეზედა მიბაძვა არა-რა დასაძრახია,
სწავლაზე ურჩი და მორცხვი თვალით არ დასანახია (გურამ.). 5292
- კარგ ყმასა შურობს სოფელი: ყველას წინ წამოდგებაო,
ის არ იციან საწყლებმა, გაჭირდეს — გამოდგებაო (ხალხ.). 5293
- კარგს ყმას უჩივის სოფელი, ბევრჯელ კი გამაადგება.
- კარგი არის კარგი კაცი კაი გვარად აგებული (ხალხ.). 5294
- კარგი ბატონის ხელშიო გამართული ვარ წელშიო (ხალხ.). 5295
- კარგი ვაჟკაცის ცოლობა ნუ გიხარიან ქალაო,
კაი ყმა მალე მოკვდება, დამრჩები ცარილაო (ხალხ.). 5296

- კარგი ვარ. ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა,
 კარგი ჩვენც მოგვეწონება, ავი — არც თავის დედასა. (ხალხ.). 5297
- კარგი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდება (ხალხ.). 5298
- კარგი კაცისა ალერსი მუშკის ყნოსას ჰგავს ამოსა (ქ. დ.). 5299
- კარგი მიჯნური იგია, ვინც იქს სოფლისა თმობასა (ვ. ტ.). 5300
- კარგი რამ მჭირდეს — გიკვირდეს, ავი რა საკვირველია (ვ. ტ.). 5301
- კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების (ვ. ტ.). 5302
- კარგი სიტყვა — კარგი მთქმელი, კარგი ღვინო — კარგი მსმელი
 (ხალხ.). 5303
- კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება, სწორების მჯობინობასა,
 გონჯი კი — ბოსლის ბოლოსა, ქალების ლოდინობასა (ხალხ.). 5304
- კარგი ყმა ხმალსა ჩახედავს, — ნეტავ გამიჭრის თუ არა,
 ცუდაი — ქალის უბესა, — ნეტავ ჩამიხვევს თუ არა (ხალხ.). 5305
- კარგი ყმის ნასადგომარსა შეუძი მეტი რჩებაო,
 ცუდი ყმის ნასადგომარსა ნაცარიც არ დარჩებაო (ხალხ.). 5306
 კაი ყმის ნაბინავარში შეშანი დარჩებიანო.
 ცუდაის ნაბინავარში ქარნი ნაცართა ჰყრიანო.
 შდრ.: № 1125
- კარგი ყოფა და ქონება მკლავს მოაქვს კაი ყმისასა (ხალხ.). 5307
- კარგი ხარ კარგო ყოფაო, კარგო ცხვარო და ძროხაო,
 საწუთროს მონახევრე ხარ, წამოსასხამო ჩოხაო (ხალხ.). 5308
- კარგისა კარგი მოკვდება, კარგივე წამოიზრდება (—). 5309
- კარგისა ყმისა მცემელო, თავადაც გინდა ფარება (ხალხ.). 5310
- კარგის ყმისა ცოლობასა კარგი უნდა ქალობანი,
 კარგი ადგომ-დაჯდომანი, კარგი საქციელობანი (ხალხ.). 5311
- კარგისთვის კარგი ვის უქნიაო (საბა). 5312
- კარგს არას გელი, ცხვარსა მქამ მგელი. (გურამ.). 5313
- კარგს კეთილი ზღვეს, ავს—ავი, წინა უცს მოსაგებელად (—). 5314

- კარუზამდის არ მოგყვება ბატონიანთ წყალობაო (ხალხ.). 5315
- კარჩი მგელ ვერას შემიჭამს, შინ შემოტანილს — ციკაო (ხალხ.).
5316
- კატამ კლანჭი რას მოაველოს, რომ არ იყოს სასვლეპი და საწიწკნა-
რი (—). 5317
- კაცი არ ვარგა სოფელში უმამულო და ეული,
სხვები შრომობენ, ხარობენ, ის კია გულამღვრეული (ხალხ.). 5318
- კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის (ვ. ტ.). 5319
- კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა (ვ. ტ.). 5320
- კაცი გამოვა კაცობრივ. წვერი არ გაახარებსო,
თხასაც ასხია ბალანი, მაზმანი დააფასებსო (—). 5321
- კაცი ვერსად ვერ წაუვა თავის ბედსა და წერასაო (ხალხ.). 5322
- კაცი თუ ვარგა, რათ უნდა მისი მოდგმისა ცილობა,
თუ თვით არ ვარგა, რას არგებს მამა-პაპათა შეილობა (ქ. დ.). 5323
- კაცი თუ ვარგა, ჯილაგი ნეტა რა საძებარია,
თუ თვით არ ვარგა. სუყველა ფუჭი და საცინარია (ხალხ.). 5324
- კაცი მიწისგან შექმნილა და მიწადვე მიიქცევისო (—). 5325
- კაცი მოკვდა პურადძვირი, წაახვევენ ტილოსაო,
მოთხრიან და ჩააგდებენ: — ე მანდ ეგდე, შეილოსაო,
ვინც იმას შენდობას ეტყვის. ღმერთმა შეარცხვინოსაო (ხალხ.).
5326
- კაცი პატივსა შინა იყო და არა გულის ხმა ყო (—). 5327
- კაცი რომ გალარიბდება. თავში ჭკუა გამოუვა,
ზოგსა ძილად გადქცევა, ზოგსა ძილიც არ მოუვა (ხალხ.). 5328
- კაცი რომ თავის თავს უზამს. მტერი ვერ მოეკიდებაო (ხალხ.). 5329
შდრ.: № № 3807. 5479
- კაცი რომ კაცს მოერიოს. უნდა ღმერთი მოიგონოსო (—). 5330
- კაცი რომ ლაპარაკობდეს. უნდა სხვისიც ვაიგონოსო (—). 5331
- კაცი სახელის მძებნელი უკვდავად შემირაცხია (ქ. დ.). 5332

კაცი უნდა კაცად იყოს — სანთელივით თვით დაიწვას და სხვას გზას
უნათებდეს.

„წინა მდგომი კაცი სანთელია, თავს თვისსა დასწვავს და სხვათ გაუ-
ნათებს“ (საბა). 5333

კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,
განა კაცი ეჩო არის სულ თავისკენ მიითლიდეს (ხალხ.). 5334

კაცი უპირო გავინაპირო (ქ. დ.). 5335

კაცი ყბედი და უაზრო წისქვილის სარეკელაა (—). 5336 .

კაცი ცრუ და მოღალატე ჰხამს ლახვრითა დასაჭრელად (ვ. ტ.) 5337

კაცი ხალხისა ქებითა ნუ გაიდიდებ თავსაო,
დღეს ერთი ყვავის ყვავილი, ხვალ შლილობა აქვს სხვასაო (ხალხ.).
5338

კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა (ვ. ტ.). 5339

კაცი ჰხამს სიმზნით მოღვაწე, ჭირისა არ შემდრეკელი (ქ. დ.). 5340

კაცი ჰხამს სწორე გზიანი, გულ-მრთელი, პაემნიანი (ქ. დ.). 5341

კაცმა, მძებნელმა ცოცხლისამ, მკვდარიც ვერ მოიძიაო (—). 5342

კაცმან ვით ჰპოვოს, ღვთისაგან რაც არა დანაბადია (ვ. ტ.). 5343

კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ კმუნვასა ესე სჯობდეს (ვ. ტ.). 5344

კაცო, შენი ნახერხი შენვე დაგეყრება თავს (—). 5345

კაცსა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ჰხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა (ვ. ტ.). 5346

კაცსა ფიცნი გამოსცდიან (ვ. ტ.). 5347

კაცსა ღმერთი არ გასწირავს (ვ. ტ.). 5348

კაცს ჰმართებს დაბლაც დახედვა, რაგინდ მალლამდის აროსა (გუ-
რამ.). 5349

კაცურსა კაცსა ტყუილი არ ჰშენის, არად არაო (ქ. დ.). 5350

კახელებო, თქვენი ქალი ვნახოთ, როგორ მოიქცევა,
დაჯღომაზე ზარმაცია, ადგომაზე — წაიქცევა (ხალხ.). 5351

კეთილ სახელის დათესვა კაცთაგან განაწესია (—). 5352

- კეთილი ცოლი სახლსა ხვექს. ბოროტი მრუში ანგრევსო (—). 5353
- კეთილის მოქმედს, კეთილი წინა უც მოსაგებელად,
ბოროტისათვის — ბოროტი, ცეცხლისა მოსადებელად (ქ. დ.). 5354
- კეთილსა ვიზამ მაშინა, როცა კეთილი მადგია (—). 5355
- კვამლი არ შეუზარდება ღრუბლის ცვარისა დენასა (ქ. დ.). 5356
- კვამლსა გზა მიეტ, გამოჰხდეს (ქ. დ.). 5357
- კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი
ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი შეჰკამონ მტრისანი (ხალხ.). 5358
- კირკიტას ოდეს მოხედება მითხარ, ორბისა ძალანი (ქ. დ.). 5359
- კიცხევა, ქირდად აგდება კაცისა არა წესია (ქ. დ.). 5360
- კლდესაც გაარღვევს წყლის წვეთი, თუ ერთ ადგილას სცემს მა-
რად (—). 5361
შდრ.: № 2776
- კუდა კამეჩი გაეყიდე ქებითა და დიდებითა,
შეეხედე, უკან მოჰყავდათ ლანძღვითა და გინებითა (ხალხ.). 5362
- კუდა ხარის საყევარი წნელს ვერ დაწყვეტს რცხილისასა (ხალხ.).
5363
- კუდავ, ჩემო საყვარელო, გუთნის მაძუგძუგებელო,
— არც ისე მეხალისება, ძალად მაძუგძუგებენო (ხალხ.). 5364
- კუტსა კუტი მოუტეხეთ, ფეხს აიდგამს, მადლიაო (—). 5365
- ლამაზ ქალს უჰკო ყმა მისდევს, რეგვენი, გონდალეული (ხალხ.).
5366
- ლამაზი ცოლი დღეს შენი, ხვალე სხვისაო. მომსვლელი მამაციასაო
(ხალხ.). 5367
- ლამაზი ცოლის პატრონსა უნდა ჰყავდეს ძალი ფრთხილი,
ან თითონ უნდა ფრთხილობდეს, ან იმისი დედამთილი (ხალხ.). 5368
- ლამაზო ქალო, შენ გეტრფი, ფეთხუმო, გამოვარდები,
წითელო ვაშლო, შენ გესერი, თეთრო. შენ ჩამოვარდები (ხალხ.).
5369
- ლაფში მწოლავ მცოხნავ კამეჩს გული ერჩის, კლდეს შეანგრევს
(ხალხ.). 5370

- ლომსა საბრწოლოდ ქურციკი არად არ მოიწონებდეს (ქ. დ.). 5371
- ლუკმა მაშინაა ტკბილი, როცა ოფლითაა ნაშოვნი (ილია). 5372
- ნაბეზლარს ყოლე ნუ უსმენ, ნუ გინდა სიტყვა გმობილი (ქ. დ.). 5373
- მაგრა თუ ქირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია (ვ. ტ.). 5374
- მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალეზის (ვ. ტ.). 5375
- მავედრებელთა ვედრება მსმენელთა არ ესმოდინ (ქ. დ.). 5376
- მალვით ვინც მტერი მტერს მოჰკლავს, ის ქალს ვითა სჯობს თმი-
ანსო (ხალხ.). 5377
- მამით მაუდის ჯაბანსა, მშვილდსა მაჰზინდებს მაგარსა (ხალხ.). 5378
- მამიხან ნაპირ-ყურიოთა, გოდორს აგივსებ პურიოთა (—). 5379
- მამალს უთქვამს: მე ბარე ასი ცოლი მყავს, მაგრამ ყველანი ჩემი
ბრძანების მორჩილნი არიანო (საბა). 5380
- მამლის ყივილი ხიდანა მცნებად არ მიიჩნევაო (—). 5381
- მამული სჯობს მამული ნაძალადევს, უმკვიდროსა (—). 5382
- მარგალიტისა მძებნელმან სათნი დავკარგენ, მინანი (ვ. ტ.). 5383
- მართლად უთქვამთ მეცნიერთა, წყენაო ქირთა ბადე (ვ. ტ.). 5384
- მართლისა მთქმელსა ყველანი ჰძულობენ, ექიშპებიან (ქ. დ.). 5385
მართლის მთქმელს ბევრი მოძულე ჰყავსო.
შდრ.: № 1324
- მარცხნივ თიკანთ განმარიდე, მარჯვნივ კრავთან შემრაცხეო (გუ-
რამ). 5386
- მარხვა ვის გაუგონია მეცხვარისა და მგლისაო (ხალხ.). 5387
- მას დაენატრი, ვინცა სწორედ სლვად საწუთროსა გზას გაჰკვალავს
(გურამ). 5388
- მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს,
(ვ. ტ.). 5389
- მას უშმაგო ვინ მიენდოს, ვინ მოყვარე გაამეღვენოს (ვ. ტ.). 5390
- მაფერებელნი მოყვასნი მოვლენ და გედასებიან,

მწერსავით სიტკბოს მოსდევენ, შენთანა არ მოკვდებიან (ქ. დ.) 5391

მაქცი შენ იყავ, კურდღელო,
მოქცი მე დაგხვდი მწევარი! (ხალხ.). 5392

მალაროული მძახალი გავაცილებ და აქ არი (ხალხ.). 5393

მალრანმა კაკბის გოგვანი დაიწყო მისაბაძველად,
თვისიც სულ დაავიწყდა, რაცა იცოდა მან ძველად (ქ. დ.). 5394
შღრ.: № 2401

მაშ კი მოგიკვდე შენ. ჯავრო, თუ შენ გიგლოვო, ვიქარვო,
შვიდის წლის სამგლოვიარო სამ დღესა გადაგიჯავრო (ხალხ.). 5395

მაშინ დამძახე, გუგულო, ყანა რომ დავაგუგუნო (ხალხ.). 5396

მაშინ ვერ გაძველ სიახლე, ან სიშორესა ვინანი (ვ. ტ.). 5397

მაშინ მეწყალვი, მტყუანო, მართალსაც არ გიჯერებდნენ,
შენ გულით ეფიციებოდე, ისენ სიცილს კვდებოდნენ (ხალხ.). 5398

მაშინ ლხინი ამო არის. რა გაღიზნის კაცი ჭირსა (ვ. ტ.). 5399

მახარა წავიდა ტყეში, ვენახი ჩაჰყარა,
მოვიდა სახლში, ქალებს ახარა,
წავიდა ტყეში, ისევ ათხარა (ხალხ.). 5400

მახესა არვინ გაებმის, თუ არ სიხარბის მლომელი (ქ. დ.). 5401

მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასა,
არ მოშლის ბერი არწივი მთის ყურეთ ნადირობასა (ხალხ.). 5402
შღრ.: № 1353

მდიდარიც გაღარიბდება, თუ არ არის მუშა კაცი (ხალხ.). 5403

მდიდარო, საწყალს მიხედე, იყიდე ღლახათ გულია,
ამ სოფელს შენი სიმდიდრე იმ სოფელს დაკარგულია (ქ. დ.). 5404

მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსა
(ხალხ.). 5405

მე ამად ვტირი, არა გაქვს პირი (გურამ.). 5406

მე გაწყენ, შენ შემომწყრები. წესია ამა სოფლისა (ქ. დ.). 5407

მე ეს ხიდი სავლელად დიად სწორე გავდეო,
თუ შენ ბრუდათ გაივლი, მე რა წყალში ვარდეო (გურამ.). 5408

მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ფარავს (გურამ.). 5409
მე მსურდა — ერთი არ მომცა, ვის არ სურს — მისცა ტყუბია (გურამ.). 5410

მე სიკვდილი რას დამაკლებს, თუ რომ ღმერთთან სიმართლე მაქვს.
ან სიღარიბე რას მიზამს, თუ ცოლი რიგიანი მყავს (ხალხ.). 5411

მე სიცოცხლე მისთვის მინდა, ცოლს ვუმზერდე, ანუ შვილთა
(ქ. დ.). 5412

მე ძილმა ასე მიბრძანა: დაწვე და დაიძინეო,
თუ ლამაზი ცოლი გყავდეს, ისიც გვერდს მაიწვინეო,
სიღარიბისა არგანსა ხელთ მოგცემ, დაიჭირეო (ხალხ.). 5413

მევე ვუყავ ჩემსა თავსა, ჩემი ბრალი ვის ვაბრალო (ქ. დ.). 5414

მეკურტნობავე სჯობია... ავის ქუდისა მკერავსა (ქ. დ.). 5415

მელა ტაძარში შევიდა, მარხულობს და არს მლოცველი (—). 5416

მელიის მფარველობასა ლომმა შემქამოს, სჯობია (—). 5417

მეფეთ სიკეთე მისისა საქმის ქნით გამოჩნდებისო (ქ. დ.). 5418

მეფის ბრძანება, ნდომა და ნება ჰხამს სიბრძნის გზითა განირჩეოდეს (ქ. დ.). 5419

მეფის ბრძანება ცეცხლსა ჰგავს. ანუ წყალს აღიდებულსა:
თემს წამზედ მოაოხრებენ, მტკიცედ საფუძველ-დებულსა (ქ. დ.).
5420

მეფობა თქმითა არ არის, არცა სახელის წოდებით (ქ. დ.). 5421

მგლორემა ღორსა სცემა: რატომ ტყეში შემივარდი!
შინ მოვიდა, ცოლსა სცემა: რატომ ბერწად დამივარდი! (ხალხ.).
5422

მეშურნის ქაცვსა სად მორჩა ხელგამომავალთ ვარდია? (ქ. დ.). 5423

მეშფოთე კაცსა ერიდე, ნუ ისმენ მეშურნისასა (ქ. დ.). 5424

მეც მრევენ მერანთ ჯოგშიგან, თუ შევძელ გაჯაჯაგება (გურამ.).
5425

მეცხვარე მგლისა შიშითა ვერ გაიგრძელებს ნადიმსა,
თუ გაიგრძელებს ნადიმსა, მგელს გაუყეთებს სადილსა (ხალხ.). 5426
354

- მეცხვარე ცხვარს ვერ გარეკავს, თუ წინ არ უძღვის ვაციო (ხალხ.).
5427
- მზად უნდა იყვეს კარგი ყმა, რა ამბავ ჩამოვარდების (ხალხ.). 5428
- მზე თუ გვაცხუნებს ეამამდე, რად სკმუნავს გული ჩვენია (ქ. დ.).
5429
- მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, და-ცა-ქნების (ვ. ტ.). 5430
- მზისა შუქთა ვერ მკერეტელი ია ხმების, ვარდი ქნების (ვ. ტ.). 5431
- მთას ვიყავ, მთობა ვერა ვქენ, ბარს ვიყავ — ბარიანობა,
ჭალმა თქვა: მე კი დავწყევლე ჩემს დღეში ქმარიანობა! (ხალხ.). 5432
- მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორვება განანათლებს (ვ. ტ.). 5433
- მიეც გლახაკთა საკურკლე, ათავისუფლე მონები,
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები (ვ. ტ.). 5434
- მიეცეს და მიემატოს!
ვისაც ჰქონდეს, მას მიეცეს.
მდიდარსა და მქონებელსა მიეცეს და მიემატოს.
„რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს“
(სახარ.). 5435
- მამნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,
იწვებენ, მაგრამ უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან (ვ. ტ.). 5436
- მისთვის დაძრწის ცხვართან მგელი, მეცხვარეს არ დაეძინოს (—).
5437
- მიჰყე მუდამ სოფელსაო, ამ ტიალს და ოხერსაო (—). 5438
- მიჰყევ და მოჰყევ სოფელსა, სოფელი ღონიერია,
მისი წყალობა დიდია, თუ კაცი გონიერია (ხალხ.). 5439
- მიძმოზ თუ მიღობ, მაინც არ მინდობ (გურამ.). 5440
- მიშველოს დამბადებელმა, პირი დაგბანოს ღვინითაო (ხალხ.). 5441
- მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევიო. 5442
- მიწით ამაღლდა მდაბალი, ნეხვთაგან—დავრდომილიო (ქ. დ.). 5443
- მიჯნური მტერთაცა შეებრალების (ვ. ტ.). 5444

- მოქნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი (ვ. ტ.). 5445
- მკედრად იგი თქმულა, ვის კაი სახელი ზედ არ აცხია (ქ. დ.). 5446
- მოდო, მოუდე კუდსაო, ბატონი მოგცემს ქუდსაო,
მოგცემს და ისევ წაგართმევს, ნუ დაგაკლდება გულსაო (ხალს.).
5447
- მოთმენის ხელსა მიაპყარ გულის სადავე საქურად (ქ. დ.). 5448
- მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენით.
„მოთმინებითა თქუენითა მოიპოვენთ სულნი თქვენნი“ (სახარ.).
5449
- მოიტა რძალო, ხახალი, ძველი იყოს, თუ ახალი (—). 5450
- მოკვდა და თავის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკედარიო (გურამ.).
5451
- მოკლე არის ცრუ სოფელი, კაცსა გრძლადა არ შერჩება (გურამ.).
5452
- მოლოდინი სჯობს მოსვლასა ლაშქრით ლამაზი ყმისასა.
მოვა, მაიტანს ამბავსა თავისასა და სხვისასა (ხალს.). 5453
- მოქრიახესა, მგორაუსა, ხავსი არა ჰკრავ ქვასაო,
მუდამ მოგომელი გზაზედა ან გველს, ან გველის ფხასაო (ხალს.).
5454
შდრ.: № № 4, 642
- მოღალატე რომ კალთაზე მოგეყაროს, ის კალთა მოიჭერიო. 5455
იესო ქრისტეს უთქვამს: ურიის კალთა რომ კალთას შეგხვდეს,
მოიხსენ და გადაადგეო.
ეშმაკი რომ კალთაზე მოგეზას, მოგლაჯე და გადაადგეო.
- მოღვაწეობის სახელი გვირგვინად თავსა დაედგა (ქ. დ.). 5456
- მაყვარე გულსა მატკენდეს, მტრისაგან არ მეტკინება (ქ. დ.). 5457
- მოყვარე ევრე ნუ გინდა შუა ბეწვდაუტეველად (ქ. დ.). 5458
- მოყვარე მინდა მოყვრული და აღმპყრობელი სელისა,
გაქირვებაში მღზნელი, გადამწყვეტელი ძნელისა (ქ. დ.). 5459
- მოყვარე მინდა ქებული, ერთ-პირი, ერთის გულისა (ქ. დ.). 5460
- მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია (ვ. ტ.). 5461

- მოყვარე, კეთილს ჰყვარობდე, — ბრძენთაგან ანდერძიაო (ქ. დ.).
5462
- მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყულულა (ვ. ტ.). 5463
- მოყვარეს შემოუთვლია: მოყვრის მოყვარე კედებაო,
მოკედეს და ჭანი გავარდეს, სხვა უკეთესი მრჩებაო (სალს.). 5464
- მოყვარულთა არა ჰმართებს მოყვარისა მსწრაფლ შერისხვა (ქ. დ.).
5465
- მოყვასსა უაუგოსა თუ ეძებ, მარტო დარჩები (ქ. დ.). 5466
- მოშიარე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრჩელად (ვ. ტ.). 5467
- მოშიარე არა ჰქვიან, თუ საღმე თქვას ერთი-ორი,
მანც იტყვის ჩემი სჯობსო, უცილობლობს, ვითა ჯორი (ვ. ტ.). 5468
- მოშიშარს ვისი შიშიც აქვს, ის უძლეველი ჰგონია (—). 5469
შდრ.: № 943
- მოშორებდა და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია (ვ. ტ.). 5470
- მოცდა კლიტეა კარისა უნჯისა, სახარჯავისა (ქ. დ.). 5471
- მოცდა ჰკუთა კაცისა, სირეგვენე — მოუტდელობა (—). 5472
- მოწყალე კაცის გონება სიტყვას შეისმენს მალეო (ქ. დ.). 5473
- მოხველი, მოსვლა გვიამა, დანახვა შენი პირისა (—). 5474
- მოჯამაგირის დღესაო არ დაეღვევა კენესაო,
სატკივარი აუტყდება ყველა ბედნიერ დღესაო (ხალს.) 5475
- მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია (ვ. ტ.).
5476
- მსხვერპლს აღარ ეთქმის მსხვერპლის სახელი, ოდეს ყოყმანი დაე-
უფლება (—). 5477
- მტერი მოყვრულად მოსული მტერზედა უარესია (—). 5478
- მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს (ვ. ტ.). 5479
მტერმა მტერს არ უყო, რაც კაცმა თავის თავს უყო.
შდრ.: № № 5329, 3807
- მტერმან ლოდი მუნ მახვედრა, სად მოყვარემ ვარდის კონა,
ეგრედ მტერმან ვერ მატკინა, ვით მოყვარემ შემადონა (ქ. დ.). 5480

მტერმა ქვაი შამამტყორცნა, მოყვარემა — ვარდის კონა.

მტერმა კეტი დამკრა და მოყვარემ ვაშლიო, ვაშლის დანაკრავი
მეტყინა, კეტისა კი — არაო.

მტერნი არ შეგვიბრალებენ ტირილითა და ვიშითა (ხალხ.). 5481

მტერო, მამწყინდა მტერობა, სიკედლო — მგლოვიარობა,
დედისერთაო — ტირილი, საყელოცრემლიანობა (ხალხ.). 5482

მტერო, ნუ მთხოვ მუქარასა, ზამთარია ქარიანი,
კიდევ სადმე შეგეყრები უფაროსა ფარიანი (ხალხ.). 5483

მტერს ხელი რად გიკიდიო, მოყვარეს მოეჭიდეო (ქ. დ.). 5485

მტერსა მტრობა რად ეძრახვის, თუ მოყვარე მტერსა ჰგავდეს (—).
5486

მტერსაც არ მოჰკლვენ უწყალოდ, ეგრე ტანჯვითა მწართა (ქ. დ.).
5487

მტერსამც ექნება ის გული, ძმას რო მაუკვლენ ძმასაო (ხალხ.). 5488

მტერსამც მაუდის ამბავი, შენი დაქრილი კვდებაო,
მორჩომის მაგიერადა უარ და უარ ხდებაო (ხალხ.). 5489

მტერსამც ნუ აქვის თავისი, იმედსამც არი სხვისასა (ხალხ.). 5490

მტრისა მიწვენა-მისვლასა დაწონა უნდა, გან ძალიო (ხალხ.). 5491

მუდამ რომ ბზუას ფუტკარი, თაფლიც მიტომ აქვს ტკბილიო. 5492

მუშა უნდა მუშაობდეს, მეომარი ხმალს იქნევდეს,
უნდა იჯდეს ბერიკაცი, პურსა სჭამდეს, ყბას იქნევდეს (ხალხ.). 5493

მუცელი პურს უბრძანებდა, მშიან, გვერდით ამომიჭექე!
პურმა უთხრა: მაძლარი ვარ, გავიქცევი, გამომიდექე (ხალხ.). 5494

მუხთალი კაცი ვერ კაცობს, ეს სცანით გლახა, მდიდარმა (ქ. დ.).
5495

მღვდელს საყდარში მოუხდება წიგნის კითხვა და გალობა,
მოწყალება რომ გაიღე, ნულა დაიწყე ნანობა (ხალხ.). 5496

მყეფარი ძალლი სჯობია მიმპარავს, ჩუმად მკბენარსა (—). 5497
შდრ.: № 2456

მშვენიერი ხარ, ხოხობო, ბოლო რომ გამოგიჩნდება (—). 5498

- ზშვიდთა, მდაბალთა მბაძველნი უცილოდ ამაღლდებიან (ქ. დ.). 5499
 მშვილდი გაგიტყდა ვაჟკაცო, მხართეთრი, გოზა-წითელი,
 არ გაიტეხო ნამუსი, არ მოგეხაროს კისერი (ხალხ.). 5500
 მშვიერთა ცრემლი მადლართა გულქვათა ვერ აღბობდიან (ქ. დ.) 5501
 მძიმედ სდევ, მოთმინებითა, წესად დაიდევ ყოვნება (ქ. დ.). 5502
 მძულს დედალი ნაკრუხალი, მერე ბოლოდაგლეჯილი,
 კაცი კარში მოცინარი, შინ ჯალაბში დაღრეჯილი (ხალხ.). 5503
 მწყემსმან კეთილმან ცხვართათვის დასდვისო სული ტკბილია (გუ-
 რამ.). 5504
 მჰადის ჰამა გირჩევნოდეს საყვედურით პურის ჰამას,
 ფულით რისმე ყიდვა გიჯობს, უფულოდა ნაზუქ თავაზსო (ხალხ.).
 5505
 მჰედელო, შენსა რკინასა სპილენძი არ გაერევა?
 თუ კაცსა კაცი არ უნდა, მიზეზი არ დაეღევა (ხალხ.). 5506
 მხნე ყველგან პატივს იშოვნის, სადაცა იყოს რებული (ქ. დ.). 5507
 მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან განხეთქოს მთა და გორია (გურამ.).
 5508
 ნაადრად მოსულ კიტრს ვადრი წარა-მარადა ქებასა (—). 5509
 ნადიმ-ნათელი, პურ-დიდი მზისაცა შესადარია (ქ. დ.). 5510
 ნათლიდემამ ჩაუხალა ერბო-კვერცხი სვინასაო.
 ყმაწვილს უთხრა: ხიხიაა, მსურს მივართვა ფინასაო! (ხალხ.). 5511
 ნათლიდელის სილამაზე არ არგია სვინასაო,
 კაცი უნდა უყურებდეს გადებულ ხიდს წინასაო (ხალხ.). 5512
 ნათლიმამა და სვინაო, ორთავე შეარცხვინაო (ხალხ.). 5513
 ნათქვამი არის ფშაველზე: გული უძს, როგორც რკინაო,
 სიკვდილი უჯობს სიცოცხლეს, მტერს არ გაუშვებს წინაო (ხალხ.).
 5514
 ნათქვამია: ვერას ავნებს სიპსა ქვასა ჰაცვის წვერი (—). 5515
 ნათქვამია: ცუდი სიტყვა ვერ გაივლის ხანსა გრძელსა (—). 5516
 ნამუსისათვის გამოვა ულვაში, თმა და წვერია,

რაც გინდა ელაპარაკე, თუ კაცსა არა სცხვენია (ხალხ). 5517

ნარიმანა მედლოლო უკეთესი მეგონეო (—). 5518

ნანმენსა ამბავსა ნახული სჯობია (ქ. დ.). 5519

შდრ.: № 3755

ნასნავი ისეთი უნდა, თვალი ვერ გადაგიწვდესო,
გაკეთებულსა ვენახსა ხალიჩა გადაგიწვდესო (—). 5520

ნდომა მხდალს გახდის მამაცად, შეპბედავს ძნელს საბედველსა (გურამ.). 5521

ნებიერება ხორცისა სულისა წარსაწყმედია (გურამ). 5522

ნეტა ვის გაუგონია უქუხრად დაკვრა მეწი! ა (ხალხ.). 5523

ნეტა რა არის მისთანა, ქვეყანათაზე მზისთანა,
საქმელ-სასმელად პურ-ღვინო, სანელად მარილისთანა (ხალხ.). 5524

ნეტა რა ვქნა, როგორ რა ვქნა, ავი პატარძალი ხარო,
არასა ვკამ — უქმელი ხარ, ვკამ და — ასრე სვაი ხარო!
ნელა დავალ — ზანტს მეძახის, გავიქცევი — ქაჯი ხარო!
ძირს დავჯდები — კუტს მეძახის, ზეზე ვდგევარ — სარი ხარო!
ვაი, შენსა გამომცემსა, მამაძაღლის ქალი ხარო! (ხალხ.). 5525
შდრ.: № № 363, 894

ნეტა რა ზნე სჭირს სიკვდილსა, ვერ მიხვდა ჩემი გონება,
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა, რომელიც მოეწონება (ხალხ.). 5526

„ნეტა შენ, ყვავო, დარდი არა გაქვსო“.
როგორ არა მაქვს, თავი მელამაზება, ცოლი მეჩირქინება,
გვერდით რომ მომიჯდება, გული ამომიჯდება, სიცოცხლე მიმწარ-
დება“ (ხალხ.). 5527

ნეტავი ფლავი მაჭამა, ზედ ღვინო დამალევიანა,
ქვაბი არ გამარეცხინა, ქვევრიმც არ მომახდევინა (ხალხ.). 5528
შდრ.: № 1669

ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი ნაყოფთა თვისთა ჭამოსა (გურამ.). 5529

ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს, რაცა ჭირია! (ვ. ტ.). 5530

ნუ გაუტყდები მოყმეო გაბევრებასა მტრისასა,
გავლა-გამოვლას ეცადე, რიგობას სოფლებისასა (ხალხ.). 5531

- ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია (ვ. ტ.). 5532
- ნუ დაენდობი სოფელსა, სოფელი ჭრელი გველია (ხალხ.). 5533
- ნუ დაუყრი ღორს მარგალიტს (სახარ.). 5534
შდრ.: № 4618
- ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისვრის, მშვილდს კი ჰმალაის (გუ-
რამ.). 5535
- ნუ ეძალები წყალდიდსა, გირჩევ, მოძებნო ფონია (—). 5536
- ნუ იქმ ავსა, ავის მქნელსა წინა უძეს დიდი ავი (ქ. დ.). 5537
- ნუ მიენდობი საწუთროს, მტყუანი არს და უპირო (გურამ.). 5539
- ნუ მისდევ ლამაზ პეპელას, გაგიფრინდება, წაგივა,
არც არას ხორცი გიხორცებს, არც ტყავი ფარად გაგივა (ხალხ.).
5539
- ნუ მისდევ დედათ ენასა, ცხენს შავსმენ გაშტერებულსა,
დაგიწვრილებენ მამულსა, კარის პირს შაბრტყელებულსა (ხალხ.).
5540
- „ნუ სცნობნ მარცხენეი შენი, რაა იქმოდეს მარჯვენეი შენი“ (სა-
ხარ.). 5541
- ნუ ცრუობ, ნუ ამპარტავნობ, ნუ ეთელეები ქალთაო,
გაჭირდეს — გამოექცევი ამომღერებულ ხმალთაო (ხალხ.). 5542
- ნუთუ კვალად-ლა მიეცეს ხელთა ნასროლი ისარი (ქ. დ.). 5543
- ნურც მოლორდები, ნუმცა ხარ მინდობისა გამტეხელი (ქ. დ.). 5544
- ობოლი გაზრდას მოელის, ღარიბი — გამდიდრებასა,
ყმაწვილი გოგო და ბიჭი — ერთმანეთისა ხვევნასა (ხალხ.). 5545
- ობოლი ვარ, ვზივარ ჩრდილსა, ველი მზისა ამოსვლასა,
ნუ მომკლავ, შავო სიკვდილო, შენი წვერის გამოსვლასა (ხალხ.).
5546
- ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი (ვ. ტ.). 5547
- ომი არ გაუჭირდება შენი დედ-მამის შვილსაო (ხალხ.). 5548
- ოჩუჩევეელსა ჰაბუქსა ომი ჯვარობა ეგონა,
სმლის ცემა, ფარის ფარობა ფარიკაობა ეგონა (ხალხ.). 5549

ომში ნაცადი ხმალისა იმედი გქონდეს სახლშიო (—). 5550
იმედი გქონდეს ვაჟკაცსა ომში ნაცადი ხმლისაო.

ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ, გაფრთხილდი, ნუ მოტყუვდები,
გასწყერ, დასჭერ და დახიე მტყუანთ ტყუილის გულები (გურამ).
5551

ორთითი და ფიწალიო, მე აქ ვერას ვისწავლიო,
გამიშვიო, შინ წავიდე, ოროველას ვისწავლიო (ხალხ.). 5552

ორი ბატონის ყმა ვიყავ, ხან ესა მცემდა, ხან — ისა,
ორთავე ერთ დღეს მომიკვდა, ხან ეს ვიტირე, ხან — ისა (ხალხ.).
5553

ორი ქოთანი მივადგი ყურჩიანი და უყურო,
ორნივ ერთბარში გამოდის ფულიანი და უფულო (ხალხ.). 5554

ორნივ მე მცემდნენო, ნიადაგ გამომაქცევდნენო (—). 5555
შინაც მე მცემდნენ, გარეთაც, როგორ არ გამომაქცევდნენო.

ოხვრა არის შვება უბედურისა (ბარათ.). 5556

პატარავ მთის ჭიჭყინაო, გულზე მეღიტინებო,
ერთი რომ კიდევ შეგჭამო, კიდეც მემყოფინებო (ხალხ.). 5557

პატარძლო პატარაო, წყალს მოიტან, სხვას არაო,
მიუჯღები კერის ძირსა, სულ გამხდარხარ მასხარაო (ხალხ.). 5559

პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსიაო (—). 5559

პატრონმ თქვა: ხმალო, გაგყიდი, ვაჭარი ამიჩენია,
ხმალმა თქვა: პატრონ, რად მყიდი, რა წუნი შაგიმჩნევია,
მამიკლავს შენი მამკვლელი, ჯავრი არ შამირჩენია (ხალხ.). 5560

პატრონისა ვერა მჭვრეტმან ყმამან რამცა გაიხარა (ვ. ტ.). 5561

პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების (ვ. ტ.). 5562

პირველი ბედი ბედია, მეორე — მოგონება,
მესამე — ვირზე შეჯღომა, მეოთხე — გაქნება (ხალხ.). 5563

პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზე კაცმა კაცისა დანთხიაო
(ილია). 5564

პირმეტყველთაგან პირუტყვთა მსგავსება რა საქნელია (ქ. დ.) 5565

პურადი კაცი მამაცზე სამი გაფრენით მეტია (ხალხ.). 5566
გულადს კაცზედა პურადი სამს გაქცევაზედ მეტია.

პურადი კაცის ჭირიმე, შორითავ გაეცინება,
სტუმარ რომ კარზე მიუვა, სიცილით გაეღიმება,
ცუდია უპურადობა, „არ მაქვის“ დაიჩივლება (ხალხ.). 5567

პური და ღვინო ძველი სჯობს, ბატონი ახალ-ახალი (—). 5568

პური ვკამე და წყალი ვსვი, ახლა მომეცა ხალისი (ხალხ.). 5569

პურსა სკამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო,
არ ვიცი — არა სწადიათ, არ ვიცი — არ იციანო (ხალხ.). 5570

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემეტყვებარი (ვ. ტ.). 5571

რა ბალია, რა ვენახი, თან არ ახლდეს საღობავი! (ვ. ტ.). 5572

რა გინდ კაცი სნეულობდეს, გვიან მოჰკლავს ერთი ჭირი (გურამ.).
5573

რა გინდა მომცეთ, რას ვაქნევ, მე ვარ და ჩემი ნაბადი (ვ. ტ.). 5574

რა დრო მოგეცეს, ეცადე ხელთა ჩაიგლო უნჯია (ქ. დ.). 5575

რა დღესაც მზე არ ანათებს, ის დღე ღამისა დარია (—). 5576

რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს (ორბ.). 5577

რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა (ვ. ტ.). 5578

რა მაჰკლავს ვაჟკაცის გულსა ცუდაის დიაცის მეტი (ხალხ.). 5579

რა მტერი შენგან ივლტოდეს, შენ მას ნუ გაეპარები (ქ. დ.). 5580

რა რომ ბოძი წაიქცევა, სახლ-კარიცა დაიქცევა (გურამ.). 5581

რა სარგებელი მოგვხდების მოყვრისა უმეცარისა (ქ. დ.). 5582

რა ქალი გაჩნდეს, სჯობს მოკვდეს თუ აღიზარდოს ურცხვადა,
სამშობლოს ერთ წამ ცქერა სჯობს უცხოთა გრძლად ყურებასა.
(—). 5583

რა ქნას, რომ არა ტიროდეს შავი და ბნელი ქალიო,
პირისპირ ჩამოსჯდომია სიკვდილისფერი ქმარიო (ხალხ.). 5584

რა ღრუბელი მიეფარვის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს (ვ. ტ.). 5585

- რა წაშალი სწეულთათვის სავნებელად შეიქმნების.
 ავადმყოფის მორჩენისა კვლავ იმედი ვით იქმნების (ქ. დ.). 5586
- რა ჰგავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს (ვ. ტ.). 5587
- რად ემდური საწუთროსა, რა უქნია უარაკო (ვ. ტ.). 5588
- რად ვინატრებ სარგებელსა ხელმრუდსა და უწესურსა (—). 5589
- რად მინდა ოქროს ლაგანი, შაგ სისხლი ჩამდიოდესო (—). 5590
- რად უნდა ეხვეწებოდეს ბიჭი რეგვენი ქალსაო,
 წყეული არი დიაცი, გაიზვიადებს თავსაო (ხალხ.). 5591
- რანომცა ნათობ, სულ მუხანათობ (გურამ.). 5592
- რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა ფიცთა გამტეხელსა (ვ. ტ.). 5593
- რას ვაქნევ ვაჟკაცს უგნურსა, უშნოს, ტოტყსა და ტლანქსაო (—).
 5594
- რას მეტყვი, კარგო ნიშანო, რა კარგი დამეყრებაო?
 წამყვანი ჩემის ცოლისა წინ ხომ არ შამეყრებაო (ხალხ.). 5595
- რას ჩქარობ ჩემსა სიკვდილსა, სელთ გყავარ პატიმარიო (ქ. დ.). 5596
- რასაც ვერ მისწვდე, ნუ მისდევ, იკმარე შენი მდღევარი (ქ. დ.). 5597
 შდრ.: № 1789
- რასაც კაცსა ბედი სწყალობს, ერთიც არ დაუკვნესია,
 მოსავალი მით მოსვლია, თუნდ კლდეზე დაუთესია,
 ხმალიც გაუჭრის დალაბრა, თუმც არა გაუღესია (ხალხ.). 5598
- რასაცა ეძებ, მოჰბედები (ვ. ტ.). 5599
- რასაცა დასთეს მიწისა პირსა, იგივ ამოვა, გაიდგამს ძირსა (ქ. დ.).
 5600
 შდრ.: № 1788
- რალას დიდგულობ, ავალო, შენი ყმა აღარა ვარო (ხალხ.). 5601
- რაც გაუვლია დრო-ხანთა, ვერ მოეწევი რბენითა (ქ. დ.). 5602
- რაც გულსა შეემყისება, ჯალაბთა შეეთვისება (ქ. დ.): 5603
- რაც ერთხელ სულსა ღრმად დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდა-
 ეცემის (ბარათ.). 5604

- რაც მაწყინე, მისი მითხარ: გცოდე, შემინდო (გურამ.). 5605
- რაც რომ ავი საქმე ვქენი, ყველა თავზე დამიბრუნდა:
 ორმო ვთხარე, შივ ჩავეარო, დამეყარა ვეა და გუნდა (—). 5606
- რაც რომ მაქამე სულ ჩამაშხამე (გურამ.). 5607
- რაცა გეყოფა, დასკერდი, მეტი ნუ გინდა მშოველსა (ქ. დ.). 5608
- რაცა იქნების, იქნების, ყოვლი თათბირი სწორია (ვ. ტ.). 5609
- რაცა კაცი ასს საქმეში არ გესინჯოს, არ გეცადოს,
 ხვაშიადსა ნუ გაანდობ, რა გინდ მრავალს შეეცადოს (ქ. დ.). 5610
- რაცა მინდა, იგი არ მაქვს, რაცა მაქვს — არ მომინდების (ვ. ტ.).
 5611
- რაცა მიწვრთხარ — იწვართე, გადრო — უწვრთელი ვირია (ვ. ტ.).
 5612
- რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგცდების (ვ. ტ.). 5613
- რაცა სათქმელი არ არის, შეიკარ გულის ფიცართა (ქ. დ.). 5614
- რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების (ვ. ტ.). 5615
- რაცა შეგეძლოს, გულ მტკიცედ ჯავრი ჰყავ სამართლიანი (ქ. დ.).
 5616
- რაცა შენთვის არ ვინდოდეს, ნუ ვწადია იგი სსვისდა (ქ. დ.). 5617
 რაც შენთვის არ ვინდოდეს, იმას ნურც სწავს უზამო.
 რაც არ ვინდა შენთვისაო, ნუ ისურვებ სხვისთვისაო.
 შენც იგი უყავ სწავსაო, რითიცა ირგებ თავსაო.
- რაცა ჰკუთთ არ იქნების, შმაგობით გარიგდებისა (ქ. დ.). 5618
- რომელ უნცროსს უფროსის სიტყვა ესმის, იმის ვენასს ბევრი ყურ-
 ძენი ესმის,
 მარგალიტი კრილოსნად აესმის და მის ქვევრში ბევრი ღვინო ჩა-
 ესმის (ხალხ.). 5619
 შდრ.: № 885
- რომელიც ჩნდეს უფრო მკვიდრად, მას ებლაუჭეო (გურამ.). 5620
- რომელიც ხმა შენ შეგეწყო, მეც ის შეგეწყეო (გურამ.). 5621

რომელმა თვალმაც მოგატყუოს, მოითხარე — გადაადგეო.

„თუ თვალი შენი გატყუებდეს შენ, აღმოილე და განაგდე შენგან“
(სახარ.). 5622

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ, ჯირითი შემოვისრიე,
მეზობლის შეძლებასა ისევ დათმობა ვირჩიე (ხალხ.). 5623

როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს ამ ჩემსა მოგონებასა,
ერთხელ სჯობია სიკვდილი სულ მუდამ დაღონებასა (ხალხ.). 5624

როსტომ თქვა: ესე სოფელი კაცს ხელში გაუქანდება,
ვინცა თქვა, ახლა მე დამრჩა, არც იმას გაუთავდება (ხალხ.). 5625

როსტომ თქვა: თუ კი შეისმენთ, სიტყვა ეს არის მართალი:
დატევებასა მტრისასა დაწონა უნდა, გან ძალი (ხალხ.). 5626

როსტომ თქვა: იმ მთას, ამ მთასა ხელს მოვკრამ, ერთად თავს ვუზამ,
ათას ლიტრასა რკინასა კბილსა მოვუქერ, კნაპს ვუზამ,
ადიდებულსა არაგვსა დავაყენებ და ყლაპს ვუზამ,
თავადებულსა დიაცსა გავუშვებ, ველარას ვუზამ (ხალხ.). 5627

როსტომ თქვა: მიწა გრილია, სიტყვას არ უნდა რბილობა,
კაცი რომ საქმეში იყოს, გარჯა უნდა და ცდილობა (ხალხ.). 5628

როსტომ თქვა: სამი ქართული ჩინეთის ქვაზე სწერია:
ვიზეც დავთესე სიკეთე, ის უფრო ჩემი მტერია (ხალხ.) 5629

როსტომ თქვა: სიბერეკაცითა სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
ჯაჭვი პერანგად გავცვითე, ეხლა აღებაც გაჭირდა (ხალხ.). 5630

როსტომ თქვა: სიბერეკაცითა სიტყვას არ უნდა რბილობა,
თუ კაცი თითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა (ხალხ.). 5631

როსტომ თქვა: ჭკვა დიაცისა არც მომწონს, არც მეკეთება,
კაცსა დიაცის მჯერესა სამარემც დეეკეთება,
ჯერ ხომ შენია დიაცი, მერე სხვას გეეკეთება (ხალხ.). 5632

როცა არა გყავს გულისა, თავს ვერ მოიკლავ, რეგვენო (—). 5633

როცა დავკაცი, ჭკვას მაშინ შავსციდი (გურამ). 5634

როცა პატარას იშოვნის, მერმე დიდს მოეკიდება (გურამ). 5635

როცა ცოდნით ავსრულდებით, სიტკბოებით დავბერდებით (—).
5636

რუს პირს მჭდომმა ვით შეიგნას, სხვას ვის ველთა სწყურიანო (ქ. დ.). 5637

საბრალოა სიყვარული კაცსა შეიქმს გულმოკლულად (ვ. ტ.). 5638

სად გაგონება არ არის, კარგვან სამართლისათ (—). 5639

სად მაღალი არცად იყოს, მუნ დაბალი გამაღლდების (გურამ.). 5640

სად შური შევა, მუნ არს ზღვევა (ქ. დ.). 5641

სადამდე დავზავდებოდეთ, ეცადე საცადელია (ქ. დ.). 5642

სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესა (—). 5643

სადა ბჭე არა სტანობდა, მუნ კარი ვითარ გაელო? (ქ. დ.). 5644

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ... ჩემი სამშობლო ის არის (ერისთ.). 5645

სადაც ცხელი ღომიო, ნახე ჩემი ომიო.

სადაც ხმალი შიშველიო, იქ ველარას გიშველიო (ხალხ.). 5646

სადაცა ვირი დაეფლვის, იმ გზაზედ აღარ წარებსა (გურამ.). 5647

სამეფოს მტერი ვერ დასძლევს, თუ მეფის სახლი მშვიდია, სალაროს მისას რა დალევს, თუ არ ვეზირი ფლიდია (—). 5648

სამსახურისა ჩოგნითა ბურთი მალ მოიტაცების (ქ. დ.). 5649

სამში არ დაიზავება მგელი, გველი და არწივი (—). 5650

სანამ ბაღში ბალი მქონდა, ვიყავ „სალამ-ალეიქუმ, ბაღში ბალი გამითავდა, არც „სალამ“, არც „ალეიქუმ“ (—). 5651

სანამ მქონდა ფულები, ვჭამე მოხრაკულები, როცა გამომელია, ჩამოვყარე ყურები (—). 5652

სანამდის ღმერთი მწყალობდა, ცხრა დიაკვანი მყვარობდა, როცა რომ ღმერთი გამიწყრა, ერთი აღარა მწყალობდა (ხალხ.). 5653

საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს (ვ. ტ.). 5654

საქმე გარჩევით გასინჯე, სიჩქარე გიზამს ზიანსა (ქ. დ.) 5655
შდრ.: № 67

საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ. 5656

„სიტყუაიცა შენი გამოგაჩინებს შენ“ (სახარ).

- სალამოს ხანზე იმატებს მუშა კაცი და მძლე ხარი,
 ელაპრუნდება, მოკვდება გადასრწნეული მკლე ხარი (ხალხ.). 5657
 შდრ.: № 1168
- საყვარელი ვის არა ჰყავს ამ სოფელსა, ამა თემთა (ქ. დ.). 5658
- საყვარლისა სიახლესა მოშორება გაამწარებს (ვ. ტ.). 5659
- საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან (ხალხ.). 5660
 შდრ.: № 924
- საცა რომ შამქენ, იქ აღარ მქენ (გურამ.). 5661
- საძავს საქმეს კაცს ვერას ვუქებ, კაცი კარგ საქმით იქება (გურამ.).
 5662
- საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი, უხდების (ვ. ტ.). 5663
- საწუთროდ მარცნებელსა ვერ მიენდობა ჰკვიანი (ქ. დ.). 5664
- საწყალი კატა ჩიოდა: ვაიმე თემო, ბარკალი,
 ქალებმა ერბო შეჰამეს, მე დამწვეს ალალ-მართალი (ხალხ.). 5665
- საწყალსა კაცსა ვინ მისცემს აღების ღამეს ღვინოსა,
 ჰური ქამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა (ხალხ.). 5666
- სახელგმობილი მკვდარია უმაღეს სიტყვის თქმისამდე (ქ. დ.). 5667
 სახელგმობილი მკვდარიაო.
- სახელოვანად სიკვდილი კაცთაგან სანატრელია (ქ. დ.). 5668
- სახელოვანად სიკვდილი სიცოცხლის უმჯობესია (ქ. დ.). 5669
- სასლო, გამშვენებს ჰურჰელი, ჰურჰელო — ღვინიანობა,
 ქალო და რძალო, სიტურფე, ერთ-ერთში გემრიელობა (ხალხ.). 5670
 თაროს უხდება ჰურჰელი, საღვინეს — ღვინიანობა.
- სვაფი ძვალს ყლაპავს სიხარბით, რას არგებს გასაძლომელად (ქ. დ.).
 5671
- სიბრძნე ებრძვის სიბრყვესა უთოფოდ და უზარბაზნოდ (ხალხ.).
 5672
- სიბრძნეა ზესთა სიმაღლე, ქვე საფუძველი ყოველთა (ქ. დ.). 5673
- სიზმარში ნაცად-ნახული ცხადად რა მოსახმარია (—). 5674
- სიკეთის ნაცვლად სიავე იციან (ქ. დ.). 5675
 სიკეთისთვის სიავეო.
 შდრ.: № 1170

- სიკვდილი და სიღარიბე ორივე ერთად მოდიოდა,
შეხედვე და შემეშინდა, სიკვდილს სიღარიბე სჯობდა (ხალხ.). 5676
- სიკვდილს ვაძლიე ქრთამები, თუ-კი რამ მებადებოდა,
არ დაიჭერა, მე მამკლა, არ ვიც, რას მემართლებოდა (ხალხ.). 5677
- სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაქედისა (ვ. ტ.). 5678
- სიმდიდრის ფასს მაშინ შეიტყობენ ხოლმე, როცა შეიძენენ, მეგობ-
რისას მაშინ, როცა დაკარგავენ (ღამ.). 5679
- სიმუხთლე, დაუნდობლობა უგვანთა კაცთა წესია (ქ. დ.). 5680
- სიმღერას ბანი ამშვენებს, წალკოტსა — ვაშლი წითელი,
ფერხულსა — ქალი ლამაზი, კაბა ჩაეცვას მზის ფერი,
ვაჟკაცსა — ფარი და ხმალი, მოემწითუროს კისერი,
მესტვირეს — კარგი ლექსები, მოწყენილთ გულის გამშლელი
(ხალხ.). 5681
- სირცხვილისათვის გამოვა ულვაში, თმა და წვერიო,
დახარჯავ ნამუსისათვის, ვინ არის გადამყრელი (ხალხ.). 5682
- სირცხვილს უფრთხილდი ვაჟკაცო, არ მოგიხაროს კისერი (ხალხ.).
5683
შდრ.: № 1991
- სისწორესა და სიბრუნდეს გვაჩვენებს მხოლოდ ღარი (—). 5684
- სიტკბო სიმწარით ნაგემი საიჭიომდის გაგყვება (—). 5685
- სიტყვათა შენთაგან განმართლდე და სიტყვათა შენთაგან დაისაჯო
(სახარ.). 5686
- სიტყვით ანგელოზს ემგზავსის, გულით კი ეშმაკ-ფლიდობსო (გუ-
რამ.). 5687
- სიღარიბე და ობლობა ორივე გადამხედია,
სიღარიბე სჯობს ობლობას, ობლობა მეტის-მეტია (ხალხ.). 5688
- სიღარიბე წელში გაგტეხს, თუგინდ იყო ტარიელი,
ცოლ-შვილსაც კი მოძულდები, თუ ჯიბე გაქვს ცარიელი (ხალხ.).
5689
- სიყვარული არ იქნება ძალადა (ხალხ.). 5690
- სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია (აკაკი). 5691

- სიყვარულისა ხეენარსა საწადლის ხილნი ასხენო (ქ. დ.). 5692
- სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარევსა,
თუ გამელავნდა. გლოვა უნდა, როგორც მკვდარსა საყვარელსა
(ხალხ.). 5693
- სიცოცხლეს ვერსად იშოვნო, ცამდის რომ აპყო ხელია (—). 5694
- სიცოცხლეს ამას ვეძახი, სული ზრუნვაზედ დალიო (ქ. დ.). 5695
- სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა (ვ. ტ.). 5696
- სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე სტიკიანი
(ვ. ტ.). 5697
- სიძეო, ცოლეურჩია გამჩვენეობა გინდაო,
დიდთანა-დ ბატარასთანა ჩოქი-დ სალამი გინდაო! (ხალხ.). 5698
- სიძისა შავგვრემანობა სიდედრს უმძიმდა, ნანობდა,
ნანობა რაღას უშველდა, ქალი ცხენს ეჭდა, ქანობდა (ხალხ.). 5699
- სიწყნარით ჭკვასა იპოვებ, მოთმენით შემოყრიდეა (ქ. დ.). 5700
- სიკბუქისა ყვავილსა დააქცნობს ჟამთა დენანი (ქ. დ.). 5701
- სიხარბე კაცსა გააბამს გამოუხსნელსა მახესა (ქ. დ.). 5702
- სმა უმღერალი არ ვარგა, კბუქი დაუთრობელი (ხალხ.). 5703
- სოფელი ღადრობს, არა სდგას ერთ პირსა ერთსა ნებასა,
ხან ამასა იქს, ხან იმას, ქებას და მოყიენებასა (ქ. დ.). 5704
- სოფელო, ცრუ და მტყუანო, სიბრუნდავისა მახეო,
ზოგსა ცათამდის აიყვან, ზოგსა უკულმა აქცევო (ხალხ.). 5705
- სოფელში ამო-გემოთა გულსრულად ტირის ქალები (ხალხ.). 5706
- სოფელში დაიარება პატარა მატყუარაო,
ასჯერ რომ მე დაგპატიეო, ერთხელ შენ რატომ არაო (ხალხ.). 5707
- სოფლით განდგომა პირველად თავის განწირვა მგონია (ქ. დ.). 5708
- სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასვა ცრემლთა დენად (ვ. ტ.).
5709
- სტუმარი მიყვარს ასეთი, კბილი არ ჰქონდეს არც ერთი (—). 5710
- სულ სმა და ჭამა რა არის, საქმე ფშაურის თქმა არის (—). 5711

- ძულგრძელემა საუნჯეა სიბრძნისა და გონებისად (ქ. დ.). 5712
 ძულგრძელობა სჯობს ყოვლისა საქმისა გასაგებელად (ქ. დ.) 5713
 ძულელთან ჭკვიანური ლაპარაკი იგივეა, რაც ბრმისთვის სანთე-
 ლი („დამ.“). 5714
 თუნდა მზეში სანთელი აგინთია, თუნდ უგუნურისათვის კეთილი
 გითქვამს.
 ბრმას სინათლე ვერ უშველის და სულელს ბრძენის დარიგება.
- ძულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების (—). 5715
 სულმოკლე კაცი მოისპობს თავსა, სულსა და ცნობასა (ქ. დ.). 5716
 სურვილის გუგა მოყვრისა საწყინარს ვერ დაინახავს (ქ. დ.). 5717
 სწავლა გონების საზრდოა და ჭკუის წარმმატებია (—). 5718
 სწავლაზე ურჩი და მორცხვი თვალთ არ დასანახია (გურამ.). 5719
 სწრაფად სტუმრის წვევისათვის შეწუხდების უქონელი (ქ. დ.). 5720
 სხვადასხვა კაცთა შესწავლით შეცთომილს გზათა გაიგნებ (ქ. დ.).
 5721
- სხვადასხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია (ვ. ტ.). 5722
 სხვა რომ არ იყოს არვინა, შენი იქნების ყოველი (ქ. დ.). 5723
 სხვათა მოჯამაგრობას ადვილად იტყვის ენაო (ხალხ.). 5724
 სხვას იტყვის, სხვა გაიგონებს, სხვას გამოაბამს კილოსა (ხალხ.).
 5725
- სხვას ნუ მიაგებ საქნელსა შენგან არ მოსაწონარსა (ქ. დ.). 5726
 სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი (ვ. ტ.).
 5727
- სჯობია ისევ მოლხენა წუხილსა, ჭმუნვა-ურვასა (გურამ). 5728
 სჯობს რიგიანი ტყუილი რისხვასა გაუზომელსა (ქ. დ.). 5729
 სჯობს საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს (ვ. ტ.). 5730
 სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა (ვ. ტ.). 5731
 სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი (ვ. ტ.). 5732

ნადრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობიაო.
ღირსეული სიკვდილი სჯობია უღირს სიცოცხლესო.
უგემურ სიცოცხლეს დასვენებული სიკვდილი სჯობიაო.
ნამუსიანი სიკვდილი სჯობია უნამუსო სიცოცხლესო.

სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო (გურამ.).
5733

სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა (ვ. ტ.). 5734

სჯობს უქმელობით სიკვდილი საყვედურითა ქამასა (გურამ.). 5735

სჯობს ქვემო ბოლოს შინ დგომა გარედამ შიგნით მზერასა (გურამ.).
5736

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა უწვრთელი შვილის ყოლასა (გურამ.). 5737

ტანხედ თავს ვინღა მოაბამს, ფესვი თუ არ აქვს სანერგო (ქ. დ.).
5738

ტაში თებრო, ბანი მართა! თამაშობა გაიმართა (—). 5739

ტიტინის ათასს კილოსა ერთ ქრთალად არ ვიყიღია (ქ. დ.). 5740

ტრელთა ენათა ეკრძალე, კაცი გიყვარდეს ცნობილი (ქ. დ.). 5741

ტრფიალების გზასა მავალს ბოლო აქვს მოუღებელი (ქ. დ.). 5742

ტრფიალი თვისის ნებითა სატრფოსა არ მოსცილდების (ქ. დ.). 5743

უარარაობას ფეტვიც მოიხალეზაო,
თუ პური ვერ იშოვო, ჭადიც მოიხმარებაო (—). 5744

უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდება.

„არ იცი თუ უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდება“ (ვ. ტ.). 5745

უგანგებოდ ვერას მიზმენ, თუნდ შემებან ხმელთა სპანი (ვ. ტ.).
5746

უგბილთა სწავლა რას არგებს, ბრძენს დაუშრება ენაო (—). 5747

უგვანოს ბუნებისაგან ქმნა ნურა გინდა ნურასი (ქ. დ.). 5748

უგვანს აღერსსა გაყრა სჯობს, — არისტოტელეს თქმულია (ქ. დ.).
5749

უგვაროს შვილი და მგლის ლეკვი წვრთნით არ გაკეთდების (—).
5750

- უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან (ვ. ტ.). 5751
- უკეთესია ცხოვრება გველეშაპთანა, ვიდრე ანჩხლ ცოლთანა.
„უმჯობესი არს ლომთ-ვეშაპთანა ვიდრე ბოროტის დედაკაცთანა“
(გურამ.). 5752
- უკვდავებითა მოისთვლნე დაუღეველი დღენია (ქ. დ.). 5753
- უკურნებელი სენია შური, თუ კაცთა ეცისა (ქ. დ.). 5754
- უმეცარი მოყვარე მესისხლეს უარესიაო. (—). 5755
შდრ.: № 3339
- უმოყვრო კაცი, ვით ფიფქი მზისაგან დაილეოდეს (ქ. დ.). 5756
- უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია (ქ. დ.). 5757
- უპიროსა, უძიროსა ზღვასაც ძირი აქვსო (—). 5758
- ურემო, ფერსო მაღალო, ხუნდი გიყრია გიშრისა,
ხარებიც კარგი გიბია, მაგრამ ტალახი გიშლისა (ხალხ.). 5759
- უსამართლონი ნიადაგ თვისთა გულთაგან იწვიან (ქ. დ.) 5760
- უსაყვარლოდ ეს სოფელი რამცა იყოს საყოფელი (ქ. დ.). 5761
- უსმენლად ვით მოიწონო იადონისა სტვენანი (ქ. დ.). 5762
- უსწავლელი გონიერი მიჯაჭველი ლომიაო (—). 5763
- უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების (გურამ.). 5764
- უსწავლელი ქვაზე დაჯდეს, ქვა ქვაზედა დაემატოს (ქ. დ.). 5765
- უქონლობისა უძნელე თემზე არ არის სენია (ქ. დ.). 5766
- უქმად ბევრისა მკამელი გაუმადლარი ღორია (გურამ.). 5767
- უყურეთ დარეჯანასა, გარეთ გამოდგამს ჯარასა,
შინ აკვანს შვილი უტირის, გარედან ეტყვის ნანასა (ხალხ.). 5768
- უშვილოდა სჯობს სიკვდილი უკეთურ შვილის ყოლასა (ხალხ.). 5769
- უჩემოდ ჩემი ქორწილი მიკვირს და გამკვირვებია (—). 5770
- უძმოდ ქალს... ისე არა სდევს პატივი, ვით საქარაენო გზასაო (ხალხ.).
5771

- უცები ქარს სდევს შეპყრობად, ვით მოეწევის მდევარი (ქ. დ.). 5772
- უცოდინარნი კაბუენი ჩალად არ ეღირებთან (ქ. დ.) 5773
- უცხოთა შეწყნარებასა ღმერთი გვიბრძანებს ცხოველი (ქ. დ.). 5774
- უწმინდურთა ქალთა ოქრო-ქსოვილთ კალთა დაჰფარავს ვერა (გურამ.). 5775
- უწყლოდ. უბუროდ, უღვინოდ უამი აროდეს იჭირვის,
არცა-რა მერცხლის ჭანკითა არწივი არ დაიჭირვის,
თუ ღმერთი კაცსა არ მისცემს, ცუდია, რასაც იჭირვის (ხალხ.). 5776
- უქკუოს მოყვარეს იგივე სჯობს ჭკუის მყოფელი მტერია (ქ. დ.). 5777
შღრ.: № № 3946, 3339
- უქკუოდ კაცის სიკეთე ვაი, რა ცარიელია! (ქ. დ.). 5778
- უხანოს სოფლის სიკეთე ვის შეუხსრულდა სრულადო (ქ. დ.). 5779
- უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების (ვ. ტ.). 5780
- უხვების ცასა აგზავნე მოწყალეებისა ისარი (ქ. დ.). 5781
- უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია (ვ. ტ.). 5782
- უჯიშოსგან ჯიშიანი არ ნახულა, არ იქნების (—). 5783
- ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი (ვ. ტ.). 5784
- ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების (გურამ.). 5785
- ფარშავანგი მწყერის მზგავსად არა თქმულა, არ შობილა (ქ. დ.).
5786
- ფაშა ჩამოხდა, ხანდოსა, კარგისა მასპინძლისასა,
ხან მაწონს ჰამდა, ხან დოსა (ხალხ.). 5787
- ფიქრი არ არის გურჯისა, წამოიკიდებს ხურჯინსა (ხალხ.). 5788
- ფული რეგვენის ბატონია და ჭკვიანის მსახური.
„სიმდიდრე მსახურია ჭკვიანისა და ბატონი — სულელის“ („დამ.“)
5789

ქათამმა უთხრა კვერცხსაო, ეგრე ვიყავი მეცაო,
იმდენს გავედრებ ღმერთსაო, ჩემსავით გაგხდი შენცაო (ხალხ.).
5790

შდრ.: № 1104

ქათმისა მიყვარს ენაო, მაღლიდგან გადმოფრენაო,
მხარ-ბარკალ-კურტუმ-კისერი, ცოტა რამ საწიწქნელოო,
თუ საბძელასაც დაურთავ, ჩემთვის ესეცა კმარაო. (ხალხ.). 5791

ქალ ქებით გათხუებულო მამისაო და ძმისაო,
ორისავ დაწუნებულო მაზლისაო და ქმრისაო (ხალხ.). 5792

შდრ.: № 2233

ქალ-ვაჟთა მდომიარეთა ხალხი ბრმა-ყრუევი ჰგონია,
ის არ იციან საწყალთა, კედელსაც თვალი ჰქონია (ხალხ.). 5793

ქალი რო დაიკოკრება, შინ აღარ უნდა ბრუნება (ხალხ). 5794

ქალი რომ შემოგეყაროს, აარიდოდე თვალიო,
ნდომას ნუ შეატყობინებ, მეეწონება თავიო (ხალხ.). 5795

ქალი ქმრისა მწუნებელი ბევრკენ გააქანებს გულსა,
ბევრი გაულამაზდება, ბევრიც გააცინებს გულსა (ხალხ.). 5796

ქალამა ჰკითხა მეცხვარეს: ეგრე რამ დაგაბერაო?
ნიადაგ ჯოხზე დგომამა, ფარების ყოლებამაო (ხალხ.). 5797

ქალ, ქმარი შააპატიე, ლაშქრობა ჩამუარდება,
ძნელია უსუსურობა, გზაზე სამ დაგივარდება (ხალხ.). 5798

ქალო, შენი სილამაზე იცოდე, რომ არ შეგრჩება (ხალხ.). 5799

ქალს ხატობაში ნუ სინჯავ, ტანთ ნათხოვარი აცვია,
ქალი თუ გინდა ჯილაგის, დაჰკვლიე ყანის მკაშია (ხალხ.). 5800

ქართლი იმიტომ დავადდე, თოვლს დადებს, აღარ აიღებს,
რაც მოსავალი მომივა, მოვა ბატონი, წაიღებს (ხალხ.). 5801

ქარი თუ ღრუბელს ატარებს, კლდე ქარსა გაიმხატავრებს (ქ. დ.)
5802

ქერო, ნუ სდილობ, ჩართო, მზე მოვა, თავსა დაგიხრის,
ეგრე შენ, კარგო ქალო, ქმარ-ყოფა თავსა დაგიცდის (ხალხ.). 5803

ქვაი სპეკალსა ვერ გასტეხს, ცუდად ძალსა აცადუნებს (ქ. დ.). 5804

ქვას კლდიდან დანაგორებსა დამსხვრევა არ ასცდებო (—). 5805
ქვევრს ჩაეძახე, ამომძახა: სულელო, ნუ მაწუხებო (—). 5806
ქველი სახელი გაჰფინე, ნუ მოისუსტებ ქებასა (ქ. დ.). 5807
ქვიდან ქვაზე გარდამავალს წყალსაც ფერი შეეცვლების (—). 5808
ქვრივი რომ განაზღებო, მეტად გალამაზდებო (—). 5809
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად (ვ. ტ.).
5810

ქორო, ბევრისა მღვენელო, ბევრჯერ დარჩები მშვიერი (—). 5811

ქორწილში შესულმა კაცმა თქვა:

მამაჩემმა გამომავდო: წადი, შვილო, ჯანაბასა!

ღმერთმა ყოველთვის შემავდოს მე ამნაირ ალაგასა! (—). 5812

ქსელი ქსოვე კეკლუცაო, ყურს ნუ უგდებ ყეფასაო (ხალხ). 5813

ქსნელი ბიჭისა კირიმე, ირემს ჰგავს ქორბუდიანსო (—). 5814

ქული მრუდია ციბალთი, შუშპარი მშვენნიერიო,

რაცა აქვს, ტანზე აკრია, შინ სახლი ცარიელიო (ხალხ). 5815

ქუხილით წვიმა არ მოვა, ხმის დაგდებითა — ლაშქარიო (—). 5816

ცის ჭეხით არ მავ ავდარი, ხმის გატეხითა — ლაშქარი.

დადელთა და დადუელთაო ძალდი ჰყავდათ ზიარიო,

ერთმანეთისა ჯიბრითა ძალდი მოკლეს მშვიარიო (ხალხ.). 5817

შდრ.: № 1895

ღარიბს სახლი დაეწვა სიღარიბის ცეცხლითაო,

მდიდარს სახლი დაეწვა ღარიბ კაცის ვერცხლითაო.

„მდაბიოთ გული დაეწვა ანგარებისა ცეცხლითა,

მდიდართა სახლი დაეცა ხარბად აღების ვერცხლითა“ (ქ. დ.). 5818

ღამევ თენდი, ღამევ თენდი! ღამევ, რად არ გათენდები!

ამღენს ვაი-ვაგლახშია, მგელო, რად არ დაბერდები? (ხალხ.). 5819

ღვინო ახარებს გულსა კაცისასა (—). 5820

ღვინომ თქვა სახელქებულმა: მეცა ვარ ყველგან ქებული,

მცირედი კაცი არ დამლევეს, თუ არა მირონცხებული (ხალხ.). 5821

ღვინომ თქვა, ჭაჭანაურმა: უტეცხლოდ წამოვდუღდები,

მკვიან კაცთანა ბრძენი ვარ, გიჟ კაცთან წამოვფრინდები (ხალხ.).

5822

- ღვინოს დავლევ კახურსაო, არც თავს მატკენს არც გულსაო. (ხალხ.).
5823
- ღვინოსა ვსვამ შენ წილადა, დავითვრები შენ ჭირადა (—). 5824
- ღირსი არა ხარ, მელანო, თეთრი ქალაღდის წერასა (ხალხ.). 5825
- ღმერთი ბოლოდ ლხინთა მისცემს, ვინცა პირველ ჭირთა გასძლებს
(ვ. ტ.). 5826
- ღმერთი დიდად გაისარჯა ჩვენი გამოსახვისთვინა,
ახლო-ახლო დაგვასახლა ერთმანეთის ნახვისთვინა (ხალხ.). 5827
- ღმერთი დიღია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება! (ხალხ.). 5828
ღმერთი დიღია, ღარიბო, გული ნუ შეგიწუხდება,
ზოგსა დღეს მოგცემს, ზოგს — ხვალე, სულ ერთად შეგისრულ-
დება.
- ღმერთი კარგსა მოაღვინებს და ბოროტსა არ დაჰბადებს (ვ. ტ.).
5829
- ღმერთია მზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესილისა (ვ. ტ.). 5830
- ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა ცოლსა ყბედსა და მძინარსა,
ის შეშლის, ის დააბერებს, ის შერთავს წყალსა მდინარსა (ხალხ.).
5831
- ღმერთმანი, პური მოგშივა ენაგეთში და ბოგეშია (ხალხ.). 5832
- ყანა სამკალად მშრალი სჯობს სველსა და ჭანჭახიანსა,
ქალი ცუდაი — ღამაზსა, ჭორიან-საძრახიანსა (ხალხ.). 5833
ქალი სჯობს შეუხედავი, ჭორ-საძრახიან ღამაზსაო.
- ყანაო წყლის პირსაო, მალა თუ ნელა წყლისაო,
აგრეუ კაი ვაჟის ცოლი, მალა თუ ნელა სხვისაო (ხალხ.). 5834
- ყანას უნდა ბაგა-ბუგი ომი გადასაღალია,
ყანა იყოს მოსამკალი, თორემ ბიჭი მრავალია (ხალხ.). 5835
- ყვავმა უძახა ჭკასაო: ჩავარდი გულისხმასაო,
კაცი რომ დაიკუზება, შენთვის აიღებს ჭკასაო (ხალხ.). 5836
- ყველა ფრინველი ხეზე ზის, მწყერი მიწაზე გოგდება (ხალხ.). 5837
- ყველა ჩირი მიქამია, შენ რალა ხარ, ლელვის ჩირო? (ხალხ.). 5838

ყველაფერი დაიქცევა კეთილი საქმის მეტი.

„ყოველივე გაივლის, ყოველივე გაქრება, მხოლოდ კეთილი საქმეა მკვიდრი“ (დამ.). 5839

ყველიერში ყველი ვჭამოთ, აღდგომასა — ჩიტებიო,
დედაშენსაც გაუზრდია ქოჩრიანი ბიჭებიო (ხალხ.). 5840

ყინვა ხორცს მაზრობს, სიცხე სულს მაძრობს (გურამ.). 5841

ყინულის კაბა შევკერე, ფიფქი დავუდე სარჩულად,
მინდა რომ გამოვიყვანო ასე ტყუილი მართლურად (ხალხ.). 5842

ყმა გავლილ-გამოვლილი სჯობს,
ქალი — კერაში მჯდომარი (ხალხ.). 5843

ყმა დედულეთით გამოვა, ქალი ლამაზი გვარითა (—). 5844

ყოველი ყური ვერ შესძლებს ხეაშიადისა სმენასა (ქ. დ.). 5845

ყოველს სიტყვასა დრო უნდა, ლაპარაკს — მისი ადგილი (ქ. დ.).
5846

ყორღანიშვილი ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა (ხალხ.).
5847

ყრმა სწავლაში დამშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების (გუ-
რამ.). 5848

შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი (ვ. ტ.). 5849

შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა განა სწორ-სწორად სმა უნდა?
პირზე მოსულსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა? (ხალხ.). 5850

შავგვრემალთი სჯობ სურვილი, თეთრფეროვანთა მქავრია (ხალხ.).
5851

შავი ხარ და შახი ხარ, შახა-შუხით დადიხარ,
თეთრი ხარ და ლაყე ხარ, ლაყა-ლუყით დადიხარ (ხალხ.). 5852

შაიკვრის შავი ღრუბელი, საწვიმრად გაემზადება,
გულს რომ ვარამი ეხვევა, რა კარგი დაემართება (ხალხ.). 5853

შარშან დიდი მარხვა იყო, წრეულ პატარა აღება,
როგორც პურის ჭამა უნდა, ისევე სუფრის აღება (ხალხ.). 5854

შაშვსა რად უნდა ლაგამი, ბულბულსა — უნაგირიო (—). 5855

- შემეყარა ხატუო, ვატყუე და მატყუო (—). 5856
- შემოვიარე ავჭალა, პური არაეინ მაქამა (ხალხ.). 5857
- შენ არ მომიკვდე, ბერიკო, შენ ჩემისთანა ვერ იყო! (—). 5858
- შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა მისა უნდა ძმობილი (ვ. ტ.). 5859
- შენ კატა ხარ მეფისიო, შენოდენი მეც ვიცო (—). 5860
- შენ მირაშხანო, ბაღდადო, ბოსტნიან-მწვანელიანო
„შენ მირაშხანო მწვანელო, წალკოტ-მტილ-მიწებიანო“ (ხალხ.).
5861
- შენთვის ლახვრით დაჭრილსა გულსა ცრემლით ჰბანდო (გურამ.)-
5862
- შენც გინდოდა, მეც მინდოდა, მოციქული რად გვინდოდა! (ხალხ.)-
5863
- შენაც გინდა, მენაც მინდა, შუაკაცი რაღად გვინდა!
შენც იმ გზაზედ ხარ წამსვლელი, სად მამა-პაპათ კვალთა (გურამ.)-
5864
- შეუცოდარი მამაცი გულოვნად გამბედავია (ქ. დ.). 5865
- შეხედე კახა ქალსაო, კურო არჩია ქმარსაო (ხალხ.). 5866
- შვილი მომდურე დედისა, ურჩია თავის თავისა (—). 5867
- შიმშილისა სიუარესე ყურთა არ ესმინებოსო. 5868
- შიშსა მოციქული ვერ დაჭრიდობს (ვ. ტ.). 5869
- შიში შეიქმს სიყვარულსაო (ვ. ტ.). 5870
- შურმა დაამხო ქვეყანა, ბაძილმა ააშენაო (—). 5871
- შფოთისა მტვერსა მიუშვი გამოცდილების მდინარე (ქ. დ.). 5872
- ჩავვარდი საგონებელსა, ვითა კამეჩი მორევსა (ხალხ.). 5873
- ჩავვარდი ცოდვის ხნარცვშია, ვცადე და ვერ ამოვედი (გურამ.)-
5874
- ჩამოსხდებიან ყორნები, არ გაირევენ ძერასა,
კაცი ვერსაით წაუვა თავის ბედსა და წერასა (ხალხ.). 5875

ჩემ მტერსაც დაუღამდება ავჭალასა და მცხეთასა,
ღამე შინ არვინ შეუშვებს, შიმშილი მოჰკლავს ბეჩავსა (ხალხ.). 5876

ჩემი კაბის სახელიო — ჩემი უინის საფერიო,
სადაც წაველ, სულ თან წამყვა, ჩემი ძველი სახელიო (—). 5877

ჩემი ჩემებრ არვინ იცის, რა მამწარებს, რა მატკბუნებს (ვ. ტ.). 5878

ჩემო ნამგალო, რკინაო, გასკერ, გამიძეხ წინაო! (ხალხ). 5879

ჩემს თეთრ თულუნს არვინ გასცვლის შენს შავ არაბზეო (გურამ).
5880

ჩემსა პატარძლობაშია შეინდსა შეიდჯერ მოვკმიჭოდი,
როცა თვალი ვიციდინოდი, მსხალსა ყუნწი წავეწყვიტოდი (ხალხ.).
5881

ჩვენი გოგიტა ქართველი ახირებული კაცია,
შიმშილით კუჭი უხმება, სტუმარს დაუკლა ვაცია (—). 5882

ჩიტთა შექამეს მიმინო, შაიქნა დროთა ცვლილობა,
აცათ, თუ შაგრაათ, ჩიტებო, მაგაზე თავმოვლილობა (ხალხ.). 5883
გადაბრუნდა დროებაო, ჩიტი ჭამდა მიმინოსა!
ჩიტი ჭამდა გოგრასაო, ვაჰ ჩვენ ამ დროს მოყრასაო!

ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა, მე ალალი მეგონაო (ხალხ.). 5884

ჩიტი შემოჭდა ღობესა, იძახის ქიშმამობასა,
ღმერთმა დაგასწროთ მრავალწელს აღდგომა-ქრისტიშობასა (ხალხ.).
5885

ცა მისცემს უცოდინარსა სადავეს საწადლისასა (ქ. დ.). 5886

ცა მტკავლით, ქვეყანა ცილით, ნახე თუ გაიზომება,
ზღვა თუ აირწყვის პეშვითა, ან ცანი გადიწონება (ხალხ.). 5887

ცელი და ცული ქასურსა ბევრი კი გაუცვეთია. 5888

ცელო, ნალევთი ნალევი ხარო, ბალახის ძირის დამლევი ხარო
(ხალხ.). 5889

ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილი (ხალხ).
5890

ცეცხლო, შაგახვევ ცეცხლურადა, დილას გაგხსნი ვერცხლურადა.
(—). 5891

ცოდვილსა ცოლი რად უნდა, ცოდვაც ეყოფა ცოლადაო (—). 5892:

ცოლი მყავდა კუდიანი, არც მე ვიყავ ქრისტიანი (—). 5893

ცოლისდამ წინდა მომპარა მოქსოვის მაგიერადო (—). 5894

ცოლს ნუ უწევ ღაზობასა, არ მოგაკლებს ბრაზობასა (ხალხ.). 5895.

ცოლს ნურას შეეხუმრები თავს უკეთესის ყმისასა, —
თორ გზაში შამოგეყრება, სულს შამოგაბნევს მგლისასა (ხალხ.).
5896

ცოტა და კარგი ნახნავი სჯობს ბევრს და ხარვეზიანსა (ხალხ.). 5897

ცოცხალი არად გინდოდი, მკვდარი რას შაგებრალეები (ხალხ.). 5898.

ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკვდარს ვილა მამიგონებსო (გურამ).
5899

ცრუებან საწუთრომ რაც მომცა, ისევ იმანვე წამართო (გურამ).
5900

ცუდი სიტყვა ხანსა გრძელსა ვერ გაივლის უთქვამს ბრძენსა (ქ. დ.).
5901

ცუდად სიტყვას ნუ დახარჯავ, ვერ შეიგნებს ბრიყვი კაცი (—). 5902:

ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი (ვაჟა). 5903

ცუდია იგი მამაცი, დიაცმან მოაღოროსა (ქ. დ.). 5904

ცუდია ცუდი სოფელი, ცუდი აკვანი ირწება,
ზოგსა აქვს ლხინი, ქორწილი, ზოგი შიმშილით იწვება (ხალხ.). 5905.

ცხვარო, გამშვენებს ვაც-ვერძი, ვაც-ვერძო — თავრქიანობა,
სახლო, გამშვენებს ქურქელი, ქურქელი — ყანწიანობა (ხალხ.).
5906

ძალღი მყავდა ახარაო, მე მრცხვენოდა, მას არაო (—). 5907

ძალღი მორჩილებს პატრონსა ერთგულობისა წესითა,
მოამშვიეროს, კარს უცავს ვაებითა და კვნესითა (ქ. დ.) 5908

ძალღია ტუშურისშვილი არ დაიყენებს სხვის შვილსა,

თუ დაიყენებს სხვის შვილსა, მააკვლევინებს შიმშილსა (ხალხ.).

5909

ძალმა რომ შემოგიყუფოს, ჯობს ნუ მოუქნევ მასაო,
ეს იმას უფრო შეარცხვენს, არ ამოიღებს ხმასაო (—). 5910

ძალს დიდი ყბა აქვს, დაე, იყუფოს,
თუ დაიღლება, თავი იტეხოს (—). 5911

ძელი რომ წყალში ჩააგდო, იცოდე არ დაძირავსო (ქ. დ.). 5912

ძლიერმა სუსტი მნახევი, დაჩაგვრა შეგიძლიანო (აკაკი). 5913

ძმა თუ არა გყავს, სხვა იძმე (ქ. დ.). 5914

ძმა მაშინ მოგაგონდება, ცხრანი რომ გცემდნენ მარტოსა,
გამშველებელი არ გყავდეს, ეფარებოდე ფლატოსა (ხალხ.). 5915

ძნა შამიკონე, წაწალო, მე კი მოგიმკი ყანასა (ხალხ.). 5916

ძნელია პოვნა კაცისა ღვთივ ზეცით განაწირისა. (ვ. ტ.). 5917

ძრახვავე სჯობს საძრახავსა, ძრახვას კაცი მოუფრთხების (გურამ.).
5918

ძუნწობა სჯობს გაროქვასა (ქ. დ.). 5919

წამხდარსა საქმეს რას არგებს მას უკან თითზედ კბენანი (ქ. დ.).
5920

წარწყმენდილი არს, ვინცა თქვას ძმასთან ძმის დასაშორები (გუ-
რამ.). 5921

წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა (—). 5922

წასული საქმე მოქცევით არ გაგონილა აროდეს (ქ. დ.). 5923

წალმა მბრუნავმა დრო-ჟამმა უკულმა შექმნა ტრიალი (გურამ.). 5924

წახდა ჩემი ჰირნახული, ვერ მოვიმკე, რაცა ვთესე (ვ. ტ.). 5925

წელიწადმა მოატანა, პეპელები წაიკიდნენ (—). 5926

წესი არის მამაციისა მოჭირვება, ჰირთა თმენა (ვ. ტ.). 5927

წესია საშენთ აღმშენთა პირველ საფუძვლის დადება (გურამ.). 5928

წვერის დაგლეჯა სჯობია ავ ცოლის ხელთა ყოფასა (ქ. დ.). 5929

წინანი უკანა და უკანანი წინაო (სახარ.). 5930

წინასწარმეტყველი თავის ქვეყანაში არ შეწყნარებულაო.

„არავინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თვისსა სოფელსა“
(სახარ.). 5931

წინაპართ ძელები შეუდგეს საძირკველად მეფის ტახტსაო (—). 5932

წმინდა გიორგიმ დაგწყევლოს, საით შემხვდები სასმელო?

ვაჟკაცის გამტრუებელო, შენ კაცის შამრცხვენ-მამთხრელო! (ხალხ.).
5933

წუთისოფელი რა არის, აგორებული ქვა არის,

რაწამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არის (ხალხ.). 5934

წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება
(ხალხ.). 5935

წუთისოფლისა სურვილი უგუნურება მგონია (ქ. დ.). 5936

წუთისოფლისა ცხოვრება ვერცხლით არ მოიპოვება,

მდიდარი კაციც მინახავს, ოხრად რჩენია ქონება (—). 5937

წუთს მოყვარესა დამოყვრდნენ, მკვიდრსა დაუწყეს მტრობაო (გუ-
რამ.). 5938

წყალი სათავით მონახე, სადაც რომ მილი მილობდეს (ხალხ.). 5939

წყალი სწრაფით რად დავასხი ცეცხლსა ძნელად დასაშრეტსა (ვ. ტ.).
5940

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო,

დაიზრდებიან ობლები, მამულში დარჩებიანო (ხალხ.). 5941

წყლისა და ცეცხლის შუა ვარ, ორივეს დავყე ნებასა,

ცეცხლი მიიბრებს დაწვასა, წყალი თან ჩაყოლებასა,

ერთხელ სჯობია სიკვდილი სულ მუდამ დაღონებასა (ხალხ.). 5942

ქიანქველას რო ღმერთი ჰრისხავს, მხრები მაშინ გამოუვა,

ცაში წასვლა მოუნდება, გზაზე ქარი ამოუვა (ხალხ.). 5943

შდრ.: № 2841

ქინჭარი ქირის ქირია, სატაცური ბალღამია.

სვინტრი მოდის, მოიძახის: მე ვარ ყველას წამალია! (ხალხ.). 5944

ქირი არ წავა უქიროდ, თუ ქირის დედა მთელია (ხალხ.). 5945

- ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია! (ვ. ტ.). 5946
- ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა (ვ. ტ.). 5947
- ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შებნად მიითვლის ვნებასა (გურამ.).
5948
- ჭირში ეძმე შენსა გვარსა, ამხანაგსა შენსა, დაშნსა (ქ. დ.). 5949
- ჭკვის უკეთესი საქონლად არა რა საქონელია (გურამ.). 5950
- ჭკუა პურია სახითა, მჭამელთა შესარგებელი,
ცოდნა და საქმის ხმარება — მარლი დასაწებელი (გურამ). 5951
- ჭკუა უხმარ არს ბრძევთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების (გურამ.).
5952
- ჭკუავ, გიყიდი ფასითა, თუ მოგიღებდა ვაჭარი (ხალხ.). 5953
- ხაბაზი პურს არა თესავს, არა მკის და არა ლეწავს,
სხვისა პურსა ბევრსა აცხობს, იმას ჭამს და იმით ძლება (—). 5954
- ხამი კაცი ხამ ადგილას უცნობია და ხეთია,
რაც უნდა კარგი სიტყვა თქვას, მაინც იტყვიან — ცეტია (ხალხ.).
5955
- ხამს თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად (ვ. ტ.). 5956
- ხამს თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს (ვ. ტ.). 5957
- ხამს მამაცი გულოვნობდეს, ჭირსა შიგან არ დალონდეს (ვ. ტ.). 5958
- ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად (ვ. ტ.). 5959
- ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული (ვ. ტ.). 5960
- ხან სიცხით დამწვავ, დამდაგავ, ხან სიცივითა მყინავო (გურამ.). 5961
- ხან სმა უნდარის ღვინოსა, ხანდიხან შამღერებო,
ხან ომი უნდა ძლიერი, ხანდიხან შასვენებო (ხალხ.) 5962
- ხარბად ნუ ითხოვ ხმოსანი, მუტრიბი ხარ, თუ მგოსანი (ქ. დ.). 5963
- ხარი ხნავს, ფური იწველის, ღორმა რა იცის თხრის მეტი (ხალხ.).
5964
- ხარმა თქვა: ხარი ვერ მომკლავს, თუ მეხრე შემხვდა ღვთიანი (ხალხ.).
5965

- ხარმა თქვა: ხართან შემაბი, ხარულად გამაწვევინე,
ოღონდა ტოლს ნუ დამიდებ, დამქარ და გამაწვევინე (ხალხ.). 5966
- ხარს რომ საქედურს დაადგამ, ველარ გაიწვეს განხედა (—). 5967
- ხე ხმება და ფესვი რჩება, ფესვი ისევ აყვავდება,
იგი დედა არა კვდება, რომლის შვილიც დაფაადება (—). 5968
- ხევსურო, ხმალი გალაღებს, ფშაველო — ენა გრძელიო,
გუდამაყრელო — მაქარი, ტყვია გამოოდის ცხელიო (ხალხ.). 5969
- ხელი უშვი გუდურასა, ყველია და პურიო, ცხრა თუმანი ფულიო
(ხალხ). 5970
- ხელი უშვი გუდურასა, ყველი მაქეს და პურიო, ცხრა აბაზო
ფულიო.
- ხელის ღონესა ჭკუა სჯობს, ყველა მას ემორჩილება,
ღონით რაც უნდა დაძლიო, ჭკუა მას შეეცილება (—). 5971
- ხელში მამცა ჭრელი გველი, შავი ყელზე ჩამამკვდა.
ყველა იმას გაუძღვებდი, ავსა ქმარსამც არ ამკიდა (ხალხ.). 5972
- ხელში ნაჭერი კეთილი შეგვექმნა საძებნელიო (გურამ). 5973
- ხვალისთვის ხვალემ იზრუნოსო.
ხვალისთვის დღეს ნუ ზრუნავ.
„ხვალე იგი ზრუნვიდეს თავისა თავისისათვია“ (საზარ.). 5974
- ხიჩატელისა ქონასა ნუ დასჯერდება გონება (ქ. დ.). 5975
- ხმა და რიხი როსტომს გიგავს, ტანადობა — ტარიელსა (—). 5976
- ხმალი არა ვკრათ, არ ვარგა, უფრორე გვიძაბუნებენ,
კაბუკად ვინდა გვახსენებს, ღიაცნიც დაგვიწუნებენ (ქ. დ.). 5977
- ხმალსა არ უშლის სიმოკლე, ფეხ წადგი, წაემატება,
არც ვაეკაცსა სიდაბლე, თუ თავი გაემეტება (ხალხ.). 5978
- არ უშლის ხმალსა სიმოკლე, ვაეკაცსა დაბალობა.
არ უშლის ხმალსა სიმოკლე, ფეხი წადგი და წასწვდება.
- ხმლით დაკოდლი სჯობია მყარლის ენით დაკოდლისა,
სიმრთელით ქვაზე ძილი სჯობს ავადმყოფ ლოგინში ძილსა (—).
5979
- ხორცი ვალაღე, ვასუქე, სულს გადავუღე მტერადაო (ხალხ.). 5980

ხოსრომ ბრძანა: ვერ გაუძლებს, თევზი წყალსა მოიწყურებს (—). 5981

ხოხობის მოტყუებულსა თვალი დაუდგეს მელსაო (—). 5982

ბსონა არა ჰხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასულისა (ვ. ტ.). 5983

ხუცესმა უთხრა ხუცესსა: „ქორწილი არის რუსეთსა,

„ქი არ მეშორებაო, მაგრამ მექორებაო!“ (ხალხ.). 5984

ჯაბან კაცს გულს უქლავს სხვის მამაცობა (გურამ.). 5985

ჯავახელების ხილია ატლოა და ღიმია.

რსიც რომ გამოელევათ, გამოუწყდებათ ლხინია (ხალხ.) 5986

ჯალაბსა მუშა ვეგონე, გამოვიარე კარო (—). 5987

ჯარავ. ჯარავ. ბზრიო. ლამბო, ლამბო, წყდიო,

დედამთილის სპერანგევ, ოხრად დამირჩიო! (ხალხ.). 5988

ჯიშად მაუდის ჯაბანსა, მშვილდსა მაჰზიდებს მაგარსა (ხალხ.). 5989

ჯორი სჯობს საქონელშია, დაუთოქშირებ, დადგება (ხალხ.). 5990

ჰა, ხუცესო, ფლავი, შენ ამისთვის ბლავი (ხალხ.). 5991

ჰა, ტბუ, კამეჩო რქიანო, ბიჭიკოს მეძახიანო (ხალხ.). 5992

ჰაჩი, ვირო არტანელო, შეშა-მკვრისა მომტანელო (ხალხ.). 5993

ჰგავს უხორთუმო სპილოსა ჰკვიანი კაცი ბრიყვია (გურამ.). 5994

დალოცვისა და დაწყევლის ფორმულები

აგაშენა ღმერთმა, ნაჯახმა და ხერხმა. 5995

აგმორდა კაცხის ზარბაზანი, მე ის ამცილდა. 5996.

ავი თვალით შემომხედსა კარიდან ცეცხლი და ჰერიდან მებხო. 5997

არამარა — დარღუბალა! 5998.

ბერო, მადლი წაგიწყდა და, მოლოზანო, — სალოცავიო. 5999

- გიხსნას ღმერთმა აღიდებული წყლისაგან. გაძლიერებული ცეცხლი-
საგან და ქალის შარისაგან. 6000
- დათვი მკლე და შენ მსუქანი! 6001
- ეგ ძველი და სხვა ახალი! 6002
- ისე მოგივა ზამთარი, როგორც შენა თქვი მართალი. 6003
- იხარე ქერო, მოკვდი მტერო. 6004
- იზარდე ქერო, დაბრმავდი მტერო.
- სიფთა შენი, ბარაქა ღეთისა. 6005
- სული ნუ წაგიწყდება! 6006
- ღმერთმა მანამ გაცოცხლოს, სანამ შენი პერანგი გეზიდებოდესო.
6007
- ყვა, ყვა, ძალის ყბა, მოგტყდა ფრთაო. 6008
- შავი ქვა და ნაცარი ცხელიო. 6009
- შემოგევლე თავსაო, შემოგიარე გარსაო. 6010
- შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. 6011
- შენ პირს შაქარი! 6012
- შენზე დადგა შენი გვარი, შენ დადექი მეწისქვილედ. 6013
- შენი თავი თოროზას გუდაში! 6014
- შენი ჭირი შენ სეხნიასაო. 6015
- ჩვენი წველა ტალივითა, ჩვენებიანთ — წყალივითა. 6016
- ძალა მღვეისა, გახტომა ფურ-ირემისა! 6017
- წინ წყალი, უკან მეწყერიო. 6018
- ხვათი მიწისა, გემო შაქრისა! 6019
- ჯალაბიმც დაგითავწვერავდება. 6020
- ჰაი, შენი მშვენიერი მამის სულიო! 6021

**გამოცანების ყაიდაზე აგებული ფრაზები,
გამონათქვამები ზღაპრებიდან,
თქმულბეგებიდან, საბავშვო თამაშობეგებიდან**

- ავსაცა აქვს, კარგსაცა აქვს, ბატონსა და ყმასაცა აქვს. 6022
- აგანგალა-განგალაო, შარშან კატა მომკვდარაო. 6023
- აკაკაჩია, ბაკაკაჩია, გისვამს-გიჰამია, გზა გაგაჩნია. 6024
- ალავერდი შენთან, იახშიოლ ჩემთან. 6025
- ამ ქაჩალ თავს ჩემთვისაც გავტეხ, შენთვისაცაო. 6026
- ამალამ წისქვილში სიცივე და კანკალიო, ხვალლამ საყდარში სიცი-
ლი და ხარხარო. 6027
- ამვლელსაც აქამე, ჩამვლელსაც აქამე და შინაც მოიტანეო. 6028
- ამყრელასა, დამყრელასა, თვალში ნაცარ-ჩამყრელასა. 6029
- არ მინდა ხელმწიფობაო! 6030
- არღუნი და ტონჩა, გათავდა და მორჩა! 6031
- ასი ოქრო არამი, ერთი შაური — ალალი. 6032
- ასკინკილა-კინკილა, დღეს შაბათი, ხვალ კვირა! 6033
- ასმა კაცმა ვერ შეჰამა, ერთი კაცის ლუკმა იყოო. 6034
- ბლადოჩინსა სუფთად მიართმევდითო! 6035
- ბუტია სანეხვეზე კუნტია! 6036
- განა ვერ იცან მამალი, თავს ხერხი, ბოლო ნამგალი. 6037
- გოგიაო, გოგიაო, რაც მოგივა, მოგივაო. 6038
- დალია, გადაულია, სარიოში აილოო. 6039
- დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში ლაღე იყო. 6040
- ეს რა მეწყარუნებაო, ეს რა მეყდარუნებაო. 6041
- ეშმაკს სამი შვილი ჰყავდა: ილიკა, ბილიკა, ჩილიკა. 6042
- ვაი, ბიჭო ვახუშტიო, ახ, რა ბიჭი გაფუჰდიო! 6043

ვირზედ ილაპარაკე, ვირზედ, დიდედო. 6044

თუ ვთქვი — აბდალია ფილიმონაო, თვარა და — დემიტვრია კატამ
ცხვირ-პირიო. 6045

კრიჭი, კრიჭი, კრიჭინასა, მკედარი ცოცხალს იჭირავსა. 6046

მთელი არ გატეხო და ნატეხს არ მოატეხოო. 6047

დედინაცვალმა გერს კუტი მისცა და უთხრა: ამვლელს აჭამე,
ჩამვლელს აჭამე, მთელს ნუ გატეხავო, ნატეხს ნუ 'ჭამო,
შინ მთელი მოიტანეო.

მიართვით და ნურასა სჭამო, მთელს ნუ გასტეხო, ნატეხს ნუ
სჭამო.

მიდის-მოდის გაბრიელი, არვინა ჰყავს მადლიერი. 6048

მიდის-მოდის ტარიელი, მუცელი აქვს ცარიელი.

მოციქულმა ფაფა ჰამოს, ლორებს თივა დაუყაროსო. 6049

მტირალას ბანი, სამი გობი ფხალი. 6050

მშია, მშია, კატა მქვია, რომ გავძლები როსტომ მქვია. 6051

ნახო თუ ვერ ნახო, მაინც მორეკეო. 6052

ორი ცხენი, ერთი კვიცი, ამის მეტი აღარ ვიცი. 6053

პირველი ხელი ეშმაკისაა. 6054

რაჭველიო — შეგიჭამე საჭმელიო. 6055

რიონი ნარიონალს, ნიორი — ნანიორალს. 6056

სიმონაო, სიმონაო, გარეთ კარგო, შინ მონაო. 6057

უნამუსო თხაო ტყიდან გამოხტაო. 6058

ყველა მიწვება, მოწვება, მასკუნტელა კუნტიაო. 6059

ყლაპი არის, ყლუპი — აღარაო. 6060

შიგ ჩავაგდე ოდნისტოლა, ამოვიღე ქოთნისტოლა. 6061

შიგ ჩავაგდე თონისტოლა, ამოვიღე ქოთნისტოლა.

ჩავლილი ბევრი მინახავს, ამოვლილი კი — არა. 6062

ცეცხლო, შენ დამწვი, შენ მომარჩინე! 6063

ძალი ჩვენია, მაგრამ საყულო სხვისი აბიაო. 6064

წაიქცა ჯირკი, მიეხვია ჭიანჭველა. 6065

წამხედურამ წაიხედა, წინა ფეხი წაიტეტკვა. 6066

წელზე ბარგი ჰკიდია, ჩამოუღეთ, მაღლია. 6067


ჭისაც ბარგი ჰკიდია, ჩამოხადეთ — მაღლია!

წითელი ხარის ნაწოლზე ბალახი არ ამოსულა. 6068

წინ წასული თხაო უკან დარჩებაო. 6069

ხარბის თვალით ჭყიტო, ხარბის თვალით ბრიცო! 6070

ჯერ დედა არ შობილიყო, შვილი ქალაქს მიდიოდაო. 6071



ირემი და ბაყაყი

ირემს ნუკრი მოუკლეს და გამწარებული გამორბოდა. შემოხვდა ბაყაყი და ჰკითხა:

— რამ გაგამწარა, ირემო?

— საყვარელი შვილი მომიკლესო, — მიუგო ირემმა.

— ჰაი, შე ლაჩარო, შენა! მე ისეთი შვილი მყავდა, საცრის ოდენა თვალები ჰქონდა, თითო იმისი თვალი ღირდა შენ შვილად, გადაუარა ურემმა და გაკულტა, მაგრამ თავი არ მომიკლავსო, — ასუგეშა ირემი ბაყაყმა.

ღათვი, ტურა და მელა

გზაზე მიდიოდნენ ღათვი, ტურა და მელა. ერთ ადგილას იპოვეს ერთი ბატი. წაიღეს ბატი შესაკმელად. მელამ თქვა:

— ეს ბატი ხომ სამივეს ვერ გაგვაძლებს, ადგეს და იმან ქამოს, ვინც უფრო ხნიერიაო.

ტურას ჰკითხეს:

— რამდენი წლისა ხარო?

ტურამ თქვა:

— იესო ქრისტე რომ ქვეყნად დაბრძანდებოდა, მე მაშინ პატარა ვიყავი და თან დავდევიო.

მელამ ტირილი დაიწყო. დათვმა ჰკითხა:

— რა გატირებსო?

მელამ თქვა:

— მე მაშინ მომიკვდა შეილიშვილი და მგლოვიარედ ვიყავიო.
დათვი მიხვდა, რომ ორივე ტყუილს ლაპარაკობდა და თქვა:
— მე სამი წლისა ვარ, ვნახოთ, აბა, რომელი შექამთო, — და ბა-
ტი გვერდზე მოიგდო.

ირემი და კუ

დაქრილმა ირემმა ჩამოირბინა და წინ კუ შემოხვდა.
— რა მოგარბენინებსო? — ჰკითხა ირემს.
— მონადირემ დამპტრაო.
— რა უბედურები ვართ, ყველა ველის ნადირს გვემტერებაო.
— ნეტავ, ველის ნადირს არ დადარებოდი და იმ მონადირეს
თუნდა მოვეკალიო, — უთხრა ირემმა კუს და გაშორდა.

თავში არ უნდა შემსდარიყავიო

თავში კურში ჩავარდა. შეშინებული ამოსვლას ცდილობდა, კედ-
ლებს ებლაუტებოდა, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა. იხრჩობოდა. ამ
დროს კურთან კატამ გაირბინა. თავგმა შესთხოვა: ხომ ხედავ, ვილუ-
პები, ღვინოში ვიხრჩობი, შენ მაინც ამომიყვანე და შემპამეო.

კატამ კუდი ჩაუშვა, თავი ამოჰყვა და თავი უმაღ სოროს შეა-
ფარა. კატა მივარდა და უსაყვედურა:

— რატომ გამეჭეცი, პირს რად მიტეხო.
— თავგმა უთხრა:
— თავში არ უნდა შემსდარიყავი, მთვრალი კაცის სიტყვა ვის
დაუჯერებიაო.

დათვი და გლეხი

ტყეში დათვს კურდღელი დაეჭირა და მოკვლას უპირებდა. გლეხ-
მა დაინახა და უთხრა:

— არა გრცხვენია, დიდი დათვი პატარა კურდღელს კლავო?
დათვს შერცხვა და უთხრა:
— ოღონდ ნუ გამთქვამ და თაფლს გასწავლი, შენაც წაიღე ხოლ-
მეო.

კაცი თაფლს ეზიდებოდა, გამდიდრდა კიდევაც.

ერთ დღეს დათვს მუცელი ასტკივდა, საზარლად ღმუოდა, კაცს

ეგონა, ჩემს ცოლს რომ ვუთხარი დათვის ამბავი, იმიტომ თუ სტკივაო, მივიდა და ბოდიში მოუხადა... დათვმა შექმა მოუხდომა, ცოლს რად უთხარიო? ამ დროს მელამ მოიბრინა და დათვის უთხრა:

— მონადირე მეძებრებით შენსკენ მოდის და აქ რას უდგეხარო.

დათვმა გაიგონა თუ არა, დაეშვა ხევ-ხევ, რაც ძალა ჰქონდა, გარბოდა.

— კაცო, სიკვდილისაგან გიხსენი, მაჭამე რამეო, — უთხრა მელამ. კაცმა კლაკვანა, კრუნჩხვა დაიწყო.

— რა მოგივიდაო? — ჰკითხა მელამ.

— მეძებრები ვჭამე და ახლა უნდა გადმოვეყარო.

მელას ფერი ეცვალა. შეეხვეწა, ჯერ ნუ გამოუშვებო, და მოჰკურცხლა.

თეთრი თხა

ვენახში თეთრი და შავი თხა შეიპარნენ. ვენახის პატრონმა დროზე მოუსწრო მათ და გამოეკიდა. შავი თხა გაექცა, თეთრი კი დაიპირა და უთხრა:

— შე ოხერო, ის თუ ჯეელია, შენ ხომ ბებერი ხარ და რატომ არა გრცხვენიაო!

მგელი და სამი ცხენი

ერთ მინდორზე სამი ცხენი ძოვდა. ერთი ძლიერ მსუქანი იყო, მეორე ძლიერ გამხდარი, მესამე კი — საშუალო.

მივიდა მგელი და საშუალოს უთხრა:

— ვერ ხედავთ, რომ თქვენს წილ ბალახსაც ეგ ჰჭამს, როგორ გასუქებულა, თქვენ კი გამხდარხართო. მიშველეთ და მაჯას მოგაშორებთო. უშველეს და მგელმა მსუქანი ცხენი შეჭამა.

მეორე კვირას მგელმა გამხდარს უთხრა:

— შენ წილს ბალახს ეგ ჰჭამს, მომეხმარე და მოგაშორებო.

ისიც შეჭამა.

მერე გამხდარს მიადგა. გამხდარმა უთხრა:

— ჩვენი პირობა ეგრე როდი იყოო?

— ეჰ, რომელ პირობაზე მელაპარაკები, შენ ღმერთი მაშინ გაგიწყრა, როცა მსუქნის დაჭერაში მომეხმარეო.

თაგვი და ალაშიანი

წისქვილში ტომრით წაღებულ საფქვეს თაგვი ყოველთვის ქვე-
მოდან გამოხრავს ხოლმე.

ერთხელ კაცს უთქვამს თაგვისთვის:

— თაგვო, რატომ იქცევი ასე, იწამე ღმერთი და თავიდან ჩადი
ტომარაში, სიმინდი რამდენიც გინდა ჭამე, ოღონდ ტომარას ძირს
ნუ გამოუღრღნო.

თაგვი გაჯავრებულა:

— გლახს ამოდენა უმუშავნია, ოფლი უღვრია და მე ცოტა მაინც
თუ არ გავისარჯე მის ჭამაში, უსინდისოს დამიძახებენო.

ბები და ვირი

ერთ ბეგს ერთი ვირი ჰყოლია. როცა მას საბალახოდ გაუშვებდა,
გლახის ვირებში გაერეოდა და ისე ბალახობდა.

ამაზე ბეგს გული მოსდიოდა: როგორ თუ ჩემი ვირი გლახის ვი-
რებში ერევა. ნუ თუ მათ შორის რაიმე განსხვავება აღარ არისო?!
ბეგმა იყიდა ოქროს თავსაბური, დაახურა ვირს და გაუშვა საბალა-
ხოდ. ვირი ისევ მეზობლის ვირებში გაერია. გამოუვლია ერთ გლახს,
უნახავს, რომ ვირს ოქროს თავსაბური ახურავს, უფიქრია, ვირს
რად უნდა ოქროს ქუდიო და სახლში წაუღია. როცა თავშიშველი
ვირი შინ მისულა, ბეგი გაჯავრებულა: ვინ გაუბედა ეს ჩემს ვირსაო?!

ბეგს ერთი მასხარა მსახური ჰყოლია და იმას უთქვამს:

— ფაშავ, ვირი ვირად დარჩება, ბრილიანტის ქუდიც რომ დაა-
ხუროო.

მოტყუებული მეფე

მეფეს უთხრეს: ერთ კაცს ტყუილების თქმით დიდი სახელი აქვს
გავარდნილიო. მეფემ დაიბარა მატყუარა და უთხრა:

— აბა, სხვები რომ გიტყუებია, მეც მომატყუეო.

— დიდებულო მეფეე, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი მიბოძეთ, ტყუი-
ლების გუდას ავკიდებ, მოვიტან და მაშინ მოგატყუებო.

მეფემ მისცა ცხრა უღელი ხარ-კამეჩი.

გადიოდა დრო. მატყუარა არსად ჩანდა. მეფემ იკითხა:

— სად დაიკარგა მატყუარაო?!

— მეფეე, იმ კაცმა მოგატყუათ, რაღას ელით, თქვენი მიცემუ-
ლი ხარ-კამეჩით კარგი სახლი დაიდგა და არხეინად ცხოვრობსო, —
უპასუხეს მეფეს.

სეზხვა და გლეხი

ერთ ღამეს ძლიერი სეტყვა წამოვიდა. გლეხი ვენახს დარაჯობდა, გამოვიდა გარეთ დაღონებული, როცა გაიღვა, მწუხარე ხმით წამოიძახა:

— შენც მიუნათე, თორემ ისე ვერ ხედავს, სად არის კარგი ვენახიო.

ფრთხილად იყავი, მოურავო...

ერთ მოურავს სოფელში უნდოდა წასვლა; მთის სოფელი იყო და გზა არ იცოდა. ხიფათი რომ არა შეჰყოფდა რა, მენახირე გაიყოლა. როდესაც ვიწრო ბილიკთან მივიდნენ, მენახირემ უთხრა:

— ფრთხილად იყავი, მოურავო, აქედან ბევრი სახედარი გადაჩეხილა ხევშიო.

მეტამეტე რასა შვრება?

მეტატონემ მოურავი იხმო იმ დროს, როდესაც თვითონ სადილად იჭდა და ჰკითხა ახალი ამბავი.

— ჩვენმა ღორმა ცამეტი გოჭი დაყარა,—მოახსენა მოურავმა,— ღორს კი თორმეტი ძუძუს მეტი არა აქვსო.

— მაშ, მეცამეტე რას შვრება?

— იმას, რასაც მე, უყურებს როგორ ჰამენ სხვებიო, — უპასუხა მოურავმა.

თუთიყუშის პასუხი

ერთმა მდიდარმა კაცმა თუთიყუში იყიდა, ლაპარაკი ეცოდინება და გამართობსო, მაგრამ რასაც კი ჰკითხავდნენ, თუთიყუში ყველაფერზე „ღიახო“ უპასუხებდა.

პატრონმა ჰკითხა:

— მაგის მეტი არაფერი იციო?!

— „ღიახო“, — უთხრა თუთიყუშმა.

— სულელი ვიყავ, შენ რომ გიყიდეო!

— „ღიახო“, — დაუმოწმა თუთიყუშმა.

„ცოცხალი“ ტყუილი

ორი ახალგაზრდა ერთმანეთს ეტრაბახებოდა. ერთმა თქვა:

— პაპაჩემს ისეთი დიდი სარდაფი ჰქონდა, კარიდან ჩასული ყმაწვილი სანამ ბოლოში მივიდოდა, თმა-წვერი გაუთეთრდებოდაო. მეორემ თქვა:

— პაპაჩემს ერთი დიდი ჯოხი ჰქონდა, როცა მოიღრუბლებოდა, იმ ჯოხის თავზე ჩვრებს მოაბამდა, მაღლა ასწევდა, გააქნევ-გამოაქნევდა, ღრუბლებს გაჰფანტავდა და მზე ისევ გამოჩნდებოდაო.

— მერე და სად ინახავდა პაპაშენი ამ სიგრძე ჯოხსო? — ჰკითხა პირველმა.

— პაპაშენის სარდაფშიო, — უპასუხა მეორემ.

თუ საწყალი იქნება...

ერთმა ვაჭარმა ერთ გლეხს შვილი მოუნათლა. დღე და ღამე ვაჭარი გლეხთან იყო. ბოლოს გლეხმა უთხრა: ერთხელ შენთანაც ვჭამოთ პურიო.

ვაჭარს შერცხვა და მეორე დღეს სადილად დაპატიჟა. მოართვეს თევზი, ხიზილალა და ყველი, მაგრამ ყველაფერი ისე თხლად იყო დაჭრილი, რომ სინათლე გასდიოდა. დაიწყეს ჭამა. გლეხმა ორ-ორ ნაჭერს ერთად დაუწყო ჭამა. ვაჭარმა უყურა, უყურა და უთხრა:

— ნათლიმამ, თქვენში ორ მკვდარს ერთად მარხავენო?

— თუ საწყლები იქნებიან, სამიც ერთად დაიმარხებო, — უთხრა გლეხმა და ჭამა განაგრძო.

თევზის მკამელი ვეჩილი

ერთი ვეჩილი იყო, თავის საქმეში ძლიერ დახელოვნებული. შევიდა სასადილოში და მოითხოვა დოში. ვეჩილი დიდხანს ეწვალა, მაგრამ დოშს ტყავი ვერ გააძრო. გაბრაზებულმა წამოიძახა:

— თევზს ტყავი ვერ გავაძვრო!

— მთელ ხალხს ტყავს აძრობ და თევზს ვერ გავაძვრე ტყავიო? — შეესიტყვა იქვე მჯდომი მოქალაქე.

გლეხის პასუხი შაჰისადმი

შაჰმა ქართველთა მეფეს შემოუთვალა:

— მიყიდე ისეთი ცხენი, არც წითელი იყოს, არც ლურჯი, არც თეთრი, არც შავი და გამომიგზავნეო.

მეფე დალონდა. ერთი გლეხი მოვიდა და უთხრა:

— მეფეო, რამ დაგალონა! შაჰს შეუთვალე: ცხენი ნაყილია, კაცი გამოგზავნე და წაიყვანე ისეთ დღეს, არც ორშაბათი იყოს, არც სამშაბათი, არც ოთხშაბათი, არც ხუთშაბათი, არც პარასკევი, არც შაბათი და არც კვირაო.

თავადის საჩუქარი

ერთ სახელოვან თავადთან დიდი წვეულების დროს მოვიდა კარგი მოლექსე გლეხი და თავისი ლექსით ძლიერ შეაქო ბატონი სტუმრების წინაშე. ბატონმაც აივნიდან გადმოსძახა მოლექსეს:

— ბიჭო გიგლია! წადი, შეილო, ერთი ურემი პური მიჩუქებიაო.

მეორე დღეს გიგლიამ ურემი ბატონის კიშკარს მიაყენა.

ბატონი გამობრძანდა და აივნიდან გადმოსძახა:

— ბიჭო გიგლია, გუშინ შენ შემაქე, მე მიამა, მე დაგპირდი, შენ გიამა, და ეს ურემ-ტომრები რაღა შენი მიქარვავაო!— და გაწბილებული გააბრუნა.

უცნაური დავალება

ერთი ფილოსოფოსი თავისთვის სახლს აშენებდა. შეუქვეთა, რომ იატაკი მალლა მოექციათ და ქერი დაბლა გაეკეთებინათ. როდესაც ასეთი უცნაური დავალების მიზეზი ჰკითხეს, მან უპასუხა:

— ცოლის შერთვას ვაპირებ და სულ ერთია, მაინც გადააბრუნებსო.

შენ უფრო კარგად გსოდნიარ

ერთი კაცი კაკლის ჩრდილქვეშ იწვა და აქეთ-იქით იყურებოდა. გვერდით, ბახჩაში, უზარმაზარი საზამთრო მოწეულიყო და კაცის თვალს იტაცებდა. ამ კაცმა შეხედა კაკლის ხეს და თქვა:

— ღმერთო, ეგ რა უსამართლობა დაგიწესებია, ამოდენა ხეს ასეთი წვერილი ნაყოფი გამოუხსამს და უბრალო ბალახს კი ვეებერთელა ნაყოფიო.

ამას რომ ლაპარაკობდა, კაკლის ხიდან კაკალი ჩამოვარდა და ამ კაცს თავში მოხვდა. უცბად ხელი მოისვა და თქვა:

— უფალო, შენ უფრო კარგად გცოდნია! ეგ რომ საზამთროს ტოლა ყოფილიყო, ხომ თავს გამიხეთქავდაო.

მონხარხებული მყიდველი

ერთმა ვაჭარმა მოსამსახურეს ორი შაური მისცა და უთხრა:

— აჰა, ორი შაური, წადი, ისეთი რამე მიყიდე, მეც ვჭამო, ცხენსაც ვაჭამო და დავთესო კიდევაცო.

მოსამსახურემ საზამთრო მოუტანა და უთხრა:

— გული შენ შეჭამე, ქერჭი ცხენს აჭაძე და მარცვლები დათესეო.

ვექილის პასუხი

ერთ-ერთ სასამართლოში პატარა ტანის ვექილი შემოვიდა. მოსამართლემ ჰკითხა:

— თქვენ ვინ ბრძანდებითო?!

— ვექილი გახლავართო.

— ისეთი პატარა ხართ, რომ შემიძლია ჯიბეში დაგმალოთო.

— მაშინ ჯიბეში უფრო მეტი ჰკუა გექნებათ, ვიდრე თავშიო.— უპასუხა ვექილმა.

ბრიყვი ცოლ-ქმარი

ერთი კაცი ხეზე იყო და სკას ხილავდა. ცოლი ძირიდან ხელს უწყობდა.

ქმარმა ქალს ჩამოსძახა:

— რომ იცოდდე სარანჯი რა სანახავია, უკეთესს ვერაფერს ნახავო!

ქალი შეეხვეწა:

— ამიყვანე და მანახეო.

ქმარმა ჩამოუშვა მარყუქიანი ბაწარი და დაუძახა:

— გაუყარე თავი და ამოგიყვანო.

ქალმა გაუყარა ბაწარს თავი და დაუძახა:

— ამწიეო.

ქმარმა ასწია. ქალი დაიხრჩო და კბილები დაკრეჭილი დარჩა.

ქმარმა რომ დაინახა, უთხრა:

— ჯერ რა გაცინებს, აქ რომ ამოხვალ, მერე გაიცინეო.

ბნელში რას იაოვიტო

ერთ სახლში ქურდები შევიდნენ. დაიწყეს ნივთების შეგროვება. ბატონს გამოელვინა და ზმორებით უთხრა ქურდებს:

— არ ვიცი, რა უნდა იპოვოთ ამ სიბნელეში, როცა მე დღისითაც ვერაფერი მიპოვნიაო.

ჩემი საბრალო თხეზი მომაგონდაო

ერთი მგალობლის გალობაზედ საყდარში ტირილი მოუვიდა გლეხს. მგალობელმა შენიშნა ესა და იფიქრა: უთუოდ ჩემი ხმის სიამე ალბობს იმის გულსა და მისთვის ტირისო. მივიდა და ტირილის მიზეზი ჰკითხა:

— როგორ არ მეტირნა, მე საწყალს, — დაიწყო გლეხმა, — ისეთი თხეზი შემიჭამეს მგლებმა, რომ რაც უნდა მოეცათ, არ მივცემდი. ახლა, როცა მომაგონდება, ტირილი მომდის ხოლმე. საყდარშიც, ბატონო, თქვენ რომ გალობდით, მე მეგონა, ჩემი საბრალო თხეზი კიკინებენო, სულ იმათ ხმას ჰგავს თქვენი ხმა და მისთვის ვტიროდიო.

თქვენს გზირს რამდენი რქა ჰქონდაო?!

იყო ორი ძმა. ერთი ჰქვიანი, მეორე კი გიჟი. ამ ძმებს სოფლის გზირი გადაეკიდა, ზედმეტ გადასახადს ახდევინებდა. ერთხელ ჰქვიანმა ძმამ გზირი მოკლა და ორმოში ჩააგდო. ეს გიჟმა ძმამ დაინახა. როცა გზირს ძებნა დაუწყეს, გიჟმა ძმამ გააცხადა: გზირი ჩემმა ძმამ

მოკლაო. ზოგს ტყუილი ეგონა. ჰკვიანმა გაიგო ყოველივე ეს, გზირი ამოიღო ორმოდან და სხვაგან დამარხა, სამაგიეროდ თხა მოკლა და ორმოში ის ჩააგდო. მამასახლისმა სოფლის ხალხი ორმოსთან მიიყვანა და ორმოში ეს გიჟი ჩაუშვა:

— აბა, ჩადი და გზირი ამოიტანეო.

გიჟი ჩავიდა, გზირის ნაცვლად თხა ნახა და მამასახლისს ამოსძახა:

— თქვენს გზირს რამდენი რქა ჰქონდაო?!

ხ ა ტ ი

ერთმა ღარიბმა კაცმა ხატი იპოვა და უბეში ჩაიღო. იფიქრა, ეს მიშველისო.

ერთი მდიდარი კაცი შემოხვდა, რომელიც მისი მტერი იყო.

ღატაკმა ხატსა სთხოვა მდიდრისათვის კისერი მოეგრიხა. ხატმა უთხრა:

— მაგისი მეშინიაო.

გაიარა კიდევ გზა და შეხვდა მასზე უარესი ღარიბი კაცი. ხატმა უთხრა:

— აი, ამას მოვეუგრებ კისერსო.

გლებმა უთხრა:

-- შაგას ხომ მეც მოვერევიო, — და შიგ ლაფში ჩააგდო ხატი.

მოტყუებული მღვდელი

მღვდელს ლამაზი ცოლი ჰყავდა. ერთ ბიჭს ძალიან უნდოდა ხელში ჩაეგდო მღვდლის ცოლი. ერთხელ ამ ბიჭმა ბაღში შემოიკრა მუცელზე და ქალის ტანსაცმელი ჩაიცვა. დაწვა ერთ მიყრუებულ ადგილას, სადაც მღვდელს ცოლით უნდა გამოეცლო. მართლაც გამოიარეს. ამ ბიჭმა მშობიარე ქალივით კივილი დაიწყო:

— ვინ ხართ, ქრისტიანი, მიშველეთო.

რა ეს ნახა მღვდელმა, ცოლს უთხრა, მშობიარე ქალია, მიდი მიეხმარე, მაღლიაო, მე აქ დაგიცდიო. მართლაც მიეხმარა, ცოტა მოსაფარ ადგილს გადაიყვანა მშობიარე. იმ ბიჭმა გადააგდო ბაღში და მღვდლის ცოლს კოცნა დაუწყო.

ქალმა ქმარს დაუძახა:

— მღვდელი, ბიჭია, ბიჭიო!

— ღმერთმა გაუზარდოსო, — უპასუხა მღვდელმა.

ჩემი ყანისკენ იყურებოდარ

ერთ კაცს წყალგალმა ყანა ჰქონდა და წყალგამოღმა სხვისი ხბო იდგა. ამ კაცმა ეს ხბო მოჰკლა. ჰკითხეს:

— რათ მოჰკალიო?

— ჩემი ყანისკენ იყურებოდარ!

ძმამ ბაღაარჩინა

იყო ორი ძმა. ერთს ტყუილის თქმა უყვარდა, მეორეს — სიმართლისა.

ერთხელ სიმართლის მთქმელი ძმა გაჯავრდა: მეც ვიტყვი ტყუილისო.

გავიდა ხალხში და თქვა: ხალხო, იცით, დღეს ციდან ლეკვის ხმა შემომესმაო. ხალხმა იცინა, თავშიაც ჩაართყეს: ძაღლის ლეკვს ცაში რა უნდოდარო.

ამ დროს მოვიდა ტყუილის მთქმელი ძმა და გაუჟვირდა:

— რატომ სცემთ ჩემს ძმასო?

— შენი ძმა გაგიჟებულა, ამბობს ძაღლის ლეკვის ხმა შემომესმა ციდანო.

— მერე ეს თქვენ ტყუილი გგონიათო?—თქვა მატყუარა ძმამ,— დღეს, როცა კარში გამოვიხედე, ყვავმა აიტაცა ძაღლის ლეკვი და ალბათ იმ ლეკვის ხმა იქნებოდარო.

ხალხმა დაიჭერა და სიმართლის მთქმელი ძმა გაუშვეს.

ბრიყვი ბატონი

ბატონთან მოსამსახურე შევიდა და მოახსენა:

— ბატონო, ქურდებს თქვენი ჩემოდანი წაუღიათო.

— მამა უცხონდათ, ბევრს კი წაიღებენ, გასაღები ჯიბეში მაქვსო, — უთხრა ბატონმა.

მღვდლის ქალიშვილი

ერთი მღვდლის ქალიშვილს გლეხის ბიჭი უყვარდა და ვერ ამხელდა. ერთხელ მამას სთხოვა, გარეთ დავწვები, ჭოტის ხმა მიყვარს ძალიანო. მამამაც ნატვრა შეუსრულა. ქალს შეყვარებული მოუვიდა, მღვდელმა შუაღამე დაზვერა და რა ყოველივე ნახა, შვილს უთხრა:

— შვილო, ჭოტის ხმა გიყვარდა და დაგიჭერია კიდევცაო.

მღვდელი და ხელსაფქვაპი

ერთი მღვდელი ერთ პატარძალს გადაეკიდა. ქალმა ქმარს უთხრა ეს ამბავი. ქმარმა მღვდელი სახლში დააბარებინა. მღვდელი ვახშმად მოვიდა, გაშალეს სუფრა. ამ დროს ქმარი შემოვიდა და თან თავისი ძმა შემოიყვანა. მღვდელი მეორე ოთახში გაიყვანეს, მისცეს ხელსაფქვაპი, 15 ფუთი სიმინდი და უთხრეს: თუ დილაში დაფქვი ხომ ცოცხალი წახვალ, თუ არადა — მოგკლავთო. ძალა აღმართსა ხნავს, მღვდელმა სიმინდი დაფქვა და დილას სახლში გაუშვეს. გავიდა ორი თვე და პატარძალმა ერთხელ მღვდელს უთხრა:

— ჩვენთან არ შემოვივლიო?

— დაფქული ხომ არ შემოგაკლდათო, — უთხრა მღვდელმა და გაშორდა.

როგორც ვიყიდე, ისე გავყიდეო

ერთ ქურდს ქუდი მოეპარა და უნდოდა გაეყიდა, მაგრამ სხვა ქურდებმა ეს ქუდი მასაც მოჰპარეს. შინ ხელცარიელი დაბრუნდა. ცოლმა ჰკითხა:

— როგორ გაჰყიდეო?

— როგორც ვიყიდე ისე გავყიდეო, — მიუგო ქმარმა.

შვილიანობას გადაჰყვამო

ერთმა კაცმა თავის მეზობელს საარაყე ქვაბი სთხოვა და როდესაც უკან მიუტანა, ერთი პატარა ქვაბი შიგ ჩადგა. პატრონმა ჰკითხა: ეს პატარა ქვაბი რაღაა?

— შენმა ქვაბმა მოიგო, — უთხრა მომტანმა.

გავიდა რამდენიმე ხანი და ამან კიდევ სთხოვა ის დიდი ქვაბი, მაგრამ აღარ დაუბრუნა. პატრონმა სასამართლოში უჩივლა, ქვაბი ვათხოვე და აღარ მაძლევსო.

მოსამართლემ ჰკითხა:

— რატომ არ აძლევო?

— როგორღა დავაბრუნო, რომ მომიკვდაო.

— როგორ თუ მოგიკვდაო?

— როგორ, ბატონო, და ერთხელ ვითხოვე და შეილიანად დავუბრუნე, ახლა კი საცოდავი შეილიანობას თან გადაჰყვავო.

მდიდარი და ქურდი

ერთმა მდიდარმა კაცმა ნახა, რომ ქურდმა ჯიბეში ხელი ჩაუყო და უკან აღარ ამოაქვს. დიდხანს უცადა და მერე უთხრა:

— კაცო, აღარ გრცხვენია, რამდენხანს უნდა გედოს ხელები ჩემს ჯიბეშიო?

— მე კი არა შენ უნდა გრცხვენოდეს, მდიდარი კაცი ხარ და გროში არ გიძევს ჯიბეშიო, — უთხრა ქურდმა.

კბილების ამოღება

ერთ კაცს კბილი ასტკივდა. მივიდა ექიმთან. ექიმმა კბილი ამოუღო და გასამრჯელოდ სამი მანეთი გამოართვა. მეორედ კიდევ ასტკივდა კბილი, ახლა დალაქთან წავიდა. დალაქმა ამოუღო კბილი და გასამრჯელოდ ორი შაური გამოართვა.

ამ კაცმა იფიქრა, იაფად იღებსო, ადგა და ყველა კბილი ამოაღებინა.

ამაო ღარიბება

— ბიჭო, ვანო, თუ ღმერთი გწამს, ჭკუაში ჩავარდი, სულ ვალეზის აღება ღუპავს ადამიანსო, — უთხრა ბიძამ ძმისწულს.

— არა, ბიძაჩემო, ვალეზის აღება კი არა, გადახდა ღუპავს ადამიანსო, — უპასუხა ძმისწულმა.

ღვინო რომ ყოფილიყავ

ერთი კაცი წყალში ჩავარდა, იხრჩობოდა, ძლივს გამოიყვანე! გაგუდული. როცა დაწრიტეს და მოსულიერდა, გადაიხედა მდინარისაკენ და თქვა:

— ღვინო რომ ყოფილიყავ, ვერ დამახრჩობდი, მაგრამ წყალხარ და რას გიზამდიო.

მეფის ხუმარა

ერთ ახირებულ მეფეს ულაცი ცხენი ჰყავდა.

ერთხელ, როდესაც ამ ულაცმა დაიჭიხვინა, ახირებულმა მეფემ ჩვენ მეფეს შემოუთვალა: აქ ჩემმა ულაცმა დაიჭიხვინა და მანდ შენი ფაშატი ცხენი დამაკდებო, კვიცი რომ ეყოლება, უნდა გამომიგზავნო.

მეფეს ეწყინა: ჩვენმა ფაშატმა კარგი კვიცი იცის და იმას რატომ უნდა მივცეო.

ჩვენ მეფეს ჰყავდა ხუმარა სულხანი. ერთ დღეს მეფე თავისი ხუმარათი მივიდა ულაცის პატრონ მეფესთან. მისვლისთანავე ხუმარამ მასწინძელი მეფის ძაღლებს დაუწყო ცემა. მეფე გაბრაზდა:

— ძაღლებს რატომ მიხოცავო!

— ჩვენ ცხვარს ლეკის ძთაზე მგელი ჰამს და რატომ არ მიეშველებიანო! — უპასუხა ხუმარამ.

— მერე აქიდან იქ როგორ უნდა უშველონო!

— მაშ, შენმა ულაცმა ცხენმა რომ აქ დაიჭიხვინოს, ჩვენთან ფაშატი როგორ დამაკდებო! — უპასუხა სულხანმა.

ახირებულმა მეფემ ხუმარას ვერაფერი უპასუხა.

კინტო და სოვლაგრები

ერთი კინტო კვდებოდა, მოიხმო ცოლი და უთხრა:

— ხომ იცი, როგორ ვაწვალებდი მეზობლებსა და ნათესაებს, სიკვდილის წინ მინდა ბოდიში მოვიხადო და ყველანი დაიბარეო.

ცოლმა ყველა დაიბარა. ქალაქის მდიდარი სოვდაგრებიც მოვიდნენ. კინტომ უთხრა შეკრებილებს, ვკვდები და ყველაფერი მაპატიეთო.

— ჩვენ გვიპატიებია, მაგრამ ღმერთი გაპატიებსო? — უთხრეს კინტოს.

— აბა, მაშინ, როცა მოვკვდები გამათრიეთ და შუა ქალაქში დიდ ქაღარზე ჩამომკიდეთ, იქნებ ღმერთმა მაპატიოსო, — სთხოვა კინტომ.

კარგიო, უთხრეს და წავიდნენ. კინტომ ცოლი გააფრთხილა:

— როგორც კი ქაღარზე ჩამომკიდებენ, გაიქეცი და იჩივლე. ქმარი მომიკლეს, ფული მომტაცეს და დამიბრუნეთ—თქო.

მართლაც ასე მოხდა, კინტოს „ჩამომხრჩობი“ სოვდაგრები დაიქირეს, ფულიც გადაახდევინეს და კარგადაც სცემეს.

სოვდაგრები შინ რომ დაბრუნდნენ, თქვეს:

— ცოცხალმა არ მოგვასვენა და არც მკვდარმა დაგვაყარა კარგიო.

საზამთროს ხმა

კინტო საზამთროს ჰყიდდა. მივიდა ერთი კაცი, საზამთრო ხელში დაიჭირა და გასინჯა.

— რატომ ხმა არა აქვსო? — ჰკითხა კინტოს.

— წუხელ ქორწილში იყო, ბევრი სიმღერის გამო ხმა წასვლიაო, — უპასუხა მყიდველს.

ბრიყვი მუშალე

ერთ მეწაღესთან ორი კინტო მივიდა, გაღმობებინეს წაღები. ერთმა კინტომ წაღები ჩაიცვა, მეორემ წალა თავში ჩაართყა და უთხრა:

— ტუტუცო! ხომ გითხარი, არ გამოგადგებაო? — და გაიქცა.

მეორე კინტოს ვითომ ეწყინა და გამოუღდა გაქცეულს. მეწაღემ უყურა, უყურა და მიამახა:

— ჰაი, თუ დაგეწია, განახებს სეირსო.

ყველაფერი ამოვა დედამიწიდან

ორი გლეხი ლაპარაკობდა გაზაფხულის კარგ დარებზედ.

— თუ ასე იწვიმა, ორი-სამი ღლე კიღევ და ყველაფერი ამოვა დედამიწიდანაო, — თქვა ერთმა გლეხმა.

— ღმერთმა ქნას, — თქვა მეორემ — ორი ცოლი მყავს მიწაში დამარხულიო.

უჩუბუნო მსახური

ერთი მღვდელი მივიდა ეკლესიაში და ზარი დაარეკინა. ცისკრის ლოცვა უნდა ეთქვა. მოგროვდა ხალხი, მაგრამ ძალიან ციოდა. მღვდელიც აეტანა სიცივეს. გამოვიდა მღვდელი საკურთხეველიდან და ხალხს უთხრა:

— ხომ თქვენცა გცივათ და მეცაო, აი, რაც ამ დავთარში სწერია, იმის მადლი შეგეწიოთ და შინ წავიდეთო.

ყურძნის ქურდი

ერთი გლეხი შეეჩვია მღვდლის ვენახს და ყურძენს იპარავდა. მღვდელმა უფროსთან იჩიულა. უფროსმა დაიბარა გლეხი და ჰკითხა:

— ყურძენს რად იპარავო!

— არა, ბატონო, — უთხრა გლეხმა, — ყურძენი რად მინდა? ქვები არა მაქვს და ცეცხლი, რომ მოვხარშო ან შევწვაო.

უფროსმა მღვდელს უთხრა:

— გაჩუმდი, არც კი იცის, რომ მოხარშვა არ უნდა, თორემ, თუ ეს გაიგო, აოხრება მაშინ ნახეო.

ყ ა ლ ა ლ ა ნ ა

სოფელში იყო ერთი ყალადანა, უქნარა კაცი, რომელიც არაფერს არ აკეთებდა, მარტო ჭამდა.

ეს უქნარა სოფელს შეეჯავრა, გადაწყვიტეს, ცოცხლად დავმარხოთო. გააკეთეს კუბო, ჩაასვენეს შიგ უქნარა და წაიღეს დასამარხავად. სასაფლაოს კარს რომ მიუახლოვდნენ, გზად ეტლით მომავალი კაცი შემოხვდათ.

შეაჩერა ეს ხალხი და უთხრა:

— არ გეცოდებათ, ცოცხალ კაცს რომ მარხავთო.

— არაფრის გამკეთებელი არ არის, — უპასუხა ხალხმა, — და იმითომ ვმარხავთო.

— თქვე კაი ხალხნო, ორი ტომარა ორცხოზილა მაქვს, თუ ასე მოგძულდათ, გამოუშვით ჩემთან, მე ვაჭმევო, — უთხრა ამ კაცმა.

ყალადანამ კუბოდან თავი გადმოჰყო და იკითხა:

დამბალია თუ არაო.

მოსაშართლემ მიმართა მომჩივანს და უთხრა:

— თქვენ ამბობთ, რომ წუხელ გიგუამ გაგძარცვათ?!

— დიახ, ბატონო!

— მთვარე თუ ანათებდა იმ ღროს?

— არა, ბატონო!

— არც ვარსკვლავები?

— არც ვარსკვლავები, ისეთი სიბნელე იყო, ბატონო, ცხვირ-ქვეშ მუშტს ვერ დაინახავდა კაცი.

— სადმე ფანჯრიდან ხომ არ მოდიოდა სინათლე?

— არა, ბატონო, ჩვენი სახლიდან ერთ კილომეტრზე არაფერი არ არის.

— თუ არც მთვარე იყო, არც ვარსკვლავები, არც სინათლე, მაშ საიდან იცი, რომ ქურდი მაინცადამაინც ეს კაცია და არა სხვა?

— იმით, ბატონო მოსამართლე, რომ დამარტყა თუ არა თავში მუშტი, თვალებიდან ისეთი ცეცხლი გადმომცვივდა, ნემსზე ძაფის აგებაც შეიძლებოდაო.

აბა, რა არის აქ სალაპარაკო

ერთმა ქურდმა სოფელში მოიპარა ინდაური, იხვი და ბატი. ჩას-ხა კალათში და ქალაქში წაიყვანა გასასყიდად. მატარებელში ინდა-ურმა დაიწყო ძახილი — „კავ“, „კავ“, „კავ“, „კავ“.

— კავკავში კი არა, შე ოხერო, თბილისში მიდიხარო!

რომ ველარ გააჩუმა, სტაცა ხელი და თავი წააგლიჯა.

გავიდა პატარა ხანი. ახლა იხვმა დაიწყო:

— „ვიტ“, „ვიტ“, „ვიტ“.

ქურდს გული გაუსკდა:

— რას იტყვი, შე ოხეროო — და, რომ ვერ გააჩუმა, ამასაც მო-აგლიჯა თავი.

გავიდა ხანი. ახლა ბატმა დაიწყო:

— სუუ, სუუ, სიი-ო.

— ეგრე, გენაცვალე, სუუუუ იძახე, აბა, რა არის აქ სალაპა-რაკოო.

ერთი ქუნწი კვდებოდა, მოიხმო მეზობლები და უთხრა:

— მე ახლა ვკვდები. წითელი ცხენი შენი იყოს, გიო, ლურჯა შენ წაიყვა, სანდრო, ვირი მიტროსი იყოს, აქლემი — კეკესი.

ასე დააჯილდოვა მეზობლები.

მერე ერთმა მეზობელმა ჰკითხა:

— ამ საჩუქრებს ვინ მოგვცემსო?

ქუნწმა უპასუხა:

— განა მაგაზედაც მე ვიზრუნო?!

.... ღირსი არა ხარ, მზეს უხურო

ერთმა მებატონემ გაგზავნა მებაღე ბაღში სამუშაოდ. ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც წავიდა, რომ ენახა იმისი მუშაობა. გაიარ-გამოიარა ბაღში და ნახა, რომ მუშას ჩრდილში სძინავს.

— ჰოი, შე ბოროტო! ეგრე მუშაობ, შე უკეთურო ავკაცო? ღირსი არა ხარ, პური ჭამო და მზეს უყურო!

— მე თვითონაც ვგრძნობდი, ბატონო, რომ არ ვიყავი ღირსი მზის ყურებისა და კიდევაც მისთვის ვწევარ ჩრდილშიო, — მიუგო მუშამ.

წვინტლიანი ქალიშვილი

ერთი კოხტა ყმაწვილი მივიდა მდიდარ კაცთან და უთხრა:

— თქვენი ქალი მომწონს, თუ თქვენი ნება იქნება, ცოლად შევირთავო.

მდიდარმა უთხრა:

— ჩემი ქალი მდიდრულ ცხოვრებას არის დაჩვეული და შენ რა გაქვს შემოსავალიო?

— სამასი თუმანი წლიურადაო, — უთხრა ყმაწვილმა.

— ჩემს ქალს სამასი თუმანი ცხვირსახოცის ფულადაც არ ეყოფაო.

— თუ მაგისთანა წვინტლიანია თქვენი ქალი, რაღად მინდაო, — უთხრა ბიჭმა და გაშორდა.

წყალწალღებული

ერთი კაცი წყალში ჩავარდა. მცურავემა გამოიყვანა და ფულის თხოვა დაუწყო. კაცმა შემოუძახა:

— რას მიედ-მოედები? თვალი დაუდგეს ახლანდელ სამართალს, თვარა შენ უნდა ერთი კაი ორაგულის ფასი გადამიხადო. მე წყალში განგებ ჩავიყურყუმალე, რომ თევზი დამეჭირა! ერთ ორაგულს მოვავლე ბოლოში ხელი და, შენ რომ უდროო დროს ჩემთვის ფეხში არ გეტაცნა ხელი და არ გაგეშეებინებინა, ის-ის იყო, გამომყავდა დაქერილიო.

ჩაწიწიღებული კვერცხი

ორი ამხანაგი შევიდა სასადილოში. იკითხეს:

— წიწილი რა ღირს.

— ათი შაური, — უპასუხა მომტანმა.

— ათი კვერცხი რა ღირს?

— ორი შაური.

— მაშ, კვერცხები მოგვიტანეო.

მოუტანეს კვერცხები. გატეხეს, ერთმა მეორეს უთხრა:

— წიწილიანი კვერცხები მოგვიტანეს!

— ჩუმად ჭამე, ჩემიც ეგეთია, არ გაგვიგონ, თორემ წიწილის ფასს გადაგვახდევინებენო, — უთხრა ამხანაგმა.

ახირებული სიცილი

ერთმა კაცმა ახირებული სიცილი იცოდა, თითქოს ხვიხვინებსო. ერთხელ ცხენმა წიხლი ჰკრა და წინა კბილები ჩაამტვრია. რომ მორჩა, შეხვდა თავის კარგ მეგობარს და შესჩივლა:

— არ გიკვირს, რა მიყო ჩემმა ცხენმაო?

— მე ის მიკვირს, ან ამდენ ხანს რად გითმენდა და აქამდისაც არ დაგმართა ეგ საქმე, რაც შენ იმას აჯავრებდიო, — მიუგო მეგობარმა.

ანგელოზი ცოლი

ერთმა მახინჯი ცოლის პატრონმა მეგობარს გააცნო ახალი შერთული მეუღლე და უთხრა:

— მომილოცე ბედნიერება! მართალია, უსახურია ჩემი ცოლი, მაგრამ სამაგიეროდ ანგელოზიაო!

— მჯერა და მოგილოცავ, — უპასუხა მეგობარმა, — დარწმუნებული ვარ, მაგ ანგელოზს ისე ვერსად შეხვდება ეშმაკი, რომ არ დაღვრთხესო!

ლიბრი

იყო ერთი ცოლ-ქმარი, ცხოვრობდნენ საშუალოდ. კაცი სამუშაოდ დადიოდა. მუდამ საღამოს დატვირთული მოდიოდა და დროს ატარებდნენ. ამ კაცს ცალ თვალზე ლიბრი ჰქონდა, ცოლმა იცოდა, მაგრამ არაფერს აგრძნობინებდა, რადგან კარგად ინახავდა. ერთხელ საწუშაო ვერ იშოვა და ცარიელი მოვიდა სახლში. დაღონებული იყო, ცოლმა შეატყო, ჩახედა თვალებში და უთხრა:

— კაცო, თვალზე ლიბრი გქონია!

— ცარიელი რომ მოვედი, ეს იმისი ბრალიაო, — მიუგო ნაწყენმა ქმარმა.

ის უფრო ადრე მიუტანსო

ბაზრიდან სახლში მომავალ ლამაზ ქალს, რომელსაც წინ ვირა მიუძღოდა, გზაზე ერთი აბეზარი მოაშიკე ნაცნობი შეხვდა. ნაცნობმა უთხრა:

— თუ ღმერთი გწამს, შენს ქმარს შენი პირით კოცნა მინდა გავუგზავნო და ნუ გამაწბილებო.

— აი, ამ ვირს გაატანე, ის უფრო ადრე მიუტანსო, — უპასუხა ქალმა.

ტვინი გიჩანს თავშიო

ერთი ოფიცერი დასკრეს ომში, ექიმმა გასინჯა მისი წყლულო და უთხრა:

— არ დაგიმაღავ, რომ მძიმედ ხარ დაქრილი, ტვინი გიჩანს თავშიო.

— მართლა?! — სიხარულით შეჰყვირა დაკრილმა, — თუ ღმერთი გწამს, პატარა ამოიღე და ჩემს უფროსს გაუგზავნე: ყოველთვის მარწმუნებდა, უტვინო ხარო.

კატაც გადააყლაპეთო

ერთ კაცს, წყლის დაღვევისას, თავი ჩაჰყვა. სასწრაფოდ ბიჭი ექიმთან გააგზავნეს. ბიჭმა ექიმს უთხრა:

— ჩქარა წამობრძანდით, ერთმა კაცმა თავი გადააყლაპაო!

— მანამ მე მოვიდოდე, იმ კაცს კატაც გადააყლაპინეთო, — ურჩია ექიმმა ბიჭს.

ერთი თუმნის გულისათვის

ერთი გლეხი მივიდა ვაჭართან და უთხრა:

— ერთი თუმანი მასესხე და შემოდგომაზე გინდ ღვინოს მოგცემ, გინდა ღვინოს გავეყიდი და ფულს მოგცემ სარგებლითო.

— ვენახი რომ დაგესეტყვოს, მაშინ რაღას მომცემო, — ჰკითხა ვაჭარმა.

— შე ოხერო, ერთი თუმნის გულისთვის ასი თუმნის ვენახს როგორ მისეტყვავო.

ტყუილის ბარაქა

ლაგოდებსში ერთი ვაჭარი იყო. გლეხებისაგან ყიდულობდა თამბაქოს, შემდეგ მიჰქონდა ქალაქში და იქ ქარხანას აბარებდა. ვაჭარმა ძალიან ბევრი ტყუილი იცოდა. ფულს დაგვიანებით უხდიდა გლეხობას. მუდამ დაპირებითა და ტყუილით ისტუმრებდა მოვალეებს.

ერთხელ ერთმა გლეხმა უთხრა:

— შენი ტყუილის ბარაქა შერცხვესო.

— ან ღედა და ან მამა შეგეგინებინა, შე კაი კაცო, რაღა ტყუილის ბარაქა შემიგინე, მე ხომ ტყუილითა ვცხოვრობო, — უთხრა ვაჭარმა გლეხს.

მაცხვარის მოწმეები

ერთხელ მეცხვარეს ცხვარი მოპარეს. იპოვა ქურდი და უჩივლა სასამართლოში. მოსამართლემ მეცხვარეს ჰკითხა:

- ამ კაცმა მოგპარა ცხვარი?!
- დიახ, — მიუგო მეცხვარემ.
- მოწმეები გყავს?
- მყავს.

წავიდა მეცხვარე და სასამართლოში რამდენიმე ვირი და ძალლი მოიყვანა.

— აი, ბატონო მოსამართლე, ჩემი მოწმეები ესენი არიან, იმ შუალამეში ამათ მეტი ჩემთან, აბა, ვინ იქნებოდაო.

მანდ რომ ტვინი იყოს...

ორი კაცი ჩხუბობდა, ერთმანეთს კეტებით სცემდნენ. მათ შუა ერთი გამშველბელი ჩავარდა. მოჩხუბრებმა მას თავი გაუტეხეს. თავგატეხილი ექიმმა გასინჯა და თქვა:

- ტვინია დაზიანებულიო.
- არა, ექიმო, — უთხრა დაზარალებულმა, — მანდ რომ ტვინი იყოს, ორ მოჩხუბარს არ ჩაუვარდებოდაო.

მამასახლისის ბრძანება

ხარჯის ფული ბევრი იყო გაწერილი და სოფელმა დროზე ვერ შეიტანა. მამასახლისმა დაიბარა სოფლელები და უბრძანა:

- ჩქარა, აქვე მოთხარეთ, იშოვეთ ფული და შემოიტანეთო!
- ერთი ხუმარა ერია ამ ხალხში და იმან მამასახლისს უთხრა:
- აქ რომ ფული იყოს მოსათხარელი, ჩვენ არ დაგვიძახებდითო.

... ქაკიანი ჯოხის მოსატანად წავიდა

ერთ ქალიშვილს არავინ მოსწონდა, ყველას რაღაცა წუნს მოუნახავდა ხოლმე.

ერთხელ ერთმა ვაჟმა კოხტად ჩაიცვა, ცხენზე შეჯდა და ამ ქა-

ლიშვილთან მივიდა. ცხენი გააჩერა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ნიკაპით ხელებს დაეყრდნო და ქალს ჰკითხა:

— მამათქვენი შინ ბრძანდება?

— არა, ტყეში წავიდა, კაპიანი ჯოხი უნდა მოიტანოს შენთვის, რომ ხელი არ დაგეღალღოსო, — უთხრა ქალმა.

ვაჟმა თავი გაიქნია, შემოჰკრა ცხენს მათრახი და გამობრუნდა.

თავადის ჩივილი

თავადიშვილმა თავის მოურავს შესჩივლა:

— რა ცუდი დრო დადგა, უწინ ულვამის ბეწვი რომ დაგეგირავებინა, რამდენიც გინდოდა, ფულს იშოვიდი. ახლა ვექსილითაც არ გენდობიანო.

— ბატონო, ძალიან კარგია, რომ უწინდელი დრო აღარ არის, თორემ არც წვერი შეგრჩებოდათ და არც ულვაშიო. — უპასუხა მოურავმა.

მოხუცი და სიკვდილი

იყო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი. ერთხელ ცოლმა უთხრა ქმარს:

— კაცო, ამ ზამთარს გავიყინებით, წადი ტყეში და ერთი გულურა შეშა მაინც მოიტანეო.

ქმარი წავიდა. შევიდა ტყეში, მოაგროვა ერთი გულურა ხმელი შეშა და შეჰკრა. სცადა ზურგზე აკიდება, მაგრამ ვერ იქნა და ვერ აიკიდა, თან სიცივემ შეაწუხა. დაღონებულმა მოხუცმა ინატრა:

— სადა ხარ, სიკვდილო, რად არ მოდიხარ და არ მომკლავო.

უცბად ცელმოდერებული სიკვდილი თავზე წამოადგა მოხუცს და ჰკითხა:

— რაზე დამიძახეო?

— ერთი, შენს გაზრდას, ამ გულურას ამიწიეო, — მიუგო შეშინებულმა მოხუცმა.

ქ ა ჩ ა ლ ი

ერთხელ მონადირენი გაშმაგებით დაეძებდნენ ნადირს. ქაჩალს უთხრეს ბიჭებმა:

— მეფისათვის წამლად უსწავლებიათ ქაჩლის თავი და, აი, ეძებენ ასეთ კაცსაო.

რა ეს შეიტყო ქაჩალმა, ხეზე ავარდა დასამალავად, მონადირე-
პი სწორედ ამ ხესთან მივიდნენ დასასვენებლად. ქაჩალმა ხეს და-
უწყყო თავის ცემა და თან იძახდა:

— ამ ქაჩალ თავს თქვენთვისაც გავაფუჭებ და ჩემთვისაცაო!

მზარეულის ქურდობა

ერთ ბატონს ქურდი მზარეული ჰყავდა: ვერაფრით ქურდობას
ვერ გადააჩვია, თან გაშვებაც ენანებოდა, რადგან კარგ საჭმელებს
უმზადებდა.

ერთხელ ბატონმა ჰკითხა:

— ვერ გადაეჩვევი ქურდობას?

— ვერ გადაეჩვევი, ბატონო, — უპასუხა მზარეულმა.

— მაშინ მე თვითონ გადაგაჩვევო.

დაავალა კვერცხების შეწვა. მზარეულმა შემწვარი კვერცხი ბა-
ტონს მიართვა.

— აბა, ხომ ვერაფერს მოიპარავდი კვერცხიდანო? — ჰკითხა
ბატონმა.

— რაც წვენი გამოუვიდა, ის ავლოკეო, — ღიმილით უპასუხა
მზარეულმა.

თავში ჩართვა ერთ მანეთად

ერთმა კაცმა მეორეს თავში ჩაართვა. დაზარალებულმა უჩივლა
სასამართლოში. მოსამართლემ დაზარალებულის სასარგებლოდ ერ-
თი მანეთის გადახდა დააკისრა ჩამრტყმელს. დაზარალებული მი-
ვარდა მოსამართლეს, ერთი მაგრად ჩაართვა და უთხრა:

— იმ კაცს მანეთი შენ გამოართვიო.

ფაფაა თუ ფაფლუფი

ერთ ღარიბ გლეხს სტუმარი ეწვია. გლეხი თავის ჯალაბობით
სადილობდა. სტუმარი მიიწვიეს. სადილად ფაფა ჰქონდათ. სტუმარ-
საც შესთავაზეს. სტუმარს ფაფა არ მოეწონა, უარი თქვა, ეგონა,
სხვა რაშეს მომიტანენო. გლეხმა ბოდიში მოიხადა, ამის მეტი არა
გვაქვსო, და ჭამა განაგრძეს.

სტუმარი უყურებს, სადღილი გათავდა და სხვა არა მოაქვთ რა, ბოლოს იკითხა:

- ეგ ფაფა იყო, თუ ფაფლუწიო?
- ფაფლუწი იყო, — უპასუხა მასპინძელმა.
- უი, მე კი ფაფა მეგონა, უარიც იმიტომ ვთქვიო.

მასპინძელმა მშვიერ სტუმარს ფაფა მიაართვა და სტუმარიც კარგად გამოძღა.

მე ვიცი, გულს ვისაც დასწვავსო

უწინდელ დროს ინდური ხურმა ისე ბევრი ყოფილა, რომ ყველას შეეძლო კაპიკი გადაეხადა და, რამდენიც უნდოდა, ეჭამა.

ერთხელ ბაყალთან მთიული მივიდა, გადაიხადა ერთი კაპიკი და დაუწყო ინდურ ხურმას ჭამა. მთიულმა ორი შაურის ინდური ხურმა შეჭამა, ბაყალმა უთხრა:

— ძმობილო, მაგდენს რომ ჭამ, გულს დაგწვავსო.

— მე ვიცი, გულს ვისაც დასწვავსო, — უპასუხა მთიულმა და ჭამა განაგრძო.

მამის ანდერძი

— თუ შენ ოდესმე შეირთავ ქვრივსა, — ეუბნებოდა მომაკვდავი მამა შეილს, — ისეთი მაინც ამოირჩიე, რომელსაც პირველი ქმარი ჩამოუხრჩვეს, მაშინ შენს ცოლს აღარ ექნება მიზეზი, დაგადაროს მას და დაგაყვედროს, იმაზე უარესი ხარო.

— ეგ რჩევა მე არას მიშველის, — უპასუხა შეილმა, — მაშინ ჩემი ცოლი მეტყვის, შენ თოკის ღირსიც არა ხარო!

... შიგნიდან კატას გარეცხავსო

რძალი ჯამ-ჭურჭელს შიგნიდან რეცხდა. დედამთილმა უთხრა: — გარედან გარეცხე, შიგნიდან კატაც გარეცხავსო.

მონადირის ტყუილი

ერთმა მონადირემ მეორე მონადირესთან დაიტრაბახა:

— წავედი სანადიროდ, წავილე პაპაჩემის ნაქონი კაქის თოფი,

ვბედავ. მოფრინავს გარეული გედების გუნდი. ვესროლე — ჩამოვაგდე, ვესროლე — ჩამოვაგდე და ასე ზედიზედ ცხრა გელი მოვკალიო.

ახლა მეორემ უთხრა:

— ამ ათი წლის წინათ დათვზე სანადიროდ წავედი, ტბაზე ერთი უხარმაზარი დათვი გამომიქანდა, მე ხეზე ავედი, საათი მოვიხსენი, ხეზე დავკიდე, ჩამოვედი, შევებრძოლე დათვს და მოვკალი, წამოვიღე ნანადირევი სახლში. საათი ხეზე დამრჩა. ცხრა წლის შემდეგ გამახსენდა, რომ საათი ხეზე დამრჩა. მივედი, შორიდანვე საათის ხმა შემომესმა, ჩამოვიღე, მაჯაზე გავიკეთე და წამოვედიო.

პირველმა მონადირემ ჰკითხა:

— შენს საათს ცხრა წლის მანძილზე მომართვა არ უნდოდაო?!

— თუ შენს პაპისეულ თოფს გატენა არ უნდოდა, არც ჩემს საათს უნდოდა მომართვაო, — უპასუხა მონადირემ.

ორი ძმა და მათი და

ორ ძმას ერთი და და ერთი ვირი ჰყავდათ. უფროსმა ძმამ თქვა: — როდემდის უნდა გვყავდეს ჩვენი და გაუთხოვარი. გავათხოვოთო.

— მერე მზითევი რით გავუკეთოთო?

— ვირი გავყიდოთ და იმით გავუკეთოთო.

ხანი მიდიოდა, ძმები დის გათხოვებაზე ხმას არ იღებდნენ. ქალმა ითმინა, ითმინა და ბოლოს უთხრა ძმებს:

— რატომ ვირზე აღარაფერს ამბობთო?!

ერთი ქილა ოქრო

ერთ ავადმყოფ კაცს მაღალ გორაკზე გაეშალა ფარდაგი და ზედ იჯდა. იქვე ჯაგი იყო, კაცი უცბად დაგორდა, ჯაგს წაავლო ხელი, მაგრამ ვერ დაიკავა, მოგლეჩილი ჯაგი ხელში შეერჩა და ქვაზე დაეცა, პირიდან სისხლი წამოუვიდა. როცა აღგა, ნახა, რომ ჯაგის ძირას ერთი ქილა ოქრო იყო დამარხული. მაშინ თქვა ამ კაცმა:

— შე დალოცვილო ღმერთო, რა არის, რომ სანამ კაცს პირიდან სისხლს არ ანთხევინებ, ოქროს არ ამოვინებო.

ზღვის ღაწვა

ერთხელ ერთმა დედაბერმა დაიჩემა: „ზღვა უნდა დავწვაო“. წავიდა და წაიღო მუგუზალი. მივიდა და ჩაჰკრა ზღვაში. ზღვას ეს არც შეუტყვია. გამობრუნებულ დედაბერს ჰკითხეს:

— რა ჰქენი, დასწვი თუ არაო?

— მე კი ვკარი დასაწვაავად, დაიწვა თუ არა, იმას არა ვკითხულობო, — უპასუხა დედაბერმა.

ღმერთი არაფერს მომხმამსო

ერთ გლეხს ერთი ვირი ჰყავდა, ამ ვირით ინახავდა ოჯახს. ერთ ღამეს ვირი დაიკარგა. გლეხმა ეძება, ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. დაღონებული, თვალცრემლიანი გამოვიდა შარაგზაზე, შემოხვდა მახრის უფროსი და ჰკითხა:

— რა გატირებსო?

— ვირი დავკარგე და იმას ვტირიო, — უპასუხა გლეხმა.

— ნუ გეშინია, ღმერთი მოგცემსო, — ანუგეშა უფროსმა.

— თუ თხუთმეტი მანეთი არ ვიშოვე, ღმერთი ისე არაფერს მომცემსო, — უთხრა გლეხმა და გაშორდა.

ამოდენა ხალხში შევრცხვებოდით

ერთ დედაკაცს პირზე მური წაუსვეს, ვირზე უკულმა შესვეს და მთელი ქალაქი შემოატარეს.

ერთ ადგილას ვირს უეცრად ფეხები დაუსხლტა და დედაკაცი კინადამ ვირიდან გადმოვარდა. როცა თავი შეიმავრა, თქვა:

— რომ გადმოვეგდე, ამდენ ხალხში ხომ შევრცხვებოდით.

ჩამ უხეპს ჩემეზი ეცვა...

ერთმა კაცმა ჩექმები იყიდა. ამის აღსანიშნავად კარგად გამოთვრა. შინ რომ მიდიოდა, გზაზე დაეძინა. შუალამისას ერთმა მეურმემ გამოიარა. ნახა მთვრალი კაცი წევს გზაზე, თან ლამაზი ჩექმები

აცვია, გახადა და ურემზე დააწყო. შემდეგ ის კაცი გააღვიძა და უთხრა:

— ადე, კაცო, თორემ ურემი ფეხებს მოგამტკრევსო.

კაცმა გაიღვიძა, დაიხედა ფეხებზე, ნახა, რომ ჩექმები არ აცვია, მაშინ მეურმეს უთხრა:

— ჩემ ფეხებს ჩექმები ეცვა, ეს კი ჩემი ფეხები არ არის, თუ გინდა, დაამტკრიეო.

ანჩხლი ცოლი

ერთ კაცს ძალიან ანჩხლი ცოლი ჰყავდა. თუ რამეს აიჩემებდა, გათავდა, მისი გადათქმევიანება შეუძლებელი იყო.

ერთხელ აუტყდა ქმარს: ჩემების სახლში წამიყვანეო.

ცუდი ამინდები იყო და უარზე დადგა ქმარი: მერე წავიდეთო. ქალმა თავისი ქნა მაინც და ცხენზე შემჯდარმა გაიყოლია უკან ქმარი. მიადგნენ ერთ მდინარეს. წყალი დიდი იყო. უშალა ქმარმა, ნუ შეხვალ წყალშიო, ცხენიანად წაგიღებსო. ქალმა არ დაიშალა და შეაცურა ცხენი წყალში. ცხენი და ქალი ორივე დააყოლა წყალმა ქვეით და დაახრჩო. ქმარი კი წყლის პირშელმა გარბოდა და ბრალიანს და უბრალოს უძახოდა: ჩემი ცოლი აქეთ ხომ არ შეუყოლებია წყალსაო?

— კაცო, რამ გადაგრიია? ზევით როგორ შეაყოლებდა წყალი, ქვეით დააყოლებდა და იქით გაიქეციო!

— არა, — იძახოდა გლეხი, — ჩემი ცოლი იმისთანა უკულმართი და თავისნებიერი იყო, რომ ზევით-ზევით წააღებებდა წყალს თავსაო.

შაქარიანის სალომე ჩაიარა

ერთმა თავადიშვილმა მოსამსახურე გააფრთხილა:

— სტუმრებთან ყველაფერი ისე გადაკვრით მითხარი, რომ მართო მე გავიგოო.

ერთხელ დიდძალი სტუმრები ეწვივნენ ბატონიშვილს. ბატონიშვილმა მოსამსახურე იხმო და უბრძანა:

— აბა, ჩქარა, ჩაი მოგვართვიო.

მოსამსახურე წავიდა, ცოტა ხნის შემდეგ მობრუნდა და სტუმრებში მჯდარ ბატონს მოახსენა:

— ბატონო, შაქარიანის სალომემ ჩაიარაო.

ბატონი გაუჭავრდა:

— ჩქარა, ჩაი მოიტანე, ვიღაც სალომეს მე რას დავეძებო.

მოსამსახურემ ბატონი განზე გაიხშო და უთხრა:

— ბატონო, შაქარი არის და ჩაი კი — არაო.

შეცბუნებულმა ბატონიშვილმა მაშინათვე მისცა ჩაის ფული მოსამსახურეს.

წინდახედული ღურგალი

ერთმა კაცმა დიდი ყუთი შეუკვეთა ღურგალს. ღურგალმა კუბო გაუკეთა და, როდესაც მყიდველმა ყუთი მოსთხოვა, იმან კუბო დაუდგა წინ.

— ეს რა არის, მე ყუთი გითხარი, და არა კუბოო!

— შე დალოცვილო, ეგ არა სჯობია? ვიდრე ცოცხალი ხარ, ყუთად იხმარე და როცა მოკვდები — კუბოდაო, — მიუგო ღურგალმა.

უცნაური გარიბეზა

ერთმა ქალბატონმა მოახლე აიყვანა და ასე გაურიგდა: გაკმევ, ჩაგაცმევ, ფულსაც მოგცემო.

მოახლე წამოვიდა ქალბატონთან.

მეორე დღეს, დილით მოახლე ლოგინიდან არ ადგა. ქალბატონი მივიდა და უყვირა:

— მე ხომ არ ჩაგაცმევ, ადექი მალეო.

— ასე არ მოერიგდით, ქალბატონო, — უთხრა მოახლემ და ძილი განაგრძო.

უხრიკავ სამემს სახრიკავად რად მიხდით

ყველიერის დღესასწაულზე საქიდაო მოედანზე ხალხი შექუჩებულყო. მოვიდა სოფლის მღვდელიც, თან მოჯამაგირე წამოეყვანა. მღვდელმა მოჯამაგირეს უთხრა: გადადი, ბიჭო, იჭიდავეო. მოჯამაგირემ უარი ვერ შეჰკადრა, გადავიდა და დაიწყო ჭიდაობა. მოჯამაგირე წააქციეს, მღვდელმა დაუძახა:

— ბიჭო, ხრიკი უგდემო!

— უხრიკავ საქმეს სახრიკავად რად მიხდილიო! — უთხრა მო-
ჯამაგირემ მღვდელს.

ხატილუწია გიორგი

გზაზე ორი რაჭველი მოდიოდა, ერთს მძიმე ხურჯინით ფქვილი
ეკიდა და მეორეს — დიაკონს — მიქელ-გაბრიელის ხატი ეჭირა. მათ
ვენახიდან მომავალი ხატილუწია გიორგი შემოხვდათ სასხლავით
ხელში. დიაკონს უთხრა:

— კაცო, ღმერთი არ გწამს, ცოდვა არ არის ეს კაცი? შენც მიე-
შველე ხოლმეო.

— აბა, რავა იქნება, შე კაცო, მე დიაკონი ვარ და ხატს დავა-
ბრძანებო!

— ერთი მანახე, რა ხატიაო, — უთხრა გიორგიმ.

— მიქელ-გაბრიელისააო, — უთხრა რაჭველმა.

გიორგიმ დაჰკრა სასხლავი, შუაზე გაჩეხა ხატი, მისცა დიაკონს
და უთხრა:

— ეს მიქელა შენა და გაბრიელა ამასა, ხან ერთმა ატარეთ ხურ-
ჯინი და ხან მეორემაო.

მედავითნე და კამეჩი

ერთ მედავითნეს ჰკითხეს:

— ბარძიშში რომ კამეჩი ჩაგვიარდეს, რას იზამ, როგორ მოიქ-
ცევით?

— თუ ჩამეტია, ბატონო, ჩავყლაპავ და თუ არა, თავს დავანე-
ბებო, — უპასუხა მედავითნემ.

თუ ამ ლუკმას გადავურჩი, ხუთი კმანი ვართო

ერთი ოსი ეწვია ქისტს. ქისტმა სტუმარს ცივი მჭადი მოუტანა.
მჭადი ყელზე დაადგა და წეროსავით კისერს იგრძელებდა, ცდი-
ლობდა ლუკმის ჩაყლაპვას. ამ დროს მასპინძელმა ჰკითხა:

- სტუმარო, რამდენი ძმანი ხართო?
- თუ ამ ლუკმას გადაეურჩი, ხუთნი ვართ და თუ არა ოთხ-ნიო, — უპასუხა ოსმა.

როდის იქნება აღდგომა?

ერთი დედაკაცი მღვდელთან მივიდა და ჰკითხა:

— ჩემი ქმარი დამპირდა, აღდგომისათვის ფოსტლებს გიყიდო და, ერთი მითხარი, როდის იქნება აღდგომაო?

— აღდგომა მაშინ იქნება, როცა შენი ქმარი ფოსტლებს გიყი-
დისო, — უპასუხა მღვდელმა.

მღვდელი და ქუდიანი მღოსველი

მღვდელი ეკლესიაში წირავდა. ერთი გლეხი უკანა კარში ქუდ-
მოუხდელი იდგა და ყურს უგდებდა. მღვდელმა შეასწრო თვალი და
დაუძახა:

— ჩქარა, ქუდი მოიხადე, მაგრე წირვა როგორ უნდა მოისმინო.

— შენა სწირე, მღვდელო, — უთხრა ქუდიანმა, — თუ ძალა აქვს
შენს წირვას, ამ ქუდშიაც გაატანსო.

მღვდელი და ქურდი

ქურდმა აღსარება უთხრა მღვდელს და ამ აღსარების დროს ჯი-
ბიდან საათი ამოაცალა. მღვდელმა უთხრა:

— შვილო, რად ქურდობ, ეგ ხომ ბოროტებააო.

ქურდმა უთხრა:

— რა გქნა, მღვდელო, მხრებზე ეშმაკი შემაჯდება ხოლმე და ის
ჩამჩიჩინებს, იქურდევო.

— მიაფურთხე, შვილო, იმ ეშმაკს და არ გაუგონო, რაც არ უნ-
და გითხრასო.

გამოვიდა ქურდი გარეთ და ისევ მობრუნდა.

— აი, ახლაც შემაჯდა მხარზე ეშმაკი, მამაო.

— მერე რა გითხრა, შვილო?

— მღვდელს რომ საათი მოჰპარე, დაუბრუნევო.

— ჰო, შვილო, ხანდახან ეშმაკსაც უნდა დაუჯერო ხოლმეო.

ბრიყვები შეიკრიბნენ. თქვეს:

— წვიმა რომ არ მოდის, ვინმე ღმერთთან გავგზავნოთ და ვი-
ცილოთო.

მართლაც, ასი თუმანი შეკრიბეს. კაციც შეარჩიეს და გაგზავნეს
მთაზე, თან დააბარეს:

— მთიდან ღმერთს შეწვდები, ეს ასი თუმანი გადაეცი და ამი-
სი წვიმა გამოგვიგზავნოსო.

ღმერთთან წარგზავნილს ერთი ბერი კაცი შეხვდა და ჰკითხა:

— სად მიდიხარო?

მან ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ამ კაცმა უთხრა:

— მე ვარ ღმერთი, ფული მომეცი და შინ რომ მიხვალ, წვიმაც
მოვაო!

დაუჯერა და ფული მისცა. სახლში რომ დაბრუნდა, მართლაც,
კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ისეთი, რომ სინანულით თქვეს: ასი
თუმნის რად ვიყიდეთ, ათისაც გვეყოფოდაო!

მაგათ ექიმი თანვე ჰყოლიათ

გურიაში ორი ექიმი ჩამოვიდა. გზაზე ნახეს, რომ გურულები
ყანას თოხნიან. მივიდნენ და წყალი სთხოვეს. მთოხნელებმა წყლის
მაგივრად ღოჭით ჩხავერის ღვინო შესთავაზეს და თან საკმელიც
მიართვეს სტუმრებს. დალიეს და მოეწონათ. ჰკითხეს:

— ყანაში რატომ გაქვთ ასეთი სასმელიო?

გურულებმა უთხრეს:

— უღვინოდ ჩვენ ვერ ვიმუშავებთო.

ექიმებმა ერთმანეთს შეხედეს და თქვეს:

— ჩვენ აქ ვერაფერს ვიშოვით, ამათ ექიმი თანა ჰყოლიათო, —
და უკან გამობრუნდნენ.

მე კარბ ბინაზე ვარ, თუ ღამაყენებო

ერთ ფულიან კაცს დაესესხა ერთი კაცი: ასე და ასეა ჩემი საქ-
მე, გამიწყვე გაჭირვებაში ხელი და საუკუნოდ დამავალეო.

ფულიანმა კაცმა ამოიღო ჯიბიდან ფულები, დაიყარა ხელის გულ-
ზე და დიდხანს უყურა გაბუხუნებულმა. იმისთანა სახე მიიღო, ვი-

თომდა რალაცას მეუბნება და მეც მესმის და დიდი ყურადღებით ვისმენო. ჰკითხა ბოლოს იმ კაცმა:

— რას გეუბნებაო?

— რალა რას მეუბნება?! მაგისტანა ერთგული, საიმედო, პირის საკოცნელი მოკეთე კაცი შენ არ გაბადია და მეტი აღარ არის საჭირო. ჩემი თავი რომ დაანებო, აგეშლება, გადაგემტერება, გიჩივლებს, გაგლანძლავს, გილაღატებს — არაფრით არ დაგზოგავსო... მე კარგ ბინაზე ვარ, თუ დამაყენებო, — და ისევე ჯიბეში ჩაიჩხრიალა ფულები.

მთიული ქალაქში

ერთი მთიული ჩამოვიდა ქალაქში. ნახა, რომ ბაყლის დუქნის წინ თაბახებით ხილი აწყვია... მივიდა და დაუწყო ამ ხილს ჭამა. ბაყლებს ეგონათ, ჯერ სინჯავს ალბათ და მერე იყიდისო. რა ნანეს, რომ ყველა თაბახიდან იღებს და ჭამს, დაუყვირეს:

— კაცო, რას შვრებიო?

— მე მეგონა, ბრმები იყავით, თორემ ამოდენა ხილი წინ გიწყვიათ და რად არა სჭამთო, — უთხრა მთიულმა.

ღაფგადასხმული ქათამი

ერთი დარბაისელი იმერელი მიიწვიეს სადილად, ევროპულად გაუმასპინძლდნენ და, სხვათა შორის, ქათამი მიუტანეს, რომელსაც თეთრი საწებელი ჰქონდა გადასხმული. სტუმარმა გამოარჩია კარგი ნაჭერი, გადაფხიკა დანით, გადაწმინდა და ისე დაუწყო ჭამა. მასპინძელმა თვალი მოჰკრა და ჰკითხა:

— განა არ მოგეწონა ეგ ქათამი? უგემური ხომ არ არისო?

— რას ბრძანებ, — მიუგო სტუმარმა, — ქათამი ჩვენებურია და, ღმერთმა კარგი მოგცეს, კარგიც იყოს, მაგრამ თქვენებურად რომ ლაფი გადაგისხამთ თავზე, იმას კი გაუფუჭებიაო.

ტუტუცევის სია

ისპანის განთქმულ ოხუნჯს, გენარდს, ჰქონდა დავთარი, სადაც ჩასწერდა ხოლმე ყოველ სიტუტუცეს, ხუმრობას, ანეგდოტს. არა-

გონის მეფემ ერთხელ დაიბარა გენარდი და უბრძანა, ეჩვენებინა დავთარი. მეფე გაოცდა, როდესაც დავთარში, ტუტუცების სიაში, პირველად თავისი სახელი ნახა.

— ეს რას ნიშნავსო? — ჰკითხა მეფემ.

— განა, თქვენო დიდებულებავ, ერთ გერმანელს არ უბოძეთ ხუთი ათასი ოქრო არაბეთში ცხენების სასყიდლად?

— მართალია, მივეცი.

— მაშ, ეგ ხომ სიტუტუცეა, მიანდო მაგდენი ფული უცნობ კაცსა?

— გერმანელი რომ მოვიდეს და მომგვაროს ცხენები? — ჰკითხა მეფემ.

— მაშინ შენს სახელს ამოვშლი დავთრიდან და იმის სახელს ჩავწერ, რადგან ის უფრო მეტი ტუტუცი იქნება, თუ იმ ფულს თავისთვის არ მოიხმარსო.

მსამ ბაივლის

მეფემ დაიბარა ოქრომჭედელი და უთხრა:

— ერთი კარგი საჩუქარი გამიკეთეო.

ოქრომჭედელი დალონდა, რა უნდა გავაკეთო ისეთი, რომ მეფე გავაკვირვო. ცოლმა რომ ნახა დალონებული ქმარი და გაიგო საქმის ვითარება, უთხრა:

— გაუკეთე ოქროს ბეჭედი და ზედ დააწერე, „ესეც ბაივლის“. მიუტანე და უთხარი: როდესაც სინარული ან მწუხარება გექნება, დახედე ამ ბეჭედს და მუდამ გაგახსენდება, რომ ყველაფერი ბაივლისო.

ქმარმა დაუჯერა ცოლს. მეფემ დიდად დაასაჩუქრა ოქრომჭედელი.

თავის მოკვლა

ერთხელ კინტოები ძალიან შეავიწროვეს, ღუქნები დაუქეტეს, შემდეგ კი ჩამოართვეს. ერთმა კინტომ გადაწყვიტა თავის მოკვლა. წავიდა და მატარებლის ლიანდაგზე დაწვა. თან ერთი შოთი პური წაიღო. შემთხვევით მისმა ამხანაგმა გამოიარა და ჰკითხა:

— აქ რას აკეთებო?!

— თავი უნდა მოვიკლაო.

- მერე, ეგ პური რაღად გინდაო?!
- მატარებელი იქნებ სალამომდის არ მოვიდეს და მშიერი ხომ არ მოგკვდებიო.

კინტოს პასუხი

ერთი კინტო უნებურად ვილაც კაცს დაეჭახა. იმ კაცმა კინტო გამოლანძღა. კინტომ ჰკითხა:

- ძმობილო, ვინ არის შენი უფროსი?
- ჩემი თავის უფროსი მე ვარო, — უპასუხა იმ კაცმა.
- ვაა, როგორ არა გრცხვენია, მშვენიერი კაცი ხარ და მაგისტანს სულელი უფროსი გყოლიაო, — უთხრა კინტომ.

კინტო და მისი მამა

ერთ კინტოს გვიან ადგომა უყვარდა.

მის მამას ეს სულაც არ მოსწონდა. ერთხელ მიუბრუნდა თავის შვილს და უთხრა:

— რამდენჯერ გითხარ, ადრე აღექი-მეთქი. იცი, ღმერთი იმას ნეტს ეწევა, ვინც ადრე დგება. აი, შენი ძმა კაკულა შენზე უფრო ადრე ადგა და გავიდა თუ არა, ქუჩაში ფულით გატენილი საფულე იპოვაო.

— ეჰ, მამაჩემო! განა ის, ვინც დაქარგა საფულე, კაკულაზე ადრე არ ამდგარაო?!

კინტო და ვირი

ერთმა დედაბერმა ვირით მწვანილი ჩამოიტანა წყნეთიდან. გზაზე კინტო შემოხვდა, კინტოს ყალიონი ჰქონდა გაჩაღებული. დედაბერს უთხრა:

— დედი, თუ შეიძლება ამ ვირს რაღაცა უნდა დავაბაროო.

— შეიძლება, შვილოო, — უთხრა დედაბერმა.

მივიდა კინტო, ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა და თან ყალიონიდან ნაკვერჩხლები ჩააყარა. ვირმა ღრიალი მორთო, თან ფეხებს აბაკუნებდა. როცა კინტო წავიდა, ბებერმა თქვა:

— მაგ ცეცხლმოკიდებულმა ასეთი გულის დასაწვავი რა უთხრა ამ ვირსაო?!

კინტო და შაპის შირი

შაპთან მივიდა ერთი კინტო და უთხრა:

— ოცი თუმანი მომეცი და ოცი წლის განმავლობაში შენს ვირს წერა-კითხვასა და ლაპარაკს ვასწავლი. თუ ეს არ შეგვასრულე, ფულსაც უკან დაგიბრუნებ და რაც კი რამე მახადია, შენი იყოსო.

დათანხმდა შაპი. შეჰკრეს პირობა. წამოიღო ფული, თან ვირიც წამოიყვანა და კინტო სახლში დაბრუნდა. ყველაფერი ცოლს უამბო. ცოლმა ტირილი დაიწყო:

— რაზე დალუპე შენი თავი, ოჯახი, ვირმა წერა-კითხვა და ლაპარაკი როგორ უნდა ისწავლოსო.

— დაიცა, ქალო, რა გატირებს, ოცი წლის მანძილზე ან ვირი მოკვდება და ან ვირის პატრონიო, — უთხრა კინტომ თავის ცოლს.

ჩვენი გაგვაუბედურა და ის გლახიცაო

ერთ ქვეყანაში ერთი მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა. მთელი დღე გათენებამდის სავაჭროს ანგარიშობდა, ცოლ-შვილს ხმას არც კი ამოაღებინებდა. შეჰკამდა პურს და დაწვებოდა.

ამ ვაჭრის მეზობლად ერთი წვრილშვილიანი გლახი ცხოვრობდა. წავიდოდა ეს გლახი, დღისით იმუშავებდა, ერთ მანეთს აიღებდა, იყიდდა ღვინოს, პურს, ყველს, მოვიდოდა ცოლ-შვილში და კარგ ქეიფს გასწევდა. სულ ჩონგურისა და სიმღერის ხმა გამოდიოდა მისი სახლიდან. სოვდაგარის ცოლმა ქმარს უთხრა:

— კაცო, აგერ ჩვენი მეზობელი როგორ საწყლად ცხოვრობს, მაგრამ იმათ სახლში მუდამ რამე ქეიფია. ჩვენ როდემდე უნდა ვიყოთ ასეთ ტანჯვაშიო?!

სოვდაგარმა უთხრა:

— ერთი იმ კაცს დამიძახეთო.

დაუძახეს იმ გლახს და ისიც მოვიდა.

— მე შენ ძალიან მეცოდები. აი, მოგცემ ოც თუმან ფულს, წაილე, ივაჭრე და რიგიანად იცხოვრეო.

გამოართვა გლახმა ფული და წავიდა. მეორე დღესვე დაიწყო ვაჭრობა. დღისით ნავაჭრს საღამოობით კენჭებით ანგარიშობდა. ის დღე იყო და ის, იმ გლახის სახლიდან აღარც ჩონგურისა და აღარც სიმღერის ხმა არ გამოდიოდა.

ერთხელ სოვდაგარმა ცოლს ჰკითხა:

— რა მოხდა, სიმღერისა და თამაშის ხმა რატომ არ ისმისო?!

— შენ დაგწყევლოს ღმერთმა, ჩვენც გაგვაუბედურე და ის გლეხიცაო, — უპასუხა ცოლმა.

მეფის სადილი

ერთი მეფე აგარაკზე მიდიოდა, სამასი აქლემით მიჰქონდა სურსათ-სანოვარე. გზაზე მეზობელი სახელმწიფოს ავაზაკები დაუხვდნენ და დაატყვევეს, ჩამოართვეს ყველაფერი. ტყვე მეფე თავიანთ მეფეს მიჰგვარეს. მეფემ ბრძანა:

— დაბლა სარდაფში დაამწყვდიეთო!

ერთ დღეს მსახურმა სადილი ჩაუტანა პატიმარ მეფეს, თან ერთი პატარა გოშია გაჰყვა. სადილი ყურიანი ქვებით მიჰქონდა მოსამსახურეს. როცა ჩაუტანა, გოშია იქ დარჩა, ტყვე მეფესთან. მივიდა გოშია და მეფის ულუფას ქამა დაუწყო, მეფემ რომ ნახა, ხელი აუქნია. გოშიას ქვების ყური თავზე გადაეცვა და ქვაბიანად გაიქცა. მეფემ უყურა, უყურა და ერთი გულთანად გააციხა, ისე, რომ ეს სიცილი მეფემაც გაიგონა. მეფემ მსახურს უთხრა:

— პატიმარი აქ მომგვარეთო!

მოიყვანეს მეფესთან. მეფემ ჰკითხა:

— ასე გულიანად რად გაიციხეო?

— როგორ არ უნდა გამეცინა, გუშინ ჩემი საკმელ-სასმელი სამას აქლემს ეკიდა და ძლივს მიჰქონდათ, ახლა კი ერთმა პატარა გოშიამ აიკიდა და წაიღო.

ხელმწიფეს მოეწონა პატიმრის სიტყვა და გაათავისუფლა.

სანიქიოს დაჯილდოებული

ერთი აზნაურიშვილი ხოლერით მოკვდა და დასაფლავეს. ქირისუფლებმა შეიცხადეს და შორიდან გამოიგლოვეს, მაგრამ გულში კი ნაკლად დარჩათ, რომ, ახლოს დაუტირებელს, მისი საგვარეულო სამარე აღარ ეღირსა და სადღაც, სასხვისშვილოში უპატრონოდ გლიათ. ეს გაიგო ერთმა მოგვარეთაგანმა, მოვიდა ნათესაებთან და რჩევა მისცა:

— მაგაზე ნუ შეიწუხებთ თავს!.. მე ვიცი, ის ჩენი მკვდარი სა-

დაც მარხიაო. თქვენ მხოლოდ ხელი შემეწყვეთ, მე ჩუმად გავათხრე-
ვინებ მუშებს საფლავს, ამოვიღებ და კარზე მოგაყენებთო!..

რასაკვირველია, ხარჯს აღარავინ დაერიდებოდა და, მართლაც,
დანიშნულ დროზე, ღამით მოასვენეს კუბო! ქირისუფლებმა იტირეს,
ითავცემეს... რაც წესი და რიგი იყო, გადაუხადეს, გაუთხარეს საფ-
ლავი და უპირებდნენ მამა-პაპის გვერდით ჩასვენებას.

ამ დროს გაჭირვებულდა ქვრივი:

— ახადეთ კუბოსა და ერთხელ კიდეც დამანახეთ ჩემი ქმარიო!
სურვილი აუსრულეს, გახსნეს კუბო და რა ნახეს! მკვდარი მა-
ზარაში იყო გამოხვეული და გულზე წმინდა გიორგის ჭვარი ეკიდა.
ეუცხოვა ყველას, შეკრთნენ და ერთმანეთს დაუწყეს ყურება. აღარ
იციოდნენ, რა ექნათ.

უტიფარი და ურცხვი მატყუარა მხიარულად მივიდა გაოცებულ
ქვრივთან და უთხრა:

— მომილოცავს, ჩემო რძალო, მადლობა უფალს! აქ უბედურა
იყო შენი ქმარი და იქ ბედი გახსნია: ასე მალე სამსახურშიაც შესუ-
ლა და ჯილდოც მიუღიაო.

ბანა მე მშვიარი ვარო?!

ერთმა გლეხმა მოხარულა კარგი დედალი და მეფეს მიართვა სა-
დილზე. მეფემ უბრძანა: 'გაანაწილე ქათამიო. გლეხმა თავი მეფეს
მიართვა და უთხრა: შენ ქვეყნის თავი ხარო. დედოფალს კურტუმი
მიართვა, ფრთები კი ორ ქალიშვილს და თან უთხრა: თქვენ გაფ-
რინდებით, გათხოვდებით და ეს გეკუთვნითო. ორი ბარკალი მოტე-
ხა და ორ ვაჟიშვილს მიართვა: თქვენ მაგარი ფეხები უნდა გქონ-
დეთ, რომ ბრძოლაში მტრებს მედგრად შეხვდეთო. დანარჩენი მე
მქონდეს, რადგან მშვიერი ვარ და კარგად გამოვძლები, თქვენ ისე-
დაც ბევრი გაქვთო. დაჯდა მეფესთან და კარგად ისადილა.

მეფეს ისე მოეწონა გლეხის საქციელი, რომ დიდად დაასაჩუქრა
და გამოუშვა.

ეს რომ გაიგო ამ გლეხის მეზობელმა, დაკლა დიდი ბატი და მი-
ართვა იმავე მეფეს. მეფემ უბრძანა:

— აბა, გაანაწილე შენთვისაც და ჩვენთვისაცო.

— მადლობელი ვარ, მეფეო, მე არა მშია, მაძლარი ვარ, ეგ ბა-
ტი თქვენ მიირთვითო, — უთხრა გლეხმა.

— განა მე მშვიერი ვარო?! — უყვირა მეფემ და გააგლო გლეხი.

ქალაქში ნათლიმამა ვერ იცანი და აქ შენი ვირიო

ერთმა სოფელელმა ქალაქელ კაცს შვილი მონათვლინა. დიდი პატივი სცა სოფელელმა. მრავალჯერ გაუმასპინძლდა. ნათლია თურმე, ძალიან ძუნწი კაცი ყოფილა. ქალაქში რომ ეწვია სოფლელი, ვერც კი იცნო.

— მე შენ არ გიცნობ, წადი, დაიკარგე აქედანო.

იმავე შემოდგომას ქალაქელი ნათლიმამა სავაჭროდ თავის ვირით წავიდა სოფელში. მიადგა თავის ნათლულის სახლს. კარგი პატივი სცეს. სალამოს უთხრეს:

— ჩვენ ვენახს უნდა ვუდარაჯოთ, შენ აქ ზვინს უდარაჯე, ერთი ირემია შემოჩვეული და, როგორც კი დაინახავ, ესროლე და მოკალიო.

ამ ზვინზე თურმე ნათლიას ვირია მიბმული. ვირი თივას ჭამდა. ამ კაცმა იფიქრა, ნამდვილად ირემიო და ესროლა.

როცა ნახა თავისი ვირი მკვდარი, თავში ხელი შემოირტყა, დაიწყო ღრიალი. მოვიდა მასპინძელი და უთხრა:

— რა ოხერი კაცი ყოფილხარ, ქალაქში შენი ნათლიმამა ვერ იცანი, აქ კი შენი ვირიო.

ნათლი, თუ მაგაზე მეტი მადა მოგეცა, აქეთ აღარ ჩამოიარო

ერთი კაცი ისეთი მკამელი იყო, რომ ჯერზე ერთ თოხლსა ჭამდა. მერე ცოტა მადა მოაკლდა და მკითხავთან წავიდა. მკითხავმა უთხრა: თელეთში უნდა წახვიდე, ილოცო და მადა მოგეცემაო.

ადგა ეს კაცი და თელეთში წავიდა. საგარეჯოში დაუღამდა, იქ ერთი ნათლიმამა ჰყავდა და იმასთან მივიდა. დიასახლისი თონეში პურს აცხობდა. მისვლისთანავე ერთი ხუთი პური შექვამა, სალამოს ნათლიმამაც მოვიდა და ძალიან გაუხარდა: როგორ გაჩნდი, საიდან სად მიღიხარო?

— თელეთს მივდივარ, მადა არა მაქვს და უნდა ვილოცო, ეგებ ცოტა მაინც მომემატოსო.

მასპინძელმა დაკლა ინდაური და მოხარშა. გაშალეს სუფრა. მასპინძელმა ინდაურს ჭრა დაუწყო, სტუმარმა კი ჭამა. როცა ჭრა გაათავა, ხუთიოდე ნაჭერიღა დარჩა ხონჩაზე. რაც დარჩა, დაარიგეს.

იმ კაცმა ორი ჯამი წვენიც ზედ მიაყოლა, კარგად იქეიფეს და დაიძინეს (აბა, ხო არ ეტყოდნენ რამდენსა ჭამო).

დილით ადრე პატარა საუზმეც გამოაწყვეს და გააცილეს. წასვლისას ნათლიმამამ უთხრა:

— ნათლი, თუ მაგაზე მეტი მადა მოგეცა, აქეთ აღარ გამოიარო.

ასი მანეთის საღირალი კატა იმტერევაო

ერთ კაცს ცოტა მოსულელო შვილი ჰყავდა, კოზმანა ერქვა.

ერთხელ მამამ შვილი საცოლეს სანახავად წაიყვანა და გზაზე რომ მიდიოდნენ, დაარიგა: შვილო, ცუდ ლაპარაკს ნუ დაიწყებ, ღრმა-ღრმა სიტყვები თქვიო.

მივიდნენ საცოლეს მშობლების ოჯახში, დასხდნენ. სანამ ეკლესიაში წავიდოდნენ, წვიმა დაიწყო და კოზმანამ თქვა:

— მამაჩემო, ეს წვიმა ჩვენს ღრმა თხრილს სულ ამოავსებდაო.

— რა უჭირს, შვილო, — უთხრა მამამ, — ისევ ამოვწმენდავო.

კოზმანას ეს ღრმა თხრილის თქმა ღრმა სიტყვის თქმა ეგონა. ამასობაში კატა შეხტა მალა ერდოზე, იქიდან ხაჭაპურების სუნი ეცა და იმან შეიტყუა. კოზმანამ შეხედა კატას და თქვა:

— ეჰ, თუ ვთქვი რამე, მაშინათვე დამიძახებენ — კოზმანა სულელიაო, თუ არა და ასი მანეთის საღირალი კატა იმტერევა და კაცი არ ეშველებო.

ამ სიტყვებმა საცოლეს დედ-მამა მიახვედრეს, რომ კოზმანა სულელი იყო და სულელადაც თვლიდნენ თურმე, და ქალი აღარ მისცეს... ცარიელ-ტარიელი გაისტუმრეს სახლში: სულელი სიძე არ გვინდაო.

ცხვარი ცხვრის ფეხით ეპიდა და თხა

თხის ფეხითა

ერთი ბოროტი მეფე იყო. თავის ვეზირთან ერთად ერთხელ საყასბოს წინ გაიარა. ვეზირმა ძლიერ გაიცინა. მეფემ ჰკითხა:

— რაზე გაიცინეო?

ეს ვეზირი მეფეს გაცინებული არასოდეს არ ენახა. ვეზირმა წინასწარ სთხოვა:

— თუ არ დამსჯი, გეტყვიო.

მეფემ პირობა მისცა, არ დაესჯიო.

— მეფევ, შენ დიდი უსამართლო ხარ და მე იმიტომ ვარ მუდამ მოწყენილი, არ მინდა რაიმე ცოდვაში გარეული ვიყო. საყასბოს წინ რომ გამეცინა, ეს იმიტომ, რომ ცხვარი ცხვრის ფეხით ეკიდა და თხა თხის ფეხითა. შენს ცოდვებს შენ მოგკითხავენ და არა მეო. ამის შემდეგ მეფემ ბოროტ საქმეს თავი დაანება.

მანვილსნიტყვაოვის მსტატევი

ბენიას მოხარება

თეიმურაზ მეფეს მეტად კვიანი ხუმარა ჰყავდა, სახელად ბენია! ¹ მან აზიური ენები იცოდა, ცოტა რუსულსაც ამტკრევდა; მეფის კარზე მოსულ სტუმრებს ალხენდა ხოლმე. მეფე ბენიას არასდროს არ იშორებდა გვერდიდან.

ბენია მეფის წინაშე ზოგიერთი საქმის გარჩევაშიც მონაწილეობდა, მაგრამ ჩუმად. განჩინების მიცემის დროს თავის აზრს მეფეს ჩუმად წასჩურჩულებდა.

ერთ დღეს ქალაქ თბილისში, სამეფო პალატაში. მეფე თეიმურაზთან მოვიდა ორი მოჩივარი, აზნაურიშვილები.

ერთმა მოახსენა:

— ბატონო და მამაო მეფევ, გეფიცებით ქრისტეს, რომ ის ადგილი ჩემია, რომელსაც ეს მედავება, უბრალოდ მართმევს და მაწვალებს, მეც მაწუხებს და თქვენცა, რას მემართლება, ბატონო მეფევ...

მერე მეორემ მოახსენა:

— მე, ღმერთს გეფიცებით, ბატონო მეფეო, რომ ეს კაცი სტყუარის, სულ ტყუილებს მოგახსენებთ. ის ადგილები ჩემს საკუთრებას შეადგენს, უბრალოდ მედავება, ჩემი დაჯაბნა უნდა. მეფეო, სიონის ღვთისმშობელს გეფიცებით, რომ ჩემია ის ადგილები.

მეფემ ხმა არ გასცა, საჩივრისაგან დაფიქრებული იყო.

¹ ბენია ბასტამაშვილი სასახლის ხუმარა იყო.

— მე გეტყვით, რაც უნდა ქნათ, თუ ბატონი მეფე ნებას მომცემს, — თქვა ბენიამ.

— აბა სთქვი, ბენია, — უბრძანა მეფემ.

— აი, მე რას მოგახსენებთ, ესენი ორივენი მართალნი ყოფილან, მოლით, ბატონო, და ეს მამული ორივეს გავუყვით.

ერთმა თქვა:

— ძალიან კარგი იქნება.

მეორემ დაიყვირა:

— რისთვის, ბატონო მეფევ, რისთვის უნდა გამიყონ, ჩემი საკუთარი მამულები; რას მემართლებიან?!

— ოო! აი, ახლა მივხვდიო, ვინ ყოფილა თქვენში მართალი, ახლა გამომჩნდა ყველაფერი, — მიუგო ბენიამ. მეფე აღტაცებული დარჩა, საქმის გარჩევას შეუდგნენ და მტყუანი გამოტეხეს...

ბენიას ერთგულება

მეფე ერეკლეს ჩვეულებადა ჰქონდა, რომ სადილზე ფლავს ბენია მიართმევდა.

ერთხელ მეფემ დიდი სადილი გამართა, ბევრი სტუმრები მიიწვია. სხვადასხვა საქმელების შემდეგ მეფეს ბენიამ ფლავი მიართვა. როცა მეფემ თავისი წილი გადაიღო, ბენიამ ჰკითხა:

— ვის მივართვა ფლავი, ბატონო მეფევ?

— ჩემს ერთგულს მიართვიო, — და გაუშვირა ხელი თავის პირდაპირ მჯდომ თავადზე, რომლის უკან ამ დროს მწვეარ-მეძებარიც იდგა. ბენია წავიდა თავადიშვილისაკენ და ფლავი უცვბ ძაღლს კადაუდგა. მეფე დიდად გაწყრა და ბენიას დაუყვირა:

— ეგ რა ჰქენი, შე საძაგელოო!

ბენია გაიქცა, მაგრამ ჩქარა დაიპირეს და მეფეს მოჰგვარეს. მეფემ გადაწყვიტა მისი დასჯა, პატიება აღარ შეიძლებაო. მიიყვანეს მეფის წინ და უთხრეს:

— ეგ უზრდელობა რადა ჰქენი, მაგგვარ საქმეში ხუმრობა არ გამოდგებაო.

— კი, ბატონო მეფეო, მართალს ბრძანებთ, მაგრამ მეც მართალი ვარო.

— როგორ ხარ მართალი? თქვი ჩქარაო, — ბრძანა მეფემ.

— ასე, ბატონო, თქვენ ბრძანეთ, ჩემს ერთგულს მიართვიო და მეც ბრძანება შევასრულო.

— მერე, ეგ იყო ჩემი ერთგულიო?

— მაღალ ღმერთს გეფიცებით, რომ ის უფრო დიდი ერთგულია ღვინის, ვინემ ზოგიერთი პირნი, აქ ბრძანებულნიო...

თ ა რ ხ ა ნ ი

თარხანი¹ ელჩად გააგზავნეს ყეენტან. ყეენტან სასახლეში მიიწვია. სასახლის შესასვლელთან ლომები იყვნენ დაბმულნი. თარხანმა ერთი ქოში ერთ ლომს ჩაუდო პირში, მეორე კი მეორეს და თავისუფლად გაიარა. ყეენტან მოეწონა თარხანის მოქმედება და ჰკითხა:

— ვინ გამოგაგზავნაო?

— მეფემო, — უთხრა თარხანმა.

— მერე კაცი გაუწყდა, რომ შენ არ გამოგზავნეო?

— კაცი კაცთან გააგზავნეს და მე კი შენთან გამოგზავნესო, — უთხრა თარხანმა.

საუბრის დროს თარხანმა დაამთქნარა, ყეენტან თარჯიმანს უთხრა:

— ამ ოჯახქორს რამოდენა პირი ჰქონია, კინალამ არ გადამყლაპაო.

როცა გადაუთარგმნეს, თარხანმა მაშინვე უთხრა:

— ნუ გეშინიათ, მე ლორის ხორცს არ გეახლებითო.

გამომშვიდობებისას თარხანი უკულმა შექდა ვირზე და ისე წამოვიდა. ყეენტან ჰკითხა:

— რატომ შვრები აგრეო?

— თქვენ როგორ გეკადრებათ, რომ მე ზურგი შემოგაქციოთო.

ჰაბუა და მეფის მონაღირებები

აბაშიძეები ხშირად ლალატობდნენ მეფე ერეკლეს და ამიტომ მათ ეშმაკებს ეძახდნენ.

ერთ დღეს მეფე ერეკლე ალგეთში წავიდა სანაღიროდ. თან ახლდნენ დიდებულები, მათ შორის, ივანე აბაშიძე და ჰაბუა. ტყეში შეუშვეს მარეკები; თავადები, კარგ ცხენებზე მსხდომნი, აქა-იქ დააყენეს სადარაჯოდ. ჰაბუას წყლის პირზე მოუხდა დადგომა. სწორედ ჰაბუას წინ გამოვარდა ირემი, ცხენი დაუფრთხა და ჰაბუა შიგ

¹ თარხანი ბენიას ზედმეტი სახელი იყო.

² თარხანი ფიზიკურად არ იყო სრულყოფილი.

წყალში ჩავარდა. ირემი ჯოჯოხეთას¹ მინდორზე გავარდა. ივანე აბა-
შიძე გამოუდგა ირემს, დაეწია, აჩეხა და უკან გამობრუნდა. მიუტან-
ნეს მეფეს ირემი და მიულოცეს. ამ დროს ჳაბუაც ამოათრიეს წყლი-
დან, მოიყვანეს ბატონთან. თავადები, ჳაბუას გასაჯავრებლად, მე-
ფეს ეუბნებოდნენ:

— აბაშიძემ სწორედ ჳაბუასავით აჩეხა ირემი, ივანემ სწორედ
ჳაბუასავით გააჳენა ცხენიო.

გაჯავრებულმა ჳაბუამ თჳვა:

— აბა, ეს რალა გასაკვირია, თუ ეშმაკმა ჯოჯოხეთში ცხენი გაა-
ჳენაო.

ჳაბუას ამ სიტყვაზე დიდი სიცილი შეიჳნა.

თეველორე ხორგუაშვილი და იულონ ბატონიშვილი

ხორგუაშვილს დიდად სწყინდა, თურმე, როცა ვინმე ეტყოდა —
„ყაბახი მოუხნავთო“.

ერთ დღეს, მეფე ირაკლის შვილები: იულონი, აღმასხანი და მი-
რიანი სასეირნოდ წავიდნენ, თან დიდებულებიც ახლდნენ.

გზაზე ხორგუაშვილი შემოხვდათ. იულონმა დაუძახა ხორგუა-
შვილს:

— ხორგუაშვილო, ყაბახი მოუხნავთო!

— შენ რომ შვილი დარჩი მამაშენს, ნეტავ სასახლეც არ მოახვენე-
ვინო და ყაბახს ვინ დაეძებსო, — უჳასუხა ნაწყენმა ხორგუაშვილმა.

უწინდელი ცხენები რალა იქმნნო

მეფე გიორგი XIII ერთ დროს ყაზახ-ბორჩალოს მიბრძანებუ-
ლა და სწვევია ერთს დარბაისელს, საქართველოს ერთგულს მოხუ-
ცებულს აღალარს. ჩამოვარდნილა ლაჳარაკი ცხენებზედ და მეფეს
უკითხაჲს აღალარისთვის:

— ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ განთჳქმული იყო მთელს სა-

¹ ჯოჯოხეთას ამ ადგილს იმიტომ ეძახიან, რომ ჳვიანი, ჳინჳრიანი და ცხენი-
სათვის სახიფათო ადგილია (გრ. ბაგრატიონის შენიშვნა).

ქართველოში, ახლა კი იმისთანა ცხენები აღარ გამოდიან. რა იქმნენ ის უწინდელი ცხენებიო?

— იმ ცხენებზედ ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენო, — უპასუხა ალაღარმა.

პირშავადაც რომ ვიყო, არა მიშავს რაო

მეფე გიორგი XIII-ს ერთი კარისკაცი ჰყოლია; თუმცა ხნით მეფეზე უფროსი ყოფილა, მაგრამ წვერ-ულვაშში ერთი ჭალარაც არა რევიდა თურმე.

ერთხელ მეფეს იმისთვის უკითხავს:

— ერთი მითხარ, რისგან არის, რომ მე ამოდენა ჭალარა გამომერია, ლამის სულ გავთეთრდე და შენ კი, ჩემზე უფროსს, ეგრე შავად შეგაბერდა თმა და წვერ-ულვაშიო?

— წესიც ეგრეა, ბატონო, — უპასუხა კარისკაცმა, — თქვენი ხელმწიფე ბრძანდებით, პირნათლად უნდა სუფევდეთ, მე კი თქვენი ყმა ვარ და პირშავადაც რომ ვიყო, არა მიშავს რაო.

სერგია და ბუკულა

სერგია¹ და ბუკულა ცირკში ჭიდაობას უყურებდნენ. სერგია არაა მაინც და მაინც დიდი მოყვანილი ვაჟკაცი, მაგრამ ბუკულასთან შედარებით თავი ყარამანად მოაქვს. და, როდესაც მოყვანილობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, სერგიამ გაიხსენა ახალგაზრდობა და თავის თავი ვაჟკაცებში ჩათვალა. ბუკულამ ვერ აიტანა თავხედობა და უთხრა:

— წადი, შე კუზიანო, შენც ვაჟკაცად მოგაქვს თავიო!

— შენამდის ხომ სწორი ვარ, ჩემო ბუკულა, და შენს ზევით კუზიანი ვარ, თუ უკუზო, რა შენი საქმეაო! — მიუგო სერგიამ.

სერგიას მგზავრობა მატარებლით

1918 წელს რკინიგზით მიმოსვლის საქმე ფრიად ცუდ მდგომარეობაში იყო. სათბობი მასალის უქონლობის გამო მატარებლები

¹ სერგია ერისთავის ოხუნჯობანი ამოღებულია პ. ლეჟავას მიერ 1926 წელს გამოქვეყნებული კრებულიდან.

ხშირად აგვიანებდნენ და თავის დროზე დანიშნულებისამებრ ვერ მოდიოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მატარებელი ერთ დღეზე მეტს აგვიანებდა.

ასეთი მდგომარეობა იყო, როდესაც სერგია ფოთიდან თბილისში უნდა წამოსულიყო, მაგრამ ბილეთი ვერ იშოვა და მატარებელში უბილეთოდ ჩაჯდა. უბილეთობას ამ დროს სასტიკად სდევნიდნენ და სერგიაც გრძნობდა, რომ კაი დღე არ დაადგებოდა.

სწორედ ამ ფიქრებით იყო შეწუხებული, როდესაც ერთი ვაგონიდან მეორეში გადავიდა და ერთს თავის ნაცნობს შეხვდა, რომელსაც თან ახლდა რვა თუ ცხრა წლის ბავშვი. სერგია ნაცნობს შეეკითხა:

— ამ ბავშვს ბილეთი აქვს?

— კი, აქვსო!

— ე, ბიჭო, მიშველე, უბილეთოდ მოვდივარ, ბავშვს არა უშავს რა, მისი ბილეთი მე მომეცი, — შეეხვეწა სერგია ნაცნობს.

— კი, ბატონო, — უპასუხა ნაცნობმა და გადასცა მას ბილეთი.

მატარებელი სამტრედიას უახლოვდებოდა, როდესაც კონტროლიორმა ჩამოიარა და მგზავრებს ბილეთები მოსთხოვა, სერგიამაც მიაწოდა თავისი ბილეთი.

— ეს ხომ ბავშვის ბილეთია?! — შეეკითხა კონტროლიორი.

— კი, — უპასუხა სერგიამ.

— მერე და თქვენ ხომ ბავშვი არა ხართ?

— ახლა არა, მაგრამ ფოთიდან რო წამოვედი, ბავშვი გახლდით და გზაში გავიზარდეო, — უპასუხა სერგიამ და მოსწრებული სიტყვით თავი დააღწია ჯარიმას.

უპურმარილო მემობარი

სერგია ერისთავი პურმარილიანი კაცი იყო და პურმარილიანობას მოითხოვდა სხვებისაგანაც.

ერთი მისი მეგობარი ვ. ჭ-ძე ხშირად სადილობდა მის ხარჯზე და ერთხელაც არ მოსვლია თავში, რომ სადილის ფული გადაეხადა. სერგიამ მოთმინება დაჰკარგა და ერთ-ერთი სადილის შემდეგ მეგობარს უთხრა:

— შე ოჯახდაქცეულო, მორიელი ხომ არ გიზის ჯიბეში?.. ერთხელ შენ ჩაიყავი ხელი და სადილის ფული გადაიხადეო.

სერგია და მისი ცოლი

ერთხელ სერგიამ მეუღლე გააჯავრა.

— კაცო, ნუ მხეთქავ გულზე, თორემ ღმერთმანი გაგექცევი! — უსაყვედურა ცოლმა.

— ბატონო, რაზე მირბიხარ, ნელა წაბრძანდი, უკან ვინ მოგდევისო! — მოუჭრა სიტყვა სერგიამ.

სტუმარი სერგიასთან

ერთხელ სერგიამ ვიღაც უცხო სტუმარი მიიყვანა სახლში. ის იყო ღამდებოდა. სერგიამ ოთახის კარი შეაღო და სტუმარს სთხოვა — შემობრძანდითო, მაგრამ, როცა შენიშნა, რომ სტუმარი სიბნელის გამო კარებში შეჩერდა, დაუმატა:

— თამამად წამოდი, ნუ გეშინია, არაფერს წამოედები; ჩემს ოთახში არც სკამია და არც მაგიდაო...

სერგიას ნათლული

სერგიასთან ერთხელ მისი შორეული მოკეთე მოვიდა და სთხოვა: — თუ ძმა ხარ, უარს ნუ მეტყვი და ბავშვი მომინათლეო.

— შე კაი კაცო, მირონს რავე დაგიკავებო, — შეჰპირდა სერგია. ორი-სამი დღის შემდეგ „მოკეთე“ სერგიასთან მოვიდა:

— სერგია ჩემო, შენი ნათლული გამიხდა ავად (ბავშვი ჭერ მოუწათლავი იყო) და, თუ ძმა ხარ, ერთი თუმანი მასესხეო.

სერგიამ ასესხა თუმანი.

რამდენიმე დღის შემდეგ „მოკეთე“ ხელმეორედ მოვიდა სერგიასთან:

— სერგიას ვენაცვალე, შენი ნათლული და დედა ხაშურში მიდიან სატირალში, უარით ნუ გამისტუმრებ და ერთი თუმანი კიდევ მასესხეო.

სერგია ერთი თავისებურად დაიღრიჯა, მაგრამ თუმანი მაინც ამოიღო და მისცა. რამდენიმე დღის შემდეგ სერგია „მოკეთეს“ ქუჩაში შეხვდა და, დაინახა თუ არა, შორიდან მიაძახა:

— არ გინათლავ, ძმაო, არ გინათლავო! — და ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა.

სერგია და მისი ვაჟი

ერთხელ სერგიას ვაჟი შეზარხოშებული შემოვიდა ეზოში და მღეროდა: „ვარდის გულში ჩავიხედე, დაგინახე — შემიყვარდიო“.

— შვილო, ვარდის გულში რო იყურები, ერთი ჩემ ჯიბეშიაც ჩეიხედე და გაიგე, ეს საქეიფო ფული მაქვს თუ არაო, — უსაყვედურა სერგიამ.

სერგია და სტუდენტი

სერგია ერთ ნაცნობ სტუდენტს შეხვდა. ახალგაზრდას ძალიან ღარიბულად ეცვა. განსაკუთრებით თვალს ხვდებოდა ძალზე დახეული შარვალი, რომელიც ირგვლივ საკერებლებით იყო აჭრელებული.

— რომელ დარგზე სწავლობ, ბიძია? — შეეკითხა სერგია.

— ეკონომისტი გახლავარ! — უბასუხა სტუდენტმა.

— შარვალზე გეტყობა, რომ არ უნდა იყო ცუდი ეკონომისტი, — იოხუნჯა სერგიამ და წამსვე ბოდიში მოიხადა ასეთი ოხუნჯობითათვის.

სერგია და ქუდის მყიდველი

სერგიას ერთი ახალგაზრდა შეხვდა და ახარა:

— ქუდი ვიყიდე, და ახლა რა ქუდი... სამი თუმანი მივეცი, მაგრამ რატომ ხუთი თუმანი არა ღირსო.

— ბიძია, რაზე იხარჯებოდი და ორშაურიან თავიზა სამთუმნიან ქუდს რად ყიდულობდიო, — უთხრა სერგიამ.

სერგია და მისი შვილი

სერგია შვილის თაობაზე დაიბარეს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომლის გამგედ მაშინ განსვენებული იოსებ ოცხელი იყო.

— ბატონო იოსებ, მართალია, ჩემი შვილი გაწუხებთ, მაგრამ ის

რომ სასწავლებლიდან გამომიგდოთ, დევილუპები კაკალი კაცი და უნდა მიშველოთ რამე.

— ჰკუის დარიგება, კეთილი და პატიოსანი სიტყვა მაგაზე არ მოქმედებს, ისევ სჯობია სასწავლებლიდან გაიყვანოთ და სხვა რამე საქმეზე დააყენოთ, ან მიწის მუშაობას მაინც ისწავლისო, — მიუგო იოსებმა.

— თოხს ზურგზე თუ დამარტყამს, მისი არ ვიცი, თორემ მიწა-წყალი მე არ გამაჩნია, — თქვა დაღონებულმა სერგიამ.

სერგიას რჩევა

სერგიას ერთი მისი მეგობარი შეხვდა და შესჩივლა.

— გუშინ კლუბში ერთმა გაიძვერა ვაჭარმა ბრიყვი დამიძახა!.. გალახვა მინდოდა, გავიწიე, მაგრამ არ გამიშვეს... ახლა უნდა ვუჩივლო.

— არ გაგიჟდე და არ უჩივლო, თორემ დაგიმტკიცებს და ქვეყანაზე თავი მოგეჭრებაო, — ურჩია სერგიამ.

სერგია შუამავლად

სერგიას ერთ-ერთმა მეგობარმა ცოლი შეირთო.

— ეს მამაძალი ზურგით თუ აჩვენეს საცოლეს, თორემ წინიდან თუ შეხვდა, ეს ბედაური ქალი რავე წაყვა? — გაიკვირვა სერგიამ, თუმცა ქალის გამრიგებელი თვითონ იყო.

სერგია და მზნაპრი

სერგია ერისთავი სტუმრად იყო შორაპნის მაზრაში და სადილის მოლოდინში სხვებთან ერთად ცაცხვის ჩრდილში ნებევრობდა.

ამ დროს შარაგზაზე ვიღაც ახალგაზრდამ ჩამოიარა, ეზოში მსხლომნი დაინახა და შეეკითხა:

— სადილობამდის ზესტაფონში ჩავალ თუ არა?

— თუ სადილს არ ჰკამ, ბიძია, შეიძლება ქუთაისშიც ჩახვიდე, — უპასუხა ყველას მაგიერ სერგიამ.

სერგია ერთხელ საჩაიეში იჯდა და ჩაის შეექცეოდა, უეცრად მასთან ერთი მისი მეგობარი მივიდა და აღელვებული კილოთი უთხრა:

— სერგია, ამაზე მეტ გაჭირვებულს ვერ მნახავ და, თუ ძმა ხარ, ზუთი მანეთი მასესხე ნახევარი საათით!.. იაკინთე შემპირდა, მომიტანს და იმწამსვე დაგიბრუნებს!..

შე კაი კაცო, თუ აგრეა, რაღას ხლათორობ, — აგერ დაჭექი ჩაის დაგალევინებ, ამასობაში ის შენი იაკინთეც მოვა და ზუთ მანეთს მოგიტანსო, — მწარე დაცინვით უპასუხა სერგიამ.

ენაზე მომაბი, ნუ დამზოგავო

სერგიას ერთხელ ქუთაისში სოფლიდან შორეული ნათესავი ეწვია ცხენით. მასპინძელი ფულზე, ცოტა არ იყოს, ხელმოკლედ გახლდათ და დაუბატიყებელი სტუმარი მაინცადამაინც არაფრად ესია-მოვნა.

ლაპარაკში გამოირკვა, რომ სტუმარს დიდხანს დარჩენა არ შეეძლო და, როდესაც წასვლა დააპირა, სერგია წინ გადაეღობა და დაჯინებით სთხოვდა, რომ სადილად დარჩენილიყო.

„დიდი ხვეწნის“ შემდეგ სტუმარმა მასპინძელს დაუთმო და ჰკითხა — ცხენი სად დავაბაო.

სერგია სრულიად არ მოელოდა ასეთ ბოლოს და თავის თავზე ძალზე გაბრაზებულმა უპასუხა:

— ენაზე მომაბი, ნუ დამზოგავ, ენაზე მომაბიო!

მკვებარა ახალგაზრდა

ერთ ოჯახში ვიღაც ახალგაზრდა მეურნემ დაიკვება:

— იმხელა ვენახი მაქვს, რომ შიგ ცხენი გაჭენდებაო.

— შევარცხვინე იმისთანა ვენახი, სადაც ცხენი გაჭენდებაო, — ჩაუქვირქვიმალა სერგიამ მკვებარა ახალგაზრდას.

1918 წელს სასახლეს გვარდიელები ყარაულობდნენ.

— ღმერთო, ვმადლობ შენს მოწყალებას!.. კაცო, ვინც ყაჩაღი და დამცემი, ყველა შიგნითაა, და გარედან ამ ხალხს ვისი დაცემის ეშინიაო, — გაიკვირვა სერგიამ.

თავადის გადაარჩენა

ლევარსიმ¹ ერთ თავადს ცხენი მოჰპარა. დაზარალებული თავადი ლევარსის მოკვლას ემუქრებოდა, მაგრამ გლეხების შიშით ვერ ბედავდა მამულიდან გადმოსვლას. მისი მრისხანება კი განთქმული იყო მთელ კუთხეში.

— რას დამაკლებს? ეზოდან გადმოსვლას ვერ ბედავს, მე კი ახლოს არ გავეკარები, — ამბობდა ლევარსი. მაგრამ ერთ დღეს იგი ისე გაიტაცა თევზაობამ, რომ თავადის მამულში შევიდა. უცბად ყვირილი შემოესმა. ვიღაც იხრჩობოდა. ლევარსი საშველად გაიქცა. სწრაფად გადაეშვა წყალში და წყალწაღებული დახრჩობას გადაარჩინა, ნაპირზე გაათრია, პირქვე დააყუდა, ჩაყლაპული წყალი დააღვრევინა და გონებაზე მოიყვანა. გონებაზე მოიყვანა და...

იცნო თავისი მტერი თავადი.

— ლევარსი, შენ ხარ? შენ გადამარჩინე? მართალია, ფიცი მქონდა დადებული, რომ პირველი შეხვედრისთანავე მოგკლავდი, მარა ახლა ამ სიკეთისათვის, რასაც მთხოვ, ყველაფერს შეგისრულებ, მთხოვე რაც გინდა, ჩემო მხსნელო! — და თავადმა ჩაკონცა ლევარსი.

— ერთ რამეს გთხოვ, თავადო!..

— ერთი კი არა ბევრი მთხოვე, ყველაფერს შეგისრულებ!

— დიდო თავადო, ერთ რამეს გთხოვ: არსად წამოგცდეს, რომ სიკვდილს გადაგარჩინე, თორემ სულ ერთია, ხალხი მომკლავს.

— რატომ?

— რად გადაარჩინე ჩვენი ბატონიო!

თავადს ეწყინა ეს სიტყვები, მაგრამ არაფერი უთქვამს. ამბობდნენ, ამის შემდეგ თავადი გლეხებს ღმობიერად ეპყრობოდაო.

¹ ლევარსი რობროხაძის ოხუნჯობანი, ამოღებულია ი. ხინველის ამავე სახელწოდების წიგნიდან, რომელიც გამოქვეყნდა 1948 წ.

ეს ამბავი ლევარსის ჭეღობის დროს მოხდა. თავადი შეხვდა ლევარსის და უთხრა:

— ლევარსი, ხვალ დილით ადრე ოზურგეთში უნდა გაემგზავრო ნაკაშიძესთან. სერიოზული საქმე მაქვს და სხვას არავის ვენდობი.

მეორე დღეს კარგად გათენებულიც არ იყო, რომ ლევარსი ნაკაშიძეს ეახლა ოზურგეთში.

— ბიჭო, ამ უთენია რამ მოგიყვანა? — შეეკითხა თავადი, რომელსაც უძილობა სჭირდა და დილით ადრე დგებოდა.

— თავადმა გამომგზავნა, ბატონო!

— რაო, რა დაგაბარა?

— რაო და... გუშინ მითხრა — ოზურგეთში გამეგზავნე დილით ადრე, ნაკაშიძესთანაო, და მეც გეახელი.

— ჰო, ვიცი... ახლავე! — უთხრა ნაკაშიძემ და აივნისიდან ოთახში შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ნაკაშიძის ბიჭებმა ლევარსის სავსე ხურჯინი გამოუტანეს ეზოში.

— აი, ეს მიუტანე თავადს, ამის წასაღებად გამოგზავნიდა, — უთხრა ნაკაშიძემ ლევარსის, და სამმა ბიჭმა ძლივს აჰკიდა ხურჯინი. უცბად დიდი სიმძიმისაგან ლევარსიმ კინაღამ ჩაიჩოქა, მაგრამ ძალ-ღონე მოიკრიბა (ნაკაშიძესთან თავს ხომ არ შეირცხვენდა და ბატონსაც არ შეარცხვენდა) და გზას გაუდგა. წელში გაწყვეტილი და ოფლში გაწურული ლევარსი მივიდა თავადთან.

— ლევარსი, სადა ხარ ამდენ ხანს? დილით ადრე უნდა წასულიყავი ოზურგეთში.

ლევარსიმ აღარ დაასრულებინა სიტყვა თავადს:

— მე უკვე ვიყავი ოზურგეთში... და...

თავადმა გაკვირვებით უთხრა ლევარსის:

— მერე და რა უთხარი, როცა მე შენთვის არაფერი დავიბარებია?

— განა ვერ მივხვდებოდრი? უკვე მოვიტანე, რაც მოსატანი იყო! — და ლევარსიმ თავადს სავსე ხურჯინი დაუდო წინ.

თავადმა გახსნა ხურჯინი და... ხარხარი მორთო.

ხურჯინი ქვებით იყო სავსე.

სამაგიეროს გაღახლა

ლევარსის ერთი ძუნწი ნათესავი ესტუმრა.

— აბა, ელუკი, შენებურად დაფაცურდი და ერთი გემრიელი სადილი გვაჭამე. ხომ იცი, ამ ჩვენს გერასიმეზე საპატიო და საყვარელი სტუმარი და ნათესავი ჩვენ სხვა არა გეყავს, — უთხრა ლევარსიმ ცოლს და დანით კარში გავარდა.

— სამაგიერო თუ არ გადაგიხადე, მე არ ვიყო ლევარსი როზროხაძე, — ფიქრობდა ლევარსი. საღორესთან მოისმა გოჭის ჭყვილი.

— არ გადაიხიოს და არ დაკლას გოჭი, — შეეშინდა ელუკის. სტუმარს კი ძალიან გაუხარდა. ცოტა ხანს შემდეგ ლევარსი შემობრუნდა სახლში.

— კაცო, ასეთი უსინდისობა და უზრდელობა გაგონილა?! გოჭი რომ ამას იკადრებს, ღორმა რალა უნდა ქნას?

— რა იყო, რა მოხდა? — ჰკითხა ელუკიმ.

— რა იყო, კაცო, და გოჭი უნდა დამეკლა. გავუყარე დანა კისერში და, ქე გეიქცა იგი უსინდისო! ქე არ მაჭამა სირცხვილი ამ ჩვენ ძვირფას გერასიმესთან!

— უი, ჩემი სიკვდილი... ქათამს დავკლავ აბა!

— კი დავკლავ, დედაკაცო, მარა რითი დავკლა? დანა იმ შეჩვენებულმა გოჭმა წაიღო. დანიანად გეიქცა იგი უსინდისო! — და ლევარსი სტუმარს მიუბრუნდა:

— გერასიმე, რევოლვერი ხომ არა გაქვს, რომ ქათამს ვესროლო და მოვკლა?

— არა მაქვს.

— არც სატევარი და ხანჯალი?

— არა!

— აბა, ქალო, რა ოხრობა უნდა მივართვათ ახლა ჩვენს ძვირფას გერასიმეს? — და კიდევ მიუბრუნდა სტუმარს:

— გერასიმე, დაზამთრებამდე თუ გამოგვივლი, არ მოგაკლები იმ გოჭის მწვადებს იცოდე. ჩამოვა ტყიდან, აბა, რას იზამს?! გოჭს ვინ ჩივა, დანა დამეკარგა, ბებუთის დანა, ნამდვილი ზავიალოვი.

როცა სტუმარი წავიდა, მაშინვე გამოიღეს კვერი ცეცხლიდან.

— ვაიმე, კინალამ არ დამწვარა! — შეკივლა დიასახლისმა.

— აბა, რა მოუვიდოდა, თავის დროზე რომ არ წაეთრია.

ხმელთაშუა თევზათობაა ძნელი, თვარა
წყალში იოლია

ერთხელ ლევარსიმ მეც კაი ამბავი მიყო.

ვთევზაობ მდინარეში. როგორც იქნა, ერთი კალმახი დავიჭირე, ისაკმაოდ მოზრდილი. უბეში ჩავიდევი და განვაგრძე თევზაობა.

ლევარსი წამომადგა თავს.

— მაქ რო ქვა არის, ხელი კარგად შეავლე. ქვეშ აუცილებლად იქნება თევზი. მაციებს და ქინაქინას ვსვამ, თვარა მეც ვითევზავებდი! — მითხრა ლევარსიმ და ქვაზე მიმითითა. გავსინჯე ქვა, მაგრამ ქვეშ არაფერი აღმოჩნდა.

— არ არის, ლევარსი!

— გლახაკი ყოფილხარ, გაგექცეოდა... აბა, აი, იმ ქვის ქვეშ ნახე, აუცილებლად არის. ახლაც არ გაგექცეს, ყოჩაღად იყავ! — მიმითითა მეორე ქვაზე. აქაც არაფერი იყო, მაგრამ შემრცხვა და ვიცრუე: — არის!

— ლაყუჩებში ჩაავლე ხელი და მერმე ვერსად გაგექცევა!

დაჭერილი თევზი უბიდან ჩუმად ამოვიღე, ქვის ქვეშ შევდევი და შემდეგ უცბად გამოვიყვანე, თითქოს, ახლა დამეჭიროს. დავანახე და ისევ უბეში ჩავიდევი.

— ჰო, ასე იცის ლევარსიმ... აბა, ახლა იგი ქვა ნახე. თავს მოვიჭრი, თუ ქვეშ მაგისი ტოლი კალმახი არ იქნება.

არაფერი აღმოჩნდა, მაგრამ ისევ გავიმეორე ჩემი ხერხი და ორჯერ დაჭერილი თევზი მესამეჯერ გამოვიყვანე.

— ეგერ რომ დიდი ქვა არის, იმის ქვეშ უშველებელი კალმახია. იქედან შენ მოუღდექი, ნაპირიდან მე მოვუღდეგი, და თევზი ვერსად გაგვექცევა. დღეს თუ თევზს ხელი არ შევავლე, ავად გავხდები!

„გამიჭირვა საქმე, ერთხელ კიდევ ვსინჯავ და მერმე თევზაობას თავს დავანებებ!“ — გავიფიქრე და ნაჩვენებ ქვას მივაღდექი.

— ხომ არის თევზი? — დარწმუნებით შემეკითხა და მანაც ხელი შემოპყო.

— კი არის! — და მესამეჯერ საწყალი თევზი უბიდან ამოვაცოცე და ქვის ქვეშ შევდევი, შეავლოს ხელი და ეგებ მომზორდესმეთქი.

— ხომ დიღია?

— წედან რომ დავიჭირე, იმოდენა იქნება.

— ვერსად წავგივა! — მითხრა ლევარსიმ და ქვის ქვეშ უცბად ხელიდან თევზი დამაძრო.

დამაძრო და ნაპირზე გაისროლა.

მკვდარი თევზი ნაფოტივით დაეცა მიწაზე. ლევარსი მივიდა და თევზი ხელში აიღო.

— ორაგულის შეილია, ბაქოს ზღვიდან არის შემოსული.

— ბაქოს ზღვიდან როგორ იქნება შემოსული, ეს ჩვენი მდინარე შავ ზღვას უერთდება!

— ბაქოს ზღვიდან ჯერ შავ ზღვაში შემოვიდოდა და მერე ჩვენს მდინარეში. ამხელა კაცმა არ იცი, რომ ზღვები ერთმანეთს უერთდებიან — და ლევარსიმ თევზი კაკვზე წამოაცვა. — ეს ერთი თევზი ქე მეკუთვნის მე, დანარჩენი შენი იყოს! — მითხრა და წავიდა, თანაც დააყოლა: ხმელეთზე თევზაობაა ძნელი, თვარა წყალში იოლია!

ლევარსის ზარბაზანი

— ჩვენ გვეკირია ძლიერი შეიარაღება! — ამბობდა ლევარსი და მუდამ იმაზე ფიქრობდა, რომ რამე გამოეგონებინა სამხედრო ღარგში.

ბავშვობისას ხშირად გაუეეთებია ხის ხელთოფა. სწორედ ეს დაუდო საფუძვლად თავის ახალ გამოგონებას. მოსკრა მაგარი ჯიშის ხე, რომლისაგან გააკეთა მარტივი ზარბაზანი, რკინის სალტეებით შეკრული. წაიღო სოფლიდან შორს, თან წაიყვანა რამდენიმე კაცი და შეუდგა გამოცდას. თვითონ მოშორებით გაჩერდა. რომ, როგორც თქვა, თვალყური ედევნებინა გასროლის დროს.

გაისროლა...

გასკდა ზარბაზანი და რამდენიმე კაცი იქვე დაეცა.

— დედას ვუტირებთ მტრებს. — აქ რომ ამდენი კაცი მოჰკლა, რას იზამს იქ, მტრის ბანაკში! სულ ამოწყვეტს ყველას, გაანადგურებს მტერს! — და დახოცილებს მგრძნობიარე სიტყვით მიმართა:

— მამულიწვილნო, თქვენ თავი შესწირეთ სამშობლოს. ყოველი ახალი გამოგონება და წინსვლა მსხვერპლს თხოულობს. ბედნიერი ხარ, რომ ასეთ დიად საქმეს შეეწირეთ, თქვენი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება სამშობლოს ისტორიაში!

ლევარსიმ დაიჩოქა დახოცილთა წინაშე და სათითაოდ ეამბორა.

ერთ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა.

ყოველ ძეორე დღეს სჭირდებოდა სახლის სახურავებს გადახვე-
ტა. სახურავიდან ჩამონაყარი თოვლი გორებად იდგა სახლის გარ-
შემო და სიმალლით სახურავს უთანაბრდებოდა.

ერთ დილით ავედი სახურავზე თოვლის გადმოსახვეტად.

ავედი და სახურავზე შევლს ვხედავ.

თანაც თოვლში დათვის კვალი შევამჩნიე.

გავიხედე ტყისაკენ და დათვი დავინახე. თურმე შევლს გამო-
ედევნა და, რომ ვერ დაეწია, უკან გაბრუნება ამჯობინა.

მაშინვე შევკაზმე ჩემი ლურჯა და დათვს გამოვუდექი. ბედაური
ცხენი მყავდა, მარა ძლივს ჰკრიდა თოვლს, რომელიც თითქმის ზურ-
გამდის სწვდებოდა.

შევედი ტყეში, დაბურულია ტყე ამწვანებული ხეებით. სიჩუმეს
მხოლოდ გაიტონას სტვენა არღვევს, მერცხლების ჰიკჰიკი და კლდე-
ზე მონახუნხუნე ნაკადული.

აგერ, ტყეში წავაწყდი დამწიფებულ ყანას, საიდანაც ხმაური
მომესმა. გადავიხედე ყანაში და დავინახე დათვი, რომელიც სიმინ-
დის ტაროებს შეექცეოდა. როგორც კი თვალი მომკრა, მაშინვე მო-
ჰკურცხლა და ისევ მიმემალა თვალიდან. ბევრი ვეძებე, მარა სად
იყო.

უცბად თვალი მოვკარი უზარმაზარი წიფლის წვერზე სკა დგას.
ცხენი საბალახოზე გავუშვი და წიფელაზე ავედი. კარგა ლაზათიანად
ვისაუხმე თაფლით, მარა ცოტათი დამათრო, მათრობელა ყოფილი-
ყო. ის იყო ძირს ჩამოსვლას ვაპირებდი, რომ დავინახე დათვი ამო-
დიოდა ხეზე თაფლისათვის, საქმე ცუდად იყო: დათვი მოშვიებუ-
ლი, მე მთვრალი, აშკარა იყო მაჯობებდა. მაშინვე ვისკუპე და გა-
დავუხტი მეორე ხეზე, რომლიდანაც ძირს ჩამოვედი.

დავუცადე დათვს, იგიც ჩემსავით გამოძდა, მარა ჩემზე უფრო
დათვრა. ძირს ჩამოსვლისას თავი ველარ შეიმადრა და ჩამოვარდა.
თუმცა დიდად არაფერი სტკენია, რადგან თითქმის ერთი საუენი
თოვლი იყო. ამოვდევი დათვს ცხენის ლაგამი, მოვაჯექი ზურგზე და
გამოვწიე სოფლისაკენ. თანაც დათვს დაცინვით ვეუბნებოდი: „ლე-
ვარსი რომ მოგერიოს, ბაბა ხარო, უთხარი“.

მოვდივარ და აგერ დევინახე ტყეში მწიფე წყავი. წამძლია სულ-
მა. ველარ მოვითმინე, მივაბი დათვი ხეზე და მე წყავის მოსაკრეფად
წავედი.

როცა დავბრუნდი, დათვი აღარ დამხვდა, გაპარულიყო. დავაპირე ხელმეორედ გამოვიდებო, მარა აღარ ღირდა, შინისკენ მომეჩქაროდა — ყურძნის კრეფასა და სიმინდის თევსას უნდა შევედგომოდით.

• • •

წელიწადის დრო ლევარსის არეული ჰქონდა, ამიტომ გაკვირვება გამოვთქვით ამ ამბის შესახებ და შევეკითხეთ:

— ამ ამბის მოწამეს ხომ ვერავის დაგვისახელებთ?

— რავე არა. ბეჟუჟა კაკუტაძე შემხვდა ტყეში, როცა დათვზე ვიჯექი და სოფელში მომყავდა.

— სად ცხოვრობს?

— ახლა საიქიოში ცხოვრობს, მეორე წელიწადს მოკვდა საწყალი! — მოგვიგო ლევარსიმ.

მ რ ა გ უ ლ ი

ბზობის წინა დღე იყო.

აეიღე ჩემი ბაღე და წავედი სათევზაოდ.

მივედი ტბასთან და, რას ვხედავ, ძროხა ტბაში ჩამდგარა, მოსულა ორაგული და ძუძუს სწოვს.

ძროხას რომ შევეუძახო, ორაგული დამინახავს და გაიქცევა. მოვიმარჯვე ბაღე და ვესროლე ორთავეს.

ორთავენი ბაღეში მოყვნენ.

ის იყო ხმელეთზე უნდა გამომეთრია, რომ ორაგულმა დაჰკრა ბოლო და ისევ ტბაში შეცურდა.

შეცურდა, მარა მოვახტი ზურგზე. მოვახტი, მარა თონხარიკი ცხენივით მოკურცხლა ქვევით. შევატყვე საქმე ცულად იყო. ზღვაში მიპირებდა ჩაყვანას, მარა ვიშიშვლე ბებუთი და დავკარი მკერდში.

გადაბრუნდა საწყალი ორაგული.

ამოვათრიე ნაპირზე.

ხუთი ფუთი და ორმოცი გირვანქა გამოვიდა.

• • •

— შენ, გეტყობა, ამაშიც ეჭვი შეგდის! — მკითხა ლევარსიმ და თავის თანასოფლელს მიუბრუნდა:


— ხომ გახსოვს, ეს ამბავი მე რომ გიამბე?

— კი მახსოვს, მარა თვითონ თევზი არ მინახავს.

— შეეოხეო, იმ დღეს რომ ორი საინი თევზის კერძი ჩაცეცხლე ჩემსას, ახლა აღარ გახსოვს? — შეუტია ლევარსიმ.

— კი მარა ის ხომ დღში იყო და არა ორაგული!

— ასეთ მუტრუკს ეცი კაცმა პატივი! ისიც კი არ იცის, რომ დღშს ორაგულიდან აკეთებენ. გეტყობათ, თქვენ ისეთი ხალხი ხართ, რომ თქვენთან ლაპარაკიც არა ღირს! — გვითხრა ლევარსიმ და წავიდა.



ცა და ციური სხეულები

ალუბ-ალებიანო, ჩიბუხ-ტარებიანო,
ღღე იმალებიანო, ღამე გამოდიანო.

(ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

აჯამეთით წამოსული, აჯამეთს არ ეკიდება;
ცეცხლია და ნაპერწკალი — აბელსა არ ეკიდება:

(ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

ღამე შევდგი ცხრილითაო, აღარ არი დილითაო.

(ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

ცაში მიდგან კიღობანი, ელვისანი-გელვისანი,
შიგა სხედან ქორნი, კვერნი, თხისანი და ვერძისანი.

(ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

აზლი-აზანბალენი, კაცნი ჩიბუხ-ტარენი,
ღღე კარში არ გამოვლენ, ღამე შინ არ შემოვლენ.

(ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

ელა არი, მელა არი, კარებს უკან კერა არი;
კვიცი გაკრეჭილია, კალო მოჭედილია.

(ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

პატარა ბოსტანი მქონდა, ვკენჭე. ვკენჭე: ვერ ავკენჭე.

(ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

კიკი-კიკი, კიკი-ვაშლი, ზედ ასხია წვრილი ვაშლი,
არც იჰმევა, არც ისმევა, არცა ზედა გაისვლება.

(ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

ერთი ციხე, ჩემი ციხე, ქვის კენჭით გამოჰიხტული.

(ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

ის რა არის, წყალში ჩააგდებ არ სველდება,
ცეცხლში არ დაიწვება, ხმელეთზე იწყვერება.

(მ ზ ე)

ჩემი საცერი ქედ და ქედ გადმოდიოდა.

(მ ზ ე)

ერთი რამ არის, ზეცაში იცის:

ზამთარს და ზაფხულს უცეცხლოდ იწვის.

(მ ზ ე)

ორი ხშიადი მაქვს — ერთი თბილია, ერთი ცივია,

(მ ზ ე და მ თ ვ ა რ ე)

გამოცანას მოგახსენებ, გამოიცან — სიბრძნე გაქვსო,
ერთ სოფელში ორთა ძმათა, ერთმანეთის ფერი აქვსო;
ერთს ჭარი ჰყავს უთვალავი, ერთსა მარტო ტახტი აქვსო,
ერთი მუღამ სიყრმეზე სდგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო.

(მ ზ ე და მ თ ვ ა რ ე)

ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთ ტახტზე სხედან, ერთად სამეფოდ.

(მ ზ ე და მ თ ვ ა რ ე)

წავალ — მნატრობენ, მოვალ — მემალეებიან.

(მ ზ ე)

ვდგები აღრე აღრიანად, პირსა ვიბან ნამითაო;
ოქროს თმასა გადავიშლი, ვიდგამ ოქროს გვირგვინსაო,
მაღლიდან რომ გადმოვხედავ, ყველა მიძღვნის ღიმილსაო.

(მ ზ ე)

ღამე ქრება, დღე ენთება.

(მ ზ ე)

აღამის წინ დაბადებული, ჯერ ერთი თვისა არ არი!

(მ თ ვ ა რ ე)

ერთ გოდორ თხილში ერთი ბია ურევია.
(მ თ ვ ა რ ე)

შუადამე, ელელ-ვარდი, მოგოგავდა ბინდისასა,
ყვარჩენსა მოიქნევდა, ტარმოკლესა, გიშრისასა.
(მ თ ვ ა რ ე)

ერთი რამე ქვეყანაზე, ყოველს თვეზე იზადება,
მინამ სხვა თვე დადგებოდეს, იგი კიდევაცა კვდება.
(მ თ ვ ა რ ე)

ყოველ თვისა და თვის თავზედ, ვარდი ამოდის კლდის თავზედ.
(მ თ ვ ა რ ე)

ჩვენი ბუხჩის უკან ერთი ხშიადი აყუღია.
(მ თ ვ ა რ ე)

თოთხმეტი დღე მეფობდა, მეთხუთმეტეს ავად გახდა,
ოცდამერვეს მოკვდა და ისევ გაცოცხლდა.
(მ თ ვ ა რ ე)

ამიციან და რაიანო, ჩვენს რო ქანდარაიანო.
(მ თ ვ ა რ ი ს შ უ ქ ი)

ერთი რამცა, თეთრი რამცა, თეთრად გადამტკიცვილამცა,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს, თხაც არის და ბეცი რამცა.
(ც ა)

თუმცა, თუმცა, სამჯერ თუმცა, კიდევ გეტყვი გოგო ნუცა,
მესუთედაც მოგახსენებ, ვერც ახლა სცნობ, გოგო, თუმცა.
(ც ა)

ორი სინი მაქვს, ერთმანეთის მოპირდაპირია.
(ც ა და დ ე და მ ი წ ა)

უმძღვრო ყანაო და უთვალავ თესლიო.
(ც ა და ვ ა რ ა ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

ხალიჩა მაქვს, არ დაიბერტყება, ოქროები მაქვს, არ დაითვლება.
(ც ა და ვ ა რ ა ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

ერთი ხეა ხერხოვანი, ზედ ასხია ცერცოვანი,
არც იშმევა, არც ისმევა, არცა ზედა გაისვლება.
(ც ა)

თავს გვაფარია ბანივით, მსუბუქია და ვრცელია,
რაც უნდა მაღალი იყვე, ვერ მიუწვდება ხელია.
არც უნდა ბოძი, კედელი, ფანჯარა, ანდა კარია,
აბა, თუ გამოიცანი, მზად არის საჩუქარია.

(ც ა)

დიდ გუმბათში იქა-აქა ცეცხლი ანთია.

(ც ა და ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი)

ერთი ქურქელი მაქვს, ნაპერწკლებით სავსეა.

(ც ა)

ერთი ასხამს, მეორე სვამს, მესამე იზრდება.

(ც ა, დ ე ღ ა მ ი წ ა და მ ც ე ნ ა რ ე)

დ ე ღ ა მ ი წ ა

ბებერია და გრძელია, ქათმის ფეხს კი ვერ ასწვდება.

(გ ზ ა)

ერთი პირსახოცი მაქვს, ვკეცე, ვკეცე ვერ დავკეცე.

(გ ზ ა)

თუ აღგება ცას აწვდება.

(გ ზ ა)

დღდამ გაზარდა შვილები წვრილ-წვრილნი, ზოგნი მსხვილები,
დაჯდა და თვითონ შექამა სისხლში იღება კბილები.

(დ ე ღ ა მ ი წ ა)

მთაზედა ჩამოწოლილა გავაზ-გავაზი გველიო,

ჩამოხედავდა ჭალასა, ეგ არის ჩემი ველიო.

(ზ ვ ა ვ ი)

ჩვენს იქითა გორაზედა, კუპრი ამოდენაზედა.

(ვ ე ძ ა, მ ქ ა ვ ე წ ყ ა ლ ი)

უფეხო ვარ, მივცინცილობ, უენო ვარ — მივიმღერი,
ზამთარ-ზამთარ დაწუნებულს ზაფხულში კი არ მყავს მტერი.

(მ ღ ი ნ ა რ ე)

ერთი რამ ვნახე უსულო, ხან თბილია, ხანაც გრილი,
ზოგან დგას გაჩერებული, ზოგან ხმით იცის სირბილი,
რასაც ხელს მოჰკრავს გადანთქავს, არ უნდა პირი და კბილი.
(მ დ ი ნ ა რ ე)

გრძელს და ქვიშიან გზაზედა ლომი მირბის ღრიალითა,
რაც კი გზაში რამ შეჭხვდება თან წაიღებს სრიალითა.
(მ დ ი ნ ა რ ე)

ორი ძმა წყალს ჩასჩერებია, ერთიმეორეს უცქერიან და ერთმანეთს
კი ვერ ეკარებიათ.
(მ დ ი ნ ა რ ი ს ნ ა პ ი რ ე ბ ი)

ეს ჩემი თეთრი ქათამი ღელე-ღელე დაკირკიტობს.
(ქ ა ფ ი)

ერთი კვერცხი ხელთ მიჭირავს, ნახე როგორ ტკბილიაო;
ნახევარი ცივი არის, ნახევარი თბილიაო.
(ქ ვ ე ყ ნ ი ს ბ უ რ თ ი, დ ე დ ა მ ი წ ა)

მეც კი მაქვს, შენც კი გაქვს და გარუჯულ ჯირკსაც.
(ჩ რ დ ი ლ ი)

ერთი რამე ვნახე, ეშმაკისა სახე,
გარუმეო შემოუარე, კვალი ვერა ვნახე.
(ჩ რ დ ი ლ ი)

დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი.
(წ ყ ა ლ ი)

ამიცანდი, ცანდი, ჭალას გამიქანდი,
ხეს მამიხვდი, ქვას მამიხვდი, შინ მოდი და იქ მამიკვდი.
(მ დ ი ნ ა რ ე)

ურემი მირბის, ხელნები დგანან.
(წ ყ ა ლ ი და წ ყ ლ ი ს ნ ა პ ი რ ე ბ ი)

ვჭერი, ვჭერი, ვერ გავჭერი.
(წ ყ ა ლ ი)

არც გემო აქვს და არც ფერი, ჩვენთვის არის კაი ფერი,
ქვეყანაზე რომ არ იყოს მოისპობა ყველაფერი.
(პ ა ე რ ი)

დ რ ო

ზამთრით მოვალ, ზამთრით მივალ, ვინ გინახავთ ჩემისთანა,
შარშან ამ დროს ახალგაზრდა—დღეს უძღური ბებრუხანა...

(ძველი და ახალი წელიწადი)

რა უფრო მშვენიერია, რა უფრო ღონიერია, რა უფრო მალია?
(გაზაფხული, შემოდგომა, თვალი ადამიანისა)

მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი.

(დღე და ღამე)

რა იქნება ხვალ, რა იყო გუშინ?

(დღე)

თავი ოქრო, ბოლო ვერცხლი, შუა წელი რკინა,
ეს თუ ვერ გამოიცანი დამპატიყე შინა.

(შემოდგომა, ზამთარი და ზაფხული)

ჭალაშია შავ-თეთრ თხორიკან ჩამორბიანო.

(ზამთარ-ზაფხული)

ზევით ცაშა მოიღრუბლა, მოისკილისკამუყურა,
ქვევით მელამ კუდი ჩაჰყო, ჩაისკილისკამუყურა.

(ზამთარი და ყინვა)

მობრძანდება ბეგსავითა, წაეთრევა ძალსავითა.

(ზამთარი)

ოცდაათმა ჩიტმა ერთი კვერცხი დასდო.

(თვე)

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, იქნა შვიდი,
კვლავ თორმეტი, დასაბამით არის ხიდი განაკიდი,
ვინც რომ ამას გამოიცნობს, მასთან არის ჭკუა დიდი.

(კვირა, თორმეტი თვე და წელიწადი)

მოვიდა შავი მოზვერი, წაიქცა მთელი სოფელი.

(ღამე)

ერთი ალვის ხე მიდგია, თორმეტი ტოტი აბია,
სცვივა და სცვივა ფოთლები, ისევ იმდენი აბია.

(წელიწადი, თვეები და დღეები)

თორმეტმა არწივმა, ორმოცდარვა კაქკაქმა, სამას სამოცდახუთმა
ჩიტმა ერთი კვერცი დასდო.

(თ ვ ე ე ბ ი, კ ვ ი რ ე ე ბ ი, დ ლ ე ე ბ ი, წ ე ლ ი წ ა დ ი)

ერთი ხე მიდგა, თორმეტი ტოტი და სამას სამოცდახუთი ფოთოლი
აქვს.

(წ ე ლ ი წ ა დ ი, თ ვ ე ე ბ ი და დ ლ ე ე ბ ი)

არასოდეს მოიშლება, ჩარხივითა მბრუნავია,
ოთხ ნაწილად იყოფება, ყველას ჰქვიან სახელია,
სამი მეტად მშვენიერი, სამი ოქრო, ბრწყინვალეა,
სამი მეტად ნოყიერი, სამი მეტად მძვინვარია.

(წ ე ლ ი წ ა დ ი ს ო თ ხ ი დ რ ო)

ერთსა ალვისა ხეზედა თორმეტი ტოტი გრძელია,
ოთხ-ოთხი თხილი აბია, გამოსაცნობი ძნელია,
შვიდ-შვიდი კურკა შიგ უდევს, ახალია და ძველია,
ამისი გამომცნობელი ჰქვიანია და ბრძენია.

(წ ე ლ ი წ ა დ ი)

გუნების მოვლენები

ცა ქუდად აქვს და დედამიწა — ქალამნად.

(ა ვ დ ა რ ი)

შავი მოდის შავითაო, შავი ბრაგა-ბრუგითაო,
წითლად თვალი აეხვია შავი აბრეშუმითაო.

(ე ლ ვ ა, ქ უ ხ ი ლ ი, მ ე ხ ი)

აქ დავკარ ხმალიო და ისპაჰანში გავიდა კვალიო.

(ე ლ ვ ა)

ხან გაჩნდება, ხან გაქრება, ხან აღარსად აღარ არი,
სხვა დროში თუ გამოჩნდება, თორემ ზამთარში არ არი.

(ე ლ ვ ა)

კიკლი-კიკლი კიბესაო, ხორასტულა ციხესაო,
იქ რომ ლომი ბრდღვინავდა, ნაჟინქლები ცვიოდა.

(ე ლ ვ ა და ქ უ ხ ი ლ ი)

შორით მოსულსა სტუმარსა თეთრი აცვია ტანზედა.
თუ ხელი ახლე — გაწყრება, გაიპარება წამზედა.
(თ ო ვ ლ ი)

თაზე ბურბუშელა, ფეხზე ფანტრუშელა.
(თ ო ვ ლ ი)

ჩუმად მოფრინდება, ჩუმად დაჯდება, დალპება და აყვირდება.
(თ ო ვ ლ ი)

იღება კარი, შემოდის ქალი, თეთრი ნარ-ნარი, ცივი, ლამაზი.
(თ ო ვ ლ ი)

თეთრად მოვიდა და წყნარად წავიდა.
(თ ო ვ ლ ი)

თეთრმა სუფრამ მთელი ქვეყანა დაფარა.
(თ ო ვ ლ ი)

მთას გასცდა, ბარს გასცდა, წყალს ვერ გასცდა.
(თ ო ვ ლ ი)

გადმოვდგებოდი, გეჩვენებოდი, რად არ იცოდი, გესტუმრებოდი.
(თ ო ვ ლ ი)

ზამთარში მოდის, გაზაფხულზე მიდის,
ზაფხულში კვდება და შემოდგომაზე ცოცხლდება.
(თ ო ვ ლ ი)

ყარაბული ბამბაო, დილით კარს მოგვადგაო,
არც რა ჰქონდა მარხილი, არც რას გამოგვადგაო.
(თ ო ვ ლ ი)

ზოვა ქაქსავითა, დაჯდება მეფესავითა, წავა წყალსავითა.
(თ ო ვ ლ ი)

თეთრი ჰეპელა მოფრინდა თვალთ მიუწვდომელ ცაშია,
ძირს დაჯდა, ფეხი მოირთხა, ველარ გავედით კარშია.
(თ ო ვ ლ ი)

ხმა აქვს თოფსავით, ცეცხლიც მასავით,
რასაც მოხვდება, აქცევს ფერფლსავით.
(მ ე ხ ი)

მადლიდანა წამოვიდა კუდმოკრილი მელა,
ქვეყანა იმას დაედვა, ვერვინ შეაჩერა.
(მ ე ხ ი)

აბელი ბელი, საბელი გრძელი, ბამბის გული უგრეხელი.
(ნ ი ს ლ ი)

შავმა დედაბერმა ცრემლები დაჰყარა,
მთვარემ დახედა და მზემ მოიპარა.
(ნ ა მ ი)

ღამლამობით მოვფრინდები და დაგვოგავ მიწაზეო,
ღილით იმწამს გავფრინდები, როგორც გამოჩნდება მზეო.
(ნ ა მ ი)

ღილის რიქრაქზე მოვდივარ, მინდვრად ვახარებ ყვავილებს,
ჩქარავე ვქრები, რაი ვქნა, მზის სხივი მაკრთობს, მაშინებს.
(ნ ა მ ი)

მადლიდანა წამოვიდა უთვალავი ბეირივითა,
ნაყოფი მიწას დააგო, შემოგვიხტა ჰირივითა,
ვხედავდით და ვერ ვშველოდით, ყველა დაგვესვა ტირილითა.
(ს ე ტ ყ ვ ა)

შევიდანა წამოვიდა კაბა-კაბა თხილოსანი,
ყველა იმას ერიდება ქვეითი და ცხენოსანი.
(ს ე ტ ყ ვ ა)

გაზაფხულდება თუ არა, მოვალ პატარა, მრგვალიო;
სუყველას კარგად ჩავრეგვავ, მიჰყეთ და იღეთ ვალიო.
(ს ე ტ ყ ვ ა)

აველი ცაში, დავუკარი ტაში;
ჩამოვარდა ვერცხლი, გასკდა ხუთი კვერცხი.
(ს ე ტ ყ ვ ა)

ავიარე ავლასა, თხა დაეკლა შალვასა.
ხორცი ვთხოვე ნებიითა, გამომიღვა ქვებითა.
(ს ე ტ ყ ვ ა)

ბანზე ციკნები დახტიან.
(ს ე ტ ყ ვ ა)

დასწერეთ სამი ასოთი ზაფხულის გრილი ჰაერი.

(ს ი ო)

მირბის, მიჰქროლავს უჩინრად, მიჰკვივის, როგორც მთვრალია,
კლდეებზე დადის უვნებლად, ვერ შეაყენებს წყალია,
იმისი წესი ეს არის, მიხვედრა თქვენი ვალია.

(ქ ა რ ი)

უფერო ვარ მივცინცილობ, უგონო ვარ მივიმღერი,
ზამთარშია დაწუნებულს ზაფხულშია არ მყავს მტერი.

(ქ ა რ ი)

ერთ სულიერსა ამბობენ, უჩინარსა და ხმიანსა,
ზღვასა და ხმელეთს დაივლის და შინ მოიტანს გრიალსა.

(ქ ა რ ი)

ერთი რამ უცხო ფრინველი ბუდიდან არის ბორისა,
მას სანავარდოდ უყვარდა ქედები მალლა გორისა.

(ქ ა რ ი)

ცხოვრობს უსხეულოდ, ლაპარაკობს უენოდ,
არავინ მას არ ხედავს, ყველას კი ესმის.

(ქ ა რ ი)

ერთი რამ არის ხმიანი, უჩინარი და ფრთიანი,
ზღვასა და ხმელსა დაივლის, რომ მოუნდება ტრიალი,
მას კაცი ვერ დააკაებს ამოღებული ხმლიანი.

(ქ ა რ ი)

ასახსნელსა მოგახსენებ, აკვირ-მაკვირს საკვირველსა;
ულელს გავთლი სანთლისასა, შიგ შევაბამ ულელ დევსა,
ზღვაში ქვიშას ვახვნევიანებ, ცაში მივადევნებ სტვირსა.

(ქ ა რ ი)

ჩემი რქადაგრეხილი ჰედილა მალლა ქედზე ტრიალებდა.

(ქ ა რ ი)

უხელოდ, უფეხოდ კარებს აღებს.

(ქ ა რ ი)

უხილავია, ვერ ხედავს თვალი, ისე კი მეტად დიდი აქვს ძალი,
ზოგჯერ სახლს ანგრევს და არხევს ტყეებს,
ძირფესვიანად თხრის დიდრონ ხეებს,

ხშირად მოჰყვება წვიმა, ადარი, აბა ვინ მიხვდა, გვეთხარ, რა არი?
(ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი)

ხმა ისმის და თვითონ არ ჩანს.
(ქ უ ხ ი ლ ი)

კუნტა პაპას წამოუსხამს
თავის ძველი ახალუხი,
ქვევით მიაქვს რახარუხი.
(ქ უ ხ ი ლ ი)

არა სქამს, მხოლოდ წყალსა სვამს, გულხარბი ყოვლის მხრითაო,
თუ ხელი ვინმემ მოჰკიდა, იტირებს ცრემლის ღვრითაო.
(ღ რ უ ბ ე ლ ი)

თვალში დიდი და ხელში არაფერი.
(ღ რ უ ბ ე ლ ი)

შავი მოდის შავითა, შავი რახარუხითა,
შავსა თვალი ავეუხვიე თეთრი აბრეშუმითა.
(ღ რ უ ბ ე ლ ი)

ჯირკის ძირიდან თეთრი კვერცხი გამოგორდა.
(ღ რ უ ბ ე ლ ი)

მალლიდანა წამოვიდა, შავითა და ბნელითაო,
ზოგსა გული შეუწუხა, ზოგი ელის ღნენითაო.
(ღ რ უ ბ ე ლ ი და წ ვ ი მ ა)

ზევიდანა წამოვიდა კაბა-კუბა კრელოსანი,
სულერთიან თან წამოჰყვა ქვევითი და ცხენოსანი.
(ღ რ უ ბ ე ლ ი და წ ვ ი მ ა)

ასმუცლიანი ბებერი, სულაც არა ჭამს საკმელსა,
ლოთი კი ისეთი არი, ვერ მოაქარბებ სასმელსა.
(ღ რ უ ბ ე ლ ი)

ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზედ უფრო სოსანი,
წავა ისპაჰანს წყალს დალევს, ისევ შინ მოვა ცოცხალი.
(ღ რ უ ბ ე ლ ი)

ალი არა აქვს, ცეცხლი არ არის,
ხელ-ფეხს კი დამწვავს, ნეტა რა არის?
(ყ ი ნ ვ ა)

ჩურჩხელა ვნახე კახური, თეთრად უჩანდა სახეო,
ავიღე ხელში, დამიდნა, ნამცეციც ველარ ვნახეო.
(ყ ი ნ უ ლ ი ს ლ ო ლ ო)

აბლი, ბაბლი, ოქროს ტახტი,
მზით ავიღე, მთვარით დავდგი.
(ყ ი ნ უ ლ ი)

მალლა ცამან მოიწმინდა, მოისკამურ-სკამურაო. .
ძირს მელიამ ფეხი ჩაჰკრა, ჩაჰკრა, ჩააწკარუნაო.
(ყ ი ნ ვ ა)

ჩვენი მოხუცი ბერია, იმისი საქმე ძნელია,
გარეთ მამაცობს, შინ შევა, ცრემლები სცვივა ბევრია.
(ყ ი ნ ვ ა)

ეწერს ცეცხლი უკიდია, მუხას ეპრიალება,
თუმცა არ სწვავს, მიდამოს ნათლად ეკრიალება.
(ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა)

ნეტა რა არის მისთანა, ამომავალი მზისთანა,
წყალში რომ ფეხი უდგია იმ ოქროს ჩარდახისთანა.
(ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა)

იხვი წყალში — კუდი ცაში.
(ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა)

გამოცანას მოგახსენებთ, დიდი არაფერიაო,
ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ, ალაგ ალის ფერიაო.
(ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა)

მადლიდანა წამოვიდა, ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამასველა ფეხებამდე, მითხარ რაა, მასხარაო?
(წ ვ ი მ ა)

ტყეში ფიჩხი გადაუშვი.
(წ ვ ი მ ა)

მცენარეები, ყვავილები, სოკოები

ხეა, ხეა, ხეა მბალი, ზედ აბია კახა მბალი,
არც იჭმევა, არც ისმევა, არცა ზედა გაისვლება.
(ან წლი)

წითელი ქვევრი, შავი სარქველი,
შიგ რალაც ყრია ხაზარ-ხუზარი.
(ასკილი)

წითელი ქვევრი, შავი სარქველი, შიგ ხოშორ-ხოშორი.
(ასკილი)

წითელი მუცელი, შავი პირსაკრავი.
(ასკილი)

სივაყკაცით მობუნძლული, სიბერეში გამართული.
(გვიმრა)

ყვავილი ვარ ყვითელგულა, სხვა ყვავილებს არ ვედრები,
რა ვეუყოთ რომ სუნი არ მაქვს, წამლად მაინც გამოვდგები.
(გვირილა)

წითელი ხარი აბია, ორთავ ფეხებით კავშია,
ვინც ამას ვერ გამოიცინობს, ადგეს, გავიდეს კარშია.
(ენდრო)

რომელი ბალახია, რომ ბრმაც კი გამოიცინობს?
(ეკალი)

ერთ პატარა მინდორზე გრილი სიო ქრის,
შიგ ლამაზი ქალი ზის, სისხლის ღვარი სდის.
(ვარდი)

ერთსა რამ უცხო საჭვრეტსა უდიან ტურფა სულები,
ფერი მიუგავს ლალებსა, ყვითელ იაგუნდს — გულები,
ზურმუხტის ფერი ფურცლები გარსა აქვს შემორგულები.
(ვარდი)

ერთი ხე მიდგა ეკლისა, წითელ და თეთრი ფერისა.
(ვარდი)

.ტყეში ხარი შემვიარდა:
— გამო, გამო, გიშერაო! —
ნაბდის ძველა იქ დაადლო,
გამოვარდა შიშველაო.

(თ ხ ი ლ ი)

.ცა ვდრიკე და ვარსკვლავი ვკრიფე.

(თ ხ ი ლ ი)

.ცასა მითუწმენდიაო, მოუქანკრაჩეზიაო,
მელას აუდი გადუგდია, გადუჭინჯილებიაო.

(თ ხ ი ლ ი)

.ეგერ, გაღმა გორაკზე, შილაია აფენია.

(მ ა რ წ ყ ვ ი)

.ჩირგვთან ვცხოვრობთ ჯგუფადა, ბავშვები გვყავს სტუმრადა.

(მ ა რ წ ყ ვ ი)

.თეთრად გავჩნდი, წითლად გავიზარდე, შავად დავბერდი.

(მ ა ყ ვ ა ლ ი)

.თეთრად დავქსელე, წითლად მოვქსოვე, შავად შევეღებე.

(მ ა ყ ვ ა ლ ი)

.შავი არის შაშვივითა,
.იკბინება ძალღივითა,
საჭმელია თაფლივითა.

(მ ა ყ ვ ა ლ ი)

.მუხა ნათე ლაშაფლა, ენაძვირ-მოლაპარაკე.

.ხელმწიფე ლამაზად ვნახე.

(მ უ ხ ა, თ ე ლ ა, ნ ა ძ ვ ი დ ა წ ი ფ ე ლ ა)

.გაუთლელი ჩხირი, დაუფქვავი ფქვილი, შეუქრავი ტომარა.

(ფ შ ა ტ ი)

.აი, მალლა გორაზედა დათვი კუდითა აბია,
ვინც გაივლის, გაჰკრავს ხელსა, თუ არა, ისევე აბია.

(პ ა ნ ტ ა)

.აღზაია, მალზაია, თავს აცვია ხალთაია,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს, პილწია და გლაზაია.

(რ კ ო)

თავზე ქუდი ახურია, თვითონა ჰგავს კაკალსა;
შენ ამას ვერ გამოიცნობ, ნუ დაიწყებ კაკანსა.
(რკო)

ჩემს იქითი გორაზედა, ციცა ჰკიდავ კუდითაო.
- (სვილი)

ერთი პატარა ქილა არის, შიგ ხორხოშელა ყრია.
(ფშატი)

ჩხირია გაყიდულიო, ფქვილია დაუფქველიო, გულა შეუჟერავიო.
(ფშატი)

ასიანურის ქალი ვარ, ასი კაბა მაცვია,
ქარი რო შემომიბერავს, ერთიც აღარ მაცვია.
(ყაყაჩო)

ასლანიანთ ქალი ვიყავ, ასი კაბა მეცვა,
ქარმა რომ შემოუბერა, კალთა შემიკეცა.
(ყაყაჩო)

აბა, რა მქვიან სახელად, მეც ყვავილი ვარ ველისა,
მიყვარს წითელი სამოსი, კონტად დაჭერა ყელისა.
(ყაყაჩო)

ტყეში წითელხალათა ბიჭი დგას.
(შინდი)

კავკავ ლობეს ხელი შეეყავ, კაპასმა ძაღლმა მიკბინა.
(ჭინჭარი)

შემოვუარე კერიას, ხელი მოვკიდე ღრენიას.
(ჭინჭარი)

ლობეში ხელი შეეყავი, ბომბორა ძაღლმა მიკბინა.
(ჭინჭარი)

ლობერ, ლობერ — უჰ, უჰ!
(ჭინჭარი)

შიგნით გული, გურგუმელი, გარეთ კანი ატლასია,
მას რომ ჯარი ახვევია, შუბოსანი ათასია.
(წაბლი)

ველის პერანგი მაცვია, გავიხდი, აზნაური ვარ,
ქალაქში წავალ სავაჭროდ, არ ვიცი სადაური ვარ.
(წაბლი)

უდედოდ დაბადებული, უკმელად გამოზრდილია,
ზაფხულში ბევრი ვინატრე მისი საამო ჩრდილია.
(ხ ე)

უსულოსა, უგულოსა ზურგზე მოსვლია ბალანი.
(ხ ე ზ ე · ხ ა ვ ს ი)

ეგერ, ეგერ, გორაზე წითელი თასი ამხვია.
(ს ო კ ო, ნ ი ყ ვ ი)

წადი, ისეთი ხორცი მომიტანე, არც იყვეს დედლის, არც მამლისა.
(ს ო კ ო)

კლდეზე ცალფეხა სახლი მიდგა.
(ს ო კ ო)

უხნავ-უთესად მოსული, ზამთარს მიწაში სძინავსო,
თეთრი პერანგი აცვია, თავი მიუგავს ინასო.
(ს ო კ ო, ნ ი ყ ვ ი)

ერთ ფეხზე შეკუნტულია, ქუდი ჰხურავს თავზე,
ტყეში უთვალავს შეხვდები, უფრო—ნაწვიმარზე.
(ს ო კ ო)

თეთრი პერანგი აცვია, თავი მიუგავს სინასა,
მამაც-მამაცი კაცები მასზე გაწევენ ლხინასა.
(ს ო კ ო, მ ი ქ ე ლ ა)

კულტურული მცენარეები, ჰირნახული, ბოსტნეული

ასახსნელსა მოგახსენებ ანი, ბანი, ინითაო.
(ბ ი ა, კ ო მ შ ი)

ჩემო ძმაო, ოხოზია, რაღაც მომიბარებია,
არც შესვა და არც შეჭამო, ისე მომიბარებია.
(ბ ი ა)

ხესა ვაშლი აბია, სახელს ვამბობ, ავია,
(ბ ი ა)

მკვახეს შემქამ — დაგახრობ, მწითე წამლად დაგედები.
(ბ ი ა)

ჩავაგდე ოსპის ოდენი, ამოჯდა კოქბის ოდენი.
(ბ ო ლ ო კ ი)

რწყილმა კვეყო დაბადა.
(ბ ო ლ ო კ ი)

შავია — ყვავი არ არი, თეთრია — ყველი არ არი,
კუდი აქვს — თავი არ არი.
(ბ ო ლ ო კ ი)

თავი ბურბუშელა, ბოლო ფუნტრუშელა,
თუ ამას ვერ გამოიცნობ, უკუთო ხარ შენა.
(ბ ო ლ ო კ ი)

წითელ ჭურში წითელი კენჭები აწყვია.
(ბ რ ო წ ე უ ლ ი)

გარეთ ატლასი, შიგნით ათასი.
(ბ რ ო წ ე უ ლ ი)

ჩავაგდე ფრჩხილის ოდენა, მოვწყვიტე დერგის ოდენა.
(გ ო გ რ ა)

საბელმა წყალი დალია და ზაქი გაიბერაო.
(გ ო გ რ ა)

თოკი სვამს და ტიკი იბერება.
(გ ო გ რ ა)

დაკეტილია, არც კარები აქვს, არც ფანჯრები, შიგ მრავალი ხალხია.
(გ ო გ რ ა)

გავაგდე მარცვალი, გამოება ბაწარი, ზედ მოება გოდორი.
(გ ო გ რ ა)

კუტი მამა, მარგალიტი დედა და გიჟი შვილი.
(ვ ა ზ ი, ყ უ რ ძ ე ნ ი და ღ ვ ი ნ ო)

დედა ისევ ცოცხალი მყავს, მიწაშია წევს ძირსაო,

30. ხალხური სიბრძნე, ტ. V

ჩემი დანახვა კაცისთვის მართლა რომ რათმე ღირსაო,
მაგრამ ვინც შემებრძოლება, ის ვერა ნახავს ლხინსაო,
წაუქცეველს არ გავუშვებ ვაჟკაცად ნაქებ გმირსაო,
ჭკუას, გონებას ავურევ, ჩავავდებ სადმე თხრილსაო,
თუ თავი არ დამანება, გავუჩენ მუდმივ ჭირსაო.

(ღ ვ ი ნ ო)

დედა მყავდა ხელი მრუდი, დაი მყავდა დარი მზისა,
ძმა ისეთი მოჭიდავე, წამქცეველი ადამისა.

(ვ ა ზ ი, ყ უ რ ძ ე ნ ი, ღ ვ ი ნ ო)

ხეო, ხეო, ჩემო ხეო, არც მართალო, მაგრამ ხეო,
მდიდრისა და გლახაქისა საყელოსა გარდამხეო,
სააქაოს ჩემო ლხინო, საიქიოს გარდამხეო.

(ვ ა ზ ი)

მამა დაგრეხილი. დედა დაქყლეტილი, შვილი გადარეული.

(ვ ა ზ ი, ყ უ რ ძ ე ნ ი, ღ ვ ი ნ ო)

ბატონი გრძელლეკურიანი.

(ვ ე ნ ა ხ ი)

შეიქნა გრიალ-გრიალი, კატა გამოხტა რქიანი,
ანთიმოზ ჩექმებიანი, ზოსიმე ხანჯალიანი და ვირი ნალეზიანი.

(ვ ე ნ ა ხ ი)

ითესება, იმარგლება, იწევა და არ იჭმევა.

(თ ა მ ბ ა ქ ო)

რა არის: თესვენ, მარგვლიან და მერე განამტკიცებენ,
სმენ და არ სჭამენ, ფიცს სდებენ, პატარა ჭურჭლით ხმარობენ,
ვინც ითხოვს, ყველას მისცემენ.

(თ უ თ უ ნ ი)

მკვდარია და ცოცხალია.

(თ ე ს ლ ი)

ოთხი ასოთი დასწერე ხმელი ბალახის სახელი.

(თ ი ვ ა)

ას კაცს ერთი ქუდი ახურავს.

(თ ი ვ ი ს ზ ვ ი ნ ი)

უკურტუმო ქათამი ღობეს უკან ჩავფალი.

(კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი)

ჩვენებიანთ ბალშია, ჯამი ჯამზე ამსია,

ვინც ამას ვერ გამოიცნობს, თავზე ლაფი ასხია.

(კ ო მ ბ ო ს ტ ო)

დედა სამი თვისაა, შვილი ბაზარში ვაჭრობს.

(კ ი ტ რ ი)

შავს მიწასა მიაყრიან, მწვანედ ამოუვა ძირი,

შტო მრავალი დაბერდება, ფოთოლი აქვს მეტად ხშირი,

მწვანე, მკვახე ხილი იცის, საკმელია მეტად გრილი.

(კ ი ტ რ ი)

ერთს ადგილსა თესლი ვთესე, იყო მწვანე ამოსული,

აქეთ-იქით გადაშლილი და ყვითლად აყვავებული.

ერთს კვირას უკანა ვნახე, იყო საკნატუნებელი.

(კ ი ტ რ ი)

გაღმიდან იხვი, ხოხობი, გამოღმა გამოჩანჩქრობდა,

კვერცხი დაედო ოქროსი, შუა ბაზარზე ვაჭრობდა.

(კ ი ტ რ ი).

ერთს მინდორზე თესლი ვთესე, მწვანედ იყო ამოსული;

შევყავ ხელი, ამოვიღე, ეკლით იყო შემოსილი.

(კ ი ტ რ ი)

უყვავილო ხილი მიდგა ბატონთან გამოსაჩენი,

ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ის არის გამოსაჩენევი.

(ლ ე ღ ვ ი)

ხე ვარ, ხე მრუდად გაზრდილი, ვერ შემომწვდებ ნადირი,

შენ მოდი ენკენისთვეში, თუ ვერ გაქამო სადილი.

(ლ ე ღ ვ ი)

ხეზე ფეტვის ბუდეა.

(ლ ე ღ ვ ი)

მკვდარსა ვკამ და კუბოს ვაგდებ.

(მ ზ ე ს უ მ ზ ი რ ა)

თავი უგავს სავეს მთვარეს, მარცვლები აქვს ერთობ ხშირი,

დგას ამაყად და მთელი ღლე მიუპყრია მზისკენ პირი.

(მ ზ ე ს უ მ ზ ი რ ა)

ბარი ბოსელში შევაგდე, კუდი ხელში შემრჩა.
(მ ს ხ ა ლ ი)

აგერ, იქითა ლელაზე, ციცა კუდითა კიდი.
(მ ს ხ ა ლ ი)

ერთი ქათამი მყავს: ფეხებით წყალსა სვამს, თავით კვერცხსა სდებს.
(მ ც ე ნ ა რ ე)

დედასა შვილი წაართევს ნორჩი, ახალი შობილი,
სხვათა გაზარდეს ძიძითა, სხვათა ნაყოფთა შობილი,
სად მიიყვანეს, იქ დახვდა, იყო მისივე ძმობილი.
(ნ ა მ ყ ე ნ ი)

თავშეხვეული აღმა გარბის.
(ნ ა მ ყ ე ნ ი)

ახლა ეულსა, მეულსა, წამალს ადებენ სნეულსა,
გამოიხედა მეუფემ: — ეს რა უქნია წყეულსა!
(ნ ა მ ყ ე ნ ი)

დედასა შვილი ეყოლა და მისცა გადარეულსა,
ასი ტირის და იძახის: „ვაი, რა გაზარდის წყეულსა“.
(ნ ა მ ყ ე ნ ი)

ერთი რამ უცხო შვილია, შორს წაიყვანა ბიძამა,
წინ დახვდნენ ნათესაეები, მაგრამ ვერ იცნო ბიძამა.
(ნ ა მ ყ ე ნ ი)

დედამ რო შვილი გაზარდოს, შვილი ახალი შობილი,
ადგეს და სხვაგან წავიდეს, სხვასა გაუხდეს ძმობილი.
(ნ ა მ ყ ე ნ ი)

ჩემი თეთრი ქათამი, ღობის უკან ჩავფალი.
(ნ ი ო რ ი)

თეთრი ქუჩუ-ქუჩუბელა გარეთ ბუდეს იბუდებდა.
(ნ ი ო რ ი)

ერთი თეთრი ქათამი მყავდა სულ მიწა-მიწა ძვრებოდა.
(ნ ი ო რ ი)

ერთი ქოჩორა მამალი მიწაში თავ უყრელად ვერ ცხობრბს.
(ნ ი ო რ ი)

მთას იქით კაცი მარხია, მთას აქეთ სუნი გადმოდის.
(ნ ი ო რ ი)

ავიარე, ჩავიარე, ტურფა ვნახე მწოლიარე,
თავი ვთხოვე, არ მათხოვა, ძმაზე იყო მგლოვიარე.
(ნ ე ს ვ ი).

ძირს თავი, მალლა ფეხები.
(პ რ ა ს ი)

ბაბუს სძინავს, ბაბუს ღვიძავს, ბაბუს წვერი მიწაშია.
(პ რ ა ს ი)

ანაკეცი, მანაკეცი, ქალი იჯდა თმანაკეცი,
არცა უნდა პირსა წყალი, არცა სარკე, სავარცხელი.
(პ რ ა ს ი)

თავი ღალმა, ფეხი აღმა და ფურცელი გარდიგარდმო.
(პ რ ა ს ი)

თეთრი ქათამი, ბოლო კურტუმ, ნარიყალას ედებოდა,
ხესა ესნა მარგალიტი, ოქროს წვეთი ვარდებოდა.
(პ უ რ ი ს თ ა ვ თ ა ვ ი)

ძირი მიწას, შუა საბძელს, თავი მკვდარსა და ცოცხალსა.
(პ უ რ ი ს თ ა ვ თ ა ვ ი)

თავს ანძრევს, ბოლოს არ არყევს, შუაში ჩაბალახობსა,
ასხია ბევრი თვალეზი, პატრონმა დაინახოსა.
(პ უ რ ი, ყ ა ნ ა)

ზაფხულში კარავს დაიცემს, ზამთარში შინაუტრია,
ხშირად ასხია ეკალი, გასცივია ბროწეულია
(პ უ რ ი ს ყ ა ნ ა)

ჭკვიანო, შენ მეცნიერო, ეს გამოცანა რააო:
ერთი რამ მკვდარი ქონება, ორსავე სოფელსა კმარაო,
გაზრდის და გაადიდკაცებს, წახდენაზედაც მზააო.
(პ უ რ ი ს ყ ა ნ ა)

კაღვლა გავარდნიე, შიგნეული ვკამე, კენჭები კი გადავყარე.
(ს ა ზ ა მ თ რ ო)

თუმცა სუსტი ცისე ვიყავ, მაგრამ ბევრი ჯარი მყავდა;
როცა მტერმა დამანგრია ყველა ერთად დამეფანტა.
(ს ა ზ ა მ თ რ ო)

ერთი ესა მარტხნივ მიდის, მეორე მარჯვნივ,
დღეა აკვანში წევს, შილი ბანარში ღადის.
(ს ა ზ ა მ თ რ ო)

გარედანაც კრელია, შიგნიდანაც კრელია.
(ს ა ზ ა მ თ რ ო)

ესე კაცი რა კაცია, ცხრა ნაბადი რომ ასხია.
(ს ი მ ი ნ დ ი)

ოქრო, ოქრო ვერცხლია, ბიმბილები ასხია,
ვინც ამას არ მიხვდება, თავზე ლაფი ასხია.
(ს ი მ ი ნ დ ი)

არაშვილო, თარაშვილო, დაო ბოსტოლანაშვილო,
იფიხჯი რომ წამოგისხამს, გინდა მაგით შემაშინო?
(ს ი მ ი ნ დ ი)

ერთი რამე ასე იქმნა, ხილნარშია ისიმინდა,
მრავალ ფერად შეხუთული, ტყაოსნადა ისი მინდა,
მარგალიტად ჩაწყობილი, ჯილოსანად ისიმინდა,
ვინც რომ ამას გამოიცნობს, მეცნიერად ისი მინდა.
(ს ი მ ი ნ დ ი)

შევხედე: ყანაში არის ლამაზი, ულვაშიანი.
(ს ი მ ი ნ დ ი)

ფაჩაფუჩი, მიქელაო, გამოვარდა ტიტველაო.
(ს ი მ ი ნ დ ი)

გამო, ჩემო ყიყო,
მე რა საქმე გიყო,
ტანისამოსი გაგხადო,
თავი ცეცხლში გიყო.
(ს ი მ ი ნ დ ი)

უსულოსა, უგულოსა, ცხრა პეტანგი აცეკვ.
(ს ი მ ი ნ დ ი)

ოქრო ვარ, ოქროსფრად ვბზინავ, ოქროდ შესხმული ღერზედა;
დიდს და პატარას ვუყვარვარ შეწითლებული ცეცხლზედა.
(ს ი მ ი ნ დ ი)

იგი კაცი რა კაცია, ცხრაი ჩოხა რომ აცვია?
(ს ი მ ი ნ დ ი ს ტ ა რ ო)

ასი, ასი, ასლამაზი, ასი კაბა აცვიაო,
აბრეშუმის -ქოჩორი გვერდზე გადუვარცხნიაო.
(ს ი მ ი ნ დ ი ს ტ ა რ ო)

მე და ჩემი ნიყვი, ბატონის კარს ვიყვი,
ნიყვი შიგ შეიპატიყეს, მე კი დავრჩი ბრიყვი.
აცან ნიყო, მე რა ვიყო, თავი ცეცხლშია წაგიყო?!
(ს ი მ ი ნ დ ი ს ტ ა რ ო)

დედა მყავდა მოღუნული, მამა რკინით შექედილი,
კოლი მყავდა კუდიანი, არც მე ვიყავ ქრისტიანი.
(ს ი მ ი ნ დ ი ს ტ ა რ ო)

ზამთრით მთასა ვარ, ბარსა ვარ, ზაფხულით შინაური ვარ,
ეკლის ბუსუსი მასხია, გამბერტყავ, აზნაური ვარ.
(ყ ა ნ ა)

წელში წვრილი, ტანმადალი, თავზე ასხია კაკალი.
(შ ვ რ ი ა, ჯ ი ქ უ რ ა)

ერთი კაცი ცხვარსა ჰკლავს, ცხვარი არ ტირის, კაცი კი ტირის.
(ხ ა ხ ვ ი)

ჯერ მწარეა, მერე ტკბილი, ბოლოს კი მატირებელი.
(ღ ვ ი ნ ო)

ბალჩაში ფური აბია, ძუძუ ასხია მრავალი;
რძე უხვად გამონაწველი, შორს გზაზე არის მავალი.
გემო მთავე აქვს, მანანას შეედარება ფერითა;
უზომოდ მისი დამლევი მიწასა დაჰკვის წვერითა.
(ღ ვ ი ნ ო)

მამა კოქლი. დედა ბრუციანი, შვილი ფეთიანი.
(ღ ვ ი ნ ო)

ცრტა წამალია და ბევრი — საწამლავირ.
(ღ ვ ი ნ ო)

ერთი წითელი მამალი მიწიდან ამოყოდა.
(ქ ვ ე ვ რ ი, კ უ რ ი)

ალავი ავი, ქათამი შავი, ავგლიჯე მხარი, შეეჭამე თავი.
(ყ უ რ ძ ე ნ ი)

ხე მრული და ხე შართალი, წვერში ება ცხრა მარცვალი.
(ყ უ რ ძ ე ნ ი)

მასხარაშვილთ ქალი ვიყავ, მაჭრაშვილის პატარძალი;
კამის, კუმის კაბა მეცვა, ღილი მქონდა ასი ცალი.
(ყ უ რ ძ ე ნ ი)

უსულო მამა დედაჩემს მხარში შეუდგა, უშველა,
დედამა მშობა ტირილით, მემოყვრებთან სუყველა.
(ყ უ რ ძ ე ნ ი)

ასიანისა ქალი ვარ, ასისა ვაჭრის რძალი ვარ,
ყარყუმის კაბა მაცვია, ზედ ოქროს ღილი მაბია.
(ყ უ რ ძ ე ნ ი)

ასი ხევი აჯარე, ასი ბუდე ავშალე,
ქალსა მძივი ავყარე, კალათაში ჩავყარე.
(ყ უ რ ძ ე ნ ი)

ადამი დარი, ქათამი მწვარი,
ავართვი მხარი, შეეჭამე თვალი.
(ყ უ რ ძ ე ნ ი)

დედასა ვჭამთ, შვილსა კი ვსვამთ, ორივე გემრიელია:
დედა ახალი სჯობია, შვილი — რაც უფრო ძველია.
(ყ უ რ ძ ე ნ ი, ღ ვ ი ნ ო)

ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი

მინდვრიდანა მოდიოდა დიდი უსურბელა,
თავი ბურბუშელა, ფეხი კუნტრუშელა,
დაიჩოქებს, კაცს შეისვამს, ზურგი კოკოშელა.
(ა ქ ლ ე მ ი)

უდაბნოს გემს უწოდებენ, ცხოველია ტანმაღალი,
უწონო, უსწორ-მასწორია, არ სჭირდება ფეხზე ნალი.
იშვიათი ამტანია, უცნაური აქვს თვისება,
უჭმელ-უსმელს შეუძლია რამდენიმე დღეს გაძლება.
(აქლეში)

დიდ მინდორში დავინახე დიდი ოზურშაო,
თავით ღმერთსა ეხვეწება, კუდით კვანტრუშაო.
(აქლეში)

ტანი მაქვს ეკლიანიო, გული კი — ეშხიანიო.
(ზღარბი)

ის რომელი ცხოველია, ჩემად რომ დაიარება,
კატის კნავილს თუ გაიგებს, იმწამსვე დაიძალება.
(თაგვი)

საბძელს უკან ტახია, დედამიწია გახია-
(თხუნელა)

ერთი რამე სულიერი მთაში დადის მწყურალივითა,
ცეცხლსა ძლიერ ერიდება, შეშა დააქვს ძვალევითა,
მე მინახავს დახვეოდეს ბატონები ყმანივითა.
(ირემი)

გაგასუქე, გაგალაღე, რქანი დიდი გამოგაბი,
კვირა ძალი შემოვიდა — კუდი ველარ გამოგაბი.
(ირემი)

ერთ მინდორზედა დახტოდა ერთი უკუდო კატაო,
რაც საკუდზე დააკლდა, ის ყურებს მიემატაო.
(ყურდელი)

კუდი მოკლე, ყური გრძელი, უყვარს დილა ნამით სველი,
ჩავარდება განსაცდელში, არავინა ჰყავს მშვეველი.
(ყურდელი)

თავი ბუს უგავს, ფეხი — ჩალასა,
უცებ გადირბენს დევის ყანასა.
(ყურდელი)

თვალეები ფრთხილად მიჰიარავს, დაცქვეტილი მაქვს ყურები,
რაწამს გავიგებ მტრის მოსვლას, მოვკურცხლავ, გავეშურებო.
(ყურდელი)

ტყავი ფასობს, ხორცი — არა,
ქათმებს დასდევს წარა-მარა.

(მ ე ლ ი ა)

ხრუკია ხურსუმელია, მიწა-მიწა მძრომელია.

(მ ე ლ ი ა)

ერთი რამე სულიერი მიწა-მიწა მძრომელია,
მეფისა და დედოფლისა თავზე წამომჯდომელია,
სამჯერ გეტყვი მის სახელსა, აბა, მითხარ, რომელია?

(მ ე ლ ი ა)

თავშიშველი, ფეხშიშველი, სახელს გეტყვი, ვერ გიშველი.

(შ ვ ე ლ ი)

შინაური ცხოველები

დედა წლისა, მამა ნახევარი წლისა, შვილები საბარავად მიდიოდნენ.

(გ ო ჭ ე ბ ი)

წვერ-ულვაშიანი ვინ იბადება?

(თ ხ ა)

წვერი აქვს — კაცი არ არის,
ბალახს სძოვს — ცხენი არ არის,
რქები აქვს — ხარი არ არის.

(თ ხ ა)

ბაზი მობაზუნობდაო, ბაზი ბარაქიანიო,
კული ჯორსა მიუგავდა, კული ტალახიანიო.

(კ ა მ ე რ ი)

საკერებელს ვაკერებდი უნემსოდ და უძაფოდა.

(ც ხ ე ნ ი ს დ ა ნ ა ლ ვ ა)

ერთი დავადგი, სამი ამოვუჭირე, კული ხელში ავიდე.

(ც ხ ე ნ ი ს შ ე კ ა ზ შ ვ ა)

მკვდარია, ჰყავს ორი, ქვეყანას კვებავს:

(უ ლ ე ლ ი დ ა ო რ ი ხ ა რ ი)

ერთი რამე სულიერი აზარ-ფაშას დაჰკარგვია,
მიდის, მოდის, კენესის, ხვნეშის, ჰკითხე, თუ რა დაჰკარგვია,

მამამისის ავკაცობით შეილსა გვარი დაჰკარგვია,
ცოცხალი ულამაზოა, მოკვდება და, რა კარგია!
(ლორი)

კენესის და არა სტკივა-რა, ეძებს და არა დაჰკარგვია-რა.
(ლორი)

წაიქცევა წიფელაო, დაეხვევა ჰინჰველაო.
(ლორი გოჭებით)

აჭინჯალი, მაჭინჯალი, ოთხი ფეხით მამიჯარი.
ქვეშა წყალი სადინარი, ზევით კარგი სათიბარი.
(ცხვარი)

ერთი რამა სულიერი, მიწას დადის მკალავითა,
ერთმანეთს რო დაინახვენ, ხმას მისცემენ ზარივითა.
(ცხვარი)

ოთლო, თოთლო, ოთხო ბოძო, ზევით მთაო სათიბაო,
ქვევით წყაროვ სადინარო..
(ცხვარი)

გავალ, გავალ, გავეშლები, ხმას გავიღებ ზარივითა,
გლახკაცს ასე შევინახავ — აზნაურიშვილივითა.
(ცხვარი)

რადო-რადო, მუცელ-ტაშტო, ფეხ-ტაიქო, ზურგ-საბადო.
(ცხვარი)

მკვდარს მარხავს, ცოცხალს მოსავს, თავს უბეში შეინახავს.
(ცხვარი)

ორნი არიან, ტოლნი არიან, დარბაზს ჩადიან, ჩამღერაიან.
(ცხვარის ცური)

ტირის, ტირის ქალაქი, არა მოქალაქენი,
ღმერთო, მიეც ზარბაბი, დააჩუმე ქალაქი.
(ცხვარი)

ერთი რამე სულიერი მინდორს გავა მკალივითა,
ფარაჯასა წამოისხამს, ხმას გაუშვებს ზარივითა,
გლახკაცი შეინახავს მარგალიტის თვალივითა.
(ცხვარი)

შიწახე რკინა, რკინაზე ძვალი, ძვალზე ხორცი, ხორცზე ტყავი,
ტყავზე ხე, ხეზე ბალიში, ბალიშზე კაცი, კაცზე ქული.

(ც ხ ე ნ ი, მ ხ ე დ ა რ ი და უ ნ ა გ ი რ ი)

ერთი კონა ჩალა მთაზე ჰკიდია.

(ც ხ ე ნ ი ს კ უ ლ ი)

თავგიდელა, კუდკანაფა.

(ც ხ ე ნ ი)

მაღალ სერზე გამდგარიყო დიდი უზუმბერა,
კუდით პირჯვარსა იწერდა, ღმერთმა არ უშველა.

(ც ხ ე ნ ი)

ასიაო, ბასიაო, ფეხი ოქროს თასიაო,
ულვაშები ყურს უკანა, წვერი კი არ ასხიაო.

(ც ხ ე ნ ი)

ბოძი, ბოძი, ბოძანდარი, ზედ გუდა და მოსართავი.

(ც ხ ე ნ ი)

სამსახურს კარგად ასრულებს, ჯამაგირს კი არ ვაძლევო,
სამაგიეროდ ხან და ხან ვაჭმევ და კიდევ ვასმევო,
არც არის ტიტველ-შიშველი, თუმც ტანზე არას ვაცმევო.

(ძ ა ლ ლ ი)

ყველა ხე აღმა იზრდება და ერთი ხე თავქვე იზრდება.

(ძ რ ო ხ ი ს კ უ ლ ი)

ოთხნი არიან, ტოლნი არიან, ერთად ჩადიან, ჩაიმღერიან.

(ძ რ ო ხ ი ს ძ უ ძ უ ე ბ ი)

ორი ორენას, ოთხი კორენას,
თორმეტი ყანჭაპურას, არცერთი კირკიტელას.

(ძ უ ძ უ ე ბ ი: 2 თ ხ ა ს, 4 ძ რ ო ხ ა ს, 12 ლ ო რ ს,
ქ ა თ ა მ ს ა რ ც ე რ თ ი)

რა არი — გვარი არა შობს, არც ოდეს გადაშენდება,
რა სხვა-სხვა გვარსა მიუდგეს, მით იშვეს, მითი შენდება,
რაზომც პატივი მიაპყრა, მამა არ დაუმშვენდება,
რომ გაიზრდება, მაშინა ზურგი არ შეუხვენდება!

(ჯ ო რ ი)

ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი

ერუმ-მარუშელა, ფეხი-ბანდრუშელა,
მინდორ-მინდორ დაყიალობს, თავი კვანტრუშელა.
(ბ ა ტ ი)

გამოცანა ცანია, თეთრი კაბა მაცვია,
ხან გავიხდი, ხან ჩავიცვამ, ისევ თეთრი მაცვია.
(ბ ა ტ ი)

დავალ ანუ დაეფრინავ,
ფეხით ანუ რაშითა,
მაგრამ ხშირად მიჰერენ პაწაწინა მარცვლითა.
(ბ ე ლ უ რ ა)

შაშვს ბოლო შავი მიაქვს.
(ბ ო ლ ო შ ა ვ ი)

შეხედავ — ფრინველია, დაჯდება — კატა არი.
(ბ უ)

პატარა ვარ, უჩინარი, ყველასათვის უწყინარი.
ჩემი სტვენა ყველას მოსწონს, ღარიბია თუ მდიდარი.
(ბ უ ლ ბ უ ლ ი)

ცაში დაეფრინავ ხშირად, მიწაზეც დავიარები,
წყალზედაც კარგად დავცურავ, არა მპირდება ნაევები.
(გ ე ღ ი)

ერთი რამე სულიერი დიდი ორბისა მსგავსია,
თავზე ბალანი არა აქვს, გულზე ჭაგარი ასხია;
ბოლო მოუგავს ბორბალსა, აგრე აქვს იმის მოდგმასა.
(ი ნ დ ა უ რ ი)

შავი არის შაშვივითა, თეთრი არის თოვლივითა,
მრგვალი არის კვერცხივითა, გრძელი არის ბუზივითა.
(კ ა ჭ კ ა ჭ ი)

ერთი რამე სულიერი, კუდიანი და კრელია,
ქათმის პატარა შვილთათვის სინსილის გამწყვეტელია.
(კ ა ჭ კ ა ჭ ი).

უსულო ვნახე ორსული, სულიერისა მშობელი,
შვილსა შობს — დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი.
(კ ვ ე რ ც ხ ი და ქ ა თ ა მ ი)

შედვება ლომი ხის წვერსა, შეაყრევინებს ჩინჩხლებსა.
(კ ო დ ა ლ ა)

ერთი რამე სულიერი ხეს მიადგება მტრულადა,
ხმელსა სცემს, ნედლი გამოაქვს და საზრდოდ ხმარობს ტკბილადა.
(კ ო დ ა ლ ა)

აკიბულისა კიბესა, მალლა როსტომის ციხესა,
შევა ლომი და შესძახებს, შეაყრევინებს ჩინჩხლებსა.
(კ ო დ ა ლ ა)

ტირის, ტირის ქალაქიო, მთელი მოქალაქენიო,
წავაფარე ზარათიო, გავაჩუმე ქალაქიო.
(კ რ უ ხ-წ ი წ ი ლ ა)

ჩახტა ბებერი, ჩაჰყვა ლაშქარი.
(კ რ უ ხ-წ ი წ ი ლ ა)

წინ ფანფალი, უკან ლაშქარი.
(კ რ უ ხ-წ ი წ ი ლ ა)

ერთი რამე სულიერი, აზის ბროლის დანადარსა,
სამ კვირესა და სამ დღესა, გამოიყვანს მთელს ლაშქარსა.
(კ რ უ ხ ი)

თავზედ გვირგვინი აღგია, მორთული მეფესავითა,
ფეხებზედა აქვს დეზები, ცხენზედ მჯდომ მხედარსავითა.
(მ ა მ ა ლ ი)

თავს ხერხი, ბოლოს ნამგალი.
(მ ა მ ა ლ ი)

ის ვინ არის: ორჯერ იბადება,
გალობა იცის, არა ფასდება,
როცა მოკვდება — არ იმარხება.
(მ ა მ ა ლ ი)

ეგინჩარი ეგინჩრულად მოკაზმული,
თავს კაუხი ჩამოუსხამს, საფერავი ღვინის ფერი.

მიწას ქეჟავს, ცას მუქარას ეუბნება.
(მამალი)

აქედან გავკარ ისარი, მცხეთას გაეხვიტე ფიცარი.
(მამლის ყივილი)

ორი ორბისოდენა, თავი კაკლისოდენა,
შემოჰკრავს და დაიძახებს, მე ვარ ქვეყნისოდენა.
(მამალი)

გაზაფხულზე გადმოფრინდა, გადმოლახა ზღვა და მთები,
სახურავექვეშ ბუდეს იდგამს, უყვარს სახლის აივნები.
(მერცხალი)

ეს ჩემი ცხენი სოსანი, სოსანზე უფრო სოსანი,
წავა ინდოეთს წყალს დალევს, ისევ მომივა ცოცხალი.
(მერცხალი)

ბოლომაკრატელა მქვიან, გვერდზე ფრთები მასხიო,
ჩვენი ტანი სამშობლოში ხშირად არა მარხიო.
(მერცხალი)

ერთსა რამ უცხო ფრინველსა, აქა და ყოველ კიდესა,
ბოძალი აქვს და ვერ ისვრის, ზურგს უკან აიკიდებსა,
მიწას თხრის, მალლა აიტანს, შვილთათვის დაიუნჯებსა,
მისი ხმა ყოველ სულიერს აქებს და განადიდებსა.
(მერცხალი)

წისქვილის კარზე ჩხუბობდნენ ჭავი, ქუევი და ქიკარტი,
ყვავი საშველად გარბოდა, წინ გაეშვირა ნისკარტი.
(ოფოფი)

ორჯელ შობილი ერთხელა კვდება.
(ქათამი)

აბურძგალამ სიპი შობა, სიპმა აბურძგალა შობა.
(ქათამი და კვერცხი)

ერთი რამა სულიერი ნელა-ნელა კრუსუნს იწყებს,
როცა შვილებს ყველასა შობს, ორსულობას მაშინ იწყებს.
(ქათამი)

ერთი რამე სულიერი ანადარე დანადარსა,
სამ დღესა და სამ კვირასა გააცოცხლებს გადამკვდარსა.
(ქათამი და წიწილები)

ეგრეც ვიყავ: ესეცა ვარ, ისე გავხდი როგორც მე ვარ.
(ქათამი და კვერცხი)

ძირი — ხმელი, შუა — ნედლი, კატარწაპირბილებული.
(ქათამი)

დღით წევს და სძინავს, ღამით ფრინავს და დადის.
(ღამურა)

ერთი რამ არის ფრინველი უცხვირო, უყუროსანი,
უკვერცხოდ შვილის მშობელი, ვითა ირემი ხბოსანი.
(ღამურა)

ქორქოლამ დაიქორქოლა, გარს შემოისხა შვილები,
არც იყო მისი შვილები, არც მისი შვილიშვილები.
(ყვერული)

ბიჭი ვიყავი და ქალად გავხდი, ჩემი არ მყავდა—სხვისი გავზარდე.
(ყვერული)

ერისკაცობა მინდოდა — ბერათ დამსახეს,
რითაცა გავირჩეოდი — იგი წამართვეს,
მომცეს სხვის შვილი საზრდელათ — ჭკუა წამართვეს,
და „ყიყლიყოს“ მაგივრად „კრუხ-კრუხ“ მაძახეს.
(ყვერული)

ერთი პატარა მანანა საყდრისა კარსა გალობდა,
თავზე მოესხა მაზარა, კოჭამდინ არა ჰფარავდა.
(შაშვი)

ბელტი დევს — მიწა არ არი, ბალახს სჭამს — ძროხა არ არი,
კვერცხს დებს — ქათამი არ არი, გასაკვირველი არ არი?
(ციცარი)

რომელი სულიერია — უკარო ციხიდან რომ გამოდის?
(წიწილა)

თეთრი კაბა მაცვია, ყვითელი მაქვს გულია,
თვით მკვდარი ვარ, ცოცხალი ჩემგნით გამოსულია.
(ყვერცხი).

სახლი მაქვს აგეთ-იგეთი, კიკამახურით ნაგები,
შიგა ვზივარ და ვიძახი კარის არა მაქვს საღები.
(წ ი წ ი ლ ა კ ვ ე რ ც ხ შ ი)

წყობ-წყობისად დადიან, წყობა ბარაქიანნი,
წყლის პირს ჩამოსხდებიან ციხე-ქალაქიანნი.
(წ ე რ ო ე ბ ი)

თევზები, ბაყაყები

ცოცხალს—მკვდარი, მკვდარს ცოცხალი ამოჰყავს.
(ბ ა დ ე და თ ე ვ ზ ი)

წყალში ზის — თევზი არ არის, ბალახს ძოვს — ძროხა არ არის.
ლულუნებს — მტრედი არ არის, გამოიცანი, რა არის?
(ბ ა ყ ა ყ ი)

ყელი ევისა, ფერი დევისა, ხტომა ვერძისა. ხმა ზურაბისა.
(ბ ა ყ ა ყ ი)

ოთლო, თოთლო, ფეხბაკუჯა, თავქარქაშა.
(ბ ა ყ ა ყ ი)

ხმამალა ყვირილი იცის და დანტის როგორც კალია,
კურდღელივით აქვს თვალები, ცხოვრობს იქ, სადაც წყალია.
(ბ ა ყ ა ყ ი)

წყალში ვცურავ, ხმელზე დავხტი, ვენახებსაც ვეხმარები;
უვნებელი ცხოველი ვარ, მაინც ყველას ვეჭავრები.
(ბ ა ყ ა ყ ი)

სახლი ხმაურობს — შინ მყოფნი ჩუმად არიან.
(წ ყ ა ლ ი და თ ე ვ ზ ე ბ ი)

სირის, სირის ქათამი, სირის ფრთები ასხია,
ბუდიდან რომ გადმოვა, იმ წამს სული გასცვივა.
(თ ე ვ ზ ი)

გამოიცანით, რა არის, გამრავლებული მრავალი.
დღეწდე არავის უნახავს, იგი მიწაზე მავალი.

(თ ე ვ ზ ი)

ფრთები აქვს და არა ფრინავს, პირი აქვს და არა გმინავს.
უფეხოა, მაგრამ ღარბის.

(თ ე ვ ზ ი)

ოქრო, ოქრო — ვერცხლიაო, ტანს ფარფლები ასხიაო;
მის ქვეყანას მოშორდება, მუხლი აღარ ასხიაო.

(თ ე ვ ზ ი)

ქურდი სახლში შეიპარა, სახლი ფანჯრიდან გაიპარა;
ქურდი დაიჭირეს და შეჭამეს.

(თ ე ვ ზ ი და ბ ა დ ე)

ერთი სადგური ვიცი, მუდამ დადის და ღმუის;
ვინც შიგა ცხოვრობს — ლაპარაკი არ იცის.

(თ ე ვ ზ ი და წ ყ ა ლ ი)

მწერები, ჰიმნი, ძველარმაველები

ერთი რამა სულიერი მალა ზის და იხრის ყელსა,
სამხიარულოდ სახლს იგებს. თვითონ დგება უკუბნელსა.

(ა ბ რ ე შ უ მ ი ს ჭ ი ა)

აცოცდა მალა. სხვენზედა, ტკბილი საკმლითა დამტკბარი,
იქ ღმერთმა სახლი აუგო; არც ფანჯარა აქვს, არც კარი.

(ა ბ რ ე შ უ მ ი ს ჭ ი ა)

ვა, რა სახლი ავაშენე, ვა, რა ჰინაყარიო,
შიგ შევედი, დაგიძახე, ვერ გამილე კარიო!

(ა ბ რ ე შ უ მ ი ს ჭ ი ა)

ერთი რამე სულიერი სახლს იკეთებს სადგომარსა, —
თავისთვინა საკვდომარსა.

(ა ბ რ ე შ უ მ ი ს ჭ ი ა)

ერთი რამე მშვენიერი ტურფად იქნევს ყელსა,
ამისი ნამუშევარი დაამშვენებს თემსა.

(ა ბ რ ე შ უ მ ი ს ჭ ი ა)

შავი არის და შაშვი არ არის, კბენა იცის და ძაღლი არ არის.
(ბ უ ზ ი)

თევზი ირ არის — დაცურავს, კაცს არ ჰგავს. იგი. ბრძენია.
პირველად ღმერთმა დასწყევლა მისი გიშე და ძენია.
(გ ვ ე ლ ი)

თავი ბუზს უგავს. ფეხი ჩაღასა, ნახტომი — დევის ქაღასა
თვითონ ძლიეს ჩანს — ხმა კი ისმის.
(კ ო ლ ო)

გადავაბრუნე, შევხედე, ქვაია, აბა რაია?
ზევით დავდევი, კვერცხსა დებს, ქათამია. მაშ რაია?
ვარეთ გავუშვი, ბალახს სძოვს, ძროხაა, აბა რაია?
(კ უ)

გარედან ძვალი, შიგნიდან ხორცი.
(კ უ)

გული ქვა, ზურგი ფიცარი, ორი თავი და რვა ფეხი.
(კ ი ბ ო)

შევა შავად, გამოვა წითლად.
(კ ი ბ ო)

თვალი აქვს და თავი არა, ძუა აქვს და კული არა.
(კ ი ბ ო)

ზურკეები, მუცელტაშტი, თვალკაყი. ფეხტაიჭი.
(კ ი ბ ო რ ი ს ა ლ ა)

ზაქარია კორკოტაო სახლიანად მორბოდაო.
(ლ ო კ ო კ ი ნ ა)

ერთსა რამეს სულიერსა ჯიხური ზურგით დააქვსო,
თავისსა წილადობაზე ყველაზე დიდი რქა აქვსო.
(ლ ო კ ო კ ი ნ ა)

ხარი არ არის — რქები აქვს, ვირი არ არის — კურტანი.
(ლ ო კ ო კ ი ნ ა)

უხელოდ წნული საცერი მალლა კუთხეში ჰკილია,
სხვისთვის მახეა, პატრონის დერეფანი და ხილია.
(ო ბ ო ბ ა ს ქ ს ე ლ ი)

ერთი რამა ვნახე — ეშმაკისა სახე,
მალლა-მალლა დადიოდა ძირს დაედგა მახე,
წვრილი ჩიტი გაბმულიყო, ჩემი თვალით ვნახე.
(ო ბ ო ბ ა)

ერთი რამ არის საწყალი, მალლა გაუდის ცანცალი,
ნეტავი შემატყობინა, რა არის მისი საგზალი.
(პ ე პ ე ლ ა)

მალლა დახტის ცხენივითა, იკბინება, არ წივისო,
მისი ხორცი არ იკმება, როგორც კვერცი არწივისო.
(რ წ ყ ი ლ ი)

ეს შავი ცხენი ნეფისა, სწრაფად ამლები ფეხისა,
ლაგამს ვერავინ ამოსდებს კაცი ამ ჩვენი ქვეყნისა.
(რ წ ყ ი ლ ი)

შავი არი შაშვივითა, იკბინება ძალღივითა,
პატრონს ლამით ათამაშებს ქამანჩა და სტვირივითა.
(რ წ ყ ი ლ ი)

ერთი რამა სულიერი, ვერ გაარჩევ თხილშია,
მთელი ხარი დაუჭირავს, გაუჩრია პირშია.
(ტ კ ი პ ა)

სახლი ავაგე ხისაო, არ არი ნაფოტისაო,
შედიან და გამოდიან, ბრძანება არი ღეთისაო.
(ფ უ ტ კ ა რ ი)

სახლი ვიწრო, ჯალაბ დიდი, მეტად ვიწროდ აგებული,
ისარს გესვრის და არა გკლავს, განძია ღვითთ დიდებული.
(ფ უ ტ კ ა რ ი)

სუფთა, სუბუქი ფრინველი, შორით მომტანი ვარდისა,
ჯერ ცისა მოსამსახურე, მერე ყოველი კაცისა.
(ფ უ ტ კ ა რ ი)

სულ პატარა მწერი არის, ფუსფუსა და მშრომელია,
სხვა დროს შრომობს ზამთარს არა, აბა მითხარ რომელია?
(ფ უ ტ კ ა რ ი)

მშრომელი ავი, ნაშრომი ტკბილი, ცეცხლი მოედო, მიილტვის ზეცას.
(ფ უ ტ კ ა რ ი, თ ა ფ ლ ი და ს ა ნ თ ე ლ ი)

თუმცა სუსტი ციხე ვიყავ, მაგრამ ბევრი ჯარი მყავდა.
როცა მტერმა დამაქცია, ყველა ერთად გამეფანტა.

(ფ უ ტ კ ა რ ი დ ა ს კ ა)

თვალი აქვს პატიოსანი, ხაზინას არ დაედება.
ცეცხლისა ნაპერწკალსა ჰგავს, აბედსაც არ მოედება.
(ც ი ც ი ნ ა თ ე ლ ა)

არ მიცანა, ცანა, ცანა!
ხან გაიხდის, ხან ჩაიცვამს.
მაინც ცანა, ცანა, ცანა!

(ც ი ც ი ნ ა თ ე ლ ა)

ერთი პატარა მანანა ხან გაიცინებს, ხან არა.
(ც ი ც ი ნ ა თ ე ლ ა)

რისი ცეცხლია, რომ არაფერს არა სწევს?
(ც ი ც ი ნ ა თ ე ლ ი ს ა)

ა, იქითა ველაშია, კუპრი ამოდენაშია.
(ჭ ი ა ნ ჰ ვ ე ლ ა)

უფხო, უძლო, ველის ნადირი.
(ჭ ი ა ნ ჰ ვ ე ლ ა)

მივა, მოვა ქარავენი, არ უცვდება ქალამანი.
(ჭ ი ა ნ ჰ ვ ე ლ ა)

შავი არის შაშვივითა, მაგრამ შაშვი არ არის,
გაფრინდება ჩიტვითა, მაგრამ ჩიტი არ არის.
ულელს გასწევს ხარივითა, მაგრამ ხარი არ არის.
(ხ ა რ ა ბ უ ზ ა)

მოდგა და მოდგა ლაშქარი, მოდგა და მოიყარაო,
უმრად სისხლმა იდინა, უჩხუბრად გაიყარაო.
(წ უ რ ბ ე ლ ა)

წყალში დაიბადა, წყალში გაიზარდა,
როცა ამოვიდა — ექიმი გახდა.
(წ უ რ ბ ე ლ ა)

უძლო, უფხო, წყლის ნადირი.
(წ უ რ ბ ე ლ ა)

ჩვენსა ბერძნები მოვიდნენ,
დალენიანდნენ, წავიდნენ,
წყალში უნაოდ გავიდნენ.
(წ უ რ ბ ე ლ ა)

შავი არის შაშვივითა, იკბინება ძალლივითა,
გაძღება და გაგორდება კუდა მეძებარევითა.
(წ უ რ ბ ე ლ ა)

ერთი ექიმში მოვიდა ინდურ-ფანდურის გემითა,
სისხლის კარავი დაიდგა, შიგ გორავს თავში ცემითა.
(წ უ რ ბ ე ლ ა)

ა დ ა მ ი ა ნ ი

ორჯერ უკბილო, ერთხელ კბილიანი.
(ა დ ა მ ი ა ნ ი)

აყრა იყო, მაყრა იყო, მაყრის ზევით გუდა იყო,
გუდას ზევით — ფიცარი, ფიცარს ზევით — მიხრიჭი,
მიხრიჭს ზევით — მისვრიტი, მისვრიტს ზევით — მიჭყიტი,
მიჭყიტს ზევით ჭალა იყო, შიგ ტყე-ბარდით სავსე იყო.
(ა დ ა მ ი ა ნ ი)

უტი-უტი უხტალია, უხტალ ზევით გუდალია,
გუდალ ზევით — ფიქალია, ფიქალ ზევით მიკრიჭია,
მიკრიჭ ზევით მიჭყიტია, მიჭყიტ ზევით მთაი არის,
მთაზე ტყეა.

(ა დ ა მ ი ა ნ ი)

ბოძი! ბოძი, ბოძანდარი, ზედ გუდა და ზესადგარი,
ზედ იკრიჭი, ზედ იჭყიტი, ზედ ჭალა-ჭულა მთა არი.
(ა დ ა მ ი ა ნ ი)

დილით ოთხით დადის, შუადღისას ორითა და საღამოზედ სამითა.
(ა დ ა მ ი ა ნ ი)

ერთი ბერი შემომესწრო, პირი კქონდა, ენა არა,
ორი ცხვარი წინ მივართვი, წვენი სვა და ფოჩი არა.
(ა ხ ა ლ დ ა ბ ა დ ე ბ უ ლ ი ბ ა ვ შ ვ ი)

ერთი სტუმარი მეწვია მისდღეში უსტუმრებელი.
ორი ულუფა მივართვი. სუფრაზე დაუღებელი.
(ბ ა ვ შ ე ი და დ ე დ ი ს ო უ ძ ე ბ ი)

ორ მახსოვს და არ ვიცი!
(და ბ ა დ ე ბ ა და ს ი კ ვ დ ი ლ ი)

წყალში ერთი კუნძი გდია. არცა ლპება. არცა შრება.
(ე ნ ა)

ერთი რამ არი წითელი, ძირთავან ამოსულია,
ძელის კუბო აქვს და შიგა ზის, არსზედაც გადასულია.
ავი და კარგი მისგან გვკირს, მწარე და გემრიელია.
(ე ნ ა)

წევს ვინმე წვრილსა კუბოსა, ხელ აღვით ამოღებულსა,
ავი და კარგი მისგან სკირს ყოველ სულს დაბადებულსა.
(ე ნ ა)

ქუა-გონების ფარსმალი, პატარა, მოუსვენარი.
ზოგჯერ მალამოდ სასმარი. ზოგჯერ გველივით მკბენარი
(ე ნ ა)

თეთრ ქვებს უკან ფიცარია, არც ლპება და არც ხმება.
ან ტბილია, ხან კი მწარე. უპატრონოდ არ კვდება.
(ე ნ ა)

რძესავით ტბილი. ნალველივით მწარე.
(ე ნ ა)

ერთი ხელსახოცი მაქვს, ვაშრე. ვაშრე, ვერ გავაშრე.
(ე ნ ა)

ერთი მოლაპარაკე. ორი მაცქერალი და ორი მსმენელი
ერთ კვახზე სხედან.
(ე ნ ა, თ ვ ა ლ ე ბ ი. ყ უ რ ე ბ ი და თ ა ვ ი)

დაუთვალავი ძმებითა ვცხოვრობდი მაღალ მთაზედა.
პოვიდა რკინა. დაგვხოცა, დანები ება ყბაზედა.
(თ მ ა)

უნახნაოდ და უთესლოდ, უმიწოდ არის მოსული.
(თ მ ა)

ხე ბრუნდი და ხე მართალი, წვერწია ხუთი მარცვალი.
(თ ი თ ე ბ ი)

ხუთნია ხუცურაულნი, ხუთთავ ფარები ჰკიდიათ.
(თ ი თ ე ბ ი და ფ რ ჩ ხ ი ლ ე ბ ი)

ხორცის შამფური, რკინის მწვადი.
(თ ი თ ი და ბ ე ჰ ე დ ი)

ერთად ორი მეზობელი დაბადებიდან არიან,
ახლოს ცხოვრობენ მდგმურადა, თუმც ერთურთს ვერა ხედებიან,
ამ წამში რომ აქ არიან, იმ წამში გაფრინდებიან.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

ამ წამს ჩემთანა არიან, იმ წამსა გაფრინდებიან.
სხვისას ეძებენ ჯავარსა, თავისას ვერ მიხვდებიან.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

მრგვალი ვარ და კუზიანი, გარს მასხია მცველებია,
თუ რაიმე ჯავრი შემხვდა, წყალში ვცურავ, ვსველდებია.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

აი და აგერ!
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

გავშალე ქვეყნის ოდენზე, დავკეცე ფარის ოდენზე.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

კლდეზე სანთლები ანთია.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

ჩემი თოკი ბაწარა, საცა გავკრავ, იქ წავა.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

გავხსენ ფიცარნი, დავკრენ ისარნი.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

ერთი რამ არის, საცა მინდა, იქ გავუწვდენ.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

ორნი არიან, ტოლნი არიან, ხან გაფრინდებიან, ხან მოფრინდებიან.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

ორი ხარი მყავს, ერთი ქედს იქით მიბია, ერთი — ქედს აქეთ.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

აი ჩემი თოფ-თოფელა, ცისკიდემდი მიმწედენელა.
(თ ვ ა ლ ე ბ ი)

ერთი ლეწავს, მეორე ურევს, მესამე უძახის — ჩამოყარო.
(კ ბ ი ლ ე ბ ი, ე ნ ა და მ უ ც ე ლ ი)

მიწის შესაქმელი მგელის შესაქმელს მიჰყავს.
(კ ა ც ი და ც ხ ე ნ ი)

ერთი ყუთი მაქვს, სულ კენჭებით მოწყობილია.
(პ ი რ ი)

ოცდათორმეტი მცეხველი, ერთი მსვეტელი.
(კ ბ ი ლ ე ბ ი და ე ნ ა)

ბეწიკუან შუკუნანი, ბროლით გამოტენილანი.
(პ ი რ ი და კ ბ ი ლ ე ბ ი)

სახლი ავაგე ხისაო, არ იყო ნაფოტისაო,
შესვლა და აღარ გამოსვლა, წესია ბუნებისაო.
(კ უ ბ ო)

ვინცა ყიდულობს — ტირის, ვისთვისაც ყიდულობენ — ჩუმად არის.
(კ უ ბ ო)

ერთი რაჲმე საგანია, ყველას სძულს: გამკეთებელს, მყიდველს და
პატრონსაც.
(კ უ ბ ო)

გამკეთებელმა გააკეთა, თავისთვის არ გააკეთა,
მყიდვემა იყიდა, თავისთვის არ იყიდა,
ვისთვისაც გააკეთა — იმან კი ვერ ნახა.
(კ უ ბ ო)

მე ძმა მყავს შავი სახისა, არა ჩემი ღედ-მამისა,
ხან კვდება და ხან ცოცხლდება, არის სხვადასხვა ტანისა.
(ლ ა ნ დ ი)

შავია, მოლოზანსა ჰგავს, ტყეში გადაყუდებულსა,
არც არას გეტყვის მართალსა, არც არას გამრუდებულსა,
თითო ყოველ კაცს თან ახლავს, ყოველს სულს დაბადებულსა.
(ლ ა ნ დ ი)

არც ძმა არის, არც და არის. საცა წავალ ჩემთან არი,
არცა შველის მას გაწყრომა, არცა ძლიერ მკრელი სწალი.
(ლ ა ნ დ ი)

ამედევნა. არ მშორდება. ყველაფერში მევე მბაძავს,
ტყუპის ცალი თუმც არ არის. მაგრამ მეტის-მეტად კი მტავს.
(ლ ა ნ დ ი)

უსულო და უხხეულო, ხორციელის სახე არის.
რასაც იზამ. იმას იზამს. უცნაური რამე არის.
(ლ ა ნ დ ი)

ეს ჩემი ელეჟუნაო კედელზე აეჟუნაო.
(ლ ა ნ დ ი)

გავიქეც — გამოძევიდა, გამოვბრუნდი—გამობრუნდა, დაწვიქა და—
გაქრა.
(ლ ა ნ დ ი)

ცერცვი. ცერცვი. ცერცობანი, ზედ ასსია ქერქობანი.
არც იჭმება. არც ისმება, სასმარისად კარგობანი.
(ძ კ ლ ა ვ ი)

მთა დამითოვა, შორე მომიახლოვდა, ორი გამისამდა.
(მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ო ბ ა)

ზევითა მთა მომითოვა, დაბლა ბარი მამიწათხა,
შორ მოძავალი სტუმარი ერთობ ახლოს დამისახლა.
(მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ო ბ ა)

ცა დამებურა, მთა დამეთოვლა. წისკვილები მგელმა დამიჭამა.
ქვევრში ღვინო დამიქანგდა.

(მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ო ბ ა; ცა — თ ვ ა ლ ე ბ ი, მთა — თ ა ვ ი.
წისკვილები — კ ბ ი ლ ე ბ ი. ღვინო — ს ი ს ხ ლ ი)

არც დააკაუნებს, არც დააბრახუნებს, მაგრამ ყოველ კაცთან მივა
(მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ო ბ ა)

რა გვარ გლაზა უნდა იქნეს, ერთ დღეს ქვეყანას თავს აცნობს.
(ს ი კ ვ დ ი ლ ი)

თვალთ უნახავი ყაჩაღი, ცას ქვეშა ყველას ერევა,
სასელმწიფო რომ დაედვას, ვერც ნახავს, ვერ მოერევა.
(ს ი კ ვ დ ი ლ ი)

ავსაცა აქვს, კარცსაცა აქვს, ბატონსაც და ყმასაცა აქვს.
(ს ა ხ ე ლ ი)

ერთი რამ არის და ყველას უნდა.
(ს ა ხ ე ლ ი)

ერთი რამე სულიერი, მიწა—მიწა მძრომელია.
კარგი ვაქვაციისათვისა თავზე წამომდგომელია.
(ს ი კ ვ დ ი ლ ი)

ბალი თვალთგაუწვდენელი, ნეტავ. მებალე ზის სადმე?
შიგა ზის კაცი ჭაბუკი ნელსა და ხმელსა მკის სადმე.
(ს ი კ ვ დ ი ლ ი)

თავი საბანში, ფეხები კინჯარში, ყვავილებს ვკრეფდი.
არა მაქვს ხელში.
(ს ი ზ მ ა რ ი)

დაიბადა, არ მოინათლა. არც მოკვდა და არც ცოცხალა.
(ს ი ზ მ ა რ ი)

ღმერთი ვერ ხედავს. მეფე — ხანდახან. ჩენ — ყოველთვისა.
(ტ ო ლ ი, ა მ ხ ა ნ ა გ ი)

ამ ჩემი ორი ჯოხით ქვეყანა ვავზომე.
(ფ ე ხ ე ბ ი)

კლდეზე აპეურები ჰკიდია.
(ქ ა ლ ი ს ნ ა წ ნ ა ვ ე ბ ი)

დაგაბატიეებ, ხარს დაგიკლავ ურჭოსა და უწლიქოსა.
დაგაბრძანებ ღუქანშია, გაყიდინებ თამბაქოსა.
(ქ ო ს ა)

ერთი პატარა რამე მაქვს, სუყველაფერი შიგ ჩადის.
(ყ უ რ ი)

რა იცი და რა არ გახსოვს?
(დ ა ბ ა დ ე ბ ა)

ორი სახლი და ერთი ბოძი.
(ც ხ ვ ი რ ი)

თვალწინ მაქვს და ვერა ვხედავ.
(ც ხ ვ ი რ ი)

ჩემი პატარა ბოსელი ვხვეტე: ვხვეტე, ძლივს დავხვეტე.
(ც ხ ვ ი რ ი)

თაფლზე ტკბილი: ქვაზე მძიმე: სასწოროზე აუწონარი.
(ძ ი ლ ი)

თაფლზე ტკბილი, შაქარზე ძვირი. არც ვაქარი მოიტანს.
არც ბაზარში გაიყიდება.
(ძ ი ლ ი)

ბუმბულზე რბილი, შაქარზე ტკბილი.
(ძ ი ლ ი)

დავწვები და დამაწვება.
(ძ ი ლ ი)

ის ვინ არის, სულ არ არის, არც თავისთვის, არც სხვისათვისა.
რასაც იშოვის ინახავს, იმ ერთი შავი ღლისათვისა,
გადაბრუნდება, მოკვდება, დარჩება ეშმაკისათვისა.
(ძ უ ნ წ ი კ ა ც ი)

კლდეზე ორი კოკა აყუდია.
(ძ უ ძ უ ე ბ ი)

ერთ მინდორზე ორი გველი წევს.
(წ ა რ ბ ე ბ ი)

ცაში ვერძები კიდაობენ.
(წ ა რ ბ ე ბ ი)

ორ ტბაზედა ორი გველი ემუქრიან ერთმანეთსა,
რა გინდ ბევრი მიიწიონ, ვერ უკბენენ ერთმანეთსა.
(წ ა რ ბ ე ბ ი)

უნაგრილოდ გაღმა გაველ.
(ხ მ ა)

აქედან გავკარ ისარი, ბახტრიონს შევძარ ფიცარი.
(ხ მ ა)

ადამიანის სამოსელი და ლოზინი

არც ხელი აქვს, არც ფეხი და თეთრ პერანგს კი იცვამს.
(ბ ა ლ ი შ ი)

აში-ბაში, თუნთრუბაში, სახელს გეტყვი, ველარ ახსნი.
(ბ ა ლ ი შ ი)

ერთი სასახლე მაქვს, საღამოს ავაგებ, დილას დავანგრევ.
(ლ ო გ ი ნ ი და ქ ვ ე შ ს ა გ ე ბ ი)

უსულოსა, უგულოსა, ორი პირი აქვს.
(მ უ თ ა ქ ა)

დღე აკეცილი, ღამე გაშლილი.
(ს ა ბ ა ნ ი)

დღე ცარიელი, ღამე ტვირთიანი.
(ს ა წ ო ლ ი)

უღელი ხარი მყავ, დღე დავაბამ, ღამე ავუშვებ.
(ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ი)

უთვალო იყო მიყვარდა, გათვალიანდა, შემძულდა.
(ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ი)

მკვდარი ცოცხალს მიაბენინებს.
(ქ ა ლ ა მ ა ნ ი)

აი, იქითა ველშია სამი რამა დგასო,
ერთი ლბეზა, ერთი შრეზა, ერთი ისევ დგასო.
(ქ ა ლ ა მ ა ნ ი, წ ი ნ დ ა, ფ ე ხ ი)

სულიერისგან ვიშობე, ორმოცი თვალი მასხია,
უსულოდ დავეხეტები, არც ერთი აღარ ვარგია.
(ქ ა ლ ა მ ა ნ ი)

დავაბამ დადის, ავუშვებ დგას.
(ქ ა ლ ა მ ა ნ ი)

ახალი ვიყავ — ბრმა ვიყავ, დავბერდი გავთვალიანდი.
(ქ ა ლ ა მ ა ნ ი)

ძროხის ქვაბი, ადამიანის ხორცი, ცხვრის ქაფი.
(ქ ა ლ ა მ ა ნ ი, წ ი ნ დ ა, ფ ე ხ ი)

შეედგინე ტაფა, ჩაეღე ღუმეა.

დადნა ტაფა, არა ღუმეა.

(ქ ა ლ ა მ ა ნ ი დ ა ფ ე ს ი)

ერთ ბოძზე ერთი ოდა დვას.

(ქ ო ლ ვ ა)

ახინა—ახიზინისა, ყაქინა აბრეშუმისა,

ორსა მაღალსა ციხესა საძირკველი აქვს რკინისა.

(ქ ო შ ე ბ ი)

ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერებენ.

(ქ ო შ ე ბ ი)

პირქვე სავსე, პირადმა ცარიელი.

(ქ უ დ ი)

კაცზე მაღალი, ღორზე დაბალი.

(ქ უ დ ი)

დავხურავ — აივსება, ავხდი — დაცარიელდება.

(ქ უ დ ი)

დედალ-მამალი ტურაო, ერთმანეთს გადაბმულაო.

(ღ ი ლ ე ბ ი დ ა ღ ი ლ ი ს კ ი ლ ო ე ბ ი)

ხე გადავჭერ, ზედ გადაეჭეკ.

(შ ა რ ვ ა ლ ი)

აჯილ-აჯილა პიმაილა, ღუმეაყი აბრეშუმისა,

ზედა აქვს ციხე-ქალაქი, საძირკველია რკინისა.

(ჩ ე ქ მ ა)

თხა და ძროხა დაძმობილდა ნემსის შუამავლობითა.

(ჩ ე ქ მ ა)

ფეხნი მიდგან კავშიაო, კოდნი მიდგან კარშიაო,

შენ მაგას ვერ გამოიცნობ, ადუ გადი კარშიაო.

(წ რ ი ა პ ი)

რასა აქვს ხუთი თითი და არც ერთი ფრჩხილი?

(ს ე ლ თ ა თ მ ა ნ ი)

დაბმულ დიანო, დაზეზებული დგანანო.

(ჯ ლ ა ნ ი)

ბ ი ნ ა, ც ე ტ ლ ი

პატარა ვარ. მაგრამ თუ გამაბრაზეთ. ქვეყანას დაეწვივ-
(ასანთი)

მცირე ბელელშა ასი ხანბარი ძვეს.
(ასანთი)

ორი ფრინველი არის ჩემთან, მინდა მივწყდე. დავიჭირო.
ვერ დამიშვებია.
(ბოლი, ორთქლი)

ხანამ დედა გამოჩნდებოდა, შვილი ქ-ლაქს მიდიოდა.
(ბოლი და ცეტელი)

ესე რა ახე-მახეო, ეშაყებისა სახეო,
ადღა და ზეცას წავიდა. კვალი ვერ დავინახეო.
(ბოლი)

ლურჯი აბრეშუმი სარკმლითაყენ მოიწვეს.
(ბოლი)

ვზივარ პირდაღებული, ყველა მე მიყურებს.
(ბუხარი)

შავი არის შაშვივითა. გაღაჭული კაცივითა.
(ბუხარი)

ერთი იბახის: „თავი“, მეორე იბახის: „წელი“,
მესამე ეუბნება: „ყაირათი ქენი“.
(დარბაზი. დედაბოძი და თავხე)

თეთრი ვარ. გაშლილ მინდორსა ვარდივით მოვეფინები.
სადაც რომ გამიჭირდება, ჯორს და ცხენს მოვეკიდები.
(ჯარავი)

თეთრი სახლი უსაძირკვლო, უსალუტოდ წოდებულნი,
იან შეკრული. ხან გახსნილი, ხან მგზავრი და ხან დებული.
(ჯარავი)

არც მიწას სწვდება, არც ცასა.
(ჯარი)

მიდის, მოდის გაბრიელი, არავინ ჰყავს მადრიელი.
(ჯარი)

მიდის, მოდის, იქვე კი დგას.
(კ ა რ ი)

ერთი წევს და არა დგება, მეორე ჭამს — არა ძღება,
მესამე მიდის და არა დგება.

(კ ე რ ა, ც ე ც ხ ლ ი და კ ვ ა მ ლ ი)

ახიანო, მახიანო, ეშმაკების სახეანო,
აგრე შერბოდა ზევითა, თვალით ვერა ვნახიანო.
(კ ვ ა მ ლ ი)

სახლის თავზე შავი ქოჩორა დედალი დადის.
(კ ვ ა მ ლ ი)

ყველა მიწვება, მოწვება, ჩირიკი ხეზე გაწვება.
(კ ვ ა მ ლ ი)

შეხე კურდღლის ბაჭიასა, მალლა ავა, ძირს ჩამოვა,
კვალი არსად აჩნიასა.
(კ ვ ა მ ლ ი)

სახლის თავზე მთვარეა.
(კ რ ა მ ი ტ ი)

დღე ქრება, ღამე ენთება.
(ლ ა მ ფ ა)

ერთხელ დაწვა არ მაკმარეს, მეორედაც ლამობენო,
ქვეყანაზე ზამთარ-ზაფხულ შეშის ბადლად მხმარობენო.
(ნ ა ხ შ ი რ ი)

გინდ შესწვი და გინდ მოხარზე, გინდ კერიდგან დასძარიო.
გინდ გასცერი, გინდ გამტკიცე, ის დარჩება, რაც არიო.
(ნ ა ც ა რ ი)

ცხრანაირმა ფრინველმა, ერთი კვერცხი დასდო.
(ნ ა კ ვ ე რ ჩ ხ ა ლ ი)

პატარა ვარ, გამიფრთხილდი, თორემ დიდსა გავაჩენო.
(ნ ა პ ე რ წ კ ა ლ ი)

გაფრინდება ჩიტივითა, მაგრამ ჩიტი არ არის,
უღელს გასწევს ხარივითა, მაგრამ ხარი არ არის.
(ო რ თ ქ ლ ი)

სახლში ძალი წევს, კუდი ბანზე აქვს.

(რკინის ღუმელი)

ყველა მიწვება, მოწვება, ბებერი კარებს აწვება.

(ურდული)

ტყემ გამზარდა სიყვარულით. მიპატრონა, არ მიმტერა,
კაცმა მომჭრა, გადამაგდო, ცეცხლით გამანაცარებტერა.

(შეშა)

წითელსა ეკლესიასა შავი ჩამოჯდა ყორანო.

(ცეცხლზე ჩამოკიდებული ქვაბი)

წითელი შავს ურბენს.

(ცეცხლის ალი ქვაბის გარშემო)

წითლის წიქარას ნაწოლზე ბლახნი არ ამოვლენო.

(ცეცხლი)

ვზივარ შუა, არ მაქვს ფასი, შემომტყერის ყველა თვალში.

(ცეცხლი)

ჩემი ნათლია, რაც უნდა შორს იყოს, ვიცნობ.

(ცეცხლი)

ჭრის და არ აკაუუნებს.

(ცეცხლი)

ამოქროლდი ქვენა ქარო, ხარა უნდა ვახარხარო.

გამოვაცხო თბილი პური და ბავშვები გაეხარო.

(ცეცხლი)

კურჭლეულოცა

გარედან ვერცხლის ფერია, შიგა დგას ლალისფერია.

(ბადია)

ერთ პატარა მინდორზე სულ თოვს.

(გობი, რომელზე დაც ფქვილსა სცრიან)

გარეთ გავა, გასუქდება, სახლში მოვა — დაფუკდება.

(გუდა)

დათვი ყუყს და ყური უჩანს.
(დოქი)

ერთი პატარა საყდარი, უსინათლო და ბნელია,
გუმბათი გაღებული აქვს, სხვაგან კი ჩახურულია.
(დოქი)

ხე დავიარე ხერგნელი, ხე ვერ ვიპოვე მართალი,
ერთი ხე ვნახე მართალი, ისიც გულგამონათალი.
(ვარცლი)

ერთსა პატარა ალაგსა გარ ზღუდე შემოვლებულსა,
ნიადაგ ნახავ მორწყულსა, აროდეს აყვავებულსა.
(თასი)

ეს ჩემი კუზურელია დღეცა და ღამეც ზეზეა.
(თუნგულა)

კატა კლანჭებით ჰკიდია.
(კალათი)

უსულოსა, უგულოსა, შვიდი სარტყელი არტყია.
(კასრი)

ერთი უსულო ბერია, ცხრა ქამარ მოუქერია.
(კასრი)

აჯიჯარი, ბაჯიჯარი, ოთხი ფეხით მაბიჯარი.
(კიდობანი)

პატარა რამ კურტანია, ახლოს ტვირთის მომტანია.
(კოვზი)

კუზიანს ბარგი ავკიდე, ჭიჭიკავ კარი გამიღე!
(კოვზი და პირი)

ერთი ამბობს, წავალ და ისევ მოვალო.
(კოკა)

ყველა კაცი მიწვა-მოწვა, ბასიმ ჭიპი გააბზიკა.
(კოკა)

ოდენი ოდნის ოდენა, თავი აქვს გოდრის ოდენა,
ფეხი უგავს ძუკნა ძაღლსა, ხმაცა აქვს მერცხლის ოდენა.
(კულა)

ერთი რამ არის უსულო, მდებარე მუცელ-ყელითა,
წყალი სწყურია — ვერა სვამს, სხვანი ჩაასხმენ ხელითა,
ლაპარაკობს და არ ისმის არა სჭულისა ენითა,
თავზედაც ცეცხლსა მოიდებს, კაცსა აავებს ლხენითა.
(კ უ ლ ა)

გამოცანას მოგახსენებ ჩვენს გაბერილ თხაზედაო,
პირში სული აღარ უდგას, ღვინოს კი სვამს ძალზედაო.
(ტ ი კ ი)

ხე სორსალი—ხუთბოძალი.
(ლ ა ფ ე რ თ ხ ა)

გარუჯული, გახრუჯული, ყურეშია მიგდებული.
(ლ ა ს ტ ი)

ერთი რამა სულიერი, ყველა იმასა კოცნისა.
(ლ ი ტ რ ა)

ერთი ცხვარი მყავს, რომ დავკლა, სისხლი არ გამოუვა.
(მ ო თ ა ლ ი ს გ უ დ ა)

გარეთ, ოქრო, შიგნით ვერცხლი, ვერცხლში წყალი, წყალში
ცეცხლი.
(ს ა მ ო ვ ა რ ი)

აკიბულისა კიბესა, როსტომიანის ციხესა,
შევა ლომი და შეკივა, ზედ მარგალიტი შესცვივა.
(ს ა ქ ე ა ბ ე ლ ა ქ ე ა ბ ი)

ღორი, ღორი, ღორღომელი, ტანდაბალი საქონელი,
გარეთ გავა, გასუქდება, შინ შემოვა, შეწუხდება.
(ტ ი კ ქ ო რ ა)

თითი სვამს, ხბო იბერება.
(ტ ი კ ქ ო რ ა)

სულიერი — უსულოზე, უსულო — ურჯულოზე.
(ტ ი კ ი)

ცოცხალია — ბალახსა სძოვს, მოკვდება და ღვინოსა სომს.
(ტ ი კ ი)

ატა — ტომარა, ბატა — ტომარა. სახელს რომ გეტყვი. გვარს
მიტომ არა.
(ტომარა)

ასთვალა და გრძელკუდა.
(ქაფქირი)

ბანი აქვს, კარი არა აქვს.
(ქილა)

ღულს, ღულს, ხვარხვალებს. მოსწყურდება წყალს დაღევს.
(ქოთანო და ლობიო)

შიგნით წიქარა, გარეთ გიშერა.
(ქვაბი)

ასმუცლიანი ბებერი სულაც არ ხმარობს საკმელსა,
ლოთი კი ისეთი არი, ვერ მოაქარბებ სასმელსა.
(ქვევრი)

მიიწმინდა, მოიწმინდა მიისკილისკამურაო,
ქვევით მელიყური ყარა. ჩაითხელითხამურაო.
(ქვევრი და ღვინო)

რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს.
(ქვევრი)

ერთი პატარა რამა მაქვს ცხვირგრძელი და გაწვეტული,
რამდენი ღვინო ჩავასხი, ვერა ვნახე გავსებული.
(ძაბრი)

სილამაზით თავს ვიწონებ, ყელი მომიღერებია,
ვინც ჩემი კოცნა ინება — არვინ მომიმღურებია.
(წყლის ლიტრა)

სასმელ - საჭმელი

ჩემს იქითი გორაზედა წყალან გამაწკანწკარებენ.
(არაყი)

შავი ზღვითა წამუალის კაცი გუნებიანი,
უჩინ-უჩინ გამახყვების, გამავ პიროფლიანი.
(არაყი რომ ლულაში გამოედინება)

ავხადე ფირფიტელასა, ჩავხედე გულყვითელასა.
(ე რ ბ ო ქ ი ლ ა შ ი)

დაიბადება უსულო, შესჭამენ გემრიელადა,
თუ არ შესჭამეს, მეორედ დედა შობს სულიერადა.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

მინამ დედამ შვილი შობა, შვილი ფესმძიმედ იყო.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

ციხე ვნახე საკვირველი, სულ აგურით აგებული,
შიგ ორპირი საქონელი, კარი არსად საპოვნელი.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

ერთსა რასმე მოგაბარებ უსულოსა, უგულოსა,
ისეთ გვარად შემინახე, რწუილმა არსად უკბინოსა.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

შიგნით ოქრო, გარეთ ვერცხლი.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

უსულო ვნახე ორსული. სულიერისა მშობელი.
შვილსა შობს — დედა მოყვდება, ვინ არის გამომცნობელი.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

ერთ ტიკვორაში ორნაირი ღვინო მიდგა: ერთი თეთრი; ერთი
ყვითელი, რამდენიც უნდა აჭანყყარო — ერთმანეთში ვერ აურევ.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

უსულო იყო, პატარა, არ ჰქონდა ფეხი; ხელები,
დასცხა და სული ჩაედგა, გადაირბინა ველები.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

ჩემ პატარა საყდარს ვუარე, ვუარე. კარი ვერსად ვუპოვნე.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

როცა ცივია — თხელია, როცა გათბება — გაჰყინავს.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

ერთი სახლი ყვითელ-გული, ურკინოდა აგებული,
დასამტვრევიც ადვილია, არ სჭირდება ურო-ტული.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

სულიანსა — უსულო, უსულოსა — სულიანი.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

არც ბანი აქვს, არც კარი აქვს.
(კ ვ ე რ ც ხ ი)

კარს უკან წირბლიანი ბებერი ჩიფჩიფებს.
(კ ო რ კ ო ტ ი)

შიგნით ტყავი — გარეთ ხორცი.
(ქ ა თ მ ი ს კ უ ჭ ი)

მიწაში დავიბადე, ცეცხლში მოვინათლე,
წყალში ჩავვარდი — მთლად დავიკარგე.
(მ ა რ ი ლ ი)

წყალში იბადება და წყლისა კი ეშინია.
(მ ა რ ი ლ ი)

არც უჩემოდ შესჭამს ვინმე, არც თუ მართო მე მჭამს ვინმე.
(მ ა რ ი ლ ი)

წყალში ჩავაგდე — წყლად გადაიქცა,
ცეცხლში ჩავაგდე — ხმად გადაიქცა.
(მ ა რ ი ლ ი)

დიდი ლოდი ვარ, გულჩვილი, ყველასთვის სანატრელია,
უჩემოდ სადილს ვერა ჭამს ვერც ერი, ვერცა ღვდელია.
(მ ა რ ი ლ ი ს ქ ვ ა)

ამ ჩემს პატარა საყდარში ორი ხატი ასვენია.
(კ ა კ ლ ი ს გ უ ლ ი)

ქვეყნის ჯარი ლაშქარს მიდის, შენ რას შეეზი, კინკარაო?
ჩოხა, ჩაჩი მივატოვე, გადმოვვარდი ტვლიპანაო.
(კ ა კ ა ლ ი)

მალლა ვარ, ფეხნი ძირს მისხენ, ვარსკვლავთა ვემუდარები,
მწარე ვარ შესახედავად, გულით — მზეს გავედარები.
(კ ა კ ა ლ ი)

აქეთ ქედი, იქით ქედი, შიგ ლომი მოგორაობდა.
(პ უ რ ი ს ც ო მ ი გ ო ბ შ ი)

ყველაზე დიდი ხმა რასა აქვს?
(პ უ რ-მ ა რ ი ლ ს)

ერთ რამეს სამჯერ შექამენ და ორჯერ დაღევენ.
(რ ძ ე)

შრომა და შრომის იარაღები

ბოლოზე ხელი მომავლეს, მკლავზე დამადგეს ფეხიო,
პირით მიწა მათხრევინეს, მე ამას არა ვკვებხოო.
(ბ ა რ ი)

ორნი არიან, ტოლნი არიან, გზასა მიდიან, მიიმღერიან.
(ბ ო რ ბ ლ ე ბ ი)

ოსკი, ოსკის ოდენი, მოჭდა კოჭბის ოდენი,
ნისკარტი ჰკრა ხუთასი, მთა გააპო ექვსასი.
(გ უ თ ა ნ ი)

ანასაო, ბანასაო, წვერი უგავს დანასაო,
ჯერ ხომ საფლავს დაუმზადებს, მერე მომკის ყანასაო.
(გ უ თ ა ნ ი)

ღროით ვთესავ, ღროით ვკრეფავ, თვითონ ვძღები—სხვასაც ვკვებავ.
(გ უ თ ა ნ ი)

აკიბული კიბეები, ხოროსნები, ციხეები,
შიგ აბიან ხოროსნები, დასძახიან ფელუნები.
(გ უ თ ა ნ ი)

ღორღიანათ გავა მგელი, კუდწვრილი და გავასქელი.
(გ უ თ ა ნ ი)

არწივი წივის, მუხნარი კივის, ლომი ეწევა, ფუტურო სკდება.
(გ უ თ ა ნ ი)

ასიანის მთაზედა ასი ცხვარი ყუყუნებს,
ერთ ნუკრს ფეხი მოტეხია, ყველა იმას უყურებს.
(დ გ ი მ-ს ა ვ ა რ ც ხ ე ლ ი)

ფეხებს ვარხევ, მუცელს ვაღებ, პირ-დაღებულს ლუქმას ვაძღევ.
(დ გ ი მ-ს ა ვ ა რ ც ხ ე ლ ი)

ასიანისა მთაზედა ასი თათარი დგასაო,

ასსა ფეხი მოტეხია, ასი ისევე დგასაო.

(დ გ ი მ-ს ა ვ ა რ ც ხ ე ლ ი)

სამფეხა ვარ და ერთგული, ცეცხლის ალით დაჩაგრული,
მთელს სიცოცხლეში ასე ვარ, ან კი როგორ მიდგა სული.

(ზ ე დ ა დ გ ა რ ი)

სამ კაცს ერთი ქუდი ახურავს.

(ზ ე დ ა დ გ ა რ ი)

ერთი რამეა. სამ ფეხზე დგას.

(ზ ე დ ა დ გ ა რ ი)

ერთი პატარა ეკლესია ხატებით არის სავსე.

(თ ო ნ ე)

ჩვენსა თავმოედანზედა დათვი აბრუნდა ლამზედა.

(კ ა ლ ო ო ბ ა)

სახლში მივალ, დამაყრიან კაჟა-კუჟუ-კუჟუნასა,
გამისმენ და გამომისმენ ცალ-გვერდულა წაზუნასა.

(კ ე ვ რ ი)

გულზე ქვა. ზურგზე ფიცარი, ზედა ზის მაყურებელი.

(კ ე ვ რ ი)

მიდის პელა, მისთრევს ენა.

(კ ე ვ რ ი)

ხის ზურგია და ქვის მუცელი, რვა ფეხი და ორი თავი.

(კ ე ვ რ ი დ ა ხ ა რ ე ბ ი)

პატარა წიკწიკელასა, მთიდან თივა ჩამოჰქონდა.

(თ მ ი ს ს ა კ რ ე ჭ ი მ ა ნ ქ ა ნ ა).

ვეძებ, რაც არ დამიკარგავს, არ მენახა — დავიჭირე.

გავცივდი და ავად გავხდი, საქმე რისთვის გავიჭირე.

(მ ე თ ე ვ ზ ე)

ის ვინ არის, რომ დილით მდიდრდება, საღამოთი ღარიბდება?

(მ ე ნ ა ხ ი რ ე)

ერთსა კაცსა, იმ საწყალსა, ზურგზე ცოლი აეკიდა:
უკანიდან მტერი მისდევს, წინ მოკეთე წაეკიდა.

(მონადირე, თოფი და ნანადირევი)

თემ-თემად მოდის ლაშქარი, მოვა და მოიქცევისა,
უწყალოდ ყრია დაჭრილი, სისხლი არ დაიქცევისა.
ღმერთმა ეს მოგვცა საზრდელად, თუ კაცი მოიქცევისა.
(მკა)

დედაჩემმა გამომგზავნა, ანუი-მანკი მათხოვეო,
ქვეშ გამავლეს, ზედ გამარტყეს, სავარცხელი მათხოვეო.
(მაქო)

ბოსელში ხარი შევაგდე, კუდი ხელში შემრჩა.
(მაქო)

მკვდარი ცოცხალს იჭერს.
(მახე)

გავალ, გავალ ქარივითა, ხმას გავიღებ ზარივითა.
გლესის ბიჭმა შემინახოს მარგალიტის თვალვითა.
(ნამგალი)

არმიცანა: ცანა, ცანა, თხა მიდის ფიცარ-ფიცარა,
სად მიხვალ, შე მოკაკულო? მე მივალ გამართულთანა.
(ნამგალი)

ერთმა კუზიანმა მთელი მინდორი შემოირბინა.
(ნამგალი)

— საით მიხვალ, კაკულიავ?

— შენთან მოვალ, ფშიკურიავ.

(ნამგალი და ყანა)

მიდის — კვალი არა რჩება, ქრის — სისხლი არ დინდება,
თლის — ნაფოტი არა ცვივა.

(ნავი, წყალი და ნიჩაბი)

თავშეხვეული თათარი გვერდებზე გეხახუნება.

(სარცხი)

ერთი თხა მყავდა ელაო, მხარზე გავდო ენაო,
იმისი ნათქვამ-ნაქნარი ქვეყანას დაეჭერაო.

(სასწორი)

ორი თავი აქვს, ექვსი ფეხი აქვს, წელზე კუდი აბია.
(ს ა ს წ ო რ ი)

ტყეში დავიბადე, ტყეში გავიზარდე,
სოფელს ჩამოვედი, ვაჭრობა ვისწავლე.
(ს ა ს წ ო რ ი)

კიკნა, კიკნა კიბესაო, ზურმუხტების ციხესაო,
ზევით დათვი ყვიროდაო, ქვეშ ბალანი ცვიოდაო.
(ს ა ჩ ე ჩ ე ლ ი)

მუცლით ჰამს და ზურგითა ყრის.
(შ ა ლ ა შ ი ნ ი)

გავალ ხესა, ვაქნევ ხელსა, გამოვიყვან ბაქრაძესა.
(ს ა მ უ ხ ვ ე ლ ი დ ა შ უ ლ ო ძ ა ფ ი)

ძირს მარხია ორი ტოტი, ზევიდან ვაზივარ ხესა,
დიასახლისს ვენმარები, სამოსლისთვის ვიქნევ ხელსა,
შვილო, შვილო, ავაგოგებ, შესაწმახნად ერთად ძმებსა.
(ს ა მ უ ხ ვ ე ლ ი)

ზურგზე ჰკიდია გროშები, თუმნები მილიონია,
ფასად კი ბევრად არა ღირს, ადვილი საშოვნელია.
(ს ა ა ნ გ ა რ ი შ ო)

შეგხედე და შავი იყო, მივედი და ხრამი იყო.
(ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი)

ავშარა ხელში მიჭირავს, სული ცაში მიდის, ხორცი ძირს ცვივა.
(ფ ი წ ა ლ ი)

ამართული ვარ ზეცამდის, აგურის დიდი სანთელი,
ვეყირი და შავად ვაბოლებ, როცა რამე მაქვს სათქმელი.
(ქ ა რ ხ ნ ი ს მ ი ლ ი)

არის ლურსმნის დამქედავი, ხის ტარი აქვს, რკინის თავი,
სამუშაოდ იმას ხმარობს მუშა თავის მძლავრი მკლავით.
(ჩ ა ქ უ ჩ ი)

ერთი ძალი მყავს, წავა ტყეში — ყეფს, მოვა სახლში — დაეგდება.
(ც უ ლ ი)

ცეცხლში დავიბადე, ცეცხლში გავიზარდე,
ტყეში გავედი, დიდი დავიძახე.
(ც უ ლ ი)

ბევრ ბალახს მაჭმევენ, ქვიშას მაყლაპებენ,
კბილებს მაგლეჯენ და ისევ მიკეთებენ.
(ც ე ლ ი)

ქალი იჯდა ტახტაზედა, ცრემლს იყრიდა კალთაზედა.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ქ ვ ე ბ ი)

იქით გორას ქორი კივის, აქეთ გორას შავარდენი,
შუა ხოხობ ჩამოტირის: — მაგათ ხელში ჩავევარდები.
მომკვლენ, აღარც-კი შემჰამენ, სახმელეთოდ დავვარდები.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ქ ვ ე ბ ი და მ ა რ ც ვ ლ ე ბ ი)

თოფი ხისა, ტყვია წყლისა, ხეს ეცა და ქვა გაიქცა.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი)

კივის, კივის კივოსანი, თავს დასძახის თათარხანი:
— ადე, ბულბულ, გაიხედე, მოდიან თუ არსად არი.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი)

მთაში დათვი ღლოფინობდა, ალუჩანა ყბას უქცევდა.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი)

ნეტა რა ღმერთმან დაბადა და ჩვენთვის სარჩოდ ინება:
მუდამ რბის და არა დგება, არც რბენა მოეწყინება,
წყალი აქვს, მაგრამ არა სვამს, თავს მტვერი დაედინება.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი)

ოხრო ხვრინავს, დევი ფშვრინავს, მასპინძელი სანთელს ანთებს.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი)

აფირფიტული ფირფიტა ფირფიტას ეფარებოდა,
მისი ნასროლი ფინთიხი ხელმწიფეს ეკადრებოდა.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი)

დათვი სჭამდა, რახრახებდა, მასპინძელი ყურს უგდებდა.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი)

უსულოა, უგულოა, ჰამს და დადის.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი)

ხის მშვილდი და წყლის ისარი,
ჯირკს ვესროლე; ქვა გაფრინდა.
(წ ი ს ქ ვ ი ლ ი)

ხელში მეტევა, სახლში კი არა.
(ჭ ო კ ი, კ ა კ ლ ი ს და ს ა ბ ე რ ტ ყ ი)

ახლახუნ-დახლახუნი, დოსკაპ-დოინჯებიანი.
ოხროხი, დოხროხი, დოინჯი და დოწკიპი.
(ხ ა ფ ა ნ გ ი)

ძალდი წევს და კუდი ღრინავს.
(ჯ ა რ ა)

ორი ორბიტონა, თავი გოგრიტონა.
ფეხები ციგას მიუგავს, ენა მერცხლიტონა.
(ჯ ა რ ა)

ხ ე ლ ს ა ქ მ ე

ტანმალალსა და ტანწვრილსა ხის ქუდი მსურავს თავზედა,
ბამბა, მატყლი, აბრეშუმი — ხშირად მაცვია ტანზედა,
ბატონად დედაკაცი მყავს, ის ფიქრობს ჩემს ავ-კარგზედა,
ის მაცმევს, იგივე მატიტვლებს, ჩემს კაბებს ჰყიდის სხვაზედა.
(კ ვ ი რ ი ს ტ ა ვ ი)

შევხედე და შავი იყო, მივედი და მკვდარი იყო,
ფეხები რო დავუქირე — ნაცოხარი ამოიღო.
(მ ა კ რ ა ტ ე ლ ი)

ორი წვერო, ორი რკალი, შუაში ერთი ლურსმანი.
(მ ა კ რ ა ტ ე ლ ი)

ეგერ, ეგერ გორაზე კვიცები იკბინებიან.
(მ ა კ რ ა ტ ე ლ ი)

კაქკაქმა ნაქახუახევმა, გასჭრა მზენი და მთვარენი,
იმისმა მამიდაშვილმა ზედ მოაკერა ფარენი.
(მ ა კ რ ა ტ ე ლ ი, ნ ე მ ს ი და ძ ა ფ ი)

ეს ჩემი ბაჩა მირბის და მიჭიხვინობს.
(მ ა კ რ ა ტ ე ლ ი)

თაგვი მირბის შარა-შარა, კული მიაქვს ჩქარა-ჩქარა.
(ნ ე მ ს ი და ძ ა ფ ი)

მირბის მელა, მისდევს ძერა.
(ნ ე მ ს ი და ძ ა ფ ი)

ქვეყანას მოსავს, ჭურის თავს კი არ გადასწვდება.
(ნ ე მ ს ი)

გაძვერაი გაძვრება, თავს საბელი გაჰყვება.
(ნ ე მ ს ი და ძ ა ფ ი)

თაგვი გარბის ფიცარ-ფიცარ, კული გააქვს სათარ-სათარ.
(ნ ე მ ს ი და ძ ა ფ ი)

ცალფეხა ვარ, ერთი თმა მაქვს, მეტის-მეტი გრძელია,
ლარიზისა და მდიდრისთვის უჩემობა ძნელია.
(ნ ე მ ს ი)

რკინის ცხენს ბამბის კული აბია.
(ნ ე მ ს ი)

ჩემი თეთრი ვარია, სირბილითა მაკია.
(თ ი თ ი ს ტ ა რ ი)

ავიდოდა-ჩავიდოდა. აბუმბული რქიანიო.
აჰყვებოდა, ჩაჰყვებოდა ძველი ბუნუსიანიო.
(ნ ა რ თ ი და თ ი თ ი ს ტ ა რ ი)

მალლა ბატი ტრიალებს. ძირს ბუმბული ფრიალებს.
(ს ა ჩ ე ჩ ე ლ ი)

მალლა ვზივარ ბაქანზედა. წვერი მცევივ კალთაზედა.
(ს ა ჩ ე ჩ ე ლ ი)

დათვი ზის და თმას იწეწავს.
(ს ა ჩ ე ჩ ე ლ ი)

ასათიანის მთაზეო. ეშმაკი იჯდა ქვაზეო.
ორი ხელებით წვერს იგლეჯს, აღარ იყენებს ყბაზეო.
(ს ა ჩ ე ჩ ე ლ ი)

ბუი მიზის კალთაშია, თავზე იყრის ნაბუარსა.
(ს ა ჩ ე ჩ ე ლ ი)

ჩვენ ხუთნი დანი ვიყავით, არც ერთს არ გვექონდა ზრდილობა.
იმ თავიდანვე თან დაგვეყვა ერთი მეორის ცილობა.

(წინდის ჩხირები)

ოთხნი აგებენ ციხესა, მეხუთე ზედ იარება.

(წინდის ჩხირები)

ოთხი ზის და ერთი უფლის.

(წინდის ჩხირები)

აკიებსა, ჩაკიებსა, საროს ტანისა ციხესა,
ხუთი ნამორი რკინები ჩაჰყვება კიდის კიდესა.

(წინდის ჩხირები)

ხუთნა ხუცურაულნი ხუთნივე აგებენ ციხესა.

(წინდის ჩხირები)

ერთ რამესა მოგახსენებ, დიდი არაფერიაო,
ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან ალისფერიაო.

(ხალიჩა)

ტექნიკა, იარაღი

არცა შენი ცხენი მინდა, არცა შენი უნაგირი,
აქეთ იქით დავსეირნობ, მაინც მომაქვს ჯამაგირი.

(ბორანი)

დახე ჩემსა რიჩხინასა, მკვდარი ცოცხალს იჭირავსა.

(ბორკილი)

კიჭი, კიჭი, კიჭინასო, მკვდარს ცოცხალი მიჭირავსო,
ღმერთო, ჰკითხე კიჭინასო, რა უბრალოდ მიჭირავსო.

(ბორკილი)

ჩვენი სახლის კუთხეში ეშმაკი ჰკიდიო.

(დამზაჩა)

შუაში აბლაბუდაა, მთელს სახლს კი ანათებს.

(ნათურა)

ერთ ჩიტს ერთი სახლი აბარია.

(გასაღები)

შიგნით — ხვრელა, გარეთ — ქრელა, „უპუ“-ს დასაძახებელა.
(თ ო ფ ი)

შიგნით ქეჭა, გარეთ ელვა, კაცის შემაშინებელა.
(თ ო ფ ი)

კამსი, კუმსი, კამსარასა, ნადირობს და სჭამს არასა.
(თ ო ფ ი)

არზუმელი გველი, მიწა-მიწა მთხრელი,
ნადირს მოჰკლავს, არა სჭამს, არის საკვირველი.
(თ ო ფ ი)

ერთი ხე იყო მართალი, ისიც გვერდგამონათალი,
უკან კაცი მიჯდომია, ბრუტიანი და ცალ-თვალი.
(თ ო ფ ი)

კუდმოწყვეტილ მელას ქვეყანა წინ გადუდგა და ვერავინ დაიჭირა.
(ტ ყ ვ ი ა)

იციკმაკური, სალაფერდუმი, გოჰკანტური.
(თ ო ფ ი ს ჩ ა ხ მ ა ხ ი)

გამკვრენ, ცეცხლს ვისვრი, გამაჩერებენ — რკინა ვარ.
(კ ვ ე ს ი)

გოგი გოგავს, გოგსა უცდის, პაწანწალა კარებს უხსნის.
(ბ ო ჭ ლ ო მ ი და გ ა ს ა დ ე ბ ი)

არცა ყვეს და არც იძვრის, სახლს კი უდარაჯებს.
(კ ლ ი ტ ე)

საწოლის კარსა მისულან ყვაევი, ყორანი, ჰილყვაევი,
შაშვი მისულა საშველად, შეუშვერია ნისკარტი.
(კ ლ ი ტ ე-გ ა ს ა დ ე ბ ი)

თავი აქვს და თვალი არა, კული აქვს და ძუა არა.
(ლ უ რ ს მ ა ნ ი)

არც ფრთები აქვს, არც ფეხები, იკლანება გველივითა.
(მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი)

მიდის, მოდის — კვალს არ აჩენს.
(ნ ა ვ ი)

მუშა ვარ დაულაღვი, მძიმე ნაბიჯით დაეალო,
უსმელ-უქმელი საქმეზე რა წამსაც გინდა. მზა ვარო,
გულში თუ ეცგრძნე წრიპინი დაუკეცავი გზა ვარო.
(ს ა ა თ ი)

აინდური, ბაინდური, კისერ-კოკლო ჩაინდური,
მოიღლება, მოიშლება, მოსწყინდება სიარული.
(ს ა ა თ ი)

სულ მორბის და იქავეა, მისთვის არც დღე, არც ღამეა.
(ს ა ა თ ი)

იანური-ჭიანური, კისერ კაკა-იანური,
მოიშლება, მოიწყობა, არ სწყინდება სიარული.
(ს ა ა თ ი)

პატარა წიწყინტელასა მთიდან თივა ჩამოჰქონდა.
(ს ა მ ა რ თ ე ბ ე ლ ი)

ის რა მხედარია, რომ ცხენზედ ზის და თავისი ფეხები
ყურებზე აქვს გაწყობილი?

(ს ა თ ვ ა ლ ე)

ორმო ბნელი, შიგ მოზვერი, ძნელად მოსაბრუნებელი.
(თ ო ფ ი, ხ ა ნ ჯ ა ლ ი)

შავს კლდესა შავი ყორანი ჩავა და ჩაექანება,
ჩავა და ლეშით გამძღარსა ამოსვლა დაეზარება.
(ხ მ ა ლ ი)

აკარკნილი, დაკარკნილი, კერიაზე დაჰკარ კბილი.
(ჭ ა ჰ ვ ი)

განძეულობა, ფული

ჩემი პატარა ფინია, ჩემი სუფრა და ლხინია,
სულამც მას ენაცვალება ჩემი ცოლი და შვილია.
(ა ბ ა ზ ი)

თეთრი სითხე ვარ, ლაპლაპა, ხელით ვერ მომეპარები,
თუ შექეხები უბრალოდ, წავალ და გაგეპარები!
(ვ ე რ ც ხ ლ ი ს წ ყ ა ლ ი)

პატარა არის, ლამაზი, ფასი არ უდრის ალმასსა,
მოლადობს და სწრაფად დარბის, მეფეს არ მისცემს სალამსა.
(ვ ე რ ც ლ ი ს ფ უ ლ ი)

ერთი კედლის წინ ხან ერთი ვარ, ხან ორი.
(ს ა რ კ ე)

ის რა საგანია, უცბად რომ იღებს სურათს?
(ს ა რ კ ე)

ქვეყანას გასწვდა, ჰურის თავს ვერა,
სუყველას უნდა იმისი მზერა.
(ფ უ ლ ი)

არც ისმება, არც იკმება, არც ხელით დასაქერია,
თვითონვე ასმევს და აკმევს, კაცისთვის ყველაფერია-
(ფ უ ლ ი)

პატარია ველიაო, ყველას საყვარელიაო.
(ფ უ ლ ი)

არც ხელი აქვს, არც ფეხი და ყველგან კი დადის.
(ფ უ ლ ი)

აჩხა-ბაჩხა მოქსოვილი, უდგიმო და უსაეარცხლო.
(ძ ე წ კ ვ ი)

გასართობი საგნები

ერთ პატარა მინდორზედა ერთი მრგვალი ბტისა,
ყოველი კაცი ფეხს ურტყამს, სისხლი არსად სდისა.
(ბ უ რ თ ი)

ზევიდანა მოფრინავდა უფრთო, უკუდო, უყურო,
ვეტაკო! როგორ ვეტაკო? არა და როგორ ვუყურო?
(ბ უ რ თ ი)

აზროვნება და მწიგნობრობა

თავს მოვჭრი, გულს ამოვიღებ, ვასმევ და ვალაპარაკებ.
(ბ ა ტ ი ს ფ რ თ ი ს კ ა ლ ა მ ი)

ხუთი ხარი ერთი გუთნით ხნავს.
(თ ი თ ე ბ ი და კ ა ლ ა მ ი)

ფეხში რომ ხელი მომკიდეს, ზღვაში ჩამკიდეს თავითა,
რომ ამომიღეს, თეთრი გზა მოვრწყე ცრემლითა შავითა.
(კ ა ლ ა მ ი)

ვიწვი, ვდნები და ვიდაგვი, საიღუმლოს კი ვინახავ.
(ლ უ ქ ი)

არცა ვარ პური, არც ღვინო, არც თმის საღები ინაო,
ვინც შემიძინა მე მეტი, წინ ვერვინ წაურბინაო,
ჩემს თავს ვერავინ წაართმევს, რომ სცემონ ქვა და რკინაო,
მასთან ვარ მისთვის საქები, ჩემით სხვას უძღვის წინაო.
(ს წ ა ვ ლ ა)

ყინულის კაბა შევკერე, ცაში წავიღე ტივითა,
ამის ვერ გამომცნობელი სუსტი ყოფილა ტვინითა.
(ტ ყ უ ი ლ ი)

გაზაფხულ შაკიდებული გარმავიტანე სთველშია.
(ტ ყ უ ი ლ ი)

ჩემი შავი საიღუმლო უნდა ვანდო შენ თეთრს გულსო,
თუმც კი ვიცი, ყველას ეტყვი მონდობილს და დაფარულსო.
(ქ ა ლ ა ლ დ ი)

აკიბული, ჩაკიბული ცის და ქვეყნის მოციქული.
(წ ე რ ი ლ ი)

საყდარშია თეთრი ბატი, ფრთათეთრი და ფრთაფარფატი.
(წ ო გ ნ ი)

მუნჯი ვარ და სხვას ვასწავლი.
(წ ი გ ნ ი)

თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესველს ეუბნება.
(წ ი გ ნ ი)

არ არის ბუჩქი, მაგრამ ფოთლები აქვს; არ არის პერანგი, მაგრამ
შეკერილია; არ არის კაცი, მაგრამ ლაპარაკობს.
(წ ი გ ნ ი)

ასი ხევი ავიარე, ასი ბუდე ავშალე.
(წ ი გ ნ ი)

ერთი რამ არის სარკისებრ: მთელი ქვეყნები შიგ ჩნდება,
ვინც მასა დიდხანს დასცქერდეს — ბედნიერი შეიქმნება.
(წ ი გ ნ ი)

ხმას არ იღებს — ლაპარაკობს, წინ გვიყენებს ცოცხალ-მკვდრებსა,
არ იცინის და არ სტირის, ჩვენ კი გვაცინ-გვატირებსა.
(წ ი გ ნ ი)

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი.

ლექსიკონის მიზანია მოემსახუროს ანდაზებისა და გამონათქვამების უკეთ გაგებას. ამიტომ აქ შევიტანეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც შეიძლება გაუგებარი იყოს საზოგადოების ამა თუ იმ წრის ან რომელიმე კუთხის წარმომადგენლისათვის.

სალექსიკონო ერთეულთაგან ზ მ ნ ე ბ ი წარმოდგენილია იმ ფორმით, როგორც ანდაზაში გვხვდება, რადგან ხშირად ისეთი ფორმები გვაქვს, რომლებიც გაკეთებულია მხოლოდ ანდაზისათვის (მაგ.: დამიტაშდები, დაგიროკლები, ეკონკე, ეკობტე...). მათი სხვა ფორმაში გადაყვანა მეტისმეტად ხელოვნურ ერთეულებს მოგვეცემა და ლექსიკონში მათი მოძებნაც გართულდებოდა. ამიტომ ვარჩიეთ პრაქტიკული მიზნისათვის შეგვეწიროს ლექსიკონის აგების საერთოდ მიღებული პრინციპი.

ს ა ხ ე ლ ე ბ ს ასეთი სირთულე არ ახლავს, ამიტომ ყველა წარმოვადგინეთ სახელობით ბრუნვაში.

ცნობილია, რომ სიტყვას შეიძლება გააჩნდეს რამდენიმე მნიშვნელობა. ჩვენ აქ განვმარტავთ მხოლოდ იმ მნიშვნელობას, რომლითაც ეს სიტყვა ანდაზაში იხმარება.

ა

ა ა ზ ა ტ ე — აზატი, თავისუფალი გახადე, გაათავისუფლე.

ა ბ დ ა ლ ა (გურ.) — სულელი, ჩერჩეტი, შტერი, კკუნაქლები.

ა ბ ი ლ ა უ რ ი — საზაფხულო ვაშლის ჭიშია.

ა ბ ე ა ნ დ უ კ ი (ხელოვ.) — ავეანდა, უზანგი.

ა ბ რ ა გ უ ნ ე ბ დ ა — სისულელეს რომაედა, სისულელეს ამბობდა, აბრახუნებდა.

ა ბ უ ჩ ი (ძვ.) — დაუპატივებელი, მოუწყვეელი.

ა დ გ ი ლ ის დ ე დ ა (ძვ.) — ამა თუ იმ ადგილის მფარველად წარმოდგენილი ზღაპრული არსება.

ა ვ ა ნ ა ა ნ თ ხ ე ვ ი — ადგილის სახელია კახეთში.

ა ვ დ უ ე ნ ე ბ (ხევს.) — ავაფურთხებ.

ა ვ კ მ ე ე (ფშ. ხევს.) — ავებეჩ, მოვებეჩ.

ა ზ ე ნ ა ე ბ უ ლ ი — ატაცებული, ამალელებული.

ა თ ა ვ ე — აასრულე, შეასრულე.

ა თ ა რ ხ ნ ე — თავისუფალი გახადე, თავისუფლება მიანიჭე, გაათავისუფლე.

ა ე ლ ი ე (ხევს. ფშ.) — ატარე.

ა ლ ა ბ ი — ადლი.

ა ლ ა ვ ე რ დ ა (კახ. ქართლ.) — იონჯა.

ა ლ ა ვ ე რ დ ო ბ ა — ლავერდის ტაძრის დღეობა (27 სექტემბერს).

ა ლ ა ზ ა ნ ი (ფშ. ხევს.) — დიდი მღინარე.

ა ლ ა ლ ი — 1. ქორის მსგავსი, ქორზე მომცრო, მტაცებელი ფრინველია; ალალით მწყერზე ნადირობენ.

2. მართალი, პატიოსანი, უცოდველი.

ა ლ ა ტ ი — წისქვილის ნაწილი, ყუთი, რომელშიც ფქვილი ცვივა.

ა ლ ე რ დ ი — ნორჩი, ნეღლი ზალახი.

ა ლ ო — 1. შესაფერი დრო, სეზონი.

2. ხვნის დროს გუთნულში მონაწილე ერთეულისათვის სარგოდ განკუთვნილი დღიური ნახნაჟი.

ა ლ ხ ა ნ ა — იგივეა, რაც ლ ა ხ ა ნ ა, — კომბოსტო.

ა ლ ხ ი ა ნ ი (გალატ.) — მკლე, დამშეული.

ა მ ა ფ შ რ უ კ ი ნ ა (ქართლ. კახ.) — ამაზელინა, ამარევიანა წყალში (ნაცარი, სიმინდის ფქვილი და მისთ).

ა მ ა ლ ლ ე ბ ა — ქრისტიანთა დღესასწაული აღდგომის მეორე დღეს.

ა მ ო - გ ე მ ო (ხევს.) — გემრიელი კაცი, ტკბილი ადამიანი.

ა მ ო უ ტ ი ა — ამოჭრა.

ა მ ო ქ ქ ა რ დ ა — სუნი ამოსდიოდა.

ა ნ ა კ ლ ი ა — სოფელი ენგურის შესართავთან.

ა ნ ე უ ლ ი — ზაფხულის ნახნავი საშემოდგომო ხორბლის დასათესად.

ა ნ ე უ ლ ო ბ ა — ანეულის ხვნის დრო.

ა რ უ ა ვ ს (ქართლ.) — ავად არ მიიჩნია, ცუდად არ მიიჩნია, არ ეზიზღება.

ა რ ა მ უ შ ა — ცუდი მუშა, უხეირო, ზარმაცი მუშა, მუშად გამოუსადეგარი.

ა რ ვ ი ც ი — ვინც ყველაფერზე ამბობს „არ ვიციო“. შ დ რ.: ვ ი ც ი.

ა რ გ ა ნ ი — გრძელი ჯოხი საბჭენად, დასაყრდენად სახმარი (საბა).

ა რ ი, ა რ ი! (ხევს. ფშ.) — „არიქა, არიქა“!

ა რ ი ა ლ დ ე ბ ა (ფშ.) — 1. ახმაურდება.

2. ცხერის ფარა გაიქცევა, შეფრთხება.

ა რ ი - ა რ ა დ (ფშ.) — აქა-იქ, მეჩხრად, იშვიათად, გარე-გარე.

ა რ ნ ა დ ი — ტარიანი ფიცარი ბზისა და ხორბლის შესახვეტად კალოზე.

ა რ ო ს — იაროს, ავიდეს.

ა რ ჯ ა კ ე ლ ი — ტყის მრავალწლოვანი მცენარე. ნორჩობაში მისი ყლორტები მხლად იხმარება.

ა ს ი ს ე ი — ასკოციანი.

ა ს კ ი ლ ი ს გ ო ნ ჯ ი — დაავადებულ ასკილის ხეზე ამოსული სოკო.

ა ს ლ ი — ხორბლის ერთ-ერთი ჯიშია.

ა ტ ა ბ ე — სოფელია პირაქეთ ხეესერეთში (დუშეთის რაიონი).

ა ტ ო ლ ი — ღიმის (იხ.) გამსხვილებული თხილისოდენა, ტკბილი ფესვი.

ა დ ა პ ი — მიცვალბულთა მოსახსენებელი ლოცვა და ჭერის ჭამა.

ა დ ბ ა ლ ა მ ე — დიდმარხვის დაწყების წინა ღამე.

ა დ მ (ხევს.) — აღმა, ზევითყენ, მალა.

ა შ ე ლ ი — კაცის სახელია.

ა შ ლ ა — ჩხუბი, დავა, კამათი, აურზაური, არეულობა.

ა შ უ რ შ უ რ ე (ქართლ. კახ.) — საქმის აჩქარებით, უხეიროდ მაკეთებელი, ვინც საქმეს სიჩქარით მიაფურჩეხებს.

აჩაჩა — სახენელი იარაღი, კავი.

აცა-დაიცა — დაიცადე, მოითმინე; დღესხვალება.

აწრიკწრიკე (კახ.) — წრიყ-წრიყით მაკეთებელი, ცოტას მაკეთებელი, ნელ-
ნელა მაკეთებელი.

ახი — ვაება, ოხვრა, კვნესა.

ახტა — მამალი ცხენი ან ვირი.

ახში — დაბოლოს, ბოლოს და ბოლოს, მაინც.

ბ

ბაბა — პური ბავშვის ენაზე.

ბაბიდა (იმერ. გურ.) — მამიდა.

ბაგა — 1. საქონლის სადგომის (თაღის...) იატაკი.

2. გადაფიცრული ან გადაღობილი ადგილი ბოსელში, გომურში საქონ-
ლისათვის საკვების ჩასაყრელად.

ბადიმი — 1. ოთხკუთხი ფიცრის სახურავი ორმოსათვის. ჩაისმის ორმოს პირის
ჩარჩოში.

2. წრისებური ხის სარქველი ქვევრისათვის.

ბაზაზი (ძვ.) — ფართლელით მოვაკრე, ჩითით მოვაკრე, მეფართლე.

ბაკი — საქონლის საზაფხულო სადგომი, უსახურავო წნული ან ფიცრული.

ბაკლა: ბაკლა ცერცივი — ცერცვის ერთ-ერთი სახეობა, მსხვილი ცერცვი.

ბამბიქულა — დიდფოთლება ბალახი, ღერო და ფოთლები შემოსილი აქვს
ხშირი, თეთრი რბილი გინგლით.

ბანდიანი (გადატ.) — საქმეში უშნო, უილაჯო, უხეირო.

ბაჟი: ბაჟი არა აქვს — ხარჯს არ თხოულობს, არაფერი არ სჭირდება,
უფასოა.

ბარდანა — დიდი ტომარა მატყლის, ბამბის, ბზის და მისთანათა ჩასაყრელ-
გადასაზიდად.

ბაღდაღი (გადატ.) — 1. მდიდარი, კარგი ადგილი.

2. შორი ადგილი.

ბაშელი — კაცის სახელია.

ბაქკო (ფშ.) — შევეცილი ტომრისაგან გაკეთებული საწვიმარი.

ბებლი (ძვ.) — კუდიანი, გრძნების მოქმედი, გრძნეული, ჭადოქარი.

ბერა — მოზღუდულში დატოვებული ვიწრო გასავალი (ჩვეულებრივ, ცხვრის
სათვლელად და მოსაწველად ცხვრის გამოსაყვანად).

ბეჰა — ფასი, ღირებულება

ბიცი — უნაყოფო მიწა, მლაშე ნიადაგი.

ბიჭაბატკანი (ქიზ. კახ.) — აღრეულა (დოლის დაძვრამდე მოგებული) ბატ-
კანი, რომელიც გაზაფხულზე დაბიჭებულია (მოზრდილი და მოლონიერე-
ბულია).

ბლანტე — ზარმაცი, ზანტი, მძიმე.

ბობოლი (გურ.) — აბრეშუმის ჰია.

ბოდბელი — მღვდელმთავარი იყო, იდგა ბოდბეს წმინდა ნინოს მონასტერში.

ბორა — თერის მსგავსი მტაცებელი ფრინველი.

ბოძკინტი — 1. სარის სისხო პატარა ბოძი (უღვამენ ნაყოფით დამძიმებულ
ტოტს, რომ არ ჩამოიმტვრეს).

2. რაიმეს შესამაგრებელი ბოძი.

ბ რ ა ნ ძ ი — ძონძი.

ბ უ ზ ა ნ კ ა ლ ი — საქონლის მკებნარი ფრთოსანი მწერი.

ბ უ ვ ი (ფშ.) — ბუ.

ბ უ ი ს (კახ.) — იზღვირება, იბუტება, იბერება, იფხორება.

ბ უ კ ი (გურ. იმერ.) — 1. ფუტკრის სკა გულგამოთლილი მორისაგან. — გეჭა.

2. დიდი საყვირი, უკრავდნენ ზეიმის ან გაჭაშის დროს ხალხის შესაყრელად.

ბ უ კ ი ო ტ ი — „პატარა ბუ“ (საბა).

ბ უ ლ ა უ რ ი — სვეტის თავზე დადებული დაქრელებული ხის ბალიში, რომელზედაც ეყრდნობა ძელი.

ბ უ ქ უ ლ ა — პატარა წისქვილი.

ბ უ ქ ე რ ი (იმერ.) — სამზარეულო სახლის კუთხეში დატანებული თაროები კუროკლის და სანოვავის შესაწყობად.

ბ კ ე — მოჩივართაგან მათი ცილობის განსასჯელად არჩეული შუა კაცი, საღაო საქმის გამჩრევი, მოსამართლე.

ბ

გ ა დ ა გ ე ბ ა — მთლიანად მოხმარება, შეღვევა, გადაღვევა, გადაყოლა, დახარჯვა.

გ ა დ ა ტ რ ი ნ ა — გადაქელა.

გ ა ე ბ მ ე ბ ა — შეებმება, ხელში სწვდება, ხელს წაატანს.

გ ა ე ქ ე დ უ რ ე ბ ა — ქედს გაჰყრავს, ქედს გააქექებს.

გ ა ი ბ ო ტ ნ ა ე (ხეც.) — დამაკდაო.

გ ა მ ზ ა რ დ ე ლ ა — რაც გაზრდის, რამაც გაზრდა იცის, რაც გაზრდას უწყობს ხელს.

გ ა მ ი ხ დ ე ბ ა — მეყოფა, საქმარისი იქნება ჩემთვის.

გ ა მ ო მ ქ ი ლ თ ა — გამომტყავა, კანი გამომცალა, გამომლიტა.

გ ა მ ო ლ მ ა რ თ ი — აქეთა მხარე, გამოღმა მდებარე.

გ ა მ ჩ ე ე ნ ე ო ბ ა — სხვის საჩვენებლად, მოსაწონებლად მოქცევა.

გ ა ნ ა გ ი ა ნ — იყენებენ, იხმარებენ, მართავენ.

გ ა ნ ა ყ ო ფ ი — საერთო ოჯახიდან გასული, გაყრილი, გაყოფილი.

გ ა რ ო ქ ე ვ ა — გაყემა.

გ ა უ ბ ო ძ ა — უბოძა ვისმე, საჩუქრად გასცა, სხვას უწყალობა, გაასახუქრა.

გ ა წ ე დ ე ნ ა — 1. ისე განაწილება, რომ ყველას ერგოს.

2. ისე გაკვიმვა ან გაშლა, რომ მისწვდეს.

გ ე ლ ა ს მ ო დ ი ო დ ა (ფშ.) — ტრიალებდა, ირგვლივ უვლიდა, ცეკვავდა.

გ ე ე რ დ გ ა მ ო ხ ლ ა რ თ უ ლ ი (გადატ.) — აუღმყოფი, საყვარი, დავრდომილი.

გ ი დ ე ლ ი (ქვ. იმერ. გურ.) — პირგანიერი, ძირწაწვეტილი გოდორი.

გ ი ო რ გ ო ბ უ ლ ა — გიორგობის თვეში (ნოემბერში) დაბადებული.

გ ი რ ა ო — მევალისათვის ვალის გადახდის საგარანტიოდ ჩაბარებული რამ — წინდო.

გ ო დ ო რ ი — წნელისა და ტყეჩისაგან მოწნული მაღალი ცილინდრისებური კალათი.

გ ო ზ ა (ხეც.) — მშვილდის მორკალული მხარე, მშვილდის რკალები.

გ ო მ ბ ი ო (გურ.) — 1. გომბეშო.

2. (დამცირ.) გოგო.

გ ო ნ დ ა ლ ე უ ლ ი (ფშ.) — სულელი, გამოტვივინებული, გამოშტერებული.

გოქის ხუთშაბათი — „შურის კვირის ხუთშაბათი, რომელსაც დღესასწაულ-
ლობენ რაქაში“ (ჩუბ.) აქ: გადატ. დღესასწაული; სიმდიდრე, კარგო
მდგომარეობა, სიყვთე, კეთილი მდგომარეობა.

გულად (ფშ.) — გულში.

გულდიდი (ხევს.) — ამაყი, მედიდური, ამპარტავანი, დიდგულა.

გულირო არა მქონდაო! (ფწ. ხევს.) — რომ არ მიმიქცევია ყურადღებაო!
გულის გული — შუაგული, ყველაზე ღრმა ადგილი გულში.

გულმალალი (ქართლ.) — ამაყი, გულზვიადი.

გულობს — გულად ვარგა, გულად გამოდგება, კარგია გულივით.

გულსრულად (ხევს.) — მთელი გულით, გულიანად.

დ

დაბალი — ტყავის გამოყვანი, ტყავის დამმუშავებელი ხელოსანი.

დაბდურა — ვისაც არაფერი საქმე არ ეხერხება, მოუხერხებელი, უხეირო, უშ-
ნო, დამბლა.

დაგითამაშვებდება (ხევს. ფშ.) გაგითამამდებიან, არაფრად ჩაგაგდებენ.

დაგითამაშდებ — ვითამაშებ შენთვის, ვიცეკვებ შენთვის.

დაგირაკდები — როკვას დავიწყებ შენთვის, ვითამაშებ, ვიცეკვებ შენთვის.

დაეკვთება — არ ელირსება, მოესპობა, ალეკვებება.

დაეხირა (ხევს.) — მიაწვა, მიეზჩინა.

დაეტლიკინობ — უქმად დაედვიარ, დაეხეტები, დავეთრევი.

დაიქნეეს: ასკილი რომ თავს დაიქნეეს — ასკილის ყვაილობა
რომ დადგება, კირნახულის შემოღვეის დრო რომ დადგება (ასკილი ყვე-
ლა მცენარეზე გვიან ყვავის, აპრილში, როცა წლის მარაგი გლახს თითქ-
მის შემოღვეული აქვს).

დაიღვედება — ლვედვიით მოქნილი გახდება.

დალაბავდება — ლაბასავით რქებს დახრის; საზრუნავი გაუჩნდება.

დალალი — შუამავალი გამყიდველსა და მყიდველს შორის, მათი მომრიგებე-
ლი, შუაკაცი (ვაჭრობაში), მაკლერი.

დამამქობინა — უმჯობესი, უკეთესი გამხადა, უპირატესობა მომანიჭა.

დამიტამდები — ტაშს დამიკრავ.

დაუდვას: გული დაუდვას — დააწყნარეს, დაამშვიდეს, გაამხნევეს.

დაფონე — ფონი მოძებნე.

დაღლეთილი (იმერ. გურ.) — დაჯღეცილი, დაფლეთილი, დახეული.

დაშნი — შეთანხმებული, შესმატებილებული.

დაძუძურება — ძუძუს კმევა, ძუძუთი გაძლომა, ძუძუთი დაპურება.

დაწონა (ფშ.) — მიხედვა.

დახვრიმა — ხრამა-ხრუმით შექამა, გემრიელად წექამა, შეახრამენა.

დედაბოძი — ძველი ქართული სახლის — დარბაზის — მთავარი ბოძი, შუაში
დგას და მთელი სახურავი მასზეა დაყრდნობილი.

დედლის წვენნი — ქათმის ნახარში, მარილით შეზავებული.

დედმამიშვილი — დაანძმა.

დედლობით — „დედლო“ დამახებით, მოფერებით, მოალერსებით.

დეტა — მორჩილი ტანის ბუჩქი.

დეკანოზი (ხევს. მთ.ფშ.) — ვითომდა ხატის მიერ არჩეული ხატის მსახური მო-

- ხუცი, რომელიც სახატო რიტუალს ასრულებდა და ხატის ქონებას განაგებდა, — ხუცესი, ხევისბერი.
- დ ი ა ც - ყ მ ა წ ვ ი ლ ი (ხეეს.) — ქალი და ბავშვი.
- დ ი ბ ა — საუკეთესო ხარისხის სახიანი აბრეშუმის ქსოვილი, ფარჩა.
- დ ი ბ ა - ა ტ ლ ა ს ი — დიბა და ატლასი (იხმარებოდა ზოგადად ძვირფასი ქსოვილების აღსანიშნავად).
- დ ი ბ ა - ს ტ ა ვ რ ა — ძვირფასი ქსოვილები.
- დ ი ბ ა - ხ ა რ ა — 1. აბრეშუმეულობა, ძვირფასი ქსოვილები.
2. ფარჩის კაბა.
- დ ი დ მ ა რ ხ ვ ა — აღდგომის მარხვა, გრძელდებოდა შვიდ კვირას — ყველიერიდან აღდგომამდე.
- დ ი დ ქ ა ლ ა ბ ო ბ ა — დიდი ქალბის, დიდი ოჯახის ყოლა. მრავალწევრიანი, მრავალრიცხოვანი ოჯახის ყოლა.
- დ ი ლ ა ბ ი ნ დ ი — დილაღრიანი, გარიჟრაჟი, გათენების დრო.
- დ ი ლ ი ს ლ უ კ მ ა — დილას უზმოზე შეკმული ლუკმა, მცირე საკმელი, ხემსი.
- დ ი რ ე — გრძელი მორი.
- დ ი ო დ ი ნ - დ ო დ ი ნ (ქართლ.) — ზოზინა, ზანტი, ხელკვიანი.
- დ ო ლ ა — ურქო პირუტყვი (ძროხა, ცხვარი, თხა).
- დ ო ლ ი — ნივთები (ან შინაური პირუტყვი) შეჭობრებაში (დოღში) გამარჯვებულ ცხენისათვის.
- დ ო ჯ ა მ ი ა — დოს მოყვარული, ვინც დოს სზირად ქამს ხოლმე.
- დ რ ა მ ა (ძე.) — წონის ერთეული, დაახლოებით 3,5 გრამი.
- დ რ ა პ კ ა ნ ი — ოქროს ფული, მონეტა.
- დ უ ნ დ უ ლ ა — დუნე, ზანტი, დაეარდნილი.
- დ ე მ ე ხ ვ ა ლ ი ე — ვისაც საქმის სახვალით, შემდეგისათვის გადადება უყვარს.

ე

- ე კ ო ნ კ ე — კონკები ჩაიცივი მის დასანახად.
- ე კ ო ხ ტ ე — კობტად ჩაიცივი მის დასანახად.
- ე მ ც რ ო ბ ო ლ ა — მცირე. ცოტა ეჩვენებოდა, მცირედ თვლიდა, მცირედ მიიჩნდა.
- ე მ ძ ა ხ ლ ე — მძახლად გაუზბი, მძახლად მოვიციდე, დაემოყვრე.
- ე ნ ა მ რ ა ვ ა ლ ი — ბევრი ლაპარაკის მოყვარული, ენაგრძელი.
- ე ნ ა პ ი რ ო ს ა ნ ი — მეტყველი ადამიანი, მკვერმეტყველი.
- ე რ კ ე მ ა ლ ი — მამალი ცხვარი, ვერძი.
- ე წ ე რ ი — „შალალი მთის ბალახია, სახლების სახურავად ხმარობენ“ (ი. ქყ.).
- ე წ ყ ა ლ ვ ი ს — ენანება, ებრალება; არ ემეტება.
- ე ხ ვ რ ე ბ ო ლ ა — ხვრა შეეძლო, სახრავად ემორჩილებოდა.

ვ

- ვ ა თ ა ვ ნ ო — თავნად, საბრუნავ თანხად გამოვიყენო.
- ვ ა ლ ა ლ ა — უბედურება, დიდი მწუხარება.
- ვ ი ც ი — ვინც ამბობს „ვიციო“. შდრ.: არ ვიცი.

ზეგნელი (ფშ.) — ზევით ქვეყნისა.

ზედაობა (ფშ.) — 1. ხენის დროს ვიწრო კვლის გატანა.

2. როცა გუთანი ზედაპირულად ხნავს, გუთნისდედა მეხრეს ეუბნება „ზედა“-ო, ე. ი. ზერელედ ხნავს და გუთნის მხარს ფეხით დააწეკი, რომ გუთანმა ღრმა კვალი გაავლოსო.

ზედსაკუკი (ხელოვნ.) — უნაგირი.

ზედაშე — წითელი ღვინო, განკუთვნილი ზიარების ან ჭვრისწერის წესის შესრულებისათვის ან საგანგებოდ შემონახული საეკლესიო დღესასწაულისათვის.

ზედმიტანე (ხევს.) — სახლში მიმტომი.

ზემოთავი (ხევს.) — საპატიო, ზემო ადგილი საერთო სკამზე, სადაც უფროსები სხდებოდნენ.

ზორვა — მსხვერპლის შეწირვა (კერპისათვის).

თ

თაგვისარა — ეკლიანი ბუჩქბალახა, ფოთოლივით გაბრტყელებული ეკლიანი ტოტები.

თავდაქრენილი — ვინც თავს დაიძვრენს ხოლმე, ვინც თავს არიდებს საქმის კეთებას, ვინც მოვალეობას თავიდან იცილებს.

თავმოვლილობა (ფშ.) — დაჩაგვრა.

თავსაცილი (კახ. ქართლ.) — დაცინვა, მასხარად აგდება.

თავშავა — ბალახია. იხმარება შავ საღებავად და ჩაისათვის.

თავხმელი (ქიზიყ.) — გამხმარი, გამხდარი თავის მქონე (საქონელი, ცხენი).

თარხანიანთ წყალობა — იტყვიან ისეთ საჩუქარზე, რომელსაც ისევ წაართმევენ.

თეო — ცხვრის ბინის გარშემო ადგილი, სადაც ძაღლები დარაჯობენ.

თვალის დავარდნა — თვალის დაკარგვა, დაბრმავება.

თვალადებული — ათვალწუნებული.

თვალდირიანი — ვისაც თვალში ღირე აქვს.

თვალფინჩიანი — ვისაც თვალში უმნიშვნელო, ერთი ბეწო რამ აქვს (ფინჩი — უმნიშვნელო რამ, ბეწო).

თვერი (იმერ. გურ.) — ბიბილო.

თმიე-თმიე — მოითმინე-მოითმინე.

თოფრა, თორბა — ბატარა ტომარა.

თოხარიკი — კარგად მოსიარულე ცხენი.

თრიმლი — ბუჩქია, რომლის ფოთლები და ნედლი ტოტები ტყავის გამოსაყვანად იხმარება.

ი

იანი (აზრებ.: „იენი“) — ჩქარი, სწრაფი.

იიფი — ხელგამლილი, პურადი, უხვი.

ოთაფა — ცხელ თონეში მიკრული პური თავისით მოეხადა და ჩაეარდა.
 ოკლიკანტური — არაპირდაპირი, უცნაური, ეშმაკური.
 ოკნაპეზა (იმერ. გურ.) — იკრიპება, იპარსენა.
 ოკუკა — ჩაიტუცქა, მუხლებზე ჩამჭდარი გაჩერდა.
 ოლინკა — ჩიტის მახე.
 ომო (ხევს.) — მორიელი.
 ორტავაზა — სოფელია საჩხერის რაიონში.
 ოტლინკა — ტლინკები ყარა, ტლინკები ისროლა.
 ოტრია — სოფელია სურამთან ახლოს.
 ოლორებს: თავს ილორებს — თავს იტყუებს.
 ოშტა — მადა, სურვილი, ნდომა.

კ

კაბდო — ფარცხის წინ მიკრული ხელნებიანი ფიცარი, გორახებს ფშენის და ხნულს ასწორებს.
 კაბელა (იმერ. გურ.) — შავით და თეთრით კრული საქონელი.
 კალანდა (გურ.) — ახალი წელი.
 კალანხხა — 1. პატარა კალათა.
 2. (კახ.) საშუალო ზომის გოდორი ბზისათვის.
 კაპე — ნელა კაპე, ცოტა კაპე, ღეპე.
 კაპკანა (გურ.) — პატარა ქვაბი.
 კარის მამული — სახლის ახლოს მდებარე მიწა-ადგილი.
 კატარი (გურ. აპარ.) — ხის წვერი, კენწერო.
 კახხა — კაპეზინი საკიდარი.
 კახამბალი (გურ. იმერ.) — თეთრი ბლის ერთ-ერთი ჯიში.
 კეთია — მკეთებელი.
 კელაერი — საქონლის (ლორის) პირველი სამი ნეკნი ზორციანად. კარგი სამ-
 წვადა.
 კერატი — დაუკოდავი ტახი.
 კვალს უკვლევდნენ — მის კვალს ეძებდნენ.
 კვაქანტი (რაქ.) — დაგრეხილი. დაპრანჭული.
 კვებულა — ერთი წლის ხბო ან ზაქი, ერთ ზამთარს გაკვებილი.
 კვირაძალი — შაბათ საღამო სამზრობის შემდეგ. საღისის რწმენით კვირაძალ-
 ზე მუშაობა აღარ შეიძლებოდა.
 კვრინჩხი — დაბალი ეკლიანი ბუჩქი ლონწარსმაგვარი ნაყოფით.
 კილო (ქართლ. ფშ.) — გუნება, ხასიათი.
 კინთი — საპენტლის ლარის საცემი ჯოხი.
 კიჟვა — დახუჭვა, მოხუჭვა, მოკუტვა (თვალისა).
 კირკიტა — შტაცებელი ფრინველი.
 კირცხილა — რცხილა.
 კირწლიანი — წირპლიანი.
 კლანკა — სარეველა ბალახი, ფესურა დიდხანს არ ხმება, — გლეჩტა.
 კმიე-მიე — გეყოფა, იკმარე.
 კოზაკი — აქლემის შვილი.
 კოკა — 1. თიხის კურკველი წყლისა და ღვინისათვის.

2. ღვინის საწყაო (საშუალოდ ერთი ფუთიდან ფუთნახევრამდე).

კოკნა — ცოტ-ცოტა კამა, წვრილ-წვრილად კამა.

კოლოტი — ძროხის ტყავის ტიკი, რუმბზე მომცრო, ღვინისა და ტბილისათვის.

კორკოტი — დანაყილი ხორბლის შექმანდი (აღმოსავლეთ საქართველოში რძეში ან წყალში ხარშავენ და ერბოთი კაშხავენ; იმერეთში — ნიგვზით აზავებენ).

კოსე — სიტყვის მასალა ერთგვარი.

კოტორი — 1. პურის ყუა. ქადის მეოთხედი ნაჭერი და მისი.

2. კვერა.

კოკდაბალი ცხენი — ცხენი, რომელსაც მანძილი წვივსა და ჩლიქს შორის ჩვეულებრივზე მოკლე აქვს.

კოქობი — თიხის პატარა ქოთანა.

კუდა — უკუდო, კუდმოკრილი ან მოკლეკუდიანი ცხოველი.

კუკუ — პანდური, კიტლაყი.

კუნელი — ეკლიანი ბუჩქი, შავ ან წითელ ნაყოფს იხსამს.

კუნტია — მოკეცილ ფეხებზე ზის.

კურატი — გაუხედნელი, დაუკოდავი ხარი, ბულა.

კურდღლაობა — კურდღელზე ნადირობა.

კურთხევანი — საეკლესიო წიგნი (მის მიხედვით სრულდება ნათვლა, ქორწინება, წესის აგება და სხვა).

კუტი — 1. თონეში ჩავარდნილი, ჩაკეცილი და ნაკვერცხლებზე გამოშვებული პური.

2. ადამიანი, რომელსაც ფეხები არ ემორჩილება, სიარული არ შეუძლია, — საყარი.

კუტი-კალია — კალიის ერთ-ერთი სახეობაა.

კუტალი — ხის ტუჩიანი კურკელი წყლისათვის.

კუწუნწრახა — წუწურაქი, ძუნწი.

ლ

ლაგანი — ტაშტი.

ლაგვანი — პირფართო ღოჭი.

ლაპარაკი-ლაპარაკსა — ლაპარაკ-ლაპარაკში.

ლაქანი (ფშ.) — წნელისაგან მოწნული საწოლი, შიგ თივა ან ჩალა ჩაგებულ.

ლაჯიანი (ხევს.) — კოკლი.

ლიტრიანი კაცი — შეძლებული გლეხები, რომლებიც ვალდებული იყვნენ ლიტრიანი საწყაოთი ეხადათ გადასახადი. „ფოსტის ფულის ასაკრებად სოფელი განაწილებული იყო თვით სოფელელთაგან ოთხ კატეგორიად: ლიტრის კაცი, ნახევარლიტრის კაცი, ჩარეჟისა და ნახევარჩარეჟისა... ლიტრიანი კაცი ყველაზე შეძლებული იყო“ (ს. მგალობ.).

მ

შაამოობით — „შაამოს“-ს დაქაბებით.

შაზმანი — ბალნის თოკის მგრეხელი, მესაბლე.

შაკვილაკი — ენამწარე, ავენა, კვიმატი, სიტყვამაწყინარი.

- მ ა კ ი დ ო (იმერ. გურ.) — ოხრახუში.
- მ ა ლ ა: მ ა ლ ა თ ე ნ ე ლ ა — ადრე თუ გვიან.
- მ ა ლ ა ჩ ი ნ ი — კარგი ჩიშის კომში.
- მ ა მ უ ა — კაცის სახელია.
- მ ა მ უ ლ მ ო რ ე უ ლ ი — ვისაც ბევრი მამული აქვს. ვისაც იმდენი მამული აქვს, რომ ვერ ამუშავებს, დამუშავება უჭირს.
- მ ა ნ ა — ბოლოწათლილი სარი, მომცრო მარგილი.
- მ ა ნ კ ო — გუთნის სახელური.
- მ ა ე ა ლ ო — გარეული მებავე ვაშლი, ტყის ვაშლი.
- მ ა ე ა რ ი — ძველებური თოფი.
- მ ა რ ბ ო ლ ი — მორბენალი.
- მ ა რ მ ა შ ი — თხელი, გამკვირვალე ქსოვილი. (გ ა დ ა ტ.) აბრეშუმეულობის ტა-
ნისამოსი.
- მ ა რ ტ უ ლ ე ლ ი (ხევს. მთიულ. გუდამაყ.) — ერთი ხარის შესაბმელი უღელი.
- მ ა რ ჩ ი ლ ი — ძველი ქართული ვერცხლის ფული, უღრიდა სამ აბაზს.
- მ ა დ რ ა ნ ი — კილყავი.
- მ ა წ უ ა რ ი, მ ა წ ო ვ ა რ ი — ვინც ჩვილს ძეძუს აწოვებს, დედა ან ძიძა.
- მ ა ხ ო ბ ე ლ ა — სარეველა ბალახი, ხშირია ხორბლეულის ნათესებში. მახობელა-
ნარევი პური მოლურჯო, რბილი და გემრიელი გამოდის (დიდი რაოდენო-
ბით შერევა პურს აღუქვებს).
- მ ა ხ ო ბ ი — დამცავებული ქატოსაგან შემზადებული შეკამანდი.
- მ ა ხ ტ ა — წლიური სახელმწიფო ფულადი გადასახადი კომლზე.
- მ დ ა დ ი, მ დ ა დ ე — პატარძლის დობილი, პატარძლის მყარია ქალი.
- მ დ ლ ე ვ ა რ ი — დღიერი, ყოველდღიური.
- მ ე ა ლ ი ლ ო ე — ალილოზე მოსიარულე, — შობა დილით მისალოცად კარდაკარ.
მოსიარულე მომღერალი.
- მ ე კ ვ ე რ ც ხ ე — კვერცხის მღებელი.
- მ ე რ რ ე — რუს მეთვალყურე, სარწყავი წყლის გამნაწილებელი, გამრიგე.
- მ ე ს ა დ ი ლ ე (გურ.) — 1. სამუშაოზე, ყანაში სადილის მიმტანი.
2. (ხევს.) იმ სადილის მონაწილე, რომელსაც ზამთარში.
აწყობენ მათთვის, ვინც ზაფხულში მამითაღში ეხმა-
რებოდათ.
- მ ე ს ი ს ხ ლ ე — სისხლის მძებნელი, სისხლის ალებით შურისმაძიებელი, მოსისხლე,
მოსისხარი.
- მ ე უ ჯ მ ე — ვინც უქმს იცავს.
- მ ე ჯ ე ბ ო ლ ე — ჩემთვის საქებრად ითვლებოდე. სანაქებოდ მყავდე.
- მ ე წ ყ ა ლ ვ ი — მებრალეები, მეცოდები.
- მ ი კ ვ ა ე დ ე — ჰგავდე, ემსგავსებოდე.
- მ ი ე თ-მ ო ე თ ი — ამბის მიმტან-მომტანი, ენატანია, ორაპირი.
- მ ი ზ გ ი თ ი — მაჰმადიანთა სალოცავი სახლი — მეჩეთი.
- მ ი ზ ე-მ ი ზ ე ზ — მიზეზის ძებნაში, ტყუილად მომიზეზებაში.
- მ ი ს — (გურ. რაჭ. მთიულ. გუდამაყ.) — იქითობას, იქით.
- მ ი კ ვ ი ნ ტ ა — ტლინკი მკრა, წიხლი მყარია.
- მ ი მ პ ა რ ა ე ი ძ ა ლ ლ ი — ჩუმად რომ იციის მიპარვა და კბენა, ქურდულად მიმ-
სელელი ძალლი.
- მ ი ს თ ა რ ჯ ა ე ს — შეტს მიაკუთვნებს, მიკერძავს.

მისხის მისხი — ნათესავის ნათესავი. ძალიან შორეული ნათესავი.

მიუფასა — ჩაუთვალა.

მიტეული — რაც მიუტრეს, გამოდენებული.

მიძეკვოს — მიჩეჩოს, მიძეძგოს, მიბეგვოს.

მიკვრიტანა (ავ.) — სარკე.

მიჯობავს — ჯობით სცემს, ჯობით გალახავს.

მეუკე (გურ.) — ძალიან მწიფე (მსხალი).

მოატლაკუნებს — ტლაკუნით მოაქვს, მოათრევს.

მოგებული — ნაშოვარი, შეძენილი, დაგროვებული.

მოგელო — მოგესპო, გაგინადგურდა.

მოვკმიქოდი (ფშ.) — მოვკებედი ხოლმე.

მოიმოახლე — მოასლედ გამოიყენე, მოიმსახურე, იმსახურე.

მოის (გურ. რკ. შთიულ. გუდამაყ.) — აქეთ, აქეთობას.

მოიშალოს — მოისპოს, განადგურდეს.

მოკოკნე — ცოტ-ცოტა კამე, წვრილ-წვრილად კამე.

მოშაკველა — რაც მოაკვავს, რამაც მოაკვეა იცის (რისამე).

მოშხილავი — მოშხრეკი, დამძებნი.

მონა (ფშ. ხევს.) — უდი.

მონაგარი (ყახ.) — მოპოვებული, შეძენილი, მოგებული, ნაშოვნი.

მონაპირვები — მომპირნეობით შენახული, მომპირნეობით გადარჩენილი.

მონახული — ბევრის მნახველი, გამოცდილი.

მორბედი — 1. მორბენალი.

2. ვისაც გაგზავნ-გამოგზავნიან ხოლმე სხვადასხვა დავალებებით.

მოსაგებელი — სამაგიერო, მოსაზღავი, ნაცვალი, მონაგარი, მოსარეწი.

მოსაციქვლე — ვინც საციქველზე გაგზავნის, საციქველზე მისული.

მოყვრის მოყვარე — შორეული ნათესავი.

მოშველდებიან — მორიგდებიან, შეთანხმდებიან.

მოცადი (ფშ. ქიზიყ.) — ვინც ცდილობს, ინდომებს რასმე, მეცადინე, მუყაითი, ბეჭითი.

მოძეული — ნაშოვნი, ნაშოვნი.

მოხადილე — ვინც ხადილობს, ვინც ხადილს იხდის.

მოხელა — იპოვა, მოძებნა.

მოხისი — სოფელია ქარელის რაიონში.

მოხოხნე — ძირზე მოკამე, მოძოვე, მთლიანად მოკამე.

მოჯალაბე — ბატონის ოჯახში მყოფი შინამოსამსახურე.

მოჯღება — მოდგება, მოერგება, კალაპოტში ჩადგება.

მპარავი — ქურდი.

მსრიტი — მსუნავი, გაუმაძლარი.

მუზმულა — ქვეშქვეშა, ეშმაკი, გაქნილი, ავენა.

მურასა — ძვირფასი თვლებით მოოქვილი ქსოვილის ტანსაცმელი, ძვირფასი სამოსელი.

მუქარა: ნუ მთხოვ მუქარასა (ფშ.) — ნუ მემუქრები.

მქავრია (ფშ. ხევს.) — ადვილად მოსაქარებელია, ძალადაკარგულია, ძალა-გამოცლილია.

მცონარა — ზარბაყი, უქმი, არაფრის გამკეთებელი, მუქთაზორა.

მცოხნელი — მქამგლი.

მწნარი — დაწმენდილი, წმინდა, სუფთა, ანკრა.
მხარკვერიანი — მხრებთეთრი.
მჭილი — მოწუქული ხელის თითები, მუშტი, მუჭი.
მჭლავანი — ჭლავილი რომ უყვარს, ჭლავანა, ქუაანა.

ნ

ნაარამი, ნაარამევი — არაპატიოსანი გზით შეძენილი, — არამი.
ნაგრილი (ქართლ.) — ჩრდილი.
ნაგრობს — იძენს, შოულობს.
ნაკალმახევი (მოხევე) — ვინც ითევზავა, ნათევზავები (კალმახოზა — თევზაოზა).
ნალიე (გურ.) — სასიმინდე.
ნალბანდი — მკვდელი, რომელიც მუშა საქონელს (ცხენს, ხარს...) ნალებს აკრავს, ნალის დამკერველი ხელოსანი.
ნალო — ურმის ბოლოზე გამობმული ფიჩხის დიდი კონა ან მორი, რომელიც მიწაზე ეთრევა და ანელებს დამმართზე ურმის სელას.
ნამაზი — მამადიანთა ლოცვა, რომელიც დღის განმავლობაში ხუთჯერ სრულდება.
ნამოყერი კირი — მოყერისაგან მიყენებული კირი, ზიანი.
ნარი — ეკლიანი ბალახი.
ნაფუძვარი — განოყიერებული მიწა, ჩვეულებრივ, ნასახლარი, ნაბოსლარი და მისთ.
ნაქერალი — ქერით ნასუქი.
ნაყროვანი — ვინც ზომაზე მეტად ძლება ხოლმე, „უწესოდ გამძღომელი“ (საბა), გაუმძღარი, ღორმუცელა.
ნაცვალგარდად — რიგრიგობით, შენაცვლებით, სამაგიეროდ.
ნაძირალი — ძირს დარჩენილი ლექი.
ნაწბელავი — ნაწური.
ნაწყალობი (ხევეს.) — გაუმეტებული, რასაც ვერ გაიმეტებენ.
ნაწყლვევი — ადგილი, სადაც წყალი მიედინებოდა, სადაც წყალი იყო.
ნახირ-ნახირ — ნახირთან ერთად.
ნახა (ფშ. ხევეს.) — რახან, როცა.
ნეკერი — ხის ტოტების კვირტებიანი წვერები. საქონელს აკმევენ ზამთარში.
ნიგუზი, ნიგუზალი (იმერ. გურ.) — მუგუზალი.
ნინიას ბაკი (გადატ.) — ისეთი ადგილი, სადაც ყველა თავისუფლად შედის და გამოდის.

ო

ოდი — ერთგვარი ობის სოკო.
ოდისტოლა — პატარა, მცირე, მცირეოდენი.
ოშალო — სოფელია მთათუშეთში (ახმეტის რაიონი).
ორე (გურ.) — ამოთლილი ხის მორი პირუტყვისათვის სალაფავის ჩასახმელად, — გეჭა, როფი.

ოსიაური — ადგილის სახელია.

ოქროსანა — ოქროს მსგავსი, ოქროსნაირი.

ოჩანი — ურჩი, ჭიუტი, ზარმაცი (პირუტყვი), — გაქირი.

ობტში ამოსვლა — ჭავრის ამოყრა, სამაგიეროს გადახდა.

პ

პაიკები — წვივზედ წამოსაცმელი, მოქსოვილი ყელები, რომლებსაც შარვლის გარედან ამოიცვამენ.

პალო — მიწაში ჩასასობი ბოლოწაწვეტებული მოკლე ჯოხი.

პატა — პატარა, ცოტა, მცირე.

პატა-პატა — ცოტა-ცოტა.

პატიეი (ძვ.) — სასჯელი.

პატრონდახედულად — პატრონის მიხედვით, პატრონის შესაფერად, პატრონისთვის ანგარიშის გაწევით.

პირის გამთავებელი — პირობის შემსრულებელი.

პირში შეკყარა — პირისპირ შეახვედრა.

პირალმართ — აღმართზე, ზევითყენ, მაღლა.

პირმარხვა — მარხვის პირველი დღე, მარხვის დასაწყისი.

პტყენა — ბუმბულის გაცლა, გაბლენა, გაპუტვა.

ჟ

ჟამი — ეამის წირვა, გვიანი წირვა.

ჟამსა — ღროზე.

რ

რიგი (ხევს. ფშ.) — მკვდრის ხარკი, ქელეხი.

როდინობა: როდინობის კვირაში — გაურკვეველ დროს, ვინ იცის, როდის; არასოდეს.

რუმბი — ძროხის, მოზერის ან კამეჩის ტყავის დიდი ტიკი.

ს

სადარილოდ — საზვერადად.

სადულარი — თიხის კურქელი შეკამანდის მოსადულებლად, — ქოთანი.

სავაგლახო — სავაებო, სავალალო, სამწუნხარო, საუბედურო.

საკარიხპირო — იგივეა, რაც კარის მამული.

საკბილუკი (ხელოვნ.) — ლაგამი.

სალაფავი — წყალში გათქვეფილი ქატოსა და ფქვილისაგან მოდულებულ ფაფისებური შეკამანდი ძალისათვის, ღორისათვის, ძროხისათვის და სხვ.

სამარხი — დასამარხავად (დასასაფლავებლად) გადადებული თანხა ან ქონება დამარხვის ხარკი.

სამერეთოდ — სამერმისოდ, საგაისოდ, მომავალი წლისათვის.

- სამღვთო, საღმრთო — ღმერთის, სილოცვის ან ხატისათვის შესაწირავი საკლავი, ზეარავი.
- სამშობლო — მშობლების ოჯახი ან სოფელი გათხოვილი ქალისთვის.
- სანაკელო — ნაკელის დასაჯრელი ადგილი, სანებევი.
- სანეკრე — ნეკერიანი ადგილი, ადგილი, სადაც ბევრი ნეკერია.
- საოხრო — ოხრად დასარჩენი, სატილო.
- საპალნე — 1. ერთი აკიდება ტვირთი (ცხენისათვის, ვირისათვის...).
2. ღვინის საწყაო 30—32 ჩაფის მოცულობისა.
- სართი — დანაშატი საფასურზე, დასაპატებელი გაცელისათვის.
- სარიოში (იპერ. რკ.) — ხის მრგვალი ფეხიანი სასმისი.
- სარკინეთი — რკინის ქვეყანა, სადაც ბევრი რკინაა.
- სარქე — რქის ამოსასვლელი ადგილი.
- სარძეული — საწვეული.
- სატაცური — მხალეული მწვეანე ან წითელი ყლორტებით. მოღის გაზაფხულზე.
- სათილო — დასაქცევი, ამოსაგდები, გასატიალებელი, ვასაოხრებელი.
- საუღლე — უღელში შესაბმელი, უღელში შესაბმელად გამოსადეგი.
- საფქავი (ხეხს. ფშ.) — დასაფქავად გამზადებული მარცვალი, ხორბალი.
- საქედური — უღლის ის ნაწილი, რომელიც ხარს ქედზე ედება.
- საქცევი — სახნავი მიწის თავსა და ბოლოში გუთნეულის მოსაბრუნებელი ადგილი.
- საყადელი (გერ.) — გასაშრობად ხეზე აყუდებული სივრცეზე დაშობილი ხის შორები.
- საყარი (ფშ.) — საქმელი, სალაფავი.
- საყევარი — გუთანში წინა უღლეულების ან ურეშში მცირე უღელი ხარის მისაბმელი ძელი, კიანხი ან ჩაქვი.
- საჩინო — სოფელია ეანის რაიონში.
- საცალო — ღიღი ტომარა.
- საციქველი — საოჯახო ნივთი, რომელიც შეიძლება მუზობელმა მუზობელს ათხოვოს.
- საძმრე — ძმრის დასაყენებელი ჭურჭელი.
- საწველელი — ხის ან თიხის ჭურჭელი, რომელშიც წველიან.
- საწინწყარა — ფრინველის ლავიწი.
- სახარკო — ვისაც ხარკის გადახდა ევალება, ვინც ხარკი ენდა გადაიხადოს.
- სახედარი: სახედარი ხარი — გასახედნი ხარი.
- სახრიკავი — სახათბალო, სადავიდარაბო.
- საჯლოში — გუთნეულში ის უღელი, რომელზედაც მუზზე ზის, ერთი მხარე ბრტყელი აქვს.
- სერი — ცხერის ყურზე დადებული ნიშანი (ყური ან გახვრტეილია. ან ირიბა-დაა წაპრილი, ან წვერი აქვს მოპრილი და სხე.) სხეების ცხერებლისაგან გამოსარჩევად.
- სველი — ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე, — წაქი, შრავი.
- სვინა — შვილის ნათლია.
- სვინტრი — ბალახია, ხმარობენ მხლად და ხველის წამლად.
- სიილნე (ფშ. ხეხს.) — სიმართლე.
- სიგელი — დასაყინად, გასაყილად შერქმეული სახელი, საგინებელი სიტყვა.

სიღარი — იარაღი.

სიტყვაშაქარი — სიტყვატყვილი, ტყვილიშობარი.

სიღნადი — (ჟე.) — თავდაცვის შიშით გამაგრებული ადვილი, ირბით შემოვლებული შიშაყრილი.

სპეკალი — ჭვირფასი ჭეშმის საერთო სახელწოდება.

სტავრა — ოჭროქსოვილი ფარჩა.

სულადე — ზორბლული, მარტული (პური, ჭერი და მასთ.) — სარჩო.

სჩხრეკენ — არჩევენ, განსახეებენ.

ტ

ტაბაკი — 1. ხის მოზრდილი სინისშავეარი თევში, — ხონჩა.

2. ტალა.

ტაბლა — 1. შოკრო სუფრა ოთხ დაბალ უბზე, პატარა დაბალი მანდა.

2. ხონჩე ან ტაბლა ვარჯიშის საწოდავე, ან ხილი, რომელიც დასაყურთებლად მიტოვდება ელქსოში და იქვე ურთველდენ ხალხს (მიტყალებულის სულის მოსახსენებლად აწადენდენ).

ტაბოცი — ხის ურო, ხედა ან ბრტყელი ქვა, რომელსაც სარკეს სცემენ, რომ ქუჭვი გააცალონ.

ტანთელე — ქანჩრელი, ჟანსალი.

ტოლი: ტოლს დაუღებს — უღელს იმ მხარეს დაიშოვება, საათო უღრა ღონიერი ხარია შებეული.

ტორუა — ტოროლა.

ტრამად — უპატრონოდ, მოუვლელად, ოხრად.

ტრაპეზი — მაგიდა საყურთხეულში, რომლის წინაც მღვდელი აღასრულებდა მღვდელმსახურებას.

ტრელი — პირმოთენ, მლიგნელი.

უ

უამური — ვინც ირადერს გასიამოვნებს. უსიამოვნო, უყურბო.

უანდერძო (ხევს. ფშ.) — რასაც არა აქს რაიმე ტრადიცია, არა ატებს წინამავალი მსგავსი შემთხვევა, უარცეცხლი.

უარშიო — ძნელად შესაგუებელი ხასია: ის., გავლენარი, უარჩი, ჟაღტი, უბეში.

უგბილი — უმეღარი, უხეში, თავზელი.

უგლოთნიდე (ფშ.) — ეფერებოდე, ეაღერებოდე.

უიღეთოდ — უბეიოდ, უბერხულად, მოუხერხებულად, ცუდად.

უკვლო — გზადაბნეული, თავგზადაჯარგული.

ულაუი — მამალი ცხენი (ცვიცი, ვირი).

ულო — ძნის შესაყარად თავთავების მხრით ერთმანეთზე გადაკანსული ან საგანგებოდ შეჩივული გრძელი ღეროები.

უმძრახი — მომღერაუი, უბარი, ვინც არ ელაპარაკება ვისზე.

უნლილა — უფხო, მოუხერხებელი, დონდლო ადამიანი.

უნჯი (ფშ. ზევს.) — განძი, საუნჯე, ქონება.

ურთგმარეგობა — უწესობა, ურიგობა, უზომობა.

ურიში (ზ. იმერ.) — პურული მცენარე წვრილი კილოიანი მარცვლით.

უქმე — 1. როცა არ საქმობენ, დასვენების დღე.

2. რომელიმე რელიგიურ ან ტრადიციულ დღესასწაულთან დაკავშირებული დასვენების დღე.

უქმის ძალი — უქმე დღის წინა საღამო მზის ჩასვლის შემდეგ, როცა მუშაობა წყდება.

უქცევდა — უბრუნებდა, არ ებუებოდა.

უყარე: სისხლი უყარე — სისხლი გამოუწვი.

უცები — უვიცი, უმეცარი, უგუნური.

უძრახე — უთხარი საძრახისი რამ, დაძრახე მისი, დაუწუნე, დაეგმე, გაუცილე, გაულანძლე.

უწმინდიკე — წმინდად, წვრილად. საქმის მკეთებელი.

უხელებელი — ვისაც მოღებენ ან შეუძლია — დაღვრემილი, უხასიათო.

უხნავე-უთესი — ვინც არც ხნავს, არც თესავს, — უსაქმური, ზარმაცი, უქნარა.

უხრიკავეი — ხრიკს, ხათაბალას მოკლებული, — უხრიკო, უხათაბალო.

უხსენებელი — ცუდი, უვარგისი, უავტორიტეტო.

ფ

ფამფარა — რძიანი ბალახი გრძელი, ვიწრო ფოთლებით, უმად აქმება.

ფანჩატი (ფშ. ვადატ.) — უბრალო სახლი, ქობი.

ფანცი-ფუნცი — ჩასაცემლები, კაბა-კუბა, ქინკა-კუნკა.

ფარატიანი — დახეული ტანსაცმლის ნაფლეთი, კონკიძეელის ნაგლეჯი, ნაქუწი.

ფარსაგვი — რიგიანი, ხეირიანი, გვარიანი, კარგი, გამოსადეგი.

ფარჩა-ფურჩა — ფარჩეული.

ფაფანაგი (ფშ. ხეუს.) — ქალის გარეთა მოკლე ჩასაცემელი, ჩოხის მსგავსი, შავი ან ლურჯი შალისა, მოქარგული.

ფაშარი — ადვილად რომ იფშენება, გამოშრალი, ფხვიერი (პური და მისთ).

ფეტეობა (ქართლ.) — ფეტვის აღების დრო.

ფეხმოკრიდგე (ხეუს.) — ფეხის მოჭრას შემდეგ.

ფია-ფუა — ფაფა, ფაფეულობა.

ფილეკა — ნავი.

ფოთირო — სორო, ხერგლი.

ფუნდრუკი, ფუნდრუკობა — ხტუნვა, კენტრეში, ტომით თამაში.

ფურბერწი — ფური, რომელსაც ხბო არ ეყოლა. ბერწი ფური.

ფურრუკი — ფქვილის წენიანი შეკვამანდი, ერბოში მოშუშული ხახვით შეზაბებული.

ჭ

ჭადა — ნამცხვარი, გულად აჭეს ერბოში მოღობილი ფქვილი, ხავეწი, (ერბოს ჭადა), ხორცი (ხორცის ჭადა), მხალი (მხლის ჭადა).

ჭამალალო (ფშ.) — მათარა, „წყლის სასმელი ტყავისა, ან ირპის ფეხის ტყავი გამხმარი ან სხვ.“ (თ. რაზიკ.).

ჭამანდი — ყულფიანი სასროლი თოკი ცხოველის დასაჭერად.

ჭამხა — აბრეშუმის ფერადი ქსოვილი.

ჭამხიანი — ქამხით შემოსილი, ვისაც ქამხის, აბრეშუმის ტანსაცმელი აცვია.

- ქ ა ნ დ ა რ ა — ფრინველის საჭლოში ხარიხა საქათმეში.
 ქ ა რ ი ა ნ ი — თავქარიანი, ქარაფშუტა.
 ქ ა რ ქ ვ ე ტ ა — მცენარე კამის მსგავსი ფოთლებით. ქარი ადვილად წყვეტს და შორს იტაცებს.
 ქ ა ს უ რ ი — ერთგვარი საღესავი ქვა.
 ქ ა ც ვ ი — ეკლიანი ბუჩქი, იყენებენ ცოცხალ ღობედ.
 ქ ი ნ ძ ა რ ა — ქინძის მსგავსი სარეველა ბალახი.
 ქ ი ც ი ც ვ ი ც ი და ქ ი ც მ ა ც უ რ ი ც — კარგი საქმის გაკეთებაც შემიძლია და ავისაც.
 ქ ო ც ო — პატარა ქვევრი (1-5 ჩაფიანი).
 ქ ო ჭ ი (ფშ.) — სახედრის ან ჭორის შეკაზმულობა ამოკავებული ჭოხებით, სადაც ბარგს ჩაუწყობენ ხოლმე.
 ქ რ თ ა მ ი (ყახ. ქართლ. ფშ.) — პატარძლისთვის მზითვთან ერთად ფულად მისაცემი თანხა.
 ქ ს ლ ის მ ბ ე ჳ ე ვ ლ ი — ის ვინც ქსელზე (ყდებზე) ქსოვს, ბეჭით (საქსოვი იარაღია) ბეჭავს.
 ქ უ ღ ბ ე დ ი და ჰ ყ ვ ე ბ ა — იღბალი დაჰყვება, იღბლიანი იქნება.

ღ

- ღ ა დ რ ო ბ ს — დაუნდობლობას იჩენს, დაუნდობლად, მტრულად ექცევა.
 ო ა ზ ო ბ ა (ყახ.) — გაღიზიანება. გაჭაყრება, გახელება.
 ო ა ლ ი ა ნ ი — ნოყიერი.
 ო ა ნ ძ ი ლ ი — ნივრის მსგავსი მხალეული.
 ო ა ღ ვ ი (გურ. იმერ.) — ვიღლის დასაკიდებელი კაუჭი.
 ო ბ ე ბ ი ლ ა — წითელი ძროხის სახელია ხეცსურეთში.
 ო მ შ ი — მცენარეა, რომლის ძირებს ჰამენ.
 ო ო ლ ო — მხალეული, მოგრობო ბრტყელი ფოთლებით. ფოთლებს გაღ:ღ წნ-ვენ და ახმობენ. ზამთარში მისგან წვნიან შეკამანდს აკეთებენ.
 ო ო ლ ო ს შ ე ჳ ა მ ა ნ დ ი — მღულარეში ჩაყრილი ოლო, ფქვილმოკიდებულა და ნიგეზით შენელებული.
 ო უ ლ ა მ ა — ძროხის სახელია.

ჟ

- ჟ ა ღ ი — მესელმანთა მოსამართლე.
 ჟ ა ზ ა ზ ი — ყაითან-ბუზბენტის მქსოველი ხელოსანი.
 ჟ ა ლ ი ა, ჟ ა ლ ი ო (გურ.) — ხახვსა და მარილწყალში მოხარშული ქათამი.
 ჟ ა შ ი — ყადრი, ფასი, დაფასება; ჩიდი, შიში, კრძალვა.
 ჟ ა ნ დ ა უ რ ა — სოფელია საგარეყოს რაიონში.
 ჟ ვ ე ლ ი ე რ ი — დიდმარხვის წინა კვირა.
 ჟ ვ ე ლ ი კ ა მ ი ა — ვინც ყველს ხშირად კამს, ყველის მოყვარული.
 ჟ ი ს მ ა თ ი ა ნ ი — იღბლის, ბედის მქონე, — იღბლიანი.
 ჟ რ ო ლ ი (ფშ. ხევს.) — ავი, ცუდი, უვარგისი, საძაგელი.

- შ ა ე ტ უ ხ ა — მეტად შავგვრემანი, შავად გარუქული.
 შ ა ე ბ ა ლ ა ხ ა — მალალი, ვარდისფერყვავილებიანი ბალახია, — ნაწყენის ბალახი, ძაღლოჭინჭარი, კანაფა ბალახი.
 შ ა შ ა რ ი — ბასრი, პატარა დანა, — ნესტარი.
 შ ა ქ ი — ამართვა, წელში გამართვა, გამართულად დგომა, თითის წვერზე დგომა.
 შ ა ხ დ ე ბ ი ს — შეუა, შექდება, ავა.
 შ ე მ ო ტ ე უ ლ ი ზ ა მ თ ა რ ი — დასაწყისშივე მკაცრი და თოვლიანი ზამთარი.
 შ ე ე პ ე ბ ა : რ ა ს შ ე ე ვ პ უ ე ბ ი — ანგარიშს არ გაეუწევ, არაფრად ჩაეგდება, არ მოვერიდები; არ დიუმორჩილები.
 შ ე ი დ ი შ ი — ქალის შარვალი ფარჩისა.
 შ ე ი წ უ რ ე ბ ა (ყველი) (ფშავ.) — ამოიყვანება, შეიძლება ამოიყვანო (ყველი).
 შ ე ქ ე ვ ა — დროს ტარება, გართობა, ლხინი, ქეიფი.
 შ ვ ა ვ ი — ზევაი.
 შ რ ო შ ა ნ ი — შოშია.
 შ უ ა კ ა ც ი — შუამავალი.
 შ უ რ ი, მ შ უ რ ი — ვისაც სხვისი სიკეთე არ ესიამოვნება, სხვისი კარგი შეაწუხებს, — შურიანი.
 შ უ შ პ ა რ ი (ძვ. და ფშ.) — ცეკვა.

ჩ

- ჩ ა ი კ ი ნ კ ი ლ ო ს — ცქვიტად ჩაირბინოს.
 ჩ ა კ ლ ა კ ი — წყლის ფრინველია.
 ჩ ა ლ ხ ა ნ ა — ცეცხლზე ჩამოსაკიდებელი ჯურიანი მომცრო ქვაბი.
 ჩ ა მ ა ს წ ა რ — მოასწარი ჩემი ჩაგდება, ჩათესვა.
 ჩ ა ნ ა ხ ი — ხორბლის საწყაო.
 ჩ ა ნ თ ე ლ ი — „გვარია გამოჩენილი ვაეკაცისა“ (თ. რაზიკ.).
 ჩ ა რ ა თ ი (ფშ.) — ოთხმწკრივიანი ქერი.
 ჩ ა რ ე ქ ი ა ნ ი — იხ. ლ ი ტ რ ი ა ნ ი.
 ჩ ა ს ა დ ე ბ ა რ ი (ბეეს.) — თან გასაყოლებელი, სავალი; საჩუქარი.
 ჩ ა ღ შ (ბეეს.) — ძირს, დაბლა, ქვეით.
 ჩ ა ჰ ხ ი ე ი ა ნ (ფშ.) — ჩაახვეენ, ჩააცლიან.
 ჩ ი კ ო რ ი — ხის ბზრიალა, რომელსაც შილტის ცემით ატრიალებენ.
 ჩ ლ ა ვ ი — უერბო ფლავი.
 ჩ ო ჩ ხ ა თ ი — სოფელია ლანჩხუთის რაიონში.
 ჩ უ მ ჩ უ მ ა თ ო ბ ა — ჩუმად, მალულად მოქმედება, საიდუმლოდ ჩადენა რისამე.
 ჩ უ რ ჩ უ ლ კ უ რ კ უ რ ი — ჩუმჩუმად, ფარულად, საიდუმლოდ ლაპარაკი.
 ჩ ხ ე რ გ ი (გურ.) — ხმელი ხის ტოტების ნამტკრევები.

ც

- ც ა ლ უ ლ ე ლ ი — ერთი უღელი ხარი.
 ც ა ც უ ნ ი — ხელის ოდნავ შეხება, ხელის მსუბუქად მიკარება.
 ც ე რ ი — ღობის მოსაქსოვი წნელის ირიბად წაქრალი ბოლო.
 ც ე (იხლიდან) გ ა ვ ი ყ ა რ ი ნ ი თ (მთიულ.) — ერთი ოჯახიდან, ერთი კომ-

ლიდან (ერთი საერთო კერიდან) ცალ-ცალკე ოჯახებად გავედით.

ციბა — პატარა ძაღლი.

ციბრუტი — მწველით სატრიალებელი ხის სახვრეტი ბურღი.

ციკვერა (ქიზიყ.) — უხეირო მკედელი.

ცინთვალი (ხევს.) — ცალთვალი.

ციცხვი — ხის დიდი კოვზი.

ცოლეური — ცოლის მშობლების ოჯახი, მოყვრები.

ცრუვი (ფშ.) — ამპარტეანი.

ცოტა (ხევს.) — პატარა.

ცუდა — უქნარა, ზარმაცი.

ცუნცრუკა — სიღინჯე რომ აკლია, — ცუნდრუკა, მჩატე, ჩქარი.

ცქაფი — სწრაფი, ჩქარი, მარჯვე.

ცხოველი — ცლიერი, ცხარე (შმარი).

ცხრა საბრუნავი აქვს — დიდი ასპარეზი აქვს, დიდი გასაქანი აქვს.

ძ

ძვალი გააგდო — დიდხანს აღარ წაეიდა.

ძველა — ძალიან დაძველებული, გაცვეთილი.

ძვირი — ძუნწი, ხელმოკერილი.

ძიგურა (გურ.) — ეკლას ნორჩი ყლორტები, იხმარება მხლად.

ძნიაღ — ძნელად.

ძლიბლიანი — წირპლიანი.

წ

წავალ-წავალა — ვინც სულ იძახის „წავალ-წავალა“, მაგრამ იქვე რჩება; სულ წასვლას რომ გაიძახის და ვეღარ მიდის, ვერ გაეტევა.

წაიტეტკვა — წაიტეხა, წაიმტერია.

წართვით — გაბმით. უწყვეტლივ.

წალმართი — სწორი, პირდაპირი.

წაჩხვერა — რქებით ურჩოლა, ურქინა.

წაჭე-უეჭეჭეის ცეცხლი — წერილი შუშის, ფიჩხის, შამბის და მისთ. ალიანი ცეცხლი, რომელმაც სწრაფად იცის ალაპლაპება და სწრაფადვე ჩაქრობა.

წერა — ცოლის მოყვანის ბედი, ბედ-იღბალი, ხვედრი.

წველა — მწონი.

წვენუა — წვენი.

წი-წი — ცოტა-ცოტა, პატარ-პატარა.

წიღა — ბენჯი, გადადნობის (ან კედვის) მინერალური ნარჩენი.

წიღნა, წიღვა — ვაზის რქის გადაწვევა და მიწაში ჩაფლვა.

წინწელი (ფშ.) — ნაბერწყალი.

წინწინ — პირველად, უკინ.

წკაპი — დარტყმის ისეთი ხმა, წკაპანს რომ მოადენს, დაიწყაუენებს.

წმინდა (ფშ.) — ხორბალი.

წუწიანი — წირპლიანი.

წყალკურთხევა — ქრისტიანული ღვთისმეტყველება (მოდითო 6 ნაწილს ეყვ
ლი სტროს), — ნათლილება.
წყალობა (ეეს.) — გამოწვევა.
წყარომელა — ზეცა.

8

კალი — ერმის ხელნაწი ჩასახობი სარი.
კანკიანა — კანკა ბალახით დაფარული ადგილი, სადაც კანკა მოდებულა.
კაპა-ქეპი — დახარბებული კაპის ხმა, — წყლაუნა.
კედისი — საშველრა.
კეინტი — ქალაქის, წლის წებთან ცხვირი.
კიანა — სსსი. დარდონილი.
კივკიეი — ბელერა.
კიმერი — მოადელი მკადის დეილი ღობის ქონში ასერილი. „ბრინჯი ან
ღაღუნური პერი ერბონი ან ზენი ნობარელი“ (საბა).
კინკალა — კინკრაჟა.
კია (ფშ. ხეეს.) — ნაი ფრინველია. „ბაბარა კილუყევი“ (საბა).
კობოსანი — ხის საფხევი დიდი ქლიბი.
კობა (კიხ.) — კობად რქებამწვდილი საქონელი.
კობარი — ადგილის სახელია.
კოკიანი — ხიტის საშო ხშიანობა, — კაკიევი.
კყანი (გურ.) — ხორცის ნახარში, წყენუა.

6

ხაბახი — პურის მცხობელი.
ხაბახუბა (ქართლ.) — უმწიფარი ხილი.
ხადილი — წყეულება, ლხინა. შეკევა.
ხაგი — წამოღებულელი ფეკილერბო.
ხალი — ტომრად შეყერა ცუევი, — ზელა.
ხალიფა — დაადელი და მენდევ დაფქვილი ხორბლიდან გაყეუბული ფა
ფა, ცხენით შეზავებულ.
ხანი, ხანული — რის მოზიარე დედაევი (საბა), იხ. ხანლობა.
ხანულიბა — ძროხებზე პატრონა შეახანება ქერონით რის საწეულად.
ხარაკული — სუხე ამოყეული საბე, ჩქეურა.
ხარევი — სსსლი კვალა და კვალა შეა დაჩქენილი მოუხნავი მიწა.
ხაალი — ცობის მ'გესად გადამილი მოწნული კალაბა.
ხახამი — ებრაელები დაბალი რანვის სასულიერო პირი.
ხდბოდენ (ფ.) — ზეუბოდენ, თაესობდენ.
ხდნა (გურ.) — მცნობა.
ხეკეუნი — კრალი.
ხელენი — ცალი ხელთ სასარი პატარა ერო.
ხელთმარეალი — გაძრე და შმოყეული, მომწავრებული ადამიანი.
ხელკაგი (მერ. გურ. ლეჩხ.) — ხის მსხვილთაგანი მოყული ქობი საყეხად.

- ბ ე შ ი (ლექს.) — მომკილ ყანაში დარჩენილი თავთაებიდან შეკრული პატარა კონა.
- ბ ე ე და — მოკლუტარიანი მომცრო ხის საბეგველი, რომელსაც თავთავის კონების გამოსალეწად ხმარობენ, ხმარობს დურგალიც სატეხეზე დასარტყმელად.
- ბ ი ლ ბ ა — ხილით მასპინძლობა, ხილის მირთმევა, ხილზე შექცევა.
- ბ ი ნ კ ი ლ ა — ლომის, ფეტვის ან ბრინჯის თხელი ფაფა.
- ბ ი ჩ ა ტ ე ლ ი — ველური ხილი; უხეირო ხილი.
- ბ ი ჩ უ რ ი (ჯახ.) — ულამაზო, გონჯი.
- ბ მ ი ს გ ა ტ ე ხ ა (ხეცს.) — საგანგებო ამბის შეტყობინება სოფლისათვის.
- ბ ო რ ა — შუშის ზვინი.
- ბ ო ხ ა — კაცის სახელია.
- ბ ო ჯ ა — დიდი თანამდებობის პირი სპარსეთის შაჰის კარზე.
- ბ რ ი ა ლ ო ბ ა — დაყვავილების (ყვავილის დაცენის) შემდეგ ყურძნის მარცვლის გამონასკვის დრო.
- ბ რ ი ნ ვ ი — სნეულის გულზე ქშენის ხმა, გულზე ხიხინი.
- ბ ს ე ნ ი — ახალი მძეძუქურის რაე პირველ სამ დღეს.
- ბ უ ზ ი — ფშავის ხეობა (საბა).
- ბ უ ზ უ რ ი — ფშავის ხეობელი.
- ბ უ ნ დ ი — მორგვი, — ურმის თვლის კუნძი, რომელშიც გაყრილია ღერძის თავი.
- ბ უ ო და — ხმაურობდა.
- ბ უ ო ბ ს — უცხოობს, უარობს, არ იგუებს, თავილობს.

ჯ

- ჯ ა გ ი — ეკლებიანი ბუჩქი.
- ჯ ა გ დ ე ბ ო და — ჯაგად იქცეოდა, ბერდებოდა, ყლორტები უმაგრდებოდა, სინორჩეს კარგავდა.
- ჯ ა გ ლ ა გ ი — ბებერი, გამხდარი ცხენი, (ჭორი, ვირი და მისთ.).
- ჯ ა ე ა ხ ი (რაქ.) — ჩიბრიანი.
- ჯ ა ლ ა ბ ო ბ ა — ოჯახი, ცოლ-შვილი, სახლში მყოფი.
- ჯ ა ნ დ ა გ ი — გამხდარი, მკლე საქონელი.
- ჯ ა ო (რაქ.) — ჯაგარი.
- ჯ ა რ მ ო ყ ვ ა რ ე — მრავალრიცხოვანი მოყვარე, ბევრი მოყვარე.
- ჯ ა რ მ ტ ე რ ი — ბევრი მტერი.
- ჯ ი ლ ა გ ი — გვარი, ჯიში.
- ჯ ვ ა რ ო ბ ა — რომელიმე წმინდანის დღეობა, დღესასწაული.
- ჯ ი ნ ჯ ი ლ ი — რკინის ჩასაცმელი ზემო ტანისა.
- ჯ ი ჯ ი ტ ა (მოხვევ.) — ნახვრეტი, კუპრუტანა.
- ჯ ო რ კ ო — ჯირკი, დაბალი ხის ნამორი დასაჯდომად; დაბალი სკამი.
- ჯ ო რ ჯ ი, ჯ ო რ ჯ ი ბ ა — ეზოს დიდი ძაღლი, არამონადირე ძაღლი.
- ჯ უ ბ ა (ფშ. თუშ.) — ქალის ზედა საცემელი შალისა, ავღარში იცვამენ. „შინაური შალის კაბა“ (ვაჟა).

კ

კ ა ი-კ ა რ ა დ — საჩქაროდ, როგორმე.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

- აზერბ. — აზერბაიჯანული.
 აკაკი — აკაკი წერეთელი.
 აპარ. — აპარული.
 ბარათ. — ნაკოლოზ ბარათაშვილი
 გადატ. — გადატანილი.
 გრიშ. — იოსებ გრიშაშვილი.
 გულაშაყ. — გულაშაყრული.
 გურ. — გურული.
 გურამ. — დავით გურამიშვილი
 „ღამ.“ — „ღამაკვირდი“, მსოფლიო
 კლასიკოსების აფორიზმები,
 ამოკრებილი „ივერიიდან“ ალ.
 სიგუას მიერ, თბილისი, 1947.
 დამცირ. — დამცირებითი.
 ერისთ. — რაფიელ ერისთავი
 ვ. ტ. — ზოთა რუსთაველი „ვეფხისტ
 ტყაოსანი.“
 ზ. იმერ. — ზემოიმერული.
 თიან. — თიანური.
 თურქ. — თურქული.
 თუშ. — თუშური.
 ილია — ილია კავკაეძე.
 იმერ. — იმერული.
 კახ. — კახური.
 ლეჩხ. — ლეჩხუმური.
 მგალობ. — სოფრომ მგალობლიშვი-
 ლი.
 მთიულ. — მთიულური.
 მნიშვნ. — მნიშვნელობა.
 მოხვე. — მოხვეური.
 ორბ. — გრიგოლ ორბელიანი.
 რაქ. — რაქული.
 საბაა — საბა ორბელიანი, „სიბრინე
 სიცრუისა“, თბილისი, 1957.
 საიათ. — საიათთოვა.
 სახარ. — „ქართული ოთხთავის ორი
 ძველი რედაქცია სამი შატ-
 ბერდული ხელნაწერის მიხედ-
 ვით“, თბილისი, 1945.
 სტ. მენთ. — სტ. მენთეაშვილი, ქი-
 ზიურთი ლექსიკონი, თბილი-
 სი, 1943.
 ფშ. — ფშაური.
 ქართლ. — ქართლური.
 ქ. დ. — „ქილილა და დამანა“.
 ქვ. იმერ. — ქვემოიმერული.
 ქიზიყ. — ქიზიყური.
 შარაშ. — გ. შარაშიძე, გურული
 ლექსიკონი, თბილისი, 1938.
 ჩუბ. — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-
 რუსული ლექსიკონი, პეტერ-
 ბურგი, 1887.
 ძვ. — ძველი.
 ქუ. — ი. კუონია, სიტყვის კონა, პე-
 ტერბურგი, 1910.
 ხალხ. — ხალხური.
 ხევს. — ხევსურული.
 ხელოვნ. — ხელოვნური.

1. ლექსიკონში კი ეს შემოკლება გულისხმობს საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონს, 1928.

სუპერზენს ს.ი.

ანდაზები

1. დ. ჩუბინაშვილი — ქართული ქრისტომატია ანუ განოკრებალნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დაუთ ჩუბინოვის მიერ, საჩილი პირველი, პროზა. სანკტ-პეტერბურლი, 1846. გვ. 378—393.

2. „ცისკარი“ — ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი № 2, 1353. გვ. 43—58.

3. დ. ჩუბინაშვილი — ქართული ქრისტომატია, ანუ გამოწერილნი სტატიები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან. ნაწილი მეორე. ქართული ლექსები. ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან. სანკტ-პეტერბურლს სამეცნიერო აკადემიის სტამბასა შინა. 1863 წ. (გვ. 166 — 180. ქართული ანდაზები).

4. ი. გოგებაშვილი — ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, ტფილისი, 1856.

5. რ. ერისთავი და ი. ქავჭავაძე — გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილ. ქავჭავაძისაგან. წიგნი პირველი, თბილისი, 1873.

6. „ქრებული“ — სალიტერატურო ჟურნალი, შეათე წიგნი, ტფილისი, 1873: ძველებური მესტვირული ლექსები და მდაბიური ანდაზები. შეკრებილი რაფ. ერისთავისაგან (გვ. 1—20); ქართული მდაბიური ანდაზები (გვ. 9—20).

7. ა. ბალუჯი — ანდაზები შეჯგენილი და გამოცემული ა. ბალუჯისაგან, ტფილისი, 1873.

8. ბ. უშიაკაშვილი — ქართული მწერლობა, წიგნი მესამე. ქართული ანდაზები, ტფილისი, 1875.

9. ი. გოგებაშვილი — დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის, გამოცემა პირველი, სურათაქვით, ანალოისი, 1876.

10. ი. გოგებაშვილი — დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის. შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. მესამე გადასწორებული გამოცემა. ტფილისი, 1881.

11. А. И. Джавахов — Из грузинской народной словесности: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. II, 1882.

12. „დროება“, — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1883, № 29.

13. „ნობათი“ — ყრმათა საკითხავი საყოველთაო სურათებისანი ტერ-

ნალი პედაგოგიურის დამატებით (მშობელთა და აღმზრდელთათვის) 1885, № № 3, 4, 5.

14. „ივერია“ — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1886—1906 წ. წ.

15. „ქეჭილი“ — საყმაწვილო ნახატებიანი ყოველთვიური ექვსნაღობის ტფილისი, 1890—1923 წწ. სხედასხვა ნომერში.

16. ა. შირაქ. — ნაპერწყალი, გასართობი, ნაკვეთი, მოსწრებელი სიტყვა, ანდაზა, იგავ-არაკი, საოუნჯო ამბები და სხვ ნაწ. I, 1896.

17. „მოამბე“ — თვიური ექვსნაღობი, 1897, № 10.

18. „აკაკის თვიური კრებული“. ა. 1897, № 1, განყ. III; II 2, განყ. III, № 4, განყ. III; 1898, № 9, განყ. III; 1899, № 12, განყ. II; 1900, № I განყ. II;

19. ს. მერკვილაძე — ხალხური ანდაზები და გამოცანები. შეკრებილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან, ტფილისი, 1898.

20. კ. გვარამაძე — მესხური ანდაზები და გამოცანები, ნაწილი I, შეკრებილი და გამოცემული მესხი კონსტანტინე გვარამაძისაგან. ახალსენაკი, 1895.

21. И. Капацадзе — Село Сачилаво Кутаийской губ., Сенакского уезда, с преданьями, сказками, пословицами, загадками и суеверьями сачилавцев (пословицы): Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXVII, отд. II, 1900.

22. მესხი კ. გვარამაძე — ათას ცხრაასი წლის სახსოვარი. მესხური ანდაზები, გამოცანები. ნაწილი II, ბათომი 1900.

23. М. В. Глушаков — Имеретинские пословицы: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXXII, 1903.

24. „მოლადური“ — საყმაწვილო ნახატებიანი კრებული, 1904 № I.

25. „ნაკადული“, — საყმაწვილო ექვსნაღობი მოზრდილთათვის 1905 № 9.

26. „ნაკადული“ — საყმაწვილო ექვსნაღობი მცირეწლოვანთათვის, 1905, № 24.

27. ს. ვაჩეჩილაძე, — ანდაზები, ჩქარა სათქმელი და ზმა. შეკრებილი სევასტი ვაჩეჩილაძის მიერ. სოფ. წევვაში, ზემო იმერეთს: „ძველი საქართველო“, I, 1909.

28. ზ. ბილანიშვილი — ანდაზები და სიტყვის მასალა (შეკრებილი 1883—1887 წლები, გარეთ-კახეთში, სოფ. პატარძელში ზ. გ. ბილანიშვილის მიერ); „ძველი საქართველო“, ტ. II. 1911—1913.

29. ვაჟა-ფშაველა — ანდაზები; „ძველი საქართველო“, ტ. II, 1911—1913.

30. ი. გოგებაშვილი — დედა-ენა, პირველი ნაწილი, ქართული ანბანი პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით, ყველა სარწმუნოების ქართველთათვის. 33-ე გამოცემა, ტფილისი, 1912.

31. ი. გოგებაშვილი — დედა-ენა, ნაწილი მეორე. საყოთბავი წიგნი ანბანის შემდეგ სკოლებში სახმარებელი. ორის წლის სრული კურსი, თბილისი 1912.

32. მესხი კ. გვარამაძე — ანდაზები და სიტყვის მასალები (სამეცხეთოსა და გურიაში შეკრებილი მესხი კონსტანტინე გვარამაძის მიერ), „ძველი საქართველო“, ტ. III; 1913—1914.

33. ვინძე მესხი — ანდაზები და აფორიზმები (სამეცხეთოში შეკრებილი ვინძე მესხის მიერ); „ძველი საქართველო“, ტ. III, 1913—1914.

34. ლ. მეტრეველი — ქართული ანდაზები, ტფილისი, 1926.

35. ი. გრიშაშვილი — ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტფილისი, 1927, გვ. 70.

36. თ. თურდოსპირელი, ე. გაბრიჩიძე — ქართული ანდაზები, ტფილისი, 1935.

37. ლ. მეტრეველი — ანდაზები, მეორე გამოცემა, ტფილისი, 1936.

38. ჯ. ნოღაიდელი — აკარის ხალხური სიტყვიერება, წიგნი პირველი, ბათუმი, 1936.

39. პ. უშიკაშვილი — ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I. ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ტფილისი, 1937.

40. ს. შაკალათია — მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938, გვ. 143.

41. ჯ. ნოღაიდელი — აკარის ხალხური სიტყვიერება, ბათუმი, 1940.

42. ლ. მეტრეველი — ანდაზები, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 1941.

43. თ. ბეგიაშვილი — ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1941.

44. შ. ჩიქოვანი — ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში: ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედ. ინსტ. შრ. ტ. V, 1948.

45. პ. წერეთელი — ანდაზები (ქართულ-რუსული შესატყვისები), თბილისი, 1951.

46. ნ. ქადაგიძე, ქ. დევანოზიშვილი — გერმანული ანდაზები ქართული შესატყვისებით, თბილისი, 1951.

47. ნ. ნაკაშიძე — ანდაზები, თბილისი, 1953.

48. თ. სვინტიძე — ქართული ანდაზები, თბილისი, 1955.

49. ლ. შოწონელიძე, ტ. დობროვოლსკაია, პ. გრიჭოვა — ფრანგული ანდაზები და თქმანი (ქართულ-რუსული შესატყვისებით), თბილისი, 1955.

50. პ. წერეთელი — ქართულ-რუსული ანდაზები, თბილისი, 1956.

51. ქს. სიხარულიძე — ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, I, თბილისი, 1956.

52. ალ. ღლონტი — რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები, თბილისი, 1957.

53. ჯ. სონღულაშვილი — ხალხური სიტყვიერების მასალები: II, თბილისი, 1957.

54. ან. ხინთიბიძე — პედაგოგიური თვალსაზრისით ქართული ანდაზების შერჩევისა და კლასიფიკაციისათვის. თელავის პედ. ინსტ. შრ. III, 1957.

55. შ. ალავეიძე — იმერეთსა და რაქა-ლეჩხუმში შეკრებილი ანდაზები: გაზ. „სტალინელი“ № 90 (7141), 1958 წ.

56. ე. ვირსალაძე — ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება. მთიულურ-გუდამაყრული. თბილისი, 1958.

25. H — 2000 იე — ს. ანთაძის, გ. კეშელავას და მ. კელენჯერიძის მიერ შეკრებილი.
26. H — 2000 იზ — დ. მაჩხანელის მიერ შეკრებილი — სოფ. მაჩხანანი.
27. H — 2000 ივ. — გ. ძმანაწვილისა და მ. კელენჯერიძის მიერ შეკრებილი — სოფ. ბოდბე და სოფ. მალარო.
28. H — 2000 კ —
29. H — 2020 — ანდრია ნიკოლოზის ძე უზნაძის მიერ შეკრებილი.
30. II — 2022 ა, ბ — სარა ბებიაშვილის მიერ შეკრებილი — სურამი, 1915 წ.
31. II — 2553 — ჟურნალებიდან ამოკრებილი („ნობათი“, „აკაკის კრებული“, „თეატრი“, „ჩეჩელი“), აგრეთვე სოფ. კალაურს, რ. ქვეხიშვილისაგან ჩაწერილი, სოფ. ხიზაბავრაში მესხი კ. გვარამაძისაგან ჩაწერილი, მესხეთში ჩაწერილი.
32. II — 2515 — დ. პავლიაშვილის მიერ ჩაწერილი ხევსურული ანდაზები.
33. II — 2516 — ნ. კეცხოველის მიერ ჩაწერილი — სოფ. ტყვიავი, 1912 წ.
34. II — 2625 — კ. გვარამაძის მიერ ჩაწერილი — ახალციხე, 1909 წ.
35. H — 3056 — ლ. შეტრეველის მიერ შედგენილი, 1919 წ.
36. H — 3057 ა, ბ, გ, — „ „ „
37. H — 3058 — „ „ „
38. H — 3059 ა — „ „ „
39. H — 3059 ბ — ალ. კყონიას, პ. გერმანიშვილის, ივ. ქავთარაძის, რ. ერისთავის... მიერ ჩაწერილი, ლ. შეტრეველსაგან მოკრებილი.
40. H — 3060 — ვასილ ბერელაშვილის მიერ შეკრებილი.
41. A — 1268 ი — თ. ჟორდანიას მოწაფეების მიერ შეკრებილი.
42. A — 1271 ა — ა. დევიძის მიერ შეკრებილი — პერევისა, 1890 წ.
43. A — 1753 — ალ. ცავარელის მიერ ჩაწერილი.
44. S — 5293 ა — ვინმე მესხის მიერ ჩაწერილი 1877 წ.
45. S — 3724 — გვ. 124—159. გვ. 162—192.
46. Q — 965 — თ. სახოკიას მიერ შეკრებილი.
47. ლიტ. მუზ. 12463/167 — თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ფშავსა და ქართლში.
48. „ 12276/163 — თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი — ფშავსა და ქართლში.
49. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების საილუსტრაციო ფონდი.
50. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის თ. სალარიძის მიერ ქართლში შეკრებილი ანდაზები.
- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ ხელნაწერებში: S — 2433, A — 1575 ა, H — 2535 დ. ბაგრატიონის მიერ გალექსილი ანდაზებია წარმოდგენილი. ეს მასალა ამ კრებულში არ შეგვიტანია.

მანქანობის ისტორია

გ. მაკრატოვი — ყრებელი (2122), 1817—1825 წწ.

„სინკარი“ № 1, 1859 წ.

„ოქროსი“

„სინკარი“ № 26, 1876, № 149, 1878.

„სინკარი“ № 40, 41, 42, 1886.

„სინკარი“ კლუბისათვის № 2, 1892.

ავტოსტრუქტურა № 4, ტანკ. 11, 1899.

გ. გენინი — სენის ქართული მანქანის ტექნიკა, 1902 წ.

დ. ვანარაშვილი — ავტობუსების და ავტომობილების კონსტრუქცია, 1927 წ.

სხეულობის (ბ. დიმიტროვი) — სერვისის ეროვნული ინჟინერები, 1928 წ.

ბ. ხანდუკი — სერვისის რისკის შესახებ, 1948 წ.

ს. ს. სკოლინი — ავტობუსების რუსეთის სსრკ-ის ქართული
ლოკალიზაციის ისტორიის ინსტიტუტის ფოტოლოგის განყოფილების არქივი.

კ. კობახიძის სხეულობის ტექნიკური ინჟინერების ფონდი.

ბ ა მ ო ც ა მ ა რ ი

ბეტრე უნივერსიტეტი — ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, 1937 წ.

დემიანო თეოფილი — ხალხური სიტყვიერება, წიგნი I, 1916 წ.

ტრიფონ ჩაქვიანი — გამოცანები, 1926 წ.

ქვანჭერის სიმღერების კრებული — ხალხური სიტყვიერების მასალები, I,
1955 წ.

ქვანჭერის სიმღერების კრებული — ხალხური სიტყვიერების მასალები, II,
1957 წ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოტოლოგის
განყოფილების არქივი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	5
-------------------------	---

ა ნ ლ ა ზ ე ბ ი

ანლაზები	21
ლიტერატურული ანლაზები	219
ანლაზური თქმები	225
აფორიზმული გამონათქვამები, შეგონებანი, თქმები	237
სიტყვის მასალა და ფრაზეოლოგია	284
ცრურწმენანი და ადამ-ჩვევები	306
იჯაგები, ნაკვესები	309
ანლაზურ-აფორიზმული ლექსები და გამონათქვამები	323
დალოცვისა და დაწყევლის ფორმულები	386
გამოცანების ყაიდაზე აგებული ფრაზები, გამონათქვამები ზღაპრებიდან, თქმულელებიდან, საბავშვო თამაშობებიდან	388

მ ა ხ ვ ი ლ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ირემი და ბაყაყი	391
დათვი, ტურა და შელა	391
ირემი და კუ	392
თავში არ უნდა შემცდარიყავიო	392
დათვი და გლეხი	392
თეთრი თხა	393
მგელი და სამი ცხენი	393
თაგვი და ადამიანი	394
ბეგი და ვირი	394
მოტყუებული მეფე	394
სეტყვა და გლეხი	395
ფრთხილად იყავი, მოურავო	395
მცამეტე რასა შვრება?	395
თუთიყუშის პასუხი	395
„ცოცხალი“ ტყუილი	395
თუ საწყალი იქნება...	396
თევზის მკამელი ვეჭილი	396
გლეხის პასუხი შაჰისადმი	397

თავადის საჩუქარი	397
უცნაური დავალება	397
წენ უფრო კარგად გცოდნიაო	397
მოხერხებული მყიდველი	398
ვექილის პასუხი	399
ბრიყვი ცოლ-ქმარი	393
ბნელში რას იპოვიოო	399
ჩემი საბრალო თხები მომაგონდაო	399
თქვენს გზირს რამდენი რქა ჰქონდაო?!	399
ხ ა ტ ი	400
მოტყუებული მღვდელი	400
ჩემი ყანისაკენ იუპურებოდაო	401
ძმამ გადაარჩინა	401
ბრიყვი ბატონი	401
მღვდლის ქალიშვილი	402
მღვდელი და ხელაფქვაეი	402
როგორც ვიყიდე, ისე გაეყიდეო	402
შვილიანობას გადაჰყვავო	402
მდიდარი და ქურდი	403
კბილების ამოღება	403
ამაო დარიგება	403
ღვინო რომ ყოფილიყავ	404
მეფის ხუმარა	404
კინტო და სოვდაგრები	404
საზამთროს ხმა	405
ბრიყვი მეწაღე	405
ყველაფერი ამოვა დედამიწიდან	405
ურწმუნო მსახური	406
ყურძნის ქურდი	406
ყ:ლანა	406
მოციბრე	407
აბა, რა არის ექ სალაპარაკო	407
ძუნწის ანდერძი	408
... ღირსი არა ხარ, მზეს უყურო	408
წვინტლიანი ქალიშვილი	408
წყალწაღებული	409
ჩაწიწილებული კვერცხი	409
ახირებული სიცილი	409
ანგელოზი ცოლი	410
ლი ბ რ ი	410
ის უფრო ადრე მოუტანსო	410
ტვინი გიჩანს თავშიო	410
კატაც გადააყლაპეთო	411
ერთი თუმნის გულისათვის	411
ტყუილის ბარაქა	411
მცხვარის მოწმეები	412

მ:ნღ რომ ტუენი იყოს...	412
ძამასახლისის ბრძანება	412
... კაპიანი ჯოხის მოსატანად წავიდა	413
თავადის ჩივილი	413
მოხუცი და სიკვდილი	413
ქაჩალი	413
მზარეულის ქურდობა	414
თავში ჩართუმა ერთ მანეთად	414
ღაფაა თუ ფაფლუწი	414
მე ვიცი, გულს ვისაც დასწვავსო	415
მამის ანდერძი	415
... შიგნიდან კატაც გარეცხავსო	415
მონადირის ტყუილი	415
ორი ძმა და მათი და	416
ერთი ქილა ოქრო	416
ზღვის დაწვა	417
ღმერთი არაფერს მომცემსო	417
ამოდენა ხალხში შევრცხვებოდიო	417
ჩემ ფეხებს ჩექმები ეცვა...	417
ანჩხლი ცოლი	418
წაქარიანის სალომემ ჩაიარაო	418
წინდახედული ღურგალი	419
უცნაური გარიგება	419
უხრკიკე საქმეს სახრიკიკევად რად მიხდიო	419
ხატილუწია გიორგი	420
მედავითნე და კამჭი	420
თუ ამ ლუქმას გადავუჩრი, ხეთი ძმანი ვართო	420
როდის იქნება აღდგომა?	421
მღვდელი და ქედიანი მლოცველი	421
მღვდელი და ქურდი	421
წვიმის ყიდვა	422
მჯათ ექიმი თანვე ჰყოლიათო	422
მე კარგ ბინაზე ვარ, თუ დამაყენებო	422
მთიული ქალაქში	423
ლაფგადასხმული ქათამი	423
ტუტუტუების სია	423
ესეც გაივლის	424
თაჯის მოკვლა	424
კინტოს პასუხი	425
კინტო და მისი მამა	425
კინტო და ვირი	425
კინტო და შაპის ვირი	425
ჩვენც გაგვაუბედურე და ის გლეხიცაო	425
მეფის სადილი	427
საჩიოს დაჯილდოებული	427
განა მე მშვიერი ვარო?	428

ქალაქში ნათლობა ვერ იცანი და აქ შენი ვირობ	427
სათლი, თუ მაგაზე შეტი მაღა მოგეცა, აქეთ აღარ ჩამო- იარო	427
ანი მანეთის საღირალი კატა იმტვრევაო	430
ცხვარი ცხვრისა ფეხით ეყიდა და თბა თხის ფეხითა	430

მახელსიტყვაობის ოსტატები

ბენიას მოხერხება	431
ბენიას ერთგულება	432
თარხანი	433
კაბუა და მეფის მონადირეები	433
თველორე ხორგუაშვილი და იულონ ბატონიშვილი	434
უწინდელი ცხენები რალა იქმნენო	434
პირშავადაც რომ ვაყო, არა მიშავს რაო	435
სერგია და ბუკულა	435
სერგიას მგზავრობა შატარებლით	435
უპურმარხო მევობარი	436
სერგია და მისი ცოლი	437
სტუმარი სერგიასთან	437
სერგიას ნათელი	437
სერგია და მისი ვაჟი	438
სერგია და სტუდენტი	438
სერგია და ქედის მუიღველი	438
სერგია და მისი შვილი	438
სერგიას რჩევა	439
სერგია შუამავლად	439
სერგია და მგზავრი	439
სერგია საჩაიენი	440
ენსზე მომები, ნუ დამზოგაეო	440
მქენხარა ახალგაზრდა	440
სერგია და გვარდიელები	441
თვადის გადარჩენა	441
თვადის ხუმრობა	442
სამაგიეროს გადახდა	443
ხმელეთზე თევზაობა ძნელი, თუარა წყალში იოლია	444
ლევარსის ზარბაზანი	445
დათვის დაქვრა	446
ორაველი	447

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ვა და ციური სხეულები	449
ღვღამიწა	452
ღ რ ო	454

ბუნების მოვლენები	455
მცენარეები, ყვავილები, სოკოები	461
კულტურული მცენარეები, კირნახელი, ბოსტნეული ცხოველები	464
შინაური ცხოველები	472
ფრინველები	474
თევზები, ბაყაყები	477
მწერები, კიები, ქვეწარმავლები	431
ადამიანი	482
ადამიანის სამოსელი და ლოგინი	436
ბინა, ცეცხლი	493
ქურკლეულობა	475
სასმელ-საკმელი	497
წრომა და შრომის იარაღები	500
ხელსაქმე	503
ტექნიკა, იარაღი	508
განბეულობა, ფული	510
გასართობი საგნები	512
აზროვნება და მწიგნობრობა	513
ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი	516
შემოკლებანი	537
წყაროების სია	538

რექტორი გ. ხორნაული
მხატვ. რექტორი შ. დოლიძე
ტექრექტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი თ. ჩიჭეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XI-65 წ.
ქალაქის ზომა 60X90^{1/16}
ნაბეჭდი თაბახი 34,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 23,07
ტირაჟი 20.000 შუკე. № 2990
ფასი 1 მან. 21 კაპ.